ირაკლი ვეშაპიძე

ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი — 1967

41
499.962.1-27
ვ435

წიგნში განხილულია ძველი ქართული ენის ზმნისწინებთან დაკავშირებული საკითხები, ძირითადად მიმართულებისა და ადგილმდებარეობის ჩვენების თვალსაზრისით, მოცემულია ზმნისწინთა შინაარსობრივი ჯგუფები, ერცლადაა მიმოხილული ორიენტაციის გამოხატვის კონკრეტული შემთხვევები, გამოყოფილია თვითეული ზმნისწინის ძირითადი და მეორეული ფუნქციები და ყურადღება გამახვილებულია ცალკეულ ზმნისწინთა გენეზისის საკითხებზე. წიგნი განკუთვნილია უმაღლესი და საშუალო სკოლების ქართული ენის მასწავლებლებისათვის.

რედაქტორი ივ. იმნაიშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა 9

შ ე ს ა ვ ა ლ ი . . . . . 11—28

§ 1. ქართულ ზმნისწინთა კვლევის ისტორიიდან (11—24). § 2. ზმნისწინის რაობა და ჯგუფები (24—27). § 3. ტერმინისათვის (27—28).

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი. მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი

თ ა ვ ი I. **გ ე ზ ი და ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ა** . . . . . 29—41

§ 4. ზმნისწინთა ორი რიგი და მასთან დაკავშირებული ორიენტაციის კატეგორია (29—30). § 5. ზმნისწინი და გეზი. გეზის რაობა (30—31). § 6. ერთი და იგივე მიმართულება საპირისპირო ორიენტაციის ზმნისწინებით (31—32). § 7. დაპირისპირება გეზის მიხედვით (33). § 8. გეზისა და ორიენტაციის ისტორიული ურთიერთობისათვის (33—36). § 9. მიმართულების სახეები და ჯგუფები (36—38). § 10. როგორ ზმნებთან გამოხატავს ზმნისწინი მიმართულებას? (38—29). § 11. დაპირისპირება გეზ-ორიენტაციის მიხედვით (39—41).

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ უ ლ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი

თ ა ვ ი II. **ს ა ყ უ თ რ ი ვ მ ა ო რ ი ე ნ ტ ე ბ ე ლ ი მი- დ ა მო- ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი** . . . . . 42—110

§ 12. მი- და მო- ზმნისწინები ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში (42—45). § 13. მი- და მო- ზმნისწინები ურთიერთსაპირისპირო მიმართულებას გამოხატავს (45—46). § 14. ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მოუბარი პირი და ორიენტაცია (46—48). ზმნასთან პირიანობით დაკავშირებული მოუბარი პირი და ორიენტაცია (48—49). § 16. ზმნასთან შეწყობილ პირთა ურთიერთმიმართებათა ტიპები მოძრაობა-გადაადგილების მიხედვით (49—55). § 17. ზმნის პირთა შესაძლო კომბინაციები და ორიენტაცია (55—59). § 18. მოუბარი პირის საუბრისდროინდელი და მოქმედებისდროინდელი პოზიციები. მოქმედების საწყის-სასრული პოზიციები (59—61). § 19. მი- და მო- ზმნისწინები საობიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში (61—66). § 20. მი- და მო- ზმნისწინები საობიექტო მიმართების ორპირიან გარდაუვალ ზმნებში (66—69). § 21. მი- და მო- ზმნისწინები საობიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში (69—74). § 22. ორიენტაცია II პირის მიმართ (74—76). § 23. მი- და მო- ზმნისწინები საობიექტო მიმართების ზმნებში (საერთო შედეგები) (76—78). § 24. მი- და მო- ზმნისწინები სასუბიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში (78—84). § 25. მი- და მო- ზმნისწინები სასუბიექტო მიმართების ორპირიან გარ-

დაუვალ ზმნებში (84—85). § 26. მი- და მო- ზმნისწინები სასუბიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში (85—88). § 27. მი- და მო- ზმნისწინები სასუბიექტო მიმართების ზმნებში (საერთო შედეგები) (88—90). § 28. მი- და მო- ზმნისწინები ნულოვანი მიმართების ორპირიან ზმნებში (90—92). § 29. მი- და მო- ზმნისწინები ერთპირიან ზმნებში (92—98). § 30. საიქეთო და სააქეთო ორიენტაციის გამოვლინების ძირითადი შემთხვევები ძველ ქართულში (98—99). § 31. აღრევები ორიენტაციის თვალსაზრისით (99—100). § 32. ზოგი ისეთი ზმნა, რომელთანაც მო- ან მი- ზმნისწინი ორიენტაციას ვერ აღნიშნავს (100—102). § 33. მო- ზმნისწინი აღნიშნავს რისამე ირგვლივ მოქმედებას (102—103). § 34. მო- ზმნისწინი გამოხატავს მოქმედების ზედაპირულობას, ზედაპირზე განფენილობას (103—104). § 35. მო- ზმნისწინი ახალ ქართულში გამოხატავს მოქმედების ოდნაობას, მცირე ზომით შესრულებას, სიცოტავეს (104—107). § 36. მი- და მო- ზმნისწინების გენეზისისათვის (107—110).

თ ა ვ ი III. წინა-უკმო არეში მოძრაობის ზმნისწინები

§ 37. ზოგადი (111).

1. წარ-, წარმო- ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი . . 111—125
§ 38. წარ-, წარმო- ზმნისწინთა შესწავლის ისტორიიდან (111—118). § 39. წარ-, წარმო- ზმნისწინთა ფუნქციები ძველ ქართულში (118—121). § 40. მოქმედების საწყისი თუ სასრული პუნქტი? (122—123). § 41. სად მოვათავსოთ წარ-, წარმო- ზმნისწინები? (123—124). § 42. წა(რ)-, წა(რ)მო- ზმნისწინები და ოდნაობა (124—125).

2. უკუ-, უკმო- ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი . . 125—129
§ 43. რას გამოხატავს უკუ-, უკმო- ზმნისწინები? (125—127). § 44. უკუ-, უკმო- ზმნისწინთა ადგილის შესახებ ზმნისწინთა სისტემაში (127—129).

თ ა ვ ი IV. ვერტიკალური მიმართულების ზმნისწინები

§ 45. ცნებისათვის (130).

1. და-, დამო- ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი . . 130—148
§ 46. ცნობები და- ზმნისწინის პირველადი ფუნქციის შესწავლის შესახებ (130—132). § 47. და- ზმნისწინი და ზევიდან ქვეით მიმართულება ძველი ქართულის მიხედვით (132—134). § 48. ზმნები, რომლებშიაც და- ზმნისწინი ძველად მიმართულებას აღნიშნავდა, ახალ ქართულში კი — ვერა (134—138). § 49. და- ზმნისწინიან ზმნებში მიმართულების გადმოცემის ფუნქციის მოშლის ცალკეული შემთხვევები ძველსავე ქართულში (138—141). § 50. და- ზმნისწინი აღნიშნავს ზევიდან ქვეით სიღრმეში მიმართულებას (141—143). § 51. და- ზმნისწინი და ინტენსიობა (143—147). § 52. დამო- ზმნისწინი ძველ ქართულში (147—148).

2. შთა-, შთამო- ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი . 148—156
§ 53. შთა- ზმნისწინი და ორმაგი მიმართულება (148—154). § 54. შთამო- ზმნისწინი ძველ ქართულში (154—156).

3. გარდა-, გარდამო- ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი . . . . . 156—161
§ 55. გარდა-, გარდამო- ზმნისწინები და ზევიდან ქვეით მიმართულება (156—160). § 56. გარდამო- ზმნისწინი ცვლიდა დამო- და შთამო- ზმნისწინებს (160—161).

4. ფუნქციების განაწილება და-, დამო-, შთა-, შთამო- და გარდა-, გარდამო- ზმნისწინებს შორის . . . . 161—172
§ 57. სამი არე, ანუ მონაკვეთი ვერტიკალურ სიბრტყეზე (161—163). § 58. და-, დამო- ზმნისწინების გამოყენების არეები (163—165). § 59. შთა-, შთამო- ზმნისწინების გამოყენების არეები (165—166). § 60. გარდა-, გარდამო- ზმნისწინების გამოყენების არეები (166—168). § 61. დასკვნა (168—172).

5. აღ-, აღმო- ზმნისწინები ძველ ქართულში . . 172—192
§ 62. აღ-, აღმო- ზმნისწინთა შესწავლის ისტორიიდან (172—173). § 63. აღ- ზმნისწინის მნიშვნელობა ძველი ქართულის მიხედვით (174—175). § 64. აღ- ზმნისწინი ისეთ ზმნებთან, რომლებსაც გადაადგილების შინაარსი არა აქვთ (175—176). § 65. ძველ ქართულში ზეითა მიმართულების აღნიშვნა ისეთ ზმნებში, რომლებშიც დღეს იგივე შინაარსი ნაკლებად საგრძნობია (176—179). § 66. აღ- ზმნისწინი მონაცვლე ზმნებში (179—180). § 67. ახალი ქართულის შე- ზმნისწინის ნაცვლად აღ- ზმნისწინი ძველ ქართულში (180). § 68. აღმო- ზმნისწინი იმავე გეზს აღნიშნავს, რასაც აღ- ზმნისწინი (180—182). § 69. ფუნქციების განაწილება აღ- და აღმო- ზმნისწინთა შორის (183—185). § 70. აღმო- ზმნისწინი გადმოსცემს შიგნიდან გარეთ ზეითა მიმართულებით მოძრაობას (185—187). § 71. აღ-, აღმო- ზმნისწინებისათვის ზეითა მიმართულების ჩვენების ფუნქციის მოშლის ტენდენციები ძველსავე ქართულში (187—188). § 72. ფუძესთან აღ- ზმნისწინის სრული ან ნაწილობრივი შეხორცების შემთხვევები (188—191). § 73. აღ- ზმნისწინის გენეზისისათვის (191—192).

თავი V. შიგნი-გარეთა მიმართულების ზმნისწინები

§ 74. ცნებისათვის (193—194).

1. შე-, შემო- ზმნისწინები ძველ ქართულში . . 194—214
§ 75. შე-, შემო- ზმნისწინთა მნიშვნელობის შესწავლის ისტორიიდან (194—197). § 76. შე- ზმნისწინის გენეზისისათვის (197—198). § 77. გარედან შიგნით მიმართულების ჩვენება შე-, შემო- ზმნისწინთა მთავარი ფუნქციაა (198—203). § 78. შე- ზმნისწინი შთა-ს მნიშვნელობით (203—205). § 79. შე- ზმნისწინი აღ-ის მნიშვნელობით (205—207). § 80. ყოველგვარი მოძრაობის პირობებში გარედან შიგნით მიმართულების აღნიშვნა შე- ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქციაა (207—208). § 81. შე-, შემო- ზმნისწინთა მეორეული ფუნქციები (209—214).

2. გან-, გამო- ზმნისწინები ძველ ქართულში . . 215—242
§ 82. გან-, გამო- ზმნისწინთა შესწავლის ისტორიიდან (215—216). § 83. გან- ზმნისწინის გენეზისისათვის (216—219). § 84. გან-, გამო- ზმნისწინები და შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენება ძველ ქართულში (220—223). § 85. მოქმედება შიგნით თუ შიგნიდან გარეთ? (223—225). § 86. მოძრაობა სუბიექტის შიგნიდან (225—226). § 87. მოქმედება რაიმეში ან საგანთა შორის გავლით (226—227). § 88. გან- ზმნისწინი აღნიშნავს განშორებას ან კიდევ საქმეთო ორიენტაციას გეზის ჩვენების გარეშე (227—233). § 89. მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით (233—235). § 90. გახსნა, გაღება, გაშლა, მატება სიგრძე-სიგანესა და მოცულობაში (235—236). § 91. გან- ზმნისწინი აღნიშნავს დაყოფას, დანაწილებას (236—

239). § 92. მოქმედება თითქოს შიგნიდან იწყება და ვრცელდება მთელ სა-განზე (239—241). § 93. დაფარულის ცხადყოფა (241—242).

თ ა ვ ი VI. რკალური მოძრაობის ზმნისწინები

§ 94. ცნებისათვის (243—244).

1. გარდა-, გარდამო- ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი 244—250
§ 95. გარდა- ზმნისწინი და მისი დღევანდელი ძირითადი მნიშვნელობა (244—245). § 96. ზევიდან ქვეით მიმართულება და გარდა-, გარდამო-ზმნისწინები (245). § 97. აღნიშნავს თუ არა რთული გარდა- ზმნისწინი ორმაგ მიმართულებას? (246—248). § 98. მნიშვნელობის დიფერენციაცია (248—250).

2. წიაღ-, წიაღმო- ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი 250—254
§ 99. საკითხის შესწავლის ისტორიიდან (250). § 100. წიაღ-, წიაღმო- ზმნისწინთა გამოყენების ნიმუშები (251—252). § 101. წიაღ- ზმნისწინის გენეზისისათვის (252—254).

თ ა ვ ი VII. მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ ი ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ს უ ქ ო ნ ე ლ ი ზ მ ნ ე ბ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი . . . . . 255—262
§ 102. მიმართულებითს ზმნისწინს ყველა ზმნა როდი დაირთავს (255). § 103. სტატიკური ზმნა უზმნისწინოა (225—256). § 104. მიმართულებითი ზმნისწინის უქონელი საშუალო გვარის ზმნები (256—258). § 105. ვნებითი და მოქმედებითი გვარის ზოგიერთი უზმნისწინო ზმნა (258). § 106. ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი უზმნისწინო ზმნა (258). § 107. მო- თავსართიანი მიმღეობა მიმართულებითს ზმნისწინს არ დაირთავს (258—259). § 108. სი- თავსართიანი საწყისი ზმნისწინს ვერ ჰგუობს (259). § 109. მიმართულებითი ზმნისწინი არ მოუდის რთული ზმნის ზმნურ ნაწილს პირიან ფორმებში (259—261). § 110. ზმნები, რომელთაც ძველ ქართულში უზმნისწინო ფორმებიც მოეპოვებოდათ (261—262).

ნ ა წ ი ლ ი II. ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი ძ ვ ე ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი

თ ა ვ ი VIII. ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი ზ მ ნ ი ს წ ი ნ ე ბ ი ს რ ა ო ბ ა . . . . . 263—277
§ 111. საკითხის დასმისათვის (263—266). § 112. ადგილობითი ზმნისწინი თუ რთული ზმნის სახელადი ნაწილი? (266—268). § 113. ადგილობითი ზმნისწინი თუ ადგილის ზმნიზედა? (268—270). § 114. ტერმინისათვის (270—271). § 115. ადგილობითი ზმნისწინების თავისებურებანი (271—275). § 116. ადგილობითი ზმნისწინის მჭონე ზმნათა მართლწერისათვის (275—276). § 117. ადგილობით ზმნისწინთა ჯგუფები (276—277).

თ ა ვ ი IX. ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ზ მ ნ ი ს წ ი ნ თ ა კ ე რ ძ ო ბ ი თ ი გ ა ნ ხ ი ლ ვ ა . . . 278—304
§ 118. ზე ზმნისწინი ძველ ქართულში (278—281). § 119. ზედა ზმნისწინი ძველ ქართულში (281—283). § 120. ქუე ზმნისწინი ძველ ქართულში (283—286). § 121. გარე ზმნისწინი ძველ ქართულში (286—289). § 122. შინა ზმნისწინი ძველ ქართულში (289—290). § 123. წინა ზმნისწინი ძველ ქართულში (290—292). § 124. თანა ზმნისწინი ძველ ქართულში (292—297). § 125. მიმო ზმნისწინი ძველ ქართულში (297—304).

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი . . . . . 305—307
დ ა თ ქ მ უ ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი 307

წინასიტყვაობა

ქართული ზმნის შედგენილობაში ზმნისწინს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მასთანაა დაკავშირებული გეზისა და ორიენტაციის აღნიშვნა, სრული ასპექტის ფორმების წარმოება (ახალ ქართულში) და ახალი მნიშვნელობის ზმნათა წარმოქმნა.

ენის საერთო განვითარებასთან ერთად სათანადო ცვლილებებს განიცდიდა ქართული ზმნისწინების შედგენილობა და დანიშნულება. ამიტომ ზმნისწინთა შესწავლა ძველი ქართული ენის მასალაზე დაყრდნობით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მათი თავდაპირველი სახისა და ფუნქციების გასათვალისწინებლად. ამასთანავე, ეს საჭიროება მით უფრო იგრძნობა, რომ ქართული ენის ზმნისწინები ჯერჯერობით მონოგრაფიულად დამუშავებული არაა. წინამდებარე შრომა წარმოადგენს ცდას, რამდენადმე შეავსოს ეს ხარვეზი და პასუხი გასცეს ძველი ქართული ენის ზმნისწინებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. წიგნში მთავარი ყურადღება დათმობილი აქვს ზმნისწინთა ისეთ ფუნქციას, როგორიცაა მიმართულების აღნიშვნა. რაც შეეხება ასპექტისა და სიტუაციაწარმოების ფუნქციებს, ისინი ავტორის შემდგომი კვლევის საგანი იქნება.

გულითად მადლობას მოვახსენებ ჩემს მასწავლებელს — აკადემიკოს აკაკი შანიძეს, რომლის უშუალო რჩევითა და ხელმძღვანელობით მოვკიდე ხელი ამ წიგნზე მუშაობას.

დიდი მადლობის გრძნობით უნდა აღვნიშნო ის დახმარება, რომელიც წიგნზე მუშაობისას საყურადღებო შენიშვნების მოწოდებით გამიწია პროფ. ივანე იმნაიშვილმა — წიგნის მეცნიერმა რედაქტორმა. სასარგებლო შენიშვნებისათვის მადლობას მოვახსენებ აგრეთვე დოცენტებს — ჭოლა თევზაძეს, გიორგი შალამბერიძეს და ზურაბ ჭუმბურიძეს.

მიუხედავად ესოდენი ცდისა, ვგრძნობ, რომ წინამდებარე ნაშრომი დაზღვეული არ იქნება ნაკლისაგან. ამიტომ სიამოვნებით მივიღებ მკითხველთა ყველა სასარგებლო შენიშვნას და გავითვალისწინებ შემდგომ მუშაობაში.

ა ვ ტ ო რ ი

შესავალი

§ 1. ქართულ ზმნისწინთა კვლევის ისტორიიდან.[1] ქართული გრამატიკული ლიტერატურის უძველეს ძეგლებს, როგორც ცნობილია, ჩვენამდე არ მოუღწევია. არსებობს ცნობები, რომ XI—XII საუკუნეებში (თუ ადრე არა!) უკვე უნდა გვქონოდა სათანადო გრამატიკული ლიტერატურა, კერძოდ იოანე პეტრიწის, ეფრემ მცირისა და სხვათა შრომები[2]. ჩვენ ჯერ არ ვიცით, რამდენად იყო მათში განხილული ქართული ენის არსებითი საკითხები, იყო თუ არა მათში მსჯელობა ზმნიზედური წარმომავლობის ნაწილაკებზე. რომლებმაც დამოუკიდებლობა დაკარგეს, სხვა სიტყვებს შეეზარდნენ და ზმნისწინებად ან თანდებულებად იქცნენ.

ამის მიუხედავად, ძველი ქართული ენის ძეგლებზე დაკვირვება ბევრ შემთხვევაში იმის საუკეთესო საბუთს იძლევა, რომ მათს ავტორებს, მთარგმნელებს თუ რედაქტორებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ცალკეულ ზმნისწინთა მნიშვნელობა. აი ორი მაგალითი:

1. უძველეს თარიღიან ქართულ ხელნაწერში, „სინურ მრავალთავში“, ერთ ადგილას იკითხება:

„აწ სჯმეონ ესრჱთი ესე ურვაჲ ვითარცა მახჳლისა **განსლვაჲ** წინავე ქალწულსა მას აუწყა, რამეთუ ეტყოდა: «შენსაცა სულსა განვლოს მახჳლმან». არა თქუა, თუ «დაადგრესო» ანუ «ეუფლოსო», არამედ «განვლოსო». **ესე არს, რამეთუ მცირედსა ჟამსა ურვაჲ შეგემთხჳოს და მუნჭუესვე განერე**“[3].

---

[1] ამ საკითხის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ავტორის „ზმნისწინი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში“: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93.

[2] ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 4; ს. ყაუხჩიშვილი, მასალები იოანე პეტრიწის განმარტების წყაროთა შესწავლისათვის, I, დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკე“: სმამ, ტ. II, № 8, 1941.

[3] სინური მრავალთავი 864 წლისა, გამოსცა ა. შანიძემ, 1959 წ., გვ. 98.

ეს ადგილი იმითაა საყურადღებო, რომ მასში ახსნილია **განსლვა** ზმნის მნიშვნელობა. ნათქვამია, რომ იგი გულისხმობს ჯერ გარედან შიგნით მოძრაობას (შ ე გ ე მ თ ხ ჳ ო ს), შემდეგ კი მაშინვე (მუნ-ქუესვე) შიგნიდან გარეთ გასვლას, გაცილებას (გ ა ნ ე რ ე), ე. ი. ამ შემთხვევაში გ ა ნ ს ლ ვ ა ზმნა გამოყენებულია რაიმეში გ ა ვ-ლ ი ს შინაარსით.

2. ნ. მარის მიერ გამოცემულ ცნობილ ძეგლში — „ნეტარისა იპოლიტჱს თქუმული თარგმანებაჲ ქებათა ქებათაჲ“ [1] — ვკითხულობთ:

„აჰა დისწულაკი ჩემი ვ ლ დ ო მ ი თ მოიწია ზ¯ა თავთა მთათა **გარდავლდომად**....

რაჲ-მე [2] არს ვ ლ დ ო მ ი ს ა მის სიტყუაჲ?

გარდამო ვ ლ დ ა ზეცით საშოსა მას ქალწულისასა;

აღ ვ ლ დ ა მუცლისაგან წ¯დისა ზ¯ა ძელსა მას;

ვ ლ დ ა ძელისა მისგან ჯოჯოხეთა;

აღმო ვ ლ დ ა მიერ კაცობრივითა ამით კორცითა ქ¯ყნად ჴ ახლისა აღდგომისაჲ.

მერმე **აღ** ვ ლ დ ა ქ¯ყნით ზეცად ესე დაჯდომილ მარჯულ მამისა და მერმე **გარდამო** ვ ლ დ ე ს ქ¯ყნდ, რ¯ა ნაცვალი მისაგებელი მიაგოს.

აჰა ესერა ესე ვ ლ დ ო მ ი თ მოიწია ზ¯ა თავსა მთათასა **გარდამოვლდომად**... რ¯ იგინი, რომელნი მაღლად ზრახენ, არა დადგას ფერჴი მათ ზ¯ა, ა¯დ ვ ლ დ ო მ ი თ თ ა ნა-წ ა რ ჰ ვ ა ლ ს. ა რ ა დ ა დ გ ო მ ი ლ მ ა თ თ ა ნ ა“ (იპ. 21, 7—34).

ამ ვრცელ ამონაწერში დასმულია კითხვა **ვლდომა** ზმნის მნიშვნელობის შესახებ და პასუხის გაცემის მიზნით ამ ზმნის უზმნისწინო ფორმასთან (ვ ლ დ ა) შეპირისპირებულია სხვადასხვა ზმნისწინიანი ფორმა (აღვლდა, **აღმოვლდა**, **გარდავლდომა**, **გარდამოვლდომა**), რომელთაგანაც მეტად საინტერესოდაა ახსნილი **გარდამოვლდომა** ზმნა: ნათქვამია, რომ **გარდამოვლდომა** არის ისეთი ვ ლ დ ო მ ა, როცა ფეხი არ უნდა დაადგა ზევით მყოფ საგნებს, არ უნდა შეჩერდე მათთან და უნდა „თანა-წარხვდე“. ესაა, ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ, ზევიდან ქვევით მოძრაობა საგანზე თავს გადავლებით.

ეს ნიმუშები უთუოდ იმაზე მიუთითებს, რომ ძველ ქართველ მწიგნობრებს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ცალკეულ ზმნის-წინთა ესა თუ ის მნიშვნელობა.

---

[1] TP. III, 1901.

[2] ციტირებულ ტექსტში აბზაცებად დაყოფა და ხაზგასმა ჩვენია. ი. ვ.

სანამ ქართულ გრამატიკულ სახელმძღვანელოებს შევეხებოდეთ, მანამ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს[1] მივმართოთ. ამ წიგნში, რომელიც ჩვენი დედა ენის სიტყვიერი საგანძურის კრებულს წარმოადგენს და დღესაც — ქართული ენათმეცნიერების აყვავების ხანაშიც — ინარჩუნებს თავის სიდიადეს, ავტორს განმარტებული აქვს სხვადასხვა ზმნისწინიანი სიტყვებიც და ამ განმარტებებში ყოველთვის იგრძნობა სიტყვის ის მნიშვნელობაც, რომელიც საკუთრივ ზმნისწინს უკავშირდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში საბას მოცემული აქვს ცდა სიტყვისაგან ამა თუ იმ ზმნისწინის გამოცალკევებისა. ასეთ შემთხვევაში საბა ზმნისწინს ართრონად მოიხსენიებს და ცდილობს ერთგვარად მაინც განმარტოს იგი. ასე გამოცალკევებით აქვს საბას მოცემული **მი-, მო-, წა-, შე-, გა-** ზმნისწინები.

თუ როგორ ესახება სულხან-საბა ორბელიანს ამა თუ იმ ზმნისწინის მნიშვნელობა, ამაზე ქვემოთ ცალკეულ ზმნისწინთა განხილვისას შევჩერდებით.

ქართული გრამატიკული სახელმძღვანელოების ავტორთაგან პირველი და ამავე დროს სერიოზული ცდა ზმნისწინის შესწავლისა მოცემული აქვს ანტონ I-ს[2]. ანტონი თავის გრამატიკაში ზმნისწინებს თუმცა თანდებულთა საერთო წყებაში განიხილავს, მათგან მაინც ცალკე ჯგუფად გამოყოფს. თანდებულებს, რომლებიც სახელს დაერთვიან ამა თუ იმ ბრუნვაში, ანტონი **საკუთრივ თანდებულებს** უწოდებს, ხოლო ისეთ „თანდებულებზე“, რომლებიც ზმნას დაერთვიან ზმნისწინად, ანტონი აღნიშნავს, რომ ესენი არც შეიძლება თანდებულებად მივიჩნიოთო, და ამიტომ მათთვის სხვა ტერმინებს იყენებს: **ზედდადებული, კერძოკი ზედდადებული, კერძოკი განმავითარი, ნიშანი განმავითარი.** აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ტერმინებით ანტონს აღნიშნული ჰქონდა ჩვეულებრივი ზმნისწინები (მიმართულებითი ზმნისწინები), რომლებიც დღევანდელ ქართულშიც გვაქვს (აღ-, აღმო-, შთა-, შთამო-, გარდა-, გარდამო-, და-, დამო-, მი-, მო-....). რაც შეეხება ადგილობით ზმნისწინებს, რომლებიც ძველ ქართულისთვის იყვნენ დამახასიათებელი (ზე, ქუე, გარე, წინა....), მათთვის ანტონს გამოყენებული აქვს ტერმინი — **კერძოკი დამნიშვნელი.**

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით, 1928.

[2] ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (შედგენილი 1767 წელს), რაფიელ ერისთავის გამოცემა, თბილისი, 1885 წ.

ამ ორი რიგის ზმნისწინებს ანტონი ერთმანეთისაგან იმით გაარჩევს, რომ პირველნი, ე. ი. კერძოკნი ზედდადებულნი, ანუ ნიშანნი განმავითარნი, საკუთრივ მნიშვნელობის უქონელნი არიან, მაგრამ ზმნას კი მნიშვნელობას უცვლიან, უორკეცებენ (ე. ი. ურთულებენ), ავითარებენ (ე. ი. სრულ ასპექტს აწარმოებენ). ან კიდევ სამკაულად დაედებიან მას. კერძოკნი დამნიშვნელნი კი, რომელთაც საკუთარი მნიშვნელობაც აქვთ, ზმნას მხოლოდ აორკეცებენ (ე. ი. მის რთულ ფორმებს წარმოქმნიან).

ანტონი იმასაც აღნიშნავს, რომ ზოგჯერ ზმნას მრჩობლად მოუდის ორი და სამი ზმნისწინიც: **გარდამო, წარმო, შთამო, მიდმო,** ანუ **მიმო, ალმო, შემო, გამო** და სხვანი.

ანტონს მითითებული აქვს ისიც, რომ ზმნისწინებს (ნიშანთა განმავითართა) პირიანი ზმნების მსგავსად დაირთავენ აგრეთვე სახელზმნები (საწყისები და მიმღეობები) [1].

ანტონის შემდეგ მისმა მოწაფემ გაიოზმა თავის „ღრამმატიკაში" მკაფიოდ მიუთითა იმის შესახებ, რომ ზმნისწინს შეუძლია, აწმყოსაგან აწარმოოს მყოფადის ფორმები [2].

ჩამოყალიბებული სახით ზმნისწინის გრამატიკულ განსაზღვრას პირველად იოანე ქართველიშვილის „ქართულ ღრამმატიკაში" ვხვდებით: „მარცუალნი, რ~ლნიცა დაესხმიან ზმნათა და შეჰსცულიან მნიშუნელობასა მათთა, იწოდებიან **ზედდადებულად,** ანუ **თანდებულად,** ვითარნიცა არიან: აღ, შთა, წარ, მი, მო, შე, გან, გამო და სხუანიცა ესე ვითარნი" [3]. რაც შეეხება ტერმინს, ზმნისწინის აღსანიშნავად ამ წიგნში გამოყენებულია **მარცვალი ზედდადებული,** ანუ **განმავითარებელი.**

თანდებულთა საერთო წყებიდან ცალკე ჯგუფად აქვს გამოყოფილი ზმნისწინები სოლომონ დოდაშვილსაც და იგი მათ **შეერთებულად ხმარებულ თანდებულებს** უწოდებს. რაც შეეხება საკუთრივ თანდებულებს, ავტორი მათ **განყოფილად ხმარებულ თანდებულებად** მოიხსენიებს და აღნიშნავს, რომ ისინი ბრუნვას მოითხოვენო [4].

ქართული ზმნისწინების გამარტივებულ სახეს (ა-, გა-, ჩა-, წა-....) პირველმა მიაქცია ყურადღება მარი ბროსემ და მას **ხალხური**

---

[1] ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, გვ. 98—99; 159—160; 199; 204.

[2] გაიოზი, ღრამმატიკა, მოზდოკი [1796—1800], გვ. 73.

[3] იოანე ქართველიშვილი, ქართული ღრამმატიკა, 1825, გვ. 56.

[4] ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, ტფილისი, 1830 წ., გვ. 52.

უწოდა[1]. შემდეგში ამავე საკითხს შეეხნენ პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი და სხვანი.

პლ. იოსელიანმა გამარტივებული სახის ზმნისწინებს **მდაბიური** უწოდა, ხოლო მათს ადრინდელ სახეს, რომელიც იმ დროს წიგნებშიღა იყო შემორჩენილი, — **წერილი** (ე. ი. სამწიგნობრო): ანტონის მსგავსად პლ. იოსელიანიც ორი რიგის ზმნისწინებს გაარჩევდა: 1. რომლებიც „უსრულთა დროთა შეჰსცულიან სრულად და ქმნადად“ (აღ, აღმო, გან, გამო....), 2. რომელნიც ზემოაღნიშნულ მაასპექტებელ ფუნქციას მოკლებული არიან (გარე, ქუე, ზე....)[2].

დაწყებული ანტონ I-იდან პლატონ იოსელიანამდე (ჩათვლით) არცერთ ქართველ გრამატიკოსს არ გაუმახვილებია ყურადღება იმაზე, რომ ზმნისწინის უპირველესი ფუნქციაა, გამოხატოს ესა თუ ის მიმართულება. ამ მხრივ ქართულ ზმნისწინთა პირველი დახასიათება მოგვცა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა დ. ჩუბინაშვილმა[3].

ზმნისწინის აღსანიშნად დ. ყიფიანი **მიმძღოლ თანდებულს** იყენებს. იგი გამოყოფს ზმნისწინის ორ ფუნქციას: 1. აღნიშნოს მიმართულება და 2. გამოხატოს სრული ასპექტი. ამათგან ავტორს პირველი ფუნქცია საერთოდ თანდებულისათვის დამახასიათებლად მიაჩნია, მეორე კი — საკუთრივ ზმნისწინისა[4].

პ. კვიციარიძის „ქართულ სწორმეტყველებაში“ ყურადღებას იპყრობს ზმნისწინის ახალი, უფრო დახვეწილი განსაზღვრა, ვიდრე წინამორბედ გრამატიკოსებთან ვხვდებოდით: „**წინამძღოლებად** იწოდებიან ისინი, რომელნიც სიტყვას თავში მოეზავებიან და გვიჩვენებენ მოქმედების მიმართულებას ანუ კიდევ სახის სისრულეს: **აღ, გან, ჩა, შე, აღმა, შემო, მიმო, გადა, უკუ** და სხვ.“[5].

ა. ქუთათელაძის „გრამმატიკაში“ ზმნისწინის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი **სიტყვის ნაკვეთი**[6], რომელმაც შემდეგში გავრცელება ვერ პოვა.

---

[1] მარი ბროსე, კელოვნება აზნაურებითი, გინა ქართულის ენისა თჳთმასწავლებელი, პარიზი, 1834, § 108.

[2] პლ. იოსელიანი, პირუმცლ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ენისა ღრამმატიკისა, 1863, გვ. 61—62; 71.

[3] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, 1855, გვ. 72—74.

[4] დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამმატიკა, 1882, გვ. 104, 106, 131.

[5] პ. კვიციარიძე, ქართული სწორმეტყველება, სასინჯი სახელმძღვანელო, პირველი წიგნი, თბ., 1888, გვ. 154.

[6] პირველ-დაწყებითი ქართული გრამმატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, ტფილისი, 1888, გვ. 85—86.

თ. ჟორდანიამ პირველმა ცადა აეხსნა, თუ როგორი ზმნა იწარმოებს და როგორი ვერა აწმყოსაგან მყოფადს ზმნისწინის მეოხებით. მასვე შემჩნეული აქვს ის ფაქტიც, რომ სტატიკური ზმნა წყვეტილში მხოლოდ უზმნისწინოა. იგი ზმნისწინის აღსანიშნავად იყენებს ტერმინს — **საზმნებო თანდებული** და მსგავსად ანტონისა და პლ. იოსელიანისა ჩვეულებრივი ზმნისწინებისაგან განსხვავებით ისიც ცალკე გამოყოფს ზმნიზედური ხასიათის ზმნისწინებს, რომლებიც სახელთან თანდებულადაც შეიძლება იქნენ გამოყენებული: „რამდენიმე ამ თანდებულთაგანი ზმნებსაც შეეთხზვის განუყოფელად. მაგ. **ზე**-ჯდომა, **ქვემო**-დგომა, **გარე**-შეწერა, **წინა**-თქმა, **შინა**-განცემა"-ო, წერს იგი [1].

მ. ჯანაშვილმა პირველმა გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ზმნისწინები ურთიერთსაპირისპირო მიმართულებას გვიჩვენებს, და ამის მიხედვით მოგვცა ურთიერთსაპირისპირო ზმნისწინთა წყვილები: **ალ—ჩა; მი—მო; გა—შე; გადა—გადმო; ალმო—ჩამო** [2].

როგორც ცნობილია, ქართულ ზმნისწინთა ხმოვნითი ელემენტები ფონეტიკური პროცესების შედეგად ცვლილებას განიცდის დიალექტებში. ამასთან დაკავშირებით ზმნისწინთა მართლწერის საკითხებს პირველმა მიაქციეს ყურადღება ს. ხუნდაძემ და ს. გორგაძემ. ამათგან პირველი საკითხს წყვეტდა კეთილხმოვანების პრინციპისა და აგრეთვე იმის გათვალისწინებით, თუ რომელი ფორმა უფრო ხშირად იხმარება. მეორისათვის კი ძირითადი განმსაზღვრელი იყო ისტორიული და მორფოლოგიური პრინციპი [3].

ზმნისწინის აღსანიშნავად ი. ნიკოლაიშვილი **თავსართსაც** იყენებს და **პრევერბსაც**. ამასთან ერთად, იგი თავს უყრის და ერთობლიობაში წარმოგვიდგენს ზმნისწინის ფუნქციებს — აღნიშნოს მიმართულება, სახე, აწარმოოს მომავალი დროის ფორმები და ახალი შინაარსის ზმნები [4].

ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში დიდი როლი შეასრულა ნიკო მარის შრომებმა.

ჯერ კიდევ ადრე, თავის „ძირითად ტაბულებში" ავტორს მოცემული აქვს ქართული ზმნისწინები და მათი რუსული შესატყვისები [5].

---

[1] თ. ჟორდანია, ქართული გრამმატიკა, 1889, გვ. 56, 64, 155.

[2] მ. ჯანაშვილი, ქართული გრამმატიკა, 1906, გვ. 68.

[3] ს. ხუნდაძე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901, გვ. 57—58. ს. გორგაძე, ქართული მართლწერა, 1916, გვ. 24—25.

[4] ი. ნიკოლაიშვილი, ქართული მოკლე გრამატიკა, 1912 წ., გვ. 34; მისივე, ქართული ენის გრამატიკა, 1927, გვ. 29.

[5] H. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, 1908, ტაბ. X.

„ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში“ ნ. მარი ზმნისწინთა ხუთ ჯგუფს გამოყოფს. ესენია: 1. პირისადმი დამოკიდებულების ნაწილაკები (**მი-, მო-**, აგრეთვე **მიმო-**); 2. სამი სიბრტყისადმი, ანუ ზევითა, ქვევითა (ჩვენი დგომის ზედაპირამდე) და ჩვენს ქვევითა სიბრტყეებისადმი დამოკიდებულების აღმნიშვნელი ნაწილაკები (**აღ-, და-, შთა-**), 3. მარტივი ზმნისწინები, რომელთაგან ზოგიერთი თანდებულადაც გამოიყენება (**გან-, გარე-, შე-, წარ-, წიაღ-**); 4. შედგენილი ზმნისწინი **გარ-და**, რომელიც არ უნდა გავუიგივეოთ **გარდა** თანდებულს (ეს უკანასკნელი **კარ-**ის აღმნიშვნელ **გარე** სიტყვას უკავშირდებაო). 5. შედგენილი ზმნისწინები: **აღმო-, შთამო-, გამო-, წარმო- გარდამო-** [1].

ნ. მარმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქართულ ზმნისწინთა გენეზისის საკითხებს: მიუთითა **მი-** და **მო-** ზმნისწინთა ნაცვალსახელურ წარმომავლობაზე [2], **და-** ზმნისწინი მიიჩნია **შთა-**ს ფონეტიკურ სხვაობად [3], **აღ-** ზმნისწინი კი ყველგან დაშლილი სახით აქვს მოცემული, თუმცა არაფერს აღნიშნავს მისი შემადგენელი ელემენტების რაობის შესახებ.

შემდეგში ნ. მარმა მ. ბ რ ი ე რ თ ან ერთად გამოცემულ ქართული ენის გრამატიკაში ზმნისწინები მხოლოდ ორ ჯგუფად გაყო. პირველში გააერთიანა **მი-, მო-** და **მიმო-** ზმნისწინები, მეორეში კი — ყველა დანარჩენი [4].

ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ეს ზმნისწინის აღსანიშნავად **წინდებული** ჰქონდა გამოყენებული თავის სასკოლო სახელმძღვანელოებში და ამ ტერმინს ზოგჯერ დღესაც ვხვდებით. ავტორის მიერ მოწაფეთათვის შედგენილ სამუშაო წიგნში — „ენის დაკვირვება“, რომელიც 1929 წელს გამოიცა, ზმნისწინთა კერძოობითი დახასიათების გარდა, მოცემულია ზოგი განმაზოგადებელი მითითებაც. მაგალითად, აღნიშნულია, რომ „მყოფადი დროის მნიშვნელობით აწმყო დროის ზმნებიც იხმარება, თუ მათ წინდებულიანი მყოფადი დროის ზმნები უძღვისთ“ [5]. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ ყველა ზმნას ყველა ზმნისწინი როდი დაერთვის და ამიტომ შენიშნავს, რომ „ზმნასთან უნდა ვიხმაროთ მისთვის ჩვეული წინდებული, ე. ი.

---

[1] Н. Марр. Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, § 202.

[2] იქვე, § 111.

[3] იქვე, § 202.

[4] N. Marr et M. Brière, La langue Géorgienne, Paris, 1931, § 259.

[5] ი. სიხარულიძე, ენის დაკვირვება, 1929, გვ. 171—172.

ისეთი, რომელიც მასთან ხშირად იხმარება. უჩვეულო და მიუღებელი იქნება, მაგალითად, **გა** წინდებული შემდეგ ზმნებთან: გაწკრიალებს, გაჩხრიალებს, გაცეკვავს ანდა **წა** წინდებული ზმნებთან: წახტის, წარბის, ვინაიდან ამ წინდებულებით ეს ზმნები არ გვხვდება; ხოლო იგივე **გა** და **წა** წინდებულები ჩვეულებრივია შემდეგ ზმნებთან: გადის, გარბის, წაწვება და სხვა"[1].

გ. დ ე ე ტ ე რ ს ი თავის გამოკვლევას ქართველური ზმნების შესახებ სწორედ ზმნისწინებით იწყებს. მიუთითებს, რომ ზმნისწინიცა და თანდებულიც (სხვა ენებში — წინდებულიც) ზმნიზედებისაგან წარმოდგება. აქედან გამომდინარე, იგი ცდილობს, ქართულ ზმნისწინებს დაუძებნოს გენეტურად ან ფუნქციურად შესაბამისი თანდებული ან სხვა ნაწილაკი. ასეთ ურთიერთკავშირს ხედავს იგი **გან-** ზმნისწინსა და **-გან** თანდებულს შორის, **და-** ზმნისწინსა და **და** კავშირს შორის, აგრეთვე **და-** ზმნისწინსა და **-და** თანდებულს შორის, რომელიც, მისი აზრით, მიმართულებითი ბრუნვის **-ად** ნიშანს დასდებია საფუძვლად. ასეთივე კავშირი არსებობს **შე-** ზმნისწინსა და **-შინა** თანდებულს შორის.

ავტორს შედარებით სრული ანალიზი აქვს მოცემული **მი-** და **მო-** ზმნისწინებისა. მითითებული აქვს, რომ დიალექტებისათვის დამახასიათებელი **მა-** ზმნისწინი **მო-**ს უძველესი სახე უნდა იყოს, ხოლო **მა-** და **მი-** ზმნისწინებში **ა** და **ი** ხმოვანთა ისეთივე დაპირისპირება უნდა გვქონდეს, როგორიც მოცემულია **აქა** და **იქა** ზმნიზედებში [2].

ქართული ზმნისწინების შესწავლის საქმეში ბევრი რამ გააკეთა ა კ ა კ ი შ ა ნ ი ძ ე მ. მან თავის „ქართულ გრამატიკაში" მიუთითა ზმნისწინის პირველადსა და მეორეულ მნიშვნელობებზე. ამასთანავე, აღნიშნა, რომ ზმნისწინის პირველადი მნიშვნელობა — მიმართულების აღნიშვნა — ქართულში ორ რამეს გულისხმობს: ა) როგორია ურთიერთდამოკიდებულება მოძრაობის საწყისსა და სასრულ პუნქტებს შორის და ბ) როგორია მოუბრის მდგომარეობა მიმართულების ჩვენების დროს[3]. აქვე მან პირველმა შემოიღო ტერმინი **ზმნისწინიც**.

შემდეგში ა. შანიძემ კიდევ უფრო გააღრმავა გამოკვლევა ქართულ ზმნისწინთა შესახებ და მიღებული შედეგები თავისი „ქართული გრამატიკის საფუძვლების" პირველ ნაკვეთში წარმოგვიდგინა.

---

[1] ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ენის დაკვირვება, 1929, გვ. 73—74.

[2] Gerard Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930, გვ. 9—13.

[3] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, 1930, § 60.

აქ ყველაზე არსებითია ზმნისწინისათვის ნიშანდობლივი გეზისა და ორიენტაციის ცალკე კატეგორიებად გამოყოფა [1].

აქვე დასახელებულია ზმნისწინის ოთხი ფუნქცია: 1. აღნიშნოს მოქმედების გეზი, 2. აღნიშნოს ორიენტაცია, 3. დასრულებული სახით წარმოგვიდგინოს მოქმედება და 4. აწარმოოს სრულიად ახალი ზმნა [2].

ავტორს დახასიათებული აქვს მიმართულების ხუთი სახე და მათი გადმომცემი ზმნისწინები, ორმაგი მიმართულებისა და აგრეთვე წინა და უკანა არეში მოქმედების აღმნიშვნელი ზმნისწინები [3].

წიგნში განხილული სხვა საკითხებიდან საყურადღებოა ზმნისწინთა მეორეული მნიშვნელობანი: და- ზმნისწინი და მიმართულების განუსაზღვრელობა, და- ზმნისწინი და ინტენსიობა, შე- ზმნისწინი და ქვევიდან ზევით მიმართულება, შე- ზმნისწინი და მოქმედების სიცოტავე, ტმესის მოვლენა ძველ ქართულში, ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობა, ზოგი ზმნისწინის გენეზისი და სხვ. [4]

ყველა ამ საკითხის ირგვლივ ავტორის მიერ მიღებულ დასკვნებს ქვემოთ, სათანადო ადგილას, წარმოვადგენთ. ამიტომ მათ შესახებ ამჯერად საუბარს აღარ განვაგრძობთ.

სვანური ზმნისწინების საყურადღებო გამოკვლევა მოგვცა ვ. თ ო ფ უ რ ი ა მ წიგნში „სვანური ენა“. ეს ნაშრომი ჩვენთვის მით უფრო საინტერესოა, რომ მასში საგულისხმო მოსაზრებებია გამოთქმული ზოგიერთი ქართული ზმნისწინის შესახებ. ამას გარდა, წიგნში მოცემულია ისეთი განზოგადებული დასკვნები და დებულებები, რომლებიც არა მხოლოდ სვანურისათვის, არამედ ქართულისთვისაც მისადაგისია.

საინტერესო შედარებებია მოცემული სვანური და ქართული ზმნისწინების მასალობრივი შესატყვისებისა და ერთნაირი მოხმარების შესახებ [5].

ზმნისწინის კვლევის საკითხებს სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს შრომებში. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს წარ- ზმნისწინის შესახებ 1937

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი I, 1942 წ., § 301, § 302.

[2] ი ქ ვ ე, § 305.

[3] ი ქ ვ ე, §§ 308—311.

[4] ი ქ ვ ე, §§ 319—325.

[5] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 64—65.

წელს გამოქვეყნებული მისი გამოკვლევა. მასში ნაჩვენებია როგორც ფუნქციური მნიშვნელობა წარ- ზმნისწინისა, ისე მისი გენეზისიც [1].

ამავე გამოკვლევაში ავტორი ზმნისწინისათვის დამახასიათებელ ოთხ ფუნქციას გამოყოფს: 1. ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას, თუ ზმნა გულისხმობს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას, 2. ზმნისწინი აღნიშნავს მოქმედების დამთავრებას (სრულ ასპექტს), 3. ზმნისწინი აწმყოსაგან აწარმოებს მყოფადს და 4. ზმნისწინს შეუძლია არსებითად ცვალოს ზმნის მნიშვნელობა. ავტორს მიაჩნია, რომ ამათგან პირველადია მიმართულების აღნიშვნა, ხოლო მოქმედების დამთავრების ჩვენება განვითარებული ჩანს ამ პირველადი ფუნქციისაგან. აქვე ზმნის მნიშვნელობის ცვლა ზმნისწინის ძველთაძველ ფუნქციადაა მიჩნეული, ხოლო დროის აღნიშვნა ახალ, ჩვენს თვალწინ განვითარებულ ფუნქციად [2].

ზმნისწინის ეს ოთხი ფუნქცია მითითებულია აგრეთვე არნ. ჩიქობავას შემდეგ შრომაშიც, რომელიც ქართული ენის ზოგად დახასიათებას მიეძღვნა [3].

არნოლდ ჩიქობავამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ „ქართული გაცილებით უფრო ღარიბია პრევერბებით, ვინემ ჰანური და მეგრული. სამაგიეროდ უფრო მდიდარია თანდებულებით“ [4]. მასვე ასეთივე დებულება აქვს წამოყენებული ზმნისწინისა და ზმნიზედების ურთიერთობის საკითხზეც [5].

ეს დებულებები შემდეგში საფუძვლად დაედო რიგი სხვა ავტორების შრომებს ზმნისწინებისა და თანდებულების ურთიერთობის შესახებ ქართულსა და ქართველურ ენებში.

ზმნისწინის აღსანიშნავად არნ. ჩიქობავას გამოყენებული აქვს ტერმინები — **პრევერბი** და **წინდებული**.

ქართული ენის ცნობილი სპეციალისტი ჰანს ფოქტი მიუთითებს, რომ ქართულ ზმნისწინს ორი ფუნქცია აქვს: 1. შეუცვალოს ზმნას მნიშვნელობა (ვდივარ—ჩავდივარ—ავდივარ) და 2. აწარმოოს სრული ასპექტი (ვემზადები—მივემზადები). როგორც საილუსტრაციო მაგალითებიდან ჩანს, ავტორი ზმნის მნიშვნელობის შეცვლაში სხვადასხვა მიმართულების აღნიშვნას გულისხმობს.

---

[1] არნ. ჩიქობავა, წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 40—45.

[2] იქვე, გვ. 40.

[3] არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, § 41: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950.

[4] არნ ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 129—130.

[5] არნ. ჩიქობავა, წარ-პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში, გვ. 43.

ავტორს ვრცლად აქვს განხილული თვითეული მარტივი ზმნისწინი. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს **მი-** და **მო-** ზმნისწინთა დახასიათება. აქ მითითებულია მათი როგორც ძირითადი მნიშვნელობანი (საიქეთო და სააქეთო მიმართულების ჩვენება), ისე **მო**-ს დამატებითი მნიშვნელობანი, რომლებიც ზოგიერთ ზმნასთან გამოვლინდება: ა) აღნიშნოს ირგვლივ მოძრაობა (მოვიელი ქალაქს) და ბ) აღნიშნოს მოქმედების სიცოტავე (მოვსვი, მოვბერდი) [1].

ბ. რუდენკო ქართულ ზმნისწინებს სამ ჯგუფად ყოფს. პირველ ჯგუფში განიხილავს **მი-** და **მო-** ზმნისწინებს და მათ მიმართულების აღმნიშვნელ ძირითად ზმნისწინებად მიიჩნევს. მეორე ჯგუფში განხილულია ყველა დანარჩენი მარტივი ზმნისწინი, ხოლო მესამეში — რთული ზმნისწინები.

ავტორის სიტყვით, ქართულში ზმნისწინი ზოგ ზმნასთან იმას აღნიშნავს, რომ მოქმედება სრულდება სიარულის პროცესში [2].

გარდამავალ ზმნებში აწმყოსაგან მომავალი დროის ფორმების წარმოებასთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვებაა მოცემული კ. ჩხენკელის წიგნში იმის შესახებ, რომ ამ მხრივ თავისებურებას იჩენს **და-**, **მი-** და **მო-** ზმნისწინიანი ფორმები, რომლებიც აწმყოს გაგებასაც იძლევიან და — მყოფადისასაც: **დავაგორებ, დავათრევ, მივაგორებ, მივათრევ, მოვაგორებ, მოვათრევ.** ეს ზმნები ასეც შეიძლება გავიგოთ: **გორვით მიმაქვს, მომაქვს, დამაქვს....** და ასეც: მივაგორებ, მოვაგორებ, დავაგორებ — მომავალში.

მაგრამ თუ ამავე ზმნებს რომელიმე სხვა ზმნისწინით ავიღებთ, მაშინ მხოლოდ მომავლის შინაარსი გვექნება: გავაგორებ, გადავაგორებ, შევაგორებ[3]

ამავე ნაშრომში საინტერესო დაკვირვებებია მოცემული ზოგიერთი ზმნის მიმართ, რომლებიც **მი-** და **მო-** ზმნისწინებით სამპირიანობის გაგებას იძლევიან, ხოლო უზმნისწინო ან სხვა ზმნისწინიანი ფორმებით — ორპირიანობისას. საილუსტრაციოდ მოყვანილია სამპირიანი **მივსწერ, მივჰყიდი, მივაქირავებ, მოვსჭრი, მოვსტეხ** ზმნები და ამავე ზმნათა უზმნისწინო ან სხვა ზმნისწინიანი ფორმები (ვწერ, დავწერ, ვიყიდი, გავყიდი, ვაქირავებ, გავაქირავებ. ვჭრი, დავჭრი, ვტეხ, გავტეხ), რომლებსაც ორპირიანი გაგება აქვთ [4].

---

[1] Hans Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, Oslo, 1936, გვ. 260—265.

[2] Б. Т. Руденко, Грамматика грузинского языка, 1940, § 62.

[3] Einführung in die georgische Sprache von Kita Tschenkéli. Band I, theoretischer Teil, 1958, გვ. 93—94.

[4] იქვე, გვ. 379.

მი- და მო- ზმნისწინთა ხმარებასთან დაკავშირებით წიგნში გაკეთებულია დასკვნა, რომ სამპირიან ზმნებში თუ ირიბი ობიექტი მესამე პირისაა, მაშინ მი- ზმნისწინი იხმარება, ხოლო თუ ირიბი ობიექტი პირველი ან მეორე პირისაა, მაშინ — მო- ზმნისწინი:

მე მი-ვ-ს-წერ მას წერილს
ის მო-მ-წერ-ს მე წერილს
ის მო-გ-წერ-ს შენ წერილს

ამასთანავე, აღნიშნულია, რომ მო- ზმნისწინი შეიძლება შეგვხვდეს ისეთ სამპირიან ზმნაშიც, რომელსაც ირიბი ობიექტი მესამე პირისა აქვს: პავლე მო-ს-წერ-ს ჩემს მეგობარს (=მას) წერილს [1].

სათანადოდაა ზმნისწინი წარმოდგენილი ლ. კვაჭაძის წიგნში — „ქართული ენა“[2] და შ. ძიძიგურის წიგნში — „ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია“[3], აგრეთვე ქართული ენის სასკოლო სახელმძღვანელოში, რომლის ავტორებიც არიან ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი და ლ. კვაჭაძე[4].

ამას გარდა, ქართული ზმნისწინების შესწავლისადმია მიძღვნილი რამდენიმე სპეციალური შრომაც. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ა. მარტიროსოვის გამოკვლევა — „ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში“[5] და მისივე შრომა „წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში“[6]. ზმნისწინებისა და თანდებულების ურთიერთობის შესახებ ცალკე გამოკვლევა გამოაქვეყნა აგრეთვე პ. ჯაჯანიძემ[7].

ქართული და ოსური ზმნისწინების ფუნქციათა შედარებით განხილვას სპეციალური მოხსენება მიუძღვნა გ. ახვლედიანმა[8], ხოლო ინგლისური უკუდებულებისა (პოსტვერბებისა) და ქართული

---

[1] Einführung in die georgische Sprache von Kita Tschenkéli. Band I, theoretischer Teil. 1958, გვ. 380.

[2] ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, I. 1961.

[3] შ. ძიძიგური, ქართული ენის ლექსიკა, ფონეტიკა, მორფოლოგია, 1956.

[4] ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი I, V—VI კლასების სახელმძღვანელო, 1964.

[5] იქე, V, 1953, გვ. 73—74.

[6] იქე, VIII, 1956, გვ. 39—46.

[7] ჭაშ, XI, 1953.

[8] გ. ახვლედიანი, პრევერბთა ფუნქციების შესახებ ქართულსა და ოსურში: თსუ ფილოლოგიის ფაკ. VI სამეცნიერო კონფერენცია, 7—9/IV—1960, მუშაობის გეგმა და მოხს. თეზისები, გვ. 9.

ზმნისწინების შედარებითი ანალიზი მოგვცა თავის საკანდიდატო დისერტაციაში მ. გელაშვილმა[1].

რუსული და ქართული ზმნისწინების შეპირისპირებითს ანალიზს მიეძღვნა ორი შრომა: ე. კრემერის „ზმნისწინები რუსულსა და ქართულ ენებში"[2] და გ. წიბახაშვილის „ზმნისწინები რუსულსა და ქართულ ენებში[3].

და- ზმნისწინის ახლებური გენეზისის ცდა მოგვცა ივ. ქავთარაძემ თავის შრომაში „ეტიმოლოგიური შენიშვნები", რომელიც მხოლოდ თეზისების სახითაა გამოქვეყნებული[4].

ამას გარდა, ძველი ქართულის ზმნისწინებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხთა შესახებ მასალებსა და სათანადო განზოგადებებს ვხვდებით რიგ ისეთ საენათმეცნიერო შრომებში, რომლებიც სპეციალურად ზმნისწინს არ ეძღვნება. ასეთია, მაგალითად, ის შრომები, რომლებიც ეხება ძველი ქართული ენის გამოცემული ძეგლების ენობრივ დახასიათებას. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ნ. მარის, ა. შანიძის, ი. იმნაიშვილის, ი. აბულაძის, მ. შანიძის, მ. კახაძის, ც. ქურციკიძის, ქ. ლორთქიფანიძისა და სხვათა შრომები.

დავასახელებთ ერთ მაგალითს:

ძველი ქართული ენის ისტორიული ქრესტომათიის II ტომს ივ. იმნაიშვილმა დაურთო გამოკვლევა „სამი სინური ხელნაწერი და მათი ენა". ამ ნაშრომში რიგ სხვა საკითხებთან ერთად ყურადღებას იპყრობს ის წესი, რომელიც ავტორმა დაადგინა მესამე ობიექტური პირის ნიშნის ხმარების შესახებ ზმნისწინთან მიმართებაში. ეს წესი შემდეგში მდგომარეობს: ისეთ ორპირიან გარდამავალ ზმნებში, რომლებსაც ზმნისწინიანი ფორმაც მოეპოვებათ და უზმნისწინოც, პირველი სერიის მწკრივებში „ზმნისწინის დართვა-დაურთველობა წყვეტს საკითხს, ექნება თუ არა ზმნას ობიექტური ნიშანი". სახელდობრ, „ზმნისწინიან ფორმებს ყოველთვის აქვთ წარმოდგენი-

---

[1] М. В. Гелашвили, Сопоставительный анализ функций английских постпозитивов и грузинских превербов, Автореферат, Тбилиси, 1962.

[2] Э. Л. Кремер. Глагольные приставки в русском и грузинском языках: **თმეშ**, VIII, 1950.

[3] Г. Цибахашвили, Глагольные приставки в русском и грузинском языках, Автореферат, Тбилиси, 1960.

[4] ივ. ქავთარაძე, ეტიმოლოგიური შენიშვნები: თსუ ფილოლოგიის ფაკ. VII სამეცნიერო სესია, 1963 წ. მუშაობის გეგმა და თეზისები, გვ. 13.

ლი სათანადო პრეფიქსი, ხოლო უზმნისწინოებს არა აქვთ ეს პრეფიქსი (კლავს — მოჰკლავს)"[1].

ამავე ნაშრომში ავტორს გამოვლინებული აქვს **გარდა-** ზმნისწინის **გარა-**, **გარ-** ვარიანტი, რომელიც მოიპოვება № 11 სინურ ხელნაწერში (X ს.).

გამოცემული ძეგლების ენობრივ დახასიათებაში ავტორები ხშირად მიუთითებენ ზმნისწინთა გამარტივებული სახით ხმარებაზე ძველსავე ქართულში, ზმნისწინთა ურთიერთმონაცვლეობაზე და ა. შ.

ასევე საყურადღებოა ის გამოკვლევებიც, რომლებიც ქართული დიალექტოლოგიის საკითხებს ეძღვნება. მათში სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება აქვს დათმობილი ზმნისწინთა ფონეტიკურ სახესხვაობებს ამა თუ იმ დიალექტის მიხედვით. ამ მხრივ უნდა დავასახელოთ ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, მ. ალავიძის, პ. გაჩეჩილაძის, ი. გიგინეიშვილის, კ. გუგუშვილის, გრ. იმნაიშვილის, ო. კახაძის, ა. ლეკიაშვილის, ლ. ლეჟავას, ფ. მაკალათიას, ა. მარტიროსოვის, ჯ. ნოღაიდელის, შ. ნიჟარაძის, ს. ჟღენტის, თ. უთურგაიძის, ვლ. ფანჩვიძის, ი. ქავთარაძის, ო. ქაჯაიას, ა. ღლონტის, გ. შალამბერიძის, სტ. ჩხენკელის, შ. ძიძიგურის, ქ. ძოწენიძის, ალ. ჭინჭარაულის, დ. ჭანტურიას, პ. ჯაჯანიძისა და სხვათა შრომები, რომლებიც ცალკე მონოგრაფიებად ანდა სტატიებადაა გამოქვეყნებული სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებში.

§ 2. ზმნისწინის რაობა და ჯგუფები. შესავალში ჩვენ უკვე განვიხილეთ, თუ როგორ იყო წარმოდგენილი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ზმნისწინი და რა ტერმინები გამოიყენებოდა მისთვის. ისიც აღვნიშნეთ, რომ უკვე ადრიდანვე იყო ცდები მისი განმარტებისა. ყველა იმ განსაზღვრებას აქ ხელახლა აღარ გავიმეორებთ. შევეხებით მხოლოდ იმათ, რომლებიც უკვე დამკვიდრებულად ითვლებიან.

ა. შანიძეს ზმნისწინათა ასეთი განმარტება აქვს მოცემული: „თავში დართულ პირის ნიშნებს შეიძლება წინ უსწრებდეს ერთ- ან ორმარცვლიანი ნაწილი ზმნისა, რომელსაც პ რ ე ვ ე რ ბ ი, ანუ ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ეწოდება"[2].

ამ განმარტების საფუძვლად ავტორს აღებული აქვს ზმნის—

---

[1] ივ. იმნაიშვილი, სამი სინური ხელნაწერი და მათი ენა: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 177.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 245.

წინის ადგილმდებარეობა ზმნაში, ესაა, ასე ვთქვათ, მითითება იმაზე, რის მიხედვითაც ადვილად შეიძლება გამოვიცნოთ ზმნისწინი. ამასთან ერთად, შემდეგ ავტორი ვრცლად იძლევა ზმნისწინის ფუნქციურ დახასიათებასაც. ამ დახასიათებისას გათვალისწინებულია ყველა ის დანიშნულება, რასაც ზმნისწინი ახალ ქართულში ასრულებს. ამის მიხედვით, ზმნისწინმა უნდა „1) აღნიშნოს მოქმედების გეზი და, ამასთან ერთად, 2) ორიენტაცია, 3) სრული სახით წარმოგვიდგინოს მოქმედება და 4) აწარმოოს სრულიად ახალი ზმნა....“ იქვე მითითებულია, რომ „გეზისა და ორიენტაციის აღნიშვნა ადრინდელი ფუნქციაა ზმნისწინისა, სრული სახის გამოხატვა კი მერმინდელი. შედარებით ახალი...“ [1]

ამ ფუნქციებიდან გ ე ზ ი და ო რ ი ე ნ ტ ა ც ი ა. ერთად აღებული, ერთი საერთო სახელწოდებით, სახელდობრ მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს სახელწოდებით, ჰქონდა გამოყოფილი ა. შანიძეს უფრო ადრე თავის „ქართულ გრამატიკაში“ [2], ხოლო ახალი ზმნების წარმოების ფუნქციის ნაცვლად იქ ლაპარაკი იყო მოქმედების სხვადასხვა ნიუანსის მიღებაზე [3].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის შედგენილ სახელმძღვანელოში ა. შანიძეს ტერმინი **მიმართულება** უფრო ვიწრო გაგებით. სახელდობრ, გ ე ზ ი ს გაგებით აქვს გამოყენებული [4]. ამასთან ერთად, ავტორს მითითებული აქვს, რომ ეს უკანასკნელი ფუნქცია ლექსიკოლოგიის სფეროს განეკუთვნება [5]. აქედან გამომდინარე, ზმნისწინის მორფოლოგიურ ფუნქციებად მიჩნეულია გეზის, ორიენტაციისა და ასპექტის გამოხატვა.

ანალოგიური მდგომარეობაა სვანურშიც, სადაც ვ. თოფურია ზმნისწინის ისეთ ფუნქციებს გამოყოფს, როგორიცაა მიმართულებისა და ასპექტის გამოხატვა. ამასთან ერთად, აღნიშნულია, რომ ზმნისწინი ჩვეულებრივ გამოყენებულია აწმყოს ჯგუფის მყოფადისეულ დროებში [6].

მიმართულებისა და ასპექტის გამოხატვასთან ერთად ზმნისწინის

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 246.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკა. I, მორფოლოგია, 1930, გვ. 73.

[3] იქვე, გვ. 75.

[4] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკა, I მორფოლოგია. 1955, გვ. 143—144.

[5] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 246.

[6] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 53—54.

ცალკე ფუნქციად არნ. ჩიქობავას მიჩნეული აქვს აგრეთვე დ რ ო ი ს გამოხატვაც[1].

ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, სხვაგვარი იყო ასპექტის გამოხატვის სისტემა და იგი ფუნქციურად დაკავშირებული არ იყო ზმნისწინთან[2]. ზმნისწინს არ უკავშირდებოდა მყოფადის ჯგუფის მწკრივთა წარმოებაც (ასეთი მწკრივები არც არსებობდა). ამიტომ მყოფადის შინაარსით კავშირებითის ფორმები გამოიყენებოდა.

ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ იმ ზმნისწინებს, რომლებიც დღევანდელ ქართულშიც ზმნისწინებადაა მიჩნეული, ძველ ქართულში არ ჰქონიათ რაიმე ისეთი ფუნქცია, რომელიც მათ დღესაც არ ჰქონდეთ შენარჩუნებული. მაგრამ ძველ ქართულში გვქონდა ზოგი ისეთი ზმნისწინიც, რომელიც დღევანდელ ქართულში ამ დანიშნულებით ვეღარ გამოიყენება. ასეთი ზმნისწინების ხმარება მეტწილად სივრცობრივ გაგებასთან იყო დაკავშირებული და ისინი მოქმედების ადგილსამყოფელს — ადგილმდებარეობას გვიჩვენებდნენ.

ყველა ამის გათვალისწინებით ძველი ქართულისათვის ზმნისწინი შეიძლება ასე განიმარტოს: **ზმნისწინი ეწოდება ზმნის თავში დართულ ნაწილაკს, რომელიც გვიჩვენებს მიმართულებას (გეზსა და ორიენტაციას), ადგილმდებარეობას და ცალკეულ შემთხვევებში ზმნის ფუძისაგან აწარმოებს განსხვავებული შინაარსის სიტყვებს.** ზმნისწინის ყველა ეს ფუნქცია, სხვა მეორეულ ფუნქციებთან ერთად, ქვემოთ დაწვრილებით იქნება განხილული.

ახალ ქართულში წარმოდგენილ ზმნისწინთა უძველესი ფუნქციაა მიმართულების აღნიშვნა. ამიტომ ისინი მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინთა ჯგუფს შეადგენენ. ესენია: **მი-, მო-, ა-** (←აღ-). **და-, ჩა-** (←შთა-), **გადა-** (←გარდა-), **შე-, გა-** (←გან-), **წა-** (←წარ-), **ამო-** (←აღმო-), **ჩამო-** (←შთამო-), **გადმო-** (←გარდამო-), **შემო-, გამო-, წამო-** (←წარმო-). დღეს ამავე ჯგუფს ეკედლება **მიმო-** ზმნისწინი, რომელიც წარმომავლობით ადგილობით ზმნისწინთა ჯგუფს განეკუთვნება.

ძველ ქართულში მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინთა ჯგუფში შედიოდა აგრეთვე ხმარებიდან გადავარდნილი ისეთი ზმნისწინები, როგორიცაა: **უკუ-, უკმო-, დამო-, წიაღ-** და **წიაღმო-**.

ამათ გარდა, ახალ ქართულში რაიმე სხვა ზმნისწინი (მით უმე-

---

[1] არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 118; მისივე, წარ-პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში: ენიმკის მოამბე, I,1937, გვ. 40; მისივე. ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950, გვ. 061.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953 წ., §§ 353—334.

ტეს ზმნისწინთა რაიმე სხვა ჯგუფი) არა გვაქვს. ასე რომ, ახალ ქართულში მხოლოდ მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინებია წარმოდგენილი.

ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, გარდა მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინებისა, ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი, ანუ სივრცობრივი ზმნისწინებიც არის წარმოდგენილი. ასეთი ვითარებაა, მაგალითად: აფხაზურში [1], დარგუულში [2], აგულურში [3].

არსებითად ზმნისწინთა ეს ორი ჯგუფი გამოყოფილია სვანურშიც, სადაც ცალკე დგას **ან-, ად-, ეს-, ლა-** ზმნისწინები და ცალკე — **ჟი, ჩუ, სგა, ჭა** ზმნისწინები[4]; მეგრულში კი მარტივი ზმნისწინი თუ მიმართულებას გამოხატავს, რთული ზმნისწინი ერთდროულად გადმოსცემს მიმართულებასაც და მდგომარეობასაც[5].

ახალ ქართულში ადგილობითი ზმნისწინები აღარა გვაქვს. მათს მაგივრობას სახელზე დართული თანდებულები ეწევა. ძველ ქართულში კი ადგილის აღმნიშვნელი თანდებულოვანი მასალა (**შინა, გარე, წინა, უკუნ....**) ზმნასაც უერთდებოდა წინიდან და ზმნისწინის მოვალეობას ასრულებდა. აი, ასეთი ნაწილაკები ძველ ქართულში ადგილობით ზმნისწინთა ჯგუფს ქმნიდა. ასეთი ზმნისწინები იყო: **ზე, ზედა, ქუე, შინა, გარე, წინა, თანა, მიმო.**

ამგვარად, ძველ ქართულში წარმოდგენილი იყო როგორც მიმართულებითი, ისე ადგილობითი ზმნისწინები. ქვემოთ მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

§ 3. ტერმინისათვის. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში **მი-, მო-, შე-, გა-** და სხვა ამისთანა ნაწილაკების აღსანიშნავად, როგორც უკვე მივუთითეთ, სხვადასხვა ავტორს სხვადასხვა ტერმინი აქვს გამოყენებული. ეს ტერმინებია: **მარცვალი ზედდადებული, განმავითარებელი, განუყოფელი თანდებული, შეერთებულად ხმარებული თანდებული, მარცვალი განმავითარი, მოზავებული, მარცვალი**

---

[1] ჭ. ლომთათიძე. რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში: იკე, IV, 1953, გვ. 83.

[2] А. А. Магометов, Система превербов в кубачинском диалекте даргинского языка: იკე, IV, 1953, გვ. 183—202.

[3] А. А. Магометов, Превербы в табасаринском языке: იკე, VIII, 1956, გვ. 332—339.

[4] ვ. თოფურია, სვანური ენა, I, 1931, თავი მეოთხე.

[5] ნ. აბესაძე. ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთობა მეგრულში (ვამოუქვეყნებელი შრომა. ავტორს მადლობას მოვახსენებთ ხელნაწერი შრომის გაცნობისათვის. ი. ე.).

ზედდადებული, მიმძღოლი თანდებული, საზმნებო თანდებული, თავსართი, მიმართულების აღმნიშვნელი თავსართი, სრულმყოფელი ზენართი, წინსართი, პრევერბი, წინდებული, ზმნისწინი.

ამ ტერმინთაგან უკანასკნელ ხანებში ყველაზე მეტი გავრცელება აქვს **პრევერბს, ზმნისწინს, წინდებულს.** ამ სამი ტერმინიდან ჩვენ უპირატესობას ზ მ ნ ი ს წ ი ნ ს ვანიჭებთ შემდეგ გარემოებათა გამო: 1. იგი ქართული სიტყვაა და უკეთ შეეფერება ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიას; 2. ეს ტერმინი უშუალოდ მიუთითებს იმაზეც, რომ იგი აღნიშნავს არა ყოველგვარ წინსართს, არამედ ისეთ წინსართს, რომელიც ზმნას მოუდის თავში (და მიმართულებას აღნიშნავს). საერთოდ, ამ სამი ტერმინიდან პრინციპული უპირატესობის მინიჭება რომელიმე ერთისათვის არცაა საჭირო. მაგრამ რაკი არჩევანზეა საქმე, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო ჩვენ **ზმნისწინი** ვამჯობინეთ და შრომაში ყველგან იგი გვაქვს ნახმარი.

ნაწილი პირველი

მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინები

თავი I

გეზი და ორიენტაცია

§ 1. ზმნისწინთა ორი რიგი და მასთან დაკავშირებული ორიენტაციის კატეგორია. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველ ქართულში მიმართულების გამომხატველი ზმნისწინები იყო **მი-, მო-, აღ-, აღმო-, და-, დამო-, შთა-, შთამო-, გარდა-, გარდამო-, შე-, შემო-, გან-, გამო-, წარ-, წარმო-, უკუ-, უკმო-, წიაღ-** და **წიაღმო-**.

ეს ზმნისწინები ორ რიგს შეადგენს. ერთში თავს იყრის ყველა ის ზმნისწინი, რომელიც რთული შედგენილობისაა და მეორე კომპონენტად **მო**-ზმნისწინს შეიცავს. ესენი აქეთ, მოუბარი პირის პოზიციისაკენ მიმართულ მოძრაობას გამოხატავენ და ამიტომაც მათ სააქეთო მიმართულების ზმნისწინები ეწოდება. ამავე ჯგუფს განეკუთვნება მარტივი **მო**-ზმნისწინიც, რომელიც უშუალოდ გადმოსცემს სააქეთო მიმართულებას.

ყველა დანარჩენი ზმნისწინი იქეთ, მოუბარი პირის პოზიციისაგან დამაშორებელ მიმართულებას გამოხატავს და ამიტომაც მათ საიქეთო მიმართულების ზმნისწინები ეწოდება.

სააქეთო და საიქეთო მიმართულების ზმნისწინთა მეოხებით ქართულში გაირჩევა, თუ რა მიმართებაშია მოქმედება მოუბარი პირის პოზიციის მიმართ, უახლოვდება თუ შორდება მას, მისკენ მოემართება თუ მისგან მიემართება. ზმნისწინით გამოხატულ ასეთ მიმართებას ა. შანიძემ **ორიენტაცია** უწოდა[1]. ამის მიხედვით გვაქვს ორიენტაციის ორი სახე — სააქეთო და საიქეთო. მოუბარი პირისკენ

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 302.

მიმართულ მოძრაობას, ანუ სააქეთო ორიენტაციას გამოხატავს ყველა ეს ფორმა: მოვიდა, აღმოვიდა, დამოვიდა, შთამოვიდა, გარდამოვიდა, შემოვიდა, გამოვიდა, წარმოვიდა, უკმოვიდა და წიაღმოვიდა, ხოლო მოუბარი პირისაგან დამაშორებელ მოძრაობას, ანუ სააქეთო ორიენტაციას გამოხატავს ეს ფორმები: მივიდა, აღვიდა, დავიდა, შთავიდა, გარდავიდა, შევიდა, განვიდა, წარვიდა, უკუვიდა და წიაღვიდა.

ამრიგად, მიმართულების გამომხატველი ზმნისწინები ძველ ქართულში ორიენტაციის მიხედვით ასეთ ურთიერთსაპირისპირო წყვილებს ქმნის:

სააქეთო ზმნისწინები:		სააქეთო ზმნისწინები:
მი-	და	მო-
აღ-	„	აღმო-
და-	„	დამო-
შთა-	„	შთამო-
გარდა-	„	გარდამო-
შე-	„	შემო-
გან-	„	გამო-
წარ-	„	წარმო-
უკუ-	„	უკ(უ)მო-
წიაღ-	„	წიაღმო-

§ 5. ზმნისწინი და გეზი. გეზის რაობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისეთი ზმნები, როგორიცაა: **აღმოვიდა, შემოვიდა, გამოვიდა, შთამოვიდა** და სხვა, ყველა გვიჩვენებს მოუბარი პირისაკენ მიმართულ მოძრაობას, სააქეთო ორიენტაციას, მაგრამ ამასთან ერთად ისიც აშკარად იგრძნობა, რომ ამ ზმნებით, სხვა ნიშნის მიხედვით, ერთმანეთისაგან განსხვავებული მიმართულებებიცაა გადმოცემული:

აღმოვიდა — ქვევიდან ზევით,
შემოვიდა — გარედან შიგნით,
გამოვიდა — შიგნიდან გარეთ,
შთამოვიდა — ზევიდან ქვევით.

მსგავსი ვითარება გვაქვს სააქეთო ორიენტაციის ზმნისწინიან ზმნებშიც. **აღვიდა, შევიდა, განვიდა, შთავიდა** — ყველა მოუბარი პირისაგან დამაშორებელ მოძრაობას, სააქეთო ორიენტაციას გამოხატავს, მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც იგრძნობა, რომ ეს ზმნები სხვა ნიშნის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებულ მიმართულებებსაც გვიჩვენებს:

აღვიდა — ქვევიდან ზევით,
შევიდა — გარედან შიგნით,
განვიდა — შიგნიდან გარეთ,
შთავიდა — ზევიდან ქვევით.

ყველა ამ მაგალითში ცხადად ჩანს, რომ მოძრაობა ხდება რაღაც პუნქტისაკენ, რომელიც ამა თუ იმ მიმართულებით მდებარეობს (ზევით, ქვევით, შიგნით, გარეთ და ა.შ.). ყველა ეს მიმართულება მოცემულ ზმნებში ამა თუ იმ ზმნისწინითაა გადმოცემული. ავიღოთ ასეთი ზმნები: ა ნ გ რ ე ვ ს და შ ე ა ნ გ რ ე ვ ს. პირველი უზმნისწინოა და არავითარ მიმართულებას არ აღნიშნავს, მეორე კი ზმნისწინიანია და გვიჩვენებს, რომ მოქმედება გარკვეულ მხარეს, კერძოდ, გარედან შიგნითა მიმართულებით შესრულდება.

სივრცეში მდებარე ამა თუ იმ პუნქტისადმი ზმნით გამოხატულ ასეთ დამოკიდებულებას ა. შანიძემ **გეზი** უწოდა:

„გეზის სახელით აღვნიშნავ ზმნით გამოხატული მოქმედების დამოკიდებულებას სივრცეში მდებარე სხვადასხვა პუნქტთან, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ეს დამოკიდებულება უარყოფითია ან დადებითი. თუ უარყოფითია, ზმნა არ აღნიშნავს არავითარ მიმართულებას არც ერთი პუნქტისაკენ, — მოქმედება აბსოლუტურია. ყველა პუნქტისადმი ნეიტრალურია. დადებით შემთხვევაში მოქმედება მიმართულია რომელიმე პუნქტისაკენ. პუნქტი შეიძლება იყოს მაღლა ან დაბლა, შიგნით ან გარეთ, გადაღმა ან გადმოღმა, ზედაპირზე ან სიღრმეში, წინ ან უკან. ამის მიხედვით გვაქვს ორი გეზი: მ ი უ მ ა რ თ ა ვ ი და მ ი მ ა რ თ უ ლ ი. მაგალითები: წერა და ჩაწერა, ხატვა და ჩახატვა, გდება და გაგდება, გორება და აგორება, ფრენა და გადაფრენა და სხვა. ამათგან მ ი უ მ ა რ თ ა ვ გეზს გვიჩვენებს მარტივი ფორმები: წერა, ხატვა, გდება, გორება, ფრენა, ხოლო მ ი მ ა რ თ უ ლ გეზს — რთული ფორმები: ჩაწერა, ჩახატვა, გაგდება, აგორება, გადაფრენა.

მიმართული გეზის ცნება მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა არის“ [1].

§ 6. ერთი და იგივე მიმართულება საპირისპირო ორიენტაციის ზმნისწინებით. წინა ორ პარაგრაფში აღნიშნულის მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ დასახელებულ ზმნისწინთა მეოხებით ქართულში მიმართულება ორი თვალსაზრისით განირჩევა: 1. რა მიმართებაშია ზმნით გამოხატული მოქმედება (მოძრაობა) სივრცეში მდებარე ამა

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 301.

თუ იმ პუნქტის მიმართ და 2. რა მიმართებაშია ზმნით გამოხატული მოქმედება (მოძრაობა) მოუბარი პირის პოზიციის მიმართ. პირველის მიხედვით გაირჩევა **გეზი**, მეორის მიხედვით კი — **ორიენტაცია**.

ზემოთ წარმოვადგინეთ ორიენტაციის მიხედვით დაპირისპირებულ ზმნისწინთა წყვილები (§ 4). თვითეული ამ რიგის ერთ რომელსამე ზმნისწინს მეორე რიგში შესაბამისი საპირისპირო ცალი მოეპოვება. ასე მაგალითად: ორიენტაციის მიხედვით **აღ-** ზმნისწინს უპირისპირდება **აღმო-** ზმნისწინი, **გან-**ს — **გამო-** ზმნისწინი, **შე-**ს — **შემო-** ზმნისწინი და ა. შ. ამის მიხედვით, **აღვიდა** და **აღმოვიდა** ზმნები ერთმანეთის საპირისპირო ორიენტაციას გადმოსცემს: პირველი — **საიქეთოს**, მოლაპარაკე პირისაგან დამაშორებელს, მეორე კი — **საქეთოს**, მოლაპარაკე პირის დამაახლოებელს. ეს ორიენტაციის მიხედვით.

ახლა ამავე ზმნებს გეზის მიხედვით თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ორივე ქვევიდან ზევით მოძრაობას გვიჩვენებს. ასეთივე სურათი გადაგვეშლება, თუ ორიენტაციის მიხედვით დაპირისპირებული სხვა ზმნისწინების მქონე ზმნებს ავიღებთ: **შევიდა** და **შემოვიდა**. აქაც გეზი ერთი და იგივეა (გარედან შიგნით), ორიენტაცია კი — სხვადასხვა (**შევიდა**—**საიქეთო**, **შემოვიდა**—**საქეთო**).

გამოდის, რომ მხოლოდ ორიენტაციის მიხედვით დაპირისპირებული მარტივი და რთული ზმნისწინები ერთი და იმავე მიმართულების გამომხატველია. მიმართულების ჩვენება კი ზმნისწინის თავდაპირველი და ამავე დროს ძირითადი ფუნქციაა. ამიტომ ზმნისწინთა კერძოობითი განხილვის დროს ერთდროულად წარმოვადგენთ როგორც ამა თუ იმ მარტივ ზმნისწინს, ისე მის შესაბამის რთულ ზმნისწინსაც, ე. ი. ორიენტაციის მიხედვით დაპირისპირებულ ზმნისწინთა წყვილებს.

შენიშვნა: ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მარტივი და რთული ზმნისწინების ცნება კერძო გაგებით საქეთო და საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინთა ცნებას უტოლდება. მარტივი ზმნისწინიო, როცა ვამბობთ, ჩვეულებრივ მხედველობაში გვაქვს საიქეთო ორიენტაციის გამომხატველი ზმნისწინები, ხოლო რთული ზმნისწინების ცნებაში ვგულისხმობთ მო-დართულ ზმნისწინებს, რომლებიც საქეთო ორიენტაციას გამოხატავენ. სინამდვილეში კი ამ თვალსაზრისით მარტივ ზმნისწინად მიჩნეული ზოგი ზმნისწინიც (შთა, წიაღ-, გარდა-) რთული შედგენილობისაა, მაგრამ თუ ისინი მარტივ ზმნისწინებად მოიხსენება, ეს იმიტომ, რომ მათ მოეპოვებათ კიდევ უფრო გართულებული საპირისპირო ფორმები: შთამო-, წიაღმო-, გარდამო- (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 245).

§ 7. **დაპირისპირება გეზის მიხედვით.** ზმნისწინები ერთმანეთს გეზის გამოხატვის თვალსაზრისითაც უპირისპირდება. ამ მხრივ ასეთი სურათი გვაქვს: გეზის მიხედვით ორი საპირისპირო მიმართულების აღსანიშნავად მარტივი ზმნისწინი უპირისპირდება მარტივს (აღ- — და-, შე- — გან-). ხოლო რთული — რთულს (აღმო- — დამო-, შემო- — გამო-).

ამიტომ თუ ორიენტაციის მიხედვით დაპირისპირებული ზმნისწინები გეზის მიხედვით ერთსა და იმავე მიმართულებას გამოხატავს (აღვიდა — აღმოვიდა: ორიენტაცია — სხვადასხვა. გეზი — ერთი და იგივე), გეზის მიხედვით დაპირისპირებული ზმნისწინები ერთსა და იმავე ორიენტაციას გვიჩვენებს (შევიდა — განვიდა: გეზი — სხვადასხვა. ორიენტაცია — ერთი და იგივე).

გეზის მიხედვით ურთიერთდაპირისპირებულ ზმნისწინთა წყვილებია:

აღ-	—	და- შთა- გარდა-
შე-	—	გან-
წარ-	—	უკუ(ნ)-
აღმო-	—	დამო- შთამო- გარდამო-
შემო-	—	გამო-
წარმო-	—	უკ(უ)მო-

ამას გარდა, გარკვეული თვალსაზრისით ერთმანეთს კიდეც ენაცვლება და კიდეც უპირისპირდება, ერთი მხრით, **გარდა-, გარდამო-** და, მეორე მხრით, **წიაღ-, წიაღმო-** ზმნისწინები.

§ 8. **გეზისა და ორიენტაციის ისტორიული ურთიერთობისათვის.** **აღ-** ზმნისწინს ორიენტაციის მიხედვით თუ **აღმო-** უპირისპირდება (§ 4), გეზის მიხედვით მისი საპირისპიროა **და-** ზმნისწინი (§ 7). ასევე. **შე-** ზმნისწინი ორიენტაციის მიხედვით თუ **შემო-**ს უპირისპირდება. გეზის მიხედვით იგი **გან-**ის საპირისპიროა. ამრიგად, როგორც ზმნისწინიც არ უნდა ავიღოთ (**მი-**სა და **მო-**ს გარდა), მას უთუოდ მოეპოვება ორი საპირისპირო ზმნისწინი: ერთი ორიენტაციის მიხედვით, მეორე — გეზის მიხედვით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს **მი-** და **მო-** ზმნისწინები, რომლებიც ურთიერთსაპირისპირონი არიან ორიენტაციის მიხედვით (ერთი საიქეთოს, ხოლო მეორე სააქეთო ორიენტაციას გამოხატავს). ამასთან ერთად, კითხვა

ისმის: გამოხატავს თუ არა მი- და მო- ზმნისწინები გეზს და. თუ გამოხატავს, რა უპირისპირდება თვითეულ მათგანს გეზის მიხედვით.

ა. შანიძე როცა მიმართულების სახეებზე ლაპარაკობს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მი- და მო- ზმნისწინები მხოლოდ ორიენტაციას გამოხატავს, სხვა ზმნისწინები კი — ორიენტაციასაც და გეზსაც [1].

ახლა კითხვა ისმის: როგორ შეფასდებოდა მი- და მო- ზმნისწინთა დაპირისპირებულობა მაშინ, როცა ჩვენს ენაში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული მო-ს შემცველი რთული ზმნისწინების რიგი?

ცხადია, მო-ს მქონე რთული ზმნისწინები უფრო გვიან წარმოიშვა, ვიდრე მათი შესატყვისი მარტივი ზმნისწინები და, მაშასადამე, მარტივი ზმნისწინები უფრო ასაკოვნად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე — რთული.

ცხადია ისიც, რომ ქართული ენის განვითარების იმ საფეხურზე, როცა მხოლოდ მარტივი ზმნისწინები არსებობდა, ზმნისწინთა დაპირისპირება მხოლოდ გეზის მიხედვით შეიძლებოდა განგვეხილა და, მაშასადამე, შეგვეძლო გვევარაუდნა ისეთი დაპირისპირებული წყვილების არსებობა, როგორიცაა:

მი- და მო- (მიფრინდა — მოფრინდა);
აღ- და და- (აფრინდა — დაფრინდა);
შე- და გან- (შეფრინდა — გაფრინდა).

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ამ შემთხვევაში მი- და მო- ზმნისწინებიც იმავე ასპექტში უპირისპირდება ერთმანეთს, როგორც აღ- და და- ან კიდევ შე- და გან- ზმნისწინები.

აღ-ისა და და-ს დაპირისპირება კი გეზის მიხედვით დაპირისპირებაა; ასევე გეზის მიხედვით დაპირისპირებაა შე-სა და გან- ზმნისწინების დაპირისპირებაც. ამიტომ, ცხადია, ამ შემთხვევაში გეზის მიხედვით დაპირისპირებად უნდა განვიხილოთ მი- და მო- ზმნისწინთა ურთიერთდაპირისპირებაც.

ამრიგად, მი- და მო- ზმნისწინებით გადმოცემული საიქეთო და სააქეთო მიმართულება ქართული ენის განვითარების იმ საფეხურისათვის, როცა ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული რთული ზმნისწინების რიგი, განხილულ უნდა იქნეს როგორც გეზის ერთ-ერთი კერძო სახე — იქეთ-აქეთ მოძრაობა ჰორიზონტულ ვითარებაში. სწორედ მოქმედების ჰორიზონტულობაა დამახასიათებელი მი- და მო- ზმნისწინებით გადმოცემული მიმართულებებისათვის.

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, § 308.

საიქეთო და სააქეთო მიმართულება გეზის კერძო სახიდან ორიენტაციის ზოგად კატეგორიად იმის შემდეგ იქცა, რაც მო-ს შემცველი რთული ზმნისწინები ჩამოყალიბდა და ამის ბაზაზე შესაძლო შეიქნა, მოქმედების იქითურობა და აქეთურობა ყველა ზმნისწინით გადმოცემულიყო ყოველგვარი გეზის პირობებში:

ა) საიქეთო ორიენტაცია:

აფრინდა (ქვევიდან ზევით);
დაფრინდა (ზევიდან ქვევით, ზედაპირზე);
ჩაფრინდა (ზევიდან ქვევით, სიღრმეში);
შეფრინდა (გარედან შიგნით);
გაფრინდა (შიგნიდან გარეთ);
გადაფრინდა (რკალური მოძრაობა დაბრკოლების გადალახვით).

ბ) სააქეთო ორიენტაცია:


ამოფრინდა (ქვევიდან ზევით);
დამოფრინდა (ზევიდან ქვევით, ზედაპირზე);
ჩამოფრინდა (ზევიდან ქვევით, სიღრმეში);
შემოფრინდა (გარედან შიგნით);
გამოფრინდა (შიგნიდან გარეთ);
გადმოფრინდა (რკალური მოძრაობა დაბრკოლების გადმოლახვით).

საინტერესოა, ორიენტაციის ზოგადი კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ მი- და მო- ზმნისწინებს შემორჩათ თუ არა გეზის გადმოცემის უნარი? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ. ავიღოთ და ერთმანეთს შევადაროთ ორი წყვილი ზმნისწინებისა:

მი- და მო-
აღ- და დამო-

ორიენტაციის თვალსაზრისით მი- ზმნისწინიც და აღ- ზმნისწინიც საიქეთო, პირველი პირისაგან დამაშორებელ მოქმედებას გამოხატავს, ხოლო მო-ცა და დამო- ზმნისწინიც (ძველ ქართულში) სააქეთო, პირველი პირისადმი დამაახლოებელ მოქმედებას გვიჩვენებს. მაგრამ გეზის მიხედვით თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ, ერთი მხრით, მი- და მო-, ხოლო მეორე მხრით, აღ- და დამო- ზმნისწინები საიქეთო და სააქეთო მიმართულებას ერთნაირი მოძრაობის ვითარებაში როდი გვიჩვენებს. სახელდობრ, მი- და მო- ზმნისწინებით საიქეთო და სააქეთო ორიენტაცია გადმოცემულია ჰორიზონტული მოძრაობის პირობებში (იქეთ ან აქეთ), აღ- და დამო- ზმნისწინებით

კი იგივე საიქეთო და სააქეთო ორიენტაცია გადმოცემულია შვეულ ვითარებაში (ზევით ან ქვევით ნახ. 1).



ნახ. 1.

ამგვარად, მი- და მო- ზმნისწინებისათვის გეზის თვალსაზრისით მოქმედების ჰორიზონტულობაა დამახასიათებელი, მაშინ როცა ამ- და დამო- ზმნისწინებს მოქმედების ვერტიკალურობა ახასიათებს.

§ 9. **მიმართულების სახეები და ჯგუფები.** ახალ ქართულში ა. შანიძეს მიმართულების ხუთი სახე აქვს გამოყოფილი:

1. **ქვევიდან ზევით** (გადმოიცემა ა-, ამო- ზმნისწინებით);
2. **ზევიდან ქვევით** (გადმოიცემა და-, ჩამო- ზმნისწინებით);
3. **შიგნიდან გარეთ** (გადმოიცემა გა-, გამო- ზმნისწინებით);
4. **გარედან შიგნით** (გადმოიცემა შე-, შემო- ზმნისწინებით);
5. **დაბრკოლების გადალახვა** (გადა-, გადმო- ზმნისწინებით) [1].

ამას გარდა, ავტორი ცალკე გამოყოფს მხოლოდ ორიენტაციის გამომხატველ ზმნისწინებს მი-სა და მო-ს [2], ორმაგი მიმართულების გამომხატველ ზმნისწინებს ჩა-სა და ჩამო-ს [3], აგრეთვე წინა და უკანა არეში მოქმედების გამომხატველ ზმნისწინებს წა-სა და წამო-ს, უკუ-სა და უკმო-ს [4].

ჩვენი აზრით, რაკი ყველა ეს ზმნისწინი მიმართულების გამომხატველ ზმნისწინებად გვაქვს მიჩნეული, ამიტომ მიმართულების სახეებში ყველა ამ ზმნისწინით გადმოცემულმა მოძრაობამ თავისი ასახვა უნდა პოვოს. ამიტომ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მიმართულების სახეებად შევიტანოთ ისეთი მოძრაობანიც, რომლებიც გადმოიცემა მი- და მო- ზმნისწინებით (იხ. § 8), აგრეთვე, წა- და წამო-, უკუ- და უკმო- ზმნისწინებით. რაც შეეხება ჩა- და ჩამო- ზმნისწინებს, ისინი, მართალია, ორმაგ მიმართულებას გადმოსცემენ,

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, § 308—309.
[2] იქვე, § 308.
[3] იქვე, § 310.
[4] იქვე, § 311.

მაგრამ ორმაგი მიმართულებიდან წინა პლანზე მაინც ზევიდან ქვევით მიმართულება მოჩანს. ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ესენიც ზევიდან ქვევით მიმართულების ზმნისწინებთან უნდა იქნეს განხილული.

ამას გარდა, როგორც ცნობილია, **გადა-, გადმო-** ზმნისწინები დაბრკოლების გადალახვას გულისხმობენ და ამ თვალსაზრისით ესენი რკალურ მოძრაობას გამოხატავენ. ამიტომ ჩვენ მათ რკალური მოძრაობის ზმნისწინებსაც ვუწოდებთ (§§ 94-98). ეს სახელწოდება მით უფროა გამართლებული, რომ **გადა-** და **გადმო-** ზმნისწინებით მოძრაობის რკალური ხასიათი მაშინაც გადმოიცემა, როცა ეს ზმნისწინები არა დაბრკოლების გადალახვის, არამედ ზევიდან ქვევით მიმართულების გადმოსაცემად გამოიყენება. ძველ ქართულშიც კი სწორედ ეს ფუნქცია უფრო ახასიათებდა **გარდამო-** ზმნისწინს (ამასთან დაკავშირებით, აქვე მივუთითებთ, რომ **გარდა-, გარდამო-** ზმნისწინებს ჩვენ ზევიდან ქვევით მიმართულების ზმნისწინთა წყებაშიც განვიხილავთ).

რკალური მოძრაობის, ანუ დაბრკოლების გადალახვის ზმნისწინთა წყებაში უნდა მოვაქციოთ აგრეთვე **წიაღ-, წიაღმო-** ზმნისწინები, რომლებიც ძველ ქართულში ჯერ კიდევ იყვნენ შემორჩენილი (§§ 94, 99-101).

ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგი მიმართულება თავისი შინაარსით, მოძრაობის ხასიათით, ახლოს დგას რომელიმე მეორესთან (უფრო ხშირად, როგორც მის მიმართ დაპირისპირებული). თუ ასეთ მიმართულებებს ერთად დავაჯგუფებთ, მაშინ ძველი ქართულისათვის მოძრაობის მიმართულებათა ჯგუფები, სახეები და მათი გადმოცემის საშუალებანი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

I. ჰორიზონტული მიმართულების ზმნისწინები:

1. საკუთრივ მაორიენტებელი ზმნისწინები (**მი-, მო-**);
2. წინა არეში მიმართულების ზმნისწინები (**წარ-, წარმო-**);
3. უკანა არეში მიმართულების ზმნისწინები (**უკუ/ნ/-, უკ/უ/მო-**).

II. ვერტიკალური მიმართულების ზმნისწინები:

4. ზევიდან ქვევით მიმართულების ზმნისწინები (**და-, დამო-, შთა-, შთამო-, გარდა-, გარდამო-**);
5. ქვევიდან ზევით მიმართულების ზმნისწინები (**აღ-, აღმო-**).

III. შიგნი-გარეთა მიმართულების ზმნისწინები:

6. გარედან შიგნით მიმართულების ზმნისწინები (**შე-, შემო-**);
7. შიგნიდან გარეთ მიმართულების ზმნისწინები (**გან-, გამო-**).

IV. რკალური მიმართულების. ზმნისწინები დაბრკოლების გადალახვით:

8. ხმელეთზე დაბრკოლების გადალახვა (**გარდა-, გარდამო-**);
9. წყალზე დაბრკოლების გადალახვა (**წიაღ- წიაღმო-**).

მიმართულებითს ზმნისწინებს ქვემოთ ამ ჯგუფების მიხედვით წარმოვადგენთ.

შენიშვნა: ზმნისწინებს. გარდა ამა თუ იმ მიმართულების გადმოცემისა, სხვა მეორეული ფუნქციებიც განუვითარდათ (მაგალითად, **და-** ზმნისწინს — ინტენსიობის გადმოცემისა, **გან-** ზმნისწინს — დანაწილების გადმოცემისა და ა. შ.). იმ მიზნით, რომ უფრო სრული და მთლიანი წარმოდგენა ვიქონიოთ თვითეული ზმნისწინის შესახებ, მათი ძირითადი და მეორეული ფუნქციების განხილვას მთლიანობაში წარმოვადგენთ და სხვადასხვა თავში არ დავანაწილებთ.

გვინდოდა ცალკე თავად წარმოგვედგინა ზმნისწინთა გენეზისის საკითხები. მაგრამ ეს გამოიწვევდა მასალის კიდევ უფრო გაზრდას. ამიტომ ამა თუ იმ ზმნისწინის გენეზისს თვითონ ამ ზმნისწინის კერძოობითი განხილვისას შევეხებით.

§ 10. როგორ ზმნებთან გამოხატავს ზმნისწინი მიმართულებას? საყოველთაოდ მიღებულია, რომ ზმნისწინი მიმართულებას გამოხატავს ისეთ ზმნებთან, რომლებიც მოძრაობის, გადაადგილების შინაარსის მქონენი არიან. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია მიმართულება მოძრაობის გარეშე, რაიმე საგნის (სუბიექტის ან ობიექტის) გადაადგილების გარეშე. თავის მხრით, ძნელი წარმოსადგენია მოძრაობის, გადაადგილების შინაარსის მქონე ისეთი ზმნაც, რომელსაც მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინის დართვა არ უხერხდებოდეს. პირიქით, ხშირად იგი აუცილებელ ელემენტადაც გვევლინება. მაგალითად, ისეთი ზმნა, როგორიცაა: **მივდივარ,** უველანაირი ზმნისწინით შეიძლება ვიხმაროთ (გააჩნია, რა მიმართულებაა გადმოსაცემი), მაგრამ უზმნისწინოდ (ვდივარ) არც ახალ ქართულში გვხვდება და არც ძველში.

თავის მხრივ, მოძრაობა-გადაადგილების შინაარსის მქონე ზმნური ძირები ჩვენი ენის ზმნათა საერთო ფონდში მეტად მცირე ნაწილს შეადგენს. ეს გარემოება თითქოს იმას უნდა მოასწავებდეს, რომ ზმნისწინიან ზმნათა რაოდენობა ასევე მცირე უნდა იყოს ენაში. სინამდვილეში ეს ასე არაა. როგორც ახალ ქართულში, ისე ძველში ზმნათა დიდზე დიდი უმეტესობა ზმნისწინით იყო და არის გაფორმებული. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ბევრ შემთხვევაში ასეთ ზმნებთანაც (ე. ი. ისეთ ზმნებთან, რომლებიც გადაადგილების ნაცვლად ადგილზე მოქმედებას გამოხატავენ) ზმნისწინი მაინც იძლევა

მიმართულების გაგებას. საამისო ნიმუშები ცალკე გვაქვს გამოყოფილი აღ- ზმნისწინის განხილვისას (§ 64), აქ კი ერთი მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით. იტყვიან: „მუხლებში **ჩაიკეცა**“-ო. მიუხედავად იმისა, რომ **კეცვა** ზმნა გადაადგილების შინაარსის მქონე არაა, მასთან ჩა- ზმნისწინი მაინც აღნიშნავს ქვევითა მიმართულებას. „მუხლებში ჩაიკეცა“-ო, როცა ვამბობთ, იგულისხმება, რომ ვინც მუხლებში „ჩაიკეცა“, იგი იქვე დარჩა, სადაც იმყოფებოდა, და, საერთოდ, არ გადაადგილებულა, მაგრამ მისმა ტანმა ძირს დაიწია. ამიტომ, გასაგებია, რატომ იგრძნობა ამ ზმნაშიც მიმართულება.

ამის მიხედვით მოძრაობის შინაარსის მქონე ზმნებში ორი ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ:

ა) ზმნები, რომლებიც მოძრაობას სუბიექტის ან ობიექტის გადაადგილების პირობებში გამოხატავენ (განვიდა, შთააგდო);

ბ) ზმნები, რომლებიც მოძრაობას ადგილზე გამოხატავენ სუბიექტის ან ობიექტის გადაუადგილებლად (აღემართა, აღიხილნა). ამ ჯგუფის ზმნებით სუბიექტის ან ობიექტის გადაადგილების ნაცვლად აღინიშნება სუბიექტის ან ობიექტის რაიმე ნაწილის მოძრაობა ადგილზე. ასეთი ზმნები ადგილზე მოძრაობას გამოხატავს გადაუადგილებლად.

საერთოდ, დღეს ზმნისწინიანი ყველა ზმნა როდიღა გვაგრძნობინებს მიმართულებას. ძველ ქართულშიც დასტურდება ასეთი ფაქტები, მაგრამ თუ კი ზმნისწინის პირველადი დანიშნულება მიმართულების ჩვენებაა, ცხადია, წარსულში, ენის განვითარების შორეულ ეტაპზე, ბევრი ისეთი ზმნისწინიანი ზმნაც იძლეოდა მიმართულების გაგებას, რომლებშიც დღეს ეს მხარე დაჩრდილულია, ანდა ნულამდეა დაყვანილი.

საერთოდ კი, ძველ ქართულში ზმნისწინი უფრო ფართოდ გამოხატავდა მიმართულებას, ვიდრე ეს ახალ ქართულშია შესაძლებელი. დღეს, მაგალითად, ბევრ ზმნასთან ზმნისწინი გვაქვს, მაგრამ მიმართულება აღარ გაიაზრება (შეჯამა, შესვა), ძველ ქართულში კი ზოგიერთ ასეთ ზმნაშიც იგულისხმებოდა მიმართულება.

ზოგიერთ ზმნაში ზმნისწინისათვის მიმართულების ჩვენების ფუნქციის მოშლა შეიძლება რამდენადმე შეპირობებული იყოს ზმნისწინის მიერ ისეთი ახალი ფუნქციის შეძენით, როგორიცაა სრული ასპექტის გამოხატვა.

§ 11. დაპირისპირება გეზ-ორიენტაციის მიხედვით. ჩვენ უკვე გავეცანით, თუ როგორ უპირისპირდება ზმნისწინები ერთმანეთს ან ორიენტაციის მიხედვით (§ 4), ან კიდევ მხოლოდ გეზის მიხედ-

ვით (§ 7). მაგრამ ეს არის მათი ცალმხრივი დაპირისპირება. ჩვეულებრივ კი ისინი ერთმანეთს ერთდროულად გეზის მიხედვითაც უპირისპირდებიან და ორიენტაციის მიხედვითაც. ზმნისწინთა ასეთ დაპირისპირებულობას პოეტური დაპირისპირების საშუალებადაც იყენებდნენ. აი ზოგიერთი ნიმუში:

1. მი- — მო-:

.... რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ (მ. 7,2);
.... დიდებაჲ, რომელი მომეც მე; მივეც მათ (ი. 17,22);
.... უფალმან მომცა და უფალმან მიმიღო (იობ. 1,21).

2. აღ- — გარდამო-:

.... აღუქდეთ და გარდამოვაგდოთ იგი (სინ. მრ. 56,19);
.... ღმერთი ქუეყანად გარდამოჴდა და კაცი ზეცად აღვიდა (სინ. მრ. 36,27).

3. აღ- — დამო-:

.... ვარსკულავნი აღდგომასა მას მკუდართასა დამოცქვენ ვითარცა ფურცელნი, ხოლო მოციქულნი აღდგომასა მას ... აღიტაცნენ (სინ. მრ. 217,25-26).

4. აღ- — შთამო-:

.... ვერ შემძლებელ არს სახლისა შჳნებაჲ ზეშთამო; არამედ საფუძველით აღმართ (S 35, 285 Va, ქვ. 12)[1];
.... გონებამან სულისამან მალიად ყვის შთამოზიდვაჲ ჭუჴ უადრჱსს, ვიდრე აღუჯანებაჲ ქუეყანით (შესაქმ. 66a).

5. შთა- — აღმო-:

.... შთაჴდის მეზუერჱ და აღმოჴდის მახარებელად (სინ. მრ. 78,16);
.... შთავიდა ჯურღმულსა მას, აღავსო სარწყული იგი და აღმოჴდა (დაბად. 24,16).

6. და- — აღმო-:

.... აღმოჰბრწყინდის მზჱ და დაჴდის (სინ. მრ. 227,6);
.... გულისხმა-ყავ ქართაჲ იგი სირბილ... აღმოსავალითი დასავალად და დასავალითი აღმოსავალად (სინ. მრ. 133,20).

7. გან- — შემო-:

.... გუაჭუნდინ ჯუარი გარე-განსლვასა და შინა-შემოხლვასა (სინ. მრ. 53,24);
.... ღმე იგი განგუეშორა და დღე შემოგუეხლა (რომ. 13,12).

---

[1] ეს მაგალითი ივ. იმნაიშვილმა მოგვაწოდა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ. ი. ვ.

8. **შე- — გამო-:**

.... ფერი ჰკრთა და გაუფიცხა **შე** და **გამო** გელმან კრთომა (ვ. ტ. 1544,2);

.... **შე-და-გამო** კრბებიან (მამ. სწავლანი; დამოწმებული აქვს ი. აბულაძეს).

9. **წარ- — უკმო-:**

.... რაჲთამცა პირველ **წარტაცებული** იგი მკეცისაგან ადაჲი **უკმო**იქსნა და მკეცი იგი მოკლა ჯუარითა (სინ. მრ. 146,26-27);

.... **წარემართა** და ვითარცა მეგობარსა ტკბილად მეტყუელსა **უკმოხედვიდა** (ას. ცხ. 54, 8-9 C).

ასევე შეიძლება გვქონდეს დაპირისპირებანი: **გარდა- — აღმო-**, **უკუ- — წარმო-** ზმნისწინებისა. ამგვარად, გეზ-ორიენტაციის მიხედვით ზმნისწინთა ურთიერთდაპირისპირებულობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

მი-	—	**მო-**
წარ-	—	**უკმო-**
უკუ-	—	**წარმო-**
აღ-	—	**გარდამო-** **დამო-** **შთამო-**
გარდა- **და-** **შთა-**	—	**აღმო-**
შე-	—	**გამო-**
გა-	—	**შემო-**

ჰორიზონტული მიმართულების ზმნისწინები

თ ა ვ ი II

საკუთრივ მაორიენტებელი მი- და მო- ზმნისწინები ძველ ქართულში

§ 12. მი- და მო- ზმნისწინები ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, „მი — მ ი ს კ ე ნ ი ს ნ ა კ ვ ე თ ი, გინა მ ი მ ა რ თ ი ს ა“. ასე აღნიშნავს საბა მი- ზმნისწინის შესახებ თავის ლექსიკონში, სადაც მას განმარტებული აქვს მი- ზმნისწინიანი ცალკეული ზმნებიც, ხოლო მო-ს შესახებ ნათქვამი აქვს, რომ იგი არის „მოდი-ს ნაკუეთი“ ე. ი. მოდი ზმნის ნაწილი.

მი- და მო- ზმნისწინიანი ზმნების საბასეულ განმარტებათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „სიტყვის კონაში“ გათვალისწინებულია დასახელებულ ზმნისწინთა შემდეგი მნიშვნელობანი:

1. მი- ზმნისწინი აღნიშნავს ს ა ი ქ ე თ ო მოძრაობას, მიმართულებას. არსებითად ამას უნდა ნიშნავდეს საბას განმარტება: „მი — მისკენის ნაკვეთი, გინა მიმართისა“. ამის საპირისპიროდ მო- ზმნისწინი საქეთო მოძრაობას აღნიშნავს; ასეთი დასკვნა გამომდინარეობს მოდეგ ზმნის განმარტებიდან: „მოდეგ — აქ ახლორე მოვედ“.

2. როგორც მი-, ისე მო- ზმნისწინი აღნიშნავს წ ი ნ მოძრაობას:

მიგებება — წ ი ნ შემთხუევა,
მიძღოლა — წ ი ნ წაძღოლა,
მიძღუანა — წ ი ნ მიტანა,
მოძღოლა — წ ი ნ მოსლვა,
მოძღუანება — წ ი ნ მოიყუანოს.

3. მო- ზმნისწინი აღნიშნავს გ ა რ შ ე მ ო მოძრაობას:

მოზღუდვილი — ზღუდემოელებული,
მოწდომა — რაღც გ ა რ შემოსწუდეს.

მი- და **მო-** ზმნისწინები, სხვა ზმნისწინებთან ერთად, თავიანთი მნიშვნელობის მიხედვით პირველად დ. ჩუბინაშვილმა დაახასიათა. მას მითითებული აქვს, რომ **მი-** ზმნისწინი აღნიშნავს დაშორებული საგნისაკენ მოძრაობას, იგუებს **იქ** ზმნიზედას (**იქ მიიტანე**) და შეესატყვისება რუსულ **от** ზმნისწინს [1], ხოლო **მო-** ზმნისწინისათვის, რომლის რუსულ შესატყვისადაც **при** ზმნისწინი აქვს მიჩნეული, დ. ჩუბინაშვილი მიუთითებს ორ მნიშვნელობას: ა) აღნიშნოს უახლოესი საგნისაკენ მოძრაობა და, ამასთან ერთად, შეიგუოს **აქ** ზმნიზედა (**აქ მოიტანე**); ბ) აღნიშნოს მოქმედება ყველა მიმართულებით (**მოყრა — იქით და აქეთ მიმოყრა — разбросать**) [2].

სხვა ზმნისწინებთან ერთად **მი-** და **მო-** ზმნისწინებიც სათანადოდ შესწავლილ-გაანალიზებული აქვს ნ. მარს. კერძოდ, მან მოგვცა დასახელებულ ზმნისწინთა გენეზისი (იხ. § 36) და ამის მიხედვით გააკეთა დასკვნა. რომ **მი-** ზმნისწინი აღნიშნავს III პირისაკენ — მისკენ, იქით მიმართულებას, **მო-** ზმნისწინი კი — I პირისაკენ — ჩემკენ, ჩვენკენ, აქეთ მიმართულებას[3]. ამიტომ, ამ ზმნისწინებს ნ. მარმა პირისადმი დამოკიდებულების ნაწილაკები უწოდა[4].

მი- და **მო-** ზმნისწინთა შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ა. შანიძემ. მან პირველმა მიუთითა ქართულში ორიენტაციის კატეგორიის არსებობაზე და აღნიშნა. რომ ამის მიხედვით ქართული ენა ერთმანეთისაგან გაარჩევს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეიძლება უახლოვდებოდეს მოუბრის პოზიციას, და ისეთს, რომელიც შორდებოდეს მოუბრის პოზიციას. ანუ (ავტორის თქმით) მიემართებოდეს III პირის პოზიციისაკენ. ამის მიხედვით ერთმანეთისაგან გარჩეულია სააქეთო და საქეთო ორიენტაცია. პირველი გადმოიცემა **მო-** ზმნისწინით და აგრეთვე **მო-**თი ნაწარმოები რთული ზმნისწინებით. მეორე კი — **მი-** ზმნისწინით და აგრეთვე დანარჩენი მარტივი ზმნისწინებით. ამათგან **მი-** და **მო-** ზმნისწინები მხოლოდ ორიენტაციას გამოხატავს, დანარჩენი მარტივი ზმნისწინები კი სათანადო რთულებთან შეპირისპირებით ორიენტაციასაც გამოხატავს და გეზსაც[5].

---

[1] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, 1855, გვ. 73.

[2] იქვე, გვ. 74.

[3] Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, § 111.

[4] იქვე, § 202.

[5] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953 წ., § 302, 306, 307, 308, 312, 313.

სხვა ზმნისწინებისაგან განცალკევებით განიხილავს მი- და მო- ზმნისწინებს ბ. რუდენკო და მათ მიმართულების აღმნიშვნელ ძირითად ზმნისწინებს უწოდებს. ამასთანავე, ავტორს ნათქვამი აქვს, რომ მო- გამოხატავს მიმართულებას აქეთ (მოლაპარაკის მხარეს), მი- კი აღნიშნავს მიმართულებას იქით (მოლაპარაკის მხრიდან) [1].

მი- და მო- ზმნისწინი ძველი ქართულის მასალაზე დაყრდნობით სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული აქვს ა. მარტიროსოვს. ავტორს ვრცლადა აქვს გადმოცემული, თუ როგორ ზმნებთან გამოიყენებოდა ძველად დასახელებული ზმნისწინები და, ამასთან ერთად, მითითებულიც აქვს მათი ძირითადი მნიშვნელობანი. სახელდობრ, აღნიშნულია, რომ: ა) „ფუნქციის მიხედვით მი- და მო- საპირისპირო ზმნისწინებია: მოუბარი პირის თვალსაზრისით მი- იქეთა (III პირისაკენ) მიმართულებას აღნიშნავს მო-, კი, პირიქით, აქეთა (I პირისაკენ) მიმართულებას გადმოსცემს“ [2]; ბ) „მო- და მი- ზმნისწინი ზოგჯერ მიუთითებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმდინარეობაზე, მოძრაობის პროცესში, სიარულისას“ (მოტიროდა, მოიტყოდიან, მიჰხოცდეს, მიისროდეს) [3]; გ) „მო- ზმნისწინი მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან ზოგჯერ ან გარშემო მოძრაობას აღნიშნავს, ან კიდევ ავლენს იმავე მნიშვნელობას, რასაც სხვა შემთხვევაში მიმოზმნისწინი გადმოსცემს“ (მოჰვლით მ. 23.15 C|| მიმოხუალთ. DE)[4].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მი- და მო- ზმნისწინები, გარდა იმ ფუნქციებისა, რაც სხვა ზმნისწინებსაც გააჩნიათ (ასპექტის წარმოება, ზმნის მნიშვნელობის შეცვლა და სხვ.), დახასიათებულია ასე: „მი- — წინსართი ზმნისა: აღნიშნავს მიმართულებას იქით (საპირისპ. მო-)“ [5]. „მო- წინსართი ზმნისა: ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას აქეთ (საპირისპ. მი-)“[6].

ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმად აღიარებულია, რომ მი- ზმნისწინი საიქეთო მიმართულებას აღნიშნავს, ხოლო მო- ზმნისწინი — სააქეთოს.

ამას გარდა, მი-, მო- ზმნისწინებისათვის, საბას განმარტებათა მიხედვით, შეიძლება საერთო ფუნქციად მივიჩნიოთ წინ მოძრაობის

---

[1] Б. Г. Руденко, Грамматика грузинского языка, 1940, § 62.

[2] ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პიოველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, ტ. V, გვ. 82.

[3] იქვე, გვ. 84.

[4] იქვე, გვ. 84.

[5] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1958 წ.

[6] იქვე.

აღნიშვნა, ხოლო ა. მარტიროსოვი გამოყოფს კიდევ ისეთ საერთო ფუნქციას, როგორიცაა მოქმედების მიმდინარეობის აღნიშვნა მოძრაობის პროცესში, სიარულისას.

ამას უნდა დაემატოს მო- ზმნისწინის ისეთი ფუნქციები, როგორიცაა გარშემო მოძრაობისა (საბა, ა. მარტიროსოვი) და ყველა მიმართულებით მოძრაობის აღნიშვნა (დ. ჩუბინაშვილი, ა. მარტიროსოვი).

§ 13. მი- და მო- ზმნისწინები ურთიერთსაპირისპირო მიმართულებას გამოხატავს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ერთხმად აღიარებულია, რომ **მი-** ზმნისწინი გამოხატავს საიქეთო მიმართულებას, ხოლო **მო-** ზმნისწინი სააქეთო მიმართულებას (ეს კი იგივეა, რაც საიქეთო და სააქეთო ორიენტაცია). **მი-** და **მო-** ზმნისწინთა ასეთ დახასიათებაში თავისთავად იგულისხმება მათი ურთიერთდაპირისპირებულობაც. მართლაც. რა მიმართულებასაც გამოხატავს **მი-** ზმნისწინი, იმის საწინააღმდეგო მიმართულებას გამოხატავს **მო-** ზმნისწინი და — პირიქით.

მი-, მო- ზმნისწინიან ზმნათა ასეთი შეპირისპირების ნიმუშები უხვად დაიძებნება ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებშიც. აი ზოგი მათგანი:

.... მაღლი **მივეც** ქრისტესა... და **მომცნა** მე ღმერთმან კეთილნი მოყუასნი (სინ. მრ. 266,18-20);

.... უკუეთუ არა **მიუტევნეთ** თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან **მოგიტევნეს** შეცოდებანი თქუენნი (მ. 6,15);

.... ჰრქუა მას ლაბან: რაჲ **მიგცე** შენ? ჰრქუა მას იაკობ: ნურას **მომცემ** მე (დაბად. 30,31);

.... არას **მომიგებ**ა ამისთჳს? ანუ არა იცია, ვიდრე-ესე მოსრულ ხარ შენ? ხოლო წმიდამან ფოკა ჰრქუა: უკუეთუმცა იტყოდე ღმრთისათჳს, ვითარმედ არს ღმერთი კაცთა შინა, **მი-მცა-გიგე** ამისთჳს სიტყუაჲ (ფოკა, 139 va. 11-16);

.... ნეტარ არს, რომელმან **მიგაგოს** მისაგებელი შენი, რომელ შენ **მომაგე** ჩუენ (ფს. 136,8).

ამ მაგალითებში ერთმანეთს ფაქტიურად **მი-, მო-** ზმნისწინიანი ერთი და იგივე ზმნები უპირისპირდება. ხშირია ისეთი შემთხვევაც. როცა ერთმანეთთან შეპირისპირებულია **მი-, მო-** ზმნისწინიანი სხვადასხვა ზმნა. ეფრემ ასურის ერთი თხზულების ქართულ თარგმანში ასეთი შეპირისპირების კარგი ნიმუშია მოცემული:

„მიეახლნეს ყოველნი და წყალობასა ჰპოვებდეს სახიერისა მისგან უფლისა.

მოუკდეს ცოდვილნი და იქმნნეს მართალ.

მიეახლნეს მეზუერენი და იქმნეს მოციქულ.

მოუკდეს მტაცებელნი და იქმნნეს მიმცემელ.

მიეახლნეს არაწმიდანი და იქმნნეს წმიდა.

მოუკდეს თანა-მდებნი და მიიღეს წიგნი ყოვლისა თანა-ნადებისაჲ (ისტ. ქრესტ. II, 27,4-9).

ამგვარი დაპირისპირების ნიმუშები კიდევ ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ ესეც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ როგორ გადმოსცემს **მო-** ზმნისწინიანი ზმნები სააქეთო მიმართულებას, ხოლო **მი-** ზმნისწინიანი ზმნები — საიქეთო მიმართულებას და, მაშასადამე, საბოლოო ჯამში, როგორ აღნიშნავს **მი-** და **მო-** ზმნისწინებიორ ურთიერთსაპირისპირო ორიენტაციას.

ზოგჯერ მოძრაობა-გადაადგილების შინაარსის მქონე ზმნის ესა თუ ის ფორმა **მი-** ზმნისწინს დაირთავს, **მო-**ს კი — არა, ზოგჯერ კი ამის საპირისპირო მოვლენას ვხვდებით: მე მას მ ი ვ ე ც ი ს (არ შეიძლება მ ო ვ ე ც ი), მან მე მ ო მ ც ა ს (არ შეიძლება მ ი მ ც ა). ეს მოვლენა, რომელიც ძველ ქართულში კიდევ უფრო მკაფიოდ იყო გამოსახული, შეპირობებულია ორიენტაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორით. ჩვენ მიზნად დავისახეთ, შეძლებისდაგვარად გამოგვევლინებინა ეს ფაქტორები და ამის მიხედვით მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნებში მაორიენტებელ **მი-** და **მო-** ზმნისწინთა გამოყენების შესაძლო შემთხვევები მიახლოებით მაინც დაგვედგინა.

აი რა ფაქტორებს ეწევა ანგარიში ორიენტაციის გადმოცემისას:

1. ორპირიანსა და სამპირიან ზმნებში რა როლს ასრულებს მოუბარი პირი, იგი უბრალო მაყურებელია სხვისი მოქმედებისა, თუ თვითონაა ზმნასთან პირიანობით დაკავშირებული?

2. როგორი ურთიერთობა მყარდება მოძრაობა-გადაადგილების თვალსაზრისით ზმნის სუბიექტსა და ობიექტს შორის?

3. პირთა როგორ კომბინაციასთან გვაქვს საქმე ზმნის ფორმაში?

4. ერთი და იგივეა თუ არა მოუბარი პირის საუბრისდროინდელი და მოქმედებისდროინდელი პოზიციები?

განვიხილოთ ეს ფაქტორები ცალ-ცალკე.

§ 14. ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მოუბარი პირი და ორიენტაცია: მოუბარი პირი მის მიერ გადმოცემული მოქმედების აღმნიშვნელ ზმნას შესაძლოა პირიანობით არ უკავშირდებოდეს.


ასეთ შემთხვევაში იგი სხვისი მოქმედების უბრალო მაყურებელია და საშუალება აქვს, ორიენტაციის მიხედვით სხვადასხვაგვარად წარმოიდგინოს ეს მოქმედება.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ასეთი მაგალითები:

„გიორგიმ დავითს წერილი **მისწერა**“ და

„გიორგიმ დავითს წერილი **მოსწერა**“.

ვთქვათ, გიორგი A ქალაქში იმყოფება და იქიდან სწერს წერილს დავითს, რომელიც, თავის მხრით, B ქალაქშია. მოცემულ შემთხვევაში ეს მიმართება სქემით ასე გამოიხატება:




ნახ. 2.

მე-2 ნახაზზე ზმნა მოცემულია როგორც **მი-**, ისე **მო-** ზმნისწინებით, გააჩნია, საიდან უყურებს ამ საქმეს მოუბარი პირი: თუ იგი თვითონაც იმ ქალაქში იმყოფება, საიდანაც წერილი მიიწერა, მაშინ ამ მოქმედებას **ს ა ი ქ ე თ ო დ** გაიაზრებს და **მი-** ზმნისწინიანი ზმნით გადმოსცემს (ნახ. 3).



ნახ. 3.

მაგრამ თუ მოუბარი პირი B ქალაქში იმყოფება და იქიდან აღწერს ამ მოქმედებას, მაშინ მას სააქეთოდ გაიაზრებს და **მო-** ზმნისწინიანი ზმნით გადმოსცემს (ნახ. 4).



ნახ. 4.

გამოდის, რომ **ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელმა მოუბარმა პირმა, ანუ I პირმა, სხვა პირთა ურთიერთობის შემცველი ზმნა შეიძლება საიქეთო ორიენტაციითაც გადმოსცეს და სააქეთო ორიენტაციითაც.** ეს იმიტომ, რომ სხვა პირთა ურთიერთობის აღმნიშვნელი ქმედება ასეთმა მოუბარმა პირმა შეიძლება დაინახოს როგორც ქმედების საწყისი, ისე სასრული მხრიდან. ერთ შემთხვევაში ორიენტაცია საიქეთო იქნება და **მი-** ზმნისწინით გადმოიცემა, მეორე შემთხვევაში კი სააქეთო იქნება და **მო-** ზმნისწინით გადმოიცემა.

მოვიყვანოთ ძველი ქართულიდან როგორც საიქეთო, ისე სააქეთო ორიენტაციის ზმნათა გამოყენების ასეთი ნიმუშები:

ა) საიქეთო ორიენტაცია:

.... შემდგომად მისსა მოყუასნი მისნი **მიგერთუნენ** შენ (ფს. 44,15 ზ);
.... მინიჭებულ არს მადლი შენდა, რაჲთა ყოველი თხოვაჲ შენი **მიგემადლოს** შენ (ისტ. ქრესტ. II, 64,35).

ბ) სააქეთო ორიენტაცია:

.... ითხოვდით, და **მოგეცეს** თქუენ (მ. 7,7);
.... გარე **მოგადგენ** შენ და **შეგკრიბონ** შენ ყოველით კერძო (ლ. 19,43).

ყველა ამ მაგალითში ხაზგასმულ ზმნებს სუბიექტად მესამე პირი შეეწყობა, ობიექტად კი — მეორე, მაგრამ ერთ შემთხვევაში ორიენტაცია საიქეთოა (**მიგერთუნენ, მიგემადლოს**), მეორე შემთხვევაში კი — სააქეთო (**მოგეცეს, მოგადგენ**). ეს იმის მიხედვით, რომ პირველ შემთხვევაში მოუბარი პირი მოძრაობა-გადაადგილებას უყურებს საწყისი მხრიდან, მეორე შემთხვევაში კი — სასრული მხრიდან.

§ 15. ზმნასთან პირიანობით დაკავშირებული მოუბარი პირი და ორიენტაცია. მოუბარი პირი შეიძლება პირიანობითაც უკავშირდებოდეს მის მიერ გადმოცემული მოქმედების აღმნიშვნელ ზმნას. ასეთ შემთხვევაში იგი თვითონ გამოდის ან როგორც სუბიექტი, ან კიდევ როგორც ობიექტი.

ავიღოთ ასეთი წინადადება: „მადლი **მივეც** ქრისტესა, უფალსა ჩემსა. და **მომცნა** მე ღმერთმან კეთილნი მოყუასნი“ (სინ. მრ. 266,18-20).

ამ მაგალითში პირველი პირი უბრალო მაყურებელი კი არაა მოცემული ზმნებით გამოხატული მოქმედებისა, არამედ ამ მოქმედების აქტიური მონაწილეა: ერთ შემთხვევაში როგორც სუბიექტი, მეორეში კი — როგორც ობიექტი.

ასეთ ვითარებაში მოუბარ პირს როდიღა შეუძლია, ნებისმიერი ადგილიდან ხედავდეს მოქმედების მსვლელობას. იგი როცა სუბი-

უქტია, მხოლოდ სუბიექტის მხრიდან შეხედავს ამ მოქმედებას. ხოლო როცა ობიექტია, ობიექტის მხრიდან დაინახავს მას. ერთ შემთხვევაში იგი მოძრაობა-გადაადგილებას საწყისი მხრიდან უყურებს, მეორე შემთხვევაში კი — სასრული მხრიდან, ამიტომ ერთ შემთხვევაში იგი ამ მიმართულებას გაიაზრებს, როგორც მისგან დამაშორებელს, მეორე შემთხვევაში კი — როგორც მისკენ დამაახლოებელს. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ასეთი დასკვნა: **როცა მოძრაობა-გადაადგილების შინაარსის მქონე ზმნას მოუბარი პირი სუბიექტად ან ობიექტად უკავშირდება, მაშინ მასთან როგორც მი-, ისე მო- ზმნისწინის ხმარება ყოველთვის არ უნდა იყოს შესაძლებელი.**

ჩვენს მაგალითში **მივეც** ფორმა გვაგულისხმებინებს, რომ მოუბარი პირი თვითონ ჩადის ისეთ მოქმედებას, რომელიც მესამე პირისკენაა მიმართული და მას საქმეთო ორიენტაციად განიხილავს (**მივეც** მას — აქედან იქით). მაგრამ, როცა მოუბარი პირი გვეუბნება, **მომცა**-ო, იგულისხმება, რომ მისკენაა მიმართული მესამე პირისაგან ჩადენილი ქმედება. ამას კი იგი სააქეთო ორიენტაციად მიიჩნევს და სათანადო **მო-** ზმნისწინიანი ფორმითაც გადმოსცემს.

ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რაც წინა პარაგრაფში ითქვა, მაშინ შემდეგი დასკვნა უნდა გავაკეთოთ:

როცა მოძრაობა-გადაადგილების შინაარსის მქონე ზმნის ფორმა პირთა ისეთ კომბინაციას გულისხმობს, რომელიც სუბიექტად ან ობიექტად პირველ პირს არ შეიცავს, მაშინ შესაძლოა. ეს ზმნა საქეთო ორიენტაციადაც გავიაზროთ და სააქეთოდაც. ამის მიხედვით კი ერთ შემთხვევაში იგი **მი-** ზმნისწინით გავაფორმოთ, ხოლო მეორე შემთხვევაში — **მო-** ზმნისწინით.

მაგრამ თუ ამავე ზმნის ფორმა პირთა ისეთ კომბინაციას გულისხმობს, რომელიც სუბიექტად ან ობიექტად პირველ პირს შეიცავს, მაშინ მას, შესაძლოა, ორივე სახის ორიენტაცია არ მოეპოვებოდეს.

§ 16. ზმნასთან შეწყობილ პირთა ურთიერთმიმართებათა ტიპები მოძრაობა-გადაადგილების მიხედვით. როცა ზმნისწინის მიერ მიმართულების გამოხატვაზე ვლაპარაკობთ, თავისთავად ვგულისხმობთ, რომ საქმე ეხება ზმნასთან პირიანობით დაკავშირებულ საგანთა მოძრაობა-გადაადგილებას.

თუკი ასეთი შინაარსის მქონე ზმნა ერთპირიანია, მაშინ მოძრავ საგნად ყოველთვის სუბიექტი იგულისხმება. მაგრამ, ამას გარდა, ქართულში ისეთი ზმნებიც გვაქვს, რომელთაც შეიძლება ჰქონდეს ა) სუბიექტი და ორივე სახის ობიექტი, ან კიდევ ბ) სუბიექტი და

ერთ-ერთი ობიექტი. ამიტომ ბუნებრივად იბადება კითხვა: თვითეულ ამ კონკრეტულ შემთხვევაში რომელი პირის რომელი პირისაკენ მოძრაობა-გადაადგილებაზე შეიძლება გვქონდეს ლაპარაკი და, საბოლოო ჯამში, მოძრაობა-გადაადგილების მიხედვით რა და რა სახის მიმართებები შეიძლება მყარდებოდეს ზმნასთან შეწყობილ ამ სხვადასხვა პირებს შორის?

სამპირიან ზმნებში მოცემული გვაქვს როგორც სუბიექტი (S), ისე პირდაპირი (O) და ირიბი (Ö) ობიექტები. ამათგან ირიბი ობიექტი არც თვითონ მოქმედებს და არც სუბიექტის მოქმედებას განიცდის, პირდაპირი ობიექტი კი, მართალია, თვითონ უმოქმედოა, მაგრამ განიცდის სუბიექტისაგან ჩადენილ ქმედებას და მისგან ზოგჯერ მოძრაობაშიც მოდის. ამიტომ მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ სამპირიან ზმნებში, ჩვეულებრივ, პირდაპირი ობიექტის გადაადგილება იგულისხმება, იშვიათად კი — სუბიექტისაც, ამის კვალობაზე მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ ორპირიან გარდამავალ ზმნებშიც პირდაპირი ობიექტის გადაადგილება იგულისხმება (იშვიათად—სუბიექტისაც), ორპირიან გარდაუვალში კი მოძრაობა-გადაადგილებას განიცდის სუბიექტური პირი, რომელიც სამპირიანი გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს შეესატყვისება (მიაახლა მან მას **ის**, შდრ: მიეახლა **ის** მას).

ახლა საჭიროა გავარკვიოთ, რა და რა სახის მიმართებაში შეიძლება იმყოფებოდეს დანარჩენ პირებთან ზმნის ის პირი, რომელიც მოძრაობა-გადაადგილებას განიცდის?

ცნობილია, რომ ორპირიანი ზმნა—როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი, პირდაპირ კავშირშია შესაბამისი ძირიდან ნაწარმოებ სამპირიან გარდამავალ ზმნასთან, ამიტომ ჩვენც მოძრაობა-გადაადგილების მიხედვით პირთა ურთიერთმიმართების ძირითად ტიპებს სწორედ სამპირიან ზმნებში გამოვყოფთ და შემდეგ ვუჩვენებთ, თუ რა სახის ცვლილებას განიცდის ეს ტიპი შესაბამის ორპირიან გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებში.

I ტიპი — **სუბიექტო მიმართება**

თუ სამპირიანი ზმნის პირდაპირი ობიექტი სუბიექტისაგან ირიბი ობიექტისაკენ გადაადგილდება, ასეთი მიმართება **სუბიექტო მიმართებად** მივიჩნიოთ და პირველ ტიპად გამოვყოთ.

სამპირიან ზმნათა პირებს შორის მოძრაობა-გადაადგილების მიხედვით მეტწილად სწორედ ასეთი მიმართება მყარდება:


.... მშვდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ (ი. 14,27);

.... რაჲ-მე სიტყუაჲ მიგიგოთ უფალსა ჩუენსა (დაბად. 44,16):

.... არა მე **მიგანიჭე** თქვენ ცხორებაჲ, არამედ წმიდამან ნიკოლაოს (ისტ. კრესტ. 11, 71,18).


ასეთივე ურთიერთობა იგულისხმება ისეთ ზმნებშიც, როგორიცაა: მიუვლინა, მიუგდო, მიუწონა, მიუთხრა, მიუგზავნა, მიუტევა, მიჰფინა, მიჰყიდა, მიართუა და სხვა.

ეს ურთიერთობა სქემით ასე შეიძლება გამოვსახოთ:



რაც ამას ნიშნავს: სუბიექტი პირდაპირ ობიექტს ირიბისაკენ ამოძრავებს, ანუ პირდაპირი ობიექტი სუბიექტის ზემოქმედებით ირიბისაკენ გადაადგილდება.

ორპირიან გარდამავალ ზმნაში სამპირიანისაგან განსხვავებით ირიბი ობიექტი გვაკლია. ამიტომ ასეთ ზმნებში პირთა ურთიერთობის ეს ტიპი შემდეგ სახეს მიიღებს:



რაც ამას ნიშნავს: სუბიექტი განიშორებს პირდაპირ ობიექტს, ანუ პირდაპირი ობიექტი შორდება სუბიექტს ამ უკანასკნელისავე ზემოქმედების შედეგად. სწორედ ასეთი შინაარსი იგულისხმება ისეთ ზმნებში, როგორიცაა: მიავლინა, მიაქცია, მიაგორვა, მოაქცია, მოყო, მოჰბერა, მიგზავნეს და სხვანი:

.... **მიავლინა** მუნ ერმან მან ათორმეტი ათასი კაცი (მსაჯ. 21,10);
.... წარიყვანეს იგი კესარიად და **მიგზავნეს** ტარსედ (საქმე. 9.30);
.... **მიაგორვა** ღრდი კარსა მას სამარისასა (მრ. 15,46 C).

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულში ასეთი ზმნების გამოყენების შემთხვევაში უქონელი ირიბი ობიექტის საკომპენსაციოდ ხშირად ადგილის გარემოებაა გამოყენებული და, ამგვარად, მაინცაა აღნიშნული, თუ საით მიემართება სუბიექტისაგან მოძრაობაში მოყვანილი პირდაპირი ობიექტი (მიავლინა **მუნ**, მიგზავნეს **ტარსედ**, მიაგორვა **კარსა მას**...).

ორპირიანი გარდაუვალი ზმნა სამპირიანი გარდამავალის კონვერსიულ სახეს წარმოადგენს. კონვერსიის შედეგად სამპირიანი ზმნის სუბიექტი სულ ჩამოშორდება ზმნას, როცა ეს უკანასკნელი ორპირიანად იქცევა, ხოლო პირდაპირი ობიექტი სუბიექტის როლში მოგვევლინება[1]. ასე რომ, თუ ყველა ამ ცვლილებას გავითვალის-

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 346, 347. 348.

წინებთ. მოძრაობა-გადაადგილების თვალსაზრისით, სამპირიან ზმნებში ჩვენს მიერ გამოყოფილი საობიექტო მიმართების ტიპი ორპირიან გარდაუვალ ზმნებში ასეთ სახეს მიიღებს:



ე. ი. ორპირიანი გარდაუვალი ზმნის სუბიექტი, რაც სამპირიანი გარდამავალი ზმნის პირდაპირ ობიექტს შეესატყვისება, ირიბი ობიექტისაკენ მოძრაობს. ამის ნიმუშად გამოდგება შემდეგი ზმნები: მიეახლა, მიეგება, მიეცა, მიეტევა, მიეყრდნა, მიემთხვა, მიუკდა და სხვანი:

.... **მიეახლენით** ღმერთსა და **მოგეახლოს** თქუენ (იაკობ. 4,8 C[1]);
.... **მიგეტევნენ** შენ ცოდვანი შენნი (მრ. 2,9);
.... **მიუკდეს** და წარიტაცეს იგი (საქმე 6,12).

II ტიპი — სასუბიექტო მიმართება

სამპირიანი გარდამავალი ზმნის პირდაპირი ობიექტური პირი ზოგჯერ ირიბი ობიექტისაგან სუბიექტისაკენ გადაადგილდება. საობიექტო მიმართების საპირისპიროდ ასეთ დამოკიდებულებას სასუბიექტო **მიმართება** ვუწოდოთ და იგი მეორე ტიპად გამოვყოთ. ასეთი მიმართების ნიმუშებია:

.... ნუუკუე **მიმიხუნე** ასულნი შენნი (დაბად. 31,31);
.... სულსა წმიდასა შენსა ნუ **მიმიღებ** ჩემგან (ფს, 50,13 A);
.... რად **მისტაცენ** მონასტერსა ჩემსა აგარაკნი (ას. ცხ. 204,11);
.... ვინ-მე-რაჲ **მიმპარა** საუნჯჱ იგი? (სინ. მრ. 98,15);
.... მოუღეთ მას ჭანჭარი იგი (მ. 25,28 C).

პირთა ასეთი ურთიერთმიმართება შემდეგი სქემით შეიძლება გამოვსახოთ:



ე. ი. პირდაპირი ობიექტი შორდება ირიბს და უახლოვდება სუბიექტს ამ უკანასკნელისავე ზემოქმედების შედეგად.


ორპირიან გარდამავალ ზმნებში ირიბი ობიექტის უქონლობის გამო პირთა ურთიერთმიმართების ეს ტიპი შემდეგ სახეს იღებს:



ე. ი. პირდაპირი ობიექტი უახლოვდება სუბიექტს ამ უკანასკნელისავე ზემოქმედების შედეგად. ასეთი შინაარსი იგულისხმება, მაგალითად, ზმნებში:

.... **მოიპარნა** რაქელ კერპნი მამისა თჳსისანი (დაბად. 31,19);
.... კელნი განიპურნა და ყოველნი მისა **მოიზიდნა** (სინ. მრ. 235,19);
.... რომელი **მოიგო** აბრაჰამ სასყიდლითა (საქმე, 7,16 C).


ორპირიან გარდაუვალ ზმნებში პირდაპირი ობიექტის უქონლობის გამო პირთა მიმართების ეს ტიპი შემდეგ სახეს იღებს:




ე. ი. სუბიექტი შორდება ირიბ ობიექტს: „**მიგელოს** თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავსა, რომელი იქმოდის ნაყოფთა მისთა (მ. 21,43 C).

III ტიპი — ნელოვანი მიმართება

ა) გვაქვს ისეთი სამპირიანი ზმნები, რომლებიც გვაგულისხმებინებს სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ერთდროულ მოძრაობას ირიბი ობიექტისაკენ (**მიუყვანა** მან მას იგი). ყველა ასეთი ზმნა საობიექტო მიმართების ზმნათა ჯგუფს განეკუთვნება, რადგან მათი მეოხებითაც ისეთი მოძრაობა გამოიხატება, რომელიც ირიბისაკენ იქნება მიმართული:




ამ ზმნათა შესატყვისი ორპირიანი გარდამავალი ზმნები ირიბი ობიექტის უქონლობის გამო გვაგულისხმებინებს მათთან დაკავშირებული ორივე პირის ერთდროულ გადაადგილებას (მიიყვანა, მიიტანა, მიზიდა მან იგი). ამ შემთხვევაში. მოძრაობა-გადაადგილების **თვალსაზრისით, პირდაპირი ობიექტი ნულოვან მიმართებაში იმყოფება სუბიექტთან** — არც უახლოვდება მას და არც შორდება:



.... ბრმანი და მკელობელნი **შემოიყვანენ** აქა (ლ. 14,21);
.... **წარიღო** ყოველი (მ. 24,39).

ბ) ზოგი სამპირიანი ზმნის შინაარსი ისეთია. რომ სუბიექტს შორდება არა მარტო პირდაპირი ობიექტი, არამედ ირიბიც, ე. ი. პირდაპირი და ირიბი ობიექტები ერთდროულად გადაადგილდება მისგან:



ასეთი ზმნებია, მაგალითად, გააყოლა, გაადევნა, წარუმძღვარა (მან მას იგი) და სხვ. ეს ზმნებიც საობიექტო მიმართების ზმნათა ჯგუფს განეკუთვნება, რადგან ესენიც გვაგულისხმებინებენ პირდაპირი ობიექტის დაშორებას სუბიექტისაგან.

მაგრამ, როცა კონვერსიის გზით ასეთ ზმნას ორპირიან გარდაუვალ ზმნად გადავაქცევთ, მივიღებთ ისეთ ახალ ზმნას, რომლის სუბიექტი ირიბთან ერთად მოძრაობს (მიჰყვება, მისდევს, მიუძღვის ის მას) და, ამგვარად, მოძრაობა-გადაადგილების თვალსაზრისით, აქაც **ნულოვანი მიმართება** მყარდება: სუბიექტი კი არ უახლოვდება ან შორდება ირიბ ობიექტს, არამედ მასთან ერთად მოძრაობს მისივე მიმართულებით:

SÖ

.... **მისდევდა** მას ერი მრავალი (მ. 4,25);
.... **წარუძღუა** მათ იესუ (მრ. 10,32 C).

გ) ახლა, თუ რომელსამე ერთპირიან ზმნას ავიღებთ (მოძრაობის გამომხატველს), ვნახავთ, რომ მოძრაობა-გადაადგილების თვალსაზრისით ესეც ნულოვანი მიმართებისა იქნება. ეს იმიტომ, რომ ასეთი ზმნა ვერ გამოხატავს მისი სუბიექტური პირის დაახლოებას ან დაშორებას ირიბი ობიექტური პირის მიმართ — ამ უკანასკნელის უქონლობის გამო. აქ სუბიექტის მოძრაობა უბრალოდ, ყოველგვარი მიმართების გარეშე გადმოიცემა:

S

ასეთი ზმნებია: მიდის, მიფრინავს, მიცურავს და სხვ.

*
* *

ამგვარად: პირთა მიმართების სამივე დასახელებული ტიპი ორპირიან გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებში გამოიყოფა. სამპირიან ზმნებში გვაკლია ნულოვანი მიმართების ტიპი, ერთპირიანებში კი მხოლოდ ეს ტიპი გვხვდება.

იმის მიხედვით, თუ პირთა როგორი მიმართებაა ნაგულისხმევი ამა თუ იმ ზმნაში, თვითონ ზმნაც შესაბამისი სახელწოდების მატარებელი იქნება. ასე რომ, პირთა მიმართებების სამი განსხვავებული ტიპის მიხედვით გვაქვს ზმნათა სამი ჯგუფი:

I. **საობიექტო მიმართების ზმნები** (გამოიყოფა მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ სამპირიანსა და ორპირიან ზმნებში).

II. **სასუბიექტო მიმართების ზმნები** (გამოიყოფა მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ სამპირიანსა და ორპირიან ზმნებში).

III. **ნულოვანი მიმართების ზმნები** (გამოიყოფა მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ ორპირიან ზმნებში. ამას გარდა, აქვე შემოდის ასეთივე შინაარსის ყველა ერთპირიანი ზმნა).

პირთა მიმართებათა მიხედვით გამოყოფილი ზმნათა ეს ჯგუფები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ტაბულაში (ტაბ. 1).

ტაბ. 1.

	სუბიექტო მიმართების ზმნები	სასუბიექტო მიმართების ზმნები	ნულოვანი მიმართების ზმნები
სამპირიანი გარდამავალი	პირდაპირი ობიექტი მოძრაობს სუბიექტისაგან ირიბისაკენ S — O → Ö	პირდაპირი ობიექტი მოძრაობს ირიბისაგან სუბიექტისაკენ S ← O — Ö	—
ორპირიანი გარდამავალი	სუბიექტი მოძრაობს ირიბისაკენ S → Ö	სუბიექტი მოძრაობს ირიბისაგან S ← Ö	სუბიექტი მოძრაობს ირიბთან ერთად SÖ →
ორპირიანი გარდამავალი	პირდაპირი ობიექტი მოძრაობს სუბიექტისაგან S — O →	პირდაპირი ობიექტი მოძრაობს სუბიექტისაკენ S ← O	სუბიექტი მოძრაობს პირდაპირ ობიექტთან ერთად SO →
ერთპირიანი	—	—	მოძრაობს სუბიექტი S →

§ 17. ზმნის პირთა შესაძლო კომბინაციები და ორიენტაცია. ჩვენ უკვე განვიხილეთ ზმნასთან შეწყობილ პირთა ურთიერთმიმართებათა ტიპები მოძრაობა-გადაადგილების თვალსაზრისით და ამის მიხედვით მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებში შემდეგი ძირითადი ჯგუფები გამოვყავით:

1. საობიექტო მიმართების ზმნები.
2. სასუბიექტო მიმართების ზმნები,
3. ნულოვანი მიმართების ზმნები.

მი- და **მო-** ზმნისწინიან ზმნათა უღლებისათვის მნიშვნელობა აქვს სწორედ იმას, თუ რომელ ზემოდასახელებულ ჯგუფს ეკუთვნის განსახილველი ზმნა. ამიტომ **მი-** და **მო-** ზმნისწინების ხმარების შემთხვევებს ზმნებში სწორედ ამ ჯგუფების მიხედვით განვიხილავთ.

თვითეული ამ ჯგუფის ზმნებში, გარდა სუბიექტური და ობიექტური პირების ურთიერთმიმართებისა, რაც ზმნის სემასიური მნიშვნელობითაა ნაგულისხმევი, მაორიენტებელი **მი-** და **მო-** ზმნისწინების მეოხებით მოცემულია აგრეთვე პირდაპირი ობიექტის ან სუბიექტის მოძრაობის მიმართება მოუბარი პირის პოზიციასთან.

ამ ორმხრივ მიმართებათა გადმოცემის შესაძლებლობა-შეუძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ პირთა როგორ კომბინაციასთან გვაქვს საქმე განსახილველ ზმნაში: ისეთთან, რომელშიც ერთ-ერთ წევრად მოუბარი პირიც შედის, თუ ისეთთან, რომელშიც ერთ-ერთ წევრად მოუბარი პირი არ შედის (§§ 14-15).

გავარკვიოთ, პირთა დაჯგუფების რა და რა კომბინაციებია შესაძლო და რა კომბინაციები — შეუძლო როგორც ორპირიან, ისე სამპირიან ზმნებში.

1. **ორპირიან ზმნებში** პირთა დაჯგუფების კომბინაციათა რაოდენობა თეორიულად 9 უნდა იყოს (ამას შეადგენს სუბიექტურ პირთა რაოდენობისა და ობიექტურ პირთა რაოდენობის ნამრავლი: $3 \times 3 = 9$) [1], მაგრამ სინამდვილეში პრაქტიკულად შეუძლებელია პირთა ისეთი კომბინაცია, სადაც პირველი ან მეორე პირი სუბიექტადაც იყოს გამოყვანილი და ობიექტადაც.

აღვნიშნოთ სუბიექტური პირი S-ით, ირიბი ობიექტი — Ö-თი, პირდაპირი ობიექტი — O-თი, ხოლო ის, თუ რომელი პირისაა ესა თუ ის სუბიექტი ან ობიექტი, — სათანადო ინდექსით (1, 2, 3). მაშინ ორპირიან გარდამავალ ზმნაში პირთა შესაძლო კომბინაციების ტაბულა ასეთი სახით წარმოგვიდგება:

---

[1] ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში არ ვიღებთ რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს. მაგალითად, ისეთი ზმნები, როგორიცაა: **მხატავ, მხატავთ; გვხატავ, გვხატავთ,** ერთმანეთისაგან მხოლოდ სუბიექტის ან ობიექტის რიცხვით განსხვავდება, პირთა კომბინაციის მიხედვით კი ერთი და იგივეა — ყველა მათგანი ფორმით წარმოადგენს მეორე სუბიექტური და პირველი ობიექტური პირების (S_2O_1) შეერთებას.

ტაბ. 2.

სუბიექტური პირები	ობიექტური პირები		
	O_1	O_2	O_3
S_1		S_1O_2	S_1O_3
S_2	S_2O_1		S_2O_3
S_3	S_3O_1	S_3O_2	S_3O_3

შენიშვნა: 1. დაშტრიხული უჯრები იმაზე მიუთითებს, რომ შესაბამის პირთა დაჯგუფების ფორმა ზმნაში შეუძლებელია.

2. ზუსტად ასეთივე სახის იქნება პირთა შესაძლო კომბინაციების ტაბულა ორპირიანი გარდაუვალი ზმნისათვის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ პირდაპირი ობიექტის (O) ნაცვლად ირიბი ობიექტი (O) იქნება წარმოდგენილი.

2. სამპირიან ზმნებში პირთა დაჯგუფების კომბინაციათა რაოდენობა თეორიულად 27 უნდა იყოს (ამას შეადგენს სუბიექტურ პირთა რაოდენობის, ირიბ და პირდაპირ ობიექტურ პირთა რაოდენობის საერთო ნამრავლი: $3\times3\times3=27$). მაგრამ სინამდვილეში იქი ბევრად ნაკლებია (სულ 11).

სამპირიანი ზმნებში პირთა შესაძლო და შეუძლო კომბინაციების რაოდენობის გასაგებად ჯერ ყურადღება მივაქციოთ ობიექტურ პირთა შესაძლო კომბინაციებს. თეორიულად თითქოს შესაძლო უნდა უოფილიყო უველა ცხრა კომბინაცია:

$Ö_1O_1$	$Ö_2O_1$	$Ö_3O_1$
$Ö_1O_2$	$Ö_2O_2$	$Ö_3O_2$
$Ö_1O_3$	$Ö_2O_3$	$Ö_3O_3$

მაგრამ ამათგან პრაქტიკულად შეუძლო კომბინაციებია $Ö_1O_1$ და $Ö_2O_2$, რადგან არ შეიძლება ზმნის ერთ ფორმაში პირველი ან მეორე პირი ირიბ ობიექტადაც გამოდიოდეს და პირდაპირადაც.

ასევე შეუძლებელია $Ö_1O_2$ და $Ö_2O_1$ კომბინაციებიც, რადგან ქართული ზმნა ერთდროულად ვერ ჰგუობს როგორც პირველი, ისე მეორე ობიექტური პირის ნიშნებს.

ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისად გამოიყურება ქართული ოთხთავის ეს ადგილები:

1. ნათესავთა შენთა და მღდელთ მოძღუართა **მომცეს** მე შენ (ი. 18, 35; **მომცეს** შენ ჴელთა ჩემთა C), შდრ.: Твой народ и первосвященники предали тебя мне.

2. რომელმან **მიმცა** მე შენ, უფროჲსი ბრალი აქუს (ი. 19,11 C). შდრ.: Более грехи на тот, кто предал меня тебе.

ამ მაგალითებიდან პირველში პირთა ისეთი კომბინაციის გადმოცემის ცდა გვაქვს, როგორიცაა $S_3Ö_1O_2$, ხოლო მეორეში ისეთისა, როგორიცაა $S_3Ö_2O_1$, მაგრამ ორსავე შემთხვევაში ეს ამოცანა გადაწყვეტილია სინტაქსურად და არა მორფოლოგიურად, თავისთავად ისეთი ფორმა, როგორიცაა **მომცეს**, გვაგულისხმებინებს პირთა ასეთ დაჯგუფებას: „მან მე ის“ და არა „მან მე შენ“. ასევე ითქმის **მიმცა** ზმნის შესახებ, რომელიც გვაგულისხმებინებს პირებს: „მან მას მე“ (და არა — „მან შენ მე“).

აქედან გამომდინარე, ობიექტურ პირთა შესაძლო კომბინაციებად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ ხუთი: $Ö_1O_3$, $Ö_2O_3$, $Ö_3O_1$, $Ö_3O_2$ და $Ö_3O_3$. აი, ამ კომბინაციებთან შეიძლება გვქონდეს სუბიექტურ პირთა შეერთება სამპირიან ზმნებში, იმის გათვალისწინებით, რომ ზმნის ფორმაში ერთდროულად არ შეიძლება I ან II პირი სუბიექტადაც გამოდიოდეს და რაიმე სახის ობიექტადაც. ამის მიხედვით შეიძლება სამპირიან ზმნაში პირთა დაჯგუფების შესაძლო კომბინაციები შემდეგი ტაბულის სახით წარმოვიდგინოთ:

ტაბ. 3.

		ობიექტურ პირთა შესაძლო კომბინაციები				
		$Ö_1O_3$	$Ö_2O_3$	$Ö_3O_1$	$Ö_3O_2$	$Ö_3O_3$
სუბიექტური პირები	S_1		$S_1Ö_3O_3$		$S_1Ö_3O_2$	$S_1Ö_3O_3$
	S_2	$S_2Ö_1O_3$		$S_2Ö_3O_1$		$S_2Ö_3O_3$
	S_3	$S_3Ö_1O_3$	$S_3Ö_2O_3$	$S_3Ö_3O_1$	$S_3Ö_3O_2$	$S_3Ö_3O_3$

სამპირიანსა და ორპირიან ზმნებში პირთა ამ შესაძლო კომბინაციებიდან ზოგიერთი ისეთია, რომელსაც ორიენტაციის ორივე სახე მოეპოვება (მიართუა-მოართუა), ზოგიერთიც კი ისეთი, რომელსაც ან მარტო სააქეთო ორიენტაცია მოეპოვება, ან მარტო საიქეთო

(მომცა მან მე ის. მაგრამ არ შეიძლება მიმცა; მივეახლე, მაგრამ არ შეიძლება მოვეახლე). ამიტომ ქვემოთ მოგვიხდება, მი- და მოზმნისწინთა მქონე სამპირიანი და ორპირიანი ზმნები ცალ-ცალკე განვიხილოთ არა მარტო ზემოდასახელებული ჯუფების მიხედვით, არამედ იმის მიხედვითაც, თუ პირთა საერთოდ შესაძლო კომბინაციებიდან რომელს მოეპოვება ორიენტაციის ორივე სახე და რომელს არა.

§ 18. მოუბარი პირის საუბრისდროინდელი და მოქმედებისდროინდელი პოზიციები, მოქმედების საწყის-სასრული პოზიციები. ზმნით შეიძლება გადმოიცეს სამივე დროის მოქმედება. ორიენტაციის სწორად გაგებისათვის მნიშვნელობა აქვს მოუბარი პირის პოზიციების ნათლად წარმოდგენას სამსავე დროში. ამისათვის კი ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ, ერთი მხრით, მოუბარი პირის ის პოზიცია, რომელიც მას საუბრის მომენტში უკავია და, მეორე მხრით, იმავე პირის ის პოზიცია, რომელიც მას ზმნით გადმოცემული მოქმედების ჩადენისას ეკავა წარსულში ან დაკავებული ექნება მომავალში. ამისათვის შემოვიღოთ სათანადო ტერმინები:

მოუბარი პირის იმ პოზიციას, რომელიც მას საუბრის მომენტში უკავია, მოუბარი პირის **საუბრისდროინდელი პოზიცია** ვუწოდოთ, იმ პოზიციას კი, რომელიც მას ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებისას ეკავა წარსულში ან დაკავებული ექნება მომავალში, მოუბარი პირის **მოქმედებისდროინდელი პოზიცია** ვუწოდოთ.

შენიშვნა: მოუბარი პირის მოქმედებისდროინდელი პოზიცია ისე არ უნდა გაიგოთ, თითქოს **პირველი მოქმედი პირის** პოზიციაზე გექონდეს ლაპარაკი. შესაძლოა მოუბარი პირი პირიანობით სულაც არ უკავშირდებოდეს ზმნას, მაგრამ. მიუხედავად ამისა. მოქმედებისდროინდელი პოზიცია მას უთუოდ გააჩნია. მაგალითად, როცა მოუბარი პირი ამბობს:

„მაცნე მოიდა შატილსა“ (ვაჟა). აქ ზმნასთან მოუბარი პირი სულაც არაა პირიანობით დაკავშირებული. მაგრამ იგულისხმება, რომ ეს პირი იქ იმყოფებოდა. სადაც მაცნე მიიდა (შატილში). ამიტომ, შეიძლება ვთქვათ, რომ მოცემულ შემთხვევაში მოუბარი პირის მოქმედებისდროინდელი პოზიცია შატილია.

თუ ზმნა აწმყო დროისაა, მაშინ მოუბარი პირის საუბრისდროინდელი და მოქმედებისდროინდელი პოზიციები ერთი და იგივეა, მაგრამ თუ ზმნა წარსული ან მომავალი დროისაა, მაშინ მოუბარი პირის საუბრისდროინდელი და მოქმედებისდროინდელი პოზიციები ერთი და იგივეც შეიძლება იყოს და სხვადასხვაც. ეს პოზიციები ერთი და

იგივეა, მაგალითად, ამ შემთხვევაში: „მომგუარე მე აქა ძმ შენი!“ (ლ. 9,41), ხოლო სხვადასხვაა ამ შემთხვევაში: „საპყრობილესა ვიყავ და **მოხუედით** ჩემდა“ (მ. 25.36).

მეორე მხრით, ზმნით გამოხატული მოძრაობა-გადაადგილება სივრცობრივად უსათუოდ რაღაც პუნქტში იწყება და რაღაც პუნქტში მთავრდება. ამ პუნქტებს მოქმედების საწყისი და სასრული პუნქტები შეიძლება ვუწოდოთ. ორიენტაციის სწორად გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სწორედ იმის გათვალისწინებას, თუ საიდან (საწყისი თუ სასრული პოზიციიდან) უყურებს ზმნით გამოხატულ მოძრაობა-გადაადგილებას მოუბარი პირი (იხ. § 14).

ავიღოთ ასეთი წინადადება: „მეძიებდეთ მე და არა მპოოთ... რამეთუ მე ვიდრე-იგი **მივალ**, თქუენ ვერ **მოხჳდეთ**“ (ი. 8,21 C).

ამ წინადადებაში **მივალ** ზმნისათვის მოუბარი პირის საუბრისდროინდელი და მოქმედებისდროინდელი პოზიციები ერთი და იგივეა, **მოხჳდეთ** ზმნისათვის კი — სხვადასხვა.

მივალ ზმნისათვის ეს პოზიციები ერთი და იგივეა იმიტომ, რომ მოუბარი პირი სადაც მოქმედებს, იქვე გვესაუბრება. **მოხჳდეთ** ზმნისთვის კი ეს პოზიციები განსხვავებულია იმიტომ, რომ ამ ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებისას მოუბარი პირი, როგორც წინადადებიდან ჩანს, უკვე გადაადგილებული იქნება სხვა პოზიციაზე.

რატომაა, რომ ამ წინადადებაში ერთი და იმავე ადგილიდან ერთი და იმავე ადგილისაკენ მიმართული მოძრაობა მოუბარი (პირველი) პირისათვის საიქეთო ორიენტაციითაა გადმოცემული (მივალ), ხოლო მეორე პირისათვის — სააქეთო ორიენტაციით (მოხჳდეთ)?

ამ განსხვავების საფუძველი შემდეგში მდგომარეობს: სანამ მოუბარი (პირველი) პირი თვითონ ისევ საუბრისდროინდელ პოზიციაზე იმყოფებოდა, ამ ადგილიდან სხვა ადგილისაკენ შესასრულებელ თავის მოძრაობას ისე განიხილავდა, როგორც თავისი პოზიციიდან დამაშორებელს და ამიტომაც შესაბამისი საიქეთო ორიენტაციის **მი-** ზმნისწინს იყენებდა (**მი-ვალ**); მაგრამ მეორე შემთხვევაში, როცა მოუბარმა პირმა თავისი თავი უკვე **იქ** წარმოიდგინა, **სადაც** უნდა იმყოფებოდეს იგი მისკენ მიმართული მეორე პირის მოძრაობის დროს, მან უკვე ეს ახალი პოზიცია მიიჩნია თავის ადგილსამყოფელად და მისკენ მიმართული მოძრაობაც (მეორე პირისა) სააქეთო ორიენტაციის **მო-** ზმნისწინიანი ფორმით გადმოსცა (**მო-ხჳდეთ**).

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოუბარი პირი პირველი ზმნით **(მივალ)** გამოხატულ მოქმედებას მისი საწყისი პოზიციიდან აღწერს

და საამისოდ საიქეთო ორიენტაციის **მი-** ზმნისწინიან ფორმას იყენებს. მეორე ზმნით **(მოხვდეთ)** გადმოცემულ მოქმედებას კი იგი მისი სასრული პოზიციიდან ითვალისწინებს და საამისოდ საქეთო ორიენტაციის **მო-** ზმნისწინიან ფორმას იყენებს.

გავარჩიოთ კიდევ ერთი მაგალითი: „**მივალ** უფლისა, რაჲთა **მოვიდე** მის თანა, ოდეს **მოვიდეს** იგი“ (სინ. მრ. 252.29).

მივალ ზმნის შესახებ ამ წინადადებაშიც იგივე უნდა ვთქვათ, რაც წინა წინადადების განხილვისას ითქვა: ამ ზმნით გამოხატულ მოქმედებას მოუბარი პირი მისი საწყისი პოზიციიდან უყურებს და ამის შესაბამისად საიქეთო ორიენტაციის **მი-**ზმნისწინიან ფორმას იყენებს. დანარჩენი ორი ზმნით **(მოვიდე, მოვიდეს)** გამოხატულ მოქმედებას კი მოაბარი პირი სასრული პოზიციიდან აღწერს და ამიტომ საქეთო ორიენტაციის **მო-** ზმნისწინიან ფორმებს იყენებს.

ახლა საჭიროა, გაირკვეს, კონკრეტულად რა სახის მიმართებები შეიძლებოდა გაგვეგო ძველ ქართულში საქეთო ან საიქეთო ორიენტაციად. ამისათვის კი ცალ-ცალკე განვიხილოთ **მი-** და **მო-** ზმნისწინთა გამოყენების კონკრეტული შემთხვევები.

§ 19. მი- და მო- ზმნისწინები საობიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში. სამპირიან გარდამავალთა შორის ყველაზე დიდ ჯგუფს ქმნის ის ზმნები, რომლებიც გვიჩვენებენ პირდაპირი ობიექტის მოძრაობას სუბიექტისაგან ირიბი ობიექტისაკენ. ასეთ ზმნებს საობიექტო მიმართების ზმნები ვუწოდეთ (§ 16). სათანადო ნიმუშები ასეთია: მისცა — მოსცა, მიუტევა — მოუტევა. მიჰფინა — მოჰფინა, მიუწონა — მოუწონა და სხვ.

გავარკვიოთ ამ ტიპის ზმნებში პირთა რომელ კომბინაციებს მოეპოვება ორივე სახის ორიენტაცია და რომელს — არა.


I

საობიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში როგორც **მი-**, ისე **მო-** ზმნისწინიანი ფორმები მოეპოვება პირთა ისეთ კომბინაციებს, რომლებშიც სუბიექტად, აგრეთვე პირდაპირ ან ირიბ ობიექტად, ნაგულისხმევი არაა პირველი პირი. ასეთი კომბინაციებია:

$$S_2Ö_3O_3; \; S_3Ö_2O_3; \; S_3Ö_3O_2; \; S_3Ö_3O_3.$$

პირთა ეს კომბინაციები **მი-** ზმნისწინიანი ფორმებით მაშინ გვხვდება, როცა ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი პირველი

პირის პოზიციასთან (I●) უფრო ახლოს იმყოფება სუბიექტი (S), ვიდრე ირიბი ობიექტი (Ö), ე. ი. როცა მიმართება ასეთ სახეს იღებს:



S₂Ö₃O₃:

.... მოიკუეთე იგი და მიუგდე ეშმაკსა (სახ. მეტყვ. 26,25):
.... ასულნი ჩუენნი მიათხოვენით ძეთა თქუენთა (დაბად. 34,9);
.... ვის მიუთხრნე სიტყუანი (იობ. 26,20):
.... მიეც კელმწიფებაჲ მოწაფეთა შენთა (საბა ას. 8,13).

S₃Ö₂O₃:

.... ნეტარ არს, რომელმან მიგაგოს მისაგებელი, რომელ შენ მომაგე ჩუენ (ფს. 136,8);
.... ორი წილი სასჯელი მიგკადონ (ისტ. ქრესტ. 11, 2,33);
.... ვინ მიგცა შენ კელმწიფებაჲ ესე (მ. 21,23 C).


S₃Ö₃O₂:

.... ქუეყანამან მსხუერპლად მიგიპყრა ღმერთსა (ჰაბო, ე. 104);
.... მაშინ მიგცნეს თქუენ ჯირსა (მ. 24,9);
.... ეკრძალენით კაცთა, რამეთუ მიგცნენ თქუენ კრებულებსა (მ. 10,17 C).

S₃Ö₃O₃:

.... აღმოიღო მკალი. და მიჰფინა ყოველსა ქუეყანასა ეგჳპტისასა (გამოსლვ. 10,14);
.... მიჰყიდეს იოსებ ისმაიტელთა მათ (დაბად. 37.28);
.... მიუწერა ებისტოლე სერაპიონს (ზარზმ. 168,17);
.... მიაახლნა იგინი მას (დაბად. 48,13);
.... მიუწონეს მას ოც და ათი ვეცხლი (მ. 26,15).

პირთა ამავე კომბინაციებს სააქეთო ორიენტაციის მო- ზმნისწინიანი ფორმები მაშინ აქვთ, როცა იგულისხმება, რომ ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მოუბარი პირის პოზიციასთან უფრო ახლოსაა ირიბი ობიექტური პირი, ვიდრე სუბიექტური, ე. ი. როცა მიმართება ასეთ სახეს იღებს:



S₂Ö₃O₃:

.... მოეც მოშიშთა შენთა სასწაული (ფს. 59,6 Ზ);
.... მოეცით იგი მას ცოლად (დაბად. 34,8);
.... მოეც მათ მოტევებაჲ (ანასტას. 91v,22);
.... არას მოუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ (მრ. 14.60 C);
.... აღმოაესეთ აწ და მოართუთ პურისა უფალსა (ი. 2,8).

$S_2Ö_2O_3$:

.... **მოგეცინ** თქუენ უფალმან მოსაგებელი კეთილი (სინ. მრ. 265,29);
.... ღმერთმან **მოგაგოს** ნაცვალი (ზარზმ. 162,1);
.... ხოლო ნუგეშინის-მცემელი იგი სული წმიდაჲ... **მოგივლინოს** მაცხოვარმან (ი. 14,26 C);
.... **მოგართოდიან** (გამოსლვ. 18,22).


$S_3Ö_3O_3$:

.... არარაჲ **მოუგო** მას სიტყუაჲ (მსაჯ. 19,28);
.... **მოუვლინოს** ჯაბუკსა მას შემწე (საბა, ას. 10,17);
.... მამამან თქუენმან ზეცათამან **მოსცეს** მათ კეთილი (მ. 7,11 C);
.... მოვიდეს და ძღუენი **მოართუეს** მას (სინ. მრ. 15,33);
.... რომელმან **მომმადლა** კაცსა ფუფუნებაჲ (შესაქმ. 69a);
.... იხილა ურმები იგი, რომელ **მოუძღუანა** იოსებ (დაბად. 45,27);
.... **მოჰგუარა** მას დედამან მისმან ცოლი (დაბად. 21,21).

ასევე შესაძლოდ მიგვაჩნია ძველი ქართულისათვის ისეთი ფორმა, როგორიცაა **მოგიპყრა** მან შენ მას ($S_3Ö_3O_2$).

II

საობიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში პირთა ისეთ კომბინაციებს, რომლებიც ირიბ ობიექტად პირველ პირს გულისხმობენ ($S_2Ö_1O_3$ და $S_3Ö_1O_3$), მხოლოდ **მო-** ზმნისწინიახი ფორმები მოეპოვებათ, **მი-** ზმნისწინიანი კი — არა. ეს გასაგებიცაა: საობიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში იგულისხმება, რომ პირდაპირი ობიექტი მოძრაობს ირიბისაკენ და, რადგან განსახილველ კომბინაციებში ირიბი ობიექტი პირველი პირისაა, ცხადია, ორიენტაცია მხოლოდ საკუთო შეიძლება იყოს. ამ შემთხვევაში მიმართება ასეთ სახეს იღებს:



$S_2Ö_1O_3$:

.... **მომიტევე** ჩუენ ბარაბა (ლ. 23,18); **მომიპყარ** მე სამოსელი შენი აქა (რუთ. 3,15);
.... გეცოდრები,... რათა ერთი **მომმადლო** (ზარზმ. 158,13);
.... დიდებაჲ, რომელი **მომეც**, მე მივეც მათ (ი. 17,22);
.... მიქმენ მე საჭმელი და **მომართუ** მე (დაბად. 27,4). მომგუარე მე დიაკეული სამ წლისაჲ (დაბად. 15,9).

$S_3Ö_1O_3$:

.... უფალმან **მომცა** და უფალმანცა მიმიღო (იობ. 1,21);
.... საუნჯე ცხორებისაჲ **მომმადლოს** მე (სინ. მრ. 34,2);
.... **მოგუაგოს** მოსაგებელი ჩუენი (დაბად. 50,15);
.... **მომანიჭა** მე ღმერთმან ნიჭი კეთილი (დაბად. 30,20);
.... ადრე **მომიძღუანოს** იგი აქა (მრ. 11,3 C).

III

საობიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში პირთა ისეთი კომბინაციები, რომლებშიც პირდაპირ ობიექტად პირველი პირია გამოყვანილი ($S_2Ö_3O_1$ და $S_3Ö_3O_1$), თავისთავად გულისხმობს ამ პირველი პირდაპირობიექტური პირის მოძრაობას თავისი პოზიციიდან მესამე პირის ირიბი ობიექტისაკენ. ამიტომ ეს მოძრაობა განხილულ უნდა იქნეს როგორც პირველი პირის პოზიციისაგან დამაშორებელი, ანუ როგორც საიქეთო ორიენტაცია. აქედან გამომდინარე, ასეთი მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა შეიძლება **მი-** ზმნისწინით იყოს გაფორმებული, **მო-** ზმნისწინით კი — არა. სქემით ეს ასე გამოისახება:

$$\text{I}_\bullet \quad S \xrightarrow[\text{მი-}]{O_1} Ö$$

$S_2Ö_3O_1$:

.... ნუ **მიგუცემ** კელთა მათთა (ისტ. ქრესტ. II, 97,3);
.... საყუედრელად უგუნერთა **მიმეც** მე (ფს. 38,9);
.... რაჲთა არა მოვწყდეთ წინაშე შენსა და ქუეყანაჲ მოოკრდეს, **მიმყიდენ** ჩუენ და ქუეყანაჲ ჩუენი პურისა წილ (დაბად. 47,19).

$S_3Ö_3O_1$:

.... რომელმან არა **მიმცა** კელთა ცოდვილთასა (სინ. მრ. 276,28);
.... ერთმან თქუენგანმან **მიმცეს** მე (მ. 26,21);
.... **მიმამოხუია** მე, რაჲთა ღირს ვიქმნე მოწამე ჰეშმარიტ (ისტ. ქრესტ. II, 79,30).

IV

საობიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში გვაქვს პირთა ისეთი კომბინაციებიც, რომლებშიც სუბიექტად პირველი პირია გამოყვანილი. ასეთი კომბინაციებია: $S_1O_2O_3$, $S_1Ö_3O_2$, $S_1Ö_3Ö_3$. სამსავე შემთხვევაში პირველი პირის სუბიექტი ირიბ ობიექტად გამოყვანილი მეორე ან მესამე პირის მიმართულებით ამოძრავებს პირდაპირ ობიექტს, ე. ი. გვაქვს ასეთი მიმართება:

$$S_1 \xrightarrow[\text{მი-}]{O} Ö$$

ნათელია, რომ ასეთი მოძრაობა სუბიექტად გამოყვანილი მოუბარი პირის (I პირის) თვალით შეიძლება მხოლოდ საიქეთო ორიენტაციად იქნეს გააზრებული და სათანადო **მი-** ზმნისწინის მქონე ზმნით გადმოიცეს:

S₁Ö₂O₃:

.... რაჲმე სიტყუაჲ **მიგიგოთ** უფალსა ჩუენსა (დაბად. 44,16);
.... ითხოვენ ჩემგან და **მიგცნე** შენ ყოველნი (ფს. 2.8);
.... არა მე **მიგანიჴე** თქუენ ცხორებაჲ (ისტ. ქრესტ. II, 71,18).

S₁Ö₃O₂:

.... **მიგცე** შენ აღნათქუემად ნათესაეთა და ნათლად წარმართთა დაგადგინე შენ (სინ. მრ. 178,12).

S₁Ö₃O₃:

.... **მივაგი** ცოდუაჲ მამათაჲ შუილთა (გამოსლვ. 20,5)
.... **მივყო** იგავსა ყური ჩემი (ფს. 48.5):
.... მაღლი **მივეც** ქრისტესა (სინ. მრ. 266,18):
.... რომელთა უფრო-რე თუ **მიუსრულო** ტანჯუაჲ (სინ. მრ. 118,211;
.... რაჲთა სიტყუაჲ **მივართუათ** მომაელინებელთა ჩუენთა (ი. 1.22).

*
* *

ასეთ სურათს იძლევა ძველ ქართულში საობიექტო მიმართების სამპირიანი ზმნები **მი-, მო-** ზმნისწინების გამოყენების თვალსაზრისით. ზემოთქმულს თუ ერთად მოვუყრით თავს, შესაძლოა. ძველი ქართულისათვის ერთი ზმნის მაგალითზე წარმოვადგინოთ **მი-** და **მო-** ზმნისწინთა ხმარების სქემა საობიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში:

ტ:ბ. 4.

რა ფუნქციას ასრულებს I პირი	**მი-** ზმნისწინიანი ფორმები	პირთა ჴესაძლო კომბინაციები	**მო-** ზმნისწინიანი ფორმები
I პირი ირიბი ობიექტია	—	$S_2Ö_1O_3$	მომეც
	—	$S_3Ö_1O_3$	მომცა
I პირი პირდაპირი ობიექტია	მიმეც	$S_1Ö_2O_1$	—
	მიმცა	$S_3Ö_2O_1$	—
I პირი სუბიექტია	მიგეც	$S_1Ö_2O_3$	—
	ჩიგეც	$S_1Ö_3O_2$	—
	მიეც	$S_1Ö_3O_3$	—
I პირი ზმნაში სულ არა გვაქვს	მიეც	$S_3Ö_2O_3$	მოეც
	მიგცა	$S_3Ö_3O_2$	მოგცა
	მიგცა	$S_3Ö_3O_2$	მოგცა
	მისცა	$S_3Ö_3O_3$	მოსცა

აქვე შევნიშნავთ. რომ უკვე ძველ ქართულში შესაძლო იყო. **მო-** ზმნისწინითაც გადმოგვეცა პირთა შემდეგი კომბინაციები: S₁Ö₂O₃

(მოგეც) და $S_1O_3O_3$ (მოვეც). მაგრამ ამ საკითხზე ქვემოთ ცალკე ვეყნება მსჯელობა (იხ. § 22) და ამიტომ აქ აღარ შევეხებით.

§ 20. მი- და მო- ზმნისწინები საობიექტო მიმართების ორპირიან გარდაუვალ ზმნებში. საობიექტო მიმართების ორპირიანი გარდაუვალი ზმნები ასეთივე მიმართების სამპირიანი ზმნების კონვერსიულ სახეს წარმოადგენს და მისი სუბიექტური პირი სამპირიანთა პირდაპირ ობიექტურ პირს შეესატყვისება. ამიტომ ამ ზმნებში იმ პირად, რომელიც მოძრაობა-გადაადგილებას განიცდის, სუბიექტია გამოყვანილი და იგი ირიბი ობიექტისაკენ მიემართება. ამ ზმნებშიც პირთა კომბინაციების მიხედვით მი- და მო-ზმნისწინიან ფორმათა შესაძლებლობა-შეუძლებლობის საკითხი იმის მიხედვით წყდება, თუ რა მონაწილეობას იღებს განსახილველ პირთა კომბინაციაში მოუბარი პირი: გამოდის იგი როგორც ირიბი ობიექტი ან სუბიექტი, თუ სავსებით არაა ზმნასთან პირიანობით დაკავშირებული. განვიხილოთ ცალ-ცალკე.

I

საობიექტო მიმართების ორპირიან გარდაუვალ ზმნებში პირთა ისეთ კომბინაციებში, როგორიცაა: S_2O_3, S_3O_2 და S_3O_3, პირველი პირი არც სუბიექტად გვაქვს მოცემული და არც ირიბ ობიექტად. ამიტომ, პირთა ამ კომბინაციებს მი-ზმნისწინიანი ფორმების პარალელურად მო-ზმნისწინიანი ფორმებიც მოეპოვება. ამათგან მი-ზმნისწინიანი ფორმები მაშინ გვაქვს, როცა მოძრაობის საწყის ეტაპზე ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მოუბარი პირის პოზიციასთან სუბიექტური პირი უფრო ახლოს იმყოფება, ვიდრე ირიბი ობიექტი, ე. ი. როცა მიმართება ასეთ სახეს იღებს:

$$I_{\bullet} \quad S_{\bullet} \xrightarrow[\text{მი-}]{S} \ddot{O}$$

S_2O_3:

.... გამოედით და მიეგებვოდეთ მას (მ. 25,6 C);
.... მიემსგავსე.... მოციქულსა პაველს (ჰაბო, ბ, 1-2);

S_3O_2:


.... შენ მიგეცეს ღოცვაჲ იერუსალემს (ფს. 64,2);
.... ღოცვანი ჩემნი მიგეწიფნეს შენ (სინ. მრ. 158,30);
.... მოყუასნი მისნი მიგერთუნენ შენ (ფს. 44,15 Ქ);
.... შენ არა მიგეახლნენ (ფს. 90,7 BDE).

S_3O_3:

.... მიეახლა და ჰრქუა (ისტ. ქრესტ. II, 30,6);
.... მიეყრდნა იგი მკერდსა იესუჲსსა (ი. 13,25);

.... რომელსა აქუნდეს, **მიეცეს** და მიემატოს (მ. 13,12);
.... **მიეგებვოდა** მას კორნელიოს (საქმე, 10,25);
.... მპარავი არა **მიეხებოის** (ლ. 12,33);
.... **მიეგო** კაცად-კაცადი სამკჳდრებელსა თჳსსა (მსაჯ. 21,24);
.... თავადი **მიექცა** პეტრეს და ჰრქუა (მ. 16,23);
.... **მიუკდეს** და წარიტაცეს იგი (საქმე, 6,12);
.... აჩრდილსა **მიემთხჳის** გუელი იგი (სახ. მეტყვ. 30,23).

ამავე ზმნების სააქეთო ორიენტაციის **მო-** ზმნისწინიანი ფორმები მაშინ გვაქვს, როცა იგულისხმება, რომ მოძრაობის საწყის ეტაპზე პირველი პირის პოზიციასთან ირიბი ობიექტი უფრო ახლოსაა, ვიდრე ამ უკანასკნელისაკენ მომართული სუბიექტური პირი, ე. ი. როცა მიმართება ასეთ სახეს იღებს:



$S_2Ö_3$:

.... **მოუკედით** სარწმენოებითა მაგლსა მას (რომ. 5,2);
.... **მოადეგით** სიონსა (ფს. 47.13);
.... **მოეახლე** გუამსა ჩემსა (სინ. მრ. 174.11).

$S_3Ö_2$:


.... რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, **მოგეწყოს** თქუენ (მ. 7,2);
.... ითხოედით, და **მოგეცეს** თქუენ (მ. 7,7);
.... **მოგადგან** შენ მტერთა შენთა ლაშქარი და გარე **მოგადგენ** შენ (ლ. 19,43);
.... **მოგექცენ** და განგხეთქნენ თქუენ (მ. 7,6).

$S_3Ö_3$:

.... ოდეს **მოეახლა** ენებაჲ (ისტ. ქრესტ. II, 29,23);
.... **მოეგენ** მათ, რაჲცა ქმნეს (იობ. 24.20);
.... მზჱ **მოეფინა** ქალაქსა (დაბად. 19.23);
.... **მოექცეს** სულნი მისნი მისავე (საბა. ას. 10.26);
.... **მოეგებვოდა** მას საფლავისაგან კაცი (მრ. 5,2 D).

II

საობიექტო მიმართების ორპირიან გარდაუვალ ზმნებში პირველი ირიბობიექტური პირის შემცველი პირთა კომბინაციები ($S_2Ö_1$ და $S_3Ö_1$) მხოლოდ **მო-** ზმნისწინით შეიძლება გვქონდეს, **მი-** ზმნისწინით კი — არა. ეს გასაგებიცაა: როცა ირიბ ობიექტად გამოყვანილი პირველი პირისაკენ მიემართება სუბიექტი, ასეთი მოქმედება, ორიენტაციის თვალსაზრისით, მხოლოდ სააქეთო შეიძლება იყოს. ამას კი **მო-**ზმნისწინიანი ფორმები შეეფერება. ამ შემთხვევაში მიმართება ასეთ სახეს იღებს:



$S_2Ö_1$:

.... **მომეახლე** და კელი შეგახო (დაბად. 27,21);
.... ნუ **მომეხები** (ი. 20,17 C).


$S_3Ö_1$:

.... არა **მომეხო** მე დრკეი გულითა (ფს. 100,3);
... არღასადა რაჲ **მომეცა** (დაბად. 18,12);
.... რომელნი **მომეახლებოდინ**, მათ ზედა განეწმიდნე (ლევიტ. 10,3).

III

საობიექტო მიმართების ორპირიან გარდაუვალ ზმნებში პირველი პირი თუ სუბიექტადაა გამოყვანილი ($S_1Ö_2$, $S_1Ö_3$), ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მიემართება თავისი პოზიციიდან ირიბი ობიექტისაკენ, ე. ი. შორდება თავის თავდაპირველ პოზიციას:

ასეთი მიმართება კი, პირველი პირის თვალსაზრისით, საიქეთო ორიენტაციად უნდა განიხილებოდეს და **მი**-ზმნისწინიანი ფორმებით გადმოიცემოდეს. ასეც იყო ეს ძველ ქართულში:



$S_1Ö_2$:

.... ვესავ. ვითარმედ ლოცეითა თქუენითა **მიგემადლო** თქუენ (ფილიმონ, 1,22).

$S_1Ö_3$:

.... ვეველრები დაფლვად და ვერ **მივემთხუევი** (იობ. 17,1);
.... **მივეახლე** (საქმე, 11,6);
.... **მივემსგავსნეთ** ერისა კაცთა (ისტ. ქრესტ. II, 7,1);
.... რაჲთამცა არა **მივეცი** ჰერიათა (ი. 18,36 C);
.... შემეწია მე ღმერთი და **მივესწორე** დასა ჩემსა (დაბად. 30,8).

ამასთან ერთად, ძველ ქართულში გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა ამ ტიპის ზმნებში პირთა ეს კომბინაციები **მო**- ზმნისწინითაც გვხვდება, მაგრამ მათ შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვექნება ლაპარაკი (§ 22).

*
* *

ასეთი იყო ძველ ქართულში საობიექტო მიმართების ორპირიან გარდაუვალ ზმნათა საიქეთო და საქეთო ორიენტაციის შესაძლო და შეუძლო ფორმები, ახლა კი ეს შესაძლო და შეუძლო ფორმები ერთი ზმნის მაგალითზე წარმოვადგინოთ (ტაბ. 5):

რა როლს ასრულებს I პირი	მი- ზმნისწინიანი ფორმები	პირთა შესაძლო კომბინაციები	მო- ზმნისწინიანი ფორმები
I პირი ირიბი ობიექტია	—	$S_2\ddot{O}_1$	მოვეახლე
	—	$S_3\ddot{O}_1$	მომეახლა
I პირი სუბიექტია	მიგეახლე	$S_1\ddot{O}_2$	—
	მივეახლე	$S_1\ddot{O}_3$	—
I პირი ზმნაში სულ არა გვაქვს	მიეახლე	$S_3\ddot{O}_3$	მოეახლე
	მიგეახლა	$S_2\ddot{O}_3$	მოგეახლა
	მიეახლა	$S_3\ddot{O}_3$	მოეახლა

ამასთან ერთად, უკვე ძველსავე ქართულში შეიძლებოდა, მო- ზმნისწინით გვქონოდა პირველი სუბიექტური პირის შემცველი ფორმებიც $S_1\ddot{O}_2$ (მოგეახლე) და $S_1\ddot{O}_3$ (მოვეახლე). მაგრამ ეს მოვლენა ძველ ქართულში ჩანასახურ მდგომარეობაში იყო და ახალი ქართულის სინამდვილეს უფრო ასახავს. ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ (§ 22).

§ 21. მი- და მო- ზმნისწინები საობიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში. საობიექტო მიმართების ორპირიანი გარდამავალი ზმნები მი- და მო- ზმნისწინებით შედარებით ცოტა გვაქვს. ასეთებია: მიაელინა — მოაელინა, მიაკორვა — მოაკორვა, მიგზავნა — მოგზავნა, მიყო — მოყო. აქვე შემოდის ზოგიერთი ისეთი ზმნაც, რომელიც კონტექსტის მიხედვით სამპირიანადაც შეიძლება გავიგოთ და — ორპირიანადაც (მიადგინა — მოადგინა, მიაწია — მოაწია, მიაქცია — მოაქცია და სხვ.). საერთოდ კი, ტექსტებში საობიექტო მიმართების ორპირიანი გარდამავალი ზმნები მაორიენტებელი მი-, მო- ზმნისწინებით იშვიათად იხმარება. მათ შორის შედარებით ხშირია **მივლინება — მოვლინება** ზმნათა ხმარების შემთხვევები. განვიხილოთ, რა შემთხვევებში რა შესაძლებლობა გვაქვს ასეთ ზმნებში მი- და მო- ზმნისწინების გამოყენებისა.

I

საობიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებს როგორც მი-, ისე მო- ზმნისწინები მაშინ შეიძლება ჰქონდეს, როცა პირთა კომბინაცია ერთ-ერთ წევრად (სუბიექტად ან პირდაპირ ობიექტად) არ შეიცავს პირველ პირს. ასეთი კომბინაციებია: S_2O_3, S_3O_2 და S_3O_3.

ამათგან **მი-**ზმნისწინიანი ფორმები მაშინ გვაქვს, როცა მეორე ან მესამე პირის სუბიექტი პირდაპირ ობიექტს ისე ამოძრავებს, რომ ეს უკანასკნელი შორდებოდეს ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მოუბარი პირის პოზიციას. ამ მიმართების სქემაა:

$$\text{I}_{\bullet} \quad S \xrightarrow[\text{მი-}]{O}$$

S_2O_3:

.... თქუენ **მიავლინეთ** იოვანესა, და წამა ჰეშმარიტი (ი. 5,33).

S_3O_2:

.... **მიგაქცინეს** თქუენ ქუეყანად მამათა თქუენთა! (დაბად. 48,21).

S_3O_3:

.... **მიავლინა** მენ ერმან მან ათორმეტი ათასი კაცი (მსაჯ. 21,10);
.... წარიყუანეს იგი კესარიად და **მიგზავნეს** ტარსედ (საქმე, 9,30);
.... **მიაგორვა** ლოდი კარსა მას სამარისასა (მრ. 15,46 C).

ამავე ზმნების **მო-**ზმნისწინიანი ფორმები მაშინ გვექნება, როცა ნაგულისხმევია სუბიექტისაგან პირდაპირი ობიექტის გადაადგილება ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მოუბარი პირის მიმართულებით, ე. ი. როცა მიმართება ასეთ სახეს იღებს:

$$\text{I}_{\bullet} \quad \xleftarrow[\text{მო-}]{O} S$$

S_2O_3:

.... გეეედრები.... რადთა **მოავლინოთ** წყალობაჲ თქუენი ჩემ ზედა (ისტ. ქრესტ. II, 6,25);
.... **მოყავ** ჩემდა ყური შენი (ფს. 16,6);
.... რომლისათჳს-იგი **მოსწერეთ** ჩემდა (1 კორინთ. 7,1).

S_3O_3:

.... დიდსა ჰირსა ჩუენ ზედა **მოაწევდა** (სინ. მრ. 43,17);
.... მეყსეულად **მოსცა** ოხრაჲ მდინარემან (ლიტ. ქრესტ. I, 18,21);
.... **მოაქცია** ყოველი ცხენები სოდომისაჲ (დაბად. 14,16);
.... მარცხენჲ მისი **მოყო** (იობ. 23,9);
.... **მოადგინეს** მათ ნავები (ი. 6.24);
.... **მოაგორვა** ლოდი დიდი კარსა მის საფლავისასა (მ. 27,60);
.... ესე ღმერთმან მთავრად და მჴსნელად **მოავლინა** (საქმე 7,35);
.... **მოჰბერა** მათ ზედა და განქმეს (იობ. 4,21).

ასევე შესაძლოდ უნდა მივიჩნიოთ **მოგავლინა** და სხვა ასეთი ფორმები (S_3O_2).

საობიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში პირთა ისეთი კომბინაციები, რომლებშიც პირველი პირი პირდაპირ ობიექტადაა გამოყვანილი (S_2O_1 და S_3O_1), გვაგულისხმებინებს, რომ სუბიექტი ამოძრავებს პირველი პირის ობიექტს მისი საწყისი მდგომარეობიდან **იქეთ** ან **აქეთ**. ამიტომ პირთა ამ კომბინაციებსაც ორივე ფორმა მოეპოვება: როგორც **მი**-ზმნისწინიანი, ისე **მო**-ზმნისწინიანი.

ამათგან **მი**-ზმნისწინიანი ფორმები მაშინ გვაქვს, როცა იგულისხმება პირველი პირის ობიექტის მოძრაობა **იქეთ**, ე. ი. როცა მიმართება ასეთი სახისაა:

$$I_{\bullet} \quad S \xrightarrow[\text{მი-}]{O_1}$$

S_2O_1:

.... კელთა შენთა შემქმნეს მე და დამბადეს მე. ამისა შენდგომად **მიმაქციე** და დამეც მე (იობ. 10,8).

S_3O_1:

.... **მიგუავლინენ** ჩუენ ღორებსა იმას, რაჲთა შევიდეთ მათა (მრ. 5,12 C).

მო-ზმნისწინიანი ფორმები კი მაშინ გამოიყენება, როცა გადმოსაცემია პირველი პირის ობიექტის მოძრაობა **აქეთ**, ე. ი. როცა მიმართება ასეთი სახისაა:

$$I_{\bullet} \quad \xleftarrow[\text{მო-}]{O_1} \quad S$$


S_2O_1:

.... შენ **მომავლინე** მე (ი. 11,42).

S_3O_1:

.... რომელმან ზეცით **მომავლინა** მე (სინ. მრ. 27,23);
.... **მოგუავლინნა** ჩუენ უფალმან (დაბად. 19,13).

მო-ზმნისწინიანი ფორმები ისეთი ზმნებისათვის, რომლებსაც პირდაპირ ობიექტად პირველი პირი შეეწყობა, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა პირველი პირის მოქმედებისდროინდელი პოზიცია სხვაა და საუბრისდროინდელი პოზიცია სხვა, ე. ი. როცა მიმართებამ შეიძლება ასეთი სახე მიიღოს:




ნახ. 4.

ამ შემთხვევაში მოუბარი პირი მიმართებას ამყარებს, ერთი მხრით, თავის მოქმედებისდროინდელსა და, მეორე მხრით, თავისივე საუბრისდროინდელ პოზიციებს შორის და მიიჩნევს, რომ იგი, როგორც პირდაპირი ობიექტი, მოძრაობდა თავისი მოქმედებისდროინდელი პოზიციიდან („იქიდან") თავისი საუბრისდროინდელი პოზიციისაკენ („აქეთკენ"): **მომავლინე იქიდან**, სადაც მაშინ ვიყავი, **აქეთ**, სადაც ახლა ვარ (§ 18).

იმ შემთხვევაში კი, როცა პირველი პირის მოქმედებისდროინდელი პოზიცია ემთხვევა მისსავე საუბრისდროინდელ პოზიციას, S_2O_1-სა და S_3O_1 კომბინაციებს მხოლოდ **მი-** ზმნისწინიანი ფორმები შეიძლება ჰქონდეს (არ შეიძლება ასე: **მომავლინე აქედან**. სადაც ახლა ვარ, **აქ**, სადაც ახლა ვარ. შეიძლება მხოლოდ ასე: **მიმავლინე აქედან**, სადაც ახლა ვარ, **იქ** (სხვაგან).

III

პირთა ისეთი კომბინაციებით, რომლებიც სუბიექტად პირველ პირს შეიცავენ (S_1O_2 და S_1O_3), გადმოიცემა პირდაპირი ობიექტის დაშორება პირველი სუბიექტური პირისაგან, ე. ი. მიმართება ასეთი იქნება:



ეს კი, თავისთავად ცხადია, პირველი პირისაგან დამაშორებელ, საიქეთო ორიენტაციად შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომაც ასეთი მიმართებები **მი-** ზმნისწინის მქონე ზმნებით უნდა გადმოცემულიყო. ასეც იყო ეს ძველ ქართულში:

S_1O_2:

.... **მე მიგავლინებ** თქუენ (მ. 10,16).


S_1O_3:

.... **რომელი-იგი მივავლინე** შენდა (ფილიმ. 1,11);
.... **მივწერე** თქუენდა ესევე (2 კორინთ. 2,3);
.... **ამას მივსწერ** შენდა (1 ტიმოთე 3,14).

ასე წყდება საკითხი იმ შემთხვევისათვის, როცა პირველი პირის

მოქმედებისდროინდელი პოზიცია ემთხვევა მისსავე საუბრისდროინდელ პოზიციას.

მაგრამ თუ ისეთ შემთხვევას ავიღებთ, როცა პირველი პირის მოქმედებისდროინდელი პოზიცია დაშორებულია მისივე საუბრისდროინდელი პოზიციისაგან, შეიძლება S_1O_2 და S_1O_3 კომბინაციები მო- ზმნისწინიანი ფორმებითაც გადმოიცეს: „მოგავლინე იქიდან, სადაც მაშინ ვიყავი, აქ, სადაც ახლა ვარ". ე. ი. ამ შემთხვევაში პირველი პირი მის მიერ წარსულში შესრულებულ მოქმედებას ისე განიხილავს, როგორც მისი ახლანდელი პოზიციისაკენ დამაახლოებელს, როგორც საქეთოს:




ნახ. 5.

ამის ნიმუშად შეიძლებოდა მოგვეყვანა. მაგალითად, ასეთი ფრაზა: „უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა. უკუეთუ წარვიდე, **მოვავლინო** იგი" (სინ. მრ. 165, 19-20). აქ **მოვავლინო** ასეთი შინაარსითაა მოცემული: მოვავლინო იქიდან, სადაც მაშინ ვიქნები, აქ, სადაც ახლა ვარ.

* * *

ამგვარად, საობიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნას ძველ ქართულში როგორც **მი-**, ისე **მო-**ზმნისწინიანი ფორმები პირთა ყოველი კომბინაციისათვის იმ შემთხვევაში ჰქონდა, როცა პირველი პირის მოქმედებისდროინდელი და საუბრისდროინდელი პოზიციები სხვადასხვა იყო. ე. ი. როცა მას თავისი მოქმედებისდროინდელი პოზიციიდან პირდაპირი ობიექტის მოძრაობა ისეც შეეძლო წარმოედგინა, როგორც საუბრისდროინდელი პოზიციისაკენ დამაახლოებელი, და ისეც, როგორც ამავე პოზიციისადმი დამაშორებელი:



მაგრამ, თუ პირველი პირის მოქმედებისდროინდელი პოზიცია ემთხვევა საუბრისდროინდელ პოზიციას, მაშინ მას საქეთო ორიენტაციის ფორმები აკლია პირთა ისეთი კომბინაციებისათვის, რომლებშიც სუბიექტად ან პირდაპირ ობიექტად პირველი პირი გამოდის. ამ შემთხვევაში ზმნის უღლება ასეთ სახეს იღებს:

ტაბ. 6.

რა როლს ასრულებს I პირი	მი- ზმნისწინიანი ფორმები	პირთა შესაძლო კომბინაციები	მო- ზმნისწინიანი ფორმები
I პირი სუბიექტია	მიგავლინე მივავლინე	S_1O_2 S_1O_3	— —
I პირი პირდაპირი ობიექტია	მიმავლინე მიმავლინა	S_2O_1 S_3O_1	— —
I პირი ზმნაში სულ არა გვაქვს	მიავლინე მიგავლინა მიავლინა	S_2O_3 S_3O_2 S_3O_3	მოავლინე მოგავლინა მოავლინა

§ 22. ორიენტაცია მეორე პირის მიმართ. თუ მეორე პირის პოზიციიდან მოუბარი პირის პოზიციისაკენ მიმართული მოძრაობა საქმეთო ორიენტაციად განიხილება და მო- ზმნისწინით გადმოიცემა, ამის საპირისპიროდ, მოუბარი პირის პოზიციიდან მეორე პირის პოზიციისაკენ მიმართული მოძრაობა საიქმეთოდ უნდა განიხილებოდეს და სათანადო მი- ზმნისწინითაც გადმოიცემოდეს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველ ქართულში ეს ასეც იყო საობიექტო მიმართების სამპირიანსა და ორპირიან ზმნებში, აგრეთვე ერთპირიან ზმნებშიც:

.... მიბრძანე მე მისლვად შენდა (მ. 14,28);
.... რომელი-იგი მივავლინე შენდა (ფილიმ. 1,11);
.... ლოცვითა თქუენითა მიგემადლო თქუენ (ფილიმ. 1,22);
.... მშჳდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ (ი. 14,27).

ამასთან ერთად, უკვე ძველსავე ქართულში იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როცა მოუბარი პირისაგან მეორე პირისაკენ მიმართული მოძრაობა სააქეთო ორიენტაციად განიხილება და მო- ზმნისწინის მქონე სათანადო ზმნით გადმოიცემა. აი ნიმუშებიც:

ა) **ერთპირიან ზმნებში:**

.... მო-რაჲ-ვიდე, მაშინ მიგცე შენ (ლ. 10,35);
.... რაჟამს ჰპოოთ, მითხართ მე, რაჲთა მე მოვიდე და თაყუანის-ვსცე (მ. 2,8 C).

ბ) **ორპირიან გარდაუვალ ზმნებში:**

.... მოგეახლები კუალად ჩუენებად თქუენდა თომაჲსსა (სინ. მრ. 171,5).

გ) ორპირიან გარდამავალ ზმნებში:

.... **მოვწერე** თქუედა წიგნსა ამას შინა (1 კორინ. 5,9);
.... მე **მომივლენიან** იგინი შენდა (საქმე. 10,20):
.... **მოვაკლინო** შენ ზედა რისხვაჲ (ას. ცხ. 204,12).

დ) სამპირიან გარდამავალ ზმნებში:

.... უკუეთუ მიუიდე, **მოგივლინო** იგი თქუენდა (ი. 16,7 C):
.... ვაკურთხო იგი და **მოგცე** შენ მისგან შვილი (დაბად. 17,16).

ჩანს, რომ პირველი პირისაგან მეორე პირისაკენ მიმართული მოძრაობის **მო-** ზმნისწინიანი ფორმებით გადმოცემას საკმაოდ ადრე ჩაეყარა საფუძველი. ასე რომ, უკვე ძველსავე ქართულში მსგავს შემთხვევაში **მი-** ზმნისწინიანი ფორმების პარალელურად **მო-** ზმნისწინიანი ფორმების გამოყენებაც შეიძლებოდა:

.... რაჲთა სიკუდილი ეგე თქუენი აღმატოს ქრისტე იესოჲს მიერ ჩემდა მომართ, ჩემითა მით **მისლვითა** კუალად **თქუენდა მიმართ.** გარნა ღირსად ხოლო სახარებისა მის ქრისტესისა ვიდოდეთ, რაჲთა გინა თუ **მოვიდე** და გიხილნე თქუენ, გინა თუ შორს ვიყო და მესმას თქუენთჳს, ვითარმედ სდგათ თქუენ ერთითა სულითა (ფილიპ. 1.26-27).

რაც შეეხება ახალ ქართულს, აქ საბოლოოდ დამკვიდრდა **მო-** ზმნისწინის ხმარება მაშინ, როცა მოუბარი პირისაგან მეორე პირისაკენ მიმართული მოძრაობა გადმოიცემა. ასე რომ. დღევანდელ ქართულში უკვე ვეღარ შევხვდებით ასეთ ფორმებს: **მივალ** შენთან, **მიგეახლები, მიგივლინო, მიგცე** და ა. შ. ამათი ადგილი დაკავებული აქვს **მო-** ზმნისწინიან ფორმებს: **მოგეახლები, მოგივლენ, მოგცემ,** შენთან **მოვალ** და ა. შ.

თუ რით აიხსნება პირველი პირისაგან მეორე პირისაკენ მიმართული მოძრაობის **მო-** ზმნისწინით გადმოცემა. ამის შესახებ ა. შანიძე წერს: „II პირი ის პირია, რომელსაც ეუბნებიან, ხოლო ასეთი პირი ჩვეულებრივ იქვე არის. სადაც მოუბარია. ამიტომ ის I პირის მყოფობის არეში იგულისხმება და იმავე ზმნისწინს ხმარობს, რასაც I პირი, ე. ი. **მო-**ს. როდესაც ვკითხულობთ: „თქვენთანაც კი **მომასწავლეს**“-ო..., ეს იმას ნიშნავს. რომ II პირი, რომელსაც ელაპარაკებიან. სადღაც იქვეა, სადაც პირველი პირი.... ძველად მეორე პირისკენ მიქცეული მოქმედება გარკვეულ შემთხვევებში **მი-**თი გადმოიცემოდა... მაგრამ დღეს ასეთ მოვლენას ადგილი აღარ აქვს“ [1].

ძველ ქართულში პირველი პირისაგან მეორე პირისაკენ მიმართული მოძრაობის **მო-** ზმნისწინიანი ფორმებით გადმოცემის შესაძლებ-

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 312.

ლობამ, ეტყობა, თავისთავად განაპირობა მო- ზმნისწინის ხმარება, მაშინაც, როცა გადმოსაცემია პირველი პირისაგან ისეთი მესამე პირისაკენ მიმართული მოძრაობაც, რომელიც მეორე პირის არეშია მოქცეული:

...მოუქდეთ მას ამიერითგან... და ნუ შეურაცხ-ვჰყოფთ (სინ. მრ. 175,35);
.... მოვართუ იგი მოწაფეთა შენთა (მ. 17,16 C);
.... ერთი-ღა ტანჯვაჲ მოვჰკადო ფარაოს ზედა (გამოსლ. 11.1).

§ 23. მი- და მო- ზმნისწინები საობიექტო მიმართების ზმნებში (საერთო შედეგები). ზემოთქმულის მიხედვით (§ 19-21), ძველ ქართულში საობიექტო მიმართების ზმნებში მი- და მო- ზმნისწინების ხმარების შესახებ შემდეგი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ:

1. ძველ ქართულში ორიენტაციის როგორობა ძირითადად მოუბარი პირის პოზიციის მიხედვით განისაზღვრებოდა. ამასთან ერთად, იმის გასარკვევად, თუ ორიენტაციის რომელი სახე შეიძლება ჰქონოდა ან არ ჰქონოდა პირთა ამა თუ იმ კომბინაციას, მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ რას წარმოადგენდა მოუბარი პირი—ზმნის სუბიექტს, პირდაპირ ობიექტს, ირიბ ობიექტს, თუ იგი ზმნას პირიანობით საერთოდ არ უკავშირდებოდა.

2. საობიექტო მიმართების სამპირიან გარდამავალსა და ორპირიან გარდაუვალ ზმნებს, როცა მათთან ირიბ ობიექტად პირველი პირი გამოდიოდა, მხოლოდ საქეთო ორიენტაციის ფორმები მოეპოვებოდა ($S_2O_1O_3$ — მომეც, $S_3O_1O_3$ — მომცა, S_2O_1 — მომეახლე, S_3O_1 — მომეახლა).

3. საობიექტო მიმართების სამპირიან გარდამავალსა და ორპირიან გარდაუვალ ზმნებს, როცა მათთან სუბიექტად პირველი პირი გამოდიოდა, მხოლოდ საიქეთო ორიენტაციის ფორმები ჰქონდათ ($S_1O_2O_3$—მიგეცი, $S_1O_3O_2$—მიგეცი, $S_1O_3O_3$—მივეცი, S_1O_2—მიგეახლე, S_1O_3 — მივეახლე). მსგავსი შეზღუდვა იყო ასეთივე მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებშიც, როცა სუბიექტად გამოყვანილი პირველი პირი თავის მოქმედებისდროინდელ პოზიციად საუბრისდროინდელ პოზიციას მიიჩნევდა (S_1O_2—მიგავლინე, S_1O_3—მივავლინე).

4. საობიექტო მიმართების სამპირიან გარდამავალ ზმნებს, რომელთაც პირდაპირ ობიექტად პირველი პირი შეეწყობოდა, მხოლოდ საიქეთო ორიენტაციის ფორმები მოეპოვებოდათ ($S_2O_3O_1$ — მიმეცი, $S_3O_3O_1$—მიმცა). ასევე, მხოლოდ მი- ზმნისწინიანი ფორმები

ტაბ. 7.

მი- და მო- ზმნისწინიანი შესაძლო და შეუძლო ფორმები საობიექტო მიმართების ზმნებისათვის ძველ ქართულში იმ შემთხვევაში, როცა მოუბარი პირის მოქმედებისდროინდელი და საუბრისდროინდელი პოზიციები ერთი და იგივეა

	სამპირიან ზმნებში			ორპირიან გარდაუვალ ზმნებში			ორპირიან გარდამავალ ზმნებში		
როცა I პირი ირიბი ობიექტია	—	$S_2O_1O_3$	მო-მეც	—	S_2O_1	მო-მეახლე			
	—	$S_3O_1O_3$	მო-მცა	—	S_3O_1	მო-მეახლა			
როცა I პირი პირდაპირი ობიექტია	მი-მეც	$S_2O_3O_1$	—				მი-მაელინე	S_2O_1	—
	მი-მცა	$S_3O_3O_1$	—				მი-მაელინა	S_3O_1	—
როცა I პირი სუბიექტია	მი-გეც	$S_1O_2O_3$	—	მი-გეახლე	S_1O_2	—			
	მი-გეც	$S_1O_3O_2$	—	მი-ვეახლე	S_1O_3	—	მი-გაელინე	S_1O_2	—
	მი-ვეც	$S_1O_3O_3$	—				მი-ვაელინე	S_1O_3	—
როცა I პირი ზმნაში სუბ. არა გვაქვს	მი-ეც	$S_2O_3O_3$	მო-ეც	მი-ეახლე	S_2O_3	მო-ეახლე	მი-აელინე	S_2O_3	მო-აელინე
	მი-გცა	$S_3O_2O_3$	მო-გცა	მი-გეახლა	S_3O_2	მო-გეახლა	მი-გაელინა	S_3O_2	მო-გაელინა
	მი-გცა	$S_3O_3O_2$	მო-გცა	მი-ეახლა	S_3O_1	მო-ეახლა	მი-აელინა	S_3O_3	მო-აელინა
	მი-სცა	$S_3O_3O_3$	მო-სცა						

გვქონდა ორპირიან გარდამავალ ზმნებშიც, როცა პირდაპირ ობიექტად გამოყვანილი პირველი პირი თავის მოქმედებისდროინდელ პოზიციად თავის საუბრისდროინდელ პოზიციას მიიჩნევდა (S₂O₁—მიმავლინე. S₃O₁—მიმავლინა).

5. საობიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებს, რომელთაც სუბიექტად ან ობიექტად პირველი პირი შეეწყობოდა, როგორც მი-, ისე მო- ზმნისწინიანი ფორმები იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონოდა, თუ სხვა იყო პირველი პირის მოქმედებისდროინდელი პოზიცია და სხვა—საუბრისდროინდელი პოზიცია (S₁O₂—მიგავლინე, მოგავლინე. S₁O₃—მივავლინე, მოვავლინე; S₂O₁— მიმავლინე, მომავლინე. S₃O₁—მიმავლინა, მომავლინა).

6. საობიექტო მიმართების სამპირიანსა და ორპირიან ზმნებს, რომლებშიც სუბიექტად ან ობიექტად პირველი პირი არ გამოდიოდა. შეიძლებოდა მი- ზმნისწინიც დართოდა და მო- ზმნისწინიც (S₃O₃O₃—მისცა, მოსცა...., S₃O₃—მიეახლა, მოეახლა...., S₃O₃—მიავლინა, მოავლინა.....).

აქვე მოგვყავს მი- და მო-ზმნისწინიანი შესაძლო და შეუძლო ფორმების ტაბულა საობიექტო მიმართების ზმნებისათვის ძველ ქართულში (ტაბულა 7).

სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო საქმის ვითარება ძველი ქართულის ადრეულ პერიოდში. მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა (§ 22), უკვე ძველსავე ქართულში გვაქვს ჩანასახები ზოგიერთი ცვლილებისა ორიენტაციის გაგებაში. საქმე ეხება ორიენტაციას მეორე პირის მიმართ, აგრეთვე მეორე პირის მყოფობის არეში მოქცეული მესამე პირის მიმართ. როგორც ითქვა. ასეთ შემთხვევებშიც შეიძლებოდა, ორიენტაცია სააქეთოდ გააზრებულიყო, მაგრამ ძველ ქართულში ამის გამოვლინება ხშირ ხასიათს როდი ატარებს. დღეისათვის კი მეორე პირისაკენ მიმართული მოძრაობა ყოველთვის სააქეთოდ გაიაზრება. ამის მიხედვით, ახალ ქართულში თვალსაჩინო ცვლილებაა მომხდარი და მის კანონზომიერებათა დადგენა ცალკე კვლევას საჭიროებს.

§ 24. მ ი- და მ ო- ზმნისწინები სასუბიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში. სასუბიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში, როგორც ითქვა (§ 16), ისეთ ზმნებს ვგულისხმობთ, რომლებიც, წინააღმდეგ საობიექტო მიმართების სამპირიანი ზმნებისა, გვიჩვენებენ პირდაპირი ობიექტის მოძრაობას ირიბი ობიექტისაგან სუბიექტისაკენ.

სასუბიექტო მიმართების ზმნები ძალზე მცირეა. აქ შეიძლება და-

ვასახელოთ: **მიღება — მოღება, მიპარვა — მოპარვა, მიტაცება — მოტაცება, მიკდა — მოკდა.** ამათგან ყველაზე ხშირია **მიღება — მოღება** ზმნების ხმარების შემთხვევები წ ა რ თ მ ე ვ ი ს შინაარსით.

განვიხილოთ ამ ზმნების **მი-** და **მო-** ზმნისწინიანი ფორმები.

I

თუ სასუბიექტო მიმართების ზმნას ირიბ ობიექტად პირველი პირი შეეწყობა, მაშინ ეს ზმნა **მო-** ზმნისწინს ვერ იგუებს. ეს იმიტომ, რომ ამ ტიპის ზმნა გულისხმობს პირდაპირი ობიექტის დაშორებას ირიბისაგან და მის დაახლოებას სუბიექტთან, ასე რომ, თუ ირიბ ობიექტად პირველი პირი აღმოჩნდება, მაშინ მივიღებთ ისეთ ფორმას, რომელიც გულისხმობს პირდაპირი ობიექტის დაშორებას პირველი პირის ირიბი ობიექტისაგან და სუბიექტისადმი მის დაახლოებას:

$$\ddot{O}_1 \xrightarrow{\quad O \quad} S$$

ცხადია, ასეთი მოძრაობა საიქეთო ორიენტაციისაა და **მი-** ზმნისწინით უნდა გადმოიცეს, **მო-თი კი** — არა.

$S_2\ddot{O}_1O_3$:

.... ნეუკეე **მიმიხუნე** ასულნი შენნი და ყოველივე ჩემი (დაბად. 31,31);

.... სულსა წმიდასა შენსა ნუ **მიმიღებ** ჩემგან (ფს. 50,13);

.... ვერ კმა არსა შენდა, რამეთუ **მიმიღე** ქმარი ჩემი? ნეუკეე მანდრაგურიცა ძისა ჩემისა **მიმიღოა?** (დაბად. 30,15).

$S_3\ddot{O}_1O_3$:

....მკეცმან ბოროტმან **მიმტაცა** იოსებ (დაბად. 37,33);

.... **მიმტაცეს** მონაგები ჩემი უცხოთა (იობ. 17,3);

.... **მიმიღო** გკრგკნი თავისაგან ჩემისა (იობ. 19,9);

.... **მიმიღო** იგი ჩემგან და თკსსა დედასა მისცა (ისტ. ჭრესტ. II, 27,33).

როცა პირთა ეს კომბინაციები საობიექტო მიმართების ზმნებში განვიხილეთ (§ 19), ვნახეთ, რომ მათ იქ **მი-** ზმნისწინიანი ფორმები აკლდათ, აქ კი სწორედ ეს ფორმები მოეპოვებათ და ამის საპირისპიროდ **მო-** ზმნისწინიანი ფორმები არ გააჩნიათ.

საობიექტო და სასუბიექტო მიმართების ზმნათა ეს ურთიერთსაპირისპირო ბუნება კიდევ უფრო საგრძნობი გახდება, თუ ისეთ წინადადებებს მოვიმარჯვებთ, რომლებშიც პირთა ერთი და იგივე კომბინაცია ორივე ტიპის ზმნით გვექნება წარმოდგენილი:

S₂Ö₁O₃:

.... რაჲსათჳს მომაგეთ მე ბოროტი კეთილისა ჭილ? რაჲსათჳს მიმპარეთ ბარძიმი ჩემი ვეცხლისაჲ? (დაბად. 44,4).

S₃Ö₁O₃:

.... უფალმან მომცა და უფალმანცა მიმიღო (იობ. 1,21).

მოცემული წინადადებებიდან პირველში **მომაგეთ** და **მიმპარეთ** ზმნები უპირისპირდება ერთმანეთს. მეორეში კი—**მომცა** და **მიმიღო** ზმნები. ორჯერვე დაპირისპირების საფუძველი მიმართებათა განსხვავებაა. ისეთი ზმნები, როგორიცაა **მიმპარეთ, მიმიღო,** პირველი ირიბ-ობიექტური პირისაგან დაშორებას გვაგულისხმებინებს და საიქეთო ორიენტაციის **მი-** ზმნისწინითაა გაფორმებული. რაც შეეხება ზმნებს — **მომცა, მომაგეთ,** ესენი პირველი პირის ირიბი ობიექტისადმი დაახლოებას გვაგულისხმებინებენ და სათანადო **მო-** ზმნისწინითაც არიან გაფორმებული. ამიტომაა, რომ ორიენტაციის გაგებისას არ შეიძლება. გვქონდეს, ერთი მხრით, **მიმცა, მიმაგო** (მან მე იგი), ხოლო მეორე მხრით, **მომტაცა, მომპარა** (მან მე იგი) ფორმები.

მართალია, დღევანდელ ქართულში ერთადერთ შესაძლო ფორმებად სწორედ **მომტაცა** და **მომპარა** იქცა და აღარა. გვაქვს **მიმტაცა** და **მიმპარა,** მაგრამ ამ შემთხვევაში ზმნისწინს უკვე დაკარგული აქვს მაორიენტებელი ძალა.

II

ახლა ისეთი ფორმები განვიხილოთ, რომლებშიც პირდაპირ ობიექტურ პირად პირველი პირია გამოყვანილი (S₂Ö₃O₁ და S₃Ö₃O₁). საობიექტო მიმართების ზმნებში პირთა ამ კომბინაციებს მხოლოდ **მი-** ზმნისწინიანი ფორმები მოეპოვებოდათ (**მიმეც** შენ მას მე, **მიმცა** მან მას მე). ამიტომ ბუნებრივად უნდა ვივარაუდოთ, რომ სასუბიექტო მიმართების სამპირიან ზმნებში პირთა ამ კომბინაციებს **მო-** ზმნისწინიანი ფორმები უნდა ჰქონდეს, ხოლო **მი-** ზმნისწინიანი — არა. მაშასადამე. უნდა არსებობდეს ასეთი ზმნები: **მომტაცე** შენ მას მე. **მომტაცა** მან მას მე. რაც სქემით ასე გამოისახებოდა:

$$S \xleftarrow[\text{მო-}]{O_1} Ö$$

მართალია, ასეთი ფორმები ძველი ქართული ენის ძეგლებში ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ ეს გარემოება მათს შეუძლებლობას როდი ნიშნავს. **მომტაცე** (შენ მე მას) ფორმა დამოწმებული აქვს აკაკი შანიძეს თეიმურაზ პირველის „ვარდ-ბულბულიანიდან“:

„სიკვდილს **მომტაცე,** სიცოცხლე გიბოძე იგ აქ შენაო“ [1].

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 294.

III

განვიხილოთ პირთა ისეთი კომბინაციები, რომლებშიც სუბიექტად პირველი პირია გამოყვანილი ($S_1Ö_2O_3$, $S_1Ö_3O_2$, $S_1Ö_3O_3$). პირთა ამ კომბინაციებს საობიექტო მიმართების ზმნებში მხოლოდ **მი-** ზმნისწინიანი ფორმები მოეპოვებოდა (მივეც, მიგეც); აქედან გამომდინარე: სასუბიექტო მიმართების ზმნებში მათ **მო-** ზმნისწინიანი ფორმები უნდა ჰქონდეთ, რაც სქემით ასე გამოისახება:

$$S_1 \xleftarrow[\text{მო-}]{O} \ddot{O}$$

ასეთი ფორმები ძველი ქართულის ტექსტებიდან თუმცა დამოწმებული არა გვაქვს, მაგრამ მაინც ვვარაუდობთ მათს შესაძლებლობას (მე შენ მას **მოგტაცე**, მე შენ ის **მოგტაცე**. მე ის მას **მოვსტაცე**). რაც შეეხება პირთა ამ კომბინაციებს **მი-** ზმნისწინით. ასეთი ფორმები ორიენტაციის გაგების პირობებში არ უნდა გვქონოდა.

IV

დაგვრჩა პირთა ისეთი კომბინაციები, რომლებშიც პირველი პირი არც სუბიექტად შედის და არც რომელიმე სახის ობიექტად. ასეთი კომბინაციებია: $S_2Ö_3O_3$, $S_3Ö_3O_2$, $S_3Ö_2O_3$ და $S_3Ö_3O_3$.

როცა ზმნა პირთა ამ კომბინაციებითაა წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ მოუბარ პირს შესაძლებლობა აქვს, ან იქიდან უყუროს მოძრაობას, საითაც იგი მიემართება, ან კიდევ იქიდან, საიდანაც იგი მოძრაობას იწყებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას შესაძლებლობა აქვს, პირთა აღნიშნული კომბინაციები ორივე სახის ორიენტაციით გადმოსცეს. ეს ასეც იყო ძველ ქართულში, რაც ზემოთ კიდეც ვუჩვენეთ საობიექტო მიმართების ზმნათა მაგალითზე. ახლა კი სასუბიექტო მიმართების ზმნათა მაგალითზე განვიხილოთ.

სასუბიექტო მიმართების ზმნებში პირთა აღნიშნული კომბინაციებისათვის **მი-** ზმნისწინიანი ფორმები მაშინ გამოიყენება, როცა ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მოუბარი პირის პოზიციასთან უფრო ახლოსაა ირიბი ობიექტი, ვიდრე სუბიექტი, ე. ი. როცა მიმართება ასეთი სქემით წარმოგვიდგება:

$$I_{\bullet} \quad \ddot{O} \xrightarrow[\text{მი-}]{O} S$$

$S_2Ö_3O_3$:

.... სტეფანოზ, ბოროტო და მედგარო, რად **მისტაცენ** მონასტერსა ჩემსა აგარაკნი? (ას. ცხ. 204,11).

S₃Ö₂O₃:

.... სიხარული თქუენი არავინ მიგიღოს თქუენგან (სინ. მრ. 8.15).

S₂Ö₃O₃:

.... უკეთუ ვინმე მიჰპაროს მისგან.... (გამოსლვ. 22,12);

.... როჰიკი მისტაცა და არა მისცა (იობ. 20,19);

.... ამხილა აბრაჰამ აბიმელიქს ჯურღმულთა მათთჳს წყლისათჳს, რომელ-იგი მიუღეს მწყემსთა (დაბად. 21,25).

ასევე შესაძლებლად მიგვაჩნია მიგტაცა (მან მას შენ — S₂Ö₃O₂) და სხვა ასეთი ფორმები.

პირთა ამავე კომბინაციებში შებრუნებული მიმართების ზმნები მო- ზმნისწინით მაშინ გვხვდება, როცა ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელ მოუბარ პირთან უფრო ახლოსაა სუბიექტი, ვიდრე ირიბი ობიექტი. ამ შემთხვევაში ირიბისაგან სუბიექტისაკენ გადაადგილება ისე განიხილება, როგორც პირველი პირისაკენ მიმართულება. და ამიტომაც შესაბამისი ზმნა მო- ზმნისწინს მიიღებს:

$$\text{I.}\quad S \xleftarrow[\text{მო-}]{0} Ö$$

S₂Ö₃O₃:

.... უკეთუ ავასხო ვეცხლი ძმასა შენსა.... არა მოჰკიდე მას სწრაფით (გამოსლვ. 22,25);

.... მოუღეთ მას ქანქარი იგი და მიეცით, რომელსა აქუს ათი ქანქარი (მ. 25,28 C).

S₃Ö₃O₃:

.... მოსტაცა მახუილი იგი მეკრძალესა მას (ისტ. ქრესტ. II. 67,22);

.... მოუღო ღმერთმან ყოველივე ცხოვარი მამისა თქუენისაჲ და მომცა მე (დაბად. 31,9).

ასევე შესაძლო უნდა ყოფილიყო S₃Ö₃O₂ (მოგტაცა მან მას შენ) და S₃Ö₂O₃ (მოგტაცა მან შენ იგი).

V

ანომალიები. ზემოთ ჩვენ განვიხილეთ მი- და მო- ზმნისწინთა ხმარების შემთხვევები სასუბიექტო მიმართების ზმნებში, ვუჩვენეთ პირთა ის კომბინაციები, რომლებშიც ან მხოლოდ მი- ზმნისწინიანი ფორმები უნდა გვქონოდა ანდა — მხოლოდ მო- ზმნისწინიანი ფორმები, აგრეთვე ისეთი კომბინაციები, რომლებშიც ორივე ზმნისწინიანი ფორმები უნდა გვქონოდა.

ამასთან ერთად, შესაძლოა, შეგვხვდეს წესიდან გადახვევის შემთხვევები:

ა) **მი-** ზმნისწინიანი ფორმა მაშინ, როცა იგი მოსალოდნელი არაა: „არქუ მამასახლისსა. რაჲთა აგარაკნი იგი კუალად მიითუალნეს, რომელნი მე **მიუხუენ**“ (ას. ცხ. 204,34).

ტექსტის მიხედვით ადვილი გასაგებია, რომ მოუბარ პირს მამასახლისისათვის წაურთმევია აგარაკი, ე. ი. ეს აგარაკი პირველი პირის ხელში გადმოსულა. ამიტომ, სადაც სამართალია, ამ შინაარსის გადმომცემი ზმნა **მო-** ზმნისწინით უნდა ყოფილიყო გაფორმებული: **მოუხუენ** (მე მას იგი), მაგრამ, როგორც ვხედავთ, ტექსტში იგი **მი-** ზმნისწინითაა წარმოდგენილი. მოვლენა შეიძლება ავხსნათ ანალოგიით: მესამე სუბიექტური პირის ფორმაში გვაქვს **მიუხუნა**. ამის კვალობაზეა გაკეთებული **მიუხუენ** (მე მას იგი) ფორმაც, რომელშიც **მი-** ზმნისწინი, რა თქმა უნდა, ვეღარ აღნიშნავს საიქეთო ორიენტაციას.

ბ) **მო-** ზმნისწინი მაშინ, როცა იგი მოსალოდნელი არაა: „არავინ **მომიღოს** მე იგი ჩემგან“ (ი. 10,18). ტექსტის მიხედვით პირველ პირს უნდა წ ა ე რ თ ვ ა ს რაღაც, ე. ი. ორიენტაცია მხოლოდ საიქეთო უნდა იყოს, სათანადო ზმნა **მი-** ზმნისწინით უნდა გაფორმებულიყო, როგორც ეს C რეღაქციაშია („ვერვინ **მიიღოს** იგი ჩემგან“), მაგრამ ეტყობა, **მოვუღო** ფორმის ანალოგიით აქაც **მო-** ზმნისწინია გამოყენებული, რომელიც მოცემულ შემთხვევაში **(მომიღოს)** სააქეთო ორიენტაციას ვეღარ გადმოსცემს.

*

* *

თუ თავს მოვუყრით, რაც ზემოთ ითქვა, მაშინ სასუბიექტო მიმართების სამპირიანი ზმნები **მი-** და **მო-** ზმნისწინებით უღლებისას ისეთ სურათს მოგვცემს, როგორიც წარმოდგენილია მე-8 ტაბულაში.

როგორც ვხედავთ, უფრო მეტია პირთა ისეთი კომბინაციები, რომლებიც **მო-** ზმნისწინითაა გაფორმებული, ვიდრე ისინი, რომელთაც **მი-** ზმნისწინი ახლავს. ეგების ამითაც აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ამ ტიპის ზმნებთან საბოლოოდ **მო-** ზმნისწინი დამკვიდრდა პირთა ყოველგვარ კომბინაციაში. დღეს სულაც აღარა გვაქვს **მიმტაცა, მიმპარა** და სხვა ამის მსგავსი ფორმები. ამათ ნაცვლად მოგვეპოვება **მომტაცა, მომპარა** და ა. შ. ფორმები. ამიტომ ამ ტიპის ზმნებში დღევანდელ ქართულში **მო-** ზმნისწინი ორიენტაციას ვეღარ გადმოსცემს. ასეთივე წარმომავლობის უნდა იყოს **მოწუვეტა**,

ტაბ. 8.

რა როლს ასრულებს I პირი	მი- ზმნისწინიანი ფორმები	პირთა შესაძლო კომბინაციები	მო- ზმნისწინიანი ფორმები
როცა I პირი ირიბი ობიექტია	მიმტაცე მიმტაცა	$S_2\ddot{O}_1O_3$ $S_3\ddot{O}_1O_3$	— —
როცა I პირი პირდაპირი ობიექტია	— —	$S_2\ddot{O}_3O_1$ $S_3\ddot{O}_3O_1$	მომტაცე მომტაცა
როცა I პირი სუბიექტია	— — —	$S_1\ddot{O}_2O_3$ $S_1\ddot{O}_3O_2$ $S_1\ddot{O}_3O_3$	მოგტაცე მოგტაცე მოვტაცე
როცა I პირი ზმნაში სულ არა გვაქვს	მისტაცე მიგტაცა მიგტაცა მისტაცა	$S_3\ddot{O}_3O_1$ $S_3\ddot{O}_2O_3$ $S_3\ddot{O}_3O_2$ $S_3\ddot{O}_3O_3$	მოსტაცე მოგ ტაცა მოგტაცა მოსტაცა

მოკლება, მოჰრა, მოტეხა, მოგლეჯა და სხვა ზმნები, რომელთაც დღეს აღარ შესწევთ ძალა ორიენტაციის გადმოცემისა.

§ 25. მი- და მო- ზმნისწინები სასუბიექტო მიმართების ორპირიან გარდაუვალ ზმნებში. წინააღმდეგ საობიექტო მიმართების ორპირიანი გარდაუვალი ზმნებისა, სასუბიექტო მიმართების ორპირიან გარდაუვალ ზმნებში სუბიექტი ირიბისაკენ კი არ მიისწრაფვის, არამედ მას შორდება. ამის მიხედვით, მი- და მო- ზმნისწინთა ხმარების შესაძლო და შეუძლო შემთხვევები ამ ზმნებში საობიექტო მიმართების ორპირიანი გარდაუვალი ზმნების შებრუნებულ სურათს უნდა იძლეოდეს, ე. ი. სავარაუდოა, რომ უნდა გვქონოდა შემდეგი ფორმები:

ტაბ. 9.

რა როლს ასრულებს I პირი	მი- ზმნისწინიანი ფორმები	პირთა შესაძლო კომბინაციები	მო- ზმნისწინიანი ფორმები
I პირი ირიბი ობიექტია	მიმეღო მიმეღოს	$S_2\ddot{O}_1$ $S_3\ddot{O}_1$	— —
I პირი სუბიექტია	— —	$S_1\ddot{O}_2$ $S_1\ddot{O}_3$	მოგეღო მოვეღო
I პირი ზმნაში სულ არა გვაქვს	მეეღო მიგეღოს მეეღოს	$S_2\ddot{O}_3$ $S_3\ddot{O}_2$ $S_3\ddot{O}_3$	მოეღო მოგეღოს მოეღოს

მაგრამ ძველ ქართულში ამ ტიპის ორპირიან გარდაუვალ ზმნათა ხმარების შემთხვევები ძალზე იშვიათია და ჩვენ საშუალება არა გვაქვს ყველა ეს ფორმა ტექსტებით დავადასტუროთ, აი რამდენიმე ნიმუში:

ა) მი- ზმნისწინით:

S_3O_1:

.... ვითარ **მიმეღოს** მე ცხორებაჲ (ჰაბო, 0,42).

S_3O_2:

.... **მიგეღოს** თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნაოესავსა, რომელი იქმოდის ნაყოფთა მისთა (მ. 21,43C).

S_3O_3:

.... მეყსეულად **მიეღო** თუალთა მისთა ნათელი (ას. ცხ. 205.3):
.... რომელსა არა აქუნდეს, რომელი-იგი აქუნდეს, **მიეღოს** მისგან (მრ. 4,25 C).

ბ) მო- ზმნისწინით:

S_3O_2:

.... **მოგეღოს** თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ (მ. 21,43)

S_3O_3:

.... რომელსა არა აქუნდეს, და რომელღა-იგი აქუნდეს, **მო-ვე-ეღოს** მისგან (მ. 13,12. C).

§ 26. მი- და მო- ზმნისწინები სასუბიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში. სუბიექტო მიმართების ზმნათა საპირისპიროდ, სასუბიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში პირდაპირი ობიექტი კი არ შორდება სუბიექტს, არამედ უახლოვდება მას. ამიტომ პირთა დაჯგუფების ის კომბინაციები, რომლებიც სუბიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში საიქეთო ორიენტაციითაა წარმოდგენილი, აქ საქეთო ორიენტაციის ფორმებს უნდა გვაძლევდეს და — პირუკუ.


განვიხილოთ ცალ-ცალკე.

I

როცა ზმნის ფორმა პირველ პირს არც სუბიექტად შეიწყობს და არც ობიექტად, მაშინ შესაძლოა, გვქონდეს როგორც **მი-**, ისე **მო-** ზმნისწინიანი ფორმები (S_2O_3; S_3O_2; S_3O_3).

მო- ზმნისწინიანი ფორმები სასუბიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში პირთა დასახელებული კომბინაციებისათვის

შეიძლება მაშინ გვქონდეს, როცა ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელ მოუბარ პირთან უფრო ახლოსაა სუბიექტი, ვიდრე პირდაპირი ობიექტის საწყისი პოზიცია, ამ შემთხვევაში მიმართება ასეთ სახეს ღებულობს:



S_2O_3:

.... ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მოიღებთ ათეულსა პიტნაკისა და ცერეცოჲსასა.... და დაგიტეებიეს უმძიმესი შჯულისაჲ (მ. 23,23, DE; რამეთუ მოიათევსით C);

.... მოიბ თავისა შენისა ჴბოჲ ზროხათაგან (ლევიტ. 9,2)·

S_3O_3:

.... უფალმან.... ყოველნი მისა მოიზიდნა (სინ. მრ. 235,19);

.... მოიბა ვერძი იგი (დაბად. 22,13);

.... მოიპარნა რაქელ კერპნი მამისა თჳსისანი (დაბად. 31,19);


.... ბრძანებაჲ მოიღო მოსე ანგელოზისა მისგან (საქმე 7,44);

.... ფიცარნი ქვისანი მოიხუნა (ზარზმ. 166,32);

.... მკლავთა მოიქუა იგი (მრ. 9,36).

ასევე შესაძლოდ მიგვაჩნია მოგიზიდა, მოგიპარა (S_3O_2) ფორმები.

მოცემული ტიპის ზმნებში პირთა დაჯგუფების იგივე ფორმები მი- ზმნისწინით მაშინ გვხვდება, როცა ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მოუბარი პირის პოზიციასთან უფრო ახლოსაა პირდაპირი ობიექტის საწყისი პოზიცია, ვიდრე სუბიექტისა, ე. ი. როცა მიმართება ასეთია:



S_2O_3:

.... შჯდნი ესე ტარიგნი მიიბნე ჩემგან (დაბად. 21,30);

... მიიღოთ ნიჰი სულისა წმიდისაჲ (საქმე, 2,38);

.... ყოველივე შენდა მიიზიდე (სინ. მრ. 242,29).

S_3O_3:

.... მიიღებს ჴორცთა ჩემთა და მომცემს სულსა.... მისსა (სინ. მრ. 34,1));

.... ხოლო იოსებ შთაიყვანეს ეგჳპტედ და მიიყიდა იგი პეტეფრე, სპურისმან ფარაოჲსმან (დაბად. 39,1):

.... მიიზიდენ წარსაწყმედელმან სახლი მისი (იობ. 20,28);

... მიიქუა იგი მჴართა თჳსთა (ლ. 2,28 C)·

შესაძლო ფორმებია აგრეთვე მიგიზიდა, მიგიქუა და სხვ. (S_3O_2).

II

სასუბიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში პირთა დაჯგუფების ისეთი ფორმები, რომლებშიც პირდაპირ ობიექტად პირველი პირია წარმოდგენილი (S_2O_1, S_3O_1), უნდა გვაგულისხმებინებდეს, რომ სუბიექტი თავისკენ ამოძრავებს პირდაპირ ობიექტს ა ქ ე დ ა ნ. ამის მიხედვით პირთა ასეთ დაჯგუფებას უნდა მოეპოვებოდეს მხოლოდ სააქეთო ორიენტაციის ფორმები: **მი-მიზიდე. მი-მიზიდა.**

$$I_{\bullet} \xrightarrow[\text{მი -}]{O_1} S_{2(3)}$$

ასე უნდა იყოს იმ შემთხვევისათვის, როცა I პირის მოქმედებისდროინდელი საწყისი და საუბრისდროინდელი პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა.

III

სასუბიექტო მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში სუბიექტად თუ პირველი პირია გამოყენებული, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავისკენ ამოძრავებს პირდაპირ ობიექტს და ამ მოძრაობას **სააქეთო** ორიენტაციად განიხილავს:

$$S_1 \xleftarrow[\text{მო -}]{O}$$

S_1O_2:

.... შემოვიდა იაკობ ველით მიმუხრი. და განვიდა ღია მიგებებად მისა და პრქუა: ჩემდა შემოხვდე დღეს, რამეთუ **მომიყიდიე**[1] შენ მანდრაგურთა წილ ძისა ჩემისათა (დაბად. 30.16).

S_1O_3:

.... ყოველი **მოვიზიდო** ჩემდა (ი. 12,32 C);

.... ვეცხლი ჩუენი სასწორითა **მოგჯღებიეს** აწ ჴელთა ჩუენთა (დაბად. 43,21);

.... **მომიგებიეს** ყოველივე ელემელჰისი (რეთ. 4,9).

ზემოთქმულის მიხედვით, ძველ ქართულში სასუბიექტო მიმართების ორპირიანი გარდამავალი ზმნების **მი-** და **მო-** ზმნისწინიანი შესაძლო ფორმები, როცა I პირის საუბრისდროინდელი და მოქმედებისდროინდელი პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა, შემდეგია:

---

[1] ხელნაწერ ტექსტშია **მიმიყიდიე.**

რა როლს ასრულებს I პირი	მი- ზმნისწინიანი ფორმები	პირთა შესაძლო კომბინაციები	მო- ზმნისწინიანი ფორმები
I პირი სუბიექტია	—	S_1O_2	მოგიხიდე
	—	S_1O_3	მოვიხიდე
I პირი პირდაპირი ობიექტია	მიმიხიდე	S_2O_1	—
	მიმიხიდა	S_3O_1	—
I პირი ზმნაში სულ არა გვაქვს	მიიხიდე	S_2O_3	მოიხიდე
	მიგიხიდა	S_3O_2	მოგიხიდა
	მიიხიდა	S_3O_3	მოიხიდა

§ 27. მ ი- და მ ო- ზმნისწინები სასუბიექტო მიმართების ზმნებში (საერთო შედეგები). ზემოთ (§ 24—26) უკვე განვიხილეთ, თუ როგორ იყო წარმოდგენილი მი- და მო- ზმნისწინიანი ფორმები სასუბიექტო მიმართების სამპირიანსა და ორპირიან ზმნებში. ყველაფერს თუ თავს ერთად მოვუყრით, მივიღებთ საერთო სურათს, რომელიც წარმოდგენილია № 11 ტაბულის სახით.

ეს ტაბულა გვიჩვენებს, რომ ძველ ქართულში:

1. სასუბიექტო მიმართების ზმნებში მო- ზმნისწინიანი ფორმები მაშინ გვაკლდა, როცა ირიბი ობიექტი პირველი პირისა იყო; აგრეთვე მაშინ, თუ ზმნა ორპირიანი გარდამავალი იყო და მას პირდაპირ ობიექტად პირველი პირი შეეწყობოდა.

2. სასუბიექტო მიმართების ზმნებში მი- ზმნისწინიანი ფორმები მაშინ გვაკლდა, როცა სუბიექტი პირველი პირისა იყო; აგრეთვე მაშინ, როცა ზმნა სამპირიანი გარდამავალი იყო და მასთან პირდაპირი ობიექტის როლში პირველი პირი გამოდიოდა.

3. სასუბიექტო მიმართების ზმნებში როგორც მი- ისე მო- ზმნისწინიანი ფორმები მაშინ მოგვეპოვებოდა, როცა პირველი პირი არც სუბიექტად გამოდიოდა და არც რომელიმე სახის ობიექტად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასუბიექტო მიმართების ზმნებმა მეტწილად დაკარგეს ორიენტაციის გაგება და დღევანდელ ქართულში მო- ზმნისწინიან ფორმას იყენებენ პირთა ყოველგვარი დაჯგუფებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა როლს ასრულებს ამ დაჯგუფებაში პირველი პირი — სუბიექტისას, პირდაპირი ობიექტისას თუ ირიბი ობიექტისას. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება **მოტაცება, მოცილება** ზმნების უღლება ახალ ქართულში.

ზოგი ზმნა ახალ ქართულში ჯერ კიდევ ინარჩუნებს მი-, მო-

ტაბ. 11.

მი- და მო- ზმნისწინიანი შესაძლო და შეუძლო ფორმები სასუბიექტო მიმართების ზმნებისათვის ძველ ქართულში იმ შემთხვევაში, როცა მოუბარი პირის მოქმედებისდროინდელი და საუბრისდროინდელი პოზიციები ერთი და იგივეა

	სამპირიან ზმნებში			ორპირიან გარდაუვალ ზმნებში			ორპირიან გარდამავალ ზმნებში		
როცა I პირი ირიბი ობიექტია	მიმტაცე მიმტაცა	$S_2O_1O_3$ $S_3O_1O_3$	— —	მიმეღო მიმეღოს	S_2O_1 S_3O_1	— —			
როცა I პირი პირდაპირი ობიექტია	— —	$S_2O_3O_1$ $S_3O_3O_1$	მომტაცე მომტაცა				მიმიზიდე მიმიზიდა	S_2O_1 S_3O_1	— —
როცა I პირი სუბიექტია	— — —	$S_1O_2O_3$ $S_1O_3O_2$ $S_1O_3O_3$	მოვტაცე მოვტაცე მოვტაცე	— —	S_1O_2 S_1O_3	მოვეღო მოვეღო	— —	S_1O_2 S_1O_3	მოვიზიდე მოვიზიდე
როცა I პირი ზმნაში სულ არა გვაქვს	მისტაცე მივტაცა მივტაცა მისტაცა	$S_2O_3O_3$ $S_3O_2O_3$ $S_3O_3O_2$ $S_3O_3O_3$	მოსტაცე მოვტაცა მოვტაცა მოსტაცა	მიეღო მივეღოს მიეღოს	S_2O_3 S_3O_2 S_3O_3	მოეღო მოვეღოს მოეღოს	მიიზიდე მივიზიდა მიიზიდა	S_2O_3 S_3O_2 S_3O_3	მოიზიდე მოვიზიდა მოიზიდა

ზმნისწინთა ხმარების იმ ნორმებს, რაც მას ძველ ქართულში ჰქონდა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება **მიზიდვა** ზმნა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უკვე ამ ზმნაშიც შეინიშნება ტენდენცია, რომ მას ყველა ფორმაში მხოლოდ **მი-** ზმნისწინი ახლდეს (მიმიზიდე, მიგიზიდე, მივიზიდე, მიმიზიდა, მიიზიდე, მიგიზიდა). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ზმნაშიც შეინიშნება ორიენტაციის გაგებაზე ხელის აღება. ასევე ითქმის **მიპატიჟება, მიკერება** და სხვა ზმნების შესახებ.

ამგვარად, **სასუბიექტო მიმართების** ზმნებში ახალ ქართულში ან დაკარგულია ორიენტაციის გაგება, ანდა დაკარგვის გზაზე იმყოფება.

§ 28. მი- და მო- ზმნისწინები ნულოვანი მიმართების ორპირიან ზმნებში. ნულოვანი მიმართების ორპირიან გარდამავალ ზმნებში სუბიექტი არა მარტო პირდაპირ ობიექტს გადააადგილებს, არამედ მასთან ერთად თვითონაც გადაადგილდება. ამიტომ, აქ უძრავ მდგომარეობაში აღარ რჩება ზმნასთან პირიანობით დაკავშირებული არცერთი პირი, რომ მას დაახლოებოდა ან დაშორებოდა მოძრავი პირი. პირდაპირი ობიექტისა და სუბიექტის ერთდროული მოძრაობა (ერთი და იმავე მიმართულებით) კი იმის შესაძლებლობას ქმნის, რომ ასეთ ზმნაში პირველი პირი, გინდა სუბიექტად გამოდიოდეს და გინდა—ობიექტად, მაინც ვერ იწვევს **მი-** და **მო-** ზმნისწინიანი ფორმებიდან ერთ-ერთის შეუძლებლობას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საობიექტო ან სასუბიექტო მიმართების ზმნებში. მაგალითად: **ცემა** ზმნა **მო-** ზმნისწინს ჰგუობდა იმ შემთხვევაში, როცა ირიბ ობიექტად პირველი პირი გამოდიოდა (მომცა, მომეც). სამაგიეროდ ასეთ შემთხვევაში მას არ მოეპოვებოდა **მი-** ზმნისწინიანი ფორმა. მაგრამ თუ პირთა ისეთ კომბინაციას ავიღებდით, როგორიცაა $S_1O_3O_3$, მაშინ სწორედ **მო-**ზმნისწინიანი ფორმა იქნებოდა შეუძლებელი, **მი-** ზმნისწინიანი კი — შესაძლებელი (მივეცი. იხ. § 19).

ახლა თუ ავიღებთ ნულოვანი მიმართების ზმნას **მიყვანა-მოყვანას** და გავსინჯავთ პირთა დაჯგუფების ისეთ ფორმებს, რომლებშიც ერთ-ერთ წევრად პირველი პირიც შედის (S_1O_2, S_1O_3, S_2O_1 და S_3O_1), ვნახავთ, რომ აქ. შესაძლოა, ყველა ეს ფორმა **მი-**ზმნისწინიანიც იყოს და **მო-**ზმნისწინიანიც; **მიგიყვანე—მოგიყვანე. მივიყვანე—მოვიყვანე, მიმიყვანე—მომიყვანე, მიმიყვანა—მომიყვანა.**

რაც შეეხება პირთა დანარჩენ კომბინაციებს (S_2O_3, S_3O_2 და S_2O_3). მათში შეზღუდვა არც იყო მოსალოდნელი (იხ. § 14); უნდა

ჩექონოდა და გვაქვს კიდეც ასეთი ფორმები: მიიყვანე—მოიყვანე, მიგიყვანა—მოგიყვანა, მიიყვანა—მოიყვანა.

რაც ითქვა მიყვანა—მოყვანა ზმნის შესახებ, ის ითქმის ნულოვანი მიმართების ყველა ორპირიანი გარდამავალი ზმნის შესახებ. მათაც პირთა ყველა კომბინაციისათვის მოეპოვება როგორც მი- ზმნისწინიანი, ისე მო- ზმნისწინიანი ფორმა.

ასევე უნდა ითქვას ნულოვანი მიმართების ორპირიანი გარდაუვალი ზმნების შესახებაც. აქაც სუბიექტისა და ობიექტის (ამ შემთხვევაში — ირიბი ობიექტის) ერთდროული მოძრაობა იგულისხმება: საითაც მოძრაობს ერთი მათგანი, იქით მოძრაობს მეორეც (მისდევს, მიუძღვის, მიჰყვება). ეს გარემოება კი იმას განაპირობებს, რომ მი- და მო- ზმნისწინიანი ფორმების შეზღუდვა პირთა არცერთ კომბინაციაში არ ხდება. ორივე ზმნისწინის ხმარება შესაძლებელია მაშინაც, როცა ზმნას მოუბარი პირი პირიანობით უკავშირდება, და მაშინაც, როცა მოუბარი პირი ზმნასთან პირიანობით არაა დაკავშირებული (მივსდევ—მოვსდევ. მიეუძღვი—მოვუძღვი, მისდევს—მოსდევს, მიუძღვის—მოუძღვის).

მი- და მო- ზმნისწინების ხმარება ასევე შეუზღუდავი იყო ნულოვანი მიმართების ზმნებისათვის ძველ ქართულში, რასაც სათანადო მაგალითებით ცხადვყოფთ:

ა) პირველი სუბიექტური პირის შემცველი ფორმები

მი- ზმნისწინით:

.... მიგიყვანო შენ ადამისა (ლიტ. ქრესტ. I, 4,40):

.... მაშინ მივიღე მცირედ ღუნოჲ და პური, დავალბე და მცირედ გემოჲ იხილა (აგ. ძეგლ.. 18.20);

.... რაჲთა მიგიძღუე შენ მცნებათა მისთა (ისტ. ქრისტ. II. 93.31):

.... მიგდევდე შენ. ვიდრეცა მიხუალ (ლ. 9,57).

მო- ზმნისწინით:

.... ასელ-ჰა თქუენთაგანნი მოვიყვანნეთ ჩუენ (დაბად. 34,16).

.. მოვიყვანე იგი თავისა ჩემისა ცოლად (დაბად. 12.19).

მი- ზმნისწინით:

.... ესენი მიმიძღუეს და მიმიყვანეს (ფს. 42,3 Ქ);
.... ვინ მიმიძღუეს მე იდუმიამდე (ფს. 59,11).

მო- ზმნისწინით:

.... მომიყვანა უფალმან სახიდ ძმისა უფლისა ჩემისა (დაბად. 24,27);
.... მომიყვანონ მე მთად წმიდად შენდა (ფს. 42,3);
.... ვჰმადლობ ქრისტესა, რომელი მომიძღუა საყოფლად შენდა (ლიტ. ქრესტ. I, 103,40);
.... შენ მომდევდი მე (მ. 8,22).

ასევე მოეპოვებათ ამ ზმნებს მი- და მო- ზმნისწინიანი ფორმები პირთა დანარჩენი კომბინაციებისათვის:

მიგიყვანნენ (მრ. 13,11), მიიყვანა (მრ. 5,40), მიჰყავს (მ. 7,13), მიგდევდა (საბა ას. 5,33), მისდევდეს (საქმე, 5,36), მიჰყვეს (საქმე. 10,23), მიჰქონან (სინ. მრ. 34,3). მიაქუნდა (ჰაბო, ი. 74), მიგითრიოს (ლ. 12,58).

მოჰყვანდეთ (მრ. 13,11 C), მოსდევდა (რუთ. 1,14), მოიყვანე (ლიტ. ქრესტ. I, 4,39), მოიყვანნა (საქმე, 5,26), მოიღონ (დაბად. 18.4 =მოიტანონ), მოიხუნეს (საქმე, 7,16), მოაქუს (სახ. მეტყვ. 10,40).

ამ მაგალითებში პირთა ზოგიერთი კომბინაცია წარმოდგენილი არაა, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ მოგიყვანო, მოიყვანე ფორმებს ძველ ქართულში ისევე შესაძლებელი იყო, როგორც მომიყვანა, მოიყვანე და სხვანი.

§ 29. მი- და მო- ზმნისწინები ერთპირიან ზმნებში. მოძრაობის გამომხატველ ერთპირიან ზმნებში მხოლოდ სუბიექტური პირი (S_1, S_2, S_3) გვაქვს მოცემული და რომელიმე სხვა პირის პოზიციისაკენ ამ ერთი პირის მოძრაობა-მიმართულება ზმნის პირიანობით კი არა, კონტექსტის მიხედვით შეიძლება გავარკვიოთ.

ამის გამო ვამბობთ, რომ მოძრაობა-გადაადგილების თვალსაზრისით მიმართება აქაც ნულოვანია (§ 16). ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქაც შესაძლოა, ყველა პირის ფორმა გვქონდეს მოცემული როგორც მი-, ისე მო- ზმნისწინით.

ძველი ქართულის ტექსტებზე დაკვირვებით ცხადი ხდება, რომ ერთპირიან ზმნებში მი-, მო- ზმნისწინები შემდეგი სახის კონკრეტულ მიმართებებს გადმოსცემს:

I

1. ერთპირიანი ზმნების **მი-**ზმნისწინიანი ფორმებით შესაძლოა გადმოიცეს პირველი სუბიექტური პირის მოძრაობა თავისი პოზიციიდან ისეთი მესამე პირის პოზიციისაკენ, რომელიც ზმნასთან პირიანობით არაა დაკავშირებული.

შენიშვნა: ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მესამე პირის პოზიციად მივიჩნევთ ყველა იმ ადგილს, სადაც საუბრის მომენტში არ იმყოფება პირველი ან მეორე პირი.

სათანადო ნიმუშები ასეთი იქნება:

.... **მივალ მომავლინებელიხა** ჩემისა (ი. 7,33 C);

.... მივიტაცე ჭალაჭად და უთხარ ყოველი იგი ჩუენებაჲ (სინ. მრ. 67,12);

.... ვიდრე მე მივტონტმანებდი, სხუაჲ ჩემსა უადრეს შთაჴდის (ი. 5,7 C).

2. **მი-** ზმნისწინის მქონე ერთპირიანმა ზმნებმა შესაძლოა გადმოსცეს ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მოუბარი პირის პოზიციისაგან მეორე ან მესამე სუბიექტური პირის მოძრაობა ისეთი მესამე პირის პოზიციისაკენ, რომელიც ზმნასთან პირიანობით არაა დაკავშირებული:

.... ა მ ი ს ა, ძმანო ჩემნო, მიიღტოდეთ (სინ. მრ. 248,37);

.... ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ა მ ი ე რ ი ქ ი (მ. 17,20);


.... მიეედ და უთხარ ცოლსა ჩემსა ევას (ლიტ. ქრესტ. I, 4,39);

.... მაშინ მიიქცენ მტერნი ჩემნი მართლეკენ (ფს. 55,10);

.... მოვიდა კაცი ვინმე მოხუცებელი.... მოვიდოდეს იგი ბანაკით და მივიდოდეს ქ ა ლ ა ქ ა დ (ისტ. ქრესტ. II, 80,20-21).

1-ელსა და მე-2 მუხლებში აღნიშნულის მიხედვით ერთი საერთო დასკვნა კეთდება: **ერთპირიან ზმნებში მ ი- ზმნისწინიანი ფორმებით გადმოიცემა სუბიექტის მოძრაობა პირველი პირის პოზიციიდან (I●) მესამე პირის პოზიციისაკენ (III●).**

სქემით ეს ასე აღინიშნება:



I'

1. ზემოთქმულის საპირისპიროდ **მო-** ზმნისწინის მქონე ერთპირიანი ზმნებით შეიძლება გადმოიცეს მეორე ან მესამე სუბიექტური პირის მოძრაობა თავისი პოზიციიდან მოუბარი პირის პოზიციისაკენ:

.... რაჲთა მოვიდეს დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩ ე მ დ ა (სინ. მრ. 13,19);


.... მოიწივნეს მახლობელად ჩ უ ე ნ ს ა (ას. ცხ. 191,5 C);

.... მოძიკსენე მე, ოდეს მოხვდე სუფეითა შენითა (ღ. 23,42).

2. მო- ზმნისწინის მქონე ერთპირიანი ზმნებით შეიძლება გადმოიცეს პირველი პირის მოძრაობა ყოფილი პოზიციიდან მისი საუბრისდროინდელი პოზიციისაკენ:

.... მოვალთ ჩუენ ბეთლემით (მსაჯ. 19,18);
.... მივალ უფლისა, რაჲთა მოვიდე მის თანა, ოდეს მოვიდეს იგი (სინ. მრ. 252,29).

1-ელსა და მე-2 მუხლებში აღნიშნულის მიხედვით შემდეგი დასკვნა კეთდება: **ერთპირიანი ზმნების მო-ზმნისწინიანი ფორმებით გადმოიცემა სუბიექტის მოძრაობა მესამე პირის პოზიციიდან მოუბარი პირის პოზიციისაკენ,** რაც სქემით ასე გამოისახება:



II


1. მი- ზმნისწინის მქონე ერთპირიანმა ზმნამ შესაძლოა გადმოსცეს მეორე სუბიექტური პირის მოძრაობა თავისი პოზიციიდან ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მესამე პირის პოზიციისაკენ. ასეთ შემთხვევაში მეორე პირის პოზიცია უფრო ახლოსაა მოუბარი პირის პოზიციასთან, ვიდრე მესამე პირისა:

.... მიიქეც დედოფლისა შენისა (დაბად. 16,9);
.... მისწრაფეთ საფლავად მისა (მინჩხი, იბ. VII, 1-2);
.... მიგუალე ჯინკელისა (სახ. მეტყვ. 15,1).

2. ერთპირიანმა ზმნამ მი- ზმნისწინით შეიძლება გადმოსცეს მესამე სუბიექტური პირის მოძრაობა ზმნასთან პირიანობით დაუკავშირებელი მეორე პირის პოზიციიდან უფრო შორს მდებარე მესამე პირის პოზიციისაკენ:

.... დაღრეჯით გცნა და მიბრუნდა წინაშე მომავალიო (ვ. ტ. 104.4). იგულისხმება: შენს წინაშე მოდიოდა, მაგრამ დაღრეჯილი რომ გნახა, უკანვე გაბრუნდა შენი პოზიციიდან, ე. ი. იმ ადგილიდან, სადაც შენა ხარ.

1-ელსა და მე-2 მუხლებში აღნიშნულიდან ასეთი საერთო დასკვნა გამომდინარეობს: **ერთპირიან ზმნებში მი-ზმნისწინიანი ფორმებით გადმოიცემა სუბიექტის მოძრაობა მოუბარ პირთან ახლოს მყოფი მეორე პირის პოზიციიდან უფრო შორს მყოფი მესამე პირის პოზიციისაკენ:**



II²

1. **მო-** ზმნისწინის მქონე ერთპირიანი ზმნით, საპირისპირო **მი-** ზმნისწინიანისა, შეიძლება გადმოიცეს სუბიექტური მესამე პირის მოძრაობა თავისი პოზიციიდან მოუბარ პირთან უფრო ახლოს მყოფი მეორე პირის პოზიციისაკენ:

.... უკუეთუ მე არა წარვიდე, ნეგეშინის-მცემელი იგი არა **მოვიდეს თ ქ უ ე ნ დ ა** (სინ. მრ. 185,19);

.... **თ ქ უ ე ნ ზ ე დ ა** სიტყუაჲ იგი ცხორებისაჲ **მოივლინა** (საქმე, 13,26);

.... უღმრთონი **შ ე ნ დ ა მოიქცენ** (ფს. 50,15).

2. **მო-** ზმნისწინის მქონე ერთპირიანი ზმნით შეიძლება გადმოიცეს პირველი სუბიექტური პირის მოძრაობა მისი მოქმედებისდროინდელი პოზიციიდან მეორე პირის ისეთი პოზიციისაკენ, რომელიც უფრო ახლოს იმყოფება I პირის საუბრისდროინდელ პოზიციასთან:

.... დასხედით მანდა კარაულსა თანა და მე და ყრმაჲ ესე წარვიდეთ ვიდრე **ი ქ ი მ დ ე** და თაყუანის-ვსცეთ და **მოვიქციოთ** თქუენდა ვე (დაბად. 22,5).

1-ელსა და მე-2 მუხლებში აღნიშნულის მიხედვით ასეთი დასკვნაც კეთდება: **მო- ზმნისწინის მქონე ერთპირიანი ზმნებით გადმოიცემა აგრეთვე სუბიექტის მოძრაობა მესამე პირის პოზიციიდან მეორე პირის ისეთი პოზიციისაკენ, რომელიც უფრო ახლოსაა მოუბარი პირის** პოზიციასთან. სქემით ეს ასე გამოისახება:

$$\text{I}_{\bullet}\quad \text{II}_{\bullet} \xleftarrow[\text{მო-}]{\text{S}} \text{III}_{\bullet}$$

III

1. ზოგ შემთხვევაში **მი-** ზმნისწინის მქონე ერთპირიანი ზმნითაც ისიც აღინიშნება, რომ მესამე სუბიექტური პირი თავისი პოზიციიდან მოძრაობს მოუბარი პირის მიმართ უფრო შორს მყოფი სხვა მესამე პირის პოზიციისაკენ:

.... საზღვარი მისი **მიაწევს კ ი დ ე მ დ ე** დიდისა მის მდინარისა (საბა ას. 4,19):

.... ყოველნი ნაშობნი მისნი **მიეცვალებიან მ უ ნ ვ ე** მიწად (სინ. მრ. 263,8-9).


2. ასევე, **მი-** ზმნისწინის მქონე ერთპირიანი ზმნით ზოგჯერ ისიც აღინიშნება, რომ პირველი ან მეორე სუბიექტური პირი მოძრაობდა თავისი მოქმედებისდროინდელი პოზიციიდან ისეთი სხვა პოზიციისაკენ, რომელიც კიდევ უფრო დაშორებულია პირველი პირის საუბრისდროინდელი პოზიციისაგან:

.... უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელ კაც ხარ შენ: მოიმკი, სადა არა სთესი, და შეიკრიბი, რომელ არა განგიბნევიან. და შემეშინა, მივედ და დავჰფალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აჰა, შენ თანა არს შენი (მ. 25,24-25 C);

.... ჰრქუეს მას: და ვითარ აღგეხუნეს თუალნი შენნი? მან მიუგო: რომელსა-იგი იესუ ჰრქუან, თიქაჲ ქმნა და მომვოზა თუალთა ჩემთა და ბრქუა მე: მივედ სილოამდ და მოიბანე. მივედ და მოვიბანე და ეხედავ (ი. 9,10-11 C);

.... რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიიქცტოდეთ სხუად (მ. 10,23).

1-ელსა და მე-2 მუხლებში ნათქვამიდან შეიძლება ასეთი დასკვნაც გავაკეთოთ: **მი- ზმნისწინის მქონე ერთპირიანი ზმნით შეიძლება გადმოიცეს სუბიექტის მოძრაობა მესამე პირის პოზიციიდან ისეთი სხვა მესამე პირის პოზიციისაკენ, რომელიც კიდევ უფრო დაშორებულია მოუბარი პირისაგან.** სქემით:



III[a]

1. საპირისპიროდ მი- ზმნისწინისა, მო- ზმნისწინის მქონე ერთპირიანი ზმნით შეიძლება გადმოიცეს მესამე სუბიექტური პირის მოძრაობა თავისი პოზიციიდან ისეთი სხვა მესამე პირის პოზიციისაკენ, რომელიც უფრო ახლოსაა მოუბარი პირის პოზიციასთან:

.... ოდეს მოვიდიან ყოველნი პირუტყუნი თაყუანის-ცემად ადამისა..., ყოველსა დღესა მიხვიდი შენცა თაყუანის-ცემად (ლიტ. ჭრესტ. I, 9,15-17);

.... მორბიოდეს მისა და მოიკითხეს იგი (მრ. 9,15);

.... მოიქცა ბერი... მუნვე ადგილად (საბა ას. 7,9).

2. მო-ზმნისწინიანი ზმნით შეიძლება გადმოიცეს პირველი ან მეორე სუბიექტური პირის მოძრაობა მისი მოქმედებისდროინდელი პოზიციიდან ისეთი სხვა მესამე პირის პოზიციისაკენ, რომელიც უფრო ახლოსაა პირველი პირის საუბრისდროინდელ პოზიციასთან:

.... მიუგო კაცმან მან ლევიტელმან.... და ჰრქუა: მოვედ მე და ხარჭი ჩემი გაბად ბენიამენისა დადგომად (მსაჯ. 20,4);

.... მოვიქცტოდით წინაშე სასწაულისა მის ჯუარისა (სინ. მრ. 236,9);

.... მოვედით და იხილეთ ადგილი იგი, სადა იდვა უფალი (მ. 28,6 C).

3. შესაძლოა, მოუბარი პირის პოზიციასთან უფრო ახლოს იყოს რომელიმე მესამე პირი, ვიდრე ამ უკანასკნელისაკენ მოძრავი მეორე სუბიექტური პირი. ასეთ შემთხვევაში მოუბარი პირის პოზიციასთან ახლოს მყოფი მესამე პირისაკენ მეორე სუბიექტური პირის მოძრა-

ობა სააქეთო ორიენტაციად განიხილება და მო- ზმნისწინიანი ზმნით გადმოიცემა:

.... აჰა ეგერა შენ თანა უფალი, იხილე, ვითარცა გნებავს. მოვედ წინაშე მისსა (სინ. მრ. 173,24).

თუ 1-ელ, მე-2 და მე-3 მუხლებში აღნიშნულს გავაერთიანებთ, შეიძლება ასეთი დასკვნა გაკეთდეს: **მო-ზმნისწინიანი ერთპირიანი ზმნებით შეიძლება გადმოიცეს სუბიექტის მოძრაობა მოუბარი პირისათვის უშორესი მესამე პირის პოზიციიდან იმავე მოუბარი პირისათვის უახლოესი მესამე პირის პოზიციისაკენ:**

$$\text{I}_\bullet \quad \text{III}_\bullet \xleftarrow[\text{მო-}]{\text{S}} \text{III}_\bullet$$

IV

პირველი სუბიექტური პირის მოძრაობა მეორე პირის პოზიციისაკენ საიქეთო ორიენტაციად უნდა იქნეს განხილული. ასეც ყოფილა და იმიტომაა, რომ ძველ ქართულში ასეთ შემთხვევაში მი- ზმნისწინიანი ფორმები გამოიყენებოდა:

.... მე შენდა მივალ (ი. 17,11 C);
.... ჩემითა მით მიხლვითა კუალად თქუენდა მიმართ (ფილიპ. 1,26).

სქემით ეს ასე გამოიხატება:

$$\text{I}_\bullet \xrightarrow[\text{მი-}]{\text{S}_1} \text{II}_\bullet$$, რაც ამას ნიშნავს:

პირველი სუბიექტური პირის მოძრაობა თავისი პოზიციიდან მეორე პირის პოზიციისაკენ მი- ზმნისწინიანი ფორმით გადმოიცემა.


IV[ა]

ზემოთქმულის საპირისპიროდ, **თუ მეორე სუბიექტური პირი მოძრაობს მოუბარი პირის პოზიციისაკენ, ასეთი მოძრაობა სააქეთოა და იგი მო- ზმნისწინის შემცველი ზმნით უნდა გადმოიცეს.**

მართლაც ამას ადასტურებს ასეთი მაგალითები:

.... ვინაჲ მოხუალთ ანუ ვიდრე ხუალთ (მსაჯ. 19,17):
.... გისტჯნევდით თქუენ, და არა მოპროკევდით (ლ. 7,32 C).

სქემით ეს ასე აღინიშნება:



§ 30. საიქეთო და სააქეთო ორიენტაციის გამოვლინების ძირითადი შემთხვევები ძველ ქართულში. ჩვენ უკვე განვიხილეთ მი- და მო- ზმნისწინების ხმარების ძირითადი შემთხვევები სამივე მიმართების ზმნებში. ვნახეთ, რა შემთხვევებში გამოიყენებოდა მი- ზმნისწინი და რა შემთხვევებში მო- ზმნისწინი, ე. ი. რა შემთხვევაში შეიძლებოდა ორიენტაცია *საიქეთოდ* გაგვეგო და რა შემთხვევაში—*სააქეთოდ*.

თუ ყველაფერს, რაც ზემოთ საიქეთო და სააქეთო ორიენტაციის შესახებ ითქვა, თავს მოვუყრით, შემდეგ საერთო დასკვნას მივიღებთ:

1. ძველ ქართულში საიქეთო ორიენტაციაში იგულისხმებოდა:

ა) მოძრაობა მოუბარი პირის პოზიციიდან მესამე ან მეორე პირის პოზიციისაკენ;

ბ) მოძრაობა მოუბარ პირთან ახლოს მყოფი მეორე პირის პოზიციიდან უფრო შორს მყოფი მესამე პირის პოზიციისაკენ;

გ) მოძრაობა მოუბარ პირთან ახლოს მყოფი მესამე პირის პოზიციისაგან უფრო შორს მყოფი მეორე ან მესამე პირის პოზიციისაკენ.

2. სააქეთო ორიენტაციაში იგულისხმებოდა:

ა) მოძრაობა მესამე ან მეორე პირის პოზიციიდან მოუბარი პირის პოზიციისაკენ;

ბ) მოძრაობა მოუბარი პირის მიმართ უფრო შორს მყოფი მესამე პირის პოზიციიდან უფრო ახლოს მყოფი მესამე ან მეორე პირის პოზიციისაკენ;

გ) მოძრაობა მოუბარი პირის მიმართ უფრო შორს მყოფი მეორე პირის პოზიციიდან უფრო ახლოს მყოფი მესამე პირის პოზიციისაკენ.

ასეთი უნდა ყოფილიყო მი- და მო- ზმნისწინებთან დაკავშირებული საიქეთო და სააქეთო ორიენტაციის თავდაპირველი გაგება და მისი გამოვლინების კონკრეტული სახეები, რაც კიდეც დასტურდება ძველი ქართულის მასალაზე დაყრდნობით. ამოსავალი პუნქტი ამ გაგებისათვის, როგორც ჩანს, მოუბარი პირის პოზიციაა. თუ მოძრაობა-გადაადგილების შედეგად მოძრავი პირი (სუბიექტი ან პირდაპი-

რი ობიექტი) უახლოვდება მოუბარი პირის პოზიციას, ორიენტაცია საქეთოა, ხოლო თუ შორდება. ორიენტაცია საიქეთოა.

3. ამას გარდა, უკვე ძველ ქართულში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა მოუბარი პირის პოზიციისაგან მეორე პირის პოზიციისაკენ ანდა მეორე პირის მყოფობის არეში მოქცეული მესამე პირისაკენ მიმართული მოძრაობაც სააქეთო ორიენტაციად გაიაზრება. მაგრამ ორიენტაციის ასეთი გაგება, რაც საბოლოოდ დამკვიდრდა ახალ ქართულში, ძველი ქართულისათვის ნიშანდობლივ მოვლენას არ წარმოადგენს.

§ 31. აღრევები ორიენტაციის თვალსაზრისით. ზემოთ საკმაო სისრულით ვაჩვენეთ, რომ **მი-** და **მო-** ზმნისწინები საიქეთო და სააქეთო ორიენტაციას გადმოსცემდნენ როგორც სამპირიან, ისე ორპირიანსა და ერთპირიან ზმნებში. ამავე დროს, უკვე გაანალიზებული მასალის საფუძველზე იმის თქმაც შეგვიძლია, რომ ეს ზმნისწინები ძველ ქართულში მეტი სისრულით გადმოსცემდნენ ორიენტაციას პირველი პირის მიმართ, ვიდრე ახალ ქართულში, როცა ორიენტაცია უკვე მეორე პირის პოზიციასაც გულისხმობს ამოსავალ ორიენტირად. ამდენად, ეჭვი არაა, რომ ორიენტაციის თავდაპირველი ბუნება ძველ ქართულში უფროა გამოვლინებული, ვიდრე ახალში, როცა მან გარკვეული ცვლილებები განიცადა.

ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ძველსავე ქართულში შეიმჩნევა ცალკეული აღრევები ორიენტაციის თვალსაზრისით. ავიღოთ ასეთი მაგალითი: „რაჲთა ესენი **მი**მიძღუენ და **მო**მიყუანონ მე მთად წმიდად შენდა და საყოფელთა შენთა“ (ფს. 42,3). აქ ერთი და იმავე პოზიციიდან ერთი და იმავე პოზიციისაკენ მიმართული ორი მოქმედება სხვადასხვა ორიენტაციითაა გადმოცემული: ერთი — საიქეთოთი (მიმიძღუენ), მეორე კი სააქეთოთი (მომიყუანონ).

მოსალოდნელი კი იყო „მიმიძღუენ და მიმიყუანონ“. როგორც ეს Ქ რედაქციაშია მოცემული: (....ესენი **მი**მიძღუეს და **მი**მიყუანეს მე მთასა წმიდასა შენსა და საყოფელთა შენთა“. ან კიდევ ახალი გააზრებით: „**მო**მიძღუენ და **მო**მიყუანონ“.

ასეთსავე აღრევას აქვს ადგილი შემდეგ წინადადებაშიც: „აღდგა ადამ და **მი**სდევდა კუალსა მას მისსა და **მო**ვიდა მისა დასავალით კერძო, სადაცა იყო ევა“ (ლიტ. ქრესტ. I, 6,10-11); აქ **მი**სდევდა და **მო**ვიდა, კონტექსტის მიხედვით, ერთი მიმართულებით შესრულებული ორი მოქმედებაა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ორიენტაციითაა გადმოცემული.

ახლა ასეთი მაგალითი ვნახოთ: „რამეთუ შენდამი გამოვევარდი“ (ლიტ. ქრესტ. I, 5,29); აქ მეორე პირის ნაცვალსახელს საიქეთო ორიენტაციის მი- თანდებული აქვს, მისკენ მიმართული მოქმედების აღმნიშვნელ ზმნას კი — სააქეთო ორიენტაციის **გამო-** ზმნისწინი. ორგანვე ან საიქეთო ორიენტაცია უნდა გვქონოდა, ან კიდევ — სააქეთო.

ძველ ქართულში ისეთი შემთხვევაც დაიძებნება, როცა ერთი-შეორის საპირისპირო მიმართულებით შესრულებული ორი მოქმედებიდან ორივე საიქეთო ორიენტაციის სახითაა გადმოცემული: „იგინი გამოვიდეს მიერ შიშითა დიდითა.... და მოვიდეს წინაშე დედოფლისა. **მიუგო** დედოფალმან და ჰრქუა მათ: ვინ არიან ესე? **მიუგეს** და ჰრქუეს: ესენი არიან....“ (სინ. მრ. 239,16-19). ამ წინადადებაში მეორე შემთხვევაში **მიუგეს** ფორმის ნაცვლად მოსალოდნელი იყო **მოუგეს** ფორმა.

ასეთი აღრევები სხვაც ბევრი დაიძებნება ძველი ქართულის ძეგლებში, მაგრამ ნიმუშად ესეც კმარა. რაც შეეხება აღრევათა მიზეზს, იგი შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ ენა იმ პირველწყაროებისა, საიდანაც ჩვენი ძეგლები იყო ნათარგმნი, ვერ გაარჩევდა საიქეთო და სააქეთო ორიენტაციას [1].

§ 32. **ზოგი ისეთი ზმნა, რომელთანაც მო- ან მი- ზმნისწინი ორიენტაციას ვერ აღნიშნავს.** ისევე როგორც ახალ ქართულში, ძველ ქართულშიც იშვიათი როდია ისეთი ზმნა, რომელსაც **მო-** ზმნისწინის ქონების მიუხედავად ორიენტაციის გადმოცემა არ შეუძლია. ეს ის ზმნებია, რომელთაც **მო-**ს საპირისპიროდ **მი-**ზმნისწინიანი ფორმები არ გააჩნიათ. ასეთებია:

მოიპოვა, მოიძაგა, მოიძულა, მოიძია, მოიკსენა, მოიწყინა, მოითმინა, მოითხოვა, მოიკითხა, მოილოცა, მოივაჭრა, მოიმკო, მოიკუეთა, მოუსპო, მოისპო, მომსრა, მოისრა, მოაშთო, მოაჩჩო, მომკლა, მოვკუდი, მოიწყლა, მოაკლდა, მოაპო, მოსტეხა, მოაძოვა, მოჭამა, მოსწყდა, მოწყჳდა, მოთხარა, მორწყა, მოწუა, მოლბა, მომედგრდა, მოოკრდა, მოუძლურდა, მოიქმნა, მოსცალდა, მოიკიცხა, მოამშჳდა, მოჰმზადა. მოატყუა, მოიღუაწა, მოაშრომა და სხვანი.

ზოგი ზმნა ისეთია, რომელსაც ერთ გრამატიკულ ფორმაში რომ შეუძლია ორიენტაციის გადმოცემა, მეორეში უკვე ამის უნარს კარგავს. ასეთია, მაგალითად, **გება** ზმნა სამპირიანი და ორპირიანი შინაარ-

[1] ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები...: იქვე, V, გვ. 79.

სით. როცა ეს ზმნა სამპირიანია და სამაგიეროს გადახდას ან პასუხის გაცემას ნიშნავს, მაშინ მას შესაძლოა ჰქონდეს როგორც **მი-**, ისე **მო-** ზმნისწინიანი ფორმები, რის შედეგადაც ორი საპირისპირო ორიენტაცია გაიაზრება (მიუგო. მიაგო. მოუგო). მაგრამ. როცა ეს ზმნა ორპირიანია და რისამე შოვნას, შეძენას, მოპოვებას ნიშნავს, მაშინ მას მხოლოდ **მო-**ზმნისწინიანი ფორმები აქვს, რის შედეგადაც იგი ორიენტაციას ვეღარ გადმოსცემს. ასევე ითქმის **მიტაცება — მოტაცება** ზმნის შესახებ. სამპირიანობის შემთხვევაში მას ორიენტაციის გადმოცემა შეუძლია (მიმტაცა, მოვსტაცე), მაგრამ ორპირიანობის შემთხვევაში უკვე ძველსავე ქართულში მან მხოლოდ **მო-** ზმნისწინიანი ფორმები დაიმკვიდრა (მოვიტაცე. მოიტაცა), რის გამოც ორიენტაციის გადმოცემის უნარი დაკარგა.

იმ ზმნებში, რომლებსაც მხოლოდ **მო-** ზმნისწინიანი ფორმები მოეპოვებოდათ, შემდეგი ჯგუფები შეიძლება გამოიყოს:

ა) სათავისო ქცევის ფორმები. რომლებშიც იგულისხმება პირდაპირი ობიექტის მოძრაობა სუბიექტისაკენ: მოიტაცა, მოიპოვა, მოითხოვა, მოიკითხა, მოივაჭრა, მოიმკო და ა. შ.

ბ) ზმნები. რომლებიც მთელიდან ნაწილის გამოცალკევებას გულისხმობენ: მოაპო, მოსტეხა.

გ) ზმნები, რომლებიც სიცოცხლის მოკლებას გულისხმობენ: მოისპო, მომსრა, მოაშთო, მოკლა, მოკუდა, მოიწყლა, მოწყდა, მოაკლდა;

დ) ზმნები. რომლებიც გარკვეულ უბანზე მომბდარ მოქმედებას გულისხმობენ: მოოკრდა, მოიქმნა, მონუა, მორწყა, მოაძოვა და სხვანი;

ე) ზმნები. რომლებიც **მო-** ზმნისწინის თანხლებით ირგვლივ მოქმედებას აღნიშნავენ (§ 33) და სხვანი.

ზემოდასახელებულ **მო-**ზმნისწინიან ზმნებს, როგორც აღვნიშნეთ, არ მოეპოვებათ საპირისპირო **მი-**ზმნისწინიანი ფორმები, მაგრამ ახალ ქართულში ზოგ მათგანს **მი-** ზმნისწინიანი ფორმაც შეიძლება ჰქონდეს, როცა იგი შედის კომპოზიტში ამავე ფუძისაგან მიღებულ **მო-** ზმნისწინიან ფორმასთან ერთად: მიითხოვ-მოითხოვა, მიიკითხ--მოიკითხა, მისტეხ-მოსტეხა, მითხარ-მოთხარა და ა. შ.

ამ შემთხვევაში დაკავშირების საფუძველი თუმცა დაპირისპირებაა, მაგრამ მოცემული კომპოზიტები ისე გაიაზრება, როგორც **მიმო-** ზმნისწინიანი იგივე ზმნები (მიმოითხოვა. მიმოიკითხა და ა. შ.). ამის გამო ორიენტაციას ეს ზმნებიც ვერ გადმოსცემენ.

ძველ ქართულში ისეთი შემთხვევა, რომ ზმნას **მი-** ზმნისწინი ჰქონდეს და ორიენტაციის გადმოცემის უნარი არ გააჩნდეს, სანთ-

ლით საძებარია. ასეთის ნიმუშად გამოდგება, მაგალითად, **მიდგომა** ზმნა დაორსულების შინაარსით: „ქალწული **მიუდგეს** და შვეს ძე“ (მ. 1.23); „**მიუდგეს** ორნივე იგი ასულნი ლოთისაგან“ (დაბად. 19,36); „შევიდა მისა და მიუდგა იგი. და იხილა, რამეთუ **მიდგომილ** არს და შეურაცხ იქმნა დედოფალი იგი მის წინაშე“ (დაბად. 16,4).

ასევე ვერ გადმოსცემს ორიენტაციას **მიძინება** ზმნაც, რომელსაც საპირისპირო **მო**-ზმნისწინიანი ფორმა არ გააჩნია. ხოლო **თხრობა** ზმნა ძველ ქართულში ყოველთვის **მი**- ზმნისწინით იხმარებოდა: „ვერვინ შემძლებელ არს **მითხრობად**, რომელი იხილეს თუალთა ჩემთა“ (სინ. მრ. 268,11); „სიტყუა არს **მიმთხრობელ** მიზეზთა“ (ას. ცხ. 2,2 C); „მოადეგით სიონსა, მოიცევით იგი და **მიუთხრობდით** გოდლებსა მისსა“ (ფს. 47,13).

ამ უკანასკნელ მაგალითში ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადება გვაქვს მოცემული. პირველი ორი ზმნა (მოადეგით, მოიცევით) სააქეთო ორიენტაციისაა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, მესამე ზმნაც სააქეთო ორიენტაციისა ყოფილიყო, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ ამ ზმნას (მიუთხრობდით) არ გააჩნია **მო**-ზმნისწინიანი ფორმა. ამ მხრივ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს ერთი ადგილი სინური მრავალთავიდან, სადაც ვკითხულობთ: „განცხადებულად **მოგუეთხრობის** ჩუენ“ (სინ. მრ. 3,30).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში საბოლოოდ ეს ზმნა სწორედ **მო**-ზმნისწინიანი ფორმით დამკვიდრდა, ხოლო **მი**-ზმნისწინიანი სახე ხმარებიდან ამოვარდა.

§ 33. მ ო- ზმნისწინი აღნიშნავს რისამე ირგვლივ მოქმედებას. **მო**- ზმნისწინი, გარდა იმისა, რომ სააქეთო ორიენტაციას გადმოსცემს. რიგ ზმნებში სხვა ფუნქციასაც ასრულებს. ესაა რისამე ირგვლივ მოქმედების ჩვენება. **მო**- ზმნისწინის ეს ფუნქცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (§ 12), ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ შემჩნეული ჰქონდა ქართველ ლექსიკოგრაფს სულხან-საბა ორბელიანს, ხოლო საენათმეცნიერო ლიტერატურაში იგი მითითებული აქვს ჰ. ფოქტსა და ა. მარტიროსოვს.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, სადაც **მო**- ზმნისწინი სწორედ ასეთი ფუნქციითაა გამოყენებული:

.... **მოაპყრა** მოსე სისხლი იგი საკურთხეველსა მას გარემო (ლევიტ. 8,24);

.... წელნი თქუენნი **მორტყმულ** იყუნენ (გამოსლვ. 12,11);

.... **მოირტყ** და შეისხენ სანდალნი შენნი (საქმე. 12,8 Ჭ);

.... ტყაენი იგი თიკანთანი **მოპხჳნა** მკლავთა და შიშველსა ქედსა მისსა (დაბად. 27,16);

.... ნაჭურცენი მისი ნედლი **მოსძარცუა** (დაბად. 30,37);

.... გარეშე ყოველივე, რაჲცა არს მისი, შენ **მოიცევ**? (იობ. 1,10);

.... **მოცვულ** ვარ მე დიდძალად ყოველთა მიერ (იობ. 17,7);

.... ანუ არა შენ **მოჰზღუდეა** გარემო მისა...? (იობ. 1,10);

.... ზღუდე გარე **მოსდვა** მას (მ. 21,33);

.... განვიდა იოსებ პირისაგან ფარაოჲსისა და **მოვლო** ყოველი ეგვპტე (დაბად. 41,46);

.... აღდეგ და **მოვლე** ქეყანაჲ, სიგრძე და სიერცე მისი (დაბად. 13,17).

ზოგიერთ ზმნას. რომელიც სათავისო ქცევის ფორმითაა მოცეშული, **მო-** ზმნისწინი ირგვლივ შემოკრების შინაარსსაც აძლევს:

.... **მოიმოწაფენით** ყოველნი წარმართნი (ზარზმ. 148,12);

.... წმიდაჲ ესე **მოიმრევლებდა** კაცთა ჰამბვითა კეთილითა (საბა ას. 6,18);

.... წმიდაჲ ეკლესიაჲ სიყუარულითა მით სიწმიდისაჲთა **მოიმძევლებდა** ყოველთა წინაწარმეტყუელთა (სინ. მრ. 228,36).

§ 34. მ ო- ზმნისწინი გამოხატავს მოქმედების ზედაპირულობას, ზედაპირზე განფენილობას. მო- ზმნისწინის ერთი შენაძენი ფუნქციათაგანია მოქმედების ზედაპირულობის, ანუ ზედაპირზე განფენილი მოქმედების გამოხატვა. ამ შინაარსის ზმნები სულ უფრო და უფრო მატულობს ახალ ქართულში. ასეთებია. მაგალითად: **მოთეთრება, მოვარაყება, მოსევადება, მოოქროვება, მოჭოპსნება, მობათქაშება, მოასფალტება...**

ძველ ქართულში **მო-** ზმნისწინი ამ ფუნქციით თითქმის არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს ცალკეული შემთხვევები, როცა იგი ამ შინაარსს რამდენადმე გვაგრძნობინებს:

.... თიკაჲ ჭმნა და **მ ო მ გ ო ზ ა** თეალთა ჩემთა (ი. 9,11 C);

.... თიკაჲ დამდეა თუალთა ჩემთა, და **მ ო ე ი ბ ა ნ ე** და ეხედავ (ი. 9,15 C);

.... იხარებდა ადგილსა მას დაუედებულობისა [თჳს].... უფროჲს სამეუფოთა ტაძართა, ოქროჲთა და ეცხლითა **მ ო ლ ე ს უ ლ თ ა** (საბა ას. 5,13).

შემდეგში **მო-** ზმნისწინის ეს ფუნქცია საკმაოდ განვითარებულა. ასე რომ, საბას ლექსიკონში ასეთი ნიმუშები სანთლით საძებარს როდიღა წარმოადგენს:

მოოქროვილი — ოქროჲთ მოცული.
მოყვითლული — ოქროჲთ მოფერილი.
მოოქვილი — **მ ო თ ვ ა ლ უ ლ ი** ოქროჲთა.
მოპეტალებული — პეტალით მოსილი.

მოკირო — კირით შეკვრა.
მოგოზა — მოგლისა.
მოვეცხლული — (განმარტებული არაა) და ა. შ.

ზოგ შემთხვევაში შესაძლოა, მოქმედების ზედაპირზე განფენილობა, მოქმედების ზედაპირულობა არა მარტო მო- ზმნისწინმა, არამედ მი- ზმნისწინმაც გამოხატოს: მოაკრიალებს—მიაკრიალებს, მოამშრალებს—მიამშრალებს, მოანაგვიანებს — მიანაგვიანებს... მაგრამ ასეთი ზმნები ძალზე ცოტა გვხვდება. ჩანს, ეს ფუნქცია მო- ზმნისწინმა უფრო მეტი ძალით განივითარა, ვიდრე—მი- ზმნისწინმა. მაგალითად, თუკი ზედაპირზე განფენილ მოქმედებას გადმოსცემს მოასფალტება, მოოქროვება, მოჩუქურთმება და სხვა ასეთი ზმნები, ასეთივე შინაარსის გადმოსაცემად აღარ გამოდგება მიასფალტება, მიოქროვება, მიჩუქურთმება და სხვა ზმნები.

ახალ ქართულში, მართალია, გვაქვს მი- ზმნისწინიანი ბევრი ისეთი ზმნა, რომელიც გვაგრძნობინებს საგნისადმი ზედაპირზე შეხებას: მიამყნობს, მიანარცხებს, მიაპკურებს, მიასხურებს, მიაფრქვევს, მიაწებებს, მიაბნევს, მიახრახნის და სხვ., მაგრამ ეს ზმნები იმ რიგის როდია, როგორიცაა მოთეთრება, მოოქროვება და სხვანი.

მი-ზმნისწინიანი ეს ზმნები უზმნისწინოდაც რომ გვეხმარა (მყნობა, პკურება, სხურება, ფრქვევა, ბნევა და სხვ.). ისინი მაშინაც საგნის ზედაპირზე შეხების შინაარსის მქონე იქნებოდნენ. ასევე შეინარჩუნებდნენ ეს ზმნები ზედაპირზე შეხების შინაარსს, თუკი მათ და- ზმნისწინით გავაფორმებდით: დამყნობა, დაპკურება, დასხურება, დაფრქვევა, დაბნევა და ა. შ.

ამიტომ მოცემულ ზმნებში ზედაპირზე შეხების შინაარსი არ შეიძლება მი- ზმნისწინით გადმოცემულად მივიჩნიოთ.

რაც შეეხება მოოქროვება, მოთეთრება და ამ რიგის სხვა ზმნებს, აქ მო- ზმნისწინი რომ არ ყოფილიყო, ზმნა ზედაპირზე განფენილი მოქმედების შინაარსს ვერ შეიძენდა.

§ 35. მო- ზმნისწინი ახალ ქართულში გამოხატავს მოქმედების ოდნაობას, მცირე ზომით შესრულებას, სიცოტავეს. შევადაროთ ერთმანეთს ისეთი ზმნები, როგორიცაა: მოათბო და გაათბო, მოალბო და გაალბო, მოამჟავა და დაამჟავა, მოაცოცხლა და გააცოცხლა....

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ, თუ გაათბო, გაალბო, დაამჟაჟა, გააცოცხლა ზმნები თავის ძირითად შინაარსს სისავსით წარმოგვიდგენს, ეს სისრულე უკვე აღარ იგრძნობა ამავე ზმნათა მო- ზმნისწინიან ფორმებში. ისეთი ზმნები, როგორიცაა: მოათბო, მოალბო, მო-

ამუავა, მოაცოცხლა და სხვანი, გვიჩვენებს, რომ მოქმედების შესრულება მცირე ზომით, სიცოტავით, ოდნაობით ხასიათდება:

მოათბო — ოდნავ გაათბო.
მოალბო — მცირედ დაალბო.
მოამუავა — ცოტათი დაამუავა.
მოაცოცხლა — სიცოცხლეს დაუბრუნა, მოასულიერა.

ასეთი ზმნები დღევანდელ ქართულში ცოტა როდია, აი ზოგი მათგანი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან:

მოასველებს — ცოტათი დაასველებს.
მოასუსტებს — ცოტათი დაასუსტებს.
მოიგიეებს — ცოტათი გიჟია.
მოიზარმაცებს — ოდნავ ზარმაცია.
მოისულელებს — ცოტა სულელია.
მოისუსტებს — ცოტათი სუსტია.
მოიძუნწებს — ცოტათი ძუნწია.
მომხიარულდება — ცოტა. თანდათან გამხიარულდება.
მოაბერებს — სიბერეს მოეახლოვებს.
მოიკოკლებს — ოდნავ კოკლია.
მოიმწარებს — ოდნავ მწარეა [1].

ყველა ამ ზმნაში მოქმედების სიცოტავე. ოდნაობა იგრძნობა და ეს სათანადოდაა ასახული განმარტებებშიც.

მო- ზმნისწინი ზმნებში მოქმედების ოდნაობას რომ გამოხატავს, ამის შესახებ ყურადღება ჰანს ფოქტმა გაამახვილა, რომელსაც სა-ამისო ნიმუშებად დასახელებული აქვს ზმნები — **მოვსვი, მოვბერდი** [2].

მო- ზმნისწინის მიერ მოქმედების სიცოტავის გამოხატვა საბას ლექსიკონშიცაა დადასტურებული:

მოთუქუა — მცირედ მოხარშვა.
მოფოლება — მწეხარების მცირედ მოკლება.
მოხრა — მცირედ მოდრეკა.
მოკუტვა — თვალის ნახევრად მოხუჭვა.
მომკუდარუნება — თავი მკუდარს ამსგავსოს.

ამავე რიგს უნდა განეკუთვნოს საბას მიერ განმარტებული ისეთი სიტყვებიც, როგორიცაა: **მოუსუსურდენ, მოიკანტურა, მოისაპყრა, მომუავებული** და სხვა.

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, V, 1958.

[2] Hans Vogt, Esquisse d'une grammaire du géorgien moderne, Oslo, 1936, გვ. 262.

რამდენიმე ნიმუში **მო-** ზმნისწინის მქონე ისეთი ზმნების ხმარებისა, რომლებშიც მოქმედების ოდნაობა იგრძნობა, „ვეფხისტყაოსანშიც“ გვაქვს:

.... მე ვჰკადრე: „ხელი გავიხსენ, დამიწყო **მოჯობინება...**“ (366,3);
.... მანვე ქმნა და **მო-რე-ჯობდი**, გული წყლული გაეარკინე (354,4);
.... **მოლმობიერდა, მომიტკბა** გამწყრალი, გარისხებული (538,1);
.... ტარიელ **მოტკბა** (1615,1);
.... ცრემლნი მოსწურნა თვალთაგან, ცოტად-რე **მოაცნობილა**, მაშინღა იცნა, აცოცა მოეკდო, **მოეძმობილა** (872,2-3).

რაც შეეხება ძველი ქართული ენის ძეგლებს, მათში ისეთი ზმნები, რომლებშიც **მო-** ზმნისწინი მოქმედების ოდნაობას გამოხატავდეს, თითქმის არ გვხვდება. მართალია, ზოგი ისეთი ზმნა, რომელიც დღევანდელ ქართულში ამ შინაარსით იხმარება, ძველ ქართულშიც გვქონდა, მაგრამ მაშინ ამ ზმნებს სავსებით ისეთი შინაარსი როდი ჰქონდათ, როგორიც დღეს. მაგალითად, ახალ ქართულში **მოუძლურება** ზმნაში მოქმედების ოდნაობა იგრძნობა (შდრ.: დაუძლურება). ეს ზმნა ძველ ქართულშიც გვქონდა, მაგრამ მაშინ მისი შნიშვნელობა ის იყო, რაც დღეს დაუძლურება ზმნას აქვს:

.... ქუე იდვა იგი სიკუდიდ მიახლებული, **მოუძლურებული** გუამითა სიმძაფრისაგან წყურილისა (საბა ას. 10,11);
.... გემოჲ მახილვე მგბრისა მაგისგან იფქლისა, რამეთუ **მოუძლურდი** (დაბად. 25,30).

ამის მიუხედავად, ჩანასახები იმისა, რომ **მო-** ზმნისწინს ოდნაობის გაგება შეჰქონდეს ზმნაში, ძველ ქართულშიც შეიძლება დაიძებნოს. ასეთის ნიმუშად გამოდგება ერთი ადგილი ეფრემ ასურის თხზულებიდან — „თქმული წმიდისა ეფრემისი სინანულისათჳს“.

.... უკუეთუ ვინმე თავი თჳსი **მოიმედგროს** და სცონოდის აღებად პირისა მისისა და ხადიდ მადლსა მას, რაჲთა მოვიდეს მადლი იგი შემწედ მისა, ნუ აბრალებნ მადლსა მას, რამეთუ არა შემწე ექმნა მას (ისტ. ქრესტ. II, 11,8-10).

ამ ფრაზაში **მოიმედგროს** ზმნა ამას ნიშნავს: მოიზარმაცოს (ასეა იგი განმარტებული ი. იმნაიშვილის მიერ [1]), რაც ოდნაობის შინაარსის მქონეა, მაგრამ იგივე სიტყვა ისეთ კონტექსტებშიც გვხვდება, სადაც უკვე ოდნაობის შინაარსი აღარ გამოჩანს: „უბანნი იგი... **მომედგრდებოდეს** თრევითა ასოთა წმიდათაჲსა“ (ისტ.

[1] ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963 წ., იხ. წიგნზე დართული ლექსიკონი, გვ. 141. **მომედგრება.**

ქრესტ. II, 103,33); ამ შემთხვევაში უკვე **მომედგრება** დასუსტებას, დაუძლურებას ნიშნავს.

მოქმედების ოდნაობის გამოხატვა ახალ ქართულში **შე-** ზმნისწინითაც შეიძლება. ამასთან ერთად, როგორც განხილული გვაქვს (§ 81), **შე-** ზმნისწინისათვის ეს ფუნქცია დამახასიათებელია უკვე ძველსავე ქართულში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **მო-** ზმნისწინმა ოდნაობის გამოხატვის ფუნქცია უფრო გვიან განივითარა, ვიდრე **შე-** ზმნისწინმა.

§ 36. მი- და მო- ზმნისწინების გენეზისისათვის. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ **მი-** და **მო- ზმნისწინები ორ ურთიერთსაპირისპირო** — საიქეთო და სააქეთო ორიენტაციას აღნიშნავენ. როგორც ერთისათვის, ისე მეორისათვის ამოსავალია პირველი პირის პოზიცია. რაც მათ **საერთო აღსანიშნს** წარმოადგენს. ამასთან ერთად, ეს ზმნისწინები გვიჩვენებენ, უახლოვდება თუ შორდება ზმნით გადმოცემული მოქმედების სუბიექტი ან პირდაპირი ობიექტი პირველი პირის პოზიციას. ეს კი საიქეთო და სააქეთო ორიენტაციის **განსხვავებული აღსანიშნებია.**

ისმის კითხვა: როგორ ახერხებენ **მი-** და **მო-** ზმნისწინები საიქეთო და სააქეთო ორიენტაციის (შესაბამისად) საერთო და განსხვავებული აღსანიშნების გადმოცემას.

ვფიქრობთ, რომ ორიენტაციის აღმნიშვნელ ამ უძველეს ზმნისწინებს თავის აგებულებაშივე აქვთ დაცული ის ელემენტები, რომლებიც ასახავენ ამ საერთოსა და განსხვავებულ აღსანიშნებს.

ორიენტაციის ორივე სახისათვის საერთო აღსანიშნი, ე. ი. პირველი პირის პოზიციაზე მითითება, ორივე ამ ზმნისწინში ერთი და იმავე ელემენტით უნდა აისახებოდეს. ამ ზმნისწინებში ასეთი საერთო ელემენტი მართლაც გვაქვს **მ-**ს სახით.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს **მ** ელემენტი უნდა ასახავდეს პირველი პირის პოზიციას. საინტერესო შეხვედრაა: იგივე **მ** ელემენტი პირველი ობიექტური პირის ნიშნადაც გვაქვს გამოყენებული; ამავე დროს **მ-**ს ორსავე შემთხვევაში პრეფიქსის ადგილი უჭირავს.

თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ შეიძლება ისიც დავუმატოთ, რომ ეს **მ** ელემენტი წარმომავლობით სწორედ პირველი პირის ნაცვალსახელურ ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული და არა მესამე პირის

ნაცვალსახელურ ძირთან (მან), როგორც ამის შესახებ უკვე გამოთქმულია მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში[1].

მეორე მხრით, მი- და მო- ზმნისწინები შედგენილობის მიხედვით მხოლოდ ხმოვანი ელემენტებით განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამიტომ სწორედ ამ ხმოვან ელემენტებში უნდა ვეძიოთ ორიენტაციის ორი ურთიერთსაპირისპირო სახის განსხვავებული აღსანიშნების გამოხატვის შესაძლებლობა: თუ მ ელემენტი პირველი პირის პოზიციაზე მიუთითებს, სამაგიეროდ ი და ო ელემენტები იმაზე მიუთითებს, თუ რა მიმართებაშია ზმნით გამოხატული მოქმედება ამ პოზიციასთან, უახლოვდება თუ შორდება მას.

კერძოდ, ი ელემენტი პირველი პირისაგან დამაშორებელ. საქცთო მიმართულებას აღნიშნავს, ო ელემენტი კი პირველი პირის პოზიციისადმი დამაახლოებელ, საქცთო მიმართულებაზე მიუთითებს. სწორედ ასეა ახსნილი მი- და მო- ზმნისწინთა ხმოვნითი ელემენტების ფუნქცია სამეცნიერო ლიტერატურაში (ნ. მარი. ა. მარტიროსოვი)[2].

ი ელემენტი დასახელებული ფუნქციით, გარდა მი- ზმნისწინისა. სხვა სიტყვებშიც შედის. ეს სიტყვებია: ი-გ-ი, ი-ქ-ი, ი-ს-ე. ი-მიერ და სხვ. ეს სიტყვები ისეთ შემთხვევაში გამოიყენება, როცა უნდა აღინიშნოს პირველი პირისაგან დაშორებული, მისგან შორს, მესამე პირთან მყოფი საგანი თუ მომხდარი მოქმედება.

მაშასადამე, მი- ზმნისწინში ი ელემენტის ცალკე გამოყოფა იმითაცაა გამართლებული, რომ ეს ელემენტი ამავე ფუნქციით სხვა სიტყვებშიც გვხვდება.

აქედან გამომდინარე, მი- ზმნისწინის ი ელემენტი იგივეა, რაც ზემოდასახელებული სიტყვების თავკიდური ი ელემენტი და მისი ფუნქციაა — მიუთითოს მოუბარი პირისაგან დაშორებულ საგანზე. თავისთავად ეს ი იგივე ჩვენებითი ნაწილაკია. რომელიც მესამე პირის ნაცვალსახელური ძირიდან უნდა მომდინარეობდეს[3].

მი- ზმნისწინის საპირისპიროა მო- ზმნისწინი, რომლის ხმოვნითი ო ელემენტი კანონზომიერად უპირისპირდება ზემოდასახელებულ ი ელემენტს. თუ ი ელემენტი პირველი პირისაგან დამაშორებელ მი-

---

[1] Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, § 111; ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: ჟკე, V, გვ. 81.

[2] Н. Марр, Грамматика.., § 111; ა. მარტიროსოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 82.

[3] Н. Марр, იქვე.

მართულებაზე მიუთითებს, ო ლემენტი პირველი პირისადმი დამახლოებელ მიმართულებას აღნიშნავს.

როგორ და რითაა ეს შინაარსი ასახული არაზმნურ სიტყვებში? თუ ისეთი სიტყვები, როგორიცაა: **იგი, იქი, ისე, იმიერ,** პირველი პირისაგან შორს მყოფ საგანზე მიუთითებს, გვაქვს ამავე ძირებისაგან მიღებული ისეთი სიტყვებიც, რომლებიც პირველი პირის სიახლოვის მომენტზე ამახვილებენ ყურადღებას. ეს სიტყვებია: ა-გი (ა-გ-ა), ა-ქ-ა, ა-სე, ა-მიერ და სხვ. ყველა ამ სიტყვაში გამოიყოფა საერთო ა ელემენტი და სწორედ ეს ელემენტია, რომელიც პირველი პირის სიახლოვის შინაარსს გადმოსცემს.

დასახელებულ სიტყვებში გამოყოფილი ეს საერთო ა ელემენტი ფუნქციურად იგივე ჩანს, რაც **მო-** ზმნისწინის ო ელემენტი. ეს კი ბუნებრივად აყენებს კითხვას, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი **მო-** ზმნისწინი და დიალექტებისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი იმავე შინაარსის **მა-** ზმნისწინი.

გ. დეეტერსის აზრით, **მა** ზმნისწინი, რომელიც აღმოსავლურ კილოებში დასტურდება, **მო-**ს უძველესი სახე უნდა იყოს, ხოლო მისი ხმოვნითი ელემენტი **(ა)** იგივე უნდა იყოს, რომელიც მოცემულია აქა ზმნიზედაში [1].

მო-სა და **მა-**ს ურთიერთობის შესახებ ა. მარტიროსოვი წერს: „ახსნას მოითხოვს, თუ ი-ს საპირისპიროდ პირველ პირთან სიახლოვის გადმოსაცემად ო რატომ უნდა ყოფილიყო გამოყენებული მაშინ, როცა ქართულში სამეულთა სისტემიდან... ი-ს ჩვეულებრივ ა უპირისპირდება: ი-მ — ა-მ, ი-ქ — ა-ქ. ი-გი — ა-გი, (დიალექტ.), ი-გრე — ა-გრე, (დიალექტ.), ი-სრე — ა-სრე (დიალექტ.), ი-გერ — ა-გერ (დიალექტ.), ი-მიერ — ა-მიერ და სხვ. თითქოს მოსალოდნელი იყო აქეთა მიმართულების გადმოსაცემად ზმნისწინში ა ყოფილიყო გამოყენებული, რადგან ქართულში მას ი-ს საპირისპირო პოზიცია უჭირავს....

გამოდის, რომ მი-ს საპირისპიროდ ქართულში მა- ზმნისწინი უნდა გვქონოდა (ხაზგასმა ჩვენია ი. ვ.), ამ მხრივ ყურადღების ღირსია ქართული კილოების ზოგიერთი ჩვენება. როგორც ცნობილია, **მა-** ზმნისწინი ახასიათებს როგორც ბარის, ისე მთის აღმოსავლურ კილოებს... მთის კილოებისა და მე-15—18 საუკუნეთა სალიტერატურო ენის ჩვენება გვავარაუდებინებს, რომ ადრე **მა-** უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გავრცელებული ქართული ენის აღმოსავლურ კი-

---

[1] Gerard Deeters, Das kharthwelische Verbum, 1930, გვ. 12.

ლოებში. შესაძლებელია, რომ იგი, როგორც დამოუკიდებელი წინდებული, ქართული ენის რომელიღაც ფენისა თუ კილოს კუთვნილება იყო" [1].

თავის მხრივ, ო-ს წარმომავლობა ა. მარტიროსოვს გაურკვევლად მიაჩნია, რადგან მას ქართულში თითქმის არავითარი პარალელი არ დაეძებნება. ამ მხრივ საყურადღებოა ნ. მარის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ო უნდა მომდინარეობდეს პირველი პირის ნაცვალსახელური უ ძირისაგან. ამ უკანასკნელის თავდაპირველი სახე კი უნდა ყოფილიყო ჰჳ. ამასთან ერთად, ნ. მარის აზრით, ახალ ქართულში მო- ზმნისწინის ო ელემენტი აღქმულ იქნა როგორც სიახლოვის აღმნიშვნელი და ამ ნიადაგზე მის ნაცვლად გამოყენებულ იქნა სიახლოვის აღმნიშვნელი ჩვენებითი ნაცვალსახელური ა ძირი (მო—მა: მა–ვიდა). თავის მხრივ თვითონ ეს ჩვენებითი ნაცვალსახელური ა ძირი ნ. მარს მიაჩნია ჰა—— სა-დან მომდინარედ, რომელიც აგრეთვე პირველი პირის ნაცვალსახელის გადმონაშთს წარმოადგენს, როგორც ეს აფხაზური ენობრივი მასალითაც დასტურდება (ჰა—ჩვენ, სა—მე) [2].

ზემოთქმული მსჯელობიდან ისიც ჩანს, რომ მო- და მა- ზმნისწინების ურთიერთუწინარესობის საკითხში არაა აზრთა ერთიანობა. ნ. მარს მიაჩნია, რომ უძველესია მო-, ხოლო ახალია მა- ზმნისწინი, გ. დეეტერსისა და ა. მარტიროსოვის აზრით კი მა- ზმნისწინი უფრო ძველი უნდა იყოს.

ეს საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

---

[1] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახელებული შრომა, გვ. 82.

[2] Н. М а р р, Грамматика..., § 111.

თ ა ვ ი III

წინა-უკმო არეში მოძრაობის ზმნისწინები

§ 37. ზოგადი. ძველ ქართულში ზმნისწინთა მეოხებით იმის გარჩევაც შეიძლებოდა, თუ სად ხდებოდა ზმნით გადმოცემული მოქმედება —წინა არეში თუ უკანა არეში. სახელდობრ, წინა არეში მოძრაობა **წარ-, წარმო-** ზმნისწინებით გადმოიცემოდა, უკანა არეში მოძრაობა კი —**უკუ- უკმო-** ზმნისწინებით.

წინა და უკანა არეში მოძრაობის გამოხატვის შესახებ პირველად ა. შანიძემ გაამახვილა ყურადღება თავის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ [1].

დღევანდელ ქართულში **უკუ-** და **უკმო-** ზმნისწინები აღარ შემოგვრჩა. ამიტომ უკანა არეში მოძრაობის გადმოცემაზეც აღარ მახვილდება ყურადღება (ეს შინაარსი წინადადებაში **უკან** ზმნიზედის გამოყენებით შეიძლება გადმოიცეს). ამიტომ დღეს, მისი საპირისპირო—წინა არეში მოძრაობის გაგებაც რამდენადმე შესუსტებულია, ძველ ქართულში კი, ერთი მხრით **წარ-, წარმო-**, ხოლო მეორე მხრით, **უკუ-, უკმო-** ზმნისწინების არსებობა შესაძლოს ხდიდა, საჭირო შემთხვევაში გადმოცემულიყო როგორც წინა არეში, ისე უკანა არეში მოძრაობა.

განვიხილოთ ეს ზმნისწინები ცალ-ცალკე.

1. წარ-, წარმო- ზმნისწინები ძველ ქართულში

§ 38. წ ა რ- წ ა რ მ ო- ზმნისწინთა შესწავლის ისტორიიდან. სხვა ზმნისწინებთან ერთად ძველ ქართულში **წარ-** და **წარმო-** ზმნისწინებიც გვქონდა და იმავე ფუნქციით გამოიყენებოდა, როგორითაც დღეს, სახელდობრ, აღნიშნავდა აქედან იქით ან იქიდან აქეთ მოძრაობას წ ი ნ ა ა რ ე შ ი, ან კიდევ, გარკვეულ შემთხვევებში,—წ ი ნ ა ა რ ე შ ი ძ ი რ ს მიმართულ მოძრაობას.

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი I, 1942, § 311.

ამათგან წარ- ზმნისწინისათვის წინა არეში მოძრაობის ფუნქცია შემჩნეული აქვს ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანს რიგი ზმნების განმარტებისას. აი, მაგალითად:

წაკიდებული — წინ წარზიდული.
წამწე — კიდის უურზედ ძელნი ჯირგულად წარზიდულნი კიდის სიმაგრისათჳს.
წარქცევა — წინ წაურა.
წაურა — ცხოელი წინ წაირეკოს და მისდევდეს.
წაშვერილი — წინ წარზიდული [1].

წარ- ზმნისწინი, ერთი შეხედვით, ისეთივე შინაარსით გამოიყენება, როგორითაც მი- ზმნისწინი. იგი აქედან იქით მიმართულებას აღნიშნავს. ეს მიმართულება მი- ზმნისწინისათვის გეზიცაა და ორიენტაციაც. წარ- ზმნისწინისათვის კი (ისევე როგორც სხვა მარტივი ზმნისწინებისათვის) მხოლოდ ორიენტაცია შეიძლება იყოს. რაც შეეხება წარ-ის ფუნქციას გეზის მიხედვით, იგი რაღაც სხვა უნდა ყოფილიყო, ვიდრე საიქეთო მოძრაობის აღნიშვნა და ამითვე უნდა განსხვავებულიყო იგი მი- ზმნისწინისაგან.

დ. ჩუბინაშვილს, რომელმაც პირველმა დაახასიათა ქართული ზმნისწინები თავიანთი მნიშვნელობის მიხედვით, ამ მომენტისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მან წარ- ზმნისწინის ფუნქციად მიიჩნია—აღნიშნოს საგნისაგან დაშორება, ხოლო წარმო- ზმნისწინის შესახებ მიუთითა, რომ აღნიშნავს რაიმედან რაიმესკენ მიმართულებასო [2].

ასევე განსაზღვრავს წარ- ზმნისწინს ნ. მარიც: „წარ- (вульг. წა-) — наружу, вдаль, прочь, от“ [3].

არსებითად ასეთივე განსაზღვრა მოგვცა წარ-, წარმო- ზმნისწინების მნიშვნელობისა ა. შანიძემ თავის „ქართულ გრამატიკაში“ 1930 წელს: „წა- აღნიშნავს მოძრაობას პირველი პირისაგან (მომთხრობისაგან) დამაშორებელს, წამო- კი, პირიქით, მოძრაობას პირველი პირის (მომთხრობის) დამაახლოვებელს“ [4].

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ აქ წა-, წამო- ზმნისწინები დახასიათებულია ორიენტაციისა და არა გეზის თვალსაზრისით. რაც შეეხება გეზს, ამ მხრივ წა-, წამო- ზმნისწინთა დახასიათება ა. შანიძემ მოგვცა უფრო გვიან, თავის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“,

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, „ქართული ლექსიკონი“, 1928.
2 Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, 1855, გვ. 74.
3 Н. Марр. Грамматика древнелит. груз. языка, გვ. 165.
4 ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, 1930, გვ. 74.

რომლის პირველი მონაკვეთი 1942 წელს გამოიცა. კერძოდ, აქ აღნიშნულია, რომ წა-, წამო- ზმნისწინები გვიჩვენებს მოქმედებას წ ი ნ ა ა რ ე შ ი და ამ მხრივ ისინი დაპირისპირებულია უკუ-, უკმო- ზმნისწინებთან, რომლებიც უკანა არეში მოქმედებას აღნიშნავენ[1]. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ეს ზმნისწინები ა. შანიძემ არსებითად გამოყო მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინებისაგან:

ჯერ ერთი, მას ცალ-ცალკე აქვს გამოყოფილი მიმართულების 5 სახე და მათი აღმნიშვნელი ზმნისწინები, მაგრამ არცერთ მათგანში წა-, წამო-, უკუ, უკმო- ზმნისწინები ნაგულისხმევი არაა. ეს ზმნისწინები ავტორს მიმართულების აღმნიშვნელი სხვა ზმნისწინებისაგან გამოყოფილი აქვს ცალკე სათაურით: **„მოქმედება წინა და უკანა არეში“.**

მეორეც, როცა ავტორი წა-, წამო- და უკუ-, უკმო- ზმნისწინთა დაპირისპირებულობას ეხება, ასე წერს: „ეს წყვილები საპირისპირო «მიმართულების» მაჩვენებლებია“-ო. როგორც ვხედავთ, სიტყვა **მიმართულება** ავტორს ბრჭყალებში აქვს ჩასმული, რაც იმას ნიშნავს, რომ არსებითად აქ მიმართულებაზე სულაც არაა ლაპარაკი.

იქვე აღნიშნულია: „თუ წა- და წამო- წინა არეს გულისხმობენ სამოქმედო ასპარეზად, უკუ-სა და უკმო-ს სამაგიეროდ მოქმედება უკანა არეში გადააქვთ. წა-, ასე ვთქვათ, ფრონტალურ ვითარებას გადმოგვცემს, უკუ- კი — ზურგისას“[2].

წარ- ზმნისწინს ცალკე გამოკვლევა მიუძღვნა არნ. ჩიქობავამ 1937 წელს და მეტად საყურადღებო დასკვნებიც გააკეთა[3]. ავტორმა უპირველეს ყოვლისა ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზე: „წა- თუ აღნიშნავს მოძრაობას იქით, მოძრაობას მომთხრობისაგან დამაშორებელს, წამო- უნდა ნიშნავდეს მოძრაობას იქით და აქეთ: წა-ვიდა (იქით). წამო-ვიდა (იქით და აქეთ). ნამდვილად კი პროფ. ა. შანიძის სიტყვით წამო-ვიდა აღნიშნავს მოძრაობას პირველი პირის (მომთხრობის) დამაახლოებელს...“[4] აქედან გამომდინარე, არნ. ჩიქობავამ ეჭვქვეშ დააყენა წა- ზმნისწინის ის განმარტება, რომელიც 1930 წელს მოგვცა ა. შანიძემ და უფრო ადრე ნ. მარმა. ამიტომ იგი მიუთითებს, რომ: „მართალია, წა- პრეევრბის ხმარები-

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, 1942 წ., § 311.

[2] ი ქ ვ ე.

[3] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, წარ- პრეევრბის მნიშვნელობისათვის ქართულში: ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 40—45.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 41.

სას (წა-ვიდა, წა-იღო, წა-იყვანა...) იგულისხმება იქით მოძრაობა, მაგრამ მნიშვნელობის მიხედვით ეს პრევერბი მი- პრევერბის დუბლიკატი არ უნდა იყოს"[1].

შემდეგ ავტორი ქართული წა- ზმნისწინის შესატყვისად მიიჩნევს მეგრულში მიდა-ს, ხოლო ჰანურში წალე-ს და ამ უკანასკნელთა ფუნქციის გათვალისწინებით იმ დასკვნამდე მიდის, რომ წა- ზმნისწინის ფუნქცია უნდა იყოს ძირს, ქვევით მიმართულების ჩვენება. მეგრული მიდა- ზმნისწინი ქართულ წა-ს შეესატყვისება და აღნიშნავს იმასაც, რასაც ქართული მი-, და იმასაც, რასაც ქართული და- ზმნისწინები. თავის მხრივ ქართული წა-ს ჰანური შესატყვისი წალე ზმნისართი მნიშვნელობით უდრის ქვემოთ-ს და შინაარსით უპირისპირდება ჟილე-ს („ზემოთ"); ხოლო მასალობრივად ისეთივე შედგენილობისაა, როგორისაც ქართული წარ- (←წა-რე) ზმნისწინი.

ქართული წარ- ზმნისწინის ამ თავდაპირველ ფუნქციას არნ. ჩიქობავა შემონახულად მიიჩნევს ისეთ სიტყვებში, როგორიცაა წარწერა, წაქცევა, წაყრა, წამოვიდა (წვიმა)[2].

ამასთან ერთად, არნ. ჩიქობავა ყურადღებას ამახვილებს წარ- ზმნისწინის მეორე მნიშვნელობაზე ისეთ სიტყვებში, როგორიცაა წაშვერილი, წააგრძელა, წარდგა. მისი სიტყვით, „აქ თითქოს «წინ» უნდა იგულისხმებოდეს ისევე, როგორც მეგრულ მაგალითებში: ე-წ-ოხე (ნ)—წინ ზის, ე-წ-უძუ(ნ)—წინ უდევს, ე-წ-ობუ(ნ) — წინ უბია"[3]. ამასთან დაკავშირებით ავტორი კითხვას სვამს: იგივეა ეს ზმნისწინი, რაც ქვევითა მიმართულების აღმნიშვნელი წარ-, თუ იგი უკვე წინ (მეგრ. წ ო-ხ-ო ლ-ე) ზმნისართს უკავშირდებაო.

ავტორი იძლევა წარ- ზმნისწინის გენეზისსაც. იგი მას ჰანური წალე-ს ქართულ ვარიანტად მიიჩნევს, ხოლო წარმომავლობის მიხედვით, აფხაზურ სამყაროს უკავშირებს. თვითონ ჰანურში წალე- რომ შემოსული ჩანს ამის საბუთად ავტორი ასახელებს ჰანურში ამავე მნიშვნელობით საკუთრივ ზანური თუდე-ს არსებობასაც. რაც შეეხება აფხაზურს, ამ ენაში კი წა- ზმნისწინი მოგვეპოვება და იგი სწორედ „ქვეშ", „ქვევით" მნიშვნელობის მქონეაო.

ამასთან ერთად, წა- ზმნისწინს აფხაზურში მოეპოვება თავისი ეტიმოლოგიაც: ა-წა- „ძირს", „ფსკერს" აღნიშნავს.

გარდა ამისა, ავტორი იმასაც ამბობს, რომ წა- ზმნისწინს აფხაზურში წინ ზმნისართის მნიშვნელობაც აქვს[4].

---

[1] არნ. ჩიქობავა, წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში: ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 41.

[2] იქვე, გვ. 43.

[3] იქვე, გვ. 43—44.

[4] იქვე, გვ. 44.

აფხაზურში **წა-** ზმნისწინის ამ ორ მნიშვნელობასთან დაკავშირებით ავტორი ხელაბლა სვამს კითხვას, ამ ორი სხვადასხვა მნიშვნელობით ერთსა და იმავე **წა-** ზმნისწინთან გვაქვს საქმე, თუ ერთი მათგანი **წინ** ზმნისართს უკავშირდებაო, და ბოლოს დასძენს: „ეგების ერთ-ერთის არჩევა არც არის საჭირო: **წა-** პრევერბსა და **წინ** ზმნისართს შორის არის კავშირი (აფხაზურად—**მწა**—«წინ», «გვერდით»). მაშინ ქართული «წინ» ზმნისართის, მეგრ. «წამი»-ს (იმავე მნიშვნელობისა) და აფხაზ. **მწა**-ს ურთიერთობის საკითხი დაისმოდა. შეუძლებელი არ იქნებოდა, ეს საკითხიც ისევე გადაწყვეტილიყო, როგორც **წა-** პრევერბის საკითხი“ [1]. მაშასადამე, არნ. ჩიქობავას გამოკვლევის მიხედვით:

1. ქართული **წარ-** ზმნისწინი იგივეა, რაც ჭანური **წალე** ზმნისართი და იგი უცხო სამყაროს, კერძოდ აფხაზურის კუთვნილება უნდა იყოს. (აფხაზ. **წა-** ზმნისწინი).

2. ასეთსავე ურთიერთობაში უნდა იყოს ქართული **წინ**, მეგრული **წამი** და აფხაზური **მწა** ზმნისართებიც.

3. **წა-** ზმნისწინს აფხაზურში თავისი ეტიმოლოგიაც აქვს (ა-**წა**— „ფსკერი“, „ძირს“).

4. **წარ-** ზმნისწინი და მისი მეგრულ-ჭანური და აფხაზური შესატყვისები აღნიშნავს: 1. ძირს მიმართულებას, 2. წინ მიმართულებას.

ეს დასკვნები უთუოდ გასაზიარებელია; მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია ერთი შენიშვნის გაკეთება: რატომ უნდა მომდინარეობდეს ქართველურ ენებში აფხაზურისაგან ცალკე **წარ-** ზმნისწინი და ცალკე **წინ** ზმნიზედა? უმჯობესი ხომ არ იქნება ქართველურსა და აფხაზურ ენებში მივუთითოთ საერთო **წ** ძირის არსებობაზე, რომლისგანაც ამ ენებში განვითარდა ზემოდასახელებული ზმნისწინებიც და ზმნიზედებიც. კერძოდ, ქართულში ამ ძირეულ მასალას ეყრდნობა როგორც წარ- ზმნისწინი, ისე **აწ, უწინ** და **წინ** ზმნიზედები.

რაც შეეხება **წარ-** ზმნისწინის ზემოდასახელებულ ორ ფუნქციას აღნიშნოს მიმართულება ა) ძირს და ბ) წინ. ეს არავითარ შენიშვნას არ იწვევს. მაგრამ საჭირო ხდება პასუხის გაცემა ასეთ კითხვაზე: **წარ-** ზმნისწინი ამ ორ ფუნქციას ერთმანეთისაგან იზოლირებულად ასრულებს (ერთ შემთხვევაში — ერთს და მეორეში — მეორეს), თუ ერთდროულად?

წარ-, წარმო- ზმნისწინთა შესახებ ვრცლად ჩერდება თავის ვა-

[1] არნ. ჩიქობავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 45.

მოკვლევაში ა. მარტიროსოვი[1]. იგი იზიარებს არნ. ჩიქობავას მიერ მოცემულ გენეზისს წარ- ზმნისწინისას, მიუთითებს წარ- ზმნისწინისა და წინ ზმნიზედის მასალობრივსა და ფუნქციურ კავშირზე, შესაძლოა მიიჩნევს მათთან აწ ზმნიზედის დაკავშირებასაც[2] და იძლევა აღნიშნული ზმნისწინის ფუნქციური დანიშნულების ვრცელ დახასიათებას.

ავტორი სამართლიანად მიიჩნევს არნ. ჩიქობავას დებულებას, რომ წარ- ზმნისწინს ისეთივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, როგორიც აქვს წალე-ს ჰანურში.

ამასთან ერთად იგი აღნიშნავს, რომ წარ- ზმნისწინი ფუნქციურად იმასვე გადმოსცემს, რასაც მი-, ხოლო წარმო- ზმნისწინი—იმას, რასაც მო-.

წარ- და მი- ზმნისწინთა ფუნქციური იგივეობის დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს შემდეგი არგუმენტები: 1. ეს ორი ზმნისწინი ხშირად ერთმანეთის შემცვლელად გამოდის; 2. ხშირად თუ იქითა მიმართულების გადმოსაცემად წარ- ზმნისწინია გამოყენებული, აქეთა მიმართულების გადმოსაცემად ნას მო- ზმნისწინი უპირისპირდება (ვჰრქვ ამას: წარვედ! და წ ა რ ვ ი დ ი ს; და სხუასა: მოვედ! და მ ო ვ ი დ ი ს. მ. 8,9); 3. მო- ზმნისწინის მქონე ზოგიერთი ზმნა, რომელსაც საპირისპირო მი- ზმნისწინი არ გააჩნია, ამ დანიშნულებით წარ- ზმნისწინს იყენებს (მოიპარეს—წარიპარეს, მოასხა—წაასხა, მოეთრია—წაეთრია, მოიტაცა—წარიტაცა, მოიგო—წააგო)[3].

ამასთან ერთად, ა. მარტიროსოვი იმასაც აღნიშნავს, რომ მი- და წარ-, მო- და წარმო- ზმნისწინები გამოყენების მხრივ ერთმანეთისაგან საკმაოდაც განსხვავდება. ეს განსხვავება თავს იჩენს შემდეგში:

„მი- და წარ- ყოველთვის და ყველა ზმნასთან არ ენაცვლებიან ერთმანეთს; მი- თითქმის ყველა დროში გვხვდება, მათ შორის აწმყოშიც (მიდის, მიჰყავს, მიგორავს), წარ- კი აწმყოში ჩვეულებრივ არ იხმარება. ამავე დროს წარ- ზმნათა გარკვეულ ჯგუფში გვევლინება. ძველ ქართულში მისი ხმარების არე საკმაოდ შეზღუდული იყო, ამჟამად კი შედარებით იშვიათად გამოიყენება“.

„ეს ორი ზმნისწინი ზოგჯერ მნიშვნელობის მხრივაც განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგალითად: თითქოს სხვადასხვა ჩანს წარ-

---

[1] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე. V, 1953.

[2] დასახელებული ნაშრომი, გვ. 86.

[3] დასახელებული ნაშრომი, გვ. 87.

ვიდა და მივიდა, წარიყვანეს და მიიყვანეს. ამ შემთხვევაში მი- ზმნით გამოხატული მოძრაობის დასასრულ პუნქტზე მიუთითებს, წარ- ზმნისწინი კი ამ მნიშვნელობას მოკლებულია".

„წარ-, მართალია, იქეთა მიმართულებას გადმოსცემს, მაგრამ ზოგჯერ ეს მიმართულება სივრცის გარკვეულ მონაკვეთს, წინა მხარეს გულისხმობს" (სქოლიოში მითითებულია ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლები")[1].

წარ-, წარმო- ზმნისწინთა ეს ფუნქციური დახასიათება საკმაოდ სრულიცაა და არსებითად სწორიც. მხოლოდ ერთი რამ იწვევს შენიშვნას: წარ- ზმნისწინის უმთავრეს ფუნქციად მიჩნეულია. უჩვენოს მიმართულება ძირს და იქით. ისეთი ფუნქცია კი, როგორიცაა წინ მიმართული მოძრაობის ჩვენება, წინა არეში მოძრაობის ჩვენება, მეორე რიგის მოვლენადაა გამოცხადებული, რომელიც ზოგჯერ გამოვლინდება თურმე: „წარ-, მართალია, იქეთა მიმართულებას გადმოსცემს, მაგრამ ზოგჯერ ეს მიმართულება სივრცის გარკვეულ მონაკვეთს, წინა მხარეს გულისხმობს" (დაყოფა ჩვენია ი. ვ.). ამ მსჯელობაში ერთი უზუსტობაცაა: ისე გამოდის, თითქოს იქეთა მიმართულების ჩვენება და წინა მხარეში მოძრაობის ჩვენება ერთმანეთს უპირისპირდებოდეს და ერთის აღნიშვნის შესაძლებლობა მეორის აღნიშვნის შესაძლებლობას გამორიცხავდეს.

იქეთა მიმართულებას, ცნობილია, გვიჩვენებს არა მარტო წარ- ზმნისწინი, არამედ ყველა მარტივი ზმნისწინი და ესაა საიქეთო ორიენტაციის აღნიშვნა. რაც შეეხება წარ- ზმნისწინის მიერ წინა მხარეში მოძრაობის აღნიშვნას, ესაა მისი ფუნქცია გეზის თვალსაზრისით. რამდენადაც გეზისა და ორიენტაციის აღნიშვნა ყველა ზმნისწინის დანიშნულებას შეადგენს, ამდენად ამ ორი ფუნქციის დაპირისპირება მაგრამ კავშირით სწორი არაა. ეს ორი ფუნქცია ერთმანეთს კი არ გამორიცხავს, არამედ ავსებს.

აქედან გამომდინარე, გეზის თვალსაზრისით წარ-, წარმო- ზმნისწინები აღნიშნავს როგორც წინა არეში მოძრაობას, მოქმედებას, ისე ძირს, ქვევით მიმართულებას. რაც შეეხება საიქეთო მიმართულებას, ეს ორიენტაციის სფეროს განეკუთვნება და მას წარ- ზმნისწინი ისევე გადმოსცემს, როგორც ყველა სხვა მარტივი ზმნისწინი; ხოლო რადგანაც საიქეთო მიმართულების ჩვენება ყველა მარტივი ზმნისწინის საერთო ფუნქციაა, ამიტომ ზმნისწინთა კერძოობითი განხილვის დროს მისი აღნიშვნა საჭირო

[1] ა. მარტიროსოვი, დასახელებული ნაშრომი გვ. 87.

არცაა. ზმნისწინთა კერძოობითი განხილვა არსებითად ნიშნავს მათი დანიშნულების გამოვლინებას გეზის ჩვენებისა და ზოგი სხვა მეორეული ფუნქციის შესრულების თვალსაზრისით.

§ 30. წარ-, წარმო- ზმნისწინთა ფუნქციები ძველ ქართულში. როგორც წინა პარაგრაფში გავარკვიეთ, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში **წარ-, წარმო-** ზმნისწინები საკმაოდ შესწავლილია, ხოლო მათი ფუნქციები — ასევე გარკვეული. გეზის მიხედვით აღნიშნულია ორი ფუნქცია: 1. წ ი ნ ა მ ხ ა რ ე შ ი მოძრაობის ჩვენება (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ა. მარტიროსოვი) და 2. ქ ვ ე ვ ი თ მიმართულების ჩვენება (არნ. ჩიქობავა, ა. მარტიროსოვი). ახლა კითხვა ისმის, **წარ-** ზმნისწინი წარმოდგენილია თუ არა ორივე ამ ფუნქციით ძველ ქართულში?

პასუხი უთუოდ დადებითად უნდა გაეცეს.

წარ- ზმნისწინი ძველ ქართულში ორივე ამ ფუნქციით გამოიყენებოდა, მაგრამ ამათგან უპირატესობა წინა მხარეში მოძრაობის ჩვენებას განეკუთვნება. ამის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ძველ ქართულში **წარ-** ზმნისწინის საპირისპირო იყო **უკუ-** ზმნისწინი. ამ დაპირისპირების ნიმუშად გამოდგება ასეთი მაგალითი:

„და ვითარ მოიღო ბრძანებაჲ მჴეცმან მან ბერისაგან, განსწავლა არა ვისა ვნებად, **წარემართა** და ვითარცა მეგობარსა ტკბილად მეტყუელსა უ კ უ მ ო ხ ე დ ვ ი დ ა“ (ას. ცხ. 54, 6-9 C).

საერთოდ კი წინა არეში მოძრაობის ჩვენების შინაარსით **წარ-** ზმნისწინიან ზმნათა ხმარების შემთხვევები ძველ ქართულში საკმაოა. აი ზოგი მათგანი:

.... **წარიბა** მონამან მან ათი აქლემი (დაბად. 24,10);

.... წარიგზავნნეს მიერ წ ი ნ ა მ ძ ღ უ რ ე ბ ი თ ა სულისა წმიდისაჲთა (საქმე. 13,4 C);

.... რამეთუ მჩურითა **წარიგრაგნა** მკსნელი იგი ჩუენი (აპოკრ. 12,13);

.... **წარგუალე**, შვილო (სინ. მრ. 122,33):

.... **წარადგინეს** წ ი ნ ა შ ე პილატე ბჳსა (სინ. მრ. 59,6);

.... **წარავლინნა** იოსეფ და მოუწოდა იაკობს (საქმე. 7,14):

.... აღდეგ და **წარივლტოდე** ლაბანისა (დაბად. 27,43):

... ერთი იგი მოწაფჱ წ ი ნ ა **წაჰთქრა** უადრეს პეტრესა (ი. 20.4 C);

.... შესხდეს ნავსა და **წარემართნეს** კჳპრედ (საქმე, 13,4);

.... არა უწყოდა იაკობ, რამეთუ რაქელ, ცოლმან მისმან, **წარმოიპარნა** იგინი (დაბად. 31,32);

.... **წარვიდეთ** ვიდრე იქიმდე (დაბად. 22,5):

.... მიუჴდეს და **წარიტაცეს** იგი (საქმე. 6.12):

.... ნუ **წარგაჴუნ** ბალანტი (ლ. 10,4);

.... **წარიყვანეს** იგი ანგელოზთა ღმრთისათა წინაშე უფლისა (პაბო, ო, 56-57);

.... რადთა მიევწიო მათ, რომელთა **წარმისწრვეს** მე (ანასტას. 97r,6);

.... **წარიპყარ** ქედი შენი მწრაფლ (მარინ. 90v, 23-24);

.... **წარსცნის** მზრახველნი ტყუედ (იობ. 12,17);

.... **წარიძრა** მიერ სწაელად და ქადაგებად ქალაქებსა მათსა (მ. 11,1C);

.... **წარუძეღუ** ძეთა მათთა (ლიტ. ქრესტ. I, 105,41);

.... თავადი **წარმოუძღუეს** წინაშე მისა (ღ. 1.17 C);

.... მოიწია რღენად იგი და **წარიხუნა** ყოველნი (მ. 24,39 C).

დამოწმებულ მაგალითებში ხაზგასმული ყველა ზმნა წ ი ნ ა ა რ ე შ ი მოძრაობას აღნიშნავს. დღეს ასეთი გაგება ერთგვარად გაძნელებულია, თუნდაც იმიტომ, რომ **წარ**-ს აღარ მოეპოვება საპირისპირო **უკუ**- ზმნისწინი. ამიტომ დღეს **წარ**-ზმნისწინიანი ზმნები მეტწილად **ა ქ ე დ ა ნ ი ქ ი თ** მიმართულების შინაარსით გაიგება; მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქედან იქით მიმართულების ჩვენება ორიენტაციაა და არა გეზი. გეზის მიხედვით კი **წარ**-, **წარმო**- ზმნისწინები სწორედ წინა არეში მოძრაობას გვიჩვენებს.

ამასთან ერთად, ზემოთ უკვე ითქვა, რომ **წარ**- ზმნისწინის ფუნქციაა, აღნიშნოს ქვევით მიმართულება. ძირითადად ეს შინაარსი აქვს ქართული **წა**- ზმნისწინის შესატყვისებს: მეგრულ **მიდა**- ზმნისწინს, აფხაზურ **წა**- ზმნისწინსა და ჰანურ **წალე** ზმნიზედას.

ძველ ქართულში **წარ**- ზმნისწინისათვის ეს მნიშვნელობა ნიშანდობლივი ჩანს რამდენსამე ზმნაში:

.... სიმდიდრე სიცრუვით შეკრებული **წარუთხიოს** (იობ. 20,15);

.... იგი ფიცარი **წარიკითხეს** ჰერიათა მრავალთა (ი. 19, 20 C);

.... **წარჰკუეთოს** თავი მისი მღდელმან მან (ლევიტ. 5,8);

.... **წარგუცჳედ** კელნი, რადთა აქუნდეს კადნიერებად აღპყრობად უფლისა მიმართ (სინ. მრ. 120,1);

.... **წარიკადენ** კამლნი ფერკთაგან შენთა (საქმე, 7, 33).

ზმნები: **წარუთხიოს, წარიკითხეს, წარჰკუეთოს, წარგუცჳედ, წარიკადენ** აშკარად მიგვითითებს (კონტექსტის მიხედვითაც), რომ მოძრაობა ქვევითა მიმართულებით ხდება. მაგრამ ამ შემთხვევაში ისიც იგრძნობა, რომ მოქმედება წინა არეში წარმოებს.

ასევე, წინა არეში მოძრაობასთან ერთად ქვევითა მიმართულებაც იგრძნობა ზოგიერთ **წარმო**- ზმნისწინიან ზმნებშიც:

.... უკუეთუ ვინმე სცეს თუალსა მონისა თჳსისასა..... და **წარმოუგდოს** მას (გამოსლვ. 21.26);

.... **წარმოაცალიერა** სარწყული წყლის სასუმელსა მას (დაბად. 24,20).

ამიტომ ქართული **წარ**- ზმნისწინისათვის თავდაპირველ ძირითად ფუნქციად უნდა მივიჩნიოთ არა ძირს მიმართულების ჩვენება, არა-

მედ წინ და ძირს მიმართულების ჩვენება ე რ თ დ რ ო უ ლ ა დ, მაგრამ ისე, რომ ზოგ კონტექსტში ერთი მხარე უფრო ძლიერად იგრძნობა, ზოგშიც — მეორე. საერთოდ კი, ჩანს, საბოლოოდ უპირატესობა წინა არეში მოძრაობის ჩვენებას მიენიჭა.

ქართული წარ- ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქცია რომ წინ და ძირს მიმართული მოძრაობის ჩვენება უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს ისიც, რომ მისი მეგრული შესატყვისი მიდა- ზმნისწინიც აგრეთვე წინ და ქვევით მიმართულებას უჩვენებს ე რ თ დ რ ო უ ლ ა დ.

არსებითად, ქართული წინ ზმნიზედაც, რომელიც მასალობრივადაც და შინაარსობრივადაც წარ- ზმნისწინს უკავშირდება, აგრეთვე ქვევით მხარეზე მითითების შინაარსსაც გვაძლევს. ისეთ კონტექსტებში, როგორიცაა: „წინ დაუწყვე“, „წინ დაიხედე“—წინ ზმნიზედა არსებითად წინა მხარესაც გულისხმობს და ქვევითა მხარესაც.

ქართული წინ ზმნიზედის აფხაზური შესატყვისი მწა აგრეთვე ამას ნიშნავს: წინ და ქვეშ [1].

აქედან გამომდინარე, თუკი ქართული და აფხაზური წარ-, წა- ზმნისწინები, ერთი მხრით, ერთმანეთს, ხოლო მეორე მხრით, ამავე ენების ზმნიზედებს წინ-სა და მწა-ს უკავშირდება, მაშინ ადვილი გასაგებია, რომ ამ ზმნისწინთა თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო წ ი ნ და ძ ი რ ს მიმართული მოძრაობის ჩვენება ერთდროულად.

ძველ ქართულში უკვე შესუსტებული ჩანს წარ-ის ფუნქცია — უჩვენოს ძირს მიმართული მოძრაობა, და ამდენად იგი ძირითადად წინა არეში მოძრაობის აღმნიშვნელად გამოდის; ამას ადასტურებს ისიც, რომ, როგორც ითქვა, ძველ ქართულში გეზის თვალსაზრისით წარ- ზმნისწინს უკუ- ზმნისწინი უპირისპირდებოდა.

დღევანდელ ქართულში, ზოგ ზმნაში წამო- ზმნისწინი ქვევიდან ზევით მიმართულებასაც უჩვენებს. ასეთი ზმნებია, მაგალითად, წამოვარდა, წამოხტა, წარმოუდგა, წამოიმართა, წამოიყინჩა და სხვანი. ასეთი შინაარსით წარმო- ზმნისწინი ძველ ქართულშიც გამოიყენებოდა:

> .... წარმოდეგ წინაშე საკურთხეველსა ღმრთისასა (ლევიტ. 9,7);
> .... გარდამოჴდა წუმაჲ, და წარმოეცნეს მდინარენი (მ. 7,25 C: შდრ.: აღდგეს მდინარენი DE).


ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ უნდა აღენიშნა წარმო- ზმნისწინს ქვევიდან ზევით მიმართული

---

[2] ჭ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში: იკვ. IV, 1953, გვ. 87.

მოძრაობა, როცა **წარ-** ზმნისწინი ძირს მიმართულ მოძრაობას გვიჩვენებს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება, თუ გავითვალისწინებთ ისევ იმას, რომ ზმნისწინისათვის ნიშანდობლივია წინა არეში შესრულებული მოქმედების ჩვენება.

წინა არეშიო, რომ ვამბობთ, აქ არსებითად იგულისხმება სუბიექტის, ანუ მოქმედი პირის მხედველობის არე, ე. ი. ის არე, საითაც მოქმედი პირი იყურება. ჩვეულებრივ მდგომარეობაში ადამიანის მხედველობა დახრილ სიბრტყეზე ვრცელდება **წინ** და ამავე დროს **ძირს** (ეს შეპირობებულია ადამიანის თვალის ბუნებრივი მდგომარეობით). ამიტომ გასაგებია: ამ დახრილ სიბრტყეზე **წარ-** ზმნისწინით გადმოცემული მოძრაობა თუ წ ი ნ და ამავე დროს ძ ი რ ს ვრცელდება (საქეთო ორიენტაცია), **წარმო-** ზმნისწინით გადმოცემული მოძრაობა ამავე დახრილ სიბრტყეზე შებრუნებულად უნდა წარმოვიდგინოთ ძ ი რ ი დ ა ნ ზ ე ვ ი თ—ჩვენს სიმაღლემდე (საქეთო ორიენტაცია) (იხ. ნახ. 6).



ნახ. 6.

ისიც საყურადღებოა, რომ **წარმო-** ზმნისწინიანი ზოგი ზმნა ერთ კონტექსტში თუ ზევით მიმართულებას გვიჩვენებს (მამამ ბავშვი ლოგინიდან **წამოაგდო**), მეორე კონტექსტში ქვევით მიმართულებასაც აღნიშნავს (ივანემ გიორგის თვალი **წამოუგდო**). აქ ეტყობა ანგარიში იმას ეწევა, თუ სად იწყება მოქმედება — ძირს, ჩვენი დგომის ზედაპირზე, თუ ზევით, ჩვენს სიმაღლეზე.

საერთოდ კი **წარმო-** ზმნისწინიანი ზმნისაგან ზევითა მიმართულებით შესრულებული მოძრაობის ჩვენება მისი მეორეული შინაარსი უნდა იყოს და მეტწილად კონტექსტმა უნდა განაპირობოს.

§ 40. მოქმედების საწყისი თუ სასრული პუნქტი? წარ-, წარმო- ზმნისწინები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ ფუნქციურად გაიგივებული აქვთ **მი-** და **მო-** ზმნისწინებთან. ამისი მიზეზი ისაა, რომ ქართულში **უკუ-** ზმნისწინის ამოვარდნამ თავისთავად გამოიწვია **წარ-** ზმნისწინის იმ ფუნქციის დასუსტება, რომელიც მას გეზის ჩვენების თვალსაზრისით ჰქონდა — გამოეხატა **წინა არეში** მოძრაობა. ზოგ კონტექსტში კი ეს ფუნქცია თითქმის სულაც აღარ გაიაზრება. ასეთ შემთხვევაში **წარ-, წარმო-** ზმნისწინები მხოლოდ ორიენტაციაზე მიგვითითებს და, აი, ამით თითქოს გაიგივებულია **მი-**, და **მო-** ზმნისწინებთან. ამ ნიადაგზე დასახელებულ ზმნისწინთა ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევებიც კი გვაქვს. მაგალითად: „**წარავლინნა** იოსეფ“ (საქმე. 7,14 C); შდრ.: „**მიავლინა** იოსებ“ (იქვე Ქ): „**წარმოუდგა** მას გამომცდელი იგი“ (მ. 4,3 D), შდრ.: „**მოვიდა** მისა გამომცდელი იგი“ (იქვე C).

მეორე მხრით, **წარ-** ზმნისწინს ორიენტაციის მიხედვით ხშირად **წარმო-** კი არა, **მო-** ზმნისწინი უპირისპირდება:

> .... **მოვიდეს** მტყუენავნი და **წარტყუენეს** იგი (იობ. 1,15);
>
> .... ერთი იგი ვაებაჲ **წარქდა**. აჰა ესერა **მოვლენ** ორნიღა ვაებანი შემდგომად ამისა (გამოცხ. 9,12);
>
> .... **მოაქუნდა** უძღურები ფერად-ფერადი.... და **წარაქუნდა** იგი შორად (ას. ცხ. 50,32 C).

ამის მიუხედავად, არ შეიძლება **წარ-** ზმნისწინი სავსებით გავუიგივეთ **მი-**ს, ხოლო **წარმო-** ზმნისწინი — **მო-**ს. ამ გარემოებას, როგორც აღვნიშნეთ, პირველად ყურადღება არნ. ჩიქობავამ მიაქცია, ხოლო შემდეგ ა. მარტიროსოვმა.

საყურადღებოა, რომ ა. მარტიროსოვმა **წარვიდა—მივიდა** და **წარიყვანეს—მიიყვანეს** ზმნათა ურთიერთ შეპირისპირებით სავსებით სწორი დასკვნა გააკეთა: „ამ შემთხვევაში **მი-** ზმნით გამოხატული მოძრაობის დასასრულ პუნქტზე მიუთითებს, **წარ-** ზმნისწინი კი ამ მნიშვნელობას მოკლებულია“ [1].

მაგრამ კითხვა იბადება: სამაგიეროდ რა მნიშვნელობის გაგებას იძლევა **წარ-** ზმნისწინი? სათანადო მაგალითებზე დაკვირვება გვკარნახობს, რომ **წარ-** ზმნისწინის ფუნქციად მივიჩნიოთ მოქმედების დაწყების ჩვენება და ამდენად ყურადღების გადატანა მის საწყის პუნქტზე. იგივე უნდა ითქვას მის რთულ ფორმაზეც — **წარმო-** ზმნისწინზეც. ეს რომ ასეა, ამაზე კარგად მიუთითებს ასეთი მაგალითები:

---

[1] ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, გვ. 87.

.... **წარვიდე** ოპიზას და მსწრაფლ ხოლო მ ი ვ ი დ ე ძმათა ჩემთა თანა (ლიტ. ქრესტ. I, 104,31);

.... **წარმოვიდეს** მიერ ორნივე და მ ო ვ ი დ ე ს ბეთლემდ (რეთ. 1,19);

.... **წარმოვიდა** მიერ აბრაჰამ და მ ო ვ ი დ ა და დაიბანაკა უდაბნოსა მას (დაბად. 12,9);

.... **წარმოიძრნეს** რაფიდანით და მ ო ვ ი დ ე ს უდაბნოსა მას სინაჲსასა (გამოსლვ. 19,2).

ასევე, მოქმედების დაწყებაზეა გამახვილებული ყურადღება ისეთ ზმნებში, როგორიცაა:

.... **წარიტაცნეს** ობოლნი ძუძეთაგან (იობ. 24,9);

.... ეითარცა **წარიგზავნნეს** მიერ წინამძღურებითა სულისა წმიდისაჲთა, შ თ ა ვ ი დ ე ს იგინი სელევკიად (საქმე. 13,4 C);

.... **წარუძღუ** ძეთა მათთა (ლიტ. ქრესტ. I, 105,41);

.... აღდეგ და **წარივლტოდე** ლაბანისა (დაბად. 27,43).

კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება. თითქმის არა გვაქვს ისეთი ზმნა, რომელშიც **წარ-** ზმნისწინი მოქმედების სასრულ პუნქტს, სასრულ ეტაპს აღნიშნავდეს. ამ მხრივ გამონაკლისია **წარ-დგომა, წარდგენა** ზმნები:

.... რაჟამს **წარადგინეს** იგი წინაშე მძლავრისა მის აგარეანისა (Jაბო, ზ. 7);

.... **წარდგა** აჰრონ წინაშე საკურთხეველსა მას (ლევიტ. 9,8).

საფიქრებელია: რაკი ამ ზმნებში **დგომა** ზმნის ძირეული შინაარსი თავისთავად მდებარეობას აღნიშნავს და არა მოძრაობა-გადაადგილებას, ეს გარემოება განსაზღვრავს იმას, რომ ამ ძირისაგან ნაწარმოები ზემოაღნიშნული **წარ-**ზმნისწინიანი ფორმები ცხადლივ ვეღარ მიუთითებენ მოქმედების საწყის ეტაპზე, რადგან აქ ერთბაშად იგულისხმება ამ მოქმედების დაწყებაცა და დამთავრებაც.

ამგვარად, **წარ-, წარმო-** ზმნისწინები აღნიშნავს წინა არეში შესრულებულ მოძრაობას, რომელიც ამავე დროს ძირს ან ზევით შეიძლება იყოს მიმართული. ეს ზმნისწინები მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნებთან მხედველობაში იღებს მოქმედების საწყის და არა სასრულ პუნქტს.

§ 41. სად მოვათავსოთ წ ა რ-, წ ა რ მ ო- ზმნისწინები? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (§ 38), ა. შანიძეს **წარ-, წარმო-** და აგრეთვე **უკუ-, უკმო-** ზმნისწინების დანიშნულებად მიჩნეული აქვს არა რაიმე მიმართულების ჩვენება, არამედ იმის ჩვენება, თუ სად ხდება მოქმედება — წ ი ნ ა თუ უ კ ა ნ ა არეში. ამის მიხედვით, შესაძ-

ლოა, აჯობებდა, რომ წარ-, წარმო- ზმნისწინები სწორედ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ ზმნისწინთა რიგში განგვეხილა, მაგრამ თუ ასე არ მოვიქეცით, ეს შემდეგითაა ნაკარნახევი:

ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ ზმნისწინთაგან დღეს არცერთი აღარ შემოგვრჩა, გარდა წარ-, წარმო- ზმნისწინებისა. ცხადია, ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ წარ-, წარმო- ზმნისწინებს რამდენადმე ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი დანარჩენი ზმნისწინებისგანაც განსხვავებული უნდა ყოფილიყო ძველსავე ქართულში. ეს განსხვავება, მართლაც გამოვლინებული იყო შემდეგში: წარ-, წარმო- ზმნისწინები, მსგავსად მიმართულების აღმნიშვნელი სხვა ზმნისწინებისა ზმნას წინიდან უერთდებოდა უშუალოდ უზმნისწინო ფორმაზე და არავითარ შემთხვევაში ზმნისწინიან ფორმას არ შეუერთდებოდა. რაც შეეხება ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სხვა ზმნისწინებს, ისინი ზმნას უერთდებოდნენ როგორც უზმნისწინო ფორმაზე, ისე ზმნისწინიანზეც.

განსხვავებამ თავი იმაშიც იჩინა, რომ როცა მიმართულების აღმნიშვნელმა ზმნისწინებმა სრული ასპექტის წარმოების უნარი შეიძინეს, ამ რიგში აღმოჩნდა წარ-, წარმო- ზმნისწინებიც. რაც შეეხება ადგილმდებარეობის აღმნიშვნელ სხვა ზმნისწინებს, მათ ასპექტის წარმოების უნარი არ აღმოაჩნდათ. არსებითად იგივე გვესახება იმის მიზეზად, რომ აღნიშნულ ნაწილაკებს ახალ ქართულში ზმნისწინად აღარ ვიყენებთ.

ამას გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარ-, წარმო- ზმნისწინებს უკვე ძველსავე ქართულში ჰქონდათ უნარი, გარკვეულ ზმნებთან აღენიშნათ ზევიდან ქვევით, ხოლო ზოგჯერ — ქვევიდან ზევით მიმართულებაც.

რაკი ეს ასეა, ჩვენ უმჯობესად ვცანით, წარ- წარმო- ზმნისწინები მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინთა რიგში განგვეხილა.

§ 42. წა(რ)-, წა(რ)მო- ზმნისწინები და ოდნაობა. მოქმედების სიცოტავის, ოდნაობის გამოსახატავად ძველ ქართულში შე- ზმნისწინი გამოიყენებოდა (§ 81). ახალ ქართულში ეს ფუნქცია მოზმნისწინმაც შეიძინა (§ 35). ასევე შეიძლება ითქვას წა-, წამო- ზმნისწინებზეც, რომლებიც დღევანდელ ქართულში ბევრ ზმნასთან სწორედ მოქმედების სიცოტავეს გამოხატავენ: წათვლიმა, წაიბორძიკა, წაისაუზმა, წაიბურტყუნა, წაილაპარაკა, წაილუღლუღა, წაეშმაკებს, წაიპოეტებს, წამოიზარდა, წამოიჩიტა, წამოწითლდა და და ა. შ.

საბასთან მოცემული ზოგიერთი ზმნის განმარტებაც იმაზე მიგვითითებს, რომ მასაც შემჩნეული ჰქონდა წა- ზმნისწინით გადმოცემული მოქმედების ოდნაობა:

წამგრგუალება — მოგრძედ დამგრგუალება.
წაჭრა — მცირე კიდურთ მოკუეთა.
წაჭრილი — მცირე მოკუეთილი.
წამრეცი — ვაკესა რა რადობა შეეტყობოდეს, წამრეცი ეწოდების, და უნამეტნავესსა — დამრეც.

2. უკუ-, უკმო- ზმნისწინები ძველ ქართულში

§ 43. რას გამოხატავენ უკუ-, უკმო- ზმნისწინები? წარ-, წარმო- ზმნისწინთა განხილვისას უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველ ქართულში გეზის მიხედვით მათი საპირისპირო ზმნისწინები იყო უკუ- და უკმო- (—უკუმო). ეს ზმნისწინები ორი ძირითადი შინაარსით გამოიყენებოდა: 1. აღნიშნავდა უკანა არეში მოქმედებას (უკუნიქცა) და 2. გადმოსცემდა უკან დაბრუნების შინაარსს (უკუმოუზღო). შემდეგში ეს ზმნისწინები ხმარებიდან ამოვარდა და წინადადებაში მათ მაგივრობას **უკან** ზმნიზედა ეწევა, რომელიც სახელთან თანდებულადაც გამოიყენება.

უკუ-სა და უკმო-ს ზმნისწინად მიიჩნევდნენ ანტონი, იოანე ქართველიშვილი, პლ. იოსელიანი და დ. ჩუბინაშვილი. შემდეგში ეს ნაწილაკები ზმნისწინთა სიაში აღარავის შეჰქონდა, სანამ ა. შანიძემ არ მიუთითა ძველ ქართულში მათი ზმნისწინად გამოყენების შესახებ.

ზმნისწინთა შინაარსობრივი დახასიათებისას დ. ჩუბინაშვილი ცალკე განიხილავს **უკუნ, უკმი** (?) ზმნისწინსა და ცალკე — **უკმო**-ს; აღნიშნავს, რომ **უკუნ, უკმი** გვიჩვენებს შებრუნებულ მოქმედებას საპირისპირო მიმართულებით (უკუნქცევა, უკურიდება, უკუმიზღვევა). ხოლო **უკმო** — უკუქცევით მოქმედებას (უკმოქცევა, უკმოვიღებ) [1].

ა. შანიძემ **უკუ-, უკმო-** ზმნისწინები **წარ-, წარმო-** ზმნისწინთა საპირისპიროდ მიიჩნია და აღნიშნა. რომ „თუ წა- და წამო წინა არეს გულისხმობენ სამოქმედო ასპარეზად. სამაგიეროდ უკუ-სა და უკმო-ს მოქმედება უკანა არეში გადააქვთ. წა-, ასე ვთქვათ, ფრონტალურ ვითარებას გადმოგვცემს, უკუ კი — ზურგისას. კარგად ჩანს მათი დაპირისპირება წა-(ღ)მართ-სა და უკუ-(ღ)მართში“ [2].

---

[1] Д. Чубинов. Краткая грузинская грамматика. გვ. 74.
[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, § 311.

უკუ-, უკმო- ზმნისწინთა მნიშვნელობის ასეთ გაგებას იზიარებს ა. მარტიროსოვიც[1].

უკუ-, უკმო- ზმნისწინების ხმარება ძველ ქართულში ზმნათა მეტად შეზღუდულ წრესთან იყო დაკავშირებული:

.... შეუკრნეს.... ჯელნი.... და ეგრეთ უკუ-მშჯუალნეს კედელსა მის ბაგინისასა (აპოკრ. 5,17);

.... უკუმოიქცა საყოფლადვე თჳსა (საბა ას. 10,27);

.... უკმოიქცია სტეფანე მუნვე კრებულად (სინ. მრ. 59,1);

.... ვერ შეეძლო ანგელოზისა მის ხილვითა და უკმოვიდოდა (სინ. მრ. 26,4);

.... წარემართა და ვითარცა მეგობარსა ტკბილად მეტყუელსა უკუ-მოხედვიდა (ას. ცხ. 54,9);

.... ვითარცა მწყემსი კეთილი აძოებდე კარაულთა ჩუენთა, რაჲთა ამით უკმოუზღო, რომელ შეგიწუხებიან ძმანი ესე ჩემნი (ას. ცხ. 114, 35 Ქ);

.... ამათ ჟამთა უკმო-ღა-აგოა მეფობაჲ (საქმე. 1,6 H; შდრ.: ამათ ჟამთა კ უ ა ლ ა დ მოაგოა სასუფეველი ისრაჱლსა Ქ).

ძველ ქართულში უკუ- ზმნისწინი უკუნ-ის სახითაც გვხვდება. მისი ნ ელემენტი ისეთივე წარმომავლობის უნდა იყოს, როგორც გან- ზმნისწინსა და რიგ თანდებულებში გვაქვს.

აი უკუნ-ის ხმარების ნიმუშები:

.... ბართლომე უკუნმშჯუალეს (აპოკრ. 7,5);

.... მოწაფეთა მისთაგანნი უკუნდგეს (ი. 6,66 C);

.... უკუნსცა ვეცხლი იგი (მ. 27,3);

.... უკუნვიქეცით გულითა ჩუენითა (ფს. 43,19).

ზემომოყვანილ მაგალითებში უკუ-, უკმო- ზმნისწინები უკანა არეში მოქმედებას გამოხატავენ ისეთ ზმნებთან, როგორიცაა: უკუნ-მშჯუალეს, უკუმოხედვიდა, უკუნდგეს, მაგრამ უკან დაბრუნების შინაარსს გამოხატავენ ისეთ ზმნებში, როგორიცაა: უკმოიქცა, უკმო-ვიდოდა, უკმოუზღო, უკუნსცა, უკმოაგო.

მაგალითების სიმცირის გამო ძნელი დასადგენი ხდება, თუ რომელი იყო ძირითადი ამ ორი მნიშვნელობიდან. უკუ-, უკმო- ზმნისწინთა გამოყენების იმ ნიმუშებში კი, რაც მოგვეპოვება, მეტწილად თითქმის უკან დაბრუნების შინაარსი ჩანს. ამ შინაარსით აქვს გაგებული ეს ზმნისწინი დ. ჩუბინაშვილსაც (იხ. ზემოთ) და საბასაც, რომლის „ქართულ ლექსიკონშიც“ ასეთ განმარტებებს ვხვდებით:

უკმოხაგებელი ნაჭამადი — ესე არს, რაჲცა აგარაკისაგან ეჭამოს, ყოველივე უზღოს.

---

[1] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, გვ. 93—94.

უკმოქცევა — გამობრუნება.

უკმოცემა — წანართმევი მასვე მისცეს.

უკუზღვა — ესე არს რაჟამს შემდგომსა საკითხავსა წინა პირველისა საკითხავისათჳს მოვიკსენებდე, ვითარმედ მჳნ ეჴრეო ვთქუ.

უკუიმოქმედოს — მოქმედება უკუაბრუნოს.

მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ **უკუ- უკმო-** ზმნისწინები **უკუნ, უკან** ზმნიზედისაგან წარმოდგება, მაშინ მის ძირითად მნიშვნელობად სწორედ უკანა არეში მოქმედების აღნიშვნა უნდა მივიჩნიოთ.

§ 44. უკუ- უკმო- ზმნისწინთა ადგილის შესახებ ზმნისწინთა სისტემაში. უკუ- ზმნისწინის მაგივრობას ახალ ქართულში **უკან** ზმნიზედა ეწევა. რამდენადაც ეს უკანასკნელი **წინ** ზმნიზედას უპირისპირდება, ამდენად სავარაუდოა, რომ **უკუ-** ზმნისწინიც **წინა-** ზმნისწინის საპირისპირო უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდს აძლიერებს ერთი მხრივ, დასახელებულ ზმნისწინთა ერთდროული არსებობა ძველ ქართულში, მეორე მხრივ, **წინა-**სა და **უკმო-**ს დაპირისპირების მიხედვით შედგენილი ისეთი სიტყვის არსებობა ძველსავე ქართულში, როგორიცაა **წინაუკუმო:** „ქარი წ ი ნ ა უ კ უ მ ო ი ყო“ (მრ. 6,48 C); ამ კონტექსტში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა **ს ა პ ი რ ი ს პ ი რ ო ს** შინაარსითაა ნახმარი. ეს რომ ასეა, ამას DE ხელნაწერები ადასტურებს, სადაც ეს ადგილი ასე იკითხება: „იყო ქარი იგი **პ ი რ ი თ მათსა“ (ветер им был противный).**

თუ **წინა** ზმნისწინის მოპირისპირედ **უკუ-**ს განვიხილავდით, მაშინ **წინა-**ს მსგავსად ისიც ადგილობით ზმნისწინთა რიგში უნდა მოგვექცია. სინამდვილეში, რიგი გარემოებანი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ **უკუ-** ზმნისწინი **წარ-**ის მოპირისპირედ მივიჩნიოთ და მიმართულებით ზმნისწინთა ჯგუფში განვიხილოთ:

1. მიმართულებითი ზმნისწინების მქონე ზმნებს ძველ ქართულში ხშირად რომელიმე ადგილობითი ზმნისწინიც ერთვოდა და ამგვარად მიიღებოდა ორზმნისწინიანი ზმნები (**გარე-**განუთხევდა, **ზე-**გარდამოვიდა, **ჭუე-**გარდამოაბნიის, **თანა-**წარჴდა....). ზუსტად ასე. ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როცა ადგილობითი ზმნისწინი **უკუ-**ზმნისწინიან ზმნასაც დაერთვის:

.... **ზე-უკუნიპყრა** იოვანე კელი და თავი მოუდრიკა (სინ. მრ. 80,ბ);

.... უყსა და ბზესა ზედა ინგორის და **ზჱ-უკუნწვის** (სახ. მეტყვ. 18.9);

.... ყოველნი.... იცემდეს მკერდსა და **გარე-უკუნიქცეოდეს** (ლ. 23,48 C);

.... განირინე თავი შენი და ნუ **გარე-უკუნიხილაე** (დაბად. 19,17).

აქვე შევნიშნავთ, რომ ადგილობითი ზმნისწინები — **ზე** და **გარე** მოცემულ მაგალითებში იმდენად შემტკიცებულია **უკუ** ზმნისწინთან, რომ მისგან დეფისით აღარც კი გაითიშება (ასეა გამოცემებში) და, ამგვარად, **ზეუკუნ** და **გარეუკუნ** თითო მთლიან ზმნისწინად წარმოგვიდგება. ამათ მსგავსად შეიძლება შეგვხვდეს **მართლუკუნ** ზმნისწინიც („მართლ-**უკუნიქცეს** გულითა მათითა ქუეყანად ეგვპტედ“ (საქმე, 7,39); რომელშიც **მართლ**-ის ფუნქცია გასარკვევია.

2. თავის მხრივ, ადგილობითი ზმნისწინების დამახასიათებელი თვისება იყო, რომ ისინი მიმართულებითი ზმნისწინის მქონე ზმნებსაც ისევე თავისუფლად დაერთვოდნენ, როგორც უზმნისწინოებს (**ზე**-აღხილვა, **ქუე**-დაქდა, **გარე**-წარცოდება და ა. შ.). **უკუ** ზმნისწინი ამ თვისებას მოკლებულია. მართალია, გვაქვს **უკუ**- ზმნისწინის **მო**- ზმნისწინთან ერთად ხმარების შემთხვევები (**უკმოუზღო**, **უკუმოხედვიდა**, **უკმოსცა**), მაგრამ არცერთი შემთხვევა არა გვაქვს, რომ იგი **აღ**-, **და**-, **წარ**-, **გან**- და სხვა ზმნისწინებთან ერთად იხმარებოდეს (დ. ჩუბინაშვილი თუმცა ასახელებს **უკუმიზღვევა** ზმნას, მაგრამ ასეთი ფორმა ძველ ქართულში არ გვხვდება და ხელოვნური ჩანს). იმ შემთხვევაში კი, როცა **უკუ**- და **მო**- ზმნისწინებს ერთად ვხვდებით, უნდა მივიჩნიოთ, რომ ფაქტიურად მოცემული გვაქვს რთული **უკმო**- ზმნისწინი, რომელიც ისევე უპირისპირდება მარტივ **უკუ**-ს, როგორც მიმართულების აღმნიშვნელი სხვა რთული ზმნისწინები (შემო-, გამო-, წარმო-....) უპირისპირდება სათანადო მარტივებს (შე-, გან-, წარ-...).

3. **უკუ**- რომ მიმართულებით ზმნისწინთა რიგში განვიხილოთ, ამის სასარგებლოდ მეტყველებს აგრეთვე სიტყვა **უკულმართ**-ის არსებობა, ეს სიტყვა ორმხრივ საყურადღებო ჩვენებას იძლევა:

ა) **უკულმართ**-ი შინაარსობრივად **წაღმართ**-ს უპირისპირდება. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ **უკუ**- ზმნისწინი უშუალოდ **წარ**- ზმნისწინის მოპირისპირეა და მასთან ერთად უნდა განვიხილოთ მიმართულებით ზმნისწინთა ჯგუფში.

ბ) მიმართულებით ზმნისწინებს შეუძლიათ **მართ** ძირისაგან აწარმოონ ახალი სიტყვები, ადგილობით ზმნისწინებს კი ამის უნარი არა აქვთ. ასე რომ:

გვაქვს **აღმართი**, მაგრამ არა გვაქვს **ზე**-მართი;

გვაქვს **დაღმართი**, მაგრამ არა გვაქვს **ქუე**-მართი;

გვაქვს **შეღმართი**, მაგრამ არა გვაქვს **შინა**-მართი;

გვაქვს **წაღმართი**, მაგრამ არა გვაქვს **წინა**-მართი.

ამ შემთხვევაში **უკუ-** ზმნისწინი მიმართულებითს ზმნისწინებს ეკედლება, რადგან მათ მსგავსად იმასაც შეუძლია **მართ**-ისაგან აწარმოოს ახალი სიტყვა — **უკუღმართი.**

აქედან გამომდინარე, **უკუ-** ზმნისწინს ჩვენ ძირითადად მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინთა რიგში ვათავსებთ.

ამასთან ერთად, რამდენადაც **წინა** ზმნისწინს საკუთარი მოპირისპირე ზმნისწინი არ გააჩნია, ამდენად ზოგ შემთხვევაში **უკუ-**ზმნისწინი მის საპირისპიროდაც შეიძლება შეგვხვდეს.

თ ა ვ ი IV

ვერტიკალური მიმართულების ზმნისწინები

§ 45. ცნებისათვის. ზმნისწინების მეოხებით ზმნამ შეიძლება მოძრაობა გვიჩვენოს ვერტიკალურ, ანუ შვეულ სიბრტყეში — ა) ქვევიდან ზევით და ბ) ზევიდან ქვევით. ეს არის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმართულების ერთი სახე და იგი ძველ ქართულში გადმოიცემა, ერთი მხრით, **აღ-, აღმო-** ზმნისწინებით (ზევითა მიმართულება), მეორე მხრით, **და-, დამო-, შთა-, შთამო-, გარდა-, გარდამო-** ზმნისწინებით. ამიტომ ყველა ამ ზმნისწინს შეიძლება ძველი ქართულის მიხედვით ვერტიკალური, ანუ შვეული მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინები ვუწოდოთ.

ვერტიკალურიო, რომ ვამბობთ, ეს ამ შემთხვევაში რამდენადმე პირობითი ცნებაა, რადგან ზემოდასახელებული ზმნისწინებით გადმოცემული ზევითა ან ქვევითა მიმართულება ყოველთვის ვერტიკალური როდია იმ წერტილის მიმართ, საიდანაც მოქმედება იწყება. ზოგჯერ შეიძლება მოძრაობა დახრილ სიბრტყეზე ხდებოდეს (აღმართში, დაღმართში) და მაინც ვერტიკალური მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინებით გადმოიცემოდეს (მთაზე ა-ვიდა). საქმე იმაშია, რომ დასახელებული ზმნისწინებით გადმოცემული მიმართულება განიხილება როგორც ვერტიკალური არა იმ წერტილის მიმართ, საიდანაც მოქმედება იწყება, არამედ იმ სიბრტყის მიმართ, საიდანაც ეს მოქმედება სათავეს იღებს. მთაზე ავიდაო, რომ ვამბობთ, ეს ნიშნავს, რომ სუბიექტი ამ მოძრაობის შედეგად მოექცა მოქმედების საწყისი სიბრტყის მიმართ უფრო ზემოთ განლაგებულ სიბრტყეში. ამ თვალსაზრისით მიმართულება მოცემულ შემთხვევაშიც ვერტიკალურია. განვიხილოთ ცალ-ცალკე ყველა ეს ზმნისწინი.

1. და-, დამო- ზმნისწინები ძველ ქართულში

§ 46. ცნობები და- ზმნისწინის პირველადი ფუნქციის შესწავლის შესახებ. დავიწყოთ მაგალითებით:

.... დაჰკვნინით და მე სამ დღე აღვჰმართო იგი (მინჩხი, ივ. XXIX, 4);

.... აღადგინე ბუნებაჲ კაცთაჲ დანთქმული: (მინჩხი. ით. II. 5-6);

.... აღმოკდა მუუარი და დაფარა ქუეყანაჲ ეგჳპტისაჲ (გამოსლვ. 8,6);

.... აღმკოცე მეცა წიგნისა მისგან, რომელსა დამწერე (გამოსლვ. 32,32).

ციტირებულ ფრაზებში **და**-ზმნისწინიანი ზმნები კონტექსტის მიხედვით დაპირისპირებულია **აღ**-ზმნისწინიან ზმნებთან. ეს დაპირისპირება უპირველეს ყოვლისა შინაარსობრივი ხასიათისაა: თუ **აღ**-ზმნისწინიანი ზმნები ზევითკენ მიმართულებას გვიჩვენებს, **და**-ზმნისწინიანები, პირუკუ, იმაზე მიგვითითებს, რომ მოქმედება, მოძრაობა მიმართულია ქვევითკენ.

ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენება **და**- ზმნისწინის უძველესი და უმთავრესი ფუნქციაა. ამიტომ **და**-ზმნისწინიანი ზმნების უმრავლესობა ძველ ქართულში სწორედ ამ შინაარსის გადმოცემით ხასიათდება.

და- ზმნისწინის ეს ფუნქცია იქიდან გამომდინარეობს, რომ თვითონ **და**-, როგორც უკვე სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, მიღებული ჩანს მიწის აღმნიშვნელი **დაბ** ძირისაგან[1]. აქედან გასაგებია, რომ მისი თავდაპირველი ფუნქცია მიწისკენ (ე. ი. ძირისკენ, ქვევითკენ) მიმართული მოძრაობის გადმოცემა უნდა ყოფილიყო.

აი, როგორ განმარტავს საბა **და**-ზმნისწინიან ზოგიერთ სიტყვას:

- **დააქუეყნა** — ქუეყანაზედ დასცა.
  დაახეთქა — ქუეყანაზედ დააკალა.
  დამართ — ქუეყნისაკენ.
  დაბლა — ქუედაშუებით.
  დაბნევა — ქვე განბნევა.
  დაცემა — ქუე წაქცევა.
  დაშკობა — პირქუე დაცემა.
  დანარცხება — კაცის მიწაზე დახეთქება[2].

ამ განმარტებებიდან ცხადია, რომ საბა **და**-ზმნისწინიან ზმნებს მიწისკენ, ქუეყნისკენ მიმართულების გამომხატველად მიიჩნევს.

შემდეგში მიწისკენ მიმართულების ჩვენების ფუნქცია **და**- ზმნისწინს ზოგადად ქვევითკენ მიმართულების ჩვენების ფუნქციით შეე-

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 269; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 15—16, 26—27.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928.

ცვალა. ე. ი. მოხდა კონკრეტული მიმართულების ჩვენების ბაზაზე ზოგადი მიმართულების ჩვენების ჩამოყალიბება, გრამატიკული აღსანიშნის აბსტრაქცია. საბას სიტყვით რომ ვთქვათ, „ზემოთ მკრიდამ ქვემოთ მომავალსა ეწოდების დაღმა“. ანდა: „ესე **დაღმართიცა აღმართის** წინააღმდეგად განიყოფების...“

დ. ჩუბინაშვილის მიხედვით და- ზმნისწინის ერთი ფუნქციაა, უჩვენოს ზედაპირზე მოქმედება: „**და—на, означает... действие на поверхности; в сем случае помогает ему предлог ზედ, напр., დავაკრავ ფიცარ-ზედ, наклеиваю на доску**“.[1]

ნ. მარმა ჩვენთვის საინტერესო **აღ-**, **და-** და **შთა-** ზმნისწინები სამი სიბრტყისადმი დამოკიდებულების ზმნისწინთა რიგში მოათავსა და მიიჩნია, რომ და- ზმნისწინი აღნიშნავს ზემოდან ქვემოთ მიმართულებას — „ჩვენს სიმაღლემდე“ [2].

და- ზმნისწინის მიერ მიმართულების გამოხატვის შესახებ ა. შანიძე წერს, რომ **ზევიდან ქვევით** „მოძრაობის გამოსახატავად იხმარებოდა და ნაწილობრივ ეხლაც იხმარება და...[3] ხოლო შემდეგ იგი შენიშვნაში მიუთითებს: „და- ზმნისწინის ხმარების არე ზ ე ვ ი დ ა ნ ქ ვ ე ვ ი თ მიმართულების აღსანიშნავად ძალიან შეზღუდულია.... ამ მნიშვნელობით დღევანდელ ენაში გაბატონებულია **ჩა**, რომლის პირველადი მნიშვნელობა მეტია, ვიდრე «ზევიდან ქვევით»“[4].

საერთოდ, ყველა მკვლევარი, ვინც კი და-ს შეჰხებია, იმ აზრს გამოთქვამს, რომ და- ზმნისწინი ზევიდან ქვევით მიმართულებას აღნიშნავს, და ეს ასეცაა.

§ 47. და- ზმნისწინი და ზევიდან ქვევით მიმართულება ძველი ქართულის მიხედვით. ზევიდან ქვევითა მიმართულება ძველ ქართულშიც და- ზმნისწინით გადმოიცემოდა, რადგან, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ეს იყო და არის მისი თავდაპირველი, ძირითადი ფუნქცია.

ამავე მიმართულების აღსანიშნავად ქართულში იხმარებოდა და იხმარება **შთა-(—ჩა-)** ზმნისწინი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, თუ და- აღნიშნავს ზევიდან ქვევით მიმართულებას — „ჩვენს სიმაღლემდე“, **შთა- (-ჩა-)** აღნიშნავს ზევიდან ქვევით მიმართულებას

---

1 Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 73.

2 Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, § 202.

3 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 249.

4 იქვე, შენიშვნა.

„ჩვენს ქვემოთ“ [1]. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ და- ზმნისწინი მიმართულების აღსანიშნავად ხშირად არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სინამდვილეში კი ზევიდან ქვევითა მიმართულების აღმნიშვნელი და-ზმნისწინიანი ზმნების დიდი სიუხვე იგრძნობა ძველ ქართულში. მათ შორის ბევრი ისეთიცაა, რომელშიც დღეს ზევიდან ქვევითა მიმართულება ან სულ აღარ, ანდა ძალზე შესუსტებულად იგრძნობა.

მოვიყვანოთ ნიმუშები ჯერ ისეთი ზმნებისა, რომლებიც სუბიექტის ან ობიექტის გადაადგილებას გამოხატავენ:

.... **დააბნია** (დააგდო C) ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა (მ. 27.5);
.... **დაუგო** მათ პური ჰამად (დაბად. 24,33);
.... რაჲთა.... **დადგან** კოკები იგი მხლისა მწნილისაჲ (საბა ას. 6,35);
.... რომელიმე **დავარდა** გზასა ზედა (მ. 13.4);
.... ნუ **დასთხევთ** სისხლსა (დაბად. 37,22);
.... განიყვანეს იგი გარეშე ქალაქსა მას და ქვასა **დაჰკრებდეს** (საქმე, 7,58 C);
.... და ვითარცა მოიყვანეს იგი მისა და იხილა იგი, და მეყსეულად სულმან მან არაწმიდამან **დააკუეთა** იგი (მრ. 9,20);
.... რისხვაჲ მოაწია და **დამამჭუა** მე (იობ. 16.10);
... ქალწული წმიდაჲ მიიყვანიან და **დაუსჯან** მას (სახ. მეტყვ. 25,10);
.... **დასხან** შემაჲ ცეცხლსა მას ზედა (ლევიტ. 1,7);
.... სიმრავლე იგი ერისაჲ **დაჰფენდა** სამოსელსა მათსა გზასა ზედა (მ. 21,8 C);
.... ვითარცა დამერის, **დაიყვნის** ფრთენი და თჳსაჲ შეიკრიბნის (სახ. მეტყვ. 5,9);
.... **დაუდგის** მახჲ მფრინველთა.... და **დაუყარის** მარცუალი (საბა ას. 6,12);
.... მუნთქუესე **დაეცა** და მოკუდა იგი (საბა ას. 8,20);
.... და **დაცკვეს** წინაშე მისსა ქეყანასა ზედა (დაბად. 44,14);
.... **დაწო** თითი მისი სისხლსა მას (ლევიტ. 9,9);
.... წჳმაჲ არღარა **დასწუეთა** ქეყანასა ზედა (გამოსლვ. 9,33);
.... **დაეხეთქებოდეს** კორცნი მისნი (აპოკრ. 36.17 D);
.... **დაეჭუმოდეს** კორცნი მისნი ქეყანასა (აპოკრ. 36.21 D).

მოყვანილ მაგალითებში ყველა ხაზგასმული ზმნა ზევიდან ქვევით მიმართულებას გვიჩვენებს. ან სუბიექტის გადაადგილებისას (დავარდა, დაეცა, დაცკვეს) ან კიდევ ობიექტისას (დააბნია, დაუგო, დადგან, დამამჭუა, დაასხა, დააწო, დაუყარის და სხვ.). მათში ეს მიმართულება იმდენად ნათლად ჩანს, რომ რაიმე დამატებითი განმარტება საჭირო არ არის.

---

[1] გამოთქმები „ჩვენს სიმაღლემდე“, „ჩვენს ქვემოთ“ ეკუთვნის ნ. მარს: Грамматика древнелит. груз. языка, § 202.

ახლა ისეთი ნიმუშებიც მოვიყვანოთ, სადაც მიმართულების გამომხატველი ზმნები ადგილზე მოძრაობას აღნიშნავს:

.... რომელმანმცა სახლად შეგვუვანნა და დამადგინნა (მსაჯ. 19,18);
.... დაგუმირეს იგი სართმებითა მით (აპოკრ. 19,35);
.... მიჰრიდა [ვეშაპსა] და განეშორა მცირედ, დადგა და ხედვიდა, რაჲთა წარვიდეს (საბა ას. 8,24);
.... დაედრიკნეს პირნი მათნი ქუეყანად (ლ. 24,5);
.... დაზჴნოს მას ზედა ყოველად დასაწუეელი იგი (ლევიტ. 6,12);
.... დაიმდაბლო თავი შენი წინაშე უფლისა (იობ. 22,23);
.... რომელნიმე მათგანნი დაირეცნეს ქუეყანასა ზედა (აპოკრ. 9,6);
.... დასხედით კაცად-კაცადი სახლთა შინა თქუენთა (გამოსლვ. 16,29);
.... ქვები აღიღეს, რა¯მცა დაქოლეს იგი (ი. 10,31 C);
.... თევზნი იგი მდინარისანი მოწყდენ და დაყროლდენ მდინარენი იგი (გამოსლვ. 7,18);
.... დაეყუდო და არჲვინ იყოს მბრძოლ შენდა (იობ. 11,19);
.... ლოტ დაემკჳდრა ქალაქსა მას სანახეთასა და დაეშჳნა სოდომს შინა (დაბად. 13,12);
.... შიშუელნი დააწჳინნეს სიცრუვით (იობ. 24,10);
... იგი დასწნეხს საწნეხელსა მას (გამოცხ. 19,15);
.... დაწოლით დაწვეს საწოლსა ზედა (გამოსელ. 21,18);
.... დამხედველი (იპ. განმარტ. 266a,10);
.... დაჯდა წინაშე მისსა (დაბად. 21,16);
.... და წარმოვიდა მიერ აბრაჰამ და მოვიდა და დაიბანაკა უდაბნოსა მას (დაბად. 12,9).

ციტირებულ მაგალითებში ხაზგასმული ზმნების ერთი ნაწილი სუბიექტის ადგილზე მოძრაობას გამოხატავს ქვევითა მიმართულებით (დაჯდეს, დაწვეს, დასხედით), ერთი ნაწილიც — ადგილზე უძრავ მდგომარეობაში დადგომას (დაეშჳნა, დაემკჳდრა, დაეყუდა, დაყროლდა), ზოგი ზმნაც იმას გამოხატავს, რომ სუბიექტი ობიექტად გამოყენებულ თავის ნაწილს გადააადგილებს ქვევითა მიმართულებით (დაედრიკნეს თავნი, დაიმდაბლა თავი, დამხედველი თვალისა და ა. შ.), და ზოგიც იმას, რომ სუბიექტმა ადგილზე ქვევითა მდებარეობაში მოათავსა ობიექტი (დამადგინა, დაზვინა, დააწვინნეს). ყველა ამ ზმნაში თუმცა სუბიექტის ან ობიექტის გადაადგილება არ იგულისხმება, მაგრამ ზემოდან ქვემო მიმართულებით შესრულებული მოქმედება მაინც იგრძნობა.

§ 18. ზმნები, რომლებშიაც და- ზმნისწინი ძველად მიმართულებას აღნიშნავდა, ახალ ქართულში კი — ვერა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზმნისწინი ბევრ ზმნასთან თუმცა დღეს ვეღარ აღნიშნავს მიმართულებას, მაგრამ ძველად კი მათთანაც ამ ფუნქციით გა-

ხოიყენებოდა. ამ ტიპის ზმნებს და- ზმნისწინითაც ბევრს შევხვდებით.

ავიღოთ, მაგალითად, ასეთი ზმნა — **დაჴშვა** — დახურვა. დღეს ჩვეულებრივ **დახურვა** იხმარება, იშვიათად კი **დახშობა**-ც გვხვდება (იტყვიან, მაგალითად, გონება დახშულია), მაგრამ ზევიდან ქვევით მიმართულება არც ერთში იგრძნობა და არც მეორეში. ძველ ქართულში კი **დაჴშვა** ზმნაში სწორედ ზევიდან ქვევით მიმართულება იგულისხმებოდა. იგი ნიშნავდა კარის ზემოდან დახურვას: „შთაადო იგი უფსკრულსა შინა და **დაჰჴშა** კარი“ (გამოცხ. 20,3). ამ ფრაზაში აშკარად ჩანს, რომ კარი ზემოდანაა დახშული. შემდეგში, ეტყობა, ეს სიტყვა გავრცელდა კარის ყოველგვარი დახურვის (მათ შორის გვერდიდან დახურვის) აღსანიშნავადაც და ამიტომ დღეს აღარ ჩანს **დაჴშვა**-ში ზევიდან ქვევით მიმართულება.

იგივე შეიძლება ვთქვათ **დაბეჭდვა** ზმნის შესახებაც, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა სწორედ ბეჭდის ზემოდან დასმა იყო: „და დასდვეს ლოდი და **დაებეჭდა** ბეჭდითა“ (სინ. მრ. 50,23). ბეჭდის დასმა კი თავისებური სიმბოლო იყო დახურვისა, შენახვისა, დაცვისა: „გამოხუეד საფლავით დაბეჭდულით“ (მინჩხი, იწ, XXXVII, 2). ამ ფრაზაში კარგად ჩანს დაბეჭდვის ეს მნიშვნელობა. დღეს **დაბეჭდვა**-ში ზევიდან ქვევით მიმართულება მხოლოდ საგანგებო დაკვირვების შემთხვევაში თუ შეიგრძნობა, ისე კი იგი ჩვენს ყურადღებას აღარ იპყრობს. ასევე ითქმის **დაბურვა, დავაკება, დათრგუნვა, დატენა, დატყუელება, დაფარვა, დაქცევა** (=დანგრევა), **დაყენება, დაძინება, დაწერა, დაწესება** (=წესად დადება), **დაწრედა, დაჭნობა, დახილვა, დახუევა** და ბევრი სხვა ზმნის შესახებ, რომლებშიც ზევიდან ქვევით მიმართულების გაგება დღეს ნაკლებად იგრძნობა. აი მათი გამოყენების ნიმუშები:

.... **დაბურა** ვარშამაგი თაესა მისსა (ლევიტ. 8,9);

.... იწყეს საქმედ სენაკებისათჳს ქეეყანისა **დავაკებად** (ლიტ. ქრესტ. I, 106,2);

.... ვიდრემდე გამოჴდის გუელი იგი, და **დათრგუნის** ფერკითა და მოკლის (სახ. მეტყვ. 34,16);

... საწყაული შეხრილი და **დატენილი** და ზედა გარდათხეული მოვეცეს (ლ. 6.38 E);

.... ღაღადებნ და ქვითა **დაიტჳნვინ** (მრ. 5,5 C);

.... **დაიტყუელნეს** მის ზედა ქელნი მისნი (იობ. 27,23);

.... რაჲთა არა **დავაქცო** ქალაქი ესე (დაბად. 19,21);

.... აჰა-ესერა **დამაყენა** მე ღმერთმან არა შობად (დაბად. 16,2):

.... ხოლო მან კაცთა მათ შეუწოდა და მას დღესა მუნ **დაიყენნა** (საქმე, 10,23);

.... ვითარ არა ჰრულინ, არცა **დაიძინის** მცველმან (სახ. მეტყვ. 31,31);
.... შენ მოწამეთა მათ შორის.... **დაიწერე** (ჰაბო, გ, 42—43);
.... **დასწერა** ჯუარი ვეშაპსა (საბა ას. 8.19);
.... აწ უკუე ზღუაჲ ვარ მე, ანუ ვეშაპი, რამეთუ **დაწესე** ჩემ ზედა საცოდ? (იობ. 7,12);
.... **დაწრიდოს** სისხლი მისი ხარისხსა მას (ლევიტ. 1,15);
.... რომელნი **დასწურავთ** კურნაქსა (მ. 23,24);
.... ვერ **დააჭნო** იგი აღმაღლებამან ჯორციელებრმან (მინჩხი, კე, XIV);
.... მიველ და **დავიხილე** ყანობირი იგი (სინ. მრ. 67,32);
.... მეყსეულად **დაეხჯა** მას ზედა არმური (საქმე, 13,11 C).

ამ ზმნებში ოდნავ კიდევ იგრძნობა ზევიდან ქვევით მიმართულება: **დაჰბურა**—ზევიდან დაახურა; დაიძინის—დაწოლით იძინებს (შდრ.: **მი-**იძინა, **გამო-**იძინა); **დავიხილე**—ძირს დავინახე, ძირს დახედვით ვიხილე და ა. შ.

საინტერესოა ერთი გარემოება: ზოგი ზმნა, რომელიც ძველად ზმნისწინით მიმართულებას გამოხატავდა, დღევანდელ ქართულში იგივე ზმნისწინით ერთ შემთხვევაში, რაიმე განსაზღვრულ გრამატიკულ ფორმაში, ისევ ინარჩუნებს მიმართულების აღნიშვნის შესაძლებლობას, მეორე შემთხვევაში კი—ვურა. ავიღოთ, მაგალითად. **დაფარვა** ზმნა. ეს ზმნა დღევანდელ ქართულში ზევიდან ქვევითა მიმართულების შინაარსს ვეღარ აღნიშნავს ასეთ შემთხვევაში: „**დაიფარა** მან იგი მტრისაგან", მაგრამ თუ ასეთ ფორმას ავიღებთ: „**დააფარა** მან მას ის", აქ უკვე შემონახულია მიმართულების აღნიშვნა. ძველ ქართულში კი ორსავე შემთხვევაში იგრძნობოდა ეს მიმართულება: „წიაღთა ჩემთა **დავიფარენ** სიტყუანი მისნი" (იობ. 23,12); „დაგდევ შენ კურელსა კლდისასა და **დაგფარო** კელითა ჩემითა შ ე ნ ზ ე დ ა" (გამოსლვ. 33,22).

კიდევ უფრო ნაკლებად იგრძნობა დღევანდელ ქართულში. მაგრამ იგრძნობოდა ძველ ქართულში მიმართულება ისეთ ზმნებში, როგორიცაა: **დაჰბანნა** ფერკნი (მსაჯ. 19,21), **დაიბანა** პირი თჳსი (დაბად. 43,31), **დაკლან** თიკანი იგი.... ადგილსა მას, სადაცა დაკლნიან ყოველად დასაწუველნი იგი (ლევიტ. 4,29), დაკვრებულ ვარ ხატსა (სინ. მრ. 28,20), თთუესა აგუსტოსსა ე-სა, დღესა შაბათსა, ჭრონიკონსა ოგ-სა..... ქალაქი ტფილისი **დაწუა** ბუღა (ატენის წარწერა), თუალნი მათნი **დაწუხნეს** (მ. 13,15 E), სასწაულად **დაგჳტევა** იგი ჭუეყანასა ზედა (სინ. მრ. 53,30), დ ა ი პ ყ რ ა ფერკი (სინ. მრ. 66,9), ყოველთა **დაბადებულთა** პატივ-გცემს (ჰაბო, ე. 100), ჭუეყანასა მან **დამაბნელნა** (მინჩხი, ივ. XXVI, 2), **დაიგრილეთ** ხესა ჭუეშე (დაბად. 18,4), ხოლო თუალნი უღმრთოთანი **დადნენ** (იობ. 11,20), **დაილევის** პატივი (საბა ას. 4,10), **დაარღჳეთ**, **დაარღჳეთ** მიხაფუძვე-

ლადმდე (ფს. 136.7 C), აწ ზედა დამესხმიან ვითარცა... მყინვარი **დაყინებული** (იობ. 6,16), ყოველივე შესაწირავი.... მარილით: **დაიმარილენ** (ლევიტ. 2.13), ნავი მცირე **დაალოდონ** მას (მრ. 3.9C).

ზოგი ზმნა ერთი საგნის მეორისადმი დაქვემდებარების შინაარსს გადმოსცემს. ასეთ შემთხვევაშიც მოქმედება გაგებულია როგორც ზევიდან ქვევით მიმართულების შინაარსის მქონე და საამისოდ გამოყენებულია **და-** ზმნისწინი. ასეთი ზმნებია, მაგალითად: **დამორჩილება, დამოწაფება** და მისთანანი: **დაემორჩილე** უფალსა და ემონე მას (საბა ას. 5,29), ნუ **დაემოწაფები** არიოსს ულმრთოსა (სიტ. მრ. 44,13).

არსებითად ძველ ქართულში **და-** ზმნისწინით გადმოიცემოდა ყველა ზმნა, რომელიც კი დამცირებას, დაპატარავებას და მსგავს შინაარსს გამოხატავდა: (შდრ.: საპირისპირო შინაარსის ზმნები: აღამაღლებს, აღემატების და სხვ.): რომელნი საღმრთოჲთ კერძო ქ"ა **დაამცირებენ** (იპ. განმარტ. 266a.8); **დამდაბლდა** მოშურნისა ცუდი სიმაღლეჲ (მინჩხი, იდ. XVI, 1).

თუმცა გადაადგილებას ან ადგილზე მოძრაობას არ გამოხატავს ისეთი ზმნები, როგორიცაა **დასნეულება, დამძიმება**, მაგრამ მათში მაინც გადმოიცემა ქვევითა მიმართულება. ეს შესაძლოა დაკავშირებული იყოს მათს შინაარსობრივ გააზრებასთან. სახელდობრ. იმასთან, რომ სნეული ჩვეულებრივ დავრდომილია, წევს, ე. ი. ძირსაა დაშვებული, მძიმე კი ძირს ვარდება: იყო მათ დღეთა შინა **დასნეულებაჲ** მისი და სიკუდილი (საქმე. 9.37 Ქ). ვითარცა ესმა ესე იაკობს მოძღურისაგან თჳსისა. **დაუმძიმდა** და შეწუხნა (საბა ას. 9,1); **დაუმძიმდინ** საქმე კაცთა მათ (გამოსლვ. 5.9).

გვაქვს ერთი რიგის ზმნები, რომლებიც დაწყნარების, დამშვიდების, სიცოცხლისუნარიანობის მოშლის შინაარსს გამოხატავენ. ასეთ ზმნებთანაც, ჩანს, ძველად ზევიდან ქვევითა მიმართულება გადმოიცემოდა **და-** ზმნისწინით. ასეთი ზმნებია:

.... მეშინის მე **დადუმებად** (ჰაბო. ბ, 19):

.... **დასცხრა** ისაკ კურთხევისა მისგან იაკობისა (დაბად. 27,30);

.... **დაუცხრის** სალმობაჲ იგი (სახ. მეტყვ. 6,24): **დასცხერით!** რასა-ეგე იქმთ (სინ. მრ. 56.31):

.... **დაწუხნა** აჰრონ ფრიად (ლევიტ. 10,3);

.... მერმე კუალად დაასხნა კელნი თჳალთა ზედა მისთა, და აღიხილნა **დაწყნარებულად** და იხედეიდა სრულიად ყოველსა (მრ. 8.25 C);

.... ვერ **დააჭნო** იგი აღმაღლებამან კორციელებრმან (მინჩხი, კე, XIV);

.... დაითმინა ტირილი და უბრძანა დაგებაჲ პურისაჲ (დაბად. 43,31);
.... უკორცომან დაითმინე სიკუდილი ქრისტჱსთჳს (პაბო, გ, 36-37);
.... კლდეთა შინა დაეუუდნეს (იობ. 24,8);
.... დაილევის პატიჟი და შერაცხილობაჲ საწუთროჲსაჲ (საბა ას. 4,10);
.... თუალნი უღმრთოთანი დადნენ (იობ. 11,20);
.... ცეცხლითა დაიწუეს იგი (ლევიტ. 6,30);
.... ნათელი უღმრთოთაჲ დაშრტეს (იობ. 18,5);
.... ცეცხლი იგი საკურთხეველისაჲ ეგზებოდის მას ზედა და არა დაშრტეს (ლევიტ. 6,9);

.... პატრუკი აღნთებული არა დაშრტეს (მ. 12,20 C).

ამ მაგალითებში **დაშრტომა** ჩაქრობას ნიშნავს და იგი **აღნთება**-ს უპირისპირდება. დაპირისპირება, როგორც ვხედავთ. შინაარსობრივიცაა და ფორმობრივიც. შინაარსობრივად სხვადასხვა ძირზე აგებული ეს ორი სიტყვა ერთმანეთს უპირისპირდება, ერთმანეთის მიმართ ანტონიმებს წარმოადგენს. ფორმობრივად კი თუ ერთი და- ზმნისწინს იყენებს, მეორე მის საპირისპირო **აღ-** ზმნისწინს მიმართავს. ჩანს, ძველად ამ ზმნებში მიმართულებაც გადმოიცემოდა და ამიტომ სათანადო ზმნისწინებიც გამოიყენებოდა.

ასეთი ანტონიმები ზემოთ ციტირებულ სხვა ზმნებსაც აქვთ და ბევრ შემთხვევაში ისინიც საპირისპირო ზმნისწინით არიან გაფორმებული, აი მაგალითად:

დაჭნობა — აღუჟავება;
დაწუხება — აღმღერება;
დაწყნარება — აღშფოთება, აღრღუევა;
დამუსრვა — აღრღუევა;
დაცხრომა — აღძრვა, აღრღუევა: წყალნი ღელეთა აღრღუეულ დიმუსრვოდეს, რ~ნი აღრღუეულ დაუცხრომელობისაგან (იპ. 8,33—36).

ასეთი შეპირისპირებული წყვილების არსებობა კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის, რომ და- ზმნისწინი ძველად ბევრ ისეთ ზმნასთანაც გამოხატავდა ქვევით მიმართულებას, რომლებშიც დღეს ეს აღარ იგრძნობა.

§ 49. და ზმნისწინიან ზმნებში მიმართულების გადმოცემის ფუნქციის მოშლის ცალკეული შემთხვევები ძველსავე ქართულში. და-ზმნისწინიან ზმნებში ცალკეულ შემთხვევევებში მიმართულების გადმოცემის მოშლა, ჩანს, ძველსავე ქართულშია დაწყე-

ბული. ამაზე მეტყველებს და-ზმნისწინიანი ფორმებისა და რომელიმე სხვა ზმნისწინიანი, ან კიდევ უზმნისწინო ფორმების ურთიერთმონაცვლეობის შემთხვევები ძველ სამწერლობო ძეგლებში:

რომელმან **დატევებული** შეირთოს, იმრუშებდეს (მ. 5,32 C);

დაიმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე (მ. 4,2 C);

...**დამამტკიცებელი** თავისა ჩემისაჲ (ფს. 107,9 C);

განიღუიძე, რად გძინავს, უფალო? აღდეგ და ნუ **დამაგდებ** ჩუენ (ფს. 43,24 C);

განვეშორე, მი-მცა-ვედ, **დავისუენე** უდაბნოს (ფს. 54,8 C);

რაჟამს **დაასრულნა** იესუ სიტყუანი ესე (მ. 7,28 DE);

და-მცა-ვითმინე მისი (ფს. 54,13 E);

თაყუანის-ეც მამასა შენსა **დაფარულად** (მ. 6,6 C);

ყოველნი ჴორცნი შენნი **დაბნელებულ** იყუნენ (მ. 6,23 C);

ნუ **დაიუნჯებთ** თქუენ საფასეთა თქუენთა (მ. 6,19 D);

ნუ **დასჯით**, რაჲთა არა დაისაჯნეთ (მ. 7,1 C).

რომელმან **განტევებული** შეირთოს, მანცა იმრუშა, DE;

იმარხვიდა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე, D:

განმამტკიცებელი თავისა ჩემისაჲ, Q;

განიღუიძე, რად გძინავს, უფალო? აღდეგ და ნუ **განმაგდებ ჩუენ**, L;

განვეშორე, მი-მცა-ვედ და **განვისუენე** უდაბნოს, C:

რაჟამს **წარასრულნა** იესუ სიტყუანი ესე, C:

მო-მცა-ვითმინე მისი, A:

იღოცე მამისა შენისა მიმართ **ფარულად** DE:

ყოველი გჳამი შენი **ბნელ** იყოს, DE:

ნე **იუნჯებთ** თქუენ საფასეთა თქუენთა, E:

ნუ **შჯით**, რაჲთა არა დაისაჯნეთ, DE.

ანალოგიური ნიმუშების მოყვანა კიდევ ბევრის შეიძლება. ამ მაგალითებში იგრძნობა, რომ ქართული ტექსტის რედაქტორთ თუ მთარგმნელთ ყურადღება გადააქვთ არა მოქმედების მიმართულებაზე, არამედ ზმნის ძირითად შინაარსზე უმიმართულებოდ: დატევებული—განტევებული, დამამტკიცებელი—განმამტკიცებელი, დამაგდებ—განმაგდებ, დავისუენე—განვისუენე, დაასრულნა—წარასრულნა, დავითმინე—მოვითმინე, დაიმარხა—იმარხვიდა, დაფარულად—ფარულად, დაბნელებულ იყუნენ—ბნელ იყოს, დაიუნჯებთ—იუნჯებთ, დასჯით—შჯით.

გაოცების შინაარსის გამოსახატავად ახალ ქართულში გვაქვს მეორე სიტყვაც—**გაკვირვება**. ძველ ქართულშიც იხმარებოდა ეს სიტყვა, მაგრამ უფრო ხშირად **დაკვირვება**-ს მიმართავდნენ:

.... დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა **დამაკჳრვეს** ჩუენ (ლ. 24,22); ვიდრემდე **დაუკჳრდა**-ცა მთავარსა მას ფრიად (მ. 27,14);

.... **განუკურდებოდა** ერსა მას მოძღურებაჲ იგი მისი (მ. 7,28): და გა-
ნუკურდა იოთორს ყოველთა მათ კეთილთა ზედა (გამოსლვ. 18,9).

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ როგორც **დაკვრება**, ისე **განკვრე-ბა** იმას ნიშნავს, რასაც დღევანდელი **გაკვირვება, გაოცება** და მათში უკვე აღარ იგრძნობა მიმართულება. ისე კი ამ სიტყვების ადრინ-დელ მნიშვნელობაშიც საგრძნობი უნდა ყოფილიყო მიმართულება. **დაკვრება** დღეს რამეზე ყურადღებით დახედვას ნიშნავს ზევიდან ქვევითა მიმართულებით. ეს მნიშვნელობა ამ სიტყვას ძველადაც ჰქონდა: „დაკვრებულ ვარ ხატსა“ (სინ. მრ. 28,20). ამ მნიშვნელო-ბიდან უნდა იყოს განვითარებული მოცემული სიტყვის ის მნიშვნე-ლობა, რომელიც შემდეგში **გაკვრებ**-ით გადმოიცა. ასეთ გამოთქმა-ში: „მათ იხილეს ესრეთ, **დაუკვრდა**, შეშინდეს და შეძრწუნდეს“ (ფს. 47,6 C); **დაუკვრდა** ასეც შეიძლება გავიგოთ — „გაოცდა“ და ასეც — „დააკვირდა“. შემდეგში მნიშვნელობის დიფერენციაციას-თან დაკავშირებით **დაკვირვება** მისი ადრინდელი მნიშვნელობის გად-მოსაცემად შემოინახა ენამ, **გაკვირვება** კი — ახალი მნიშვნელობით გამოიყენა.

ასევე, სავარაუდოა, რომ **და-** ზმნისწინი ძველ ქართულში მიმარ-თულებას ვეღარ აღნიშნავდა (ან ძალზე შესუსტებულად აღნიშნავ-და) ისეთ ზმნებში, როგორიცაა **დასწავლა, დაღრჯენა, დაშურომა. დამდედნება, დამედგრება, დაბღალვა, დამწიფება, დატკბობა, დამწნა, დასრულება** და სხვანი:

.... რაჟამს დაწვეს იგი, **დაისწავე** ადგილი იგი (რუთ. 3,4);

.... **დაიღრჯინნა** ჩემ ზედა კბილნი მისნი (იობ. 16,10);

.... რავდენ-ესე **დავშურები** სულითა ჩემითა (იობ. 10,1):

.... რაჟამს **დამდედნის** და მოაკლდის ორთავე თუალთა მისთა და **დაბრმის**.... (სახ. მეტყვ. 1,3);

.... ნუ შეძრწუნდებიედ გულნი თქუენნი და ნუცა **დაჰმედგრდებით** (ი. 14,27 C):

.... რომელსა ჰსხურეს სისხლისა მისისაგანი სამოსელსა და **დაიბღა-ლოს**, გამოირცხენ იგი აღგილსა წმიდასა (ლევიტ. 6,27);

.. საყურძნესა, რ¯ისა **დამწიფებულ** და მოწევნულ არს.... (სახ. მეტყვ. 17,21);

.... უკუეთუ **დატკბნეს** პირსა მათსა უკეთურებაჲ (იობ. 20,12);

.... და **დამწნეს** [მხალი] მარილითა და წყლითა ჯერისაებრ (საბა სხ. 6,28);

.... ვიდრემდე **დაასრულონ** ყოველი სამკალი (რუთ. 2,21):

.... აწ მიაელინე შენ იოპედ და მოუწოდი სიმონს.... მას ვანი **დაუც**

სიმონის ვისამე მეპრატაკისასა ზღუს კიდით კერძო (საქმე, 10,32):
.... რაჟამს რტონი მისნი **დაჰჩჯან**, და გამოუალნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული (მრ. 13,28).

§ 50 დ ა- ზმნისწინი აღნიშნავს ზევიდან ქვევით სიღრმეში მიმართულებას. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ზევიდან ქვევით მიმართულებას ქართულში **და-** ზმნისწინის გარდა **შთა—ჩა** ზმნისწინიც გადმოგვცემს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ **და-** აღნიშნავს ზევიდან ქვევით მიმართულებას — დგომის ზედაპირამდე, **შთა-** კი ზევიდან ქვევით მიმართულებას — ჩვენს ქვემოთ (§ 47). **შთა-** ზმნისწინის მნიშვნელობა და გავრცელების არე ქვემოთ იქნება განხილული, ახლა კი ყურადღება იმაზე უნდა შევაჩეროთ, რომ ძველ ქართულში რიგ შემთხვევაში **და-**ზმნისწინიანი ზმნები არა მარტო ზედაპირამდე მიმართულ მოქმედებას აღნიშნავდნენ, არამედ ისეთსაც, რომელიც უფრო ქვევით—მიწის ან წყლის სიღრმეშიც ვრცელდებოდა:

.... რაჲთა არა **დამფლა** მე ეგუპტეს (დაბად. 47,29);
.... სადაცა მოკუდე, მოვკუდე მეცა და მუნ **დავეფლა** (რუთ. 1,17);
.... რამეთუ **დაეფალ** ახალსა სამარესა (აპოკრ. 15,7);
.... მომკლა.... მაცთურმან და **დამფლა** ჯოჯოხეთისა გულსა (მინჩხი, ·ია, II, 5);
.... რომელნი-იგი ღმერთმან ... განარინნა მონებისაგან ფარაოჲსა და **დანთქმისაგან** ზღუასა მეწამულსა (საბა ას. 11.3);
.... რომელნი **დანთქმასა** ტბისა განერნეს (ზარზმ. 166,27—28).

ამ მაგალითებში ზმნები — **დაფლვა** და **დანთქმა**, ეჭვი არაა, სიღრმისაკენ მიმართულ მოძრაობას აღნიშნავენ. დღევანდელ ქართულში მათში **და-** ზმნისწინი ჩვეულებრივ **ჩა-** ზმნისწინითაა შეცვლილი და ეს გასაგებიცაა: ზევიდან ქვევით სიღრმეში მიმართულების გადმოცემა დღეს **ჩა-**ს ფუნქციას შეადგენს.

როგორც ჩანს, ძველ ქართულში **და-** ზმნისწინსაც შეეძლო გადმოეცა ზევიდან სიღრმეში მოძრაობა. ზემომოყვანილი ზმნები იშვიათ გამონაკლისებს როდი წარმოადგენს. **და-**ზმნისწინიანი ზოგი სხვა ზმნაც ზოგჯერ ამავე დანიშნულებითაა გამოყენებული:

.... რაჟამს **დაჰქდა** მზე, მოართუმიდეს მას ყოველსა სნეულებსა და ეშმაკეულებსა (მრ. 1,32 C);
.... და იყვნეს ქელნი მოსესნი განპყრობილ ვიდრე **დასლვამდე** მზისა (გამოსლვ. 17,12);
.... მიემთხჳა ადგილსა და დაიძინა მუნ, რამეთუ **დაჰვიდოდა** მზე (დაბად. 28,11);
.... მსგავს არს იგი კაცსა, რომელი აღაშენებს სახლსა, რომელმან მოთხარა და **დააღრმო** და დადვა საფუძველი კლდესა ზედა (ლ. 6,48);
.... მიიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუად.... და

დაიშთვნეს ზღუასა მას შინა (მრ. 5,13);
.... **დასთესა** აბრაჰამ ყანაჲ ჯურღმულსა მას თანა ფიცისასა (დაბად. 21,33);
.... ცხორებაჲ ქუეყანასა **დაენერგა** (სინ. მრ. 36,25).

რიგ მაგალითებში ჩანს, რომ **და-** ზმნისწინის დანიშნულება იყო, აღენიშნა არა მხოლოდ ზევიდან ქვევით მიწის ან წყლის სიღრმეში მიმართული მოძრაობა, არამედ ყოველგვარ სიღრმეში მიმართული მოძრაობა ან ადგილმყოფელობა. ეს არის **და-** ზმნისწინის ძირითადი მნიშვნელობის აბსტრაქციის შედეგი. აი სათანადო ნიმუშებიც:

.... აწ **დამყნაჲ** იგი რაჲმე არს, საყუარელნო (იუ. 19,15-16);
.... და **დამშჭუალეს** ძელსა (სინ. მრ. 59,33);
.... მფრინველთა ცისათა **დაიბუდეს** რტოთა მისთა (ლ. 13,19);
.... რამეთუ ისარნი მისნი **დამასრინა** მე (იობ. 30,14);
.... **დათხარა** ღრმე გუერდი სახლისაჲ (იობ. 24,16);
.... ისარნი განსაცდელთანი ჩემ ზედა **დაჰმშჭუალნა** (იობ. 16,10);
.... წყუდიადსა შინა **დარეცილ** არს სარეცელი ჩემი (იობ. 17,13);
.... რაჲსათჳს **დაიდევ** საქმჱ ესე გულსა შენსა (საქმე, 5,4C);
.... უკუეთუ შენ სასოვებაჲ შენი დამოჰკიდო ეშმაკსა, **დაგანთქას** შენ გეჰენიასა ცეცხლისასა (სახ. მეტყვ. 20,22).

ყველა ეს მაგალითი იმისი ნათელი დადასტურებაა, რომ **და-** ზმნისწინი ძველ ქართულში ზოგ ზმნასთან ზევიდან ქვევით სიღრმისაკენ მიმართულ მოძრაობასაც, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, სიღრმეში მიმართულებასაც აღნიშნავდა.

იბადება კითხვა: რატომ ასრულებდა **და-** ზმნისწინი ძველად **ჩა—შთა-** ზმნისწინის ფუნქციასაც?

თუ გავიხსენებთ, რომ **შთა-** ზმნისწინი რთულია და შედგება **შე-** და **და-** ზმნისწინებისაგან (შე + და = შედა → შდა → **შთა**[1]), ადვილი გასაგებია, რომ **შთა-** ზმნისწინი უფრო ახალგაზრდაა ასაკით, ვიდრე **და-**. როცა **შთა-** ჩამოყალიბდა, მაშინ **და-** უკვე არსებობდა. აქედან გამომდინარე: სანამ **შთა-** ზმნისწინი ჩამოყალიბდებოდა, მანამდე **და-** ზმნისწინი გადმოგვცემდა საერთოდ ზევიდან ქვევით მიმართულებას როგორც ზედაპირამდე, ისე მის ქვევით — მიწის ან წყლის სიღრმეში, და აქედან, აბსტრაქციის შედეგად, — ყოველგვარ სიღრმეში.

შემდეგში უნდა მომხდარიყო მნიშვნელობის დიფერენციაცია ახალი **შთა-** ზმნისწინის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და ფუნქ-

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 251; არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 129; ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იქვე, V, გვ. 92.

ციების გადანაწილება **და-** და **შთა-** ზმნისწინებს შორის. ამის შედეგად **და-** ზმნისწინს შერჩა ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენება ჩვენი დგომის ზედაპირამდე, **შთა-** ზმნისწინი კი აღიჭურვა იმავე მიმართულების სიღრმეში ჩვენების ფუნქციით. გასაგებია, რომ ეს მომენტი **შთა-** ზმნისწინის ფუნქციაში **შე-** კომპონენტის შენატანია.

ძველ ქართულში **და-**სა და **შთა-**ს შორის ფუნქციების ზემოაღნიშნული გადანაწილება უკვე ფაქტია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ამ ტიპის მაგალითები: „მანანი **დაასვნიან** და ალისნი **შთაუტევნიან**“ (სახ. მეტყვ. 20,14); „**შთაინთქნიან** ნავნი იგი, რომელნი მუნ **დაებნიან**“ (სახ. მეტყვ. 20,20). მაგრამ თუ მაინც ზემომოყვანილი ტიპის მაგალითებში **და-** ზმნისწინი თავის ძველ მნიშვნელობასაც (სიღრმეში მიმართულების მნიშვნელობასაც) ინარჩუნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკეულ ზმნებში მას კიდევ ჰქონდა შემორჩენილი თავისი აღრინდელი მნიშვნელობა. ამასთან ერთად, ეს იმასაც ნიშნავს, რომ **შთა-** ზმნისწინის გაჩენას **და-** ზმნისწინისათვის ერთბაშად როდი ჩამოურთმევია ზემოაღნიშნული ფუნქცია. კიდევ მეტი: ცალკეულ შემთხვევებში **და-** ზმნისწინიანმა ზმნამ სიღრმეში მიმართულება. შესაძლოა, დღევანდელ ქართულშიც კი აღნიშნოს (დაბარა. დაავსო, დათესა, დააცო, დაალბო, დაამიწებს, დაამწყვდევს, დაასილოსა. დაიხრჩო და სხვ.).

§ 51. დ ა- ზმნისწინი და ინტენსიობა. **და-** ზმნისწინთან არის დაკავშირებული ქართულში მოქმედების ინტენსიობის გადმოცემა. ამ მოვლენას მეცნიერული ახსნა პირველად ა. შანიძემ მისცა. როგორც იგი აღნიშნავს, მოქმედების ინტენსიობა გულისხმობს ისეთი პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს, რომელზეც სუბიექტმა სათითაოდ უნდა იმოქმედოს. ეს კი იწვევს, ასე ვთქვათ, არა მრავალგზისობას, არამედ „მოქმედების მრავლობითობას“, და ამის საილუსტრაციოდ მოყვანილია ასეთი მაგალითი: „სტუმრები დასხა ქალმა. დ ა ჰ ხ დ ა ფეხთ“ (ყაზბ.), და შემდეგ განმარტებულია, თუ რატომ „დაჰხადა“ და არა „გაჰხადა“:

„ზოგიერთი ზმნის მიერ აღნიშნული მოქმედება ისეთია. რომ მას ერთ სუბიექტთან მრავალი ობიექტი არ შეიძლება ერთბაშად ჰქონდეს, არამედ მხოლოდ ერთი. ამიტომ, თუ საჭიროა ერთი სუბიექტის მოქმედება მრავალ ობიექტზე, ს ა თ ი თ ო ო დ უნდა მიჰყვეს: ჯერ ერთს მოჰრჩეს, მერმე მეორეს, შემდეგ მესამეს და ეგრე ბოლომდის. სწორედ ასეთია ყაზბეგიდან მოყვანილი მაგალითი ქალის მიერ ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ე ბ ი ს დ ა ხ დ ი ს შესახებ: ერთ ქალს შე-

უძლია მრავალი ფეხსაცმელი (ვთქვათ შვიდი წყვილი) ერთბაშად დაინახოს, ერთბაშად დააფასოს, ერთბაშად იყიდოს, მოიტანოს, ძირს დაყაროს, ცეცხლში დაწვას და სხვა, მაგრამ არ შეუძლია შვიდ სტუმარს ერთბაშად გახადოს, არამედ ჯერ ერთს, მერმე მეორეს, შემდეგ მესამეს და ეგრე მიყოლებით. აი ეს სათითოოდ შესრულებული მოქმედებაა, რომელსაც და პრევერბი ითვალისწინებს" [1].

შემდეგ აღნიშნულია, რომ მოქმედების ინტენსიობა შეიძლება ახასიათებდეს ენებითი გვარის ზმნებსაც. „ენებითის ფორმაში ინტენსიობის ფუნქციის გამოხატვა მოქმედ. გვარის სათანადო ფორმის უკუფენას წარმოადგენს და დაკავშირებულია სუბიექტის სიმრავლესთან" (დაიზარდნენ)[2].

მართალია, ეს გრამატიკული მოვლენა, რომლის გადმოცემაც უშუალოდ და- ზმნისწინის ფუნქციას შეადგენს, მანამდე ასე გამოკვეთილად არ იყო ახსნილი და მას თავისი სახელიც არ ჰქონდა დარქმეული, მაგრამ თვითონ მოვლენა შემჩნეული იყო.

სულხან-საბა ორბელიანი თავის „ლექსიკონში" არაერთ ისეთ ზმნას განმარტავს, რომელთაც და- ზმნისწინის მეოხებით ინტენსიობის გადმოცემა უხდებათ. ვნახოთ როგორ ესმოდა საბას ასეთი ზმნები:

დაალვიძა — მრავალი განაღვძა.

დასხმა — არს მრავალი კაცი რა დააჯდუნოს, გინა ნარდისა და ჰადრაკის პაიკები.

დაჟინება — ერთის რისმე დახშირება.

დაწყობა — ესე არს, რაჲც ნივთნი რიგით დასდვა, გინა სამოსელი, გინა წერილთა კეფი.

დაწყობა — არს რაზმთა განგება, გინა მტერთა დაზავება.

დაკუწვა — წულილად დაჭრა.

დამტურვეული — დაწულილებული.

დაჭრა — წვრილად დანაწილება.

დაბუშტება — ბუშტ-ბუშტად ადგომა[3] და სხვ.

ეჭვი არ არის, რომ ინტენსიობის მოვლენა საბას კარგად ჰქონდა შეგრძნობილი. ასე რომ არ ყოფილიყო, ზემომოყვანილ განმარტებებსაც ვერ მოგვაწვდიდა.

მოქმედების ინტენსიობა, ანუ „მრავლობითობა" და- ზმნისწინს რომ უკავშირდება, ეს აღნიშნული აქვს ცნობილ ქართველ გრამატიკოსს დ. ჩუბინაშვილსაც[4].

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 262.

[2] იქვე. გვ. 264.

[3] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.

[4] Д. Чубинов. Краткая грузинская грамматика, გვ. 73.

მოქმედების გახშირება (учащение действия), რასაც ავტორი და- ზმნისწინის ერთ-ერთ ფუნქციად მიიჩნევს, სხვა არაფერია, თუ არა ინტენსიობა. შესაძლოა, ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითები სრულყოფილად ვერ ასახავდეს მოქმედების ინტენსიობის შინაარსს, მაგრამ „მოქმედების გახშირება“ არ შეიძლება სხვა რამედ გავიგოთ, თუ არა და — მოქმედების ინტენსიობად, „მოქმედების მრავლობითობად“.

თვითონ ის ფაქტი, რომ ინტენსიობის შინაარსის მქონე ზმნებმა ასახვა პოვა საბას ლექსიკონში, იმაზე მიგვითითებს, რომ ეს მოვლენა არც ისე ახალი უნდა იყოს. მისი ფესვები უფრო ადრე უნდა ვეძიოთ. ამას გულისხმობს ა. შანიძეც, როცა იგი ინტენსიობის გადმოცემასთან დაკავშირებით რომელიმე სხვა ზმნისწინის და- ზმნისწინით შეცვლის შესახებ წერს: „აღნიშნული საფუძველი და- ზმნისწინის შენაცვლებისა საზოგადოდ უკვე შერყეულია, მაგრამ თუ ის კიდევ სადმე ასე თუ ისე მკვიდრია, ისევ და უფრო აღმოსავლურ კილოებში“ [1].

ამიტომ სწორი არ არის მტკიცება, თითქოს „ძველ ქართულში“ და-ს ეს ფუნქცია (იგულისხმება ინტენსიობის გადმოცემა, ი. ვ.) არ გააჩნდა, რადგან პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას ზმნაში სპეციალური ფორმანტი (ენ, ნ) გადმოსცემდა“ [2].

როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი მსჯელობა, სათანადო ფაქტობრივი მასალის ჩვენების გარეშე იგი ნაკლებ დამაჯერებელი იქნება. ამიტომ პირდაპირ დავსვათ კითხვა: გექონდა თუ არა ინტენსიობის და- ძველ ქართულში.

ამ კითხვაზე პასუხი უთუოდ დადებითად უნდა გავცეთ. აი სათანადო ნიმუშებიც:

.... **დამწუსენ** კრავნი ჩემნი (ი. 21,15 C): **დამწუსენ** ცხოვარნი ჩემნი (ი. 21,16); შდრ.: ვისმე თქუენგანსა ესუას მონაჲ, კნეიდეს, ანუ მწყსიდეს (ლ. 17,7 C);

.... შვდთა დღითი დღე დაჰკლეიდეთ, რაჲთა იყუნენ იგინი ჩუენდა საზრდელად, ეიდრემდის **დავარჩიოთ** ჯაბუკოვანი (აპოკრ. 33.21); შდრ.: გნებავსა, რაჲთა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი? (მ. 13,28);

.... ნუ მოგუწუუედთ ჩუენ ჰასაჲთა ამათ მცირეთა. არამედ განგჯტეენით ჩუენ, რაჲთა განვესრულნეთ და მაშინ-ღა **დაგუწუჯდენით** (აპოკრ. 34,23);

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 263.

[2] ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იქვე, V, 91.

.... რაჟამს კელოვნისაგან მახჳლითა დაისხლის.... (იპ. 13,26—27);

.... იყო მათ თანა ლომი და ვაზი და ვენაკი და კაცი და ორბი იგი.... მართალთა თანა ეტლთა დაუღლვილ (იპ. 8,80—84);

.... დავრდომილი იდეა ბჳეთა თანა მისთა დამღიერებული (ლ. 16,20 C);

.... გულის წყრომითა მათითა მოწყჳდნეს კაცნი და გულის თქუმითა დაჰკუეთნეს ძარღუნი კუროსა (დაბად. 49,6); შდრ.: რომელსა მე თაჳ მოვჰკუეთე იოვანეს (მრ. 6,16);

.... დააძოვენ კრავნი ჩემნი (ი. 21,15);

.... ამისა შემდგომად მატლი დაესხა [მწნილსა] (საბა ას. 6,31);

ეს ნიმუშები იმის დადასტურებაა, რომ ინტენსიობის და- ძველ ქართულში უცხო არ იყო. მართალია, ასეთი ნიმუშების სიუხვე ძველი ქართულის ძეგლებში არა გვაქვს, მაგრამ ეს იმას სრულებითაც არ ნიშნავს, თითქოს და- ზმნისწინი ძველ ქართულში ინტენსიობის აღნიშვნის ფუნქციას მოკლებული იყო.

აქედან გამომდინარე, ინტენსიობის აღნიშვნის ფუნქცია და- ზმნისწინის ერთი ძველი ფუნქციათაგანია.

ინტენსიობასთან უნდა იყოს დაკავშირებული და- ზმნისწინის ხმარება ისეთ ზმნებში, რომლებიც მთელის დანაწილებას გულისხმობენ:

.... სამოსელი თჳუენი არა დაიპოთ, რაჲთა არა მოსწყდეთ (ლევიტ. 10,6);

.... რაჟამს მივიდის ყანობირად და აღკდის თავსა კუვილისასა და- მუსრვად მარცულისა, ვიდრე აღსლვადმდე მის თავისა ისუნებნ (სახ. მეტყუ. 15,43); დამუსრა იგი მწულილად (გამოსლვ. 32,20);

.... [კოსტანტინე მეფემან] ვეჯინისა ციხე დალეწა (ერედვის წარწერა);

....მრავალთა უძლურთა სახლნი დაარღჳნა (იობ. 20,19);

.... სამოსელი ჩუენი ყოველად არღარა იყო და ფერკნი ჩუენნი დაჯეკილ და დაბძარულ იყვნეს (ზარზმ. 163,13);

.... დაკოდა შეშაჲ მსხუერპლისათჳს (დაბად. 22,3).

ხაზგასმული ზმნები: დაიპოთ, დამუსრა, დაკოდა და სხვანი აშკარად მოქმედების ინტენსიობას გამოხატავს. შევადაროთ მაგალითად ასეთი გამოთქმები:

.... კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად (მ. 27,51); განიპო ეზოჲ ტაძრისაჲ მის ორგან (ლ. 23,45 C);

.... მრავალ გზის ჯაჭუთა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი და განხე.ის და შემუსრის იგი (მრ. 5,4); რომელი დაეცეს ლოდსა მას, შეიმუსროს (მ. 21,44).

ადვილი შესამჩნევია, რომ დაიპო მრავალ ნაწილად დახევას ნიშნავს, მაშინ როცა — გაიპო ორად, თვითონ ტექსტი გვეუბნება. ცხადია, ორად გაპობას ერთი მოქმედება სჭირდება, მრავალ ნაწილად დაგლეჯას, დახევას კი — მრავალჯერ ჩადენა მოქმე-

დებისა. ასევე შეიძლება ითქვას **დამუსრა** და **შემუსრა** ზმნების შესახებაც, რომელთაგანაც პირველი მოქმედების ინტენსიობას გადმოსცემს, მეორე კი — არა.

§ 52. დამო- ზმნისწინი ძველ ქართულში. დღევანდელ ქართულში ყველა მარტივ ზმნისწინს მოეპოვება **მო**-თი გართულებული სახე (აღ—აღმო, შე—შემო, გა—გამო და ა. შ.). ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს **და**- ზმნისწინი, რომელსაც საპირისპირო **დამო**- ფორმა აღარ მოეპოვება. ის, რაც **დამო**- ზმნისწინს უნდა გამოეხატა (საქმეთო ორიენტაცია ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენებით) ამჟამად **ჩამო**- ზმნისწინსა აქვს დაკისრებული (ჩამოვარდა, ჩამოვიდა, ჩამოეკიდა), მაგრამ **ჩა**- (←შთა-) ზმნისწინი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო ახალგაზრდაა ასაკით, ვიდრე **და**-ზმნისწინი. ამიტომ **ჩა**-ს ადრინდელი სახის (**შთა**-ს) ჩამოყალიბებამდე **და**-ს უთუოდ უნდა ჰქონოდა საპირისპირო **დამო**- ზმნისწინიც, თუკი საერთოდ იმ ეტაპზე რთული ზმნისწინების რიგიც არსებობდა. ასეთი საპირისპირო ფორმა მას მართლაც მოეპოვებოდა და ეს ფორმა გადმონაშთის სახით ძველ ქართულ წერილობით ძეგლებშია დაცული. როგორც წესი, იგი მუდამ გამოიყენებოდა **დამოკიდება** ზმნაში, სადაც მას **შთა**- ზმნისწინი ვერ ცვლიდა. დანარჩენ ზმნებში კი თითო-ოროლა შემთხვევა გვაქვს **დამო**-ს გამოყენებისა:

დამოკიდება:

.... მოგკუეთოს ფარაო თავი შენი შენგან და დ ა მ ო გ კ ი დ ო ს შენ ძელსა (დაბად. 40,19)....; დ ა მ ო ჰ კ ი დ ე ს იგი თავდამოქცევით ეზოსა მას (აპოკრ. 5,14)....; ქვაჲ ფქვისაჲ დ ა მ ო ე კ ი დ ა ყელსა მისსა (ლ. 17,2 C).

დამოდინება:

.... ვითარცა ცუარი ქუეყანასა ზედა დ ა მ ო დ ი ო დ ა (იკ. 2,236—237); ადგილსა მას, რომელსა ცრემლნი იგი მისნი დ ა მ ო ს დ ი ო დ ე ს, აღმოეცა მძაფრიად წყაროჲ (საბა ას. 19,21); ვითარცა ნელსაცხებელი დ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე თავსა და წუერთა აპრონისთა (ფს. 132,2).

დამოსლვა:

.... დ ა მ ო ვ ი დ ა იგი მიერ მთით (მ. 8,1 C).

დამოპება:

.... მღდელ მოძღუარმან **დამოიპო** კუართი თჳსი (მრ. 14,63 C).

დამობმა:

....რომელმან აცთუნოს ერთი მცირეთაგანი, რომელთა ვარწამ მე, უმჯობეს არს უფროჲს მისა, დ ა მ ო-თუმცა-ე ბ ა საფქვლე ღოდი ყელსა და შთა-მცა-ვარდა იგი ზღუასა (მრ. 9,42 C).

თავ-დამოქცევით:

.... ფილიპე აღყო კელი თჳსი ვიდრე-იგი დამოეკიდა თავ-დ ა მ ო-ქ ც ე ვ ი თ და ჰრქუა (აპოკრ. 9,10); დამოჰკიდეს იგი თავ-დ ა მ ო ქ ც ე-ვ ი თ ეზოსა მას (აპოკრ. 5,14).

დამოცკვნება:

.... მასკულავნი ზეცით დ ა მ ო ც კ ვ ნ ე ბ უ ლ იყვნენ (მრ. 13,25 C).

ეს ნიმუშები იმაზე მეტყველებს, რომ **და-** ზმნისწინსაც ჰქონდა აქეთა მიმართულების აღმნიშვნელი რთული შედგენილობის საპირისპირო **დამო-** ზმნისწინი. ნ. მარი ასეთი ზმნისწინის არსებობას მხოლოდ თეორიულად აღადგენდა **მო-თი** ნაწარმოები რთული ზმნისწინების ჩამოთვლისას. პრაქტიკულად კი ასეთი ზმნისწინის არსებობის ფაქტი მას გამორიცხულად მიაჩნდა. ამას იგი იმით ასაბუთებდა, რომ **და-** ზმნისწინი ისედაც ჩვენკენ მოძრაობას აღნიშნავს და ამისათვის **დამო-**ს საჭიროება არც იგრძნობაო. ამასთან ერთად, ნ. მარი **და-**ს საპირისპირო ზმნისწინად **შთა-**ს მიიჩნევდა [1].

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ **დამო-** ზმნისწინის გამოყენების შემთხვევები ძველ ქართულში ძალზე იშვიათია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ იმ დროისათვის ამ ზმნისწინის ხმარების არე მეტად შეზღუდული იყო. თვითონ იმ ზმნებში კი, რომლებიც ძველად **დამო-** ზმნისწინს იყენებდნენ, ახალ ქართულში **ჩამო-** ზმნისწინი გვაქვს [2] (დამოეკიდა—ჩამოეკიდა, დამოცკვდა—ჩამოცვივდა, დამოსდიოდა—ჩამოსდიოდა და სხვ.).

დამო- ზმნისწინი იმ სიტყვებიდან, რომლებიც ზემოთ წარმოვადგინეთ, მხოლოდ ერთში შემოგვრჩა. ესაა **დამოკიდება-**დან მიღებული მიმღეობა **დამოკიდებული** და ამ სიტყვიდან წარმომდგარი აბსტრაქტული სახელი **დამოკიდებულება,** მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ერთ მათგანში **დამო-** ზმნისწინი დღეს მიმართულებას აღარ აღნიშნავს.

2. შთა- შთამო- ზმნისწინები ძველ ქართულში

§ 53. შთა- ზმნისწინი და ორმაგი მიმართულება. **შთა-** ზმნისწინის ძირითადი მნიშვნელობის გაგებისათვის მოვიყვანოთ ასეთი მაგალითები:

[1] H. M a r r, Грамматика древнелит. груз. языка, § 202.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 249.

.... აღ-თ-ვ-ა-ქ-დ-ე ცად, მენ შენ ხარ; და **შთა-თ-ვ-ქ-დ-ე** ჯოჯოხეთა, მენცა ახლოსვე ხარ (ფს. 138,8);

.... შენ, კაფარნაუმ, ნუ ცადმდე ა-ჰ-მ-ა-ღ-ლ-დ-ე-ბ-ი, არამედ ვიდრე ჯოჯოხეთადმდე **შთა-ჰ-ქ-დ-ე** (მ. 11,23);

.... და **შთა-ქ-დ-ა** წყაროსა ამას და ა-ღ-მ-ო-ი-ვ-ს-ო (დაბად. 24,45).

მოცემულ წინადადებებში **შთა-** ზმნისწინიანი ზმნები დაპირისპირებულია **აღ-** ზმნისწინიანებთან და საპირისპირო მიმართულებას უჩვენებს. ესაა მიმართულება ზევიდან ქვევით — სიღრმეში.

შთა- ზმნისწინი, როგორც ცნობილია, ორი ზმნისწინის შერწყმის შედეგადაა მიღებული. ეს ზმნისწინებია **შე-** და **და-**. (შთა—შდა—შედა = **შე-** + **და-**) [1].

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ **შთა-**ს მნიშვნელობა ახლოსაა როგორც **და-**ს მნიშვნელობასთან (ზევიდან ქვევით მიმართულება), ისე **შე-**ს მნიშვნელობასთან (გარედან შიგნით მიმართულება). სხვაგვარად რომ ვთქვათ, **შთა-** ზმნისწინი გარედან შიგნით მოძრაობას აღნიშნავს ისე, რომ ეს მოძრაობა ამავე დროს ზემო მხრიდან ქვევით მიემართებოდეს.

მეორე მხრით, რაკი **შთა-**ს მეორე შემადგენელი ნაწილი **-და-** ზმნისწინი მიწის აღმნიშვნელ სიტყვა **დაბ-**ს უკავშირდება [2], გასაგებია, რომ **შთა-**ს თავდაპირველი ფუნქცია ზევიდან ქვევით. მიწის სიღრმისაკენ მიმართულების ჩვენება უნდა ყოფილიყო:

.... გარდააღჳეს სართული სახლისაჲ მის, რომელსა შინა იყო, და განთხარეს და **შთაუტევეს** ცხედარი იგი, რომელსა ზედა განრღეული იგი იდვა (მრ. 2,4 C);

.... რაჲთა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა **შთასლვაჲ** (ღ. 8.31 C);

.... ორნივე მთხრებელსა **შთაცვივან** (მ. 15,14);

.... ივლტინ გუელი და **შთაქდის** კერელად (სახ. მეტყვ. 34.8);

.... სიტყუანი შენნი **შთაქდენ** ქუეყანად (ესაია, 29,4);

.... და **შთაჰხედა** საფლავსა მას (ღ. 24,12 D).

შემდეგში **შთა-** ზმნისწინისათვის (მსგავსად **და-** ზმნისწინისა) სიღრმისაკენ მიმართულების აღნიშვნის ფუნქცია განზოგადებული ჩანს წყლის სიღრმეზეც და თუნდაც ისეთ წარმოსახვით სამყაროზეც, როგორიც იყო ძველთა შეგნებაში ჯოჯოხეთი:

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 251; არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 129; ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იქვე, V, გვ. 92.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 268. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 15—16; 26—27.

.... და შთაავლინოთ სიბერძ ჩემი მწუხარებით ჯოჯოხეთა (დაბად. 42,38);

.... ეგრეცა... იესუ ქრისტემან მიწისა ქორცნი შეისხნა და შთაჴდა ჯოჯოხეთა (სახ. მეტყ. 28,21);

.... დამუსრა იგი მწულილად და შთააბნია იგი წყალსა მას (გამოსლვ. 32,20);

.... წარვედ ზღუად და შთააგდე სამკედური (მ. 17,27);

.... აღიღო მკალი იგი და შთაყარა ზღუასა მას მეწამულსა (გამოსლვ. 10,19);

.... შთაჴდეს ორნივე წყალსა (საქმე, 8,38 ჴ).

შთა-→ჩა- ზმნისწინის ეს ძირითადი მნიშვნელობა — ზევიდან ქვევით სიღრმისაკენ მიმართულების ჩვენების ფუნქცია — შემჩნეული ჰქონდა ჯერ კიდევ საბას. აი ამ რიგის ზოგი საბასეული განმარტება:

ჩაგდება — სიღრმეში ჩატევება.
ჩადება — სიღრმეში რამე დადვას.
ჩაიტანა — სიღრმეში თან ჩაიღო.
ჩაწდომა — სიღრმედ კელის მიხლება.
ჩაწოლა — ცხოელი სიღრმეში დაწვეს.
ჩაწყობილი — ღრმაში წყობით დებული [1].

ნ. მარმა შთა- ზმნისწინი სამი სიბრტყისადმი დამოკიდებულების ნაწილაკთა ჯგუფში (აღ, და, შთა) მოათავსა და მის ფუნქციად მიიჩნია ზევიდან ქვევით („ჩვენს ქვევით“) მიმართულების აღნიშვნა [2].

შთა-→ჩა- ზმნისწინებით გადმოცემულ მიმართულებას ა. შანიძემ ორშაგი მიმართულება უწოდა: „მიმართულება გარედან შიგნით შეიძლება გართულდეს ახალი მომენტის მიმატებით: თუ შიგნითა პუნქტი გარეთაზე დაბლა ძევს, შეიძლება აღნიშნულ იქნეს, რომ ა) მოქმედება მიიმართება გარედან შიგნით და ამასთანავე ერთად ბ) ზევიდან ქვევით. ამისათვის მოგვეპოვება წყვილი ზმნისწინი: ჩა და ჩამო...“ [3]

შთა- ზმნისწინი რომ ამ ორმაგ მიმართულებას გადმოსცემს, ეს აზრი გაზიარებული აქვთ სხვა მკვლევრებსაც. მაგ. ა. მარტიროსოვი ძველი ქართულის მასალაზე დარყნობით წერს: „შთა-ს ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა: აღნიშნავდა როგორც გარედან შიგნით, ისე ზევიდან ქვევით მიმართულებას“ [4].

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928.

[2] H. Марр, Грамматика древнелит. груз. языка, § 202.

[3] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 250.

[4] ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იქე, V, გვ. 92.

რაკი შთა- ზმნისწინის ფუნქციაა, უჩვენოს ზევიდან ქვევით — სიღრმისაკენ მიმართულება, ცხადია, იგი უნდა უპირისპირდებოდეს იმ ზმნისწინს, რომელიც სიღრმიდან ზევითა მიმართულების აღსანიშნავად გამოიყენება. ასეთი ზმნისწინი კი ძველადაც და ახლაც აღმო- ზმნისწინია. მართლაც, ძველ ქართულში გვაქვს სათანადო შემთხვევები, როცა შთა- ზმნისწინი უშუალოდ აღმო-ს უპირისპირდება:

.... შთავიდა ჯურღმულსა მას და აღავსო სარწყული იგი და აღმოჴდა (დაბად. 24,16);

.... შთაჴდის მეზეერ და აღმოჴდის მახარებელად; შთაჴდის მეძაი და აღმოჴდის, ნელსაცხებელსა შესწირავნ; შთაჴდა მჴეცი და აღმოჴდის ცხოვარი (სინ. მრ. 78,16—18).

ეს მაგალითები გასაგებს ხდის, რომ თუ აღმო- ზმნისწინი სიღრმიდან ზევითა მიმართულებას აღნიშნავს, შთა- ზმნისწინი ამის საპირისპიროდ ზევიდან ქვევით, სიღრმისაკენ მიმართულ მოძრაობას გვიჩვენებს.

თავდაპირველად, როგორც ვთქვით, შთა-ს მიწის სიღრმისკენ მიმართული მოქმედება უნდა აღენიშნა, შემდეგ კი — წყლის სიღრმისკენ (წყალიც ხომ თავის დონით მიწის პირს უსწორდება, ანდა მასზე დაბლაა) მიმართული მოძრაობაც. საბოლოოდ, როგორც ჩანს, შთა-ს ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო განზოგადდა ისე, რომ ეს შთა- შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყოველგვარი სიღრმისაკენ მიმართული მოძრაობის გადმოსაცემად:

..... მისდეეედ და შთაიბნინიან პირსა ეეშაპ-თევზისასა მის (სახ. მეტყვ. 20,30);

.... ხვალისაგან თორნესა შთააგდიან (მ. 6,30 C);

.... შთაეგდო გულსა თჳსსა (ი. 13,2 C);

.... თიეაჲ იგი ეელისაჲ... ხვალე თორნესა შთაეგზნის (მ. 6,30 D);

.... ეინ შთადვა ეეცხლი იგი ძაძათა ჩუენთა (დაბად. 43,22);

.... შთააგდინიან სისხლი იგი მათი მას ავაზანსა (აპოკრ. 33,28 E);

.... მრავალ გზის შთავარდის იგი ცეცხლსა (მ. 17,15);

.... ვიდრე არღა შთავრდომილ იყო იგი მუცელსა (ლ. 2,21 C);

.... შთასთხინენ იგინი შორის საკუმილსა მას ცეცხლისასა (მ. 13,50);

.... მუცელმან მისმან შთაიკრიბოს ზაკუეაჲ (იობ. 15,35);

.... აღაღო პირი თჳსი, რაჲთამცა შთანთქა წმიდაჲ საბა (საბა ას. 8,9);

.... კიდობანსა მას შთაასხნე საწამებელნი იგი (გამოსლვ. 25,20);

.... რომელნი იმრუშებდეს მის თანა, შთავყარნე ჴირსა დიდსა (გამოცხ. 2,22);

.... შეგრაგნა იგი და შთააწვინა ბაგასა (ლ. 2,7 C);

.... რომელმან შთაიწრიდის იორდანჱ თუალსა მისსა (სინ. მრ. 88,15);

.... მოყავ ჴელი შენი და შთაჴადე გუერდსა ჩემსა (ი. 20, 27 C);

.... მაგალითთა კეთილთა შთახედვიდეს მსგავსად ჴელოვანთა მხატვართა (ზარზმ. 151,14).

სულხან-საბას ლექსიკონში ამგვარი მნიშვნელობის მქონე **ჩა-** ზმნისწინიანი ზმნებიცაა წარმოდგენილი:

ჩაგება — მახვლის ქარქაშში ჩადება.
ჩავიდა — ჯურჯელთა შინა საქმარი რამე შთაეტიოს.
ჩაწოლა — ....სხუს საგებელში დაწვეს [1].

შთა- ზმნისწინის ეს განზოგადებული მნიშვნელობა აღნიშნული აქვს დ. ჩუბინაშვილსაც, როცა იგი მიუთითებს, რომ **შთა-** აღნიშნავს მოქმედებას რისამე შიგნით [2].

ისევე როგორც ახალ ქართულში, ძველშიაც **შთა-** ზმნისწინი ზოგჯერ ისეთ ქვევითა მიმართულებას გვიჩვენებდა, რომელსაც სიღრმეში მოძრაობის გაგება არ ახლდა. ასეთ შემთხვევაში ნაგულისხმევი იყო ქვევით მოძრაობა დაქანებულ ზედაპირზე, დაღმართზე. თუ მთხრობელი პირი დაღმართის ზედა მხარეს იმყოფებოდა და იქიდან უყურებდა ამ მოძრაობას, მაშინ მის გადმოსაცემად **შთა-** ზმნისწინს გამოიყენებდა. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი — **შთამო-**ს. **შთა-** ზმნისწინის ეს მნიშვნელობაც უშუალო კავშირშია **და-** ზმნისწინის მნიშვნელობასთან და მისგან გამომდინარეობს. აი ნიმუშებიც:

.... მიიღეთ ნაყოფისაგან ამის ქუეყანისა ჰურჱრთა თქუენთა და **შთააროთ** კაცსა მას ძღუენი (დაბად. 43,11);
.... **შთავედ** და თხარე და იძიენ ბორცუსა მას ოდენ; და რაჟამს ჰპოვნე, დაიცევ ადგილი იგი (სინ. მრ. 68,16);
.... მღდელი ვინმე **შთავიდოდა** მასვე გზასა (ლ. 10,31);
.... მიიწია იგი **შთასავალსა** მას მთისა ზეთის ხილთაგანსა (ლ. 19,37).

ციტირებულ მაგალითებში **შთა-** ზმნისწინიანი ზმნები ზევიდან ქვევით მიმართულებას აღნიშნავენ სიღრმის გარეშე.

აი ამ რიგის სიტყვათა განმარტება საბასთან:

შთამართ — დაღმართში.
ჩაღმა — დაღმა მიმავალი.
ჩაღმართი — ....ვაკესა რა რადობა შეეტყობოდეს, **ჴამრეცი** ეწოდების, და უნამეტნავესსა — **დამრეცი** და მისსა უმეტესსა — **ჩამრეცი** და მაზედ მეტსა — **ჩაღმართი**, მისსა უძნელესსა — **დაღმართი** [3].

და ბოლოს, **შთა-** ზმნისწინი **შე-**ს შინაარსით იხმარება ზოგიერთ ზმნასთან როგორც ახალ ქართულში (**ჩა-**), ისე ძველში. დღეს, მაგალითად, როცა ერთ ქალაქში (ანდა სოფელში) მყოფი კაცი სხვა დაშორებულ ქალაქში შევა, მოძრაობის დამთავრებისას იტყვის: **ჩამო-**

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი ქართული ლექსიკონი, 1928.
[2] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 74.
[3] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928.

ვედრო, სხვები კი მის შესახებ იტყვიან: **ჩავიდაო**. მაგალითად: მოსკოვს ჩავიდა, თბილისში **ჩამოვიდა**.... და მსგავსი გამოთქმები. რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ზევიდან ქვევით მოძრაობას, არ გულისხმობს იმას, თითქოს ის ქალაქი, სადაც ჩავიდნენ, იმ ქალაქზე დაბლა მდებარეობდეს, საიდანაც ჩავიდნენ. მაგალითად: თბილისიდან რომ გორში კაცი გაემგზავრება, მისი მოქმედების დასრულების შემდეგ იტყვიან: „ის კაცი გორში **ჩავიდაო**“, მაგრამ იგივე კაცი გორიდან თბილისს რომ დაბრუნდება, იტყვიან: „გორიდან თბილისს **ჩამოვიდაო**“. რა თქმა უნდა, უაზრობა იქნება ვამტკიცოთ, თითქოს ერთ შემთხვევაში თბილისი გორზე მაღლა მდებარედ მიაჩნდეთ. ხოლო მეორე შემთხვევაში — შებრუნებულად. ეს ტრადიციულად დამკვიდრდა, რომ ერთი ადგილიდან მეორე, მისგან დაშორებულ ქალაქში თუ ქვეყანაში ჩასვლა **ჩა-**, **ჩამო-** ზმნისწინებით გადმოიცემა. ჩანს, ეს ტრადიცია ძველთაგანვე მოდის:

.... ნუ **შთახუალ** ეგვპტედ (დაბად. 26.2);
.... შევიდა ნავსა ეფესოჲთ და **შთავიდა** ქუსარიად (საქმე, 18.22):
.... რომელი **შთავალს** იერუსალ<u>ჵ</u>მით გაზად (საქმე, 8.26 Ქ):
.... რომელი **შთააც** იერუსალ<u>ჵ</u>მით გაზად (საქმე, 8,26 Ⴑ).

შთა- ზმნისწინის ეს შინაარსი მისი შემადგენელი **შე-** ზმნისწინის მნიშვნელობიდან უნდა მომდინარეობდეს. ეს რომ ასეა. ამას ამტკიცებს ძველ ქართულში რიგ შემთხვევაში **შთა-** და **შე-** ზმნისწინთა მონაცვლეობაც:

.... რაჟამს **შთახჳდოდით** თქუენ, არა განძრას ძაღლმან ენაჲ მისი (აპოკრ. 32,28 E): შდრ.: რაჟამს შ ე ხ ჳ დ ო დ ი თ..., არა აღუჴფნეს ძაღლმან ენითა თჳსითა (აპოკრ. 32.28 D):
.... რომელი არა შ ე ე ი დ ე ს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხჳთ **შთაჴდეს**, იგი მპარავი არს და აყაბაკი (ი. 10.1 C): შდრ.: რომელი არა შეეალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხჳთ კერძო შ ე ე ა ლ ს, იგი მპარავი არს და აყაბაკი (ი. 10.1 E):
.... ვიდრემდე **შთააცუათ** (შ ე ი მ ო ს ო თ, DE) ძალი მაღლით (ლ. 24.49 C):
.... გამოართუთ მაგას კუართი იგი წინაჲ და **შთააცუთ** მაგას (ლ. 15,22 C); შდრ.: შ ე ს ვ მ ო ს ე თ მას, DE.

ამგვარად: **შთა-** ზმნისწინის თავდაპირველი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ზევიდან ქვევით სიღრმეში მიმართულების ჩვენება. ამ მნიშვნელობით **შთა-** ზმნისწინი ძველ ქართულშიც იხმარებოდა და ახალშიც (გამარტივებული **ჩა-** ზმნისწინის სახით).

ამ ძირითადი ფუნქციიდან განვითარებული ჩანს **შთა-**ს ისეთი მნიშვნელობანი, როგორიცაა: ა) საერთოდ ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენება, თუკი მოძრაობა მოუბარი პირის დონეზე დაბ-

ლა ეშვება (ვთქვათ დამრეცად—დაღმართზე ან კიდევ ვერტიკალურად—ზედაპირამდე, როცა ეს ზედაპირი მოუბარი პირის დონეზე დაბლა მდებარეობს) და ბ) გარედან რისამე შიგნით მიმართულების ჩვენება, თუკი ეს მოძარობა ამავე დროს გააზრებული იქნება როგორც ზევიდან ქვევით მიმართულებაც.

§ 54. შთამო- ზმნისწინი ძველ ქართულში. ორიენტაციის თვალსაზრისით, შთა-ს საპირისპირო ზმნისწინია **შთამო-**, რომელიც ჩვეულებრივი წესითაა მიღებული. გეზის მიხედვით **შთამო-** და **შთა-** ერთი და იგივე უნდა იყოს, ორიენტაციის თვალსაზრისით კი — სხვადასხვა. ძველ ქართულში ეს ასეც ჩანს იმ ნიმუშების მიხედვით, რაც მოგვეპოვება:

.... რომელმან **შთამოყოს** ჩემ თანა ჴელი პინაკსა ამას (მ. 26,23);
.... ძმაჲ თუ ჩუენი უმრწემსსი **შთამოავლინო** ჩუენ თანა, **შთავიდეთ** (დაბად. 44,26);
.... აწ უკუე, რომელნი შემძლებელ არიან თქუენგანნი, ჩემ თანა **შთამოვიდენ** (საქმე, 25,5 Ქ);
.... აწ თქუენ აუწყეთ ათასისთაესა კრებულითურთ, რაჲთა **შთამოიყვანოს** თქუენდა (საქმე 23,15 C);
.... ხოლო ვითარცა იგი განგუეშორა და წარმოვიდა, ჩუენ **შთამოვედით** შთასაქანელსა მას (ზარზმ. 162,4).

ეს მაგალითები ნათლად მიუთითებს, რომ მოცემულ ზმნებში **შთამო-** ზმნისწინი იმავე მიმართულებას გვიჩვენებს გეზის მიხედვით, რომელსაც გვიჩვენებდა იმავე ზმნებში **შთა-** ზმნისწინი (შთაყო, შთაავლინა, შთავიდა, შთაიყვანა). განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ **შთა-** საიქეთო ორიენტაციისაა, **შთამო-** კი — სააქეთოსი[1].

ძველ ქართულში **შთა-** ზმნისწინის გამოყენების არე ძალზე შეზღუდული იყო. ამ მხრივ ახალ ქართულში სულ სხვა ვითარებაა: ამჟამად **ჩა-** (←შთა-) ზმნისწინი ბევრ ისეთ ზმნაში გამოიყენება, სადაც ძველად **და-** ზმნისწინი გვქონდა, და ამდენად მისი გამოყენების არე გაფართოვდა.

კიდევ უფრო შეზღუდული იყო ძველ ქართულში **შთამო-** ზმნისწინის გამოყენების არე. ნიმუშები ძალზე მცირეა. ამასთან ერთად, არც იმისი თქმა შეიძლება, თითქოს მის ნაცვლად ზევიდან ქვევითა მიმართულების აღსანიშნავად სააქეთო ორიენტაციის გადმოცემისას **დამო-** ზმნისწინი გამოიყენებოდა. ზემოთ (იხ. § 52) ჩვენ ვუჩვენეთ,

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 250.

რომ ძველ ქართულში ასევე იშვიათი იყო **დამო-** ზმნისწინის გამოყენების შემთხვევები. ახლა კი იმისი აღნიშვნა გვსურს, რომ **შთამო-** ზმნისწინიანი ზმნების საკმაო რაოდენობით უქონლობა საშუალებას არ გვაძლევს, ნათლად წარმოვიდგინოთ ამ ზმნისწინის ყველა მნიშვნელობა ძველ ქართულში. მაგრამ მაინც ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოება:

რადგან **შთამო-** და **შთა-** ზმნისწინები ზევიდან ქვევითა მიმართულებას აღნიშნავდა, მაგრამ მათგან პირველი საქეთოს, ხოლო მეორე საიქეთოს, ამიტომ ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ **შთამო-** ზმნისწინს ჩვეულებრივ უნდა აღენიშნა ზევიდან ზედაპირამდე (სადაც ჩვენა ვართ) მომართული მოქმედება, ხოლო **შთა-**ს ზედაპირიდან ქვევით მიმართული მოქმედება. სწორედ ეს შინაარსი შეიძინა **ჩამო-** ზმნისწინმა დღევანდელ ქართულში. დღეს, მაგალითად, **ჩამოვარდაო,** რაიმეზე მარტო მაშინ კი არ ვიტყვით, როცა რისამე სიღრმეში ვიმყოფებით და იქ ჩამოვარდა რამე, არამედ მაშინაც, როცა ღია ზედაპირზე (ვთქვათ მიწაზე) ვიმყოფებით და იქ ზემოდან ჩამოვარდება რამე.

ახალ ქართულში **ჩამო-** ზმნისწინის ხმარების შემთხვევები უხვია და მათში ზემოაღნიშნული ტიპის ნიმუშებიც ბევრი დაიძებნება. ძველ ქართულში კი **შთამო-** ზმნისწინის ხმარების შემთხვევების დიდი სიმცირე, როგორც ვთქვით, ხელს გვიშლის მისი ყველა მაშინდელი ფუნქცია გავითვალისწინოთ. მიუხედავად ამისა. არჯს კვალი იმისა, რომ **შთამო-** ზმნისწინი ზევიდან ქვევით ზედაპირამდე მოძრაობასაც აღნიშნავდა:

> .... **შთამოჴსნეს** აფრაჲ და ესრჱთ მიმოაქცნდა ნავი ძაფი ნელიად ცემითა ქარისაჲთა სიღრმეთა შინა (საქმე, 27,17 ბ).

მოყვანილ მაგალითში **შთამოჴსნეს** ზმნა სრულებითაც არ გულისხმობს ზევიდან ქვევით სიღრმეში მიმართულებას. იგი გულისხმობს ზევიდან ქვევით ჩვენს სიბრტყემდე მიმართულებას. ჩანს, ჩანასახის სახით **შთამო-** ზმნისწინს ეს ფუნქცია უკვე ძველსავე ქართულში გაუჩნდა. შემდეგში, საშუალ ქართულში, როცა **შთამო-** ზმნისწინში შემავალი შე- ელემენტი თითქმის სრულიად გაუჩინარდა (შედა— შდა— შთა— ჩა-), კიდევ უფრო ადვილი გახდა მისი თავდაპირველი მნიშვნელობის უგულვებელყოფა და, ამგვარად, **ჩამო-** ზმნისწინს დაეკისრა, აღენიშნა ზემოდან ქვევით ჩვენი დგომის სიბრტყემდე, მიწის ზედაპირამდე მომართული მოძრაობა, ანუ ზევიდან ქვევით მიმართულება საქეთო ორიენტაციით. სწორედ ამიტომ

მართალი იყო დ. ჩუბინაშვილი, როცა იგი შთამო- (ჩამო-) ზმნისწინის დანიშნულებად ზევიდან ქვევითა მიმართულების ჩვენებას მიიჩნევდა[1].

3. გარდა-, გარდამო- ზმნისწინები

§ 55. გარდა- გარდამო- ზმნისწინები და ზევიდან ქვევით მიმართულება. სუხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში **გარდა-** ზმნისწინიანი რამდენიმე სიტყვა ასეა განმარტებული:

გარდაგებული — ზედამ გაჟალაკი და გარეშე მოფარდაგული.
გარდატკრთვა — ტკრთის ჩამოკდა.
გარდაშვება — დაღმა მიშვება.

ამ განმარტებათა მიხედვით იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ გარდა- ზმნისწინი აღნიშნავს ზევიდან ქვევით მიმართულებას.

რატომ უნდა აღენიშნა ზევიდან ქვევით მიმართულება **გარდა-** ზმნისწინს? ცხადია, იმიტომ, რომ იგი თავის თავში შეიცავს ქვევითა მიმართულების მაჩვენებელ **და-** ზმნისწინს (§ 97). ეს **და-** ზმნისწინი, როგორც დამოუკიდებლად ხმარებული, ზემოთ უკვე განვიხილეთ. ვნახეთ, რომ მისი ფუნქციაა, აღნიშნოს მიმართულება ზევიდან ქვევით, ზედაპირამდე (ზოგჯერ ზედაპირის ქვემოთაც, სიღრმეში).

და- ზმნისწინი ჩვენ შეგვხვდა **ჩა-** (შთა-) ზმნისწინის შემადგენლობაშიც და ვნახეთ, რომ იგი იქაც ინარჩუნებს თავის თავდაპირველ მნიშვნელობას, მიუხედავად იმისა, რომ რთული ფონეტიკური ცვლილების შედეგად დღევანდელ **ჩა-** ზმნისწინში ეს **და-** აღარც კი მოჩანს.

გასაგებია, ასევე უნდა შეენარჩუნებინა **და-** ზმნისწინს თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა რთულ **გარდა-** ზმნისწინშიც. მით უმეტეს, რომ **გარდა-** ზმნისწინში ეს **და-** დღესაც თავისი სახითაა წარმოდგენილი ყოველგვარი ფონეტიკური ცვლილების გარეშე (გა- და-).

საბას მიერ ზევიდან ქვევითა მიმართულების შინაარსით განმარტებული **გარდა-**ზმნისწინიანი ზმნები წარმოადგენს თუ არა იშვიათ გამონაკლის შემთხვევებს ძველი ქართულისათვის? — არა, არ წარმოადგენს. ძველ ქართულში ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა **გარდა-** ზმნისწინიანი ზმნები სწორედ ზევიდან ქვევით მიმართულებას აღნიშნავს. აი ზოგი მათგანიც:

---

[1] Д. Чубинов. Краткая грузинская грамматика, გვ. 74.

.... დაადგინა ფრთესა მას ზედა ტაძრისასა და ჰრქუა მას: უკეთუ ძმ ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად (ლ. 4,9);

.... მოიყვანეს იგი ვიდრე წუერადმდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო, რაჲთა გარდააგდონ იგი (ლ. 4,29 C);

.... ხვალისაგან გარდასდებდეს ტკრთსა და მესამესა დღესა ჰურჴელი ნაცისაჲ თჳსითა კელითა გარდააბნიეს (საქმე. 27,18—19 Ჭ);

.... გარდასდებდეს ნაცისა მისგან იფქლსა მას ზღუად (საქმე, 27,38 C);

.... გარდავარდი შენ ამიერ დაქუე (მ. 4,6 C):

.... გარდავარდა სიმაღლისა მისგან (სინ. მრ. 56,26):

.... გარდავარდა მძინარჱ და დაეცა სამ სართულისაგან ქუეყანასა (საქმე, 20,9 C);

.... გარდაუტეევეს ჰურჰერი ნაცისაჲ და ესრჱთ მიმოდააქუნდა (საქმე, 27,17 C);

.... შოეა ღამეს ოდენ ჰგონებდეს მენაევნი იგი მიწეევნასა რომელსამე სოფელსა. და გარდაუტეევეს საზომი იგი და იყო ოც მჯარ (საქმე, 27,27—28).

.... მოიყვანეს ძმათა და ზღუდით სარკმელსა გარდაუტეევეს ბანდაკითა (საქმე, 9,25);

.... გარდავაცუათ საბელი ყელსა მისსა (აპოკრ. 36,10 DE):

.... გარდაჰკდა საკედარსა და შეუვრდა ხატსა მას ცხოველსა (ზარზმ. 156,21).

ციტირებულ მაგალითებში ხაზგასმული ზმნები, კონტექსტის მიხედვით,—ყველა ზევიდან ქვევით მიმართულებას აღნიშნავს. გარდა- ზმნისწინის ეს მნიშვნელობა მითითებული აქვს ნ. მარს[1]. ასეთი შინაარსი გადა- ზმნისწინს დღევანდელ ქართულშიც შემონახული აქვს (კიბიდან გადავარდა). მაგრამ თუ ამის შესახებ მკვლევრები თითქმის არაფერს ამბობენ, ეს იმის გამო, რომ მოცემული ზმნისწინის მთავარ ფუნქციად სხვა, სახელდობრ, დაბრკოლების გადალახვა მიაჩნიათ. ამ მხრივ სხვაგვარი ვითარებაა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, რომელშიაც გადა- ზმნისწინის განმარტებისას ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენების ფუნქციაცაა აღნიშნული:

„გადა- რთული წინსართი ზმნისა გა- და და- (შდრ.: გარდა): ძირითადი დანიშნულებაა: 1. უჩვენოს: 1. მიმართულება აქედან იქით, — მოქმედება რამეზე გავლით, გატარებით ან რაიმე დაბრკოლების გადალახვით.... 2. მოქმედება ზევიდან ქვევით რამეზე გავლით... 3. ადგილის შეცვლა-მონაცვლეობა.... 4. ხელმეორედ შესრულება. — მოქმედების განმეორება... 5. მოქმედების წარმოება სრულად, ერთიანად, მთლიანად, რისამე შესრულება თავიდან ბოლომდე (ჩვეულებრივ რისამე ზედაპირზე)... 6. რისამე ორად შუაზე გაყო-

[1] Н. Марр, Грамматика..., § 202.

ფა... 7. საზღვარს ნორმას გადაცილებული, გადაჭარბებული მოქმედება.... 8. ზოგჯერ არსებითად უცვლის სიტყვას მნიშვნელობას..... 2. 1. ზმნის უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად.... 2. აწმყოს ფორმას აძლევს მყოფადის მნიშვნელობას....." [1]

როგორც ვხედავთ, გარდა- ზმნისწინისათვის ნიშანდობლივად მიჩნეული მრავალი დანიშნულების ჩამოთვლისას, რომელიც განმარტებით ლექსიკონშია მითითებული, ზევიდან ქვევით მიმართულების, აღნიშვნის ფუნქცია არა მარტო დანახულია, არამედ წინა პლანზეცაა წამოწეული.

ძველ ქართულში გარდა- ზმნისწინის ძირითადი მნიშვნელობა რომ დაბრკოლების გადალახვის ჩვენება ყოფილიყო და არა ზევიდან ქვევით მიმართულებისა, მაშინ იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მას რთულ გარდამო- ფორმაშიც, რომელიც სააქეთო ორიენტაციას გამოხატავს. გარდამო- ზმნისწინი კი ძველ ქართულში ჩვეულებრივ ზევიდან ქვევით მიმართულების საჩვენებლად გამოიყენებოდა. საგულისხმოა, რომ დ. ჩუბინაშვილს, რომელიც გარდა-ს დანიშნულებად მიიჩნევდა დაბრკოლების გადალახვის ჩვენებას, გარდამო-ს დანიშნულებად სწორედ ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენება მიაჩნდა: **გარდამო, გარდმო (გადმო), показывает действие сверху вниз... напр., გარდმოაგდო მთიდგან—сбросил с горы; გარდამოხსნეს ჯვარიდამ—сняли с креста"** [2].

დაახლოებით ამავე აზრს გამოთქვამს გარდამო- ზმნისწინის შესახებ ა. მარტიროსოვიც: „ძველ ქართულში და ნაწილობრივ ახალ ქართულშიც გარდამო-, გადმო- ზევიდან ქვევით მოძრაობას აღნიშნავს, ეს გასაგებიცაა, რადგან ამ რთულ ზმნისწინში და-ც შედის, რომელიც დამოუკიდებლად სწორედ ამ მიმართულებას გადმოსცემს" [3]. სავსებით სწორი დასკვნაა, მაგრამ გაუგებარი ისაა, თუ რატომ არ ჩააფიქრა მკვლევარი იმავე და- ზმნისწინის არსებობამ გარდა- ზმნისწინის შემადგენლობაში, და რატომ გარდა- ზმნისწინის შესახებაც არ გააკეთა ისეთივე დასკვნა, როგორიც გარდამო-ს შესახებ. საამისო ნიმუშები კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ძველ ქართულში საკმაოდ დაიძებნება.

არა ერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ძველი სამწერლობო

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. II, რედაქტორი პროფ. გ. წერეთელი.

[2] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 73.

[3] ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, გვ. 93.

ძეგლებიდან, რომ **გარდამო-** ზმნისწინი ზევიდან ქვევით მიმართულებას გადმოსცემს. ნიმუშისათვის შეიძლება დავასახელოთ ქართული ოთხთავის შატბერდული რედაქციები, სადაც **გარდამო-** ზმნისწინიანი ზმნები, გარდა ორი გამონაკლისისა, ყველა შემთხვევაში ზევიდან ქვევით მიმართულებას გადმოსცემს. ეს ზმნებია: გარდამოგდება, გარდამოსლვა, გარდამოვრდომა, გარდამოთხევა, გარდამოცხნა, გარდამოხუმა, გარდამოჯდომა, გარდამოკსნა.

ჩვენ გვსურდა, ამ ზმნათა ხმარების ყველა შემთხვევა დაგვემოწმებინა აქ, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა. მით უმეტეს, ამის გაკეთება საჭიროდ არ ვცანით იმიტომ, რომ დაინტერესებული პირი აღნიშნული ზმნების ხმარების ყველა შემთხვევას ადვილად გაეცნობა ივ. იმნაიშვილის წიგნში „ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონი“. ჩვენ კი აქ თითო მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით:

.... მოიყვანეს იგი ვიდრე წუერადმდე მთისა მის, რომელსა ზედა დაშენებულ იყო ქალაქი იგი მათი, რაჲთა გარდამოაგდონ იგი (ლ. 4,29);
.... **გარდამოვიდოდა** ვითარცა ტრედი ზეცით (ი. 1,32 C);
.... აწ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ **გარდამოვარდეს** ქუე (ი. 12,31);
.... **გარდამოსთხინა** ძლიერნი საყდართაგან (ლ. 1,52);
.... ვარსკულავნი **გარდამოცჳენ** ზეცით (მ. 24,29);
.... **გარდამოიხუნეს** კორცნი იგი იესუჲსნი და შეგრაგნეს იგი (ი. 19,40 C);
.... **გარდამოჴდა** იგი მიერ მთით (მ. 8,1);
.... **გარდამოჰკსნა** იგი ჯუარისაგან (მრ. 15,46).

ახლა კი იმ ორი გამონაკლისის შესახებ:

ოთხთავში არის ორად-ორი შემთხვევა, როცა **გარდამო-** ზმნისწინიანი ზმნა არაა ნახმარი ზევიდან ქვევით მიმართულების საჩვენებლად:

1. „ჰრქუა მას სეფეჴელმან: უფალო, **გარდამოველ** (მოველ DE), ვიდრე არღა მომკუდარ არს ყრმაჲ იგი ჩემი“ (ი. 4,49 C);
2. კაცი ვინმე **გარდამოვიდოდა** იერუსალჱმით იერიქოდ (ი. 10,30).

თუ დავაკვირდებით ციტირებულ ადგილებს, ვნახავთ, რომ ორსავე შემთხვევაში **გარდამო-** ზმნისწინიანი ზმნები — **გარდამოველ** და **გარდამოვიდოდა** — ნახმარია იმავე მნიშვნელობით, რომლითაც მათ დღესაც ვიყენებთ (**გადმოსვლა** — „რისამე გადმოლახვით, გამოვლით მოსვლა, ადგილის გადმონაცვლება, იქიდან აქეთ მოსვლა“ [1]).

ეს არის ჩანასახი **გარდამო-** ზმნისწინიანი ზმნის სხვაგვარი გააზრებისა ძველსავე ქართულში. ეს ახალი გააზრება უთუოდ **გარდამო-**

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II.

ზმნისწინის თავდაპირველი ძირითადი მნიშვნელობიდანვე გამომდინარეობს.

ცხადია, თუ **გარდამო-** ზმნისწინი ძველ ქართულში ძირითადად ზევიდან ქვევით მიმართულებას აღნიშნავს სააქეთო ორიენტაციის ჩვენებით, მაშინ ამავე მიმართულების აღნიშვნა უნდა ყოფილიყო ძირითადი ფუნქცია **გარდა-** ზმნისწინისთვისაც (სააქეთო ორიენტაციის ჩვენებით).

ეს ფუნქცია, როგორც ზემოთ ვნახეთ, **გარდა-** ზმნისწინს ძველად მართლაც ჰქონდა.

§ 56. გარდამო- ზმნისწინი ცვლიდა დამო- და შთამო- ზმნისწინებს. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ძველ ქართულში იშვიათი იყო **დამო-** და **შთამო-** ზმნისწინების ხმარების შემთხვევები. ცხადია, თუ **და-** და **შთა-** ზმნისწინები გამოხატავდა ზევიდან ქვევით მიმართულებას (ერთი — ზედაპირამდე, მეორე კი — სიღრმეში) სააქეთო ორიენტაციის ჩვენებით, უნდა გვქონოდა ისეთი ზმნისწინიც, რომელიც ამავე მიმართულებას გამოხატავდა სააქეთო ორიენტაციის ჩვენებით, ე. ი. ზევიდან ქვევით მაგრამ ჩ ვ ე ნ კ ე ნ, ანუ ჩ ვ ე ნ ს ზ ე ვ ი დ ა ნ ჩ ვ ე ნ კ ე ნ.

დამო- ზმნისწინს ასეთი ფუნქციის შესრულება რომ შეეძლო, ამისი ნიმუშები ჩვენ ზემოთ უკვე ვნახეთ, მაგრამ ძველ ქართულში მისი გამოყენება ძალზე შეზღუდული იყო. **შთამო-** ზმნისწინი კი ძველ ქართულში, ეტყობა, ჯერ კიდევ ვერ გამოხატავდა ზევიდან ქვევით მხოლოდ ზედაპირამდე მიმართულებას, რადგან იმ ეტაპზე მასში ჯერ კიდევ იგრძნობოდა შიგნითა მიმართულების აღმნიშვნელი **შე-** ზმნისწინის არსებობა მისი ძირითადი შინაარსითურთ.

ასეთ ვითარებაში სააქეთო ორიენტაციის ზევიდან ქვევითა მიმართულების აღნიშვნა შესაძლებელი ხდებოდა **გარდამო-** ზმნისწინის გამოყენებით. ამგვარად, მოსალოდნელი **დამო-** და **შთამო-** ზმნისწინების ადგილას ჩვეულებრივ **გარდამო-** ზმნისწინი იხმარებოდა.

ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა ხელნაწერში **დამო-** და **გარდამო-** ზმნისწინები ერთმანეთს ენაცვლება:

დ ა მ ო-	**გ ა რ დ ა მ ო-**
და რაჟამს **დამოვიდოდა** იგი მიერ მთით (მ. 8,1 C);	და რაჟამს **გარდამოჴდა** იგი მიერ მთით, DE;

ვითარცა ნელსაცხებელი დამომდინარე თავსა და წუერთა აჰრონისთა (ფს. 132,2 A);

მასკულავნი ზეცით დამოცვნებულ იყვნენ (მრ. 13,25 C).

ვითარცა ნელსაცხებელი რაჲ გარდამომავალი თავსა და წუერსა აჰრონისსა, C;

ვარსკულავნი ზეცით გარდამოცვენ DE.

როგორც ვიცით, ქვევიდან ზევით მიმართულებას **აღ-** ზმნისწინი აღნიშნავს, ზევიდან ქვევით მიმართულების აღსანიშნავად კი **და-** და **შთა-** ზმნისწინები გვქონდა. ამიტომ გეზის მიხედვით თუ **აღ-** ზმნისწინს **და-** უპირისპირდება, **აღმო-**ს უნდა დაპირისპირებოდა **დამო-** ან **შთამო-** ზმნისწინები. ჩვენ კი არაერთი შემთხვევა ვიცით, როცა კონტექსტში **აღ-, აღმო-** ზმნისწინებს **დამო-**სა და **შთამო-**ს ნაცვლად **გარდამო-** ზმნისწინი უპირისპირდება:

.... ღმერთი ქუეყანად **გარდამოჴდა** და კაცი ზეცად **აღვიდა** (სინ. მრ. 36,27);

.... **აღჴდეთ** და **გარდამოვაგდოთ** იგი (სინ. მრ. 56,19);

.... **აღვიდოდიან** და **გარდამოვიდოდიან** ძესა ზედა კაცისასა (ი. 1,51 C);

.... კმა ყავ ამიერითგან **გარდამოტევებაჲ** წყლისაჲ პირისაგან შენისა, რამეთუ ჟამი აღმოდინებისაჲ წარჴდა (აპოკრ. 40,15 D).

ეს ნიმუშები ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ **გარდამო-** ზმნისწინი ძველ ქართულში ცვლიდა **დამო-** და **შთამო-** ზმნისწინებს. იგი გადმოსცემდა ზევიდან ქვევით მიმართულებას სააქეთო ორიენტაციის ჩვენებით.

4. ფუნქციების განაწილება და-, დამო-, შთა-, შთამო- და გარდა-, გარდამო- ზმნისწინებს შორის

§ 57. სამი არე, ანუ მონაკვეთი ვერტიკალურ სიბრტყეზე. ჩვენ უკვე გავიცანით **და-, დამო-** და **შთა-, შთამო-** ზმნისწინთა ძირითადი მნიშვნელობანი და ვნახეთ, რომ ყველა ისინი ზევიდან ქვევით მიმართულებას გადმოსცემენ. გავიცანით აგრეთვე **გარდა-, გარდამო-** ზმნისწინები ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენების თვალსაზრისით. ახლა კითხვა ისმის: ზევიდან ქვევით მიმართულების გადმოცემისას ეს ზმნისწინები ერთსა და იმავე ვითარებაში გამოიყენებოდა, თუ ფუნქციების რაიმე განაწილებას ჰქონდა ადგილი.


როგორც სათანადო მასალის ანალიზმა გვიჩვენა, დასახელებულ ზმნისწინთა შორის ზევიდან ქვევითა მიმართულების გადმოცემისას ფუნქციების ასეთი დანაწილება იყო ძველ ქართულში და არის ახალ ქართულშიც. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ გაუგებარი იქნებოდა სამ-სამი სხვადასხვა ზმნისწინის არსებობა ზევიდან ქვევით მიმარ-

თულების აღსანიშნავად, ერთი მხრით, საიქეთო ორიენტაციისათვის (**და-, შთა-, გარდა-**) და, მეორე მხრით, საქეთო ორიენტაციისათვის (**დამო-, შთამო-, გარდამო-**).

რაში მდგომარეობს დასახელებულ ზმნისწინთა შორის ფუნქციების განაწილება?

ზევიდან ქვევითა მიმართულება სამ სხვადასხვა მონაკვეთად, არედ იყოფა: ა) ჩვენს ზევიდან ჩვენამდე, ბ) ჩვენი სიმაღლიდან ჩვენი დგომის სიბრტყემდე (ჩვეულებრივ — მიწის ზედაპირამდე) და გ) ჩვენი დგომის სიბრტყიდან ქვემოთ (ჩვეულებრივ — სიღრმეში) (იხ. ნახაზი 7).

შენიშვნა: ამ შემთხვევაში „ჩვენ" სიტყვას ვხმარობთ I პირის გაგებით, ასე: ჩვენს ზემოდან ჩვენამდე — ეს ნიშნავს პირველი პირის ზემოდან პირველი პირის სიმაღლემდე და ა. შ.



ნახ. 7.

ამ სამ მონაკვეთს ნ. მარმა სამი სიბრტყე უწოდა, ხოლო ის ზმნისწინები (აღ-, და-, შთა-), რომლებიც ამ სიბრტყეთა შორის მიმართულებებს აღნიშნავენ, სამი სიბრტყის დამოკიდებულების ნაწილაკთა ჯგუფში მოაქცია [1].

შემდეგში, რადგანაც ამ მონაკვეთებზე ხშირად გვექნება ლაპარაკი, სიმოკლისათვის ჩვენს ზევიდან ჩვენამდე მონაკვეთს ვუწოდოთ **ზედა მონაკვეთი**, ანუ **ზედა არე**; ჩვენი სიმაღლიდან ჩვენი დგომის სიბრტყემდე არსებულ მონაკვეთს — **შუა მონაკვეთი**, ანუ **შუა არე**, ხოლო ჩვენი დგომის სიბრტყიდან ქვევითა მონაკვეთს — **ქვედა მონაკვეთი**, **ქვედა არე**.

შეეულ სიბრტყეზე ამ სა-

[1] Н. Марр, Грамматика древнелит. груз. языка, § 202.

მი სხვადასხვა მონაკვეთის გამოცალკევებას გვკარნახობს თვითონ ზემოხსენებული ზმნისწინები. ამიტომ ასეთი დანაწილება ნებისმიერი კი არ არის, არამედ ენობრივი ფაქტებითაა შეპირობებული: ჩანს, რომ ერთ არეში, ერთ მონაკვეთზე თუ ერთი რომელიმე ზმნისწინი გადმოგვცემს ქვევითა მიმართულებას, მეორე არეში ამავე დანიშნულებით უკვე მეორე ზმნისწინი გამოიყენება და ა. შ.

განვიხილოთ ამ თვალსაზრისით თვითეული ზმნისწინი და მათი ქმედების სფეროები.

§ 58. და-, დამო- ზმნისწინების გამოყენების არეები. ზემოთ (იხ. § 46) უკვე ითქვა, რომ **და-** ზმნისწინი მიწის აღმნიშვნელი **დაბ** ძირიდან მოდის და რომ მისი ძირითადი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენება მიწის ზედაპირამდე. ასე რომ, **და-, დამო-** ზმნისწინთა ქმედების არე წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მიწის ზედაპირს ზემოთ მოქცეული ორი მონაკვეთით — **ზედა** და **შუა** მონაკვეთებით. ამასთან ერთად, **დამო-**ს უნდა ეჩვენებინა სააქეთო ორიენტაცია, **და-**ს კი — საიქეთო. ამიტომ ძნელი მისახვედრი არაა, რომ ზემო ორი მონაკვეთი **და-** და **დამო-** ზმნისწინებს შორის ასე უნდა ყოფილიყო განაწილებული: ჩვენს ზემოდან ჩვენკენ მომართული მოძრაობა (ზევითა არეში) **დამო-** ზმნისწინს უნდა გადმოეცა, ჩვენი სიმაღლიდან (ან — იმის ქვევიდან) ჩვენი დგომის სიბრტყისაკენ მიმართული მოძრაობა (შუა არეში) კი — **და-** ზმნისწინს. ეს მართლაც ასე იყო ძველ ქართულში. სათანადო მაგალითები ზემოთ ბლომად იყო მოყვანილი, ახლა კი რამდენსამე ნიმუშს მოვიყვამთ:

დ ა მ ო-:

.... ჰური რაჲმე, მსგავსი დიდისა ტილოჲსაჲ, ოთხთავე კიდეთა ზე ეპყრა და **დამოეკიდა** ც ი თ ქ უ ე ყ ა ნ ა დ (საქმე, 10, 11);
.... **დამოვიდოდა** ი გ ი მ ი ე რ მ თ ი თ (მ. 8, 1 C);
.... მასკულავნი ზ ე ც ი თ **დამოცჳნებულ** იყუნენ (მრ. 13, 25 C).


დ ა-:

.... აღმოჴდა მყუარი და **დაფარა** ქ უ ე ყ ა ნ ა ჲ ეგჳპტისაჲ (გამოსლ. 8, 6);

.... **დააბეთჳა** — ქ უ ე ყ ა ნ ა ზ ე დ დაჴჯალა (საბა);
....**დააბნია** ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა (მ. 27,5);
.... **დაეცა** იგი ქუეყანასა (მრ. 9,20).

ეს ნიმუშები ერთხელ კიდევ ცხადყოფს, რომ **დამო-** ზმნისწინი აღნიშნავდა ზევიდან ქვევით მიმართულებას ზედა არეში, ხოლო **და-**

ზმნისწინი — იმავე მიმართულებას აღნიშნავდა შუა არეში (იხ. ნახ. 8); ამასთან ერთად, ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ **დამო-** ზმნისწინის გამოყენების შემთხვევები ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებში უკვე იშვიათობას წარმოადგენს. ეს ზმნისწინი, ასე ვთქვათ, ძველ ქართულში ფაკულტატურად იხმარება (უძველესში კი, **გარდამო-**ს ჩამოყალიბებამდე, **დამო-**ც ძირითადი ზმნისწინი უნდა ყოფილიყო). ამიტომ ნახაზზე **დამო-** ზმნისწინით გადმოცემული მიმართულება, როგორც არაძირითადი, განსხვავებულად მკრთალი ისრით გვაქვს აღნიშნული.



ნახ. 8.

ჩვენ ზემოთ (იხ. § 50) ისიც გვაქვს ნათქვამი, რომ ძველ ქართულში **და-** ზმნისწინი ზოგ ზმნასთან მიწის სიღრმეში ან რაიმე სხვა სიღრმეში მიმართულებასაც აღნიშნავდა, მაგრამ ეს ფუნქცია იმ ეტაპზე **და-** ზმნისწინისათვის მეორეული უნდა იყოს. სავარაუდოა, **და-** ზმნისწინმა ეს ფუნქცია იმ ეტაპზე შეიძინა, როცა ენაში წარმოიშვა სიღრმეში მიმართულების აღნიშვნის საჭიროება, მაგრამ როცა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო უშუალოდ ამ ფუნქციის მქონე **შთა-** ზმნისწინი.

რაც შეეხება ძველი ქართულის ხანას, ამ პერიოდში **შთა-** ზმნისწინი უკვე გაფორმებულია და, ამასთან დაკავშირებით, სიღრმეში მიმართულებას **და-** ზმნისწინი მხოლოდ ზოგიერთ ზმნასთან გადმოგვცემს (დაფლვა, დასლვა, დაღრმობა, დანთქმა, დანერგვა). ამიტომ ნახაზზე **და-** ზმნისწინის მიერ სიღრმეში (ქვედა არეში) მიმართუ-

ლების ჩვენება, როგორც ფაკულტატური ძველი ქართულისათვის, აგრეთვე მკრთალი ისრით გვაქვს აღნიშნული. რაც შეეხება შუა მონაკვეთს, ამ არეში ყოველთვის **და-** ზმნისწინი გადმოსცემს ზევიდან ქვევით მიმართულებას და ამიტომ იგი ნახაზზე გამოყოფილად მუქი ისრით გვაქვს აღნიშნული.

კიდევ ერთი შენიშვნა: **დამო-** ზმნისწინი გვიჩვენებს ზევითა არეში დაწყებულ მოძრაობას, მაგრამ ეს მოძრაობა შემდეგ, შესაძლოა, გაგრძელდეს შუა არეშიც. ამის მიუხედავად, **დამო-** ზმნისწინისათვის მთავარი სწორედ ისაა, თუ ს ა ი დ ა ნ დაიწყო მოძრაობა (ზემოდან), და არა ის, თუ სად დამთავრდა იგი (ქვევით). ამიტომ ნახაზზე მისი ქმედების არე — ზედა მონაკვეთი აღნიშნული გვაქვს მკრთალი ისრით, შუა მონაკვეთი კი — პუნქტირით (იხ. ნახ. 8).


ამგვარად, **და-, დამო-** ზმნისწინებიდან ძველ ქართულში ძირითადად **და-** ზმნისწინი იხმარებოდა, რომელიც აღნიშნავდა ზევიდან ქვევითა მიმართულებას შუა არეში (საიქეთო ორიენტაცია).

§ 59. შთა-, შთამო- ზმნისწინების გამოყენების არეები. ისევე როგორც **და-** ზმნისწინი, **შთა-**ც ქვევითა მიმართულებას აღნიშნავს. ამასთან ერთად, ისიც საიქეთო ორიენტაციისაა. ამიტომ გასაგებია, რომ მისი აღსანიშნი მიმართულება შეეული სიბრტყის შუა ან ქვედა მონაკვეთის ფარგლებში უნდა ვრცელდებოდეს. მაგრამ რადგანაც **შთა-** ზმნისწინი სიღრმეში მოძრაობასაც აღნიშნავს, ცხადია, ამ ორი მონაკვეთიდან **შთა- ზმნისწინი მხოლოდ ქვედა მონაკვეთს განეკუთვნება,** ე. ი. იგი აღნიშნავს ზევიდან ქვევით მოძრაობას სიღრმეში, ზედაპირს ქვემოთ (აქ შეიძლება შევიდეს დაღმართზე მოძრაობაც). ნახაზზე ეს მოძრაობა, როგორც ძირითადი, გამოყოფილად მუქი ისრით გვაქვს აღნიშნული (იხ ნახ. 9).

ორიენტაციის მიხედვით **შთა-** ზმნისწინის საპირისპიროა **შთამო-**ართული ზმნისწინი. გეზის მიხედვით კი ორივეს ერთი შინაარსი აქვს — გადმოსცეს ზევიდან ქვევით სიღრმეში მოძრაობა. ამიტომ გასაგებია, რომ **შთამო-** ზმნისწინიც სიღრმეში მოძრაობას გამოხატავდა იმ შემთხვევისათვის, როცა პირველი პირი თვითონ სიღრმეში იმყოფებოდა და მოძრაობა მისკენ მიემართებოდა. ამასთან ერთად, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ (იხ. § 54), რომ ძველ ქართულში ძალზე იშვიათი იყო **შთამო-** ზმნისწინის გამოყენების შემთხვევები. ამიტომ **შთამო-** ზმნისწინის მიერ სიღრმისაკენ მიმართული მოძრაობის გამოხატვას ძველ ქართულში ფაკულტატურად მივიჩნევთ და ნახაზზე მკრთალი ისრით აღვნიშნავთ.

შთამო- ზმნისწინის ისეთი მნიშვნელობა, როგორიცაა ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენება ზედა მონაკვეთის ფარგლებში, ძველ ქართულში მხოლოდ ჩანასახურადაა გამოვლინებული და მასაც ფაკულტატურად განვიხილავთ (ყველა დასახელებული შემთხვევის ნიმუში მოცემულია ზემოთ. (იხ. § 54).

ამგვარად, **შთა-**, **შთამო-** ზმნისწინებიდან ძველ ქართულში ძირითადად **შთა-** ზმნისწინი გამოიყენებოდა როგორც ზევიდან ქვევით მიმართულების მაჩვენებელი (ქვედა მონაკვეთის ფარგლებში), **შთამო-** ზმნისწინი კი იშვიათი იყო და მისი გამოყენება ძველ ქართულში ფაკულტატურია.




ნახ. 9.

§ 60. გარდა-, გარდამო- ზმნისწინების გამოყენების არეები. ზემოთ ჩვენ გარდა- ზმნისწინის შესახებ ნათქვამი გვაქვს, რომ მისი ძირითადი ფუნქციაა, აღნიშნოს რკალური მოძრაობა და რომ ეს რკალური მოძრაობა გამოვლინებულია ძველ ქართულში ორი ძირითადი სახით: ა) ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენებისა და ბ) დაბრკოლების გადალახვის ჩვენების სახით. ამათგან ამჯერად ჩვენ პირველი სახე, ე. ი. ზევიდან ქვევითა მიმართულების ჩვენება გვაინტერესებს.

გარდა- ზმნისწინის განხილვისას ჩვენ უკვე გავარკვიეთ, რომ იგი ზევიდან ქვევით მოძრაობას აღნიშნავდა საიქეთო ორიენტაციით (§ 55), ამიტომ ახლა ადვილი გასაგებია, რომ გარდა- ზმნისწინის მიერ გადმოცემული ზევიდან ქვევით მიმართული მოძრაობა შეეული სიბრტყის შუა და ქვედა მონაკვეთებზე შეიძლება ვრცელდებოდეს:

.... გარდავარდი შენ ამიერ დაქუე (მ. 4,6 C);
.... გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად (ლ. 4,9);
.... ხოლო იგი გარდავარდა სიმაღლისა მისგან (სინ. მრ. 56,26);
.... თჳსითა კელითა ჰურჩერი ნავისაჲ გარდააბნიეს (საქმე, 27,19);
.... მოიყვანეს ძმათა და ზღუდით სარკუმელსა გარდა-უტევეს (საქმე, 9,25).



ნახ. 10.

ამიტომ შუა და ქვედა არეებში ზევიდან ქვევითა მიმართულების ჩვენება გარდა- ზმნისწინის ძირითად ფუნქციად გვაქვს მიჩნეული, რაც ნახაზზე მუქი ისრითაა აღნიშნული (იხ. ნახ. 10).

ამასთან ერთად, **გარდა-** ზმნისწინს შეუძლია, იგივე მიმართულება ზედა არეშიც აღნიშნოს, თუკი ჰორიზონტული მიმართულების თვალსაზრისით მოქმედება პირველი პირის საპირისპირო მხარეზე ხდება. ასეთი შემთხვევები უფრო იშვიათია (**გარდავარდა** სიმაღლისა მისგან: სინ. მრ. 56,26), მათ ფაკულტატურად მივიჩნევთ და ნახაზზე მკრთალი ისრით აღვნიშნავთ.

რაც შეეხება **გარდამო-** ზმნისწინს, ამის შესახებ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ (იხ. § 56), რომ იგი იქ იხმარებოდა, სადაც მოსალოდნელი იყო **დამო-** ზმნისწინი, ე. ი. აღნიშნავდა ზევიდან ქვევით მიმართულებას ზედა არეში (ჩვენს ზევიდან ჩვენკენ). ეს იყო და არის სააქეთო ორიანტაცია როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტული მოძრაობის თვალსაზრისით:

.... **გარდამოვიდოდა** ვითარცა ტრედი **ზეცით** (ი. 1,32 C);
.... ვარსკულავნი **ზეცით გარდამოცვივნენ** (მრ. 13,25).

გარდამო- ზმნისწინისათვის ეს ფუნქცია ძირითადია და ნახაზზე აგრეთვე მუქი ისრითაა აღნიშნული.

შენიშვნა: მე-10 ნახაზზე S-ით აღნიშნულია ის პუნქტი, საიდანაც სუბიექტი იწყებს მოძრაობას, მოქმედებას; ხოლო ●-ით აღნიშნულია მოუბარი პირის პოზიცია სივრცეში, არა დგომის ზედაპირზე, არამედ შუა არეში, მისი სიმაღლის შესაბამისად (ესაა მისი მხედველობის არე, საიდანაც იგი უყურებს საგნის მოძრაობას). ამასთან ერთად, ნახაზზე S პუნქტი სამგან გვაქვს მოცემული: ერთი — ზედა, ხოლო II და III—შუა არეებში. ცხადია, ამ S-ების შემაერთებელ სწორზე — ნებისმიერ წერტილში აგრეთვე შეიძლება იწყებდეს მოძრაობას სუბიექტი. ჩვენ მათგან ნახაზზე მხოლოდ აღნიშნული სამი წერტილი წარმოვადგინეთ.

§ 61. დასკვნა. თავი რომ მოვუყაროთ ყველაფერს რაც ითქვა **და-, დამო-, შთა-, შთამო-, გარდა-, გარდამო-** ზმნისწინთა შორის ფუნქციების განაწილების შესახებ ძველ ქართულში, ასეთ სურათს მივიღებთ:

ძველ ქართულში ზევიდან ქვევით მიმართულება განიხილებოდა სამ არეში, შვეული სიბრტყის სამ მონაკვეთზე: ზედა, შუა და ქვედა არეებში (მონაკვეთებზე).

ამათგან **ზედა** არეში მოძრაობა განიხილებოდა როგორც სააქეთო ორიენტაცია, შუა და ქვედა არეებში მოძრაობა კი — როგორც საიქეთო ორიენტაცია.

ძველ ქართულში ზევიდან ქვევით მიმართულებას გადმოსცემდა ძირითადად ოთხი ზმნისწინი: **და-, შთა-, გარდა-, გარდამო-**. ამათგან:

ა) **გარდამო-** ზმნისწინი გადმოსცემდა ზევიდან ქვევით მოძრაობას ზედა მონაკვეთის ფარგლებში, ზედა არეში. ეს იყო სააქეთო ორიენტაცია როგორც ჰორიზონტული, ისე ვერტიკალური მოძრაობის თვალსაზრისით;

ბ) **და-** ზმნისწინი გადმოსცემდა ზევიდან ქვევით მიმართულებას შუა მონაკვეთის ფარგლებში, შუა არეში. ეს იყო სააქეთო ორიენტაცია ვერტიკალური მოძრაობის თვალსაზრისით;

გ) **შთა-** ზმნისწინი გადმოსცემდა ზევიდან ქვევით მიმართულებას ქვედა მონაკვეთის ფარგლებში, ქვედა არეში. ესეც იყო სააქეთო ორიენტაცია ვერტიკალური მოძრაობის თვალსაზრისით;

დ) **გარდა-** ზმნისწინი გადმოსცემდა ზევიდან ქვევით მიმართულებას შუა და ქვედა მონაკვეთების (არეების) ფარგლებში. ეს იყო სააქეთო ორიენტაცია როგორც ჰორიზონტული, ისე ვერტიკალური მოძრაობის თვალსაზრისით.


როგორც მე-11 ნახაზიდან ჩანს, შვეული სიბრტყის ქვედა მონაკვეთზე ზევიდან ქვევით მიმართულებას უჩვენებდა ორი ზმნისწინი: **შთა-** და **გარდა-**. მათგან **შთა-** უჩვენებდა სააქეთო ორიენტაციას (სიღრმეში) ვერტიკალური მოძრაობის თვალსაზრისით, **გარდა-** ზმნისწინი კი — ამავე ორიენტაციას როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტული მოძრაობის თვალსაზრისით. ამიტომ **შთავარდა** და **გარდავარდა** ზმნებს ზუსტად ერთი და იგივე მნიშვნელოვა როდი ჰქონდათ.

ამავე ნახაზიდან ისიც ჩანს, რომ ძველ ქართულში ზევიდან ქვევით მიმართულებას შუა მონაკვეთზე აგრეთვე ორი ზმნისწინი გადმოსცემდა. ესენია **და-** და **გარდა-** ზმნისწინები. ამათგან **და-** უჩვენებდა სააქეთო ორიენტაციას ვერტიკალური მოძრაობის თვალსაზრისით, **გარდა-** კი იმავე ორიენტაციას როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტული მოძრაობის თვალსაზრისით.

და ბოლოს, ნახაზის მიხედვით, ძველ ქართულში ზევიდან ქვევითა მიმართულებას ზედა არეში უჩვენებდა **გარდამო-** ზმნისწინი. იგი სააქეთო ორიენტაციას აღნიშნავდა როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტული მოძრაობის თვალსაზრისით. ზედა მონაკვეთზე ზევიდან ქვევითა მიმართულების აღსანიშნავად ისეთი ზმნისწინი. რომელიც სააქეთო ორიენტაციას მხოლოდ ვერტიკალური მოძრაობის თვალსაზრისით გვიჩვენებდა, ძველ ქართულში არ გვქონდა. მართალია, ამ დანიშნულებით გამოიყენებოდა **დამო-** ზმნისწინი, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მისი გამოყენების შემთხვევები ძველ წერილობით ძეგლებში უკვე იშვიათობას წარმოადგენს. ამიტომ იმ პერიოდის ძეგლებში ზევიდან ქვევითა მიმართულება (სააქეთო ორიენ-

ტაციის ჩვენებით) ზედა მონაკვეთზე არსებითად გარდამო- ზმნისწი-
ნით გადმოიცემოდა.

ფუნქციების ძირითადი განაწილება (მიმართულების ჩვენების თვალსაზრისით) და-, შთა-, გარდამო- ზმნისწინებს შორის ძველ ქართულში




ნახ. 11.

აქვე ინტერესმოკლებული არ იქნება დღევანდელი ვითარების გათვალისწინებაც.

ზემოდასახელებული ზმნისწინებიდან დღევანდელ ქართულში საიქეთო ორიენტაციის სამივე ზმნისწინი გვაქვს (და-, ჩა-, გადა-),

მათგან შესაბამისი რთული ზმნისწინები სააქეთო ორიენტაციისა მხოლოდ ორს მოეპოვება (ჩამო-, გადმო-). ყველა ეს ზმნისწინი დღევან-

ფუნქციების ძირითადი განაწილება (მიმართულების ჩვენების თვალსაზრისით) და-, ჩა-, ჩამო-, გადა-, გადმო-ზმნისწინებს შორის ახალ ქართულში



ნახ. 12.

დელ ქართულშიც გადმოსცემს ზევიდან ქვევით მიმართულებას. ფუნქციები მათ შორის ზუსტად ისევეა განაწილებული, როგორც

ძველ ქართულში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახალ ქართულში **ჩამო-** ზმნისწინმა უკვე გაიჩინა ზევიდან ქვევით მოძრაობის ფუნქცია ზედა არეში (იხ. ნახ. 12). ასე რომ, თუ ძველ ქართულში ზევიდან ქვევით მიმართულებას ზედა არეში ძირითადად მხოლოდ ერთი ზმნისწინი აღნიშნავდა (**გარდამო-**), დღეევანდელ ქართულში ამ ფუნქციის შესრულება **გადმო-** ზმნისწინთან ერთად **ჩამო-** ზმნისწინსაც აქვს დაკისრებული. მათგან **გადმო-** ზმნისწინი აღნიშნავს სააქეთო ორიენტაციას როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტული მოძრაობის თვალსაზრისით (**გადმოვარდა** — ჩემკენ რკალურად), **ჩამო-** ზმნისწინი კი აღნიშნავს სააქეთო ორიენტაციას მხოლოდ ვერტიკალური მოძრაობის თვალსაზრისით (**ჩამოვარდა** ზევიდან).

ამგვარად, ახალ ქართულში ზევიდან ქვევით მიმართულებას ზედა არეშიც ორი ზმნისწინი გადმოსცემს. ძველ ქართულში კი ამ მხრივ დანაკლისი იგრძნობოდა. ასე სრულყოფს ენა თავის გადმოცემის საშუალებებს ისტორიული განვითარების პროცესში.

5. აღ-, აღმო- ზმნისწინები ძველ ქართულში

§ 62. აღ-, აღმო- ზმნისწინთა შესწავლის ისტორიიდან. აღ- ზმნისწინი ერთ-ერთი უძველესი ზმნისწინია ქართულში. იგი სავსებით ჩამოყალიბებული სახით დასტურდება უკვე ძველი ქართულის ყველაზე ადრინდელ ძეგლებში.

ზმნისწინის უძველესი ფუნქცია იყო მიმართულების აღნიშვნა. ამასთან: სხვადასხვა ზმნისწინი სხვადასხვა მიმართულებას აღნიშნავდა. მათ შორის აღ- ზმნისწინის მოვალეობა იყო და არის მოძრაობის ქვევიდან ზევით მიმართულების ჩვენება.

აღ- ზმნისწინის ეს ფუნქცია სათანადოდ გათვალისწინებული ჰქონდა სულხან-საბა ორბელიანს. ეს ჩანს აღ- ზმნისწინიან სიტყვათა იმ განმარტებებიდან, რომლებიც საბას მოცემული აქვს თავის „ქართულ ლექსიკონში“:

აავლინე — ზე აგზავნე.
აღება — უსულოს ზე ახმა აღება არს, ხოლო სულიერისა — აყენახა.
აბნივე — აღმა შეფანტე.
აღცხენოსნება — ცხენზედ შეჯდომა.
აგორე — აღმა გორვით აიტანე, შეაგორე.
ატეხა — ატეხა არს, რაჲცა აღმა ასტეხო.
ატანა — მაღლა აქონება რისამე.
აგდება — შეღმა ასროლა.
აპე — შეღმა შეახეთქე.

ცხადია, დიდ ლექსიკოგრაფს კარგად ესმოდა, რომ აღ-||ა- ზმნისწინი ქვევიდან ზევით მიმართულებას აღნიშნავდა. ამ მხრივ საყურადღებოა **აღსავალ**-ის საბასეული განმარტება: „კიბე და ხარისხი და ყოველივე **ზ ე ი თ** სავალი აღსავალი არს“.

ქართველ გრამატიკოსთაგან, როგორც აღნიშნული გვაქვს, ცალკეულ ზმნისწინთა მნიშვნელობის გარკვევას პირველად დ. ჩუბინაშვილმა მიაქცია ყურადღება. მან მიუთითა, რომ აღ-ის ხალხური ფორმაა ა- ზმნისწინი. მისი დანიშნულებაა ქვევიდან ზევით მიმართულების აღნიშვნა და ამ გაგებით აღ-ზმნისწინიანი ზმნები თავის შემდეგ **ზედ**- თანდებულს მოითხოვენო (აღ-ვიდა მთაზედ) [1].

ამგვარად, ის, რაც საბამ აღ-ზმნისწინიანი ცალკეული სიტყვების განმარტებით გვიჩვენა, დ. ჩუბინაშვილმა მეცნიერული დასკვნის სახით ჩამოაყალიბა.

დავით ჩუბინაშვილის შემდეგ, მიმართულების აღნიშვნის თვალსაზრისით, ცალკეულ ზმნისწინთა მნიშვნელობაზე ყურადღება კვლავ გაამახვილა მოსე ჯანაშვილმა. მან პირველმა მიუთითა, რომ ზმნისწინები წყვილ-წყვილად ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებას გვიჩვენებს, და ამ მხრივ აღ- ზმნისწინი **ჩა**-ს მოპირისპირედ წარმოგვიდგინა [2].

სამი სიბრტყისადმი დამოკიდებულების აღმნიშვნელ ზმნისწინთა ჯგუფში მოათავსა ნ. მარმა აღ- ზმნისწინი, როცა იგი და- და შთა- ზმნისწინებს დაუპირისპირა. ამათგან აღ- ზმნისწინი მან ზევითა მიმართულების მაჩვენებლად გამოაცხადა („ჩვენს ზემოთ“) [3].

ორიენტაციის კატეგორიასთან დაკავშირებით ერთმანეთის საპირისპიროდ განიხილავს ა. შანიძე **ამო**- და ა- ზმნისწინებს. კერძოდ, აღნიშნავს, რომ „ა—მოძრაობაა ი ქ ე თ, სადაც მე არა ვარ (ზევით არ ვარ), **ამო**—მოძრაობაა ა ქ ე თ. სადაც მე ვარ (ზევით ვარ)“ [4], გეზის მიხედვით კი ორივე ამ ზმნისწინს განიხილავს როგორც ქვევიდან ზევით მიმართულების აღმნიშვნელს.

საერთოდ, ქართული ენის არცერთ მკვლევარს აღ- ზმნისწინის ეს ფუნქცია სადავოდ არ გაუხდია. აღიარებულია საყოველთაოდ, რომ აღ-||ა- ზმნისწინი „აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით“ [5].

---

1 Д. Ч у б и н о в, Краткая грузинская грамматика, გვ. 72.

2 მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული გრამატიკა, 1906, გვ. 68.

3 Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, § 202.

4 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 248.

5 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს საერთო რედაქციით, ტ. I, 1.

§ 63. აღ- ზმნისწინის მნიშვნელობა ძველი ქართულის მიხედვით. აღ- ზმნისწინის ეს ფუნქცია კიდევ უფრო საგრძნობი იყო ძველ ქართულში. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითების ჩვენებით:

.... რომელმან აღვლნა შჯდნი ცანი (სინ. მრ. 58,15);
.... აღიპყრნა კელნი თჳსნი ზეცად (საბა ას. 8,10);
.... აღიპარსა თმაჲ თავისა თჳსისაჲ (იობ. 1,20);
.... აღიღო იგი და აღჰკიდა კარაულსა (მსაჯ. 19,28);
.... აღვიდოდა ალი ცეცხლისაჲ ჭუეყანით (დაბად. 19,28);
.... აღსუა იგი ეტლსა შემდგომსა მისსა (დაბად. 41,43);
.... არიან მუნ ვენაკოვანნი აღტევებულნი ხეთა (იპ. 13,10—11);
.... დაუკჳრდა ყრმისა ამჭუმელსა მას (იპ. 2,170—171);
.... რომელმან საკჳრველებამან აღგიყვანა შენ დიდებასა სასუფეველისასა (ჰაბო, გ. 50—51);
.... უკუეთუ იხილო კარაული მტერისა შენისაჲ დავრდომილი ტკრთსა ქუეშე, არა თანა-წარჰკლე, არამედ აღჰწიო მის თანა (გამოსლვ. 23,5);
.... აღჰხედა ცად და იხილა დიდებაჲ ღმრთისაჲ (საქმე, 7,55);
.... თავსა თქუენსა არა აღიკადოთ ვარშამაგი (ლევიტ. 10,6);
.... ნუ ცადმე აჰმაღლდები (მ. 11,23);
.... აღიმაღლეს ჴმაჲ მათი და ტიროდეს (რუთ. 1,9);
.... აღჳრნი აღმასხნა პირსა ჩემსა (იობ. 30,11);
.... და მოჰგუარეს ვირი იგი და კიცკ და დაასხეს სამოსელი მას ზედა და აღჯდა მას (მ. 21,7 C);
.... მოიღეთ თქუენ კელითა თქუენითა საესჳ ნაცარი საკუმილისაგან და აღაფჩურიენ მოსე ცად წინაშე ფარაოჲსა (გამოსლვ. 9,8);
.... აწ აღკედ გოდოლსა ამას (სინ. მრ. 56,3).

აქ დამოწმებულ მაგალითებში **აღ**-ზმნისწინიანი ზმნები ნათლად გვიჩვენებს ქვევიდან ზევით მიმართულებას. ეს მიმართულება, როგორც აღვნიშნეთ, თავისი ამოსავალი შინაარსით ვერტიკალურია: **აღიპყრნა** კელნი თჳსნი ზეცად; **აღიპარსა** თმაჲ; **აღვიდოდა** ალი ცეცხლისაჲ; **აღჰხედა** ცად... და ამისთანა გამოთქმებში აშკარად იგრძნობა ეს ვერტიკალური მიმართულება. ეს უნდა ყოფილიყო **აღ**-ის ძველთაძველი მნიშვნელობა, რომლის საპირისპიროდაც მას და-ზმნისწინი უწყვილდებოდა. **აღ**-ის და **და**-ს შინაარსი კარგად ჩანს ისეთ წინადადებებში, როგორიცაა: „**აღმაღლდიან**, მთა იქმნიან, დამდაბლდიან, ველ იქმნიან“ (ფს. 103,8C); „**აღვლენან** მთანი და **შთავლენან** ველნი“ (ფს. 103,8Ჳ); „ამას დღესა **აღდგების** ნიში უკუდავებისაჲ და ყოველი მედგარი უშჯულოებისაჲ **დაეცემის**“ (სინ. მრ. 75,27); „**აღიმსთუე** განთიად და **დადეგ** წინაშე ფარაოჲსა“ (გამოსლვ. 8,20).

აღ- ზმნისწინის ამ ძველთაძველი ფუნქციიდან — ვერტიკალური მიმართულების აღნიშვნის ფუნქციიდან — განვითარებული ჩანს

მისი ზოგადი შინაარსი — აღნიშნოს, საერთოდ, ზ ე ვ ი თ ა მიმართულება, თუნდაც იგი განიხილებოდეს არა როგორც შეუღლ, არამედ როგორც დამრეც ზედაპირზე მომხდარი. ეს შინაარსი **აღ-** ზმნისწინისა თვითონ ძველ ქართულშიც არაა უჩვეულო:

.... მეგობარო, აღ-რე-გუალე ზემო კერძო (ლ. 14,10);
.... რაჟამს აღჯიდა პეტრე იერუსალჱმდ, ერიდებოდეს მას (საქმე, 11,2 Ქ);
.... აღჰყევით პირსა მის მდინარისასა (ზარზმ. 159,29).

ზემოთ განხილულ მაგალითებში აღ-ზმნისწინიანი ისეთი ზმნები გვქონდა განხილული, რომლებიც გადაადგილებას გვაგულისხმებინებენ (აღვლნა, აღიპყრნა, აღიპარსა, აღიღო, აღვიდოდა, აღჰკიდა. აღსუა, აღტეეებული, აღიყვანა, და სხვ.). ასეთ შემთხვევაში მიმართულების შინაარსი ზმნისწინის მეოხებით ადვილად შეიგრძნობა.

§ 64. აღ- ზმნისწინი ისეთ ზმნებთან, რომლებსაც გადაადგილების შინაარსი არა აქვთ. გვაქვს ისეთი ზმნებიც, რომლებიც გადაადგილების შინაარსის მქონენი თუმცა არ არიან, მაგრამ ზმნისწინის მეოხებით მიმართულებას მაინც გვიჩვენებენ. აი ასეთი ნიმუშებიც:

.... და ლოდი ესე, რომელ ვიდგი ძეგლად, იყოს სახლად ღმრთისა ჩემისა (დაბად. 28, 22). შდრ.: То этот камень, который я поставил памятником, будет домом Божиим;
.... მიხილა ქმნული ხატად თჳსა მტერისა დ ა ც ე მ უ ლ ი, თანამოდგამ მექმნა.... და კუალად აღმადგინა (შინჩხი, იბ, 1,3-5);
.... რაჟამს აღვდგი, ჩემთჳს ძჳრსა ზრახჳდიან (იობ. 19,18). შდრ.: Поднимаюсь и они издеваются надо мною;
პეტრჱს ხუცსობასა მე, თათჳარაზ, აღხუმართე ესე ჯუარი სახელითა ღმრთისაჲთა (უკანგორის წარწ.);
.... მამაჲ ჩუენი აღემართა დაცემისაგან თჳსისა (შინჩხი, იბ. V, 3-4);
.... აღიმსთუეთ და წარეედით გზასა თქუენსა (დაბად. 19,2). შდრ.: Встанете поутру и пойдете в путь свой;
.... რაჲთა.... აღაშენონ მცირჱ სახლი (საბა ას. 6,34);

გასაგებია, რომ მოყვანილ მაგალითებში ზმნებს სულაც არა აქვს გადაადგილების შინაარსი: „მიხილა ქმნული ხატად თჳსა მტერისა დ ა ც ე მ უ ლ ი, თანამოდგამ შექმნა... და კუალად **აღმადგინა**“. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ წაქცეული ამაყენაო. ასე რომ, ის, ვინც ააყენეს, იმავე ადგილზე რჩება. ასევე, ადგილის შეუცვლელად გულისხმობს მოქმედებას **აშენება** ზმნა: „ა ღ ა შ ე ნ ო ნ მცირჱ სახლი“. მიუხედავად ამისა, ორივე ზმნა გვაგულისხმებინებს ზევით სწრაფ-

ვის შინაარსს. სახლის აშენება მის თანდათან გაზრდას გულისხმობს ზევითა მიმართულებით ისე, რომ მისი ფუძე კვლავაც მიწაზე რჩება, ხოლო წაქცეულის აღდგინება (=აყენება) ერთ ადგილზე, ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადასვლას გულისხმობს, მაგრამ ისეთ მეორე მდგომარეობაში გადასვლას, რომელიც უფრო მართობულია. უკეთ რომ ვთქვათ, იგი ჰორიზონტული მდგომარეობიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში გადასვლას გულისხმობს. კონტექსტის მიხედვით ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ ციტირებულ ფრაზებში გამოყენებული სხვა ზმნების შესახებაც, როგორიცაა: ავდგი (=დავდგი, აღვმართე), აღვდგი (=ავდექი), აღხუმართე (=მართ მდგომარეობაში, შვეულ მდგომარეობაში დავაყენე), აღემართა (=ადგა), აღიმსთუეთ (=ადექით).

§ 65. ძველ ქართულში ზევითა მიმართულების აღნიშვნა ისეთ ზმნებში, რომლებშიც დღეს იგივე შინაარსი ნაკლებად საგრძნობია. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მიმართულების გამოხატვის ფუნქცია აღ- ზმნისწინისათვის ძველ ქართულში უფრო საგრძნობი იყო, ვიდრე ახალ ქართულში. ბუნებრივიცაა: ძველ ქართულში, საერთოდ, ზმნისწინისათვის ძირითად ფუნქციას მიმართულების გამოხატვა წარმოადგენდა, ხოლო ისეთი ფუნქცია, როგორიცაა ასპექტის გამოხატვა, მას ჯერ კიდევ არ ეკისრებოდა (თუმცა ამისი ჩანასახები უკვე იყო). ახალ ქართულში კი ზმნისწინის ძირითად ფუნქციად სწორედ ასპექტის გამოხატვა იქცა და ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიზღუდა მიმართულების გამოხატვის შესაძლებლობა. მიმართულება ზოგ ზმნაში, რომლებშიც იგი ძველად გარკვევით აღინიშნებოდა, დღეისათვის რამდენადმე დაიჩრდილა, ზოგში კი სულაც აღარ იგრძნობა, რომ ზმნისწინი მიმართულებას გამოხატავს (შეჰმა, შექება, გაგება და ა. შ.). მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები ძველი ქართულიდან:

.... აღმჴოცე მეცა წიგნისა მისგან, რომელსა დამწერე (გამოსლვ. 32,32);

.... და აღაღეს საფასეთა მათთა (მ. 2,11 D); აღახუნეს, C; შდრ.: И открывши сокровища свои;

.... აღიხილნა თუალნი მოხუცებულმან მან (მსაჯ. 19,17);

.... მაშინ აღიჭურვოდეს ურჩულონი იგი ტყებად.... აბოჲსა (ჰაბო, ზ, 18—19);

.... უკუეთუმცა ვინმე წონით აღწონნა რისხვანი ჩემნი (იობ. 6,2);

.... წევს და სოფელსა აღსძრავს (სინ. მრ. 38,3);

.... აღსძარცუეს სართული სახლისაჲ მის (მრ. 2,4); შდრ.: გარდაარღვეს სართული სახლისაჲ მის, C;

.... აღაშფოთებს ერსა და ასწაევებს ყოველსა პერიასტანსა (ლ. 23,5 DE); შდრ.: ა ღ ძ რ ა ვ ს ერსა... C;

.... აჰა ესერა ეშმაკმან გამოგითხოვნა თქუენ აღცრად ვითარცა იფქლი (ლ. 22,31);

.... რაჟამს შეხჳდოდით თქუენ, არა აღიყუენეს ძაღლმან ენითა თჳსითა (აპოკრ. 32,28);

.... ვინ-მე წმიდა იყო და წარწყმდა ანუ ოდეს სადა ჰეშმარიტნი ძირითურთ აღიფხურნეს? (იობ. 4,7);

.... მსგავს არს სასუფეველი ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეჰრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღფუვნოს ყოველი (ლ. 13,21 G);

.... ცეცხლი აღატყდის და შეწჳს არს მრავალი და ველი (სახ. მეტყე. 4,8);

.... მტერმან ბოროტმან აღიტაცა (ჰაბო, დ, 60).

.... ასული ჩემი აღესრულების (მრ. 5,23);

.... რამეთუ ყოველივე აღრღუეულ არს წყევათა და გულის თქუმათა მისთაგან (აპოკრ. 4,5);

.... რამეთუ ერთსა ჟამსა აღწკრდა (გამოცხ. 18,19);

.... რამეთუ აწ განგჳფართა უფალმან და აღგუაორძინნა ჩუენ ქუეყანასა ზედა (დაბად. 26,22);

.... თჳთ ცეცხლი აღანთის (სახ. მეტყე. 10,21);

.... აღიმღერნეს ძუალთა მათ წმიდისა სტეფანწსთა (სინ. მრ. 69,18);

.... მართუეთა მათ დაჰკრტნნიან ძუელნი ფრთენი და აღლოშნნიან თუალნი მათნი (სახ. მეტყე. 11,14);

.... და აღაზრზინა ათისთავი იგი (სინ. მრ. 60,14);

.... დამცირდა, რაჲთა აღზარდოს ჩუენი ესე ს ი მ ც ი რ ე (აპოკრ. 10,11);

.... და ა ა ს ხ ი ს წყალი იგი და აღავსის კურელი (სახ. მეტყე. 34,14);

.... აღავსეს მათ კოკები [მხლით] და დ ა მ წ ნ ე ს მარილითა და წყლითა ჯერისაებრ (საბა. ას. 6,29);

.... აღსდგედი ვითარცა წყალი (დაბად. 49,4);

.... უკუეთუ გამოჰდეს ცეცხლი და... მოწუას კალოჲ.... ზღოს მან, რომელმან-იგი ცეცხლი აღუდგა: (გამოსლვ. 22,6);

.... შესთხინენ იგინი საკუმილსა მას ცეცხლისა აგზებულისასა (მ. 13,42 C);

.... და ვინაჲ-იგი აღემატა ცოდვაჲ, უფროჲს გარდაემატა მადლი (სინ. მრ. 12,26).

ამ მაგალითებში ხაზგასმული ზმნებიდან ზოგი ისეთია, რომელსაც შოცემული შინაარსის გადმოსაცემად დღეს სულ სხვა ზმნა ცვლის (აღატყდა=ავარდა; აღესრულების=კვდება; აღრღუეული=შეძრუნლი, აღელვებული; აღიმღერნეს=შეიძრნენ; აღაზრზინა=აღძრა).

ზოგიც ისეთია, რომელშიც აღ- ზმნისწინის ნაცვლად დღეს სხვა ზმნისწინი გვაქვს (აღაღეს=გააღეს, გახსნეს; აღიხილეს=გაახილეს; აღ-იყუფნეს=და-იყუფეს).

ზოგიც კიდევ ისეთი, რომელიც არსებითად დღესაც იმავე ფუძითა და ზმნისწინით გადმოიცემა, მაგრამ თუ ძველად იგრძნობოდა მიმართულების აღნიშვნა, დღეს ეს გაგება ჩვეულებრივ საუბარში აღარ შეიგრძნობა (**აღმკოცე**=ამხოცე, წამშალე; **აღიჯურვოდეს**=აღიჯერვებოდეს; **აღწონნა**=აწონა; **აღძრავს**=აღაშფოთებს; **აღ-ფუვნოს**=ააფუვნოს; **აღოკრდა**=აოხრდა; **აღგუაორძინნა**=აგვაღორძინა; **აღანთის**=აანთებდა; **აღზარდოს**; **აღავსეს**; **აღსდუღდი**=ადუღდი; **აგზებული**=აგზნებული; **აღემატა**).

სამივე შემთხვევა მეტ-ნაკლებად შეიძლება სწორედ იმას დავუკავშიროთ, რომ ზმნაში რამდენადმე შესუსტდა მიმართულების აღნიშვნის შესაძლებლობა. „**აღმკოცე** მეცა წიგნისა მისგან, რომელსა დამწერე“. ამ წინადადებაში **აღმკოცე** ზმნა დღეს წ ა მ შ ა ლ ე-თი გადმოიცემა. წინადადების ასეთი ძველი კონსტრუქცია გვაგრძნობინებს, რომ აქ **აღ-** ზმნისწინი მიმართულებასაც აღნიშნავდა (**აღმკოცე** წიგნისა **მისგან**-ო), დღევანდელი კონსტრუქცია კი (წამშალე მე იმ **წიგნში**, რომელშიც ჩამწერე-ო) მიმართულების ნაცვლად ადგილმდებარეობას უფრო გვაგრძნობინებს.

ასევე შეიძლება ითქვას **აღაღეს** ზმნის შესახებაც: „ა ღ ა ღ ე ს საფასეთა მათთა“ (=**ახსნეს**, **ახადეს** საჭურჭლეს). ეს წინადადება დღევანდელ ქართულში უფრო ბუნებრივად ასე გადმოიცემა: „გახსნეს, გააღეს საჭურჭლე“. სადაც იმის გამო, რომ აღარ იგრძნობა მოქმედების საწყისი ან სასრული პუნქტი, ზმნისწინიც უკვე აღარ აღნიშნავს მიმართულებას. ძველი კონსტრუქცია კი ასეთ პუნქტს გვიჩვენებდა: აღაღეს **მას**-ო, ე. ი. მას მ ო ა შ ო რ ე ს ზევითა მიმართულებით, ა ხ ს ნ ე ს, ა ა ღ ე ს.

„ა ღ ს ძ ა რ ც უ ე ს სართული სახლისაჲ მის“ — ამ ფრაზაში კონსტრუქცია უკვე ძველსავე ქართულში შეცვლილი ჩანს (მოსაღლოდნელი იყო: აღსძარცუეს სართულსა მას...) და, ეტყობა, ამასთან დაკავშირებით მიმართულების აღნიშვნის ფუნქციაც შესუსტებას იწყებს:

აღზრდა ზმნაში დღეს **აღ-** ზმნისწინის თავდაპირველი მნიშვნელობა თითქმის მივიწყებულია, ძველ ქართულში კი იგი ისევ იგრძნობა. ამის კარგი მაგალითია ზემოთ ციტირებული ფრაზა: „დ ა მ ც ი რ დ ა, რაჲთა **აღზარდოს** ჩუენი ესე ს ი მ ც ი რ ე“.

აღვსება დღეს უბრალოდ **ავსება**-ს, **გავსება**-ს, **შევსება**-ს ნიშნავს და ნაკლებად გვაგრძნობინებს მიმართულებას. დღეს ყურადღება იმაზე მახვილდება, რომ ცარიელი ან ნაკლული სავსე შეიქმნა (აღივსო), ძველ ქართულში კი ისიც კარგად იგრძნობოდა, რომ ეს გავსება

განხორციელდა ქვემოდან ზემო მიმართულებით: „დ ა ა ს ხ ი ს წყალი და აღავსის ჯერელი იგი“.

ასევე შეიძლება განვიხილოთ სხვა მაგალითებიც, მაგრამ, ვფიქრობთ, ისინი თვითონვე ამხელენ, რომ ძველად **აღ-** ზმნისწინი ისეთ ზმნებშიც გვიჩვენებდა მიმართულებას, რომლებშიც დღეს ეს ნაკლებად შესაგრძნობია.

§ 60. ა ღ- ზმნისწინი მონაცვლე ზმნებში. ძველ ქართულში ერთი და იგივე ძეგლის სხვადასხვა ხელნაწერებში ხშირია შემთხვევა, როცა ერთ-ზმნისწინიან ზმნას მეორე-ზმნისწინიანი ზმნა ენაცვლება, ანდა ერთი და იგივე-ზმნისწინიანი სხვადასხვა ზმნები ენაცვლება ერთმანეთს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ზმნის ძირები ურთიერთის მიმართ სინონიმურ დამოკიდებულებაში არიან, ხოლო მათთან ერთი და იგივე ზმნისწინის ხმარება იმაზე მიგვითითებს, რომ ორსავე მათგანში ხაზი ჰქონდა გასმული მოცემული ზმნისწინის შესატყვისი მიმართულების გადმოცემას. ამიტომ ასეთი ნიმუშებიც უტყუარი საბუთია იმისა, რომ სათანადო ზმნებში ზმნისწინი მიმართულებას აღნიშნავდა. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები ქართული ოთხთავის შატბერდული რედაქციებიდან:

აღიფხუერ ამიერ და შთავედ ზღუად (მ. 21,21 DE);	**აღდეგ** და შთავარდი ზღუასა, C;
ვითარცა **აღქდა** იესუ ნავსა (მრ. 5,18. DE);	ვითარ **აღვიდოდა** იგი ნავსა, C;
ვითარცა **აღესრულნეს** დღენი იგი (ლ. 1,23 DE);	ვითარცა **აღივსნეს** დღენი იგი, C;
ხოლო ზღუაჲ იგი ქარისაგან დიდისა **აღიძრვოდა** (ი. 6.18 DE):	და ზღუაჲ იგი ძლიერთა ქართაგან **აღირღოდა**, C:
აღაშფოთებს ერსა (ლ. 23,5 DE):	**აღძრავს** ერსა, C;
აღაღეს საფასეთა მათთა (მ. 2,11 DE);	**აღახუნეს** საუნჯეთა მათთა, C:
ვითარ **აღგებილნეს** თეალნი შენნი? (ი. 9,10 DE);	ვითარ **აღგეხუნეს** თეალნი შენნი? C;
რაჲთა **აღიღოს** ჯუარი მისი (მ. 27,32 DE).	რაჲთა **აღიკიდოს** ჯუარი მისი, C.

ციტირებული ნიმუშებიდან ავიღოთ ერთი მაგალითი:

აღესრულნეს — აღივსნეს. თითქოს ქვევიდან ზევით მიმართულება არც ერთში არა ჩანს (დღევანდელი გაგებით), მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ სინონიმური ზმნებიდან ორივეს **აღ-** ზმნისწინი მოუდის, იმაზე მიგვითითებს, რომ ძველად ორივე ამ ზმნაში ერთსა და იმავე

მიმართულებას გულისხმობდნენ. ერთმანეთის მონაცვლე ისეთ ზმნებში კი, როგორიცაა **აღჰდა — აღვიდოდა, აღაღეს — აღახუნეს, აღიღოს — აღიკიდოს** და სხვ., ეჰვი არაა, ზმნისწინი სწორედ ქვევიდან ზევით მიმართულებას აღნიშნავს. ამგვარად, ერთმანეთის მონაცვლედ გამოყენებულ სხვადასხვა ზმნაში ერთი და იმავე ზმნისწინის არსებობა ჩვენ იმის საბუთად მიგვაჩნია, რომ ამ ზმნებში ძველად ზმნისწინის მეოხებით უთუოდ გადმოიცემოდა მიმართულება.

§ 67. ახალი ქართულის შე- ზმნისწინის ნაცვლად ა ღ- ზმნისწინი ძველ ქართულში. საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ზოგი ზმნა, რომელიც ახალ ქართულში **შე-** ზმნისწინით იხმარება, ძველ ქართულში **აღ-** ზმნისწინით იხმარებოდა. მოვიყვანოთ ზოგიერთი ნიმუში:

.... რაჟამს შეხვდოდით თქუენ, არა აღიყუეფნეს ძაღლმან ენითა თჳსითა (ათკრ. 32,28 D);

.... და მოჰგუარეს ვირი იგი და კიცჳ და დაასხეს სამოსელი მას ზედა, და აღჰდა მას (მ. 21,7 C);

.... აღსხდეს აქლემებსა და წარვიდეს კაცისა მის თანა (დაბად. 24,61);

.... აღსხეს ჰურჰერი მათი და ცოლები მათი ურმებსა, რომელ მიეძღუანა იოსებს (დაბად. 46,5);

.... აღეკაზმა და აღიღო მცირედი რაჲმე ევლოგიაჲ (ზარზმ. 156,15);


.... აღამცირა სნეულებაჲ და სალმობაჲ ჩუენი (სახ. მეტკვ. 6,38);

.... მზესა აღდგა კარავი თჳსი (ფსალმ. 18,4 Ზ).

ხაზგასმულ ზმნებს დღევანდელ ქართულში ასეთსავე კონტექსტებში **შე-** ზმნისწინით ვხმარობთ. კი არ ვიტყვით: **აღიყუეფნეს, აღჰდა, აღსხდეს** და ა. შ., არამედ: **შეიყუეფეს, შეჰდა, შესხდნენ** და ა. შ. ზოგი ამ ზმნათაგანი დღევანდელ ქართულში **შე-** ზმნისწინს რომ დაირთავს, თითქოს აღარც კი გვაგრძნობინებს ქვევიდან ზევით მიმართულებას (შეიყუეფეს, შეამცირა, შეიკაზმა). ეგების ამას ხელი იმ გარემოებამაც შეუწყო, რომ **შე-** ზმნისწინი ძირითადად სხვა მიმართულების გამომხატველია. ძველ ქართულში კი ამ ზმნებთან **აღ-** ზმნისწინის ხმარებით, ეტყობა, მკვეთრად იგრძნობოდა, რომ ყურადღება სწორედ ქვევიდან ზევით მიმართულებაზე იყო გამახვილებული.

§ 68. ა ღ მ ო- ზმნისწინი იმავე გეზს აღნიშნავს, რასაც ა ღ- ზმნისწინი. **აღმო-** ზმნისწინი **მო-** ზმნისწინით გართულებული **აღ-** ზმნისწინია, სააქეთო ორიენტაციას გამოხატავს და სააქეთო ზმნის-

წინთა რიგს განეკუთვნება. როგორც წესი, რა მიმართულებასაც გამოხატავს **აღ-** ზმნისწინი (გეზის მიხედვით), იგივე მიმართულება უნდა გამოხატოს **აღმო-** ზმნისწინმაც. ოღონდ **აღ-**ის გამოყენების შემთხვევაში მოუბარი პირი იმ მხარეს უნდა იყოს, წაიდანაც მოქმედება იწყება, **აღმო-**ს გამოყენების შემთხვევაში კი იმ მხარეს, საითკენაც მოქმედება მიემართება (ნახ. 13).



ნახ. 13.

ავიღოთ, მაგალითად, ასეთი შემთხვევა: I სართულიდან II სართულზე ადის ვინმე, ვთქვათ, ამხანაგი. თუ ამ ფაქტს ჩვენ I სართულიდან დავინახავთ, მაშინ **ა-დის-ო**, ვიტყვით, მაგრამ თუ ამავე მოქმედებას II სართულიდან დავინახავთ, მაშინ ვიტყვით, **ამო-დის-ო**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორსავე შემთხვევაში ერთსა და იმავე მოქმედებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ იმის მიხედვით, თუ საიდანაა დანახული ეს მოქმედება (საწყისი პუნქტიდან, თუ სასრული პუნქტიდან), სხვადასხვაგვარია მისი სიტყვიერი გამოხატვის ფორმაც: პირველ შემთხვევაში **აღ-** ზმნისწინს ვიყენებთ, მეორეში კი — **აღმო-**ს. **აღ-** ზმნისწინის გამოყენების ნიმუშები ზემოთ უხვად იყო წარმოდგენილი, ახლა კი **აღმო-**ს გამოყენების ნიმუშებს მოვიყვანთ. აი ერთი მაგალითი ქართული ოთხთავიდან: „დაუტევნა იგინი და **გ ა ნ ვ ი დ ა** გარეშე ქალაქსა ბეთანიად და იყო მუნ. განთიად, ვითარ **აღმო**ვიდოდა ქალაქად, შეეშია (მ. 21, 17—18 C).

ამ შემთხვევაში ამბავი ისეა მოთხრობილი, რომ, ჩანს, მთქმელი იმ ქალაქში ყოფილა, საიდანაც იესო ქრისტე ბეთანიას წასულა და სადაც იგი მეორე დილით დაბრუნებულა. პირველი მომენტი — **ქ ა ლ ა ქ ი დ ა ნ წ ა ს ვ ლ ა** — გადმოცემულია **გან-** ზმნისწინიანი ზმნით (განვიდა — საიქეთო ორიენტაცია), მეორე მომენტი — **ქ.ა ლ ა ქ-**

ში დაბრუნება კი აღწერილია აღმო-ზმნისწინიანი ზმნით, (აღმოვიდოდა — საქეთო ორიენტაცია)

აი კიდევ სხვა მაგალითები:

.... აღმოვიდა იოსებცა გალილეაჲთ, ქალაქით ნაზარეთით, ჰურიასტანად (ლ. 2,4 D);

.... ტირიღი მათი აღმოიწია ცად (აპოკრ. 42,3 D);

.... აღმოგუალე, ჰეშმარიტო ერისთაო ერისა ჩემისაო (სინ. მრ. 60,34);

.... მომეც ეგე ქელთა ჩემთა და მე აღმოგგუარო ეგე შენ (დაბად. 42,37);

.... აღმოიყვანეს ყრმაჲ იგი იერუსალჱმდ (ლ. 2,22).

უველა ამ მაგალითში აღმო-ზმნისწინიანი ზმნები (აღმო-ვიდა, აღმო-იწია, აღმო-გუალე, აღმო-გგუარო, აღმო-იყვანეს) ქვემოდან (დადაბლებული ადგილიდან) ზევით და ამავე დროს I პირისაკენ მიმართულებას გვიჩვენებს. ამგვარად, ამ შემთხვევაში აღმო- ზმნისწინი ფუნქციურად (გეზის ჩვენების თვალსაზრისით) ზუსტად ემთხვევა აღ- ზმნისწინს. მოცემულ ფრაზებში მთხრობელი აღმო-ს ნაცვლად აღ- ზმნისწინს გამოიყენებდა, მას რომ მომხდარი მოქმედება დაენახა მოქმედების არა სასრული, არამედ საწყისი პუნქტიდან.


ორიენტაციის მიხედვით სხვადასხვაგვარი გააზრების შედეგია, მაგალითად, აღ- და აღმო-ზმნისწინიანი ფორმების ურთიერთმონაცვლეობა ქართული ოთხთავის რედაქციებში:

აღ- ზმნისწინი	აღმო- ზმნისწინი
მეგობარო, აღ-რე-გუალე ზემო კერძო (ლ. 14.10 DE);	მეგობარო, აღმოგუალე ზემო კერძო, E;
აღვიდა იოსეფცა გალილეაჲთ ჰურიასტანდ (ლ. 2,4 C);	აღმოვიდა იოსებცა გალილეაჲთ... ჰურიასტანად, D;
ყოველი ნერგი... ძირითურთ აღიფხურეს (მ. 15,13 DE);	ყოველი ნერგი.... აღმოიფხურეს, C;
აღიყვანეს იგი იერუსალჱმდ (ლ. 2,22 C).	აღმოიყვანეს ყრმაჲ იგი იერუსალჱმდ, D.

ასეთი მაგალითები სხვაც დაიძებნება როგორც ოთხთავში, ისე სხვა ძეგლებში. აღ- და აღმო- ზმნისწინების ასეთი მონაცვლეობა იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ენა დედნისა (ბერძნული), საიდანაც ნათარგმნია ეს ძეგლები, ორიენტაციას ვერ გაარჩევდა. ამიტომ ქართულად მთარგმნელი ერთგვარ თავისუფლებას გრძნობდა. მას შეეძლო ორიენტაცია ისე გაეაზრებინა, როგორც მას მოეწონებოდა. ამან კი სხვადასხვაობა წარმოშვა ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციაში.

§ 69. ფუნქციების განაწილება აღ- და აღმო- ზმნისწინთა შორის. ახლა იბადება კითხვა: აღ- და აღმო- ზმნისწინები ყოველთვის გამოდგება თუ არა ერთი და იმავე მოქმედების, ერთი და იმავე ფაქტის გადმოსაცემად.

როგორც აღ- ზმნისწინი, ისე მისი რთული აღმო- ფორმა ზევითა მიმართულებას აღნიშნავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ I პირი მოქმედების საწყისი პუნქტის მხარეს იმყოფება, იგი აღ- ზმნისწინით აღწერს ამ მოქმედების მიმართულებას, ხოლო თუ მოქმედების საბარული პუნქტის მხარეს იმყოფება, მაშინ იმავე მიზნით აღმო- ზმნისწინს გამოიყენებს (ნახ. 14).



ნახ. 14.

მაგრამ შვეულ სიბრტყეში პრაქტიკულად სად შეიძლება იმყოფებოდეს პირველი პირი, ჩვეულებრივ — ადამიანი? — პასუხი ერთია: დედამიწის ზედაპირზე ან მის მახლობლობაში (მაგალითად, შენობაში, ხეზე და ა. შ.). ჩვენ ზემოთ (§ 57) შვეული სიბრტყე სამ მონაკვეთად დავყავით. მათგან მოუბარი პირის მყოფობის არეს შუა არე, შუა მონაკვეთი ვუწოდეთ, ამაზე ზემოთ განლაგებულ არეს — ზედა არე, ხოლო ჩვენი დკომის ზედაპირის ქვემოთა არეს — ქვედა არე.

ქვევიდან ზევით მიმართულება სააქეთო ორიენტაციად მანამდე გაიგება, სანამ მოძრავი საგანი მოუბარი პირის სიმაღლეს არ ასცილებია, ხოლო საიქეთოდ მაშინ, როცა მოძრავი საგანი მოუბარი პირის ზემოთ მიემართება (ე. ი. მას შორდება).

თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია, რომ შვეულ სიბრტყეზე ქვევიდან ზევით მოძრაობა ორ ნაწილად იყოფა: ა) მიწის სიღრმიდან (ან რაიმე სიღრმიდან) პირველი პირის სიმაღლის დონემდე (ქვედა და შუა არე-

ები) და ბ) პირველი პირის სიმაღლის დონიდან ზევით (ზედა არე). პირველ შემთხვევაში (ქვედა და შუა არეებში) მოძრაობა მიჩნეულია როგორც სააქეთო და **აღმო-** ზმნისწინით გადმოიცემა, მეორე შემთხვევაში კი მოძრაობა განიხილება როგორც საიქეთო და **აღ-** ზმნისწინით გადმოიცემა (ნახ. 14).

აქედან გამომდინარე, **აღმო-** ზმნისწინის ძირითად დანიშნულებად იქცა სიღრმიდან ზედაპირისაკენ მიმართულების ჩვენება.

ამ მოსაზრების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს ასეთი მაგალითი: „და სხუაჲ დავარდა ქუეყანასა კეთილსა.... **აღმოვიდოდა** და **აღორძნდებოდა**...“ (მრ. 4.8); მოცემულ ფრაზაში ლაპარაკია თესლის ამოსვლასა და გაზრდაზე. მთელი ეს პროცესი გაყოფილია ორ მომენტად და გადმოცემულია ორი ზმნით:

ა) **აღმოცენდებოდა** — სიღრმიდან მიწის ზედაპირს ზემოთ, ჩვენს სიმაღლემდე.

ბ) **აღორძნდებოდა**—ე. ი. გაიზრდებოდა, აღიზრდებოდა ჩვენს ზევით. შინაარსის შესაბამისად პირველი ზმნა სააქეთო **აღმო-** ზმნისწინითაა გაფორმებული, მეორე კი — საიქეთო **აღ-** ზმნისწინით.

კიდევ ბევრი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ამ მოსაზრების დასადასტურებლად. კერძოდ: **აღ-** ზმნისწინის გამოყენების ზემომოყვანილი ნიმუშები (იხ. § 63) ამ უკანასკნელი დებულების საილუსტრაციოდაც გამოდგება, ხოლო იმის საჩვენებლად, თუ როგორ აღნიშნავდა **აღმო-** ზმნისწინი ქვევიდან (სიღრმიდან) ზევით (დედამიწის ზედაპირამდე) მოძრაობას, მოგვყავს ასეთი მაგალითები:

.... ნუუკუე ზამთარ იყოს ანუ ტფილ და **აღმოჴჴლდენ** მარცუალნი იგი (სახ. მეტყვ. 15,24);

.... ამისა შემდგომად **აღმოსცენდა** მხალი ველური (საბა. ას. 6,27);

.... ადგილსა მას, რომელსა ცრემლნი იგი მისნი დამოსდიოდეს, **აღმოეცა** მძაფრიად წყაროჲ (საბა ას. 10,21);

.... [წყაროჲ] **აღმოდიოდა** წინაშე ჯაბუკისა მის (საბა. ას. 10,22);

.... კმა უაე ამიერითგან გარდამოტევებაჲ წყლისაჲ პირისაგან შენისა, რამეთუ ქამი **აღმოდინებისაჲ** წარკდა (აპოკრ. 40,15 D);

.... ამიერ **აღმოგჳბრწყინდებიან** ჩუენ საცნაურისა მის ნათლისა მზისთუალნი (სინ. მრ. 11,5);

.... უკუეთუ **აღმოსრულ** იყოს მზჱ (გამოსლვ. 22,3);

.... და იხილეს..... **აღმოსავალით** ბორცუსა მას წყალი **აღმომცენარე**, მდიდარი და შუენიერი (ზარზმ. 153,25);

.... განირთხ ჴელითა შენითა კუერთხი ეგე მდინარესა მაგას ზედა და ჴევნებსა და მწყურნებსა და **აღმოიყვანე** მყუარი (გამოსლვ. 8,5);

.... რაჟამს **აღმოვიდოდა** წყლისა მისგან (მ. 3,16);

.... ხოლო რომელმან ერთი იგი მიიღო, წარვიდა და **აღმოთხარა** ქუეყანაჲ და დამალა ვეცხლი იგი უფლისა თჳსისაჲ (მ 25,18 C).

.... ნეუკუე მომარგლასა მას ღუარძლისასა **აღმოჰფხურათ** ცის თანა იფქლიცა (მ. 13,29 C);

.... ნათელ-იღო იესუ და მუნჭეესვე **აღმოქდა** მაერ წყლით (მ. 3,16 C).

ზემოთ მოყვანილი მაგალითები საკმაოდ ცხადყოფს, რომ **აღმო-** ზმნისწინის დანიშნულება იყო გადმოეცა დედამიწის (ან წყლის), სიღრმიდან მოძრაობა ზედა მიმართულებით, დედამიწის ზედაპირამდე, მთქმელის პოზიციის დონემდე. ბუნებრივია, ასეთი ზმნისწინი უნდა დაპირისპირებოდა იმ ზმნისწინს, რომელიც ქვევითა მიმართულებას აღნიშნავს სიღრმეში. ასეთია **შთა-** ზმნისწინი. მართლაც. შეიძლება ეჭვმიუტანლად ითქვას, რომ სწორედ ეს ზმნისწინები უპირისპირდებოდა ერთმანეთს როგორც გეზის, ისე ორიენტაციის მიხედვით. აი სათანადო მაგალითებიც:

.... უკუეთუ ვინმე მოაღოს ჯურღმულსა ანუ **აღმოჰკუეთდეს** ჯურღმულსა და არა დაარჭეას მას და **შთავარდეს** მას ზროხაჲ ანუ ვირი, უფალმან მის ჯურღმულისამან მისცეს ვეცხლი უფალსა მათსა (გამოსლვ. 21,33—34);

.... თანა ედგა მას თორნესა ავაზანი დიდი და მას ზედა დაკლიან კაცნი და **შთაადინიან** სისხლი იგი მათი მას ავაზანსა და **აღმოიღებედ** სისხლისაგან და სუმედ (აპოკრ. 33.28 E);

.... მკსნელო და მკურნალო,..... რომელი **შთაჰკედ** ტარტაროზსა მათ ძლიერებითა შენითა..... **აღმოჰკედ** დიდებითა დიდითა და **აღმოიყვანენ** შენნი იგი შენ თანა (აპოკრ. 14,11).

ამ მაგალითებში ასეთი დაპირისპირებანი გვაქვს: **აღმოჰკუეთდეს—შთავარდეს, შთაადინიან—აღმოიღებედ; შთაჰკედ—აღმოჰკედ, აღმოიყვანენ** და სხვ.

გეზის მიხედვით **შთა-** გვიჩვენებს ქვევით, სიღრმისაკენ მიმართულებას, **აღმო-** კი — სიღრმიდან ზევით მიმართულებას:

ორიენტაციის მიხედვით **შთა-** გვიჩვენებს საიქეთო მიმართულებას, **აღმო-** კი სააქეთო მიმართულებას.

აი რატომ ვამბობთ, რომ ეს ზმნისწინები ურთიერთ დაპირისპირებული ზმნისწინებია. მეორე მხრით, ეს გარემოება ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ აზრს, რომ **აღმო-** ზმნისწინის ძირითადი დანიშნულება იყო ქვევიდან (სიღრმიდან) ზევითკენ (ზედაპირისკენ) მიმართულების ჩვენება.

§ 70. ა ღ მ ო- ზმნისწინი გადმოსცემს შიგნიდან გარეთ ზევითა მიმართულებით მოძრაობას. **აღმო-** ზმნისწინის ზემოაღნიშნული ძირითადი მნიშვნელობის შემდგომი განზოგადების შედეგი უნდა იყოს

მისი დამატებითი მნიშვნელობა — გადმოსცეს რისამე შიგნიდან გარეთ ზევითა მიმართულებით მოძრაობა:

.... ხოლო მათგანი არა შჳამოთ, რომელნი აღმოიცხნიან და რომელთაჲ არა განყოფილ არს ჭლაკი (ლევიტ. 11,4);

.... უკუეთუ ვინმე კბილი მონისა თჳსისაჲ, გინა კბილი მჭეელისა თჳსისაჲ სცეს და აღმოჰკუარდოს, თავისუფლად განუტევენენ იგინი კბილისა მათისა წილ (გამოსლვ. 21,27);

.... და თუ აღმოჴდეს სიტყუაჲ უშუერი და სიყიცხევაჲ ამაყოჲ პირისაგან.... (სახ. მეტყვ. 31,23);

ეითარცა მდინარე ედემისაჲ, აღმოუწყაროდა ოჴრონაკადულით პირით მისით (ზარზმ. 156,31);

.... რაჲ სულისა აღმოფშჳნვა მაღლი იქმნების და რაჲ სულისა აღმოფშჳნვა ბრალი იქმნების ჩუენ შორის (ხანძ. 106,22—23);

.... არა მიტევებს მე სულისა აღმოტევებად (იობ. 9,18);

.... ამოასხა გუელმან მან პირისაგან თჳსისა წყალი (გამოცხ. '12,15 B);

.... იწყო სულთა აღმოსლვად (საბა ას. 9,41);

.... ხოლო რაჟამს აღმოიკითხვებოდის სახარებაჲ, გინა თუ სამოციქულოჲ (სინ. მრ. 11,24);

.... წმიდამან ქალწულმან აღმოთქუნა სიტყუანი და გალობაჲ მადლობისაჲ (სინ. მრ. 13,30);

.... მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თაფლმწოლვარითა მით ენითა სწაელათა საღმრთოთა (ზარზმ. 156,29);

.... მეგუელების აღმოგდებაჲ შენი პირისაგან ჩემისა (გამოცხ. 3,16);

.... ზედაწერილი იგი მათი აღმოვიკითხეთ; და წერილ იყო ესრჱთ აღმოკოდით (სინ. მრ. 69, 12).

საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში ნათლად ჩანს, რომ აღმო- ზმნისწინი ზოგჯერ ადამიანის შინაგანი ორგანოებიდან გამომდინარე მოქმედებას აღნიშნავს (აღმოთქუნა; აღმოკდეს სიტყუაჲ; აღმოფშჳნვა სულისა; აღმოტევებად სულისა; აღმოგდებაჲ პირისაგან ჩემისა), ზოგჯერ ცხოველთა შინაგანი ორგანოებიდან გამომდინარე მოქმედებას (აღმოიცხნიან) და ზოგჯერაც — რაიმე საგნის შიგნიდან (სიღრმიდან) დაწყებულ მოქმედებას (აღმოკოდა; აღმოიკითხვებოდის). მე-14 ნახაზზე მოცემული სქემა ძალაში რჩება ამ შემთხვევაშიაც, ე. ი. შიგნიდან გარეთ ზევითა მიმართულებით მომხდარი მოქმედება აღმო- ზმნისწინით გადმოიცემა, ხოლო ამის შემდეგ ღია სივრცეში კიდევ უფრო ზემოთ მიმართული მოქმედება აღ- ზმნისწინით. ამის კარგი ნიმუშია ასეთი მაგალითი: „იესუ აღუტევა კმაჲ და აღმობერა სული" (მრ. 15,37 C), ამ წინადადებაში ორი ზმნით ორი ურთიერთმიმყოლი მომენტია გადმოცემული:

ა) აღუტევა კმაჲ — მოძრაობა ღია სივრცეში, ქვეყიდან ზევით;
ბ) აღმობერა სული — მოძრაობა შიგნიდან გარეთ, ზევით.

პირველი ზმნა საიქეთო ორიენტაციისაა და აღ- ზმნისწინს დაირთავს, მეორე კი სააქეთო ორიენტაციისაა აღმო- ზმნისწინით.

§ 71. ა ღ-, ა ღ მ ო- ზმნისწინებისათვის ზევითა მიმართულების ჩვენების ფუნქციის მოშლის ტენდენციები ძველსავე ქართულში. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ძველ ქართულში აღ- ზმნისწინის დანიშნულება იყო, ეჩვენებინა ქვევიდან ზევით მიმართულება და ამ მოვალეობას იგი ბევრ ისეთ ზმნასთანაც ასრულებდა, რომელთანაც დღეს მიმართულება საერთოდ აღარ გადმოიცემა. ამ მხრივ სათანადო მაგალითებიც იყო მოყვანილი. ამასთან ერთად, უნდა ითქვას ისიც, რომ აღ- ზმნისწინისათვის მიმართულების აღნიშვნის ფუნქციის მოშლა ცალკეულ ზმნებთან უკვე ძველ ქართულში დასტურდება. კიდევ მეტი: იგი უფრო ადრე დაწყებული პროცესი ჩანს. ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს თუნდაც ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა რედაქციაში აღ-ზმნისწინიან ზმნებს ენაცვლება სულ სხვა-ზმნისწინიანი ზმნები: თუ ყურადღება მიმართულებაზე იქნებოდა გამახვილებული, მაშინ, რა თქმა უნდა, ასეთი მონაცვლეობა შეუძლებელი აღმოჩნდებოდა. ავიღოთ, მაგალითად, ასეთი ნიმუში: ქართული ოთხთავის C რედაქციაში ვკითხულობთ: „ვითარცა **აღასრულნა** იესუ სიტყუანი ესე....“ (ლ. 7,1), DE რედაქციაში კი ხაზგასმულ ზმნაში აღ- ზმნისწინი სულ საპირისპირო შინაარსის ზმნისწინითაა შეცვლილი: „ვითარცა **დაასრულნა** იესუ სიტყუანი ესე....“

ცხადია, **აღასრულნა** და **დაასრულნა** ზმნები მიმართულების გამოხატვის მიხედვით ერთნაირი შინაარსის ვერ იქნება მაგრამ თუ ორ რედაქციაში ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ რედაქტორები მიმართულების ნაცვლად ზმნის იმ შინაარსობრივ მხარეზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რაც ორივე ზმნას საერთო აქვს. ესაა მოქმედების პროცესის ჩვენება მოცემული ზმნის პირიან ფორმაზე დაყრდნობით. ეს ზმნა კი წყვეტილის მწკრივში პირიან ფორმებს, იმავე ოთხთავის მასალას თუ გავითვალისწინებთ, არც ერთ შემთხვევაში არ აწარმოებს უზმნისწინოდ. რაკი აუცილებელი იყო, რომ ამ ზმნას რაიმე ზმნისწინი უთუოდ დართვოდა პირიან ფორმაზე, ერთი რედაქტორი ამ მიზნით აღ-ს იყენებდა, ხოლო მეორე—და-ს. შეიძლებოდა კიდევ გან- ზმნისწინიც შეენაცვლებინათ. ამაზე მეტყველებს იმავე ოთხთავში ნახმარი გა- ზმნისწინიანი მიმღეობა: „**გასრულებულ** არს, მაგას ჰკითხეთ“ (ი. 9,23 C); ანდა: „მაგას ჰკითხეთ, **გასრულებულ** არს“ (ი. 9,21 C).

მართალია, აქ **გასრულებული** ცოტა სხვა შინაარსით იხმარება (=სრულასაკოვანი), მაგრამ ეს მისი დამატებითი, კერძოობითი შინაარსი უნდა იყოს, ზოგადად კი ისიც დ ა მ თ ა ვ რ ე ბ უ ლ ს უნდა ნიშნავდეს. ამაზე მეტყველებს არაერთი ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“:

„ესე წიგნი **გაასრულა** წყლიანმან და სიტყვა ნაზმა“ (170,1);
„აწ დავხოცენ მტერნი თქვენნი, **გავასრულე**, რაცა ვთქვენი“ (1051,3);
„**გასრულდა** მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა“ (1665,1). და სხვ.

ყველა ამ მაგალითში **გასრულება** ზმნა იმავე შინაარსითაა ნახმარი, როგორითაც **აღსრულება** და **დასრულება** ზმნები ზემოთ ციტირებულ ფრაზებში.

იმის საჩვენებლად, რომ აღ-ზმნისწინიან ყველა სიტყვაში როდიღა შეიგრძნობოდა მიმართულების ჩვენება, კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ ოთხთავიდან: „ლერწამი შემუსრვილი არა განტეხოს და პატრუკი **მბნდჯნვარჱ** არა დაშრიტოს“ (მ. 12,20 E); ეს ადგილი C რედაქციაში ასე იკითხება; „ლერწამი დასხერილი არა შემუსროს, და პატრუკი **აღნთებული** არა დაშრტეს“.

როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე შინაარსით ორ რედაქციაში ერთმანეთს ენაცვლება სიტყვები **მბნდჯნვარჱ** და **აღნთებული**. ერთი უზმნისწინოა, მეორე კი—**აღ-** ზმნისწინიანი და, თუ ორივე ერთ შინაარსს გადმოგვცემს, ეს იმიტომ, რომ ორივეში ყურადღება ნ თ ე ბ ა ზე, სინათლის გამომცემლობაზეა გამახვილებული და არა მიმართულებაზე. სხვადასხვა ზმნისწინის მონაცვლეობა, ანდა ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების მონაცვლეობა, რიგ შემთხვევაში იმისი მაჩვენებელია, რომ ზმნისწინიან ზმნებში ყურადღება აღარ მახვილდებოდა მოქმედების თუ მოძრაობის მიმართულებაზე.

მსგავსი მაგალითები სხვაც შეიძლებოდა მოგვეყვანა.

§ 72. ფუძესთან აღ- ზმნისწინის სრული ან ნაწილობრივი შეხორცების შემთხვევები. ისე როგორც სხვა ზმნისწინები, **აღ-** ზმნისწინიც მონაწილეობას იღებს არაზმნური სიტყვების შედგენილობაში და იქაც იგი თავის თავდაპირველ მნიშვნელობას ინარჩუნებს. ასეთია, მაგალითად, ზმნიზედა **აღმა**, არსებითი სახელი — **აღმართი**, ზედსართავი სახელი — **მაღალი** (აქედან ზმნა **აღმაღლება**) და სხვ. **მართ** ძირისაგან ზმნისწინის მიმატებით სხვა სახელებიც გვაქვს მიღებული: წაღმართი, დაღმართი, ჩაღმართი, უკუღმართი და სხვ. აქ საინტერესო ისაა, რომ ყველა მათგანში გაჩენილია **ღ** ელემენტი

(წა-ღ-მართი, ჩა-ღ-მართი, უკუ-ღ-მართი). რა თქმა უნდა, წა-, ჩა-, უკუ- და სხვა ზმნისწინები მოცემულ სიტყვებში ღ-ს გაჩენის საფუძველს არ ქმნის. ამ საფუძველს არც **მართ** ძირი ქმნის. ღ-ს გაჩენა ამ შემთხვევაში ფონეტიკური ანალოგიის შედეგი უნდა იყოს [1]. **მართ** ძირს შეუერთდა აღ- ზმნისწინი და მოგვცა აღ-მართი. შემდეგში ზმნებთან აღ- ზმნისწინის გამარტივების შედეგად მიღებული ა-ს მსგავსად თვითონ **აღმართ**-ში, ეტყობა, ზმნისწინად ა ხმოვანი იქნა გაგებული, ხოლო ძირად — **ღმართ**. ამან კი განაპირობა -ღ- ელემენტის შეტანა ზემოდასახელებულ სიტყვებშიც (და-ღ-მართი, ჩა-ღ-მართი და ა. შ.). ასეთ ახსნას მხარს ის გარემოებაც უჭერს, რომ **დაღმართი, ჩაღმართი** და მისთანანი შედარებით ახალი მოვლენაა, უფრო ძველ ძეგლებში კი ეს სიტყვები ღ- ელემენტის გარეშე გვხვდება:

.... დავარდა იგი ქუეყანასა ზედა და თავსა **დამართ** სცემდა (აგ. ძეგლ. 14,30);

.... **უკუმართ** ვიდოდეს და დაეცნეს ქუეყანასა (ი. 18,6 C).

დასახელებულ სიტყვებში ადგილი აქვს აღ- ზმნისწინის ღ ელემენტის ფუძესთან შერწყმას. ეს ერთადერთი შემთხვევა როდია. ძველ ქართულში გვქონდა ზმნა **აღ-ვ-ი-არებ**:

.... ყოველმან რომელმან **ამიაროს** მე წინაშე კაცთა, აღვიარო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა (მ. 10,32 C);

.... **აღგიარებ** შენ, მამაო (ლ. 10,21);

.... რომელმან **აღმიაროს** ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, მეცა **აღვიარო** იგი (მ. 10,32 D).

ამ წინადადებებში ხაზგასმულ ყველა ზმნაში პირის ნიშანთა წინ მოცემული გვაქვს **აღ-** (—**ა-**) ზმნისწინი. შემდეგში ეს ზმნისწინი მთლიანად გაგებულ იქნა როგორც ფუძის ნაწილი და მის წინ გადმოვიდა პირის ნიშანი. ასე ისმის ეს სიტყვა დღეს, ცოცხალ საუბარში: ვ-აღიარებ, გ-აღიარებ და ა. შ. მეცხრამეტე საუკუნეში და შემდეგაც არაერთხელ გამოთქმულა ხოლმე მოსაზრება, რომ **ვაღიარო** კი არა, **აღვიარო** ფორმაა სწორიო. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ჩვენი სასიქადულო მწერალი აკაკი წერეთელი 1898 წლის ივლისში დაბეჭდილ „შენიშვნებში“ კრიტიკულად განიხილავს გამომცემლობა „მწყემსის“ მიერ მკითხველისათვის მიწოდებულ წიგნებს, სადაც ერთი შენიშვნა ეხება ჯიაკომეტას დრამა „ივდითის“ ქართულ თარგმანს: „გვიკვირს, რომ ისეთი მცოდნე ქართულისა, როგორიც არის შაჰვარიანი, რათ ხმარობს «აღვიარების» ნაცვლად «ვაღიარებს»?..

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953 წ. გვ. 29.

მწერლობის მოვალეობაა, რომ დამახინჯებულ სიტყვებს ასწორებდეს, არა თუ ამახინჯებდეს!“ [1]

როცა აკაკი ამ შენიშვნას გამოთქვამდა, იგი, რა თქმა უნდა, წმინდა გრამატიკული წესების დაცვის თვალსაზრისით სწორი იყო, მაგრამ, ეტყობა, მოცემულ ზმნაში მე-19 საუკუნეში **აღ** ზმნისწინი უკვე გააზრებული იყო ზმნის განუყრელ ნაწილად, და ამიტომ დღესაც **ვაღიარებ** იხმარება და არა **აღვიარებ**. ამ ზმნასთან დაკავშირებით ა. შანიძე წერს, რომ მისი „საწყისი ძველად **აღსარება** იყო, მაგრამ მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო ქრისტიანული ეკლესიის პრაქტიკაში და ამიტომ საჭირო გახდა ახალი საწყისის გაკეთება: **აღიარება**. აქედან გვაქვს მიმღეობა: **აღიარებული**, მაშასადამე, ზმნისწინის **ღ** შეზრდილია ფუძესთან ქცევის ნიშნითურთ!“[2]

დღევანდელ ქართულში გვაქვს სიტყვა **აღორძინება**, რომელშიც **ღ** ელემენტი ძირის საკუთრებადაა გაგებული: **ამაღორძინა, აგაღორძინა** და ა. შ. ძველ ქართულში კი აშკარად ჩანდა, რომ ამ ზმნაშიც **აღ-** ელემენტი ზმნისწინი იყო (იგივე შინაარსით, როგორც **აღ-**დგენა, **აღ-**მართვა ზმნებში), ხოლო **ორძინ** — ძირი. აი სათანადო ნიმუშებიც:

.... **აღგაორძინო** შენ ფრიად და დაგადგინო შენ ნათესავად და მეფენი შენგან გამოვიდენ (დაბად. 17,6);

.... **აღვაორძინო** იგი და განვამრავლო იგი ფრიად (დაბად. 17,20);

.... **აღაორძინი** და განამრავლი და განაცხოველნი ყოველნი მონანი შენნი (აპოკრ. 12,39).

ხაზგასმულ ზმნებში **აღ** ელემენტსა და **ორძინ**-ს შორის ჩართულია პირისა და ქცევის ნიშნები (**აღ-გ-ა-ორძინ-ო, აღ-ვ-ა-ორძინ-ო, აღ-ა-ორძინ-ი**), რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ზმნაშიც **ღ** ზმნისწინს ეკუთვნოდა და არა ძირს, როგორც ეს დღესაა გააზრებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოცემულ ზმნაში ძირთან ზმნისწინისეული **ღ**-ს შეზრდა, ეტყობა, ძველსავე ქართულში დაწყებულა. ამისი ნიმუში გამოვლინებული აქვს ჭ. ლორთქიფანიძეს „კათოლიკე ეპისტოლეთა ქართულ ვერსიებში“[3]: **ა-ჰ-ღორძნდეთ** (1 პეტრე 2,2 ჴE).

ამგვარად, ამ ზმნაშიც ზმნისწინისეული **ღ** ელემენტი ზმნის ძირს შეუხორცდა: **აღ-** აქაც პრეევრებია წარმოშობით, მაგრამ რაკი **ორძინ**

[1] აკ. წერეთელი, თხზ., ტ. XIII, 1961, გვ. 390; აკაკის თეიური კრებული, 1898, XI, გვ. 5—6.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 257.

[3] ჭ. ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები და მათი ენა: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, 1956 წ. (გამოსცა ჭ. ლორთქიფანიძემ ა. შანიძის რედაქციით), გვ. 134.

ფუძე დღეს აღარსად გვხვდება უზმნისწინოდ ან სხვა ზმნისწინთან. ან საზოგადოდ სხვა შედგენილობით და სხვა დაჯგუფებაში, ამიტომ ზმნის ფუძესთან პრევერბისეული ღ ბგერის შეხორცება ადრე, სწრაფად და ადვილად მოხდა [1].

§ 78. აღ- ზმნისწინის გენეზისისათვის. საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღ- ზმნისწინის გენეზისი მოცემული არა გვაქვს. მხოლოდ ესაა, რომ ეს ზმნისწინი ნ. მარს დაშლილი სახით ჰქონდა მოცემული (ა-ღ), თუმცაღა არაფერს მიუთითებდა მისი შემადგენელი ელემენტების შესახებ [2]. ასევე, ამ ზმნისწინის ა ხმოვანი ცალკე ელემენტადაა მიჩნეული ნ. მარისა და მ. ბრიერის ერთობლივ შრომაშიც [3].

ცნობილია, რომ აღ- ზმნისწინი შედის სიტყვებში: მ-აღ-ალი (შდრ.: დაბ-ალი), უ-აღ-რესი (შდრ.: უ-და-რ-ესი, მ-და-რე), წი-აღ-ი, მაგრამ ეს სიტყვები არაფერს მეტყველებს აღ-ის არც წარმომავლობაზე და არც თავდაპირველ ლექსიკურ მნიშვნელობაზე.

ქართველურ ენებშიც არ მოგვეპოვება აღ-ის გენეტურად შესატყვისი ზმნისწინი ან ზმნიზედა, რაც კიდევ უფრო აძნელებს აღ-ის წარმომავლობის გარკვევას.

ასეთ ვითარებაში საინტერესოა ზოგიერთი კავკასიური ენის ჩვენება:

ტაბასარანული ენის სამხრულ დიალექტში სრული ასპექტის ფორმების მისაღებად უზმნისწინო ზმნას წინიდან უერთდება ღა- თავსართი, რომელსაც ჩრდილოურ დიალექტში ჯა თავსართი ენაცვლება (ხუზ — „მოტანა"; ღა-ხნუ — სრული ასპექტის ფორმა ამავე ზმნისა წარსულ დროში), მაგრამ თუ ზმნას რაიმე ზმნისწინი აქვს, მაშინ იგი დასახელებულ მაასპექტებელ თავსართს აღარ შეიერთებს [4]. აქედან გამომდინარე, ღა თავსართი ტაბასარანულ ენაში თვითონ შეიძლება მივიჩნიოთ ზმნისწინად, რომელსაც დროთა ვითარებაში მიმართულების გადმოცემის ფუნქცია დაუკარგავს და მხოლოდ მაასპექტებელი დანიშნულება შერჩენია.

ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა აღულური ენა, სადაც ზმნას თავში, სივრცობრივი (ადგილობითი) ზმნისწინის შემდეგ, სპეციალური ღ თავსართი დაერთვის (ამა თუ იმ ხმოვნითი ელემენტით),

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, § 316.

[2] Н. Марр, Грамматика..., § 202.

[3] N. Marr, et M. Brière, La langue géorgienne, § 50-ის შენიშვნა.

[4] А. Магометов, Превербы в табасаранском языке: იკე. VIII, გვ. 338.

რომელიც ქართული აღ- ზმნისწინის მსგავსად ქვევიდან ზევით მიმართულებას აღნიშნავს (კა-ღუ-ჭას — „უკნიდან აწევა"; ალ-ღუ-ჭას — „რაიმეზე ასვლა"; ქო-ღ-ბას— „გვერდობზე ასვლა, ასვლა დახრილ სიბრტყეზე")[1].

ახლა დარგუულ ენასაც მივმართოთ. დარგუული ენის კუბაჩურ დიალექტში გვაქვს როგორც ადგილობითი, ისე საკუთრივ მიმართულებითი ზმნისწინები. ამ უკანასკნელთაგან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ქვევიდან ზევით მიმართულების აღმნიშვნელი ჰა ზმნისწინი (ჰა-ჯხიჲ—„ატანა", ჰა-ბაღე—„ავიდნენ")[2].

სავარაუდოა, რომ ქართული აღ- ზმნისწინისა, ერთი მხრით, და აღულურ-ტაბასარანული ღა ზმნისწინის მასალობრივი მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ხომ შესაძლოა, რომ ისინი ერთი და იმავე წარმომავლობისად მივიჩნიოთ.

აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ ღ||ყ||ჭ||ჰ ძირი კავკასიურ ენებში მზეს აღნიშნავს. იმავე მზის აღმნიშვნელად მიიჩნევს არნ. ჩიქობავა ღ ძირს ქართულ ბღუარ-ში (=მზიანეთი=სამხრეთი) და ხ ძირს ქართულ სამხარ-ში[3].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართული აღ- ზმნისწინისა და აღულურ ტაბასარანული ღა ზმნისწინის ღ ელემენტიც იმავე მ ზ ი ს აღმნიშვნელ ღ ძირს უნდა უკავშირდებოდეს. აქედან აღ-ის შინაარსი „ზევით", „მზისკენ". ასეთ ვარაუდს ამართლებს და- ზმნისწინის წარმომავლობაც. როგორც ცნობილია, იგი მ ი წ ი ს აღმნიშვნელ დაბ სიტყვას უკავშირდება და ზევიდან ქვევით მიმართულებას აღნიშნავს (§ 46). ამის საპირისპირო აღ- ზმნისწინი კი, რომელიც ზევით მიმართულების შინაარსს გადმოსცემს, ფაქტიურად მზისკენ მიმართულებას გვიჩვენებს. აქ მ ი წ ი ს აღმნიშვნელი დაბ სიტყვისაგან წარმომდგარი და- ზმნისწინი და მ ზ ი ს აღმნიშვნელი ღ ძირისაგან წარმომდგარი ა-ღ ზმნისწინი ისევე უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც ჭ უ ე უ ა ნ ა და ზ ე ც ა. ცხადიცაა: თუ ქვევითა მიმართულებად მიწისკენ მიმართულება იქნა მიჩნეული, რა გასაკვირია, რომ ზევითა მიმართულებად ძველთაძველად სწორედ მზისკენ მიმართულება მიეჩნიათ და იგი მზის აღმნიშვნელი ღ ძირით გადმოეცათ.

---

[1] А. М а г о м е т о в, Превербы в табасаранском языке: იქვე, VIII, გვ. 334.

[2] А. М а г о м е т о в, Система превербов в кубачинском диалекте даргинского языка: იქვე, IV, გვ. 184—187; მ ი ს ი ვ ე, Превербы в табасаранском языке: იქვე, VIII, გვ. 316.

[3] ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, გვ. 77,78; მ ი ს ი ვ ე, ეტიმოლოგია ძველი ქართული ტერმინებისა „ბღუარი", „სამხარი": იქვე, V, 1953, გვ. 65—70.

თ ა ვ ი V

შიგნა-გარეთა ძიმართულების ზმნისწინები

§ 74. ც ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. ზმნისწინთა მეოხებით ზმნამ შეიძლება გვიჩვენოს ისეთი მოძრაობა, რომელიც მიმართულია ერთი სფეროდან მეორეში: ა) ღია სფეროდან (ღია არიდან) დახურულ სფეროში (არეში), ანუ, როგორც იტყვიან, **გ ა რ ე დ ა ნ შ ი გ ნ ი თ**, და ბ) დახურული სფეროდან (არიდან) ღია სფეროში (არეში), ანუ **შ ი გ ნ ი დ ა ნ გ ა რ ე თ**. ამათგან პირველი გადმოიცემა **შე-, შემო-** ზმნისწინებით, მეორე კი — **გან-, გამო-** ზმნისწინებით.

როგორ გვესმის ტერმინები: **„გარედან შიგნით“** და **„შიგნიდან გარეთ?“**

ტერმინში — „შიგნით“ — შეიძლება ვიგულისხმოთ დახურული ნაგებობის შიგნითა ნაწილი, შეიძლება ვიგულისხმოთ რაიმე საგნის (თუნდაც ძალზე მცირე საგნის) სიღრმე. შიგნითა არე და, ამას გარდა, ამავე ტერმინში შეიძლება ვიგულისხმოთ რაიმე ზედაპირიც კი, თუკი იგი გარშემო შემოფარგლულია რაიმე საზღვრით (ცხადად ან წარმოსახვით). მაგალითად, ავიღოთ სიტყვები: **სახლში, სამელნეში, მიწაში, ეზოში.** ყველა ამ სიტყვით გადმოცემულია შესაბამის საგანთა შიგნივობა: პირველში — შენობისა, მეორეში — სამელნისა, მესამეში საგნის სიღრმეზეა ლაპარაკი, ხოლო მეოთხეში — ისეთ ღია ზედაპირზე, რომელიც გარშემო შეიძლება შემოსაზღვრული იყოს (ვთქვათ, ღობით). მაგრამ როცა ვამბობთ, **ქალაქში** შევედიო, აქ სულაც არ იგულისხმება, რომ ეს ქალაქი უთუოდ რაიმე ცხადი საზღვრითაა შემოფარგლული. ასეთ შემთხვევაში მოსაუბრეს მხედველობაში აქვს წარმოსახვითი საზღვარი, რომელიც ქალაქს ყოფს მომიჯნავე ტერიტორიისაგან.

მაშასადამე, **შიგნითო,** როცა ვამბობთ, ეს უთუოდ როდი გულისხმობს საგნის ყოველმხრივ დახურულ შიგა არეს; იგი ზოგჯერ ნაწილობრივ ღია არესაც გულისხმობს, თუკი იგი რომელსამე ერთ სიბრტყეზე მაინცაა შემოსაზღვრული ცხადად ან წარმოსახვით. აი, ასეთი **შიგა არისაკენ** მოძრაობა განიხილება როგორც **გარედან შიგ-**

ნით მოძრაობა, ხოლო ასეთი მიმართულება — როგორც გარედან შიგნით მიმართულება.

ამის საპირისპიროდ, შიგნიდან გარეთ მოძრაობად უნდა განვიხილოთ ყოველგვარი მოძრაობა, რომელიც გამოდის არა მარტო საგნის სიღრმიდან, ყოველმხრივ დახშული არიდან, არამედ რაიმე შემოსაზღვრული ზედაპირიდანაც, ხოლო ასეთი მიმართულება შიგნიდან გარეთ მიმართულება იქნება.

გარედან შიგნით მიმართულებას ქართულში, როგორც ითქვა, აღნიშნავს შე- და შემო- ზმნისწინები, შიგნიდან გარეთ მიმართულებას კი — გან- (გა-) და გამო- ზმნისწინები.

1. შე-, შემო- ზმნისწინები ძველ ქართულში

§ 75. შ ე-, შ ე მ ო- ზმნისწინთა მნიშვნელობის შესწავლის ისტორიიდან. შე- ზმნისწინი ქართულში ერთი მეტად პროდუქტული ზმნისწინთაგანია. იგი ზმნათა უმეტესობას დაერთვის და სხვადასხვა ფუნქცია აქვს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგი ასეა დახასიათებული: „შე—წინსართი ზმნისა: 1. ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას გარედან შიგნით... 2. აღნიშნავს მაღლა, ზევით მიმართულებას... 3. ზმნის უსრული სახის ფორმას აქცევს სრული სახისად... 4. აწმყოს ფორმას ანიჭებს მყოფადის მნიშვნელობას... 5. გამოხატავს მოქმედების სიმცირეს, სიცოტავეს, ნაწილობრივ მომხდარ რასმე. შეწითლდა (შდრ.: გაწითლდა)... 6. ზოგჯერ ზმნას უცვლის მნიშვნელობას...“ [1]

ყველა აქ ჩამოთვლილი ფუნქცია შე- ზმნისწინისათვის დამახასიათებულია ახალ ქართულში. ამ ფუნქციებიდან სულხან-საბას შე-ზმნისწინიანი ზმნების განმარტებისას მითითებული აქვს ისეთი მნიშვნელობანი, როგორიცაა: ა) გარედან შიგნით მიმართულების ჩვენება, ბ) ქვემოდან ზევით მიმართულების ჩვენება, გ) მოქმედების ოდნაობის, სიმცირის ჩვენება და დ) აწმყოს ფორმისაგან მყოფადის ფორმის წარმოება. მოვიყვანოთ სათანადო ნიმუშები:

ა) შე- ზმნისწინი აღნიშნავს გარედან შიგნით მიმართულებას:

შეელო — შეეტანა, გინა კარი შიგნით შეელო;

შემოყრა — არს ქვათა და ძელთა და რაჲსაცა გარედამ შიგნით შემოგდება;

შეუვიდა — გარეგანი რაჲცა შიგნით შეჰკდეს;

შეწევა — შიგნით შესვლის ცდა;

შეჯრა — არს ჯარში, ანუ სახლში, ანუ წყალსა და ცეკლში ჩქარად შეირბინოს.

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 7.

ბ) შე- ზმნისწინი აღნიშნავს ქვევიდან ზევით მოძრაობას:

შეგდება — ქვეიდამ ზე ააგდო რამე;
შემოგდება — ესე არს. ქუემოდან ზეით აღმოეგდოს რამე;
შეწდომა — მაღლა აღწევა;
შეჰქდა — ზე აღვიდა.

არაერთია საბასთან ისეთი შემთხვევა, როცა **შე-**ზმნისწინიანი ზმნა ზემოაღნიშნული ორივე მნიშვნელობითაა განმარტებული:

შედება — არს.... ცეცხლი რასმე **შეეკიდოს**; გინა ცეცხლსა ანუ სარკმელთა და კერელთა **შინა** შედვას რამე; ანუ **მაღალთა**, ანუ თავთა და მკართა **ზედა** შედვას რამე:
შევაგდე — საყურობილედ შევსვი... გინა მაღლა ავსტყორცე....

გ) შე- ზმნისწინი აღნიშნავს მოქმედების ოდნაობას, სიმცირეს:

შეღვინება — მცირე სიმთვრალე:
შეეცივებინა — მცირედ გაეცივებინა [1].

რაც შეეხება აწმყოსაგან მომავლის ფორმების წარმოებას, ვფიქრობთ, საბა **შე-** ზმნისწინის სწორედ ამ ფუნქციას გულისხმობს, როცა ასეთ განმარტებას იძლევა:

შე — ართრონი არს, ყოელთა ქმნილთა წინაკერძო თაეი, რამეთუ რაჲცა ქ მ ნ ა დ გვენებოს, ვიტყვით ესრეთ: შეეიწყალებ, შეეიწყნარებ, შევრისხავ, შევბორკილავ, შეეიქმ და ეგეეითარნი. გინა სხეათა ვეტყჳთ ქ მ ნ ა დ: შეიწყალე, შეიწირე, შექენ, შეკარ და ეგეეითარნი.

ამ განმარტებაში **ქმნად** სიტყვა გაგებულია მომავლის შინაარსით. ასე რომ, **შე-** ზმნისწინი საბას მიაჩნია მომავალი დროის გადმოცემის საშუალებად. ამათ გარდა, საბას **შე-**, **შემო-** ზმნისწინთა დანიშნულებად მიაჩნია:

გარშემო მოძრაობის აღნიშვნა:

შემოდგომა — მტერთაგან ციხის მოცვა;
შემოთლა — ძელთა და ქუათ გარ შემოჰკრა:
შემორტყმა — წელზე შემოკერა:
შეძრობა — ქერქის შემორთმა.

ქართველ გრამატიკოსთაგან **შე-** ზმნისწინი სხვა ზმნისწინებთან ერთად პირველად ანტონ პირველმა დაასახელა თავის „ქართულ ღრამმატიკაში“ [2]. მაგრამ გარდა იმისა, რომ მან პირველმა მოგვცა ზმნისწინთა საერთო დახასიათება, ცალკეულ ზმნისწინთა კერძო მნიშვნელობათა შესახებ მას არაფერი უთქვამს. ანტონის შემდეგ დავით ჩუბინაშვილამდე არც სხვა გრამატიკოსებს უცდიათ ცალკეულ

---

[1] ეს უკანასკნელი ორი მაგალითი დამონმებული აქვს ა. შ ა ნ ი ძ ე ს: ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 266.

[2] ა ნ ტ ო ნ I, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1885, გვ. 160.

ზმნისწინთა მნიშვნელობის გარკვევა. ამ მხრივ დ. ჩუბინაშვილის „მოკლე ქართული გრამატიკა“ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო.

დავით ჩუბინაშვილმა ყურადღება სწორედ ცალკეულ ზმნისწინთა დანიშნულებაზე გაამახვილა და ძირითადად სწორი დასკვნებიც გააკეთა. მისი აზრით, **შე-** ზმნისწინის დანიშნულებაა, აღნიშნოს მიმართულება გარედან შიგნით, მოქმედების შესრულება (ე. ი. სრული ასპექტი) და ერთგზისი მოქმედება (შეირხა); **შემო-** ზმნისწინი კი დახასიათებულია ორი ფუნქციით — გარედან შიგნით მიმართულებისა და გარშემო მოქმედების ჩვენების ფუნქციით [1].

შემდეგი პერიოდის გრამატიკოსთაგან მ. ჯანაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ **შე-** ზმნისწინი თავისი მნიშვნელობით უპირისპირდება **გა-** ზმნისწინს [2].

შე-, შემო- ზმნისწინები ვრცლადა აქვს განხილული ა. შანიძეს „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, სადაც მათს ძირითად დანიშნულებად მიჩნეულია გარედან შიგნით მიმართულების ჩვენება საქეთო და საიქეთო ორიენტაციით (შესაბამისად) [3].

ამასთან ერთად, ა. შანიძე მიუთითებს **შე-** ზმნისწინის ორ თავისებურებაზე: 1. „**შე-** ზოგჯერ აღნიშნავს მაღლა, ზევით მიმართულ მოქმედებას“[4]... 2. „**შე-** ზმნისწინი ზოგჯერ გულისხმობს ისეთ მოქმედებასაც, რომელიც ცოტაა ზომით ან მოცულობით, ან ნაკლებია ხარისხით“[5].

ამათგან, პირველი თავისებურების საილუსტრაციოდ მოყვანილია ზმნები — **შე-ჯდომა** (მე რა მნახა, ცხენსა შ ე ჯ დ ა, ვ. ტ. 110) და **შე-სხდომა** (შ ე ს ხ დ ე ს მეფე და ავთანდილ, იქვე 96), ხოლო მეორე თავისებურების საჩვენებლად — ზმნები: **შე-წითლდა, შე-თეთრდა, შე-ხურდა, შე-თვრა** და სხვანი (**გა-წითლდა, გა-თეთრდა** და ა. შ. ზმნებთან შეპირისპირებით).

სხვა ზმნისწინებთან ერთად **შე-, შემო-** ზმნისწინთა ფუნქციები ძველი ქართულის მასალაზე დაყრდნობით შესწავლილი აქვს ა. მარტიროსოვს. მისი აზრით, **შე-** ზმნისწინი გამოხატავს:

1. გარედან შიგნით მიმართულებას;
2. მოქმედების სიცოტავეს, ოდნაობას;
3. **შე-** ზმნისწინი ძველ ქართულში ზოგიერთ ზმნასთან იმასვე გადმოსცემდა, რასაც **მი-** და **გა-** ზმნისწინები;

---

[1] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, 1855, გვ. 74.
[2] მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, 1906, გვ. 68.
[3] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 249.
[4] იქვე, გვ. 265.
[5] იქვე, გვ. 266.

4. **შ ე მ ო-** ზმნისწინი აღნიშნავდა გარშემო მოქმედებას;

5. ახალ ქართულში **შე-** ზმნისწინი გადმოსცემს ზევითა მიმართულებასაც. ეს მნიშვნელობა კარგადაა დაცული **შეღმა** ზმნისართშიც, რომელსაც დაღმა უპირისპირდება[1].

შე-, შემო- ზმნისწინთა ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან ერთგზისობის წარმოება (დ. ჩუბინაშვილი) ნამდვილად არ შედის ზმნისწინის კომპენტენციაში, ხოლო სრული სახის წარმოება, აწმყოსაგან მომავლის წარმოება და ზმნისათვის მნიშვნელობის შეცვლა (განმარტებითი ლექსიკონი) საერთოდ ყველა ზმნისწინის ნიშანდობლივი მხარეა. ამიტომ ყველა ამათ თუ გამოვაკლებთ, დაგვრჩება ის ფუნქციები, რომლებიც საკუთრივ **შე-, შემო-** ზმნისწინებისთვისაა დამახასიათებელი. აი ესენიც:

1. შ ე-, შ ე მ ო- ზმნისწინები აღნიშნავს გარედან შიგნით მიმართულებას (საბა, დ. ჩუბინაშვილი, მ. ჯანაშვილი, ა. შანიძე, ა. მარტიროსოვი, განმარტებითი ლექსიკონი);

2. შ ე- ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას ქვევიდან ზევით (საბა, ა. შანიძე, ა. მარტიროსოვი, განმარტებითი ლექსიკონი), **ამავე მიმართულებას აღნიშნავს საბასთან შ ე მ ო- ზმნისწინიც.**

3. შ ე მ ო- ზმნისწინი აღნიშნავს გარშემო მოქმედებას (საბა, დ. ჩუბინაშვილი, ა. მარტიროსოვი), ამასვე აღნიშნავს საბასთან **შე-** ზმნისწინიც.

4. შ ე- ზმნისწინი აღნიშნავს მოქმედების სიმცირეს, სიცოტავეს (საბა, ა. შანიძე, ა. მარტიროსოვი, განმარტებითი ლექსიკონი).

შე-, შემო- ზმნისწინთა როგორც ამ, ისე ზოგ სხვა მნიშვნელობას ქვემოთ დაწვრილებით ვეუჩვენებთ ძველი ქართულის მასალაზე დაყრდნობით.

§ 76. შ ე- ზმნისწინის გენეზისისათვის. შე- ზმნისწინი მასალობრივადაც და შინაარსობრივადაც **შინა** თანდებულს უკავშირდება, როგორც ერთი, ისე მეორე შიგნივობას გამოხატავს. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილმა **შე-** ზმნისწინი და **შინა** თანდებული ერთმანეთის შესატყვისად მიიჩნია[2].

გარეშე და **წინაშე** ზმნიზედურ თანდებულებში შემავალ **შე** ელემენტს ნ. მარი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევს. ამასთანავე,

---

[1] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, გვ. 88—89.

[2] Д. Ч у б и н о в, Краткая грузинская грамматика, გვ. 74.

იქვე შესადარებლად მოჰყავს შიგნიერობის აღმნიშვნელი შე- ზმნისწინი[1]. რაც შეეხება შინა თანდებულს, ნ. მარი მის ძირად მიიჩნევს შინ-ს, რომელიც, მისი აზრით, მომდინარეობს შდინ-იდან. ეს კი შედარებული აქვს შფნ, შდნ ძირთან, რაც შენება-ს ნიშნავს[2].

ა. შანიძეს შე- ზმნისწინი შინა-დან გამოყოფილი ში ძირის ფონეტიკურ სახეცვლილებად მიაჩნია. ამიტომ, მისი აზრით, „როცა ვამბობთ «ქალაქ-ში შე-ვიდა»-ო, არსებითად ვიმეორებთ ერთსა და იმავე მორფემას"[3]. შე- ზმნისწინისა და შინა თანდებულის მასალობრივი იგივეობა საერთოდ არავითარ ეჭვს არ იწვევს თანამედროვე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

§ 77. გარედან შიგნით მიმართულების ჩვენება შე-, შემო- ზმნისწინთა მთავარი ფუნქციაა. შე-, შემო- ზმნისწინების ზემოაღნიშნულ ფუნქციათაგან უმთავრესია გარედან შიგნით მიმართულების აღნიშვნა:

.... ნუეჯუე იგი ხოლო შევიდა მარტოჲ, მარტოჲცა განვიდეს; უკუეთუ ცოლიცა მის თანა შევიდეს, განვიდეს ცოლიცა იგი მის თანა (გამოსლ. 21,3);

.... შეყო ქელი მისი წიაღადვე მისა და გამოყო ქელი თჳსი წიაღთაგან და კუალად მოეგო ფერსაე (გამოსლ. 4,7);

.... წმიდაჲ მისი ბეჭედი გუაქუნდინ — ჯუარი აღდგომასა და დაჯდომასა, გარე-განსლვასა და შინა-შემოსლვასა (სინ. მრ. 53, 23—24).

მოცემულ მაგალითებში შე- ან შემო- ზმნისწინიანი ზმნები დაპირისპირებულია სათანადო გან-ზმნისწინიან ზმნებთან. ცხადია, რომ ისინი გარედან შიგნით მიმართულების აღსანიშნავად არიან გამოყენებული. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარედან შიგნით მიმართულება ჩვეულებრივ ნაგულისხმევია ჰორიზონტულ სიბრტყეზე მოძრაობის პირობებში.

საერთოდ, გარედან შიგნით მიმართულების ჩვენება იმდენად ნათელი ფუნქციაა შე-, შემო- ზმნისწინებისა, რომ ბევრი მაგალითის მოყვანა არცაა საჭირო. აქ მხოლოდ ისეთ ნიმუშებს წარმოვადგენთ, რომლებიც საკუთრივ ძველი ქართულისთვისაა დამახასიათებელი.

.... შეავლინე ნავი ეგე ღრმად (ლ. 5,4);
.... შეიტაცეს ლოტ შინა (დაბად. 19,10);

---

[1] Н. Марр. Грамматика древнелит. груз. языка, § 44.
[2] იქვე, § 49.
[3] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 324.

.... ეამ ერთ **შეჰდიან** ეკლესიად (სახ. მეტყვ. 27,17);

.... ვინ იყო იგი, რომელმან მინადირა მე ნადირი და **შემომართუა მ**ჳ (დაბად. 27,33);

.... **შეგუალეთ** და დაისუენეთ ეიდრე ეამადმდე აღდგომისა (აპოკრ. 28,23 E);

.... **შემიგუმირა** მე კუერთხითა მით (სინ. მრ. 64,4);

.... მიუძღუანეს სამოსელი იგი კრელი და **შეართუეს** მამასა მისსა (დაბად. 37,32);

.... მოიღო სასაკუმელ**ჲ** და წმიდასა მას **შეისწრაფდა** დაებრკოლებელად (სინ. მრ. 25,38);

.... **შეიღო** ტაბლაჲ იგი და დააგო მას ზედა დასაგებელი (ვამოსლვ. 40,4);

.... მოვიდოდეს იგინი გზასა და ქალაქსა მას **შეიწეოდეს** (საქმე, 10,9);

.... ხოლო მან კაცთა მათ **შეუწოდა** და მას ღესა მუნ დაიყენნა (საქმე. 10,23).

.... **შეჰხადა** მუნ იესუს (ი. 18,33).

აქ ნიმუშებად მოყვანილია ისეთი ზმნები, რომლებიც დღევანდელ ქართულში ან სრულიად აღარ იხმარებიან (შეგუალეთ, შემიგუმირა, შეიწეოდეს, შეჰხადა). ან ისეთნი, რომლებსაც დღეს განსხვავებული შინაარსი აქვთ (შეიღო — ძველად ნიშნავდა ამას: შ ე ი ტ ა ნ ა. დღევანდელ ქართულში კი ამას: შ ე ი ხ უ რ ა, მაგალითად, კარი) ან კიდევ ისეთნი, რომლებიც დღეს **შე-** ზმნისწინით აღარ იხმარებიან (შეავლინე, შეიტაცეს, შემომართუა, შეისწრაფდა, შეუწოდა). ამის მიუხედავად, ყველა ამ ზმნაში დღევანდელი გაგებითაც გარედან შიგნით მიმართულებაა გადმოცემული.

ისეთი ზმნები კი, როგორიცაა **შეგდება, შევარდნა, შერბენა, შესლვა, შემოსლვა, შემოგდება, შებნევა** და მისთანანი. ახალ ქართულშიც ხშირად გამოიყენება და ძველი ქართულიდან მათი ილუსტრირება აღარ დავისაჭიროეთ.

ყველა ეს ზმნა და ბევრი სხვაც იმას ადასტურებს, რომ **შე-, შემო-** ზმნისწინები გარედან შიგნით მიმართულების გადმოსაცემად იხმარებოდა ძველ ქართულში, მაგრამ ისე. რომ ეს მიმართულება განხილული უნდა ყოფილიყო ჰორიზონტულ მდგომარეობაში.

ცნობილია, რომ ბევრ ზმნასთან ზმნისწინი დღეს მიმართულებას ვეღარ გადმოსცემს, თუმცა ძველ ქართულში გადმოსცემდა. ასეთი შემთხვევები **შე-, შემო-** ზმნისწინების მიმართაც განიხილება. ძალზე ბევრია ისეთი **შე-** და **შემო-**ზმნისწინიანი ზმნები, რომლებიც ძველ ქართულში მიმართულებას გადმოსცემდნენ. დღეს კი ამის უნარს მოკლებული არიან. აი ზოგი მათგანიც:

შ ე ც ხ ო ბ ა: ეს სიტყვა, ეტყობა. თავდაპირველად რისამე (ცომეულის) გარედან შიგნით მიკვრას, მიწებებას ნიშნავდა, მაგრამ

რადგანაც ცომეული შიგნით (მაგალითად, თონეში) გამოცხობის მიზნით შეიცხობოდა, ამიტომ, ეტყობა, **შეცხობა**-მ უკვე ძველსავე ქართულში მიიღო გამოცხობის შინაარსი:

.... რავდენი რაჲ შეაცხოთ, შეაცხეთ (გამოსლვ. 16,23);
.... არა შეიცხოს ცომოვანი (ლევიტ. 6,17).

შერყევა: ამ სიტყვაში გარედან შიგნით მიმართულება რომ იგრძნობოდა, ეს კარგად ჩანს ასეთ წინადადებაში: „**შერყეულნი** უფროჲს განამტკიცენ“ (ჰაბო 3,128—129), სადაც **შე**-ზმნისწინიან სიტყვას **გან**-ზმნისწინიანი ზმნა უპირისპირდება, მართალია, მოცემულ სიტყვასთან **გან**- ზმნისწინი დღეს მიმართულებას ვეღარ გამოხატავს, მაგრამ ჩანს, ძველად ეს რამდენადმე კიდევ იგრძნობოდა. რაც შეეხება **შერყეულს**, ეს ისაა, რაც გარედან შეარყიეს, ე. ი. მასში ნაგულისხმევია სათანადო მიმართულებაც. შემდეგში ეს სიტყვა გააზრებულ იქნა მოქმედების ოდნაობის თვალსაზრისით: „რაჲსა გამოხუედით უდაბნოსა ხილვად? ღერწმისა, ქარისაგან **შერყეულისა**?“ (მ. 11,7).

შეძრვა: აქაც შერყევის ანალოგიურად გარედან შიგნით მიმართულება იგულისხმებოდა: „რომელმან **შეძრის** ცასა ქუეშე საფუძველითურთ და სუეტნი მისნი იძრვიედ“ (იობ. 9,6); „რომელმან **შეძრა** ქუესკნელი“ (მინჩხი იდ. XVII, 4). შემდეგში ამ ზმნაში მიმართულების გაგება თანდათან შესუსტებულა და მის ნაცვლად მოქმედების სიმცირის, ოდნაობის შინაარსი განვითარებულა. ეს პროცესი უკვე ძველსავე ქართულში იგრძნობა: ვითარცა არა **შეიძრა**, გულისკმა-ყო, რამეთუ მომკუდარ არს (საბა. ას. 8,27).

შეცვა: გარედან შიგნით მიმართულება იგრძნობა ასეთ შემთხვევაში: „**შეიცვა** შეუცავი სიტყუაჲ საფლავსა“ (მინჩხი, იდ. XVII, 1), აგრეთვე აქ: „შეუცავი ნათელი **შეგიცვა** ბნელმან“ (იქვე, იგ. XIII, 3). დღევანდელ ქართულშიც გვაქვს სიტყვა „შეიცავს“, მაგრამ იგი უკვე ნაკლებად გვაგრძნობინებს გარედან შიგნით მიმართულებას.

შეცთომა: ეს ზმნაც რომ გარედან შიგნით მიმართულებას გულისხმობდა, კარგად ჩანს ასეთ წინადადებაში: „განვიდა იგი და **შესცთა** უდაბნოსა ჯურღმულსა მას თანა ფიცისასა“ (დაბად. 21,14). დღევანდელ ქართულშიც ასეთ გამოთქმაში — „ფეხი შემიცდა“ — სწორედ გარედან შიგნით მიმართულება იგულისხმება, მაგრამ, ჩანს, რომ ამ სიტყვამ ადრევე განივითარა მეორე მნიშვნელობაც შეცდომისა, რომელიც მიმართულებას აღარ გვაგრძნობინებს. ეს პროცესიც ძველსავე ქართულში (ან უფრო ადრე) დაწყებულა: „აწ

თუ რუბენს ზედა ვინმე ჰგონებდეს ამას თქუმულსა, **შეცთომილ** არს“ (იპ. განმარტ. 263b,10).

შ ე ძ ი ნ ე ბ ა: ძველად შ ე მ ა ტ ე ბ ა ს ნიშნავდა და გარედან შიგნით მიმართულებასაც გულისხმობდა: „მოაკლდა ისაკ და მოკუდა და **შეეძინა** მამათა თჳსთა“ (დაბად. 35,29); შემდეგში **შეძინება**-ს თანდათან განუვითარდა ზოგადად შ ე ძ ე ნ ი ს, მ ა ტ ე ბ ი ს შინაარსი და მივიწყებულ იქნა ამ ზმნაში გარედან შიგნით მიმართულების გაგება. ზოგიერთ კონტექსტში ეს ძველ ქართულშივე იჭრძნობა: „მერმე კუალად **შესძინა** იობ და თქუა იგავით“ (იობ. 29.1).

შ ე დ გ ი ნ ე ბ ა: დღეს გვაქვს შ ე დ გ ე ნ ა ზმნა (შეადგენს, შეადგინა და ა. შ.), რომელშიც **შე**-ზმნისწინი მიმართულებას აღარ გადმოსცემს. ძველ ქართულში კი მისი თემისნიშნიანი ფორმა **შედგინება** — მიმართულებასაც გვაგრძნობინებდა: „რომელნი მამასა მას ყოველთასა ენებასა **შეადგინებენ**“ (იპ. განმარტ. 266a.9).

შ ე მ ა რ ი ლ ე ბ ა: ეს სიტყვა დღეს **და**-ზმნისწინით გამოიყენება და აღარ გვაგრძნობინებს გარედან შიგნით მიმართულებას. ძველ ქართულში კი **შე**- ზმნისწინით იგი ჯერ კიდევ გვაგრძნობინებდა, რომ მარილი შიგნით უნდა შეერიოს: „კეთილ არს მარილი: უკუეთუ მარილი განწბილდეს, რაჲ-მე **შეიმარილოს?**“ (მრ. 9.50 C; შდრ.: „რაჲთა **დ ა ი მ ა რ ი ლ ო ს**“ DE).

შ ე ზ ა ვ ე ბ ა: ეს სიტყვა ძველადაც იხმარებოდა და ახლაც. მაგრამ დღევანდელ ქართულში მასში ნაკლებად იგრძნობა მიმართულება. ზმნას უბრალოდ შ ე რ ე ვ ი ს შინაარსი აქვს, მიმართულების ჩვენების გარეშე, ძველად კი უთუოდ ეს მომენტიც იგულისხმებოდა: „**შეზავენ** ზეცისასა მას ჩემნი ესე ჯორცნი“ (იპ. 25,52—53).

შ ე რ ე ვ ა: იგივე ითქმის ამ ზმნაზეც, რაც შ ე ზ ა ვ ე ბ ი ს შესახებ ითქვა. ნიმუშები: „**შეჰრია** იგი ცხოვართა ლაბანისთა“ (დაბად. 30,40); —მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ ცომსა, რომელ მოიღის დედაკაცმან და **შეჰრია** ფქვილსა სამსა გრივსა“ (მ. 13, 33 C).

ამგვარი ზმნები სწვაც შეიძლება დავასახელოთ. ისინი ძველში რამდენადმე კიდევ იძლეოდნენ გარედან შიგნით მიმართულების გაგებას, ახალ ქართულში კი ეს შინაარსი მივიწყებულია. ბევრმა ზმნამ, რომელსაც **შე**- ზმნისწინი მოუდიოდა (თუ მოუდის), გარედან შიგნით მიმართულების შინაარსი ძველსავე ქართულში დაკარგა, ზოგმაც უფრო ადრე. ეს იმაზე მეტყველებს, რომ **შე**- ზმნისწინი საკმაოდ დიდი ასაკის იყო უკვე ძველსავე ქართულში. ამას კი. თავის მხრივ, ისიც მოწმობს, რომ იგი მასალობრივადაც (ხმოვნითი ელემენტით) განსხვავებულია მონათესავე **შინა** თანდებულისაგან.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ზოგი ისეთი ზმნა, რომელიც კონ-

ტექსტის მიხედვით ძველ ქართულში ხან გვაგრძნობინებდა მიმართულების შინაარსს, ხანაც ვერა. შეიძლება შე-ზმნისწინიანი ისეთი ზმნებიც დავასახელოთ, რომლებსაც უკვე ძველსავე ქართულში ჰქონიათ დაკარგული მიმართულების გადმოცემის უნარი. ასეთებია: შეწირვა, შეწევა (დახმარების შინაარსით), შედგომა (წაყოლის შინაარსით), შედგმა (შედგენის შინაარსით), შეცოდება, შეწამება და სხვანი:

.... შეწიროს იგი საკურთხეველსა ზედა (ლევიტ. 4,19);
.... შემეწია მე ღმერთი და მიეესწორე დასა ჩემსა (დაბად. 30,8);
.... ხოლო რუთ შეუდგა და მოსდევდა მას (რუთ. 1,14);
.... ყოველი დაუტევეთ და შეგიდეგით შენ (აპოკრ. 21,19);
.... და ესე ესაზღვრების ბერძენთა საკელმწიფოსა და ეწოდების ათორ, რომელი შესდგამს სამეუფოსა სპარსთასა (საბა ას. 4,21);
.... არარაჲ შესცოდა იობ წინაშე უფლისა (იობ. 1,22);
.... რას ძჯრის საქმესა შესწამებთ კაცსა მაგას (ი. 18,29 C).

უფრო ძველად ამ ზმნებსაც რომ უნდა გადმოეცა მიმართულება, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ზოგ მათგანს საპირისპირო ორიენტაციის შემო-ზმნისწინიანი ფორმა დღევანდელ ქართულშიც კი მოეპოვება (შეწირვა—შემოწირვა, შეწევა—შემოწევა, შეწამება—შემოწამება). ორიენტაციის საპირისპირო ფორმები კი მიმართულების გადმოცემასთან არის დაკავშირებული. ამ რიგის ზმნებში დღეს მიმართულება გადმოცემულია მხოლოდ ორიენტაციის თვალსაზრისით. უძველეს ქართულში კი იგი გააზრებული უნდა ყოფილიყო გეზის თვალსაზრისითაც.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: გვაქვს ისეთი ზმნები, რომლებიც ადამიანის (ცოცხალი არსების) ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ქმედებას აღნიშნავენ, ანდა გამოხატავენ სხვადასხვა სახის შეგრძნებას.

ასეთი ზმნები პირიან ფორმებში მეტწილად შე- ზმნისწინს დაირთავს. ჩანს, მათშიც ძველად გარედან შიგნით მიმართულება იყო გააზრებული. დღევანდელ ქართულში ასეთ ზმნებს თუმცა შე- ზმნისწინი ისევ შემორჩა, მაგრამ ისინი მიმართულების გაგებას ვეღარ იძლევიან:

.... რომელნი შეშჯომთ სახლებსა ჭურიეთასა (მ. 23,13);
.... გიძლავს შესუმად სასუმელისა მის, რომელსა მე შევსუმიდე (მ. 20,22 C);
.... რამეთუ ყოველთავე შევისუენოთ და აღვდგეთ ამით ჴორცითა (სინ. მრ. 51,28);
.... შეისმინა ღმერთმან ყრმისაჲ მის (დაბად. 21,17);
.... ამბორს-უყო მათ და შეიტკბნა იგინი (დაბად. 48,10);

.... თჳთ მას ტჳნსა შეიწევინ და დაუთმენელად **შეეგონებინ** შენეფხულთა ენებაჲ იგი (სინ. მრ. 119,8—9);
.... აჰა ესენიცა მათ **შეგრძნეს** (აპოკრ. 34,5 E);
.... **შემთნდა** და თაყუანის-ვეც უფალსა (დაბად. 24,48):
.... არა ეგრე **შემიცნობიეს** თავსა ჩემსა (იობ. 9,35);
.... ესმა იაკობს, რამეთუ **შეაგინა** სჳმეჴ, ძემან ემორისმან, დინა, ასული მისი (დაბად. 34,5);
.... არად **შემრაცხეს** მე მახლობელთა ჩემთა (იობ. 19,14):
.... **შეჰრისხნა** მამამან მისმან და ჰრქუა (დაბად. 37,10):
.... მარტჳლად ყოველთა **შეგისწჳეს** შენ (ჯაბო, ე. 99—100);
.... რაჲ **შეგაურვა** თქუენ, რამეთუ სიტყუას-მიგებთ? (იობ. 16,3);
.... სიყუარულითა **შემოუყარე** მე (ჯაბო, ბ. 20);
.... **შემეშინა** მე ფრიად (საბა. ას. 8,36):
.... განჰკრთა კაცი იგი და **შეძრწუნდა** (რუთ. 3,8):
.... დაუმძიმდა და **შეწუხნა** ფრიად (საბა ას. 9,2);
.... **შეეწყალა** ერი იგი (სინ. მრ. 60,21);
.... **შეცბუნდეს** და მირბიოდეს და მოიკითხვიდეს მას (მრ. 9.15 C);
.... რაჲსა **შეშფოთვილ** ხართ და სტირთ (მრ. 5.39 C).

შეიძლებოდა ასეთი ზმნების კიდევ დასახელება, მაგრამ ნიმუშად ესეც კმარა.

ჩვენ უკვე გავიცანით ისეთი შემთხვევები. როცა **შე**-ზმნისწინიანი ზმნები ძველადაც და ახლაც გარედან შიგნით მიმართულებას გადმოსცემენ, ისეთი ზმნებიც, რომლებშიც **შე**- ზმნისწინით ძველად გადმოიცემოდა მიმართულება და დღევანდელ ქართულში კი — ვერა, და ისეთი ზმნებიც, რომლებშიც **შე**- ზმნისწინი ძველ ქართულში ვეღარ გადმოსცემდა მიმართულებას. თუმცა უძველეს ქართულში მისი გაგება უნდა არსებულიყო.

ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ **შე**- ზმნისწინისათვის გარედან შიგნით მიმართულების აღნიშვნის ფუნქცია უძველესია და მისგანაა განვითარებული ამ ზმნისწინის დანარჩენი ფუნქციები.

§ 78. **შ ე**- ზმნისწინი **შ თ ა**-ს მნიშვნელობით: „**შეხუალ** შენ წყალსა მას... მომკუდარი ცოდვითა **შეხუალ** მას და **ა მ ო ხ ჳ დ ე** (დამოხჳდე S) მიერ განმართლებული სიმართლითა“ (სინ. მრ. 88,26—29).

მეტად საყურადღებოა ეს წინადადება. მასში ერთმანეთთან დაპირისპირებულია **შე**- და **ამო**- ზმნისწინები (მართალია, ხელნაწერში **ამო**-ს ადგილას **დამო**- ზმნისწინია, მაგრამ ეს აშკარა შეუსაბამობაა, რადგან წყლიდან ჩ ა მ ო ს ე ლ ა არ შეიძლება, წყლიდან ა მ ო ს ე ლ ა-ზე ლაპარაკი კი ბუნებრივია).

ამო- ზმნისწინის ფუნქცია გარკვეულია: იგი უჩვენებს სიღრმიდან

ქვევიდან ზევით მიმართულებას. მაშასადამე, მის საპირისპიროდ გამოყენებული **შე-** ზმნისწინი ამ შემთხვევაში იმ შინაარსით ყოფილა ნახმარი, რომელიც **შთა-** ზმნისწინს აქვს. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ **შე-** ზმნისწინს შესძლებია, ეჩვენებინა გარედან შიგნით მიმართულება ზევიდან ქვევით მოძრაობის პირობებშიც.

მოგვეპოება თუ არა სხვა სათანადო მაგალითებიც? დიახ, მოგვეპოვება. ქართული ოთხთავის C ხელნაწერში ვკითხულობთ: „არაად არს გარეშე კაცისა **შემავალი**, რომელმანმცა შეუძლო მას შებილწებად“ (მრ. 7,15). იგივე ადგილი D ხელნაწერში ასე იკითხება: „არარად არს გარეშე **შთამავალი** კაცისა, რომელმანმცა შეაგინა იგი“. ჩანს, C ხელნაწერში სიტყვა **შემავალი** იმავე მნიშვნელობითაა ნახმარი, რითაც D ხელნაწერში სიტყვა **შთამავალი**.

იმავე ოთხთავის ხელნაწერებში გვაქვს ასეთი პარალელები:

.... **შეაგდო** იგი საპყრობილესა (მ. 18,30 E);
.... **შესუა** იგი საპყრობილესა C;
.... **შთააგდო** იგი საპყრობილესა D.

როგორც ვხადავთ, **შთა-**ზმნისწინიანი ზმნა (შთააგდო) ენაცვლება **შე-**ზმნისწინიან ზმნებს (შეაგდო, შესუა) და, ცხადია, სამივე ერთსა და იმავე მიმართულებას გულისხმობს.

ოთხთავში შ თ ა გ დ ე ბ ი ს შინაარსით გვხვდება სხვა ზმნებიც:

.... **შეყენებულ** იყო საპყრობილესა შინა (ლ. 23,19 C; შდრ.: **შეგდებულ** იყო საპყრობილესა. იქვე, DE);
.... არღა **შევრდომილ** იყო იოვანე საპყრობილესა (ი. 3,24 E); შდრ.: არღა **შეეგდო** იოჰანე საპყრობილესა. იქვე, C).

ამ მაგალითებშიც **შე-**ზმნისწინიანი ზმნები იმავე შინაარსით იხმარება, რითაც ზემოთ **შთა-**ზმნისწინიანი ზმნა (**შთააგდო**). **შევრდომილი** რომ მართლაც ჩ ა გ დ ე ბ უ ლ ს ნიშნავს, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ საერთოდ, ეს ზმნა **ჩაგდების** შინაარსით გამოიყენებოდა ძველ ქართულში:

.... რომელი-იგი **შევარდა** ქელთა აეაზაკთასა (ლ. 10,36 C, =რომელიც ავაზაკთა ხელში ჩ ა ვ ა რ დ ა);
.... **შეურდა** ფერკთა მისთა და ჰრქუა (ი. 11,32 C; =ჩ ა ვ ა რ დ ა მის ფეხებში და უთხრა, ჩ ა უ ვ ა რ დ ა ფეხებში და უთხრა).

საყურადღებოა, რომ DE რედაქციაში ეს ადგილი ასე იკითხება: „**დავარდა** ფერკთა თანა მისთა და ჰრქუა“, სადაც **დავარდა** ზმნა გამოდის შ ე უ რ დ ა-ს მონაცვლედ. მაგრამ ეს **და-**ც ხომ ქვევითა მიმართულებას გვიჩვენებს! გამოდის, რომ ამ შემთხვევაშიც **შე-** ზმნისწინი გაგებულია როგორც ქვევითა მიმართულების მაჩვენებელი:

.... შევრდომილ არს ფერკი მათი საბრკესა (იობ. 18,8);
.... ესე ჰაბუკი შეურდა წმიდასა საბას (საბა ას. 9,20);
.... აწ შემოვრდომილ ხარ კელთა ჩუენთა (აპოკრ. 37,7 E).

და ბოლოს: ზევიდან ქვევით სიღრმეში მიმართულების გაგებით შევიდა ზმნაც კი გამოიყენებოდა:

.... კ ი ა ნ უ ფ ლ ი ს ა ნ ს ა ფ ლ ა ე ს ა მ ა ს შ ე ვ ი დ ა (სინ. მრ. 131,8).

ეს მაგალითები იმაზე მიუთითებს, რომ ძველ ქართულში იშვიათ შემთხვევაში შე- ზმნისწინი შთა-ს შინაარსითაც გამოიყენებოდა, ე. ი. აღნიშნავდა გარედან შიგნით მიმართულებას ზევიდან ქვევით მოძრაობის პირობებში.

ამასთან ერთად, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტიპის მაგალითები ძალზე იშვიათია. რით ავხსნათ ეს გარემოება? ქართული ენის განვითარების შემდეგ ეტაპზე რომ შე- ზმნისწინის ამ შინაარსით ხმარების შემთხვევები გახშირებულიყო, ვიტყოდით, რომ ძველ ქართულში შე- ზმნისწინის ეს ფუნქცია ჩანასახის სახით იყო მოცემულიო. სინამდვილეში კი ეს ასე არაა. შემდეგში ამგვარი მოვლენები არა თუ არ გახშირდა, არამედ სულაც გაქრა. ამიტომ უფრო სწორი იქნება, თუ ასეთ დასკვნას გავაკეთებთ: გარედან შიგნით მიმართულების ჩვენება ზევიდან ქვევით მოძრაობის პირობებში შე- ზმნისწინისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო შთა- ზმნისწინის ჩამოყალიბებამდე. ამის შემდეგ კი შე- ზმნისწინის ამ ფუნქციით გამოყენების შემთხვევები კლებულობს და უკვე ძველ ქართულში არქაიზმად გამოიყურება.

§ 79. შ ე- ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი ა ღ-ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალ ქართულში შე- ზმნისწინის ერთ-ერთ ფუნქციად მიჩნეულია ქვევიდან ზევით მიმართულების ჩვენება (საბა, ა. შანიძე, ა. მარტიროსოვი, განმარტებითი ლექსიკონი). უნდა ითქვას, რომ თუმცა მეტად შეზღუდულად, მაგრამ მაინც ვლინდება ამის მსგავსი ფუნქცია ძველ ქართულშიც. ქართული ოთხთავის შატბერდულ რედაქციებში გვაქვს ასეთი მონაცვლეობა:

.... და შევიდა ნავსა მოწაფეთა მისთა თანა (მრ. 8,10 DE);
.... კუალად შევიდა ნავსა (მრ. 8.13 DE);
.... განვიდეს და შევიდეს ნავსა (ი. 21,3 E).

.... და მუნქუესკე აღჳდა ნავსა მოწაფითურთ, C;
.... მერმე აღჳდა ნავსა, C;
.... გამოვიდეს და აღჳდეს ნავსა, C.

ჩანს, ნავში ჩასხდომა მიჩნეული იყო, როგორც ქვევიდან ზევით მიმართული მოძრაობა, მოქმედება. ამიტომ C რედაქციამ საამისოდ აღჭდა ზმნა გამოიყენა. DE რედაქცია კი ამავე შინაარსს **შე**-ზმნისწინიანი ზმნით გადმოსცემს (შ ე ვ ი დ ა ნავსა). თუ ეს ასეა, მაშინ აგრეთვე ზევითა მიმართულებისად უნდა გავიგოთ C რედაქციის ეს ადგილიც:

> .... და ვითარცა დამწუხრდა, გარდამოჭდეს მოწაფენი მისნი ზღჳს კიდესა მას და **შესხდეს** ნავსა, წიაღვიდოდეს ზღუასა მას კაპარნაემჲ კერძო (ი. 6,16—17 C).

გამოდის, რომ ქვევიდან ზევით მიმართულებას მოცემულ შემთხვევაში **შე**- ზმნისწინით არა მარტო DE რედაქცია გადმოსცემს (DE-ში იკითხება: **შევიდეს** ნავსა), არამედ C რედაქციაც.

მოცემული შინაარსის გადმოსაცემად **შესხდომა** ზმნა არის გამოყენებული „საქმე მოციქულთა“-ს რედაქციებშიც: „შთავიდეს იგინი სელევკიად, მიერ **შესხდეს** ნავსა და წარემართნეს კჳპრედ“ (საქმე, 13,4 C).

ქვევიდან ზევით მიმართულების გადმოსაცემად გამოიყენება **შე**-ზმნისწინი **შესლვა** ზმნაშიც, როცა ცისკენ მოძრაობაა ნაგულისხმევი:

> .... არასადა **შეხჴდეთ** სასუფეველსა ცათასა (მ. 5,20 C);
> .... უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისა **შესლვაჲ** სასუფეველსა ღმრთისასა, ვიდრე.... (მრ. 9,47 C).

ამავე მიმართულებას უნდა გადმოსცემდეს **შე**- ზმნისწინი **შეჩვენება** ზმნაშიც. **შეაჩვენა**-ს დღევანდელი მნიშვნელობაა დ ა წ ყ ე ვ ლ ა. ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა იგი ძველ ქართულშიც, ძველთაძველი მნიშვნელობა კი უნდა ყოფილიყო ქვევიდან ზევით ჩვენება შესმენის მიზნით (შეაჩვენა=აჩვენა ამან მას იგი — ზევით). ეს რომ ასეა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ზმნის უზმნისწინო ფორმა დღესაც სამპირიანია (აჩვენა მან მას იგი). **შე**-ზმნისწინიანმა ფორმამ (შეაჩვენა) კი, რაკი თანდათან დ ა წ ყ ე ვ ლ ი ს მნიშვნელობა განივითარა, სამპირიანობის გაგებაც დაკარგა: შ ე ა ჩ ვ ე ნ ა მან იგი (შდრ.: დაწყევლა მან იგი).

აი ამ ზმნის გამოყენების შემთხვევები ოთხთავში:

> .... მაშინ იწყო პეტრე **შეჩუენებად** და ფიცად (მ. 26.74; შდრ.: წყევად და ფიცად, C; ნახე აგრეთვე მრ. 14,71);
> .... რომელთა არა იციან შჯული, **შეჩუენებულ**[1] არიან (ი. 7,49 C; შდრ.: რომელმან არა იცის შჯული, წ ყ ე უ ლ არიან, DE).

---

[1] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ზმნას ძველ ქართულში უბრალოდ — ჩ ე ნ ე ბ ი ს, ქ მ ნ ი ს, ყ ო ფ ი ს შინაარსიც ჰქონდა: „რაოდენი ძჳრი **შეაჩუენა**

ამ ორიოდე ზმნაში, რომლებშიაც **შე-** ზმნისწინი ქვევიდან ზევით მიმართულებას უნდა აღნიშნავდეს, ისიც ჩანს, რომ ეს მიმართულება ამავე დროს ნაგულისხმევია არა ზედაპირისაკენ, არამედ სიღრმეში (ს ა ს უ ფ ე ვ ე ლ შ ი შესლვა. ნ ა ვ შ ი შესხდომა, შესლვა= ჩასხდომა).

§ 80. ყოველგვარი მოძრაობის პირობებში გარედან შიგნით მიმართულების აღნიშვნა შ ე- ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქციაა. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ ძველ ქართულში **შე-** ზმნისწინი გარედან შიგნით მიმართულებას აღნიშნავს ჰორიზონტული მოძრაობისას. ისიც ვნახეთ, რომ იგივე **შე-** ზმნისწინი თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც კიდევ ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ა) ზევიდან ქვევით — სიღრმეში მოძრაობისა და ბ) ქვევიდან ზევით — აგრეთვე სიღრმეში მოძრაობის აღსანიშნავად. ამის მიხედვით, ერთი და იგივე **შესლვა** ზმნა გარედან შიგნით — სიღრმეში მოძრაობის აღსანიშნავად მაშინაც გამოიყენებოდა, როცა ეს მოძრაობა ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ უ ლ ად ხორციელდებოდა („რაჟამს შეხვდოდით ს ა ხ ლ ს ა, მოიკითხეთ ი გ ი“: მ. 10, 12 C); მაშინაც, როცა ქ ვ ე ვ ი დ ან ზ ე ვ ი თ მიემართებოდა („**შევიდეს** სასუფეველსა ღმრთისასა“: მ. 19.23) და მაშინაც, როცა ზ ე ვ ი დ ან ქ ვ ე ვ ი თ მიემართებოდა („ჰმაჲ უფლისაჲ ს ა ფ ლ ა ვ ს ა მას **შევიდა**“: სინ. მრ. 131.8).

ყველა ამ შემთხვევას საერთო ერთი რამ მოეპოვება. ესაა **ზოგადად გარედან შიგნით მიმართულების ჩვენება, სიღრმეში მიმართულების ჩვენება** — განურჩევლად იმისა, თუ სად მდებარეობს ეს შიგნითა არე: ზევით, ქვევით თუ წინ.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო **შე-** ზმნისწინის თავდაპირველი მნიშვნელობა. ეს რომ ასეა, ამას ისიც ადასტურებს, რომ **შე-** ზმნისწინთან მასალობრივად დაკავშირებული **ში-** (←**შინა**) თანდებული დღესაც სწორედ ასე ზოგადად გვიჩვენებს შიგნივობას, განურჩევლად იმისა, თუ ჩვენგან საით მდებარეობს სათანადო ადგილი: ზევით — ცაში, ქვევით — მიწაში, თუ ჩვენს წინ (ან უკან) — რაიმე შენობაში.

შე- ზმნისწინის შინაარსობრივი კონკრეტიზაცია შემდეგი. მეო-

წმიდათა შენთა იერუსალ*ჱმს შინა*“ (საქმე, 9,13 Ქ); „ნუეკუე ძჳრი იქსენოს იოსებ ჩუენთჳს და მოგუაგოს მოსაგებელი ჩუენი ყოელისა მისთჳს ბოროტისა, რომელი **შევაჩუენეთ**“ (დაბად. 50,15); „მიუტევენ სიცრუენი და ცოდვანი მჴნი, რამეთუ ბოროტი **შეგაჩუენეს** შენ“ (დაბად. 50,17).

რეული მოვლენა უნდა იყოს: **აღ-** ზმნისწინის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ეტყობა, მან დიდი ხნის წინათ აიღო ხელი სიღრმეში ქვევიდან ზევითა მიმართულების აღნიშვნაზე (ამით უნდა აიხსნას ძველ ქართულში სათანადო მაგალითების სიმცირე), ხოლო უფრო გვიან **შთა-** ზმნისწინის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით იგი ასევე განთავისუფლდა ზევიდან ქვევით მოძრაობის პირობებში შიგნითკენ მიმართულების აღნიშვნისაგან.

რაც შეეხება **შე-** ზმნისწინის დანიშნულებას — აღნიშნოს ქვევიდან ზევით მიმართულება ზოგადად — ყოველგვარ პირობებში, ეს ფუნქცია გვიანი შენაძენია, იმდენად გვიანი, რომ ძველ ქართულში სათანადო მაგალითები თითქმის არც დაიძებნება. გვაქვს ორიოდე ასეთი შემთხვევა:

.... მზირთა მათ **შეიმართეს** და განეფინნეს გაბას შინა (მსაჯ. 20,37);
.... **შეხუაბთ** ესე კარი სალოცველად სულთა.... (ბოლნისის წარწერა);
.... ჰბრძავენ პრაკთა მათ და **შეეკიდნიან** რტონი მისნი პრაკთა მათ და რტოთა მისთა (სახ. მეტყვ 3,18).

მაგრამ, თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ **შეხუაბთ** და **შეეკიდნიან** ზმნები თითქოს შიგნით, სიღრმისაკენ მიმართულებასაც გვაგულისხმებინებენ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ქვევიდან ზევით მიმართულების აღსანიშნავად ძველ ქართულში **შე-** ზმნისწინი ძალზე იშვიათად იხმარება, და როცა იხმარება, მაშინაც მას მეტწილად სიღრმეში მოძრაობის გაგება ახლავს. ამ მხრივ დამახასიათებელია ის, რომ ისეთი ზმნაც კი, როგორიცაა **ჯდომა**, ზევითკენ მიმართულების გადმოსაცემად **აღ-** ზმნისწინს იყენებდა (**აღჯდომა**) და არა **შე-** ზმნისწინს (შდრ.: დღევანდელი ზმნა **შეჯდომა**).

შემდეგში კი, უკვე საშუალ ქართულში **შე-** ზმნისწინმა ხელახლა განივითარა ქვევიდან ზევითა მიმართულების აღნიშვნის ფუნქცია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ახლა იგი უკვე აღარ გულისხმობს ზევით სიღრმეში მიმართულებას, გარედან შიგნით მიმართულებას. ამისი მაგალითები საკმაოდ მოიპოვება შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსანშიც“:

.... ცხენთა **შესხდეს** უკეთესთა, სახედარნი ასუბუქდეს (1600,2);
.... შეეკაზმა, მეფე **შეჯდა**, ნადირობას გამოვიდეს (73,1);
.... ცხენსა **შემსვა**, უკაპარჭო, წელთა არა არ შემაბა (367,2);
.... მეფე გაწყრა, გაგულისდა, ღაშქარნიცა **შეუზახნა** (95,1);
.... იგი ნახეს, გასაქცეველად გაემართნეს, **შევჰკივლენით** (451,1).

§ 81. **შე-, შემო- ზმნისწინთა მეორეული ფუნქციები.** ზოგადად გარედან შიგნით მიმართულების ჩვენება **შე-** ზმნისწინის თავდაპირველი ფუნქციაა, რომელმაც სხვა ზმნისწინთა ჩამოყალიბების შემდეგ ერთგვარი კონკრეტიზაცია განიცადა: უკვე ძველ ქართულში და შემდეგაც **შე-** ზმნისწინი (აგრეთვე **შემო-**) ძირითადად გარედან შიგნით მიმართულებას აღნიშნავს ჰორიზონტული მოძრაობის პირობებში. ეს არის მისი მთავარი ფუნქცია ძველ ქართულშიც და ახალშიც. ქვევიდან ზევით მიმართულების შესახებ (იმ სახით, როგორითაც ის მოცემულია ახალ ქართულში) აღინიშნა, რომ იგი მისი მეორეული, შენაძენი ფუნქციაა და არა ძირითადი.

ამას გარდა, **შე-, შემო-** ზმნისწინებმა რიგი სხვა ფუნქციებიც განივითარეს. აქ მოკლედ შევეხებით მათაც.

ა) **გარედან შეხების, ზედაპირზე მოქმედების აღნიშვნა**

გარედან შიგნით მიმართულება გარკვეულ მომენტში ზედაპირზე შეხებასაც გულისხმობს. მაგალითად, **შეანგრია-ო**, რომ ვიტყვით, ეს ამას ნიშნავს: ჯერ ზედაპირზე შეეხო და შემდეგ იგი შიგნითა მიმართულებით დაანგრია, ანუ შ ე ა ნ გ რ ი ა.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ **შე-, შემო-** ზმნისწინებმა ცალკეულ ზმნებთან სწორედ ზედაპირზე შეხების, ზედაპირზე ზემოქმედების შინაარსი განივითარეს. განვიხილოთ ზოგიერთი ზმნა:

შ ე ს ხ მ ა: ეს ზმნა თითქოს გულისხმობს გარედან შიგნით მიმართულებასაც. ავიღოთ ასეთი წინადადება: „სალტენი ოქროჲსანი ...**შეასხნა** ჴელთა მისთა“ (დაბად. 24,22). აქ სუბიექტი ამოძრავებს პირდაპირ დამატებას (ოქროს სალტეებს).

როცა მიმართულებაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება სუბიექტის ან პირდაპირი ობიექტის მოძრაობის მიმართულება. აქედან გამომდინარე, როცა გარედან შიგნით მიმართულებაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება, რომ რისამე შიგნით მიემართება სუბიექტი (გარდაუვალ ზმნებში) ან პირდაპირი ობიექტი (გარდამავალ ზმნებში).

მოცემულ წინადადებაში, მართალია, პირდაპირი ობიექტი მოძრაობს, მაგრამ იგი სულაც არ მიემართება გარედან შიგნით. პირიქით, იგი გარეთ რჩება, შიგნით კი ის ეჭცევა, რაც არ მოძრაობდა (ჴელნი).

ამგვარად, ამ შემთხვევაში რაღაც კი ეჭცევა რიღაცის შიგნით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ, რაც მოძრაობს, თვითონ ის გარეთ რჩება და გარედან ეხება მის შიგნით მოქცეულ უძრავ საგანს. ამიტომ ამ შემთხვევაში გარედან შიგნით მიმართულების ნაცვლად, უფრო სწო-

რი იქნება, ვილაპარაკოთ გარედან შეხების შესახებ, ზედაპირზე გარედან მოქმედების შესახებ. ასეთივე შინაარსი აქვს **შესხმა** ზმნას აქაც:

.... **შეასხა** მათ ჯამლები (ლევიტ. 8,7);
.... შენგან კორცნი **შეისხნა** ღმერთმან და იშვა ვითარცა კაცი (სინ. მრ.. 16,1);
.... შეირტყ სარტყელი და **შეისხენ** სანდალნი შენნი (საქმე, 12,8 C).

ზუსტად ასევე შეიძლება გავიმეოროთ ისეთი ზმნების შესახებ, როგორიცაა **შეცუმა, შემოსა:**

.... **შეაცუთ** ბეჭედი ჴელსა მისსა (ლ. 15,22);
.... განიძარცოს სამოსელი მისი და **შეიმოსოს** სხუაჲ (ლევიტ. 6,11).

გვაქვს შე-ზმნისწინიანი ისეთი ზმნებიც, რომლებიც სულაც აღარ გვაგრძნობინებენ რისამე შიგნით მოქცევას, ხოლო კარგად გვაგრძნობინებენ ზედაპირზე შეხებას. ასეთია პირველ ყოვლისა **შეხება** ზმნა, რომელიც თავისი ძირეული შინაარსითაც შეხებას, მიხებას გულისხმობს:

.... მიავლინე ჴელი შენი და **შეახე** ყოველსა (იობ. 1,11);
.... ყოველი, რომელი **შეეხოს** მას, განწმიდნეს (ლევიტ. 6,18);
.... და თუ **შეეხის** მამალი [ქვაჲ] დედალსა მას, ცეცხლი აღატყდის (სახ. მეტყვ. 4,6);
.... ნუ **შემომეხები** (იჰ. 25,14—15).

აი, **შე-** ზმნისწინიანი სხვა ზმნებიც, რომლებიც ზედაპირზე მოქმედებას, შეხებას აღნიშნავენ:


.... ეგრეცა დიდად მწინკულითა **შემღებე** მე (იობ. 9,31);
.... რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა ჩჩჳლითა სამოსლითა **შემკულისა?** მ. 11,8 C;
.... ყოველი იგი ერი ეძიებდა **შეახლებად** მისა (ლ. 6,19); (შეახლებად=შეხებად);
.... ხოლო იგი ძწოდა და ვერ იკადრებდა **შეახლებად** მისა (სინ. მრ. 80,12);
.... და **შეიხჯა** სამკუდროჲთა ტილოჲთა (სინ. მრ. 50,22);
.... **შეჰგრაგნა** იგი ამრენაკსა წმიდასა (მ. 27,59);
.... და მოაელინოს, რომელსა-იგი თქუენ ხელი **შ ე ჰ ყ ა ვ თ.** ქრისტჱ იესუ (საქმე, 3,20 C).

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ხაზგასმულ ზმნებში რამდენადმე კიდევ იგრძნობა გარედან შიგნით მიმართულების შინაარსი.

დღევანდელ ქართულში გვაქვს სიტყვა **შემურვა,** რაც გარედან გ ა მ უ რ ვ ა ს ნიშნავს. ეს სიტყვა ძველ ქართულშიც გვქონდა. მაგ-

რამ იგი გარედან გამურვის შინაარსით კი არა, შიგნიდან გამურვის, მურის გარევის შინაარსით იხმარებოდა: „მისცემდეს მას სუმად **შემურვილსა** ღვნოსა (მრ. 15.23).

და- ზმნისწინის განხილვისას ჩვენ ნათქვამი გვაქვს, რომ მისი ფუნქციაა, აღნიშნოს ზედაპირისაკენ მიმართულება. ახლა კი იმაზე ვლაპარაკობთ, რომ **შე-** ზმნისწინიც გარკვეულ შემთხვევებში ზედაპირზე შეხებას გამოხატავს. მაშინ რაღა განსხვავებაა ამ თვალსაზრისით **და-** და **შე-** ზმნისწინებს შორის და, საერთოდ, არის თუ არა ასეთი განსხვავება? — განსხვავება უთუოდ არის: **და-** ზმნისწინი აღნიშნავს ჰორიზონტული ზედაპირისაკენ ვერტიკალურ მიმართულებას (ზევიდან ქვევით): დადგა, დაეცა... **შე-** ზმნისწინი კი ზოგჯერ აგრეთვე აღნიშნავს რა ზედაპირზე შეხებას, ზედაპირისადმი ქმედებას, ეს **შეხება** განიხილება, როგორც ვერტიკალურ მდებარეობაში მყოფი სიბრტყისადმი ჰორიზონტულად მიმართული მოძრაობა (ნახ. 15).



ნახ. 15.

ბ) ურთიერთდაპირისპირებული მოძრაობის აღნიშვნა

შე- ზმნისწინმა განივითარა აგრეთვე ერთი მნიშვნელობაც. ესაა ურთიერთდაპირისპირებული მოძრაობის, მიმართულების აღნიშვნა, როცა ორი სხვადასხვა სუბიექტი ურთიერთსაპირისპიროდ მოძრაობს და ერთმანეთს უახლოვდება ურთიერთშეხებამდეც-კი. ამ შინაარსით **შე-** ზმნისწინის გამოყენების შემთხვევები ახალ ქართულშიც გვაქვს და ძველშიც. აი სათანადო ნიმუშები:

.... იაკობ წარვიდა გზასა თჳსსა მშჳდობით... და **შეემთხჳნეს** მას ანგელოზნი ღმრთისანი (დაბად. 32,1);

.... იგიცა მოვალს **შემთხუევად** შენდა (დაბად. 32,6);

.... შე-ღათუ-მხუდეს შენ თანა სიკუდილი (მრ. 14,31 C);

.... **შეიხილნეს** ურთიერთას მოწაფეთა მისთა (ი. 13,22 C);

.... შეეახლოს მოსე ხოლო ღმერთსა, ხოლო იგინი არა მ ი ე ა ხ ლ ნ ე ნ (გამოსლვ. 24,2).

ახალ ქართულში ამ შინაარსით **შე-** ზმნისწინი იხმარება ზმნებში **შეჯახება** (შდრ.: დაჯახება), **შეტაკება** (შდრ.: დატაკება) და სხვ.

გ) შ ე ე რ თ ე ბ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი ს გ ა დ მ ო ც ე მ ა

ურთიერთდაპირისპირებული მოძრაობის შინაარსთან ახლოსაა შეერთების შინაარსი, რომელიც აგრეთვე **შე-**, **შემო-** ზმნისწინიანი ზმნებით გადმოიცემა. აი სათანადო ნიმუშები ძველი ქართულიდან:

.... მერმე კუალად სამართალსავე **შეერთენით** (იობ. 6,29);

.... ტევანნი გამომარცულნის და მოკუფხლნის და ქუე გარდამოაბნიის და გარდამოკდის, **შეაკოლტის ე რ თ ა დ** (სახ. მეტყვ. 17,11);

.... **შეკრიბა** მას შინა სიმრავლ**ჲ** ძმათაჲ (საბა. ას. 11,11);

.... ყოველნი ნათესავნი **შეკრბით** და მოვედით (იპ. 4,5-6);

.... **შეამტკიცა** იგი მათ (ლევიტ. 8,7);

.... იხილა მუნ იუდა ასული კაცისა ქანანელისაჲ... მოიყვანა იგი და **შეირთო** (დაბად. 38,2);

.... და **შეეყო** სული მისი დინას, ასულსა იაკობისსა, და შეიყუარა ქალწული იგი (დაბად. 34,3);

.... გარქუ თქუენ, ვითარმედ შემძლებელ ვარ-ღა და **შევეყო** ქმარსა და ვშვნე მე ძენი (რუთ. 1,12);

.... და წარჰკუეთნეს **შეწებულად** ფრთითურთ და გამოიხუნეს იგი საკურთხეველისაგან (ლევიტ. 1,16);

.... რომელნი-იგი ღმერთმან **შეაუღლნა**, კაცი ნუ განაშორებს (მ. 19,6);

.... **შეაბრძყნო** ეზოები იგი ურთიერთას კარშიკებითა (გამოსლვ. 26,6);

.... **შეთხზეს** გვრგვნი ეკალთაგან (მ. 27,29);

.... **შეითქუნეს** არამ და ეფრემ თანად (ესაჲა 7,2);

.... ესე ყოველნი **შეითქუნეს** ღელესა მას მარილოანსა (დაბად. 14,3);

.... **შეითქუნეს** მეფენი ქუეყანისანი (იპ. განმარტ. 263a,23).

დ) გ ა რ შ ე მ ო მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა ღ ნ ი შ ვ ნ ა

შემო- ზმნისწინი გარშემო მოძრაობას, მოქმედებას რომ აღნიშნავს, ეს მითითებული აქვთ საბას, დ. ჩუბინაშვილს და ა. მარტიროსოვს (იხ. § 75).

დასახელებულ ზმნისწინს ეს შინაარსი ძველ ქართულშიც ჰქონდა:

.... რათა გარეშეწერით **შემოვვლოთ**, სიმგრგულე მათ ადგილთაჲ (ზარზმ. 159,16);

....ხვალე განთიადითგან, ვიდრე მწუხრამდე....**შემოწერით შემოვლონ**, (ზარზმ. 158,21—22);

.... მოუწოდა იოსებ ძეთა თჳსთა და ჰრქუა: **შემომიკერბით** და გითხრა თქუენ (დაბად. 49,1);

.... შემოეკრიბა თესლ-ტომი მისი და საყუარელნი მეგობარნი მისნი (საქმე, 10,24 Ქ);
.... შემოკრბეს მოციქულნი იესუჲსა (მრ. 6,30).

საგულისხმოა, რომ ზოგიერთ ზმნასთან გარშემო მოქმედების შინაარსს შე- ზმნისწინიც გადმოსცემს. ასეთი ზმნებია: შერტყმა, შეხუევა, შებრატნა, შეგოზება და სხვანი. აი სათანადო ნიმუშები ძველი ქართულიდან:

.... შეირტყ სარტყელი და შეისხენ სანდალნი შენნი (საქმე. 12,8 Ც);
.... ნუუკეე შენცა.... შეიბრატნო და შეიხჯო მახჳსა მას (სახ. მეტყვ. 3,45);
.... შეიგოზის თავი თჳსი თიკითა და მიუკდის მარტოდ (სახ. მეტყვ. 29,7);
.... რომელმან დაასხა ვენაკი და შეზღუდა იგი (მ. 21,33 C):
.... ერნი გარე მოგადგან შენ და შეგაიწრებენ შენ (ლ. 8,45).

ამ მხრივ საინტერესოა საბასთან შეძრობა სიტყვის განმარტება: ქერქის შემორთმაო.

ე) მოქმედების ოდნაობის აღნიშვნა

მოქმედების სიმცირის, სიცოტავის. ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ოდნაობის ჩვენება შე- ზმნისწინის ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია ახალ ქართულში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შე- ზმნისწინის ეს თვისება უკვე კარგა ხანია შემჩნეულია და საერთოდაც აღიარებულია (საბა, ა. შანიძე, ა. მარტიროსოვი. განმარტებითი ლექსიკონი). ასე რომ, ამ მხრივ დასამატებელი არაფერია. ჩვენ მხოლოდ იმაზე მივუთითებთ, რომ ეს თვისება შე- ზმნისწინს ძველ ქართულშიც ჰქონდა, რაც არაერთ ზმნაში ვლინდება:

.... არა ერთისა ქალისა მკეცლისა სიტყჳსა შეშინდა და შებრკოლდაა? (სინ. მრ. 103,11);
.... უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი ჴორციელი, ხოლო რჩეულთა მათთჳს შემოკლდენ დღენი იგი (მ. 24,22);
.... ტყავი და ჴორცი შემმოსე, ძუალითა და ძარღჳთა შემამაგრე მე (იობ. 10,11);
... რომლითა საწყაულითა ჰწყჳდეთ, მითჳე მოგეწყოს თქუენ და შეგემატოს თქუენ (მრ. 4,24 C):
.... რამეთუ ნაყროვანებამან შეამძიმნის ჴორცნი და აურვებნ ასოთა (სინ. მრ. 112,25);
.... ოდეს შემწუხრდა და შეჴრბეს ღოცვად მწუხრისა ჟამსა (საბა ას. 8,30);
.... შე-ოდენ-რიჟუნებოდა, და არღა მოსრულ იყო მათა იესე (ი. 6,17);
.... მოვიდოდა იესუ ქალაქად და შეემშია (მ. 21,18);

.... შეინანე შენ აწ (საქმე, 8,22);

.... კუდითა თჳსითა კუალსა მას შეჰრყუნინ (სახ. მეტყვ. 2,15);

.... რაჲთა შეისოვლნენ ფერკნი შენნი სისხლითა (ფს. 67,24):

.... თჳთ ცეცხლი აღანთის და თავი შეიწჳს (სახ. მეტყვ. 10,22); შევიწუებოდე სიცხითა დღისაჲთა და ნეფხვითა ღამისაჲთა (დაბად. 31,40);

.... რომელი შეემსახურა საქმესა მას (გამოსელ. 39,1);

.... ვითარცა შეიშრვის მწჯრჳ იგი, შეუკდის პირსა მის კორკოდინოს მჴეცისასა (სახ. მეტყვ. 28,12);

.... ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ შემსგავსებით ქებასა სათნოებათა შენთასა (მინჩხი, კგ. VIII, 2-3).

ისეთი ზმნების სიუხვე, რომლებშიც შე- ზმნისწინს ოდნაობის გაგება შეაქვს, იმაზე მეტყველებს, რომ ძველ ქართულში შე- ზმნისწინს ეს მნიშვნელობა უკვე საკმაოდ განვითარებული ჰქონია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შე- ზმნისწინის ეს მნიშვნელობა განვითარებული ჩანს მისი ძირითადი ფუნქციისაგან—მოქმედების შიგნით მიმართულების ჩვენებისაგან. აქ დასახელებულ ზმნებშიც შეიძლება. რამდენადმე კიდევ შევიგრძნოთ მოქმედების შიგნით მიმართულება (შემაგრება, შემოკლება, შემატება, შენანება, შემშევა, შეწუვა, შემსახურება).

*

* *

ამგვარად, შე-, შემო- ზმნისწინთა თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ზოგადად გარედან შიგნით მიმართულების ჩვენება ყოველგვარ ვითარებაში (ჰორიზონტული თუ ვერტიკალური მოძრაობის პირობებში), შემდეგში აღ- და შთა- ზმნისწინთა ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით მომხდარია მისი ამ შინაარსის კონკრეტიზაცია. ასე რომ, უკვე ძველ ქართულში შე-, შემო- წმნისწინებაი გარედან შიგნით მიმართულებას გამოხატავენ ძირითადად ჰორიზონტული მოძრაობის პირობებში. რაც შეეხება ქვევიდან ზევით მიმართულების ჩვენებას, ეს ფუნქცია შე- ზმნისწინს საშუალ ქართულში განუვითარდა და ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ახალ ქართულშიც.

შე-, შემო- ზმნისწინთა ისეთი თვისებები, როგორიცაა გარედან შეხების, ზედაპირზე მოქმედების აღნიშვნა, ურთიერთდაპირისპირებულ მოძრაობათა აღნიშვნა, შეერთების შინაარსის გადმოცემა გარშემო მოძრაობისა და მოქმედების ოდნაობის აღნიშვნა,—ესენი დასახელებულ ზმნისწინთა მეორეული ფუნქციებია და განვითარებული ჩანან ამავე ზმნისწინთა ძირითადი ფუნქციისაგან.

§ 82. გ ა ნ-, გ ა მ ო- ზმნისწინთა შესწავლის ისტორიიდან. გან-, გამო- ზმნისწინები გეზის მიხედვით შე-, შემო- ზმნისწინებს უპირისპირდებიან და შიგნიდან გარეთ მიმართულებას აღნიშნავენ, მაგრამ თავიანთი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მათ ზოგი სხვა ფუნქციაც ჩამოუყალიბდათ. ასე რომ, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, და- ზმნისწინთან ერთად გა- ზმნისწინს ყველაზე მეტად განუვითარდა მეორეული მნიშვნელობა[1].

გან-, გამო- ზმნისწინიანი სიტყვები უხვად აქვს განმარტებული თავის ლექსიკონში სულხან-საბა ორბელიანს [2].

გან- ზმნისწინიან სიტყვათა განმარტებებისას საბა ყველაზე ხშირად გ ა ც ი ლ ე ბ ი ს, გ ა შ ო რ ე ბ ი ს შინაარსს გამოყოფს:

გაგდება არს, რა უსელო განიშორო, ხოლო გაძება — რა სულიერი განიშორო;
განვიბიწნეთ — ბიწნი განეიყარნეთ;
გააურევინე — გაცვივნება უყავ;
განტევება — გაშვება;
გაჰყირტვა — შორს განერწყვა.

საბას მიხედვით, გან- ზმნისწინის მეორე ფუნქციაა, უჩვენოს რაიმეში გავლა, გატარება, ისეთი მოქმედება, რომელიც სრულდება არა გარედან შიგნით, არა შიგნიდან გარეთ, არამედ ერთდროულად გ ა რ ე დ ა ნ შ ი გ ნ ი თ და გ ა რ ე თ. აი, ასეთ განმარტებათა ნიმუშებიც:

განცმა — შიგ გაყრა;
გაცმული — გაყრილი;
გაცრა — ფქვლის საცერში გადენა;
გაჰრა — მახვლით გაკეთება.

რაც შეეხება შიგნიდან გარეთ მიმართულების აღნიშვნას, ამ ფუნქციით საბასთან თითქმის არცერთი გან- ზმნისწინიანი ზმნა არაა დახასიათებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასეთ ნიმუშს:

განსვლა — გარ წასვლა.

სამაგიეროდ, უნდა ითქვას, რომ გამო- ზმნისწინიანი ზმნები საბას ლექსიკონში სწორედ შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენების თვალსაზრისით განიმარტება:

გამოსლვა — ქუშყნით გინა სახლით გამოცლა, დატევება;

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 260.
[2] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი.

გამოტანა — შიგნიდამ გარ გამოღება;
გამოღება — შიგნიდამ გამოტანა;
გამოყვანა — ქვეყანით ან სახლით გამოასხას;
გამოჭრა — შიგნიდამ გარ ჩქარა გამოსლვა.

გან- ზმნისწინის 6 სხვადასხვა მნიშვნელობას ჩამოთვლის დ. ჩუბინაშვილი. სახელდობრ, **გან-** ზმნისწინი, მისი აზრით, აღნიშნავს: 1. შიგნიდან მოძრაობას (განვალ სახლიდამ), 2. საგნისაგან დაშორებას (განრიდება), 3. მოქმედების დამთავრებას (გათბობა), 4. რაიმეში ან რაიმეზე გავლას ერთი მიმართულებით (სიონის ქუჩაზედ გაატარეს), 5. დანაწილებას (გაგლიჯა ორ ნაჭრად), 6. მოქმედების გავრცელებას მთელ საგანზე (გამხიარულება).

რაც შეეხება **გამო-** ზმნისწინს. დ. ჩუბინაშვილის აზრით, იგი მხოლოდ შიგნიდან გარეთ მოძრაობას აღნიშნავს (გამოვიღებ უჯრიდამ, გამოვიტან სახლიდამ) [1].

გან- ზმნისწინის დახასიათებისას ა. მარტიროსოვი წერს, რომ ეს ზმნისწინი: ა) აღნიშნავს მოძრაობის მიმართულებას შიგნიდან გარეთ, ბ) ავლენს **მი-** ზმნისწინთან საზიარო ფუნქციას და გ) აღნიშნავს მოცილებას, მოშორებას მიმართულების ჩვენების გარეშე [2].

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **გან-, გამო-** ზმნისწინთა ოთხი ფუნქციაა აღნიშნული: 1. შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენება, 2. სრული სახის წარმოება, 3. აწმყოს ფორმისათვის მყოფადის შინაარსის მიცემა და 4. ზოგჯერ სიტყვის მნიშვნელობის არსებითი შეცვლა.

თუ გავიხსენებთ, რომ სრული ასპექტისა და აწმყოსაგან მომავლის ფორმების წარმოება, აგრეთვე ახალი მნიშვნელობის მქონე სიტყვათა წარმოება, საერთოდ, ყველა ზმნისწინის ფუნქციაა, მაშინ ზემოდასახელებული ფუნქციებიდან **გან-** ზმნისწინის ნიშანდობლივ ფუნქციად რჩება შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენება და მისგან განვითარებული მეორეული მნიშვნელობანი—აღნიშნოს საგნისაგან დაშორება, მოქმედება რაიმეში ან რაიმეზე გავლით, დაყოფა-დანაწევრება და მოქმედების გავრცელება მთელ საგანზე.

§ 83. გან- ზმნისწინის გენეზისისათვის. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებულია **გან-** ზმნისწინის

---

1 Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 73.

2 ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იქვე, ტ. V, გვ. 89.

გენეტური კავშირი -**გან** თანდებულთან. მაგალითად, როცა ზმნისწინებისა და თანდებულების ურთიერთობის შესახებ ლაპარაკობს. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ სხვებთან შედარებით „კიდევ უფრო ნათელია იგივეობა **გან** თანდებულისა და **გან** ზმნისწინისა" [1].

ამავე აზრს გამოთქვამს ა. მარტიროსოვიც, როცა იგი მიუთითებს, რომ **გან-** ზმნისწინი მასალითა და ფუნქციით -**გან** თანდებულს უკავშირდება[2].

გან- ზმნისწინისა და -**გან** თანდებულის ამ იგივეობის დანახვამ პ. ჯაჯანიძეს ის დასკვნა გააკეთებინა, რომ „თუ ზმნას **გან-** პრევერბი აქვს, ძველ ქართულში მასთან დაკავშირებულ სახელს არ სჭირდება -**გან** თანდებული...[3], რადგან „მნიშვნელობა, რომელიც შემდეგ ადგილის აღმნიშვნელ სიტყვასთან -**გან** თანდებულმა დაიკისრა, დასახელებული ზმნისწინებით იყო გამოხატული: ენა ერთისა და იმავე ფუნქციისათვის... ორ მორფემას ვერ იგუებდა"[4].

გან- ზმნისწინისა და -**გან** თანდებულის მასალობრივი იგივეობის აღიარება ეს იმას ნიშნავს, რომ მათი გენეზისიც ერთნაირად დაგვესახოს.

გან- ზმნისწინში, ისევე როგორც -**გან** თანდებულში, გამოიყოფა ძირისეული მასალა **გა** და დეტერმინანტი **ნ**.[5] ეს დეტერმინანტი იგივე უნდა იყოს, რაც ზოგ სხვა თანდებულსა და ზმნიზედაშიც დასტურდება და რომელიც წარმომავლობით მიცემით-მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად გამოიყურება. ნ. მარი თავის „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაში" -**გან** თანდებულში შემავალ **ნ**-ს ძირეული მასალისაგან გამოყოფდა. როგორც II მიცემითის ნიშანს[6]. ხოლო უფრო გვიან მ. ბრიერთან ერთად გამოცემულ „ქართულ ენაში" **ნა**-ზე დაბოლოებულ ზმნიზედებს ლოკატივად მიიჩნევდა[7]. რაც შეეხება ძირისეულ მასალა **გა**-ს, იგი ნ. მარს მიაჩნდა სპარსულიდან მომდინარე **გა** სიტყვად (—ای). რაც ადგილს აღნიშნავს. სწორედ ეს ადგილის გაგება შეაქვს, მარის აზრით, -**გან**

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები. I. 1953, § 324.

[2] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, 1953, გვ. 88

[3] პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, ზოგი ზნისწინისა და თანდებულის ურთიერთობისათვის: ჭკიშ, XI, 1953, გვ. 113.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 115.

[5] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 88; მ ი ს ი ვ ე, თანდებული ქართულში: იკე, I, 1946, გვ. 228.

[6] H. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка, § 39.

[7] N. Marr et M. Brière, La langue georgienne, §§ 231—232.

თანდებულს იმ სიტყვებში, რომელთაც ის დაერთვის: ერთ-გა-ნ «в одном месте» სხუა-გა-ნ «в другом месте», ყოველ-გა-ნ «во всяком месте»[1], როგორც ნ. მარი მიუთითებს, **-განი** თანდებულს ადგილის გაგება შეაქვს სიტყვაში მაშინაც, როცა იგი ამ უკანასკნელს მოქმედებითი ბრუნვის ფორმაზე დაერთვის რუსული из-, от- წინდებულების მნიშვნელობით: **ქალაქითგან** «из города»[2].

-განი თანდებულისა და **განი-** ზმნისწინის მნიშვნელობა ადგილის გაგებასთან აქვს დაკავშირებული ვუკ. ბერიძესაც. **საგან** სიტყვის ეტიმოლოგიური გამოკვლევისას იგი გამოყოფს **სა-** პრეფიქსს და **გან** სუბსტრატს[3]. **გან**-ის შესახებ კი აღნიშნავს, რომ იგი ძველად ისრის სასროლს, მიზანს აღნიშნავდა: „გარდაიცუა მშუილდსა თჳსსა და განმავსო მე ვითარცა **განი** ისრითა“ (ბიბლია, ოშკის ხელნაწ. III, 21) — Натянул лук свой и поставил меня как бы целью для стрел.

მაგრამ, ავტორის აზრით, **განი** სიტყვის, როგორც მიზნის, მნიშვნელობა არაა პირველადი. თავდაპირველად **განი** სხვა რამეს აღნიშნავდა, სახელდობრ, ა დ გ ი ლ ს.

„**გან**-ი ადგილია და მისი ეს მნიშვნელობა დაცულია -განი თანდებულში.... როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ **ერთგან**, ეს სხვა არაფერია, თუ არ ერთ ადგილას... **ყველგან** — ყველა ადგილას, **ბევრგან** — ბევრ ადგილას, **სხვაგან** — სხვა ადგილას, **ზოგან** — ზოგ ადგილას....“[4]

„მაგრამ **განის**, როგორც ადგილის, მნიშვნელობა მარტო **განი** თანდებულში არაა შენახული. **განი**— ადგილი **განი-** პრევერბშიც გვაქვს. მართალია, ეს მნიშვნელობა ყველგან, ყველა ზმნაში ერთგვარად, ერთის ოდენობით არ ჩანს, არ იგრძნობა. ზოგან იგი დაჩრდილულია, დაბნელებულია, თითქმის უჩინჩქმნილია, მაგრამ ზოგიერთ ზმნაში დღესაც აშკარად გამოსჩვივის. ამგვარია, მაგ., **განი**-დევნა, **განი**-დრეკა, **განი**-ვრდომა, **განი**-თვისება, **განი**-თესა, **განი**-თხევა, **განი**-კერძოება, **განი**-ლაგება, **განი**-რინება, **განი**-სვლა, **განი**-შორება და სხვ. აქ, ყველგან მოქმედება და, საერთოდ, საქმიანობა წარმოებს განსაზღვრული პოზიციიდან, სახელდობრ, მოქმედი პირის პოზიციიდან, მოქმედი პირის ადგილით-**განი**“[5].

განი რომ მართლაც ადგილს აღნიშნავდა, ამის საილუსტრაციოდ

---

[1] Н. Марр, Грамматика .., § 39.

[2] იქვე, § 49.

[3] ვუკ. ბერიძე, **საგან** სიტყვის ეტიმოლოგიისათვის **სმამ**, ტ. III, № 1, 1942. გვ. 381.

[4] იქვე, გვ. 382.

[5] იქვე, გვ. 382—383.

ავტორს მოაქვს ერთი ადგილის ვარიანტები, ერთი მხრით, — საბასეული ბიბლიიდან, მეორე მხრით — მოსკოვური ბიბლიიდან:

„ანუ ვითარცა ისარი განტყორცებული **განსა**“ (საბასეული).

„ანუ ვითარცა ისრითა ტყორცებულითა **ზომიერსა ზედა ადგილსა**“ (მოსკოვური).

ამ ვარიანტული შეპირისპირების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ მოსკოვურ ბიბლიაში **განის** მაგიერ გვაქვს **ზომიერი ადგილი** და „ეს უკვე **განის** გააზრიანებაა, **განის** განმარტებაა, განმარტება როგორც მ ი ნ ი შ ნ ე ბ უ ლ ი, მ ი მ ი ზ ნ ე ბ უ ლ ი ა დ გ ი ლ ი ს ა“[1]. გ ა ნ ი რომ ადგილს ნიშნავს, ამას ადასტურებს ზოგი სტაბილიზებული თქმაც. ასეთია, მაგალითად: განი, ბიჭებო! — „იგი იხმარება ცეკვის დროს, როდესაც ვიწრო წრეა მოვლებული და მოთამაშეს არ ჰყოფნის საცეკვაო ადგილი. განი, ბიჭებო! ე. ი. ადგილი განავრცეთ, ბიჭებოო“ [2].

შემდეგ ავტორი **გან** სიტყვასთან აკავშირებს **გა-გნება, მი-გნება** და **შე-გნება** სიტყვებს [3].

მთელი ამ მსჯელობის საფუძველზე ერთი მოდგმის, ერთი ბუდის სიტყვებადაა მიჩნეული:

1. **განი** — ადგილი;
2. **გან** — თანდებული;
3. **გან** — ზმნისწინი;
4. **გან** — მიზანი, სანიშნებელი;
5. **განი** — სივრცე, და აგრეთვე სიტყვა **საგანი** მისი სხვადასხვა მნიშვნელობებით [4].

ამგვარად, როგორც ნ. მარი. ისე ვუკოლ ბერიძე **გან**-ის მნიშვნელობად ა დ გ ი ლ ს მ ი ი ჩ ნ ე ე ნ. განსხვავება იმაშია, რომ ნ. მარი ამ სიტყვას სპარსული წარმომავლობისად აღიარებს, ვუკ. ბერიძე კი საკითხს ამ თვალსაზრისით არ იხილავს.

გან- ზმნისწინისა და **-გან** თანდებულის ძირითადი შინაარსი სწორედ ადგილის გაგებასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ზემოხსენებული ახსნა გასაზიარებელი ჩანს.

თავის მხრით, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ **გან-** ზმნისწინში, ისევე როგორც **-გან** თანდებულში, ძირისეულია **გა**, ხოლო **ნ** დეტერმინანტია (ნ—ნა).

---

[1] ვუკ. ბ ე რ ი ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 382—383.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ე ე, გვ. 386.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 387—388

§ 84. გან-, გამო- ზმნისწინები და შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენება ძველ ქართულში. როგორც ზემოთ დავინახეთ, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში **გან-** ზმნისწინის საკმაოდ ბევრი ფუნქციაა აღნიშნული. ეს ერთგვარად აძნელებს მათგან უმთავრესის გამოცალკევებას, თავდაპირველი ფუნქციის გამოცალკევებას. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ, საერთოდ, ზმნისწინების თავდაპირველი ფუნქცია მიმართულების აღნიშვნა იყო, უნდა მივიღოთ, რომ **გან- გამო-** ზმნისწინთა პირვანდელი ფუნქციაც სწორედ მიმართულების აღნიშვნა უნდა ყოფილიყო. სახელდობრ, შიგნიდან გარეთ მიმართულებისა, რაც განსაკუთრებით იგრძნობა **გამო-** ზმნისწინიან ზმნებში. ეს იმიტომ, რომ **გამო-** ზმნისწინი დღეს უფრო ნაკლებად გამოიყენება მეორეული მნიშვნელობებით, ვიდრე **გან-** ზმნისწინი.

შიგნიდან გარეთ მიმართულებას **გან-, გამო-** ზმნისწინიანი ზმნები გადმოსცემენ ახალ ქართულში და კიდევ უფრო მეტად ძველში. ამაზე აშკარად მეტყველებს ამ ზმნისწინთა გამოყენების ისეთი შემთხვევები, როგორიცაა:

.... **განქედ** მაგისგან და ნუღარა **შეხუალ** მაგისა (მრ. 9,25 C);
.... სახლებსა **შევიდოდა** და **გამოითრევდა** მამებსა და დედებსა და მისცემდა საპყრობილედ (საქმე, 8,3);
.... **გამოვიდა** მათა ლოტ წინაშე კარსა და კარი **შემოიწება** ზურგით (დაბად. 19,6);
.... ეგების-მე მეცელსა დედისა თჳსისასა მეორედ **შესლვად** და **გამომობად?** (ი. 3,4 C);
.... **შევიდა** სიმონ-პეტრე და **გამოზიდვიდა** სათრომელსა მას კმელად (ი. 21,11 C);
.... უხვად გასცემდი, ზღვათაცა **შესდის** და **გაედინების** (ვ. ტ. 49,4).

მოცემულ წინადადებებში **გან-** ზმნისწინიან ზმნებს უპირისპირდება **შე-** ზმნისწინიანი ზმნები. დაპირისპირების საფუძველია საპირისპირო მიმართულებათა ჩვენება. ასე რომ, თუ მოცემულ მაგალითებში **შე-** ზმნისწინიანი ზმნით გარედან შიგნით მიმართულებაა აღნიშნული, **გან-** ზმნისწინიანი ზმნით ამისი საპირისპირო, შიგნიდან გარეთ მიმართულებაა გადმოცემული. ამაზე ზოგიერთ მაგალითში ურთიერთსაპირისპირო შინაარსის ზმნიზედების გამოყენებაც მიგვითითებს: „წმიდაჲ მისი ბეჭედი გუაქუნდინ — ჯუარი... გარე **განსლვასა** და შინა **შემოსლვასა**“ (სინ. მრ. 53,24).

ახლა რამდენიმე მაგალითიც მოვიყვანოთ:

.... ლაზარე, აღდეგ და **გამოგუალე** (ი. 11,43 C);
.... რომელნი იყუნენ **შორის** მისა, **განივლტოდედ** (ლ. 21,21);

.... გამოკრბა კრებელი, ვითარცა კაცი ერთი (მსაჯ. 20,1);

.... განვიდა გარე და ტიროდა მწარედ (მ. 26,75);

.... განვიდოდეს ეშმაკნი მრავალთაგან (ლ. 4,41); განვიდოდა თავად-თესულისაგან ყანისა (ლ. 6,1);

.... პირთა მათთაგან გამოვალს ცეცხლი და კეამლი (გამოცხ. 9,17);

.... გამოვიდა სიმონ-პეტრე და გამოითრევდა ბადესა (ი. 21,11);

.... მართუენი იგი გამოფრინდეს და უგუნურნი იგი ბედეთაღა ზედა სხენან (სინ. მრ. 34,19);

.... სცა კლდესა, გამოეცნეს წყალნი (ფს. 77,20);

.... განქედ, სულო არაწმიდაო, მაგის კაცისაგან (მრ. 5,8 C);

.... გამოქდეს მის მონასტრისაგან მრავალნი ქრისტეს მქედარნი (საბა ას. 11,12);

.... ყოველი იგი ქალაქი გამოეგებვოდა იესუს (მ. 8,34 C);

.... გამოეფინის მზჱ ადგილთა მათ (სინ. მრ. 79,10);

.... განაგდეს იგი გარეშე საყურძენსა მას (მრ. 12,8 C);

.... გამოაგდეს იგი მიერ სავენაკით (მრ. 12,8);

.... არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარე განდვან (ლ. 14,35);

.... ჰბრძოდეს, რაჲთამცა ქმელად ეითარ-რაჲ გამოადგინეს ნავი იგი (სინ. მრ. 107,16);

... რამეთუ ქელითა მტკიცითა გამოავლინნეს იგინი და მკლავითა მაღლითა გამოახსნეს იგინი ქუეყანით მისით (გამოსლ. 6,1);

.... სცე კლდესა მას და გამოადინო წყალი მისგან (გამოსლ. 17,6);

.... შეზაეებელნი იგი საკუმეველთანი გამოსცემენ სულნელებასა (იჲ. 2,51—53);

.... განაძეს იგი გარეშე ქალაქისა მისგან (ლ. 4,29);

.... დაჰსდეს მას წყლულებაჲ და გამოაძეს იგი (ლ. 20,12);

.... რომლისა ხისაგან ადამი სამოთხით გამოჰქადა (სინ. მრ. 38,26);

.... ეგრეეე ენისაგან წინაწარმეტყუელებაჲ იგი თჳსსა მას ნათესაჲსა გამოუცხნა (სინ. მრ. 13,13);

.... წეს-არს გამოპყრობად ჴარი იგი (სინ. მრ. 67,16).

დამოწმებულ მაგალითებში **გან- გამო-** ზმნისწინიანი ზმნებით ნაჩვენებია შიგნიდან გარეთ მოძრაობა სუბიექტისა (გამოვიდა, გამოგუალე, განიცლტოდედ, გამოკრბა, განვიდა, გამოფრინდეს, გამოეცნეს, განქედ, გამოქდეს, გამოეგებვოდა, გამოეფინის) ან კიდევ ობიექტისა ისე, რომ სუბიექტი შიგნით რჩება (განაგდეს, გამოაგდეს, განდვან, გამოადგინეს, გამოაცლინნეს, გამოასხნეს, გამოადინო, გამოსცემენ, განაძეს, გამოჰქადა, გამოუცენა).

შეიძლება ისეთი ნიმუშებიც მოვიყვანოთ, როცა შიგნიდან გარეთ ობიექტთან ერთად სუბიექტიც მოძრაობს:

.... სადა მპარაეთა დათხარიან და განიპარიან (მ. 6,19 C);

.... სადა მპარაეთა ეერ დათხარიან და ეერცა გამოიპარიან (მ. 6,20 C);

.... ეითარმედ უბანთაცა ზედა გამოაჭუნდეს უძლურნი და დასდგმადეს ცხედრებითა და საკაცებითა (საქმე, 5,15);

.... აღდგეს პაპუკნი და შემოსეს იგი და განიღეს და დაპფლეს (საქმე. 5,6 C);

.... გამოიღეთ სამოსელი იგი პირველი და შეპმოსეთ მას (ლ. 15,22);

.... განიყვანეს იგი გარეშე საეენაკესა მას (ლ. 20,15);

.... ანუ რაჲსათჳს მუცლითვე დედისაჲთ გამომიყვანე მე და მუნვე არა მოკუედი მე (იობ. 10,18);

.... განიხუნეს გარეშე ბანაკსა მას (ლევიტ. 10,5);

.... გამოგგუარნე იგინი თქუენ და დაამდაბლენით იგინი თქუენ (მსაჯ. 19,24);

.... და მელქიზედეკ, მეფემან სალემისამან, გამოართუა აბრაჰამს პური და ღჳნოჲ (დაბად. 14,18); გამოართუთ მაგას კუართი იგი წინაჲ და შთააცუთ მაგას (ლ. 15,22 C).

ზემოთ მოყვანილ ყველა მაგალითში **გან-**, **გამო-** ზმნისწინიანი ზმნები შიგნიდან გარეთ მიმართულებას გადმოსცემენ.

ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ შიგნიდან გარეთ მოძრაობად უნდა განვიხილოთ ყოველგვარი მოძრაობა, რომელიც კი გამოდის არა მარტო საგნის სიღრმიდან, ყოველმხრივ დახშული არიდან (ვთქვათ, შენობის შიდა მხრიდან), არამედ რაიმე შემოსაზღვრული ზედაპირიდანაც (იხ. ზემოთ § 74). მოვიყვანოთ ასეთი ნიმუშები:

1. „სცა კლდესა და გამოეცნეს წყალნი" (ფს. 77,20), ამ წინადადებაში ზმნა **გამოეცნეს** შიგნიდან გარეთ მიმართულებას აღნიშნავს. კონტექსტის მიხედვით კი ჩანს, რომ ეს შიგნითა არე არის კლდის სიღრმე, შიგა ნაწილი.

2. „ვითარ შემწუხრდის, **გამოვიდიან** გარე ქალაქსა" (მრ. 11,19 C); ამ წინადადებაშიც სუბიექტის შიგნიდან გარეთ მოძრაობაა აღნიშნული. ეს მოძრაობა ხდება არა ყოველმხრივ დახშული არიდან, არამედ ღარკვეულ საზღვრებში მოქცეული ღია არიდან.

ზემოთქმული იმაზე მეტყველებს, რომ **გან-**, **გამო-** ზმნისწინებისათვის სულ ერთია, საიდან იწყება მოძრაობა: დახშული არიდან თუ სიბრტყეზე შემოსაზღვრული არიდან. ამ მხრივ, მაგალითად, მეგრულში სულ სხვადასხვა ზმნისწინი შეიძლება იქნეს გამოყენებული. კერძოდ, როცა გადმოსაცემია შიგა არიდან გარეთ მოძრაობა, მაშინ მეგრული ჩვეულებრივ **გიმო-** ზმნისწინს იყენებს, ხოლო როცა გადმოსაცემია მოძრაობა ზედაპირზე შემოსაზღვრული ღია არიდან, მაშინ კი **გიშა-** ზმნისწინს მიმართავს.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ზემოთ უკვე აღვნიშნეთ და ქვემოთაც დავინახავთ, რომ **გან-**, **გამო-** ზმნისწინებს შიგნიდან გარეთ მიმართულების აღნიშვნის ფუნქციის გარდა, მისგან განვითარებული ზოგი სხვა ფუნქციაც აქვს. ზოგჯერ ერთი და იგივე ზმნა

ერთ კონტექსტში ზმნისწინის ერთი მნიშვნელობით იხმარება, სხვა კონტექსტში კი — სხვა მნიშვნელობით. ამასთან დაკავშირებით ძველ ქართულში ხშირია ტექსტში **გარე, გარეშე, შინაგან** თანდებულების ან ზმნიზედების გამოყენება, რაც დაკავშირებულია უთუოდ ავტორის იმ სურვილთან, რომ მოცემულ ფრაზებში **გან-, გამო-** ზმნისწინიანი ზმნები სწორედ შიგნიდან გარეთ მიმართულების შინაარსით გავიგოთ:

.... **განვარდა გარე** ვითარცა ნასხლევი (ი. 15,6 D);
.... **განვიდოდა გარეშე** ქალაქსა (მრ. 11,19 D);
.... **გამოვიდა გარე** და ტიროდა მწარედ (მ. 26,75 C);
.... **გამოვიდა იგი გარეშე** ბეთა (მ. 26,71);
.... **განაგდეს გარე** სავენაჯისა მისგან (მ. 21,39):
.... არცა ჭუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ **გარე განდვან** (ლ. 14,35);
.... **განაძეს** იგი **გარე** (ი. 9,35);
.... **განიღონ კბოჲ** იგი **გარეშე** ბანაკსა მას (ლევიტ. 4,21).

დავას არ იწვევს, რომ საილუსტრაციოდ მოყვანილ მაგალითებში სიტყვები **გარე, გარეშე** ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მოქმედება შიგნიდან გარეთ ხდება. ამავე მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზოგი სხვა სიტყვაც:

.... **განაგდეთ** იგი ბნელსა მას **გარესკნელსა** (მ. 22,13);
.... ძენი იგი სასუფეველისანი **განითხინენ** ბნელსა მას **გარესკნელსა** (მ. 8,12);
.... ყოველი ესე ძჳრი **შინაგან გამოვალს** (მრ. 7,23 C).

ცხადია, ხაზგასმული სიტყვები (**გარესკნელსა** და **შინაგან**) ძირითადად იმავე დანიშნულებითაა ნახმარი, რითაც **გარე** და **გარეშე** ზმნიზედები. ამათგან **გარესკნელსა** იმაზე მიგვითითებს, რომ მოძრაობა შიგნიდან გარეთ ხდება. **შინაგან** კი იმ პუნქტს გულისხმობს, საიდანაც იწყება მოქმედება.

§ 85. მოქმედება შიგნით თუ შიგნიდან გარეთ? ჩვენ ზემოთ **გან-, გამო-** ზმნისწინიან ზმნათა ისეთი მაგალითები განვიხილეთ, როცა შიგნიდან გარეთ მოძრაობდა ან სუბიექტი, ან ობიექტი, ან კიდევ სუბიექტიცა და ობიექტიც ერთად. ამათგან მეორე შემთხვევა შიგნიდან გარეთ მოძრაობისა ისეთი ნიმუშებით იყო წარმოდგენილი, როცა შიგნით მყოფი სუბიექტი გარეთა მიმართულებით ამოძრავებდა ობიექტს („**განაძეს** იგი გარეშე ქალაქისა მისგან“ ლ. 4,29).

ამასთან ერთად, გვაქვს სხვაგვარი შემთხვევებიც, სახელდობრ, ისეთი, როცა გარეთ მყოფი სუბიექტი რაიმე საგნის შიგნით იმდაგვარად მოქმედებს, რომ ეს ქმედება შიგნიდან გარეთ მიმართულებად განიხილება. ავიღოთ ასეთი ნიმუში: „დადვა იგი ახალსა მას მისსა საფლავსა, რომელი **გამოეკუეთა** კლდისაგან“ (მ. 27,60). აქ **გამო-** ზმნისწინიანი ზმნა შიგნიდან გარეთ მოქმედებას გვიჩვენებს არა შიგნით მყოფი სუბიექტისას, არამედ გარეთ მყოფისას.

აი ამ ტიპის სხვა მაგალითებიც:

....არა **გამოკუეთილ** იყო იგი [კბოდჱ] ჴელითა კაცთაჲთა (საბა ას. 5,8):

.... დადვა იგი საფლავსა **გამოკოდილსა** (ლ. 23,53);

.... **გამოიღო** მონამან აბრაჰამისმან ჯურჯერი (დაბად. 24,53);

.... ვითარცა ჩჩჳლნი რომელნი **გამოსწოვენ** ძუძუთაგან გამოწოვაჲ სძისა... (იპ. 2,31—33);

.... იაკობ მოიღო კუერთხი ბრაწისაჲ და ნიგუზისაჲ და ძელქვისაჲ ნედლი და **გამოხუეწა** იგი იაკობ, ნაქურცენი მისი ნედლი მოსძარცუა და აჩნდა კუერთხთა მათ თეთრი იგი, რომელი **გამოეხუეწა** ჭრელი (დაბად. 30,37);

.... სახის მეტყუელმან თქუა კაცისაჲ, ვითარმედ სხჳსა კუერცხთა აცხობნ და მართუენი **გამოიკადნის**, რამეთუ უცხონი კუერცხნი მოიპარნის და თჳსა ბუდედ მიიხუნის... და მართუენი **გამოიკადნიხ** (სახ. მეტყუ. 21,8—15);

.... ხოლო კაცნი იგი ქალაქისა სოდომელნი **გარე მოადგეს** სახლსა მას.... **გამოჰხადოდეს** ლოტს და ეტყოდეს მას (დაბად. 19,4—5);

.... **გამოითხოვდეს** მას ჯუარ-ცუმად (ლ. 23,23).

ყველა ამ მაგალითში ხაზგასმული ზმნები გვიჩვენებს შიგნიდან გარეთ მიმართულებას, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი პირი ჯერ კიდევ მოქმედების დაწყებამდე იმყოფება გარეთ.

სუბიექტის გარეთ ყოფნის ვითარებაში შიგნიდან გარეთ მიმართულება ზემოდასახელებულ მაგალითებში **გამო-** ზმნისწინითაა გადმოცემული. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ასეთი შინაარსის ზმნასთან, შესაძლოა, **გან-** ზმნისწინიც გვქონდეს: ...„**განასხნა** რისხვით პირისა მისისაგან“ (მინჩხი, იზ, XXXII, 4); მაგრამ ასეთი შემთხვევები თითქმის იშვიათია და გამონაკლისს წარმოადგენს. ამიტომ შიგნიდან გარეთ მიმართულების საჩვენებლად ისეთ შემთხვევაში, როცა მოქმედი პირი გარეთ იმყოფება, ჩვეულებრივ **გამო-** ზმნისწინია გამოყენებული.

ახლა სათაურში დასმულ კითხვას ვუპასუხოთ, როგორ განვიხილოთ ასეთი მოქმედება როგორც **მოქმედება შიგნით**, თუ როგორც **მოქმედება შიგნიდან გარეთ?**

როგორც ჩანს, უპირატესობა ამ მეორეს ენიჭება. ისეთ მაგალით-

-ში, როგორიცაა: „გამოიღო მონამან..... ჭურჭერი ოქროჲსა“, მთავარი ყურადღება სწორედ იმაზეა გადატანილი, რომ მოქმედება შიგნიდან გარეთ მიემართება, რომ ჭურჭერი შიგნით იყო და გარეთ გამოიღეს. თუ ეს ასეა, უნდა ვუპასუხოთ, რომ ამ შემთხვევაშიც გამო- ზმნისწინი შიგნიდან გარეთ მიმართულებას უჩვენებს.

§ 86. მოძრაობა სუბიექტის შიგნიდან. ზმნამ, შესაძლოა, ისეთი მოქმედებაც გადმოგვცეს, რომლის დროსაც ობიექტი მოძრაობას იწყებს სუბიექტის შიგნიდან და მოემართება გარეთ. ასეთი მოძრაობაც განიხილება როგორც ჩვეულებრივი შიგნიდან გარეთ მოძრაობა და სათანადო ზმნას საამისოდ მოუდის **გამო-** ანდა ზოგჯერაც **გან-** ზმნისწინი. სათანადო ნიმუშები ასეთია:

.... სული წმიდაჲ არს, რომელი **გამოიტყოდა** სამებასა, რაჲთა მადლი მამისაჲ და ძისაჲ და სულისა წმიდისაჲ განითქუას, რამეთუ წინაასწარ სიბრძნით **გამოიტყჳს** იგაჲთა (იპ. 1,20—25);

.... მაშინ იხილა და **გამოთქუა** იგი (იობ. 28,27);

.... რტონი მისნი მოლბიან და **გამოაქუნ** ფურცელი (მრ. 13,28 C);

.... ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი **გამოიღის**, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში **გამოიღის** (მ. 7,17);

.... **გამოსცეს** მდინარემან მყუარი (გამოსლვ. 8,3);

.... მთოვარემან არა **გამოსცეს** ნათელი თჳსი (მ. 24,29);

.... მიუთხარ ქუეყანასა, უკუეთუ თქუას რაჲმე, გინა თუ **გამო-რაჲგითხრან** შენ თევზთა ზღჳსათა (იობ. 12,8);

.... **განუტევა** სული (მ. 27,50).

ადვილი გასაგებია, რომ ყველა ასეთი ზმნა მხოლოდ მოქმედებითი გვარის შეიძლება იყოს. თუ ამ ზმნებს ვნებითად გადავაკეთებთ, ახლა ყოფილი ობიექტი სუბიექტად იქცევა და მისი მოძრაობა განიხილება როგორც რაღაც სხვა საგნიდან გამომდინარე: „მადლი მამისაჲ **გამოითქუმის**“ (იპ. 1,26—27); ამ მაგალითში **გამოითქუმის** ზმნა ერთპირიანი ვნებითია და შეესატყვისება ორპირიან მოქმედებითს **(გამოთქუა)**. მოცემული ვნებითის სუბიექტი (ამ შემთხვევაში **მადლი**) რაღაც სხვა საგნიდან გამოდის, კერძოდ მთქმელისაგან.

ამასთან ერთად, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ასეთი კონვერსიის დროს მიმართულების გაგება რამდენადმე დასუსტდება, ხოლო ზოგჯერ სულაც ქრება. ეს უფრო შესამჩნევი გახდება, თუ სათანადო ზმნიდან უპირო ფორმებს ვაწარმოებთ:

.... გამომეტყუელ არავინ არს მისა (დაბად. 40,8);
.... ანუ არა ღმრთისა მიერ არსა გამოთქუმაჲ იგი მათი? (დაბად. 40,8)..

ამ უკანასკნელ მაგალითებში ხაზგასმულ სიტყვებს უკვე ძველ ქართულში შეძენილი ჰქონდათ მეორეული შინაარსი. სახელდობრ, **გამომეტყველი** ამხსნელს ნიშნავდა, **გამოთქუმა** კი — ახსნას. მაგრამ, ამის მიუხედავად, ამ სიტყვებს თავიანთი თავდაპირველი გაგებაც ჰქონდათ შემონახული. მაგალითად, **გამოუთქუმელი** აუხსნელ სიზმარს როდიღა ნიშნავდა ასეთ კონტექსტში; „ვითარცა ცხონდებოდა იგი ესრჱთ მარხვითა ძლიერითა და სათნოებითა გამოუთქუმელითა“ (საბა ას. 6.4). აქ **გამოუთქუმელი**, უბრალოდ რომ ვთქვათ, უთქმელს (რაც არ თქმულა), წარმოუდგენელს ნიშნავს.

ახალ ქართულში სიტყვა **გამომეტყველი** სულაც აღარ გვაქვს. რაც შეეხება სიტყვებს **გამოთქუმა**-სა და **გამოუთქუმელ**-ს, ესენი დღესაც ამ ზმნისწინით იხმარებიან, მაგრამ მიმართულების გაგებას უკვე აღარ იძლევიან.

§ 87. მოქმედება რაიმეში ან საგანთა შორის გავლით. გან-, გამო- ზმნისწინიანი ზმნები ქართულში გადმოსცემს არა მარტო შიგნიდან გარეთ მიმართულებას, საგნის სიღრმიდან გარეთ მოძრაობას, არამედ ისეთ მიმართულებასაც, როცა სუბიექტი (ან პირდაპირი ობიექტი) ჯერ შედის რაიმე სიღრმეში და შემდეგ საპირისპირო მხარეს ისევ გარეთ გადის. ასეთ შემთხვევაში მოქმედება განიხილება როგორც რაიმეში გავლით შესრულებული. იგი გულისხმობს პირველ ეტაპზე გარედან შიგნით მიმართულებას, მეორე ეტაპზე კი — შიგნიდან გარეთ მიმართულებას. ეს ორმაგი მიმართულება ერთ საერთო მიმართულებას შეადგენს, ერთ ხაზზეა განლაგებული და ამიტომ გაგებულია ერთ მთლიან მიმართულებად ისე, რომ უპირატესობა მის მეორე მომენტს — შიგნიდან გარეთ მიმართულებას აქვს მინიჭებული: ამიტომაცაა, რომ ასეთი შინაარსის ზმნები **გან-, გამო-** ზმნისწინებით არის გაფორმებული.

სანამ სათანადო ნიმუშებს დავიმოწმებდეთ, მანამდე ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ის საყურადღებო ადგილი „სინური მრავალთავიდან“, რომელსაც ზემოთ უკვე შევეხეთ (იხ. § 1).

„აწ სჳმეონ ესრჱთი ესე ურვაჲ ვითარცა მახჳლისა განსლვაჲ წინაჳე ქალწულსა მას აუწყა, რამეთუ ეტყოდა: «შენსაცა სულსა **განჳლოს** მახჳლმან». არა თქუა, თუ «დაადგრესო» ანუ «ეუფლოსო», არამედ «განჳლოსო». ესე არს, რამეთუ

მცირედსა ჟამსა ურვაჲ შეგემთხჳოს და მუნჭუესვე განერე". (სინ. მრ. 98,23—27).

ეს ადგილი მარტო იმით კი არაა საყურადღებო, რომ მასში მოცემულია (რამდენჯერმე) ჩვენთვის საჭირო ზმნა (განსლვაჲ), არამედ, რაც მთავარია, იმით, რომ მასში განმარტებულია, თუ რას ნიშნავს **განსლვა**; სახელდობრ, ნათქვამია: რომ იგი გულისხმობს ჯერ გარედან შიგნით მოძრაობას (შეგემთხვოს) და შემდეგ (მაშინვე = მუნჭუესვე) — შიგნიდან გარეთ მოძრაობას (განერე).

ეს არის საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ როგორ ჰქონდათ გაგებული ჩვენს წინაპრებს ზმნისწინიან ზმნათა მნიშვნელობა და საბოლოო ჯამში — ზმნისწინთა მნიშვნელობაც.

ახლა კი ამ რიგის სხვა ნიმუშებიც მოვიყვანოთ ძველი ქართულიდან:

.... ვითარცა შევიდეს, განვლეს უბანი ერთი და მეყსეულად განუყენა მისგან ანგელოზი იგი (საქმე. 12,10);

.... შენსა თავსა განვლოს მახვლმან (ლ. 2,35 C);

.... განვიდა მოწაფითურთ თჳსით წიაღ ჴევსა მას კედრონისასა (ი. 18,1 C); ....თჳთ შენსაცა სულსა განვიდეს მახვლი (ლ. 2,35 DE);

.... უადვილეს არს მანქანის საბელი განსლვად კურღსა ნემსისასა (მ. 19,24);

.... ისრის პირნი მისნი თუალთა ჩემთა განმწონნა (იობ. 16,11);

.... რაჟამს აღორძნდიან ღეკუნი იგი, განჭურიტნიან გუერდნი დედისა თჳსისანი და გამოჴდიან (სახ. მეტყუ. 13,23);

.... აღიმსთუე განთიად და დადეგ წინაშე ფარაოჲსა, რამეთუ იგი გამოჴვალს მდინარესა მაგას, და არქუ მას (გამოსლ. 8,20);

.... მაგნებელი ჩემი მოჰკალ ჴეარითა და ლახტარითა, რომლითა განიგუმირე (მინაზი. იგ. XII, 3-4).

ამავე წყებას ეკუთვნის ისეთი შემთხვევებიც, როცა მოძრაობა ხდება საგანთა შორის ერთი მიმართულებით:

.... თაჳადი განვიდოდა შორის სამარიასა და გალილეასა (ლ. 17,11);

.... თაჳადმან განვლო შორის მათსა (ლ. 4,30); ....და განვლეს შორის განყოფილთა მათ (დაბად. 15.17); ....განმივლიეს ცასა ჭეშე და მომივლიეს ყოველითურთ (იობ. 2,2).

ყველა ამ შემთხვევაშიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთო ჯამში შიგნიდან გარეთ მოძრაობაა გადმოცემული.

§ 88. განზმნისწინი აღნიშნავს განშორებას ან კიდევ საიქეთო ორიენტაციას გეზის ჩვენების გარეშე. განზმნისწინის ერთ-ერთ ფუნქციად, როგორც ზემოთ ითქვა (იხ. § 82), დ. ჩუბინაშვილს მიჩ-

ნეული ჰქონდა საგნისაგან დაშორების ჩვენება, საამისო მაგალითად კი დასახელებული ჰქონდა **განრიდება** ზმნა (убегать) [1]. ამ შინაარსით ეს ზმნისწინი ძველ ქართულშიც იხმარებოდა და ახალშიც გამოიყენება. **გან-** ზმნისწინის ეს მნიშვნელობა საბას ლექსიკონიდანაც გამოსჭვივის ისეთი სიტყვების განმარტებისას, როგორიცაა **გაგდება, განტევება, გაჭყირტა** და სხვ. ა. მარტიროსოვმა თავის ნაშრომში ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ **გან-** ზმნისწინი ზოგჯერ აღნიშნავს მოცილებას, მოშორებას მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ჩ ვ ე ნ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე [2]. აი ზოგიერთი ნიმუში ძველი ქართულიდან:

.... აღმოიღე იგი და **განაგდე** შენგან (მ. 5,29);
.... **განგუაგდების** ჩუენგან ყოველი ერი მოლოდებითა იესუ ქრისტჱსითა (სინ. მრ. 55,26);
.... მოიყვანა კაცი იგი, **განკურნა** და **განუტევა** (ლ. 14,4);
.... [მეფემან კოსტანტინე] ....ჰერთა მეფჱ **გააჭცია** (ერედვის წარწ.);
.... კელი შენი ჩემგან **განმაყუნე** და შიში შენი ნუ განმაკრთობს მე (იობ. 13,21);
.... მტუერი რომელი აღგუეკრა.... **განვიყრიო** თქუენ ზედა (ლ. 10,11);
.... უშჯულოებაჲ.... შ ო რ ა დ **განიშორე** შენგან (იობ. 11,14);
.... **განიძარცუს** კაცმან ქამლი თჳსი (რუთ. 4,7);
.... ეშმაკი ეშმაკსა **განჰქდის** (მ. 12,26 C).

ციტირებულ მაგალითებში ხაზგასმული ყველა ზმნა ერთი საგნისაგან მეორე საგნის დაშორების, დაცილების შინაარსს გადმოსცემს. აქავე დროს ყველა ეს ზმნა **გან-**ზმნისწინიანია.

როგორი ვითარებაა ამ მხრივ **გამო-** ზმნისწინის გამოყენების დროს? მოცემული ზმნებიდან ზოგს **გამო-** ზმნისწინი სულ არ დაერთვის (განყენება), ხოლო ზოგს, თუ დაერთვის, ამასთან ერთად შიგნიდან გარეთ მიმართულების შინაარსსაც აძლევს (გამოაგდე, გამოუტევა, გამოჭდის). რა თქმა უნდა, შიგნიდან გარეთ მიმართულება, ისევე როგორც ყოველგვარი მიმართულება, გადაადგილებას მოძრაობას გულისხმობს. ხოლო ყოველი მოძრაობა გულისხმობს საწყისი პუნქტიდან დაშორებას და სასრულ პუნქტთან მისვლას, მიახლოებას. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით, მაშინ ისე გამოვა, რომ ყველა ზმნისწინი, როცა იგი მიმართულებას გადმოსცემს, რაიმე საგნისაგან განშორებასაც გვაგულისხმებინებს. ასეთ შემთხვევაში საჭირო აღარაა, რომ ესა თუ ის ზმნისწინი ცალ-ცალკე დავახასიათოთ როგორც განშორების მაჩვენებელი.

---

[1] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 73.

[2] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იქვე, ტ. V, გვ. 89.

სინამდვილეში, როცა **გან-** ზმნისწინის მიერ განშორების ჩვენებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა იგი ველარ უჩვენებს შიგნიდან გარეთ მიმართულებას და მხოლოდ ერთი საგნის მეორე საგნისაგან განშორებას გამოხატავს.

ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით, ძალზე იშვიათად ვნახავთ **გამო-** ზმნისწინის გამოყენების ისეთ შემთხვევებს, რომ იგი შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენების გარეშე აღნიშნავდეს ერთი საგნის განშორებას მეორე საგნისაგან:

> ... **გამოასხნეს** იგინი პირისაგან ფარაოსისა (გამოსლვ. 10.11):
> .... ვიყლტოდით და **გამოვაშორნეთ** იგინი ქალაქისაგან გზათა ზედა (მსაჯ. 20,32).

თვითონ ამ მაგალითებშიც, შესაძლოა, რამდენადმე (განსაკუთრებით მეორეში) შიგნიდან გარეთ მიმართულებაც ვიგრძნოთ. ამიტომ შეიძლება, ვთქვათ, რომ ერთი საგნის მეორე საგნისაგან განშორების ჩვენების შინაარსი ძველ ქართულში ძირითადად **გან-** ზმნისწინს ჰქონდა.

უთუოდ განშორების შინაარსს გადმოსცემს **გან-** ზმნისწინი ისეთ ზმნებშიც. როგორიცაა: განბანა, განრცხა (=გარეცხვა), განწმედა და მისთანანი. მართალია. წინადადებაში: „შემიყუარნა ჩუენ და **განგუბანნა** სისხლითა თჳსითა“ (გამოცხ. თარგმ. 1,5 b) **განგუბანნა** ზმნა ირიბი დამატების უქონლობის გამო ველარ გვაგრძნობინებს ერთი საგნის მეორისაგან განშორებას. მაგრამ უთუოდ იგრძნობა, რომ პირდაპირ დამატებას უნდა განშორდეს, განებანოს რაღაც. უფრო ძველად, როცა ამ ზმნას სამპირიანობის გაგება ჰქონდა (განმბანა მან მე იგი), ეჭვი არაა, რომ იგი გაშორება-გაცილებაზე წარმოდგენას უფრო ნათლად იძლეოდა.

ასევე, განშორების შინაარსი აქვს **გან-**ზმნისწინიან ისეთ ზმნებს, როგორიცაა: განსყიდა, განთხოვება და სხვ.:

> .... მამათმთავარნი იგი ეშურებოდეს იოსეფს და **განყიდეს** იგი ეგჳპტელ (საქმე, 7,9); იყიდდეს და **განჰყიდდეს** (ლ. 17,28);
> .... **განგათხოვენ** თქუენ, ვითარცა ქალწული წმიდაჲ წარდგინებად ქრისტჱსა (სახ. მეტყე. 31,14).

ერთი საგნის მეორე საგნისაგან განშორების ჩვენების ფუნქცია. რომელიც უკვე ძველსავე ქართულში ჰქონდა **გან-** ზმნისწინს, მისი ძირითადი ფუნქციისაგან, შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენების ფუნქციისაგან, განვითარებული ჩანს. ავიღოთ ასეთი მაგალითები:

.... განგარიონოს შენ ჩუენგან (აპოკრ. 37,7 E);
.... რომელნი-იგი ღმერთმან კელითა მტკიცითა და მკლაეითა მაღლითა განარინნა (საბა ას. 11,2).

მოცემულ წინადადებებში ხაზგასმულ ზმნებს **გადარჩენისა** და **ხსნის** შინაარსი აქვთ და, საერთოდ, ამ შინაარსით იხმარებოდნენ ძველ ქართულში. თავისთავად **განრინება** ზმნა განრიდების, გაცილების, განშორების შინაარსის მქონეცაა. ახლა თუ ასეთ წინადადებას ავიღებთ: „რამეთუ განვარინე გლახაკი კელთაგან ძლიერისათა“ (იობ. 29,12), მასში იგივე **განრინება** ზმნა თითქოს რამდენადმე შიგნიდან გარეთ მიმართულებასაც უჩვენებს (კელთაგან ძლიერისათა) და ამდენად მასში **გან-** ზმნისწინის თავდაპირველ მნიშვნელობას აღადგენს.

ერთი საგნის მეორისაგან განშორების შინაარსი **გან-** ზმნისწინს თავდაპირველი ფუნქციიდან რომ უნდა გავითარებოდა, ამაზე ერთი გარემოებაც მიუთითებს:

გან- ზმნისწინი შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენებით, როგორც ვიცით, **შე-** ზმნისწინს უპირისპირდება, რომელიც გარედან შიგნით მიმართულებას აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ავიღოთ ასეთი მაგალითი:

.... შოვა ოდენ ღუაწლსა მას შეევიდეს და მერმე განეშოვრნეს (სინ. მრ. 117,8).

ამ შემთხვევაში ერთმანეთთანაა დაპირისპირებული **შევიდეს** და **განეშოვრნეს** ზმნები. პირველი გარკვეულად შიგნით მიმართულებას გამოხატავს, მეორე კი—განშორებას. თუ ეს ასეა, მაშინ რაღაა აქ დაპირისპირების საფუძველი? — ალბათ ის, რომ განეშოვრნეს ზმნა ძველ ქართულში რამდენადმე შიგნიდან გარეთ მოძრაობასაც გულისხმობდა.

ახლა ასეთი მაგალითიც ავიღოთ:

.... რომელნი-იგი ღმერთმან შეაუღღნა, კაცი ნუ განაშორებს (მ. 19,6 DE; განაყენებს C).

პირველი ზმნა (შეაუღღნა) შეიძლება ასე გავიგოთ: უღელში შეაბა. მაშინ იგიც გარედან შიგნით მიმართულების გამომხატველი იქნება. რაც შეეხება მასთან დაპირისპირებულ ზმნებს (განაშორებს, განაყენებს), ისინი აშკარად გაშორების შინაარსს იძლევიან. ამ შემთხვევაში დაპირისპირების საფუძველი აქაც ისეთია, როგორიც წინა მაგალითში.

ადრე ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ მეორეული ფუნქციები **შე-** ზმნისწინსაც განუვითარდა. **შე-** ზმნისწინის ერთ-ერთი ასეთი ფუნქ-

ციაა, აღნიშნოს საგანთა შეერთება (იხ. § 81). საყურადღებოა, რომ ამ მეორეული ფუნქციითაც შე- ზმნისწინი კვლავ დაპირისპირებული დარჩა გან- ზმნისწინთან, რომლის ერთ-ერთი მეორეული ფუნქციაა საგანთა ურთიერთისაგან დაშორების ჩვენება. ზემომოყვანილი მაგალითი ამის საილუსტრაციოდაც გამოდგება, თუკი, რა თქმა უნდა, შეაუღლნა ზმნას ასე გავიგებთ: შ ე ა წ ყ ვ ი ლ ა, შ ე ა ე რ თ ა.

აი ასეთი დაპირისპირების სხვა ნიმუშები:

.... **განიძარცოს** სამოსელი მისი და შ ე ი მ ო ს ო ს სხუაჲ (ლევიტ. 6,11):

.... ნუცა **განეშორები**, არამედ აქა შ ე ე ყ ა ვ მკეცალთა ჩემთა თანა (რუთ. 2,8).

ეს მაგალითები ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ აზრს, რომ განზმნისწინს საგანთა ურთიერთისაგან დაშორების აღნიშვნის ფუნქცია მისი თავდაპირველი ფუნქციიდან — შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენების ფუნქციიდან განუვითარდა.

თუ ზემომოყვანილ საილუსტრაციო ზმნებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ყველა მათგანი ორპირიანი ან სამპირიანია და, ამგვარად, სუბიექტ-ობიექტს შორის ანდა სხვადასხვანაირ ობიექტთა შორის დამყარებულ მიმართებებს გამოხატავს. ასეთ შემთხვევაში განზმნისწინი მისი საიქეთო შინაარსით ადვილად გვიქმნის წარმოდგენას ერთი საგნის მეორე საგნისაგან **დაშორებაზე**, ანუ ე რ თ ი ს ა გ ნ ი ს **ი ქ ი თ მ ო ძ რ ა ო ბ ა ზ ე** მ ე ო რ ე ს ა გ ა ნ თ ა ნ მ ი მ ა რ თ ე ბ ა შ ი.

რა ვითარება გვაქვს ამ თვალსაზრისით ერთპირიან ზმნებში? ხომ შეიძლება შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენების ფუნქცია განზმნისწინს დაუსუსტდეს ანდა მთლიანად მოეშალოს ცალკეულ ერთპირიან ან კიდევ უპირო ზმნებში?

ავიღოთ ასეთი მაგალითები:

.... ხვალისაგან აღდგა პეტრე და **განვიდა** მათ თანა (საქმე, 10,23 Ქ);

.... ენება წმიდასა საბას **განსლვად** უდაბნოდ (საბა ას. 9,17);

.... რომელი **განდრკილ** იყო ქრისტჱსგან (საბა, გ. 54);

.... **განვეო** მე მარტოჲ და მოვედ თხრობად შენდა (იობ. 1,15):

.... ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებიან და **განჰქორწინებენ** (ლ. 20,34);

.... სიზმარი განფრინებული ვერ იპოვა (იობ. 20,8).

ამ მაგალითებში გან-ზმნისწინიანი ზმნები უბრალოდ აქედან იქით მოძრაობას გვიჩვენებენ—შიგნიდან გარეთ მიმართულების აღნიშვნის გარეშე (საიქეთო ორიენტაცია გეზის გარეშე). ერთი შეხედ-

ვით, აქ აღარ იგრძნობა საგანთა ურთიერთისაგან განშორების შინაარსი. ეს იმიტომ, რომ მოცემული ზმნები ერთპირიანობის ანდა უპირობის გამო აშკარად ვეღარ გვიჩვენებენ საგანთა შორის დამყარებულ მიმართებებს. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ზმნებითაც განშორებაა ნაგულისხმევი, განშორება მოქმედების საწყის ორიენტირთან. ეს რომ ასეა, ამას კიდევ უფრო ცხადყოფს ასეთი მაგალითები:

.... მომიძაგეს მე და განდგეს ჩემგან შორად (იობ. 30,10);
.... განვიდა იოსებ პირისაგან ფარაოჲსისა (დაბად. 41,46).

ამ წინადადებებში აშკარად ჩანს დაშორების, გაცილების შინაარსი, თუმცა იგი მიღწეულია კონტექსტში სათანადო სიტყვების შემოტანით და არა მხოლოდ ზმნისწინით. მაგრამ არსებითი ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც **გან-**ზმნისწინიანი ზმნაა გამოყენებული.

საინტერესოა, რომ **შე-** ზმნისწინს **გან-** ზმნისწინი ერთნაირად უპირისპირდება მაშინაც, როცა იგი შიგნიდან გარეთ მიმართულებას აღნიშნავს (შევიდა — განვიდა) და მაშინაც, როცა იგი, უბრალოდ, აქედან იქით მიმართულებას აღნიშნავს. აი ამ უკანასკნელის ნიმუშები:

.... ცოლი თუ განვიდეს ქმრისაგან და შეერთოს სხუასა.... (მრ. 10,12);
.... განვიდა იგი და შესცთა უდაბნოსა ჯურღმულსა მას თანა ფიცისასა (დაბად. 21,14).

საერთოდ, როცა ზმნასთან **გან-** ზმნისწინი შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენების ფუნქციას კარგავს, მაგრამ გადაადგილებას მაინც გვიჩვენებს, მაშინ იგი უფრო ძლიერად ან განშორების, გაცილების შინაარსს, ანდა უბრალოდ, აქედან იქეთ მიმართულების შინაარსს გადმოსცემს (ორიენტაცია გეზის გარეშე). ამ უკანასკნელი შინაარსით **გან-** ზმნისწინი შეიძლება შეუერთდეს არა მარტო ერთპირიან ან უპირო ზმნებს, არამედ ორპირიანებსაც:

.... განიღეთ ეგე ამიერ (ი. 2,16 C);
.... გან-ვიმე-იღოს ჴურჴერი მიერ ტაძრით (მრ. 11,16);
.... განიყვანნა იგინი ვიდრე ბეთანიადმდე (ლ. 24,50);
.... განიყვანე ცოლი შენი და ასულნი შენნი (დაბად. 19,15);
.... განიხუენით ძუალნი ჩემნი თქუენ თანა (გამოსლ. 13.19);
.... ჭურჭელნი განავლინენ ცალიერნი (იობ. 22,9).

მოცემულ წინადადებებში **გან-**ზმნისწინიან ზმნათა ნაცვლად დღევანდელი ქართულით **წარ-**ზმნისწინიანებს გამოვიყენებდით (წაიღეთ, წაიღოს, წაიყვანე, წარავლინე) ან კიდევ ზოგთან შეიძლებოდა **მი-** ზმნისწინი გვეხმარა (მიიყვანა, მიავლინეს). ეს ფაქტი კი

იმაზე მეტყველებს, რომ მოცემული ზმნები კონტექსტში მხოლოდ აქედან იქით მიმართულებას გვიჩვენებს.


ამის მსგავსად ძველ ქართულში იშვიათად ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როცა **გამო-** ზმნისწინი **წამო-**ს შინაარსითაა ნახმარი და უბრალოდ სააქეთო ორიენტაციას აღნიშნავს სათანადო გეზის ჩვენების გარეშე:

.... **გამოვიდეს** და აღძღეს ნავსა (ი. 21,3 C);
.... **გამოვიდა** მიერ და მოვიდა სოფლად თჳსა (მრ. 6,1);
.... **გამოვიდა** აბრაჰამ ეგჳპტით (დაბად. 13,1);
.... **გამოეტევენით** და იტაცენ კაცად-კაცადმან თჳენმან თავისა თჳსისა ცოლი ასულთაგან სელომისათჳს (მსაჯ. 21,21).

ამგვარად, როგორც საგანთა **ურთიერთისაგან დაშორების,** ისე, უბრალოდ, **აქედან იქით მიმართულების ჩვენების** შინაარსი **განზმნისწინის** რაიმე ახალი ფუნქცია კი არ არის, არამედ იგი მისი საერთო ფუნქციის ის ნაწილია, რომელიც გადარჩა ზოგიერთ ზმნაში შიგნიდან გარეთ მიმართულების ჩვენების შინაარსის მოშლის შემდეგ.

გეზის ჩვენების გარეშე ორიენტაციას მეტწილად **გან-** ზმნისწინი გადმოსცემს, იშვიათად კი **გამო-** ზმნისწინიც, ერთი — საიქეთოს და მეორე — სააქეთოს.

§ 89. მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით. შიგნიდან გარეთა მიმართულება გულისხმობს რაიმე დახშული ან სიბრტყეზე შემოსაზღვრული არიდან გარეთა მიმართულებით მოძრაობას. მაგრამ რა მხარეს უნდა ხდებოდეს ეს მოძრაობა — მარჯვნივ თუ მარცხნივ, წინ თუ უკან, ამას უკვე **გან-, გამო-** ზმნისწინები აღარ გვიჩვენებენ. ავიღოთ წრეხაზი და სხვადასხვა მიმართულებით ჩავხაზოთ მასში რადიუსები. წარმოვიდგინოთ, რომ წრის ცენტრიდან ვუყურებთ ამ რადიუსების გასწვრივ საგანთა მოძრაობას ისე, რომ ეს საგნები წრის გარეთ გადიოდნენ (ნახ. 16); თვითეულ ამ შემთხვევაში სათანადო მოქმედების გადმოსაცემად ზმნასთან **გან-**ზმნისწინს გამოვიყენებთ. ეს იმას ნიშნავს, რომ **გან-** ზმნისწინი შიგნიდან გარეთ მიმარ-



ნახ. 16.

თულებას გულისხმობს დახშული არის ყველა მხარეზე და არა მხოლოდ მის რომელიმე ერთ მხარეზე.

ამიტომ ადვილი გასაგებია, თუ რატომ განუვითარდა **გან-** ზმნისწინს სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის გადმოცემის ფუნქცია ზოგიერთ ზმნასთან. ასეთი ზმნები კი არა მარტო ახალ ქართულში, ძველ ქართულშიც საკმაოდ დაიძებნება:

.... **განიბნია** ერი იგი ყოველსა ქუეყანასა ეგვპტისასა (გამოსლვ. 5,12);
.... რაჲთა.... **განიბნინენ** ორ-ორი უდაბნოსა მას (საბა ას. 7,28);
.... მოვიმკი, სადა არა **განვსთესი** (ლ. 19,22 C);
.... **განითქუა** სახელი სათნოებათა მისთაჲ ყოველსა მას ქუეყანასა ასურეთისასა (საბა ას. 8,1);
.... **განთქუან** იგი ეითარმედ აღდგა მკუდრეთით (მინჩხი, იე, XXIII, 5);
.... **განეფინა** სიტყუაჲ ესე ყოველსა პურიასტანსა (ლ. 7,17);
.... რომელსა ზედა დაეცეს, **განაქრიოს** იგი (ლ. 20,18 C);
.... ყოველსა ქუეყანასა **განსცა** ქმაჲ შენი (მინჩხი, კთ. XXXII, 3-5);
.... **განქდა** ჰამბავი იგი მისი ყოველსა ასურეთსა (მ. 4,24 C).

სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობა ამავე დროს გარკვეულ ჩარჩოებშიც შეიძლება იყოს მოქცეული. ეს ჩარჩოები კონტექსტით გადმოიცემა, ზმნა კი მაინც **გან-** ზმნისწინით იქნება გაფორმებული:

.... ფიცხელ განვყვნე იგინი ისრაჱლსა შოერის და **განვსთესნე** იგინი იაკობსა შოერის (დაბად. 49,7);
.... მზირთა მათ შეიმართეს და **განეფინნეს** გაბას შინა (მსაჯ. 20,37);
.... **განიზრახვიდეს** ურთიერთას (ლ. 6,11);
.... **განქდა** სიტყუაჲ ესე ძმათა შორის (ი. 21,23).

სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობა თავისი შინაარსით შინაგანად დაკავშირებულია გაცილების, განშორების ხასიათის მოძრაობასთან და ორივენი შიგნიდან გარეთ მოძრაობის შინაარსის თავისებურ განვითარებას წარმოადგენს, ამიტომ ერთიც და მეორეც **გან-** ზმნისწინით გადმოიცემა. ამიტომვე, **გან-** ზმნისწინი, როცა იგი სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობას აღნიშნავს, შეიძლება დაუპირისპირდეს აგრეთვე საგანთა შეერთება-შეკრების ჩვენების ფუნქციით გამოყენებულ **შე-** ზმნისწინს:

.... შ ე ე ი კ რ ი ბ ი, სადა არა **განმიბნევიედ** (მ. 25,26);
.... რომელი არა შ ე ჰ კ რ ე ბ ს ჩემ თანა, იგი **განაბნევს** (მ. 12,30);
.... შ ე კ რ ი ბ ე ნ წარმართნი **განბნეულნი** (მინჩხი, იზ, XXXVIII, 5-6).

საყურადღებოა, რომ სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის ჩვენების ფუნქცია **გან-** ზმნისწინმა განივითარა, **გამო-**მ კი ვერა. ეს არცაა გასაკვირი: **გან-** ზმნისწინი საიქეთო ორიენტაციისაა და პირველი პირისაგან დაშორებას გულისხმობს. თავის მხრივ პირველი პირისაგან ყველა მხარეზე მიმართული მოქმედება საიქეთოც იქნება და სხვადასხვა მიმართულების შინაარსის მქონეც. ასეთი მოძრაობა კი **გან-**, **გამო-** ზმნისწინთა შორის მხოლოდ **გან-**მა უნდა აღნიშნოს, როგორც საიქეთო ორიენტაციის ზმნისწინმა.

რაც შეეხება **გამო-**ზმნისწინს, იგი სააქეთო ორიენტაციას, ე. ი. პირველი პირისაკენ მიმართულებას აღნიშნავს. პირველი პირი კი ერთდროულად არ შეიძლება სხვადასხვა ადგილზე იმყოფებოდეს; ამიტომ გასაგებია, თუ რატომ ვერ განივითარა **გამო-** ზმნისწინმა სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის ჩვენების ფუნქცია.

§ 90. გახსნა, გაღება, გაშლა, მატება სიგრძე-სიგანესა და მოცულობაში. ჩვეულებრივ **გან-** ზმნისწინი უერთდება ისეთ ზმნებსაც, რომლებიც გახსნა-გაღებისა და გაშლის შინაარსს გადმოსცემენ. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაშიც ერთგვარად იგრძნობა საგნის შუაგულიდან დაწყებული მოქმედება. ასეთ შემთხვევაშიც საპირისპირო შინაარსის გადმოსაცემად **გან-**ზმნისწინიანი ზმნა **შე-**ზმნისწინიანს უპირისპირდება (შდრ.: გახსნა და შეკვრა). ძველ ქართულში ამ რიგის ზმნებს განეკუთვნება: განღება, განმარტება, განპყრობა, განრთხმა, განყრა, განხუმა, განკსნა, განყოფა (კელისა) და სხვანი. აი მათი გამოყენების ნიმუშებიც:

.... ოდეს თუალი შენი **განმარტებულ არს** (ლ. 11,34);
.... და იყვნეს კელნი მოსესნი **განპყრობილ** (გამოსლვ. 17,12);
.... **განვირთხ** კელი ჩემი მიცემად იგი აბრაჰამს (გამოსლვ. 6,8).
.... სიხარულითა არა **განულო** კარი, არამედ შინა შერბიოდა და უთხრა (საქმე, 12,14 C);
.... კელი **განყარა** და თქუა სამ-ჯერ (სინ. მრ. 66,8);
.... **განახუნა** კარნი სახლისანი მის და გამოვიდა გარე (მსაჯ. 19,27);
.... და **განკსნა** თითოეულმან ძაძაი თჳსი (დაბად. 44,11);
.... **განყუნეს** კაცთა მათ კელნი მათნი და შეიტაცეს ლოტ შინა სახიდ (დაბად. 19,10).

ზოგიერთ ამ ზმნას შეიძლება **გამო-** ზმნისწინიც დაერთოს და სააქეთო ორიენტაციაც გადმოიცეს (გამოაღო), მაგრამ ჩვეულებრივ ამ შინაარსის მქონე ზმნებს მარტო **გან-** ზმნისწინი დაერთვის.

გან- ზმნისწინის გამოყენება დაკავშირებულია აგრეთვე ისეთ ზმნებთან, რომლებიც მ ა ტ ე ბ ი ს, ზ რ დ ი ს შინაარსს შეიცავენ.

მ ა ტ ე ბ ა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით: ა) საგანზე საგნის მიმატებით და ბ) საგნის შინაგანი ზრდით.

ამათგან, მეორე შემთხვევაში, როცა მატება გულისხმობს საგნის შინაგან ზრდას, სათანადო ზმნას დაერთვის შიგნიდან გარეთ მიმართულების აღმნიშვნელი **გან-** ზმნისწინი, თუმცა იგი ასეთ ზმნებთან მიმართულების შინაარსს ვეღარ გადმოსცემს. ასეთი ზმნები შეიძლება აღნიშნავდეს მატებას როგორც სიგრძეში ან სიგანეში, ისე მოცულობაში. აი სათანადო ნიმუშებიც:

.... ფართო იყვნიან სამოსელნი მათნი და **განიგრძვიან** ფესუები მათი (მ. 23,5 C);

.... მოსე **განდიდნა** ფრიად წინაშე ეგუპტელთა მათ (გამოსლვ. 11,3);

.... **განავრცელნეს** (განრცხნეს B) მათ სამოსელნი მათნი (გამოცხ. 7,14 AC);

.... და იყოს ნათესავი შენი ვითარცა ქჳშაჲ ზღუსაჲ და **განვრცნეს** ზღუადმდე (დაბად. 28,14);

.... აღატყდა და **განივსო** გულის წყრომითა მით (აპოკრ. 5,1);

.... რომელმან პაელე **განჴზარდე** და შჯულის-მოძღუარ ვყაე იერესალემს (სინ. მრ. 64,20);

.... **განზრქა** გული ერისაჲ მის (მ. 13.15);

.... აღორძნდა ერთი იგი და **განმრავლდა** (საქმე. 7,17 C);

.... თესლი იგი აღმოჰსცენდის და **განორძნდებინ** (მრ. 4,27);

.... **განსივნა** და განსთქდა შორის და განიბნინეს ყოველნი ნაწლევნი მისნი (საქმე, 1,18);

.... ნუ მომწყუედთ ჩუენ ჰასაკთა ამათ მცირეთა, არამედ **განგჳტევენით** ჩუენ, რაჲთა **განვესრულნეთ** (აპოკრ. 34.23 D);

.... მეშინის მე, უკუეთუ **განვაფართნეთ** სახლნი ჩუენნი (საბა ას. 7,15);

.... ვიდრემდის **განაფუძნა** ყოველი (მ. 13,33 C).

გარდა იმისა, რომ ამ რიგის ზმნებთან **გან-** ზმნისწინი მიმართულების გაგებას სავსებით ვერ იძლევა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ზმნისწინი არ შეიძლება შეიცვალოს **გამო-** ზმნისწინით. ასე რომ, სიგრძე-სიგანეში ან მოცულობაში მატების შინაარსის მქონე ზმნებთან მხოლოდ **გან-**ზმნისწინი გვაქვს გამოყენებული.

თავდაპირველად, შესაძლოა, ამ ტიპის ზმნებშიც იგულისხმებოდა შიგნიდან გარეთ მიმართულება. ამაზე ორი გარემოება მიგვითითებს: ერთი ის, რომ ეს ზმნები გულისხმობს, როგორც აღვნიშნეთ, საგნის შინაგან ზრდას, მეორეც ის, რომ მათ სწორედ შიგნიდან გარეთ მიმართულების აღმნიშვნელი **გან-** ზმნისწინი მოუდის.

§ 91. გ ა ნ- ზმნისწინი აღნიშნავს დაყოფას, დანაწილებას. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ (იხ. § 87), რომ **გან-**, **გამო** ზმნისწინთა ერთი ფუნქციაა, აღნიშნოს რაიმეში გავლა. აქედან განვითარებული ჩანს მისი

სხვა ფუნქციაც — აღნიშნოს საგნის დაყოფა-დანაწილება ანდა მთელიდან ნაწილის გამოცალკევება. ეს ფუნქცია **გან-** ზმნისწინს ახალ ქართულშიც აქვს და ძველშიაც ჰქონდა. მოვიყვანოთ ერთი ადგილი ნ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსიდან „მერანი“:

„გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი“.

ნათლად იგრძნობა, რომ მოცემულ სტრიქონში ზმნები — **გაკვეთე, გააპე** უფრო შიგ გავლის შინაარსით არის ნახმარი, ვიდრე ქარისა და წყლის ორად დაყოფის შინაარსით, მაგრამ თუ რამდენადმე ესეც იგრძნობა, ეს უნდა განვიხილოთ როგორც შედეგი პირველისა.

მართლაც, თუ შიგ გავლა საგნის მთელ განივკვეთზე ხდება, მას შედეგად მოჰყვება ამ საგნის გაყოფა. აი ეს შინაარსი შეიძინა **გან-** ზმნისწინმა მთელ რიგ ზმნებთან.

მოვიყვანოთ ასეთი მაგალითები:

.... რაჟამს შეიღის მარცუალი სადგურსა თჳსსა, შუა ოდენ **განკუეთის** (სახ. მეტყუ. 15,22); .... ორად **განკუეთოს** იგი (მ. 24,51);

.... მოიღო ესე ყოველი აბრაჰამ და **განახევრა** იგი შოვრის და დააგო იგი წინაშე პირისპირ ურთიერთას. ხოლო მფრინველნი იგი არა **განყუნა** (დაბად. 15,10);

.... კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის **განიპო** ორად (მ. 27,51);

.... **განყო** ერი იგი მის თანაჲ და ცხოვარი და ზრახაჲ ორად ბანაკად (დაბად. 32,7);

.... **განხეთქნის** ღჳნომან თხიერნი იგი (მრ. 2.22 C);

.... განსივნა და **განსთქდა** შორის და განიბნინეს ყოველნი ნაწლევნი მისნი (საქმე, 1,18);

.... არა **განვხიოთ** ესე (ი. 19,24);

.... რქანი მისნი გრძელ არიან და ხერხის სახედ, რამეთუ ხენი დიდნი და მაღალნი **განხერხნის** (სახ. მეტყუ. 3.10);

.... **განზოგებასა** ოდენ მის დღესასწაულისასა აღვიდოდა იესუ ტაძარსა მას (ი. 7,14 C).

ყველა ხაზგასმული ზმნა საგნის შუაზე გაყოფას, განაწილებას აღნიშნავს. ამაზე მიუთითებს კონტექსტში ნახმარი სხვა სიტყვებიც (განყო ორად, განიპო ორად, შუა განკუეთის). ასეა ეს ახალ ქართულშიც. დღეს, მაგალითად, გაყოფა შუაზე გაყოფას ნიშნავს, გაჭრა — ორ ნაწილად გაჭრას, გახევა — ორად გახევას და ა. შ. თუ დღეს ეს ზმნები მრავლად დანაწილების შინაარსით გვინდა ვიხმაროთ, მაშინ მათ გა-ს ნაცვლად **და-** ზმნისწინს დავურთავთ (ინტენსიობის **და-**): **დაყოფა, დაჭრა, დახევა,** რაც „მოქმედების მრავლობითობას“ (ა. შანიძე) ანდა „გახშირებას“ (დ. ჩუბინაშვილი) ნიშნავს (იხ. § 51).

რიგ შემთხვევაში მრავლად დანაწილებას ძველ ქართულშიც ინტენსიობის აღმნიშვნელი და- ზმნისწინი გადმოსცემდა („სამოსელი თქუენი არა დაიპოთ, რაჲთა არა მოსწყდეთ: ლევიტ. 10.6; და სხვ. იხ. § 51), მაგრამ უნდა ითქვას, რომ, არცთუ იშვიათად, ამავე შინაარსით თვითონ გან- ზმნისწინიც გამოიყენებოდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ გან- ზმნისწინი აღნიშნავდა არა მხოლოდ ორად განაწილებას, არამედ, საერთოდ, განაწილებას ნებისმიერი რაოდენობით. ეს რომ ასეა, ამაზე მიუთითებს ზემომოყვანილი მაგალითებიც, რომლებშიც ხშირადაა ნახმარი უშუალოდ ორად გაყოფის შინაარსზე მიმათითებელი დამხმარე სიტყვებიც (ორად, შუა). ეს სიტყვები ალბათ იმიტომ დაისაჭიროვეს, რომ უამისოდ შესაძლო იყო იგივე ზმნები მრავლად დანაწილების შინაარსით გაეგოთ. ეს რომ შესაძლებელი იყო, ამაზე შემდეგი მაგალითებიც მიუთითებს:

.... ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე ხუთ ათასთათჳს (მრ. 8.19); ...ესე არს ჴორცი ჩემი, თქუენ მრავალთათჳს განტეხილი. (მ. 26,26);

.... განიყვეს ოთხად ნაწილად (ი. 19,23);

.... და მოიღო მახჳლი და უპყრა ცოლსა თჳსსა და განყო იგი ასოდ-ასო ათორმეტად ნაწილად (მსაჯ. 19,29);

.... განაგონ ასოდ-ასოდ (ლევიტ. 1,6).

ამ მაგალითებში ხაზგასმული ზმნები ორად გაყოფა-განაწილებას კი არა, მრავლად დაყოფა-დანაწილებას გვიჩვენებს. ეს რომ ასეა, ამაზე კონტექსტიც მიგვითითებს სხვა დამხმარე სიტყვათა გამოყენების შედეგად (განიყვეს ოთხად, განყო ასოდ-ასოდ და ა. შ.); ეგების დაიბადოს ასეთი აზრი: რაკი მოცემულ ზმნებთან ისეთი სიტყვებიც გვაქვს ნახმარი, რომლებიც უშუალოდ მიგვითითებენ, თუ რამდენად იქნა დანაწილებული საგანი, ამიტომ ზმნასთან საჭირო აღარ გახდა გან- ზმნისწინის შეცვლა და- ზმნისწინით. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ასეთი ტიპის მაგალითები აღარ უნდა გვქონდეს:

.... შჳდი იგი პური.... განტეხა და მისცა მოწაფეთა (მ. 15,36);

.... განყიდა ყოველი მონაგები მისი და განუყო გლახაკთა (საბა ას. 4,12);

.... არა ყო უფალმან განკუეთაჲ ტომთა შოვრის ისრაჱლისათა (მსაჯ. 21,15);

.... იყო კუალად განწვალებაჲ ჰურიათა შორის ამის სიტყჳსათჳს (ი. 10,19);

.... რაჲთამცა იყო იგი შესაპმელად მკეცთა და განსაჴრელად მფრინველთა (სინ. მრ. 64,26);

.... განარჩინენ უკეთურნი მართალთაგან (მ. 13,49 C);

.... განარჩია მას დღესა შინა ვაცები ჰრელები (დაბად. 30,35).

ამ მაგალითებში **გან-**ზმნისწინიან ზმნებს აღარ ახლავს მრავლად დაყოფა-დანაწილების აღმნიშვნელი დამხმარე სიტყვები და მაინც ისინი ამ შინაარსს გამოხატავენ სწორედ **გან-** ზმნისწინის მეოხებით. კიდევ მეტიც: ახალ ქართულში გვაქვს ზმნები **ტყდომა** და **მტვრევა**. ამათგან თუ საგანი ორ ნაწილად გატყდა, ამ შინაარსს **გატყდა** ზმნით გადმოვცემთ, ხოლო თუ მრავალ ნაწილად გატყდა, ან მრავალი საგანი გატყდა, **დაიმტვრაო** — ასე ვიტყვით, ე. ი. არა თუ ზმნისწინი შეიცვლება, არამედ ზმნის ძირიც. ძველ ქართულში კი შეიძლებოდა ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც **გატყდომა** ზმნა გვეხმარა:

> .... ესე არს ჯორი ჩემი, თქუენ მრავალთათჳს **განტეხილი** (ლ. 2ნ,26);
> .... მერმე **განტყდებიედ** ძუალნი (სინ. მრ. 119,5)...
> .... უკუეთუ ვინმე მისცეს მოყუასსა თჳსსა კარაული, ანუ ჭურხელ, ანუ ცხოვარი, ანუ ყოველივე პირუტყუთაგანი დამარხვად და **განტყდეს**, ანუ მოკუდეს, ანუ წარიტყუენოს და არავინ უწყოდეს, ფიცი ღმრთისაჲ იყოს შორის მათ ორთავე (გამოსლვ. 22,10—11).

ამგვარად, ისე როგორც ახალ ქართულში, ძველ ქართულშიც რიგ ზმნებთან **გან-** ზმნისწინი დაყოფა-დანაწილების შინაარსით გამოიყენება. **გან-** ზმნისწინის ეს შინაარსი განვითარებული ჩანს მისი ფუნქციიდან — აღნიშნოს მიმართულება რაიმეში გავლით.

ასეთ ზმნებთან თუ **გან-** ზმნისწინის ნაცვლად **გამო-** ზმნისწინს ვიხმართ, ხშირად იგი ზმნაში, საქმეთო ორიენტაციის გარდა, მთელიდან რაიმე ნაწილის გამოყოფა-გამოცალკევების შინაარსსაც შეიტანს: განყოფა-გამოყოფა, განკუეთა-გამოკუეთა, განპება-გამოპება, განხეთქა-გამოხეთქა და ა. შ. მაგალითად:

> .... შეიწყნარწმ ღოდი იგი, რომელი **გამოსთქდა** თჳნიერ კელისა კაცთაჲსა (სახ. მეტყვ. 22,38).

§ 92. მოქმედება თითქოს შიგნიდან იწუება და ვრცელდება მთელ საგანზე. ახალ ქართულშიც და ძველშიც ბევრია ისეთი ზმნა, რომელიც თუმცა **გან-** ზმნისწინს დაირთავს, მაინც ძნელი ხდება ამის მიხედვით რაიმე მიმართულებაზე ლაპარაკი. ამათგან გამოიყოფა ჯგუფი ისეთი ერთპირიანი ზმნებისა, რომლებიც თითქოს გვაგულისხმებინებენ, რომ ზმნით გადმოცემული მოქმედება ვრცელდება მთელ სუბიექტზე არა ზედაპირულად, არამედ შიგნიდან, სიღრმიდან. ასეთი ზმნებია მაგალითად: განთენა, განიკურნა, განათლდა, განირყუნა, განისწავლა, განტფა, განცხოველდა, განძლიერდა, განძღა, განჭაპუკნა, განკმა, განიკრწნა, განჯურდა და სხვანი. აი მათი გამოყენების ნიმუშები:

.... **განბრწყინდა** პირი მისი (მ. 17,2 C);

.... დღ҃ რომელი **განთენებოდა** პარასკეჲად (სინ. მრ. 63,25);

.... მაშინ **განიკურნებოდეს** უძლურებანი კაცთანი (ჰაბო, ი. 82);

.... რაჲთა ამით **განათლდეს** გონებაჲ ჰაბუკისაჲ (საბა ას. 11,6);

.... წინაშე ღმრთისა მიიცვალა სიბერითა კეთილითა **განპოხებული** (ზარზმ. 150,6);

.... [მწნილი] დალპა და **განირყუნა** სიცხისაგან დღისი და ნეფხვისაგან ღამისა (საბა ას. 6,31);

.... **განცხოველდა** სული იაკობისი (დაბად. 45,27);

.... **განძლიერდა** ისრაჱლ და დაჯდა ცხედარსა ზედა (დაბად. 48,2);

.... მფრინველნი **განძღეს** კორცითა მათითა (გამოცხ. 19,21);

.... ჰრქუა იუდა თამარს, სძალსა თჳსსა: დაჯედ ქურივად სახლსა შინა მამისა შენისასა, ვიდრემდე **განმწჯსნეს** სელომ, ძ҃ჲ ჩემი (დაბად. 38,11);

.... დააგდის ტყავი იგი მისი ძუელი და **განჰაპუჭნის** (სახ. მეტყე. 14,17);

.... ძუალნი ჩუენნი სადამე ჟამ წჳმითა დაილტენიან, და არნ ჟამი სადამე, მზითა **განჴმიან** (სინ. მრ. 64,16);

.... მის თანა ისიძვეს და **განჴურდეს** (გამოცხ. 18,9).

საგულისხმოა, რომ ამ ტიპის ზმნებს **გან-**ის საპირისპიროდ **გამო-** ზმნისწინი ან არ მოუდის (განთენა, განათლდა, განირყუნა, განისწავლა) ან კიდევ, თუ მოუდის, შინაარსს ერთგვარად უცვლის. ავიღოთ, მაგალითად, ზმნა **გაბრწყინვება**: „**გაბრწყინდა** პირი მისი“ (მ. 17,2 C), აქ ნათქვამია, რომ ბრწყინვა მთელ მის სახეს მოედო. მაგრამ თუ ასეთ წინადადებას ავიღებთ: „ნათელი გამობრწყინდა მათ ზედა“ (მ. 4,16), ვხედავთ, რომ აქ **გამობრწყინება** ზმნამ უკვე მიმართულებაც გადმოსცა (გამობრწყინდა, ე. ი. ბ რ წ ყ ი ნ ვ ი თ გ ა მ ო ვ ი დ ა ო). ეს რომ ასეა, კიდევ უფრო კარგად ჩანს ასეთ წინადადებებში: „ელვაჲ.... ქუეშე ცასა **გამობრწყინდის**“ (ლ. 17,24 C); „ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზის აღმოსავალით“ (მ. 24,27).

კიდევ მეტად გვაგრძნობინებს ეს ზმნა შიგნიდან გარეთ მიმართულებას, თუ მის მოქმედებითის ფორმას მივმართავთ: „**გამოაბრწყინვა** ვითარცა ნათელი მზისაჲ“ (მინჩხი, კ҃ჲ, XXX, 4); მაგრამ თუ ამ ზმნის მოქმედებითს ფორმას **გან-** ზმნისწინით ავიღებთ, მიმართულების გაგება ისევ გაუჩინარდება: „ღმერთმან.... სიბნელ҃ჲ.... ნათლითა განაბრწყინვა“ (ჰაბო, ვ,115—116).

საერთოდ, როგორც ვთქვით, ამ ტიპის ზმნებს **გამო-** ზმნისწინი იშვიათად მოუდის.

ამ ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს ის ზმნებიც, რომლებიც ადამიანის ცოცხალი არსების შეგრძნებათა თუ შინაგანი ემოციური მხარეების გადმოცემასთან არიან დაკავშირებული. ეს ზმნები ჩვეულებრივ **გან-** ზმნისწინით თითქოს იმას გვაგულისხმებინებს, რომ სათანადო განცდები სუბიექტს შინაგანად მოედო:

.... განუკურნებოდა მათ განკურნებითა დიდითა (მრ. 5,52);
.... განრისხნა უფალი გულის წყრომით (გამოსლ. 4,14);
.... განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი (საბა. ას. 5,31);
.... განსცხრებოდა ეკლესიაჲ სიხარულით (მინჩხი ლგ. VI, 1—2);
.... განიხარეს სიხარულითა დიდითა (მ. 2,10).

§ 93. **დაფარულის ცხადყოფა. გან-, გამო-**ზმნისწინიან ისეთ ზმნებში, რომლებიც მიმართულებას ვეღარ აღნიშნავენ, გვაქვს ზოგიერთი ისეთი ზმნაც, რომელიც გვაგრძნობინებს, თითქოს რაღაც დახშული და დაფარული ცხადი და ნათელი ხდება. ასეთი ზმნები, რომელთაც დაფარულის გამჟღავნების, ცხადყოფის შინაარსი აქვთ, უთუოდ დაკავშირებულია შიგნიდან გარეთ მიმართულების გაგებასთან. ასეთი ზმნაა, მაგალითად, **გამოცხადება**: „მეორესა ჯერსა **გამოეცხადა** იოსეფ ძმათა თჳსთა“ (საქმე 7,13).

დღეს **გამოეცხადა** ზმნა დაახლოებით ამ შინაარსისაა: მ ა თ თ ა ნ მ ი ვ ი დ ა, მ ა თ წ ი ნ ა შ ე წ ა რ დ გ ა. მაგრამ ეს მისი გადატანითი მნიშვნელობაა, ხოლო თავდაპირველი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ც ხ ა დ ა დ შ ე ქ მ ნ ა.

ის, რაც ჩვენგან მიფარებულ სიღრმეშია მოთავსებული, არცა ჩანს და ცხადიც არ არის. ასეთი საგანი რომ ცხადი, დასანახი გახდეს, იგი იმ მიფარებული სიღრმიდან უნდა გამოვიდეს, ე. ი. შიგნიდან გარეთ მოძრაობა უნდა შეასრულოს, და მთქმელს ერთგვარად დაუახლოვდეს. აი ამიტომაა, რომ **გამოცხადება**-ცა და ასეთი შინაარსის მქონე სხვა ზმნებიც უპირატესად შიგნიდან გარეთ მიმართულების აღმნიშვნელ სააქეთო ორიენტაციის **გამო**- ზმნისწინს დაირთავს, და გასაგებიცაა: ის, რაც დაფარული (სიღრმეში მყოფი) იყო და ცხადი გახდა, ჩვენც დაგვიახლოვდა. დამაახლოებელი მოძრაობა კი განიხილება როგორც სააქეთო:

.... გამოიკულია იგი და ჰრქუა კაცსა (იობ. 28,27);
.... წარმოუთხრა მადლი იგი ღმრთისაჲ, რომელი გამოჩნდა მის ზედა (საბა ას. 9,8); ....რამეთუ უფალი გამოჩნდეს თქუენ შოვრის (ლევიტ. 9,4); ....მრავალთა ნათესავთა **გამოუჩნდა** მამად (ჰაბო, გ. 40).
.... სიღრმენი მდინარეთანი **გამოაჩინნა** (იობ. 28,11); ....რომელი გამოაჩინებს გ ა მ ო უ ჩ ი ნ ე ბ ე ლ ს ა მკსნელსა ჩუენსა (სახ. მეტყ. 22,59);
.... ღმერთმან გამოცადა აბრაჰამი და ჰრქუა (დაბად. 22,1); ....ქამი ესე ვითარ არა გამოიცადეთ (ლ. 12,56);
.... ანგელოზი უფლისაჲ **გამოეცხადა** ჩუენებით იოსეფს (მ. 2,19 C);
.... გამოაცხადა ძალი თჳსი ნათლად (იობ. 28,11);

.... საჯელი, რომელი არა ვიცოდე, **გამოვიძიე** (იობ. 29,16); ....გა-**მოიძიეთ** წიგნთაგან (ი. 5,39); არა რას შეგძინებს ამისი **გამოძიებაჲ** (საბა ას. 9,1);

.... უკუეთუ იბრძოდიან კაცნი ორნი და სცენ დედაკაცსა მიდგომილ-სა და მოურყუნენ ყრმაჲ მისი არღა **გამოხატული**, ზღვევით იზღვიოს. (გამოსლვ. 21,22),

იშვიათად ასეთ ზმნებთან **გან-** ზმნისწინიც შეიძლება შეგვხვდეს:

.... და არა იყოს საცნაურ ერსა შოვრის მისსა და არცა **განჩინებულ**-ცასა ქუეშე სახლი მისი (იობ. 18,19);

.... **განეცხადა** სახლსა ფარაოჲსსა ნათესავი იოსეფისი (საქმე, 7,13);

.... **განცხადნეს** მათი იგი ცოდვაჲ (ლევიტ. 4,14).

მოყვანილი ნიმუშებიდან ზოგი აშკარად მიგვითითებს იმაზე, თითქოს მოქმედება შიგნიდან უნდა შესრულდეს (სიღრმენი მდინა-რეთანი **გამოაჩინნა**.... **გამოიძიეთ** წიგნთაგან), ზოგიც ამას უფრო ნაკ-ლებად გვაგრძნობინებს, მაგრამ ერთი ცხადია: თავდაპირველად ასე-თი შინაარსის ზმნებშიც გაიაზრებოდა შიგნიდან გარეთ მიმართუ-ლება.

თ ა ვ ი VI

რკალური მოძრაობის გამოხატვა

§ 94. ცნებისათვის. დღევანდელ ქართულში დაბრკოლების გადალახვას **გადა-** და **გადმო-** ზმნისწინები გვიჩვენებს. ძველ ქართულში კი ამ დანიშნულებით გამოიყენებოდა როგორც **გარდა-, გარდამო-** ზმნისწინები, ისე **წიაღ-** და **წიაღმო-** ზმნისწინებიც. ამათგან **გარდა-** და **გარდამო-** ზმნისწინები გამოიყენებოდა ხმელეთზე დაბრკოლების გადალახვის საჩვენებლად, **წიაღ-** და **წიაღმო-** ზმნისწინები კი — წყალზე დაბრკოლების გადალახვის საჩვენებლად.

როგორც **გარდა-**, ისე **წიაღ-** ზმნისწინები რთული შედგენილობისაა, რის მეოხებითაც ისინი ახერხებენ რ კ ა ლ უ რ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს აღნიშვნას, ანუ დაბრკოლების გადალახვის აღნიშვნას.

რკალური მოძრაობის გადმოცემის უნარი რომ აქვთ, ამის წყალობით **გარდა-, გარდამო-** ზმნისწინებს განუვითარდათ მეორე მნიშვნელოვანი ფუნქციაც — აღნიშნონ ზევიდან ქვევით მიმართულება.

ამ მნიშვნელობით ძალზე დიდი იყო ძველ ქართულში **გარდამო-** ზმნისწინის გამოყენების არე. ეს იმიტომ, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ ხერხდებოდა ჩვენს ზევიდან ქვევით მიმართული მოძრაობის გადმოცემა **შთამო-** ზმნისწინით, ხოლო **დამო-** ზმნისწინის ხმარება უკვე იშვიათობას წარმოადგენდა (§§ 52—53.57):

რადგანაც **გარდა-, გარდამო-** ზმნისწინები უჩვენებენ არა მარტო დაბრკოლების გადალახვას, არამედ ზევიდან ქვევით მიმართულებასაც. ამიტომ კითხვა ისმის: რომელი სახელწოდება უფრო შეეფერება მათ — „დაბრკოლების გადალახვის აღმნიშვნელი ზმნისწინები“, თუ „ზევიდან ქვევით მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინები?“

ცხადია, ამ ორიდან ერთ-ერთი სახელწოდების არჩევა, მეორე ფუნქციის უგულებელყოფას იწვევს. ამიტომ აჯობებს ისეთი სახელწოდება შევურჩიოთ, რომელიც ორივე ფუნქციისათვის ნიშანდობლივია.

ამ თვალსაზრისით, აჯობებს **გარდა-, გარდამო-** ზმნისწინებს რკა-

ლური მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნისწინები ვუწოდოთ, რადგან რკალური მოძრაობაა დამახასიათებელი დაბრკოლების გადალახვისთვისაც (ღობეზე გადავიდა) და **გადა-, გადმო-** ზმნისწინებით გადმოცემული ზევიდან ქვევითა მიმართულებისთვისაც (ბავშვი კიბიდან გადმოხტა).

მეორე მხრით, **წიალ-, წიალმო-** ზმნისწინებით გამოხატული დაბრკოლების გადალახვაც აგრეთვე რკალურ მოძრაობას გულისხმობს (იხილე ქვემოთ).

ამიტომ ვიტყვით, **გარდა-, გარდამო-, წიალ-, წიალმო-** ზმნისწინებს **რკალური მოძრაობის** აღმნიშვნელი ზმნისწინები ვუწოდოთ.

განვიხილოთ ცალ-ცალკე.

1. გარდა-, გარდამო- ზმნისწინები ძველ ქართულში

§ 95. გარდა- ზმნისწინი და მისი დღევანდელი ძირითადი მნიშვნელობა. ძველ ქართულში სხვა ზმნისწინთა გვერდით **გარდა-** ზმნისწინიც მოიპოვებოდა, და მას სააქეთო ორიენტაციის გადმოსაცემად **გარდამო-** ფორმაც ჰქონდა.

გარდა- ზმნისწინი რთული შედგენილობისაა. შედგება **გარე** ზმნიზედური ზმნისწინისა და ზემოთ განხილული **და-** ზმნისწინისაგან. თავის მხრივ, ზმნიზედური ზმნისწინი **გარე** შედგება იმავე **გა** ელემენტისაგან, რომელიც **გა-ნ** ზმნისწინში გვაქვს, და სიახლოვის აღმნიშვნელი **რე** ნაწილაკისაგან[1].

გარდა- ზმნისწინი დღევანდელ ქართულში ისეთი მიმართულების გადმოსაცემად გამოიყენება, რომელიც დაბრკოლების გადალახვას გულისხმობს. **დაბრკოლების გადალახვას** ა. შანიძე მიმართულების ცალკე სახედ გამოყოფს და აღნიშნავს, რომ ამის გამოსახატავად მოგვეპოვება **გადა-** და **გადმო-** ზმნისწინები[2]. ამ შინაარსის მქონედ მიაჩნდა **გარდა-** ზმნისწინი დ. ჩუბინაშვილსაც: „**გარდა** (გადა) — за, пере, показывает движение через, напр, გარდავსდგამ—переставляю, გარდავიტან—перенесу".[3]

ძველი ქართული ენის მასალაზე დაკვირვებით **გარდა-, გარდამო-** ზმნისწინთა ჩვეულებრივ მნიშვნელობად დაბრკოლების გადალახვას მიიჩნევს ა. მარტიროსოვიც: „**გარდა-** ზმნისწინი აღნიშნავს მიმართულებას იქეთ, **გარდამო-** კი გადმოსცემს აქეთ მიმართულებას.

---

[1] ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: ო კ ე, V, გვ. 92.

[2] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 249.

[3] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 73.

ორივე შემთხვევაში ჩვეულებრივ იგულისხმება რაიმე დაბრკოლების გადალახვა“ [1] (მოყვანილია ნიმუშები: გარდააგორვა, გარდამოვიდოდეს, გარდამოჰკსნა).

მართლაც დაბრკოლების გადალახვის ჩვენება **გადა-** (—**გარდა-**) ზმნისწინის ნიშანდობლივი თვისებაა ახალ ქართულში და ასეთი შინაარსი ჰქონდა მას ძველ ქართულშიც:

.... **გარდააგორვიან** ლოდი იგი პირისაგან მის ჯერ მელისა (დაბად. 29,3);
.... **გარდასდვა** მათ ზედა სამკრ*ჱ* (ლევიტ. 8,7);
.... ბრძანა.... **გარდაზღვად** მისა (მ. 18,25 C);
.... **გარდაიპო** კაცად-კაცადმან სამოსელი თჳსი (იობ. 2,12);
.... **გარდარბიოდა** ლაბან წყაროდ (დაბად. 24,29);
.... რაჲსათჳს თქუენ **გარდახუალთ** მცნებასა ღმრთისასა? (მ. 15,3);
.... რაჲსათჳს ....**გარდააქცევთ** ერსა საქმისაგან მათისა? (გამოსლ. 5,4);
.... ვითარცა ღრუბელი რაჲ **გარდასწმდის** ცით (იობ. 7.9);
.... ვითარცა პოვეს..... მიზეზი შენებად სახლისა მისა, **გარდაჰქდეს** საზომსა ბერისაჲსა (საბა ას. 7,7).

მიუხედავად ამ ტიპის მაგალითების არსებობისა, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ **გარდა-** ზმნისწინის თავდაპირველი მნიშვნელობა დაბრკოლების გადალახვის ჩვენება არ უნდა ყოფილიყო. ეს ფუნქცია შემდეგ შენაძენი ჩანს.

§ 96. ზევიდან ქვევით მიმართულება და გარდა-, გარდამო- ზმნისწინები. IV თავში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ **გარდა-, გარდამო-** ზმნისწინები ძველ ქართულში ზევიდან ქვევით მიმართულების გადმოსაცემად გამოიყენებოდა და იგი ხმარებიდან უკვე ამოვარდნილ **დამო-** ზმნისწინს ცვლიდა. ამასთან ერთად, ისიც აღვნიშნეთ, რომ ეს ზმნისწინები ზევიდან ქვევით მიმართულების გადმოცემისას რკალურ მოძრაობასაც გვაგულისხმებინებენ. დღესაც ამ შინაარსით ხშირად იხმარება ეს ზმნისწინები **(გადმოვარდა, გადმოეშვა, გადავარდა, გადაეშვა).**

გ ა რ დ ა- და გ ა რ დ ა მ ო- ზმნისწინთა მიერ რკალური მოძრაობის აღნიშვნა მაშინაც, როცა იგი ზევიდან ქვევით მიმართულებას გვიჩვენებს, და მაშინაც, როცა დაბრკოლების გადალახვას გვიჩვენებს, შეპირობებულია მისი რთული შედგენილობით.

---

[1] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, 93.

§ 97. აღნიშნავს თუ არა რთული გარდა- ზმნისწინი ორმაგ მიმართულებას? გარდა- ზმნისწინი რომ რთული შედგენილობისაა, ამაზე ზემოთ მივუთითეთ. უფრო ადრე ჩვენ გავეცანით **შთა-** ზმნისწინს, რომელიც აგრეთვე რთული შედგენილობისაა: **შთა-** ზმნისწინის შესახებ ა. შანიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ იგი ორმაგ მიმართულებას გვიჩვენებს და რომ ეს ორმაგი მიმართულება შეპირობებულია მისი შემადგენელი ზმნისწინების ცალკეულ მნიშვნელობათა შერწყმით[1].

საგულისხმოა, რომ როგორც **შთა-** ზმნისწინში, ისე რთულ **გარდა-** ზმნისწინში მეორე შემადგენელი კომპონენტი ერთი და იგივე **და-** ზმნისწინია. განსხვავება მხოლოდ პირველ კომპონენტებშია (**შთა** = შე + და, **გარდა** = გარე + და); ცხადია, თუ ორსავე ამ ზმნისწინში ერთმა და იმავე **და-** ზმნისწინმა ერთი და იმავე (ზევიდან ქვევითა) მიმართულების გაგება შეიტანა, მაშინ ამ ზმნისწინთა შინაარსობრივი განსხვავება დაკავშირებული უნდა იყოს განსხვავებულ კომპონენტებთან — **შე-** და **გარე-**სთან. მართლაც:

შთა- (←შე + და-) ზმნისწინი გვიჩვენებს მიმართულებას შიგნით და ამავე დროს ქვევით, ანუ შიგნით და ქვევით.

ამის მიხედვით **გარდა-** (←გარე- + და-) ზმნისწინსაც უნდა ეჩვენებინა რაღაც ორმაგი მიმართულება. ამ ორმაგი მიმართულების ერთი მხარე (ქვევითა) უკვე გარკვეული გვაქვს და იგი დაკავშირებულია **და-** ზმნისწინთან. მეორე მხარე კი დაკავშირებული უნდა იყოს **გარე-** ზმნისწინთან.

გარე- ზმნისწინი ძველ ქართულში სხვაზმნისწინიან ზმნებსაც დაერთვოდა (მაგრამ არ უხორცდებოდა) და მათში გვერდის ავლის, მიუხვევლობის შინაარსი შეჰქონდა. იგი იმავე შინაარსს გადმოსცემდა, რასაც ზმნიზედა **გარე** (დღევანდელი გარეთ) და თანდებული **გარე**.

მეორე მხრივ, **გარე-** ზმნისწინს **გან-** ზმნისწინთან საერთო ელემენტიც აქვს — **გა**, რომელიც ადგილის გაგებას იძლევა[2] (იმ ადგილისას, საიდანაც უნდა დაიწყოს მოქმედება) და აღნიშნავს მოძრაობას აქედან იქით, ჩვეულებრივ — ჰორიზონტულს. სწორედ ამ შინაარსით იხმარებოდა და იხმარება **გან-** ზმნისწინი ძველსა და ახალ ქართულში (გაიქცა, გარბის, გაეშურა...).

მაგრამ **გარე** ზმნისწინს **გან-**ისაგან განასხვავებს **რე** ნაწილაკი,

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 350—351.

[2] ვეყ. ბერიძე, საგან სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: **სმამ**, ტ. III, № 4, 1942, გვ. 381—388.

რომელსაც სიახლოვის შინაარსი აქვს. სწორედ ამ რე-ს შეაქვს მიუხებლობის გაგება გარე ზმნისწინში, ზმნიზედასა და თანდებულში.

ამგვარად, გარე უნდა უჩვენებდეს ჰორიზონტულ მოძრაობას ადგილის მიუხებლად, ოდნავ დაშორებით.

ეს შინაარსი უნდა შეჰქონდეს გარე ზმნისწინს რთულ გარდა-, გარდამო- ზმნისწინებშიც. ამის მიხედვით, **გარდა ზმნისწინი უნდა აღნიშნავდეს ისეთ მოძრაობას, რომელიც იწყება ჰორიზონტული მიმართულებით (ადგილზე მიუხებლად) და მთავრდება ზემოდან ქვევით — შეეული მიმართულებით. ესაა ერთგვარი რკალური მოძრაობა რისამე თავზე გადავლებით, მიუხებლად.**

სწორედ ესაა გარდა- ზმნისწინის **ძირითადი და თავდაპირველი** მნიშვნელობა. ეს მნიშვნელობა კარგად იგრძნობა ასეთი დაპირისპირებისას: **გადავარდა—ჩავარდა** (იხ. ნახ. 17). ამათგან **გადავარდა** ზმნა უჩვენებს რაიმე ზედაპირიდან გადავლებით ძირს ჩავარდნას; **ჩავარდა** ზმნა კი უჩვენებს მოწყვეტით, მოსხლეტით ძირს ჩავარდნას, პირდაპირ შეეული მიმართულებით, ყოველგვარი რკალის შემრწეირის გარეშე.

ახლა საკითხავია: მართლაც გამოიყენებოდა თუ არა ამ შინაარსით გარდა- ზმნისწინი ძველ ქართულში? ამ კითხვაზე უთუოდ დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. ცხადიცაა: გარდა- რთულ ზმნისწინში მის ცალკეულ შემადგენელ ნაწილებს ძველად უფრო ექნებოდათ შენახული თავდაპირველი მნიშვნელობანი, ვიდრე შემდეგში. როცა გარდა- ზმნისწინმა, როგორც მთლიანმა ერთეულმა, ზოგი სხვა ახალი მნიშვნელობაც გაიჩინა.

გარდა- ზმნისწინი რომ რკალურ მოძრაობას გულისხმობდა ძველ ქართულში, ამის საჩვენებლად მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

.... თჳსითა კელითა ჴურჯერი ნავისაჲ გარდააბნიეს (საქმე, 27,19);

.... ხოლო იგი გარდავარდა სიმაღლისა მისგან (სინ. მრ. 56,26);

.... გარდავაცუათ საბელი ყელსა მისსა (აპოკრ. 36,10 DE);

.... ეითარცა აღესრულნეს დღენი მრავალნი, იზრახეს ჰურიათა მათ მოკლეაჲ მისი.... და მოიყვანეს ძმათა და ზღუდით სარკუმელსა გარდაუტეეს ბანდაკითა (საქმე, 9,23—25 C):

.... გარდამოაგდეს მართალი იგი გოდლისა მისგან (სინ. მრ. 56,24);

.... გარდამომდევ სამოსელი შენი მკევალსა შენსა (რუთ, 3,9);

.... სიტყჳსა წილ ცრემლთა სიმრავლე გარდამოადინა (ზარზმ. 152,16);

.... აეროვან იქმნა პირი მისი და გარდამოართუა შჯული ერსა თჳსსა (სინ. მრ. 114,12);

.... კმა ყაე ამიერითგან გარდამოტეეებაჲ წყლისაჲ პირისაგან შენისაჲ (აპოკრ. 40,15 DE);

.... გარდამოეცინ ანდრიატმან მაგან.... წყალი დიდი პირითა თჳსითა (აპოკრ. 39,16 DE);

.... ტრედი ერთი სპეტაკი გარდამოფრინვიდა და მოაქუნდა გკრგკჳრ (სინ. მრ. 60,29).



ნახ. 17.

ამ მხრივ საყურადღებოა **გარდამოვლდომა** ზმნის ის განმარტება, რომელიც მოცემულია ნ. მარის მიერ გამოცემულ ტექსტში: „იპოლიტჱს თქუმული თარგმანებაჲ ქებაჲ-ქებათაჲ". როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. შესავალი. § 1), დასახელებული ძეგლის მიხედვით **გარდამოვლდომა** არის საგანზე თავსგადაველებით ზევიდან ქვევით მოძრაობა. ესაა რკალური მოძრაობა რაიმეზე თავსგადავლებით, მიუხებლად.


ეს შინაარსი **გარდა-, გარდამო-** ზმნისწინებს ჰქონდათ ძველ ქართულში და აქვთ ახალ ქართულშიც.

ამგვარად, **გარდა-, გარდამო-** ზმნისწინებიც, მსგავსად **შთა-, შთამო-** ზმნისწინებისა, ორმაგ მიმართულებას აღნიშნავენ.

§ 98. მნიშვნელობის დიფერენციაცია. გარდა-, გარდამო- ზმნისწინთა ისეთი ფუნქციები, როგორიცაა დაბრკოლების გადალახვისა და ზევიდან ქვევით მიმართულების ჩვენება, მეორეული ჩანს. ესენი განვითარებული უნდა იყონ დასახელებულ ზმნისწინთა თავდაპირველი ფუნქციიდან — რკალური მოძრაობის აღნიშვნის ფუნქციიდან. ეს რომ ასეა, ამაზე ის გარემოებაც მიუთითებს, რომ რკალური მოძრაობა დღეს იგრძნობა **გარდა-** ზმნისწინიან ზმნებში მაშინაც, როცა იგი ზევიდან ქვევით მიმართულებას უჩვენებს (**გარდავარდა**), და მაშინაც, როცა იგი დაბრკოლების გადალახვას უჩვენებს (**გარდავიდა**. იხ. ნახ. 18).

განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ რომელი მხარე ჭარბობს მთლიანად მოძრაობაში — ვერტიკალური თუ ჰორიზონტული. თუ ვერტიკალური მოძრაობა მეტი ზომითაა ნაგულისხმევი, ვიდრე ჰორიზონ-

ტული, მაშინ გარდა-, გარდამო- ზმნისწინები ზევიდან ქვევით მიმართულებას გადმოსცემენ (გარდავარდა, გარდამოვარდა, გარდა-



ნახ. 18.

მოაბნია.....), ხოლო თუ შებრუნებითაა, ე. ი. ჰორიზონტული მოძრაობა მეტი ზომითაა ნაგულისხმევი, ვიდრე ვერტიკალური. მაშინ გარდა-ზმნისწინით ნაგულისხმევი რკალური მიმართულება დაბრკოლების გადალახვის ხასიათს იღებს (გარდავიდა).

დაბრკოლების გადალახვის აღნიშვნისას გარდა- ზმნისწინი დღეს ჩვეულებრივ ისეთ მოძრაობას აღნიშნავს, რომელიც ერთხანს ზევითა მიმართულებისაა (რათა სუბიექტი ასცდეს იმ საგანს, რაზედაც დგას), შემდეგ — ჰორიზონტულისა და ბოლოს — ქვევითა მიმართულებისა, ვიდრე სიბრტყის ზედაპირს შეეხებოდეს.

საერთოდ, გარდა-, გარდამო- ზმნისწინები ზევიდან ქვევით მიმართულებას მაშინ გვაგრძნობინებენ, როცა ზმნის ძირი ვარდნასთან დაკავშირებულ შინაარსს გამოხატავს, ხოლო დაბრკოლების გადალახვის შინაარსს მაშინ, როცა ზმნის ძირი ჰორიზონტულ გადაადგილებას გულისხმობს.

შემდეგში სხვადასხვა შინაარსის ზმნებთან მომხდარია გარდა-, გარდამო- ზმნისწინთა ზემოაღნიშნული ძირითადი შინაარსის შემდგომი დიფერენციაცია. ძველ ქართულში კი გარდა-, გარდამო- ზმნისწინებს არსებითად ზემოაღნიშნული ორი ფუნქცია ჰქონდათ— ეჩვენებინათ: ა) ზევიდან ქვევით მიმართულება და ბ) დაბრკოლების გადალახვა. ორივე ეს ფუნქცია განვითარებული ჩანს გარდა-, გარდამო- ზმნისწინთა თავდაპირველი ფუნქციისაგან—რკალური მოძრაობის ჩვენების ფუნქციისაგან. ეს თავდაპირველი ფუნქცია კი გარდა-, გარდამო- ზმნისწინების ზოგადი ნიშანდობლივი ფუნქციაა დღესაც და ზმნაში სხვადასხვა ნიუანსით ვლინდება.

§ 99. საკითხის შესწავლის ისტორიიდან. ზემოგანხილულ ზმნისწინთა გარდა, ძველ ქართულში გვქონდა კიდევ ერთი წყვილი ზმნისწინი — **წიალ-** და **წიალმო-**, რომლებიც **გარდა-გარდამო-**ს მონაცვლედ გამოდიოდნენ, თუკი საქმე ეხებოდა დაბრკოლების გადალახვას წყალზე (მდინარეზე, ტბაზე, ზღვაზე).

ძველ ქართულში ამ ზმნისწინის არსებობა პირველად ა. შანიძემ მიუთითა (1942 წელს) „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ [1]. ამავე დროს მანვე დასახელებული ზმნისწინის გენეზისი ასე წარმოადგინა: **წიალ—წი-აღ—წყლის-აღ** (ისევე როგორც **წისქვილი—წყლის ფქვილი**) [2].

„ქართული ოთხთავის სიმფონიაში“ ივ. იმნაიშვილს მითითებული აქვს, რომ **წიალ** ძველ ქართულში ოთხი მნიშვნელობით გვხვდებოდა: 1. იგი იყო არსებითი სახელი და ნიშნავდა **კალთა-ს, უბე-ს** (лоно); 2. იგი გამოიყენებოდა თანდებულად **გაღმა-ს** ან **გამოღმა-ს** შინაარსით (ითქმოდა წყალზე); 3. იგი გამოიყენებოდა ზმნიზედად და ბოლოს 4. იგი იყო ზმნისწინი [3].

შემდეგში ამ ზმნისწინს შეეხო ა. მარტიროსოვიც. მანაც გაიზიარა ა. შანიძის მიერ მოწოდებული განსაზღვრება **წიალ-** ზმნისწინის მნიშვნელობისა, აღნიშნა ისიც, რომ ეს სიტყვა ძველად გამოიყენებოდა თანდებულადაც, ზმნიზედადაც და არსებით სახელადაც (კალთის, უბის შინაარსით). ამასთან ერთად, ავტორმა მოგვცა **წიალ-** ზმნისწინის ახლებური გენეზისი. მან, ჩანს, არ გაიზიარა ა. შანიძის მოსაზრება **წიალ-** ზმნისწინის **წყლის-აღ-**ისაგან წარმომავლობის შესახებ და სურათი ასე წარმოგვიდგინა: „**წიალ-**.... იშლება ასე: **წი-აღ. წი** იგივეა, რაც **წი-ნ** (**წი-ნა**), **წი-ნა-**ში ზმნისართებშია, **აღ-** კი ცნობილი ზმნისწინია [4]. მაგრამ ავტორს მოცემული არა აქვს ახსნა. თუ რატომ ვარაუდობს იგი **წიალ-**ში შემავალი **წი** ელემენტის **წინ** ზმნიზედისაგან წარმომავლობას.

§ 100. წიალ-, წიალმო- ზმნისწინთა გამოყენების ნიმუშები. წიალ-, წიალმო- ზმნისწინები გეზის მიხედვით, როგორც უკვე ვთქვით, ძველ ქართულში წყალზე დაბრკოლების გადალახვის აღსა-

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვეთი პირველი, 1942 წ., გვ. 237.

[2] იქვე, გვ. 255.

[3] ივ. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით, 1948—1949 წწ.

[4] ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფენქციები ძველ ქართულში: იქვე, V, გვ. 93.

ნიშნავად გამოიყენებოდა. ამ მხრივ მეტად შეზღუდული იყო იმ ზმნათა წრე, რომლებსაც ის დაერთვოდა. ეს ზმნები იყო ძირითადად ქდომა და სლვა, აგრეთვე სლვ-ის მონაცვლე ძირები. ამას გარდა, წიაღ- ზმნისწინი იმავე დანიშნულებით იშვიათად ზოგ სხვა ზმნასაც დაერთვოდა:

წ ი ა ღ ს ლ ვ ა, წ ი ა ღ მ ო ს ლ ვ ა:

.... ვითარ ეგულებოდა მას აქაიად წიაღსლვად (საქმე, 18,27);

.... უბრძანა მათ წიაღმოსლვად (მ. 8,18 C)..... ეპოვეთ ნაკი, რომელი წიაღვიდოდა ფინიკედ (საქმე, 21,2); ....წიაღვიდოდეს ზღუასა მას კაპარნაუმდ კერძო (ი. 6,17 C):

.... და პირი იგი ზღუსაჲ მის დასავალით წიაღვლეთ (ზარზმ. 161,23).

წ ი ა ღ ქ დ ო მ ა, წ ი ა ღ მ ო ქ დ ო მ ა:

.... შთავიდეს სელევკიად, და მიერ ნავითა წიაღქდეს კვპრედ (საქმე, 13,4 Ղ); ....არამედ წიაღქდე სიღრმესა მას მდინარესა ცეცხლისასა (აპოკრ. 12,43);

.... და წარიელტოდა იგი და ყოველივე მისი. და წიაღმოქდა მდინარესა (დაბად. 31,21); ....აღქდა ნავსა მას და წიაღმოქდა (მ. 9,1).

წ ი ა ღ ყ ვ ა ნ ე ბ ა:

.... რამეთუ განაპო ზღუაჲ და წიაღიყვანნა იგინი (ფს. 77,13).

წ ი ა ღ გ უ ა ლ ე:

წიაღმოგუალე მაკედონიად და შემეწიე ჩუენ (საქმე, 16,9 Ղ): გამოცემაში — წიაღ მოგუალე).

წ ი ა ღ მ ო კ რ ე ბ ა:

.... წიაღმოკრიბა ყოველივე, რაჲცა იყო მისი (დაბად. 32,23).

წიაღ-, წიაღმო- ზმნისწინები უკვე ძველი ქართულის ძეგლებში წარმოადგენს იშვიათობას. ა. შანიძის სიტყვით, ეს ზმნისწინები ძირითადად V—VII საუკუნეების ძეგლებში გვხვდება[1]. მაშინაც, როგორც უკვე მივუთითეთ, სულ რამდენსამე ზმნასთან გამოიყენებოდა. ეს გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ წიაღ-, წიაღმო- ზმნისწინები ქართული ენისათვის ძირითადად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ჩვენი სამწერლო ძეგლების შექმნის წინა პერიოდისათვის. ძველი ქართული ენის იმ ძეგლებში კი, რომლებშიც ეს ზმნისწინი გვხვდება, არაერთია ისეთი შემთხვევა, როცა მოსალოდნელი წიაღ-ის ნაცვლად სხვაზმნისწინიანი ანდა უზმნისწინო ზმნაა გამოყენებული:

.... მიერ შესხდეს ნავსა და წარემართნეს კვპრედ (საქმე, 13,4 C; შდრ.: წ ი ა ღ ქ დ ე ს კვპრედ. Ղ):

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, ნაკვ. პირველი, 1942, გვ. 237.

.... ვითარცა განაჩინეს ნავითა წარსლვაჲ ჩუენი იტალიად (საქმე, 27,1);

.... მიერ ნავითა წარმოვედით (საქმე, 20,15 C);

.... უბრძანა, რომელნი-იგი შემძლებელ იყვნეს, ცურვით განწევნად (საქმე, 27,43 C; ცურვით განსლვად, Ქ);

.... შევიდა ნავსა ეფესოჲთ და შთავიდა კესარიად (საქმე, 18,21-22);

.... ძმათაგან იჴმნა და გამოვიდა ნავითა ასურეთად (საქმე, 18,18);

.... აღვჴედით ნავსა ტროადით და მივიწრაფეთ სამოთრაკედ (საქმე, 16,11);

.... ხოლო ჩუენ წინა წარუძღუთ ნავითა (საქმე, 20,13).

ჩვენ აქ წარმოვადგინეთ მოსალოდნელი წიაღ- ზმნისწინის გამოუყენებლობის შემთხვევები „საქმე მოციქულთა"-დან. ასეთი ნიმუშები კი, რა თქმა უნდა, სხვა ძეგლებშიც ბევრი დაიძებნება. შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში უფრო ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა არ გამოიყენება მოსალოდნელი წიაღ- ზმნისწინი, ვიდრე ისეთი შემთხვევა, როცა მას იყენებენ.

§ 101. წიაღ- ზმნისწინის გენეზისისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე მითითებულია, რომ წიაღ- სიტყვა ძველ ქართულში გამოყენებული იყო აგრეთვე როგორც თანდებული, როგორც ზმნიზედა და როგორც არსებითი სახელი. ჩვენ ამ დასკვნას ვეღარაფერს დავუმატებთ. მხოლოდ საილუსტრაციოდ რამდენიმე ნიმუშს მოვიყვანთ:

1. წიაღ — არსებითი სახელი:

.... მე მიგეც მკევალი ჩემი წიაღთა შენთა (დაბად. 16,5):

.... წიაღთა მამისათა იყო და წიაღთა ქალწულისათა და ქალწულებისა კლიტჱ არა განხეთქა (სინ. მრ. 44,32);

.... ზეცას წიაღთა შინა მამისათა.... განისუენა (სინ. მრ. 7,29).

2. წიაღ — ზმნიზედა:

.... მოვიდეს მოწაფენი მისნი მიერ წიაღ (მ. 16,5);

.... შორის სიერცესა მის ქალაქისასა და მდინარისა მის ამიერ და წიაღ ძელი ცხორებისაჲ.... (გამოცხ. 22,2 AB).

3. წიაღ — თანდებული:

.... განვიდა მოწაფითურთ თჳსით წიაღ კეესა მას კედრონისასა (ი. 18,1 C).

ამას გარდა, **წიაღ-, წიაღმო-** შემადგენელ ნაწილად შედის რთული შედგენილობის ისეთ ზმნიზედებში, როგორიცაა **წიაღკერძო** და **წიაღმოკერძო:**

.... აიძულა მოწაფეთა შესლვაჲ ნავსა და წინა-წარძღეანვად მისა წ ი ა ღ-კ ე რ ძ ო (მ. 12,22 C);

.... ვითარ წ ი ა ღ მ ო კ დ ა იესუ მერმე **წიაღმოკერძო**, შეკრბა ერი მრავალი მის თანა (მრ. 5,21).

წიაღ-, წიაღმო-ს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ ზმნისწინად, თანდებულად და ზმნიზედად გამოყენების შემთხვევაში და, როგორც აღვნიშნეთ, მიგვითითებენ წყლის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე გასვლას, წყალზე დაბრკოლების გადალახვას. ამ მხრივ მათგან განსხვავებული შინაარსისაა არსებითი სახელი **წიაღ-ი**, რომელიც **უბე-ს, კალთა-ს** ნიშნავს. სიტყვა **წიაღი** არსებით სახელად დღევანდელ ქართულშიც გვაქვს გამოყენებული, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული შინაარსით. კერძოდ, იგი შიგნითა არეს, სიღრმეს უნდა გულისხმობდეს ასეთ გამოთქმებში: მ ი წ ი ს წ ი ა ღ ი, ბ უ ნ ე ბ ი ს წ ი ა ღ ი, წ ი ა ღ ი ს ე უ ლ ი სიმდიდრე და ა. შ. არსებითად ასეთ ჩ ა ღ რ მ ა ვ ე ბ ა ს გულისხმობს **წიაღის** ძველი მნიშვნელობაც: უ ბ ე, კ ა ლ თ ა.

ახლა კითხვა იბადება: **წიაღ-** ზმნისწინის ადრინდელი მნიშვნელობა ხომ არ იყო საერთოდ დაბრკოლების გადალახვა ჩაღრმავებულ ადგილზე. ამას გვაფიქრებინებს მისი მონაცვლეობა **გარდა-** ზმნისწინთან.

როგორც ზემოთ ვთქვით, **გარდა-** ზმნისწინი, როცა იგი დაბრკოლების გადალახვის აღსანიშნავად გამოიყენება, გულისხმობს რკალურ მოძრაობას ჰორიზონტული მიმართულებით ისე, რომ პირველ ეტაპზე მოძრაობა თითქოს ზემოთ მიემართება, მეორე ეტაპზე კი — ქვემოთ (ნახ. 19).


ამის საპირისპიროდ **წიაღ-** ზმნისწინი, რომელიც მეორე კომპონენტად ქვევიდან ზევით მიმართულების **აღ-** ზმნისწინს შეიცავს, უნდა აღნიშნავდეს დაბრკოლების გადალახვას არა ამაღლებულ ადგილზე, არამედ ჩაღრმავებულ ადგილზე, როცა მოძრაობა პირველ ეტაპზე განიხილება როგორც ძირს მიმართული, მეორე ეტაპზე კი — როგორც ზევით მიმართული (იხ. ნახ. 19).

ასეთ ანალიზს მხარს უჭერს **გარდა-** და **წიაღ-** ზმნისწინთა მეორე კომპონენტების ჩვენებაც: **გარდა-**ს მეორე კომპონენტია **და-** ზმნისწინი, რომელიც ცალკე აღებული ქვევითა მიმართულებას გვიჩვენებს. მართლაც, როგორც ვნახეთ, ხმელეთზე დაბრკოლების გადა-

ლახვისას, რაც გარდა- ზმნისწინით აღინიშნება, მეორე ეტაპზე სწორედ ზევიდან ქვევით მიმართულება იგრძნობა (იხ. ნახ. 19).

წიაღ-ის მეორე კომპონენტია ზევითა მიმართულების აღმნიშვნელი აღ- ზმნისწინი და მართლაც, როგორც უკვე ვთქვით, წყალზე დაბრკოლების გადალახვა მეორე ეტაპზე ქვევიდან ზევით მოძრაობას გულისხმობს (წყლიდან ამოსვლა. იხ. ნახ. 19).

რაღას აღნიშნავს წიაღ-ის პირველი კომპონენტი წი? თუ ზემოთ გამოთქმული ვარაუდი სწორია, მაშინ, ბუნებრივია, წი ელემენტი



ნახ. 19.

უნდა აღნიშნავდეს ჩაღრმავებულ ადგილზე დაბრკოლების გადალახვის პირველ ეტაპს — ძირს მიმართულებას (წყალში შესვლა). აქვს თუ არა წ ძირს ზევიდან ქვევით, ძირს მიმართულების ჩვენების შინაარსი ქართულში?

წარ- ზმნისწინის განხილვისას ჩვენ უკვე გავეცანით მის ერთ ფუნქციას — აღნიშნოს ქ ვ ე ვ ი თ, ძ ი რ ს მიმართულება, და ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავას მოსაზრებას, რომ ეს ზმნისწინი უნდა უკავშირდებოდეს ჰანურ წ ა ლ ე-ს და აფხაზურ წა-ს, წ ა კი აფხაზურში ფ ს კ ე რ ს ნიშნავს.

მეორე მხრით წა- ზმნისწინი ქართულშიც და აფხაზურშიც აღნიშნავს წ ი ნ ა ა რ ე შ ი მოქმედებას და ამ მხრივ იგი ქართულ წ ი ნ და აფხაზურ მ წ ა ზმნიზედებს უნდა უკავშირდებოდეს.

თავის მხრივ, წ ი ნ ზმნიზედა ქართულში საგნის წინა მხარეს გულისხმობს არა მარტო ჰორიზონტული მიმართულებით, არამედ ვერტიკალური მიმართულებითაც (ძ ი რ ს). ეს შინაარსი კარგად მოჩანს დღესაც ასეთ გამოთქმებში: „წ ი ნ დაიხედე“, „წ ი ნ დაულაგა“.

არსებითად იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მწა-საც აფხაზურში.

თუ ეს ასეა, მაშინ მართებულად უნდა მივიჩნიოთ წიაღ- ზმნისწინში წი და აღ კომპონენტების გამოყოფა, ხოლო წი კომპონენტი წინ ზმნიზედას უნდა დავუკავშიროთ. ამ შემთხვევაში გასაგები გახდება, თუ რატომ აღნიშნავს წიაღ- ზმნისწინი ისეთ მოძრაობას, რომელიც ჯერ ძირს მიემართება და შემდეგ ზევით.

თ ა ვ ი VII

მიმართულებითი ზმნისწინის უქონელი ზმნები ძველ ქართულში

§ 102. მიმართულებითს ზმნისწინს ყველა ზმნა როდი დაირთავს. ცალკეული ზმნების განხილვისას ბევრ ისეთ ზმნასაც შევხვდით, რომელიც ძველად ზმნისწინიანი იყო, დღეს კი უზმნისწინოა (მიუთხრა, წართქუა, მიუმცნო, მიერჩდა, მიაუწყებს და სხვ.). შევხვდით ისეთ ზმნებსაც, რომლებსაც ძველად ის ზმნისწინიც მოუდიოდა, რომელიც დღეს აღარ მოუდის (აღჯდა, წარიბა, წარმოიპარა, უკუმოვიდა, შეართვა და სხვ.) და ისეთი ზმნებიც ვნახეთ, რომლებთანაც ძველად ზმნისწინი მიმართულების გაგებას იძლეოდა, დღეს კი — ვერა (აღმკოცე, აღავსის და სხვანი).

ყველაფერი ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ ზმნისწინი ძველ ქართულში უფრო იყო გავრცელებული და უფრო მეტ ზმნებთან ასრულებდა თავის პირვანდელ ფუნქციას, ვიდრე ახალ ქართულში.

ამის მიუხედავად, ძველ ქართულშიც ცოტა როდი იყო ისეთი ზმნა, რომელსაც მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინი ან სულ არ მოუდიოდა, ანდა გარკვეულ შემთხვევებში არ მოუდიოდა.

განვიხილოთ ცალ-ცალკე.

§ 103. სტატიკური ზმნა უზმნისწინოა. ისევე როგორც ახალ ქართულში, ძველ ქართულშიც მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინი არ მოუდიოდა ვნებითი გვარის სტატიკურ ზმნებს. ასეთია, მაგალითად: ჰგიეს—ეგო, ჰგონიეს—ეგონა, ჰმოსიეს—ემოსა, უპყრიეს — ეპყრა, უფლიეს, ასმიეს და ა. შ.

თუ ამ ზმნებს რომელსამე ფორმაში დასახელებული ჯგუფის ზმნისწინს შევუერთებთ, სათანადო დინამიკურ ზმნას მივიღებთ. შდრ.: სტატიკური ე გ ო, ე გ ო ნ ა, ე მ ო ს ა, ე პ ყ რ ა, ე რ ტ ყ ა

და დინამიკური და-ეგო, მო-ეგონა, შე-ემოსა, შე-ეპყრა, მო-ერტყა და ა. შ.

ამიტომ მიმართულებითი ზმნისწინის დაურთველობა სტატიკური შინაარსის ზმნათა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა [1].

ამასთან ერთად, ახალ ქართულში გვაქვს ისეთი გამონაკლისებიც, როცა ზოგიერთი სტატიკური ზმნა მიმართულებით ზმნისწინსაც დაირთავს, მაგრამ ამით სტატიკურობის გაგებას არ კარგავს. ასეთია, მაგალითად: აჩნია—მიაჩნია, გააჩნია. ზოგი სტატიკური ზმნა კი დღევანდელ ქართულში უზმნისწინოდ არც იხმარება: მისჩერებია, ჩასცივებია, შეუძლია...

§ 104. მიმართულებითი ზმნისწინის უქონელი საშუალი გვარის ზმნები. ქართულში მიმართულებითს ზმნისწინს არც საშუალი გვარის ზმნა დაირთავს [2], თუკი მას მოძრაობა-გადაადგილების შინაარსი არა აქვს. ეს წესი, რომელიც ძველი ქართულისთვისაც დამახასიათებელი იყო, თანაბრად ეხება როგორც მედიოპასივებს, ისე მედიოაქტივებს.

ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ისეთი მედიოპასივები, როგორიცაა: მიყუარს, მძულს, მიკვრს, მიჩს, მიძლავს, მიკმს, მიხარის, მაკსოვს, მაკლს, მძინავს, მთნავს, მნებავს, მმატს, მწყურის, მწადის, სცალს, ჰმშიის, მჭირს, მეშინის, ჰმალდა, ჰშორავს, წითს, ზის, წევს, დგას, ძეს და სხვანი.

თუ ამ ზმნებს რომელსამე ფორმაში ზმნისწინსაც მივუმატებთ, სავსებით შეიცვლება ზმნის შინაარსი როგორც გვარის, ისე მწკრივის მიხედვით. მაგალითად, მედიოპასივები — მ ი ყ უ ა რ დ ა, მ ძ უ ლ დ ა, მ ი კ ვ რ დ ა, მ ა კ ლ დ ა, მ ჭ ი რ დ ა და სხვანი უწყვეტლის მწკრივში დგას. თუ ახლა ამ ფორმებს რაიმე მიმართულებითს ზმნისწინს მივუმატებთ, მივიღებთ ვნებითი გვარის ზმნებს წყვეტილის ფორმით: შე-მიყუარდა, შე-მძულდა, და-მიკვრდა, მო-მაკლდა, და-მჭირდა და სხვანი (ზმნისწინიან ფორმებში დ ბოლოსართი ამ მაგალითებში ვნებითის ნიშანია, მაშინ როცა უზმნისწინო ფორმებში იგი უწყვეტლის მწკრივის ნიშანს წარმოადგენს).

ახალ ქართულში გვაქვს რამდენიმე გამონაკლისი, როცა ზმნა,

---

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 389; ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, 1948, § 24.

[2] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 382.

შედიოპასივია, მაგრამ უზმნისწინობით არ ხასიათდება. ასეთია მაგალითად, ჩანს—მოჩანს ზმნა. ისეთი ზმნები კი, როგორიცაა მოსწონს, შეუძლია, შეჰხარის, უზმნისწინოდ საერთოდ არ იხმარება.

მედიოპასივებიდან მიმართულებითს ზმნისწინს, როგორც წესი, ისეთი ზმნა დაირთავს, რომელიც გადაადგილებისა და მოძრაობის შინაარსის მქონეა: მიდის, მოდის, მივიდა, მოვიდა, მივალს, მოვალს...

საშუალი გვარის ზმნათა დიდი უმეტესობა მედიოაქტივის ჯგუფს განეკუთვნება. ზოგი მათგანი ძირეულია (წუხს, ტირს), ზოგიც — ნასახელარი (მეფობს).

თუ მედიოაქტივი მოძრაობა-გადაადგილებას არ გამოხატავს, იგი უზმნისწინოა: გოდებს, ქადაგა, ჭრიჭინევდ, ჰღუმინვედ, დრტკნვენ, კსინავს, ჰმტერავს, ოხრის, ჰრულინ, ძრწის, ირეკა, ისიძვა, იჯმნა, იგლოვს, იკუსვიდა, იღუწის, იტყჳს, ინგორის, ითხევლიდა, წუთოდედ, წუხდედ, ცრემლოოდა, კუმოდა, ცბის, ჰბორგის, ბრკიალებს, კმობდა, გალობდენ, დღესასწაულობს, ვაჭრობდენ, კელობდა, ჰმადლობდეს, იმრუშა, მეფობს, მღდელობს, ჰმძლავრობს, მწირობდა, ნათობს, ისადილებს, ღონიერობდეს, შაბათობდა, ძლიერობენ, ჰმონოს, ჰმონა, ჰმსახურებენ, იმსახუროს, ნივთებენ, უვარებს, უსამართლოებდინ, უფლებს, ღაღადებდა, თესლოოდა....

ამ ჯგუფის ზმნათა დიდი ნაწილი ახალ ქართულშიც უზმნისწინოდ იხმარება, ნაწილს კი ზოგჯერ ზმნისწინითაც შეიძლება შევხვდეთ:

ითამაშა — წაითამაშა, წაითამაშებს;
ისადილა — წაისადილა, წაისადილებს;
იმსახურა — წაიმსახურა, წაიმსახურებს;
იღაღადა — წაიღაღადა, წაიღაღადებს;
იბრკიალა — წაიბრკიალა, წაიბრკიალებს;
იძლიერა — წაიძლიერა, წაიძლიერებს და ა. შ.

აქ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ განხილულ მაგალითებში ყველგან წა- ზმნისწინი გვაქვს და მას ამ ზმნებში მოქმედების ოდნაობის შინაარსი შეაქვს. ამგვარად, ამ ტიპის ზმნებთან ახალ ქართულში წა- ზმნისწინს უვითარდება ახალი ფუნქცია — ოდნაობის გამოხატვისა. ასეთი ფუნქცია კი, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს (§ 35, 81), ქართულში შე- და მო- ზმნისწინებსაც განივითარეს.

ამასთანავე ,ზოგი ამ ზმნათაგანი ახალ ქართულში, შესაძლოა, სხვა ზმნისწინითაც გაფორმდეს: „ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა, თითქოს თქვა: დიახ, დიახო“ (აკაკი).

§ 105. ვნებითი და მოქმედებითი გვარის ზოგიერთი უზმნისწინო ზმნა. ძველ ქართულში მიმართულებითი ზმნისწინი არ მოუდიოდა ვნებითი გვარის ზოგიერთ დინამიკურ ზმნასაც: ცხონდა, იქადაგა, იგუემა, ეწოდა, ეცრუვა, ემოძღურა, ევნო, ეგულვა, ეჩქუფებოდა, ეშურებოდა, ეოცებოდა, ელმოდა და სხვ.

მოქმედებით გვარშიც დაიძებნება უზმნისწინო ზმნები. ძველ ქართულში ასეთის ნიმუშად გამოდგება: ავასხა, ავნო, აუცნა, აწყმა, აჭენა, არცხვნა, აცხოვნა, აზმნა, აკურთხა, აწკა, იცნა, იკმია, ურქინა, აჭირვებდა და სხვ.

აქ ჩამოთვლილი ზმნებიდან უმეტესობა ახალ ქართულშიც უზმნისწინოდ იხმარება, ზოგიერთი კი ზმნისწინითაც შეიძლება შეგვხვდეს. მაგალითად: **ავასხა** დღევანდელ ქართულში ცოტა სხვაგვარად გვაქვს — **ასესხა,** მაგრამ შეიძლება ეს ზმნა ზმნისწინითაც გვქონდეს — **მიასესხა, გაასესხა, ჩაასესხა.** ასევე გვაქვს, ერთი მხრით, ა წ ყ მ ა, ი ც ნ ო, ე მ ო ძ ღ უ რ ა, ხოლო მეორე მხრით — დ ა ა წ ყ ვ ი ნ ა, გ ა ი ც ნ ო, დ ა ე მ ო ძ ღ ვ რ ა და სხვანი. ისეთი ზმნები კი, როგორიცაა **არცხვნა, უწოდა,** ახალ ქართულში ჩვეულებრივ მხოლოდ ზმნისწინით გვხვდება: **შეარცხვინა, მოუწოდა.**

§ 106. ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი უზმნისწინო ზმნა. ახალ ქართულში უზმნისწინობით ხასიათდება აგრეთვე ისეთი ზმნები, როგორიცაა: თ ქ ვ ა, უ თ ხ რ ა, ა მ ც ნ ო, ე ტ ყ უ ი ს, ე რ ჩ ო დ ა, ა უ წ ყ ა, ი ყ ი დ ა.

ეს ზმნები ჩვეულებრივ ძველ ქართულშიც უზმნისწინობით ხასიათდებოდა, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მათ ზმნისწინიც დაერთვოდა: წართქუა, მიუთხრა, მიუმცნო, მიეტყოდა, მიერჩდა, მიაუწყა, მოიყიდა და ა. შ.

§ 107. მ ო- თავსართიანი მიმღეობა მიმართულებითს ზმნისწინს არ დაირთავს. როგორც ვიცით, მიმღეობა სახელზმნის ერთი სახეა და ისეთი ზმნური ნიშნითაც ხასიათდება, როგორიცაა ზმნისწინის ქო-

ნება (მოდის — მომდინარე; გააკეთა — გაკეთებული; დაინახა — დანახული; გაზარდა — გაზრდილი და ა. შ.).

მაგრამ გვაქვს მიმღეობათა ერთი წყება, რომლებსაც ზმნისწინი არცერთ შემთხვევაში არ მოუდის არც ძველსა და არც ახალ ქართულში. ამ ჯგუფს განეკუთვნება ყველა ის მიმღეობა, რომლის წარმოებაშიც, მო- თავსართი იღებს მონაწილეობას, ბოლოსართი კი, სულ ერთია, რომელიც იქნება: მო-დგინე, მო-ლხინე, მო-ნადირე, მო-რეწე, მო-რწმუნე, მო-ყუარე, მო-ცალე, მო-წამე, მო-წყალე. მო-ძულე, მო-სავი, მო-საჯული, მო-ქადული, მო-შიში. მო-ძღუარი. მო-ბაძავი, მო-ბრუნავი. მო-ქმედი, მო-რბედი და მრავალი სხვა.

რატომ ვერ ეგუება მო-თავსართიანი მიმღეობა ზმნისწინს, რა კავშირი აქვს ზმნისწინთან მიმღეობის მო-ს, ეს საკითხი ცალკე კვლევას საჭიროებს.

§ 108. სი- თავსართიანი საწყისი ზმნისწინს ვერ ჰგუობს. საწყისი სახელზმნის ერთი სახეა და ისიც ხასიათდება ისეთი ზმნური ნიშნით, როგორიცაა ზმნისწინის დართვა: ფ რ ე ნ ა — გაფრენა, ჩაფრენა, აფრენა... კ ე თ ე ბ ა — გაკეთება, შეკეთება, გადაკეთება, გამოკეთება... წ ე რ ა — დაწერა, ჩაწერა, გადაწერა, გადმოწერა და ა. შ.

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი საწყისები, რომლებიც სი- თავსართს იყენებენ. სხვებისაგან განსხვავებით ასეთი საწყისებისათვის დამახასიათებელია უზმნისწინობა: სიცილტოლა. სიკიცხევა, სიპოხე, სიკუდილი, სირცხვლი, სიხარული, სიტყუა, სიყუარული და სხვ.

§ 109. მიმართულებითი ზმნისწინი არ მოუდის რთული ზმნის ზმნურ ნაწილს პირიან ფორმებში. ძველ ქართულში მიმართულებითს ზმნისწინს არ დაირთავდა რთული ზმნის ზმნური ნაწილი. ამიტომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში უზმნისწინობა რთული ზმნის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნადაა მიჩნეული: „შემდეგი ფ ო რ მ ა ლ უ რ ი ნ ი შ ა ნ ი, რაც რთულ ზმნას ახასიათებს, ის არის, რომ მეშველ ზმნას არ ახლავს ზმნისწინი.... თუ ზმნას ზმნისწინი ახლავს, მაშინ იგი სახელთან ვერ ქმნის ისეთ ორგანულ კავშირს, როგორც ეს რთული ზმნისთვის არის დამახასიათებელი“ [1]. აი სათანადო ნიმუ-

[1] ჯ. თ ე ე ზ ა ძ ე, რთული ზმნები ძველ ქართულში: თსუშ, ტ. 13, 1959, გვ. 399; ნახე აგრეთვე: ე. ო ს ი ძ ე, „ღაღად-ყოს“ ტიპის ზმნები ძველ ქართულში: თსუ სტუდენტთა მე-14 სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, 1952, გვ. 67.

შებიც: ჯერ-არს, შიშთკლ-იბა, ბრალ-ება, წილ-უგდოთ, ადგილ-აგო, ბრალ-ეგო, თუალ-აგნა, კუალად-გება, გულს-იდგინა, ინაჯ-იდგა, გულს-ედგა, თავს-იდვა, სახელ-ედების, სახელ-სდებენ, ძალ-ედვას, სულთ-ითქუნეს, კაც-კლა, მართლ-ემთხჳოს, აღჳრ-ესხნეს, თუალთ-ღება, მუცლად-იღო, ნათელ-ვიღეთ, ამბორ-უყვეს, დევნა-უყვეს, თავ-უყო, პატივ-უყო, კმა-უყო, სიტყუა-უყო, ძჳრ-უყო, გულისხმა-ყო, ელვარე-ყო, ზრახვა-ყო, იავარ-ყო, ლოცვა-ყო, მიზეზ-ყო, მხიარულ-ყო, უგულებელს-ყო, უდებ-ყო, უვარ-ყო, უზრუნველ-ყო, ღალატ-ყო, ღირს-ყო, წმიდა-ყო, წყალობა-ყო, კუებულ-ყო, ამბორ-იყვეს, ცხად-იყავნ, ჯერ-ხიყო, სათნო ეყო, უცხო-ეყო, თაყუანის-სცა, ნათელ-სცა, ნიჭი-სცა, პატივ-სცა, შრომა-სცა, ძალ-უც, კელ-იწიფა, კელ-ეწიფების, გულს-იწყებს, ყურად-იხუენით, თუალთ-გახუენ.

როგორც ვხედავთ, არცერთ ამ ზმნას ზმნურ ნაწილზე ზმნისწინი არ დაერთვის.

ამის მიუხედავად, კერძო შემთხვევებში გამორიცხული არაა, რომ რთული ზმნის ზმნურ ნაწილს მიმართულებითი ზმნისწინიც მოუდიოდეს. ასეთი ნიმუშები სახეზე გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა განსახილველი ზმნა რთულად წარმოგვიდგება მხოლოდ საწყისისა და მიმღეობის ფორმაში, ხოლო პირიან ფორმებში — მარტივად.

ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ ისეთი ნიმუშები, როგორიცაა: **ღელვა-აღტეხილი** (ეფეს, 4,14), **ყუავილ-გარდაფენილი** (კიმენი I, 143,10), **კელის-ამპყრობელი** (სინ. მრ. 79,31), **მუკლ-დადგმა** (მრ. 1,40 C).

ყველა ხაზგასმული სიტყვა შედგენილობის მიხედვით კომპოზიტია, ხოლო შინაარსისა და წარმოების მიხედვით — სახელზმნა. ამათგან პირველი სამი მიმღეობაა, ხოლო მეოთხე — საწყისი. რადგან მიმღეობა და საწყისი იგივე უპირო ზმნებია[1], ამიტომ ჩვენი გასაანალიზებელი სიტყვები რთულ ზმნებად უნდა მივიჩნიოთ. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ სახელზმნის სახით წარმოდგენილი ზოგიერთი რთული ზმნის ზმნურ ნაწილს მიმართულებითი ზმნისწინიც შეიძლება ჰქონდეს (ღელვა-**აღ**-ტეხილი, ყუავილ-გარდა-ფენილი, კელის-ა-მპყრობელი, მუკლ-**და**-დგმა).

ამას გარდა, მიმართულებითი ზმნისწინი შეიძლება მოუვიდეს რთული ზმნის სახელად ნაწილსაც, როცა ეს უკანასკნელი თვითონ წარმოადგენს ზმნას (სახელზმნას): **მო**-ხედვა-ყო (ლ. 7,16 C), **აღ**-თქუმა-ეყო (ი. 9,22), **შე**-ბმა-უყვეს (სინ. მრ. 10,17). ამიტომ როცა

[1] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 569.

რთული ზმნისათვის მიმართულებითი ზმნისწინის დართვის შეუძლებლობაზე ვლაპარაკობთ. მხედველობაში გვაქვს მისი ზმნური ნაწილი, პირიანი ფორმით წარმოდგენილი, ე. ი. მიმართულებითს ზმნისწინს ვერ დაირთავს პირიან ფორმაში მოცემული რთული ზმნის ზმნური ნაწილი.

§ 110. ზმნები, რომელთაც ძველ ქართულში უზმნისწინო ფორმებიც მოეპოვებოდათ. როცა მიმართულებითი ზმნისწინის უქონელ ზმნებზე ვლაპარაკობთ, ის ზმნებიც უნდა გავიხსენოთ, რომლებიც ასეთი ზმნისწინების გარეშე არ გვხვდება. ასეთია, მაგალითად. ახალ ქართულში ვ ე დ || ვ ი დ ფუძისაგან წარმომდგარი ფორმები, რომელთაც ყველანაირი ზმნისწინით შევხვდებით (მივიდა. მოვიდა, ავიდა, ჩავიდა და ა. შ.), მაგრამ უზმნისწინოდ (-ვიდა)—ვერა. ასევე ითქმის ვ ა ლ ფუძისაგან მიღებულ ზმნებზეც. გვაქვს მი-ვალ. მიხვალ, მი-ვა (მი-ვალს)... ა-ვალ, ჩა-ვალ, წა-ვალ და ა. შ., მაგრამ არა გვაქვს მე ვალ, შენ ხვალ, ის ვ ა ლ ს.

ეს ახალ ქართულში.

რაც შეეხება ძველ ქართულს, მაშინ ეს ზმნებიც შეიძლებოდა უზმნისწინოდ ხმარებულიყო:

.... უფალო, ვიდრე **ვიდეთ** (ი. 6,68 C);
.... აღდეგ და **ვიდოდე** (მ. 9,5);
.... მიეახლნეს დაბჯსა მას, ვიდრე **ვიდოდეს** (ლ. 24.28 D):
.... თქუენ არა იცით, ვინაჲ მოვედ და ვიდრე **ვალ** (ი. 8,14):
.... არა ვიცით, ვიდრე **ხუალ** (ი. 14,5);
.... რომელი **ვალს** მუცლითა (ლევიტ. 11.42);
.... ხოლო წმიდაჲ იგიცა **ვალნ** უდაბნოთა ადგილთა (საბა ას. 7.35).

ამათ მსგავსად ზოგი სხვა ზმნაც, რომელიც დღეს მხოლოდ ზმნისწინით გვხვდება, ძველ ქართულში უზმნისწინოდაც შეიძლებოდა ხმარებულიყო და ზმნისწინითაც. ერთი ამათგანია ა ღ ო რ ძ ი ნ ე ბ ა ზმნა. ამ ზმნაში დღეს ფუძე და ზმნისწინი ერთმანეთთან შერწყმულია და, ცხადია, მათი გათიშვა აღარ ხერხდება (§ 72), ძველად კი ეს შესაძლო იყო. ამ ნიადაგზე გვხვდებოდა მისი როგორც უზმნისწინო ფორმა, ისე სხვაზმნისწინიანი ფორმაც:

.... **ყრმაჲ** იგი **ორძნდებოდა** და განძლიერდებოდა სულითა (ლ. 1,80 C);
.... იესუ **აღორძნდებოდა** სიბრძნითა და ჰასაკითა (ლ. 2,52 C);
.... თესლი იგი აღმოჰსცენდის და **განორძნდებიან** (მრ. 4,27).

ახალ ქართულში ვერც **გზნება** ზმნას ვხვდებით უზმნისწინოდ.

გვაქვს: **აღეგზნო**, მაგრამ არა გვაქვს ე გ ზ ნ ო და ა. შ. ძველ ქართულში კი ესეც შეიძლებოდა:

.... დგეს მუნ მსახურნი იგი და მონანი, და **ეგზნა**, რამეთუ ყინელ იყო (ი. 18,18 C);

.... **ეგზებოდა** შიში ღმრთისაჲ გულსა მისსა (საბა ას. 5,38).

რაც შეეხება **აღიარება** ზმნას, იგი არც ახალ ქართულში და არც ძველში უზმნისწინოდ არ გვხვდება.

აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ ზმნათა მეორე სერიის მწკრივებიც, რომლებიც ძველად უზმნისწინოდაც შეიძლებოდა, თუ სრული ასპექტი იყო გადმოსაცემი.

აი რამდენიმე მაგალითი მეორე სერიის მწკრივებიდან:

.... **უმზადა** პური, ჰამეს და სუეს (დაბად. 26,30);

.... შენ **იბანე** და **იცხე** და შეიმოსე სამოსელი თჳსი (რუთ. 3,3);

.... მაშინ **აბირნეს** ვინმე კაცნი (საქმე 6,11);

.... ერთისათჳს საქმისა ოდენ **აბრალა** (გამოცხად. თარგმ. 2,5a);

.... **ჰგოზა** თიჰაჲ იგი ზედა თუალთა ბრმისა მის (ი. 9,6 C);

.... ესე **უმხილა** ვინმე საელეს (საქმე, 9,24);

.... **ჰრეცა** პეტრე კარსა ბჳისასა (საქმე. 12,13 Ქ);

.... მოხუცებულთა **არწმუნეს** ერსა მას (მ. 27,20);

.... არა **გიტევე** შენ შეხებად მას (დაბად. 20,6);

.... **ფუცა** ნაცილად ეთისა ამათგანისათჳს (ლევიტ. 6,3);

.... ხოლო მამამან თქუენმან დამაკლო მე და **ცჳალა** სასყიდელი ჩემი (დაბად. 31,7);

.... **იწყო** ყრმამან მან მოკლებად (საბა ას. 9,38);

.... მაშინ **მიწოდე** მე და მე ვისმინო შენი (იობ. 13,22);

.... განვედ ეელად და **მინადირე** ნადირი (დაბად. 27,3);

.... ძეო დავითისო, **მიწყალე** მე (მრ. 10.47 C);

.... და **ვანებე** და ვასწავე მათ მისლვად (სინ. მრ. 64,30).

უნდა ზმნა დღევანდელ ქართულში აწმყოს გაგებით იხმარება და შინაარსით სტატიკურია (=სურს), ძველ ქართულში კი იგი წყვეტილის მწკრივის დინამიკური ზმნის შინაარსით გამოიყენებოდა: „თავისა შექმნა მისგან ტაძარი, ვითარცა **უნდა** მას (სინ. მრ. 33,24). ამ შინაარსით დღევანდელ ქართულში უკვე შეუძლებელია მოცემული ზმნის უზმნისწინო ფორმა და მის ნაცვლად გვაქვს ზმნისწინიანი **მოუნდა**.

ნაწილი მეორე

ადგილობითი ზმნისწინები ძველ ქართულში

თავი VIII

ადგილობითი ზმნისწინების რაობა

§ 111. საკითხის დასმისათვის. ცნობილია, რომ ზმნისწინები, ისევე როგორც თანდებულები, ძირითადად ზმნიზედური წარმოშობისაა. მართლაც, ქართულში, ჩვეულებრივ, ზმნიზედებად გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორიცაა: **ზე, ზედა, ქუე, გარე, შინა, წინა, თანა** და ამ სიტყვებისაგან მიღებული სხვადასხვა ფორმები:

.... დედაჲ შენი და ძმანი შენნი დგანან გარე (მ. 12,47 C);
.... იესუ არა მუნ შინა არს (ი. 6,24 C);
.... ზედაცა დაესხმოდეს მას ერი იგი (მრ. 3,10);
.... კრეტსაბმელი იგი ტაძრისაჲ მის განიპო ორად ზჳთგან, ვიდრე ქუედმდე (მ. 27,51).

მოყვანილ მაგალითებში ყველა ხაზგასმული სიტყვა ზმნიზედაა და სინტაქსურად ადგილის ან დროის გარემოებას განასახიერებს.

ახლა თუ იმ დებულებიდან გამოვალთ, რომ ადგილის ზმნიზედა სახელთან დაკავშირების შემთხვევაში თანდებულად, ხოლო ზმნასთან დაკავშირების შემთხვევაში ზმნისწინად იქცევა[1], მაშინ ძველ ქართულში ბევრ შემთხვევაში უთუოდ ზმნისწინებად უნდა მივიჩნიოთ ზმნასთან მჭიდროდ დაკავშირებული **ზე, ზედა, ქუე, შინა, გარე, წინა** და **თანა** ნაწილაკები:

.... ზე აღიხილნა თუალნი გონებითურთ (ას. ცხ. 121,16 Ч);
.... იოვანე ზე აღიპყრა ჴიქაჲ (ას. ცხ. 119,11 Ч);
.... დავრდომილ იყო წინაშე ბჳეთა მისთა და ქუე ძერებოდა (ლ. 16,20);

[1] Gerard Deeters, Das kharthwelische Verbum, 1914, § 14.

.... გარე-წარვაქციო სალმობაჲ შენგან (გამოსლვ. 23,25);
.... რომელთა წინა უძღოდა (საბა ას. 11,1);
.... რომელი განძლიერდა და წინა-აღმიდგა (ისტ. ქრესტ. II, 59,4);
.... ნუ თანა-წარმვალთ მონასა თჳუენსა (დაბად. 18,3).

საილუსტრაციო მაგალითებში ხაზგასმული ნაწილაკები რომ სწორედ ზმნისწინებია და არა დამოუკიდებელი სიტყვები — ზმნიზედები, ეს კიდევ უფრო საგრძნობი ხდება სათანადო ზმნების უპირო ფორმებში, როგორიცაა: ზე ახილვა (იობ. 10,15); ზეაპყრობა (სინ. მრ. 106,5), ჭუეწარმძრომელნი (აპოკრ. 11,32), გარე-მომცველი (ას. ცხ. 39,21), წინამძღუარი (მსაჯ. 20,18), წინამორბედი (სინ. მრ. 197,14), თანა-მორბედი (სინ. მრ. 31,17), თანა-აღრაცხილ (ზარზმ. 151,2), წინა-აღმდგომი (სინ. მრ. 31,26) და სხვ.

ზმნიზედური წარმომავლობის ამ ნაწილაკებიდან ზე-ს ზმნისწინად გამოყენების ტენდენცია ვ. თოფურიას მითითებული აქვს „ვისრამიანში", საიდანაც ავტორი ასეთ მაგალითებს იმოწმებს: ზე ადეგ, რამინ ზე ადგა; აშფოთებული ტახტისაგან მოაბადს წინა ზე აიჭრა [1].

ჩვენი აზრით, რა თავისებურებებითაც ხასიათდება ზე ზმნისწინი, იგივე თავისებურებანი ახასიათებს რიგ შემთხვევაში ზმნასთან მჭიდროდ დაკავშირებულ ჭუე, შინა, გარე, წინა და თანა ზმნიზედურ ნაწილაკებსაც (ამ თავისებურებათა შესახებ — ქვემოთ). ამიტომ ჩვენ ამათაც ზმნისწინებად მივიჩნევთ და ყველას ერთ ჯგუფში — ადგილობით, ანუ სივრცობრივ ზმნისწინთა ჯგუფში განვიხილავთ.

ახალი ქართულის ზმნისწინებიდან, მიმო-ს გარდა, ყველა მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინთა ჯგუფში მოვაქციეთ. მიმო კი ადგილობით ზმნისწინთა ჯგუფში უნდა გავაერთიანოთ, რადგან იგი თავისი ბუნებით ამათთან მახლობლობას უფრო ამჟღავნებს, ვიდრე საკუთრივ მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინებთან.

ადგილობით ზმნისწინთა ჯგუფში ჩვენს მიერ გაერთიანებული ზმნისწინები სათანადოდაა ასახული ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში.

ანტონ I, როგორც აღვნიშნეთ, ამ ნაწილაკებს ზმნისწინთა რიგში განიხილავდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ისინი (ზე, ჭუე, გარე, წინა) რამდენადმე მაინც განსხვავებული არიან ჩვეულებრივი ზმნისწინებისაგან (განმავითარი ნიშნებისაგან) და ამიტომ მათ ცალკე ჯგუფად გამოყოფდა „კერძოკი დამნიშუნელის" სახელწოდებით [2]. აქვე შევნიშნავთ, რომ ანტონს ამავე ჯგუფში აქვს

[1] ვ. თოფურია, სვანური ენა, I, 1931, § 19.
[2] ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, გვ. 159.

შეტანილი ზოგი ისეთი სიტყვაც (უარ, ნაცუალ, სახელ, მჰსჭავს), რომელსაც ზმნისწინთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ცალკე რიგის ზმნისწინებად აქვს გამოყოფილი **ზედა, ქუე,** და **წინა** ზმნიზედური ნაწილაკები მარი ბროსესაც[1].

ზე, ქვე, გარე და ამათგან წარმომდგარი **ზეაღ, ქვემო, ქვედა, ქვეშე** და **გარშემო** (გარემო) ნაწილაკები ზმნისწინთა საერთო წყებაში აქვს შეტანილი და განმარტებული დ. ჩუბინაშვილს[2].

პლ. იოსელიანი თავის გრამატიკაში მაასპექტებელი ზმნისწინების ჩამოთვლის შემდეგ დასძენს: „გარდა ამათსა არიან სხუანიცა. რომელნიცა მოეზავებიან რომელთამე ზმნათაო“ და შემდეგ მათაც ჩამოთვლის: **გარემო, გარეშემო, ზეაღ, ქუედა, ქუემო, უკმო, უკმი, უკუ, უკუნ, წიაღ, წინაგან, წინადა, წინასწარმო**[3].

ამ ზმნისწინთა ჩამოთვლისას პლ. იოსელიანი დ. ჩუბინაშვილისაგან იმით განსხვავდება, რომ თუ დ. ჩუბინაშვილმა ეს ზმნისწინები სხვა ზმნისწინებთან ერთად (**აღ, გან** და ა. შ.) მოაქცია, პლ. იოსელიანმა მათგან გამოაცალკევა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დ. ჩუბინაშვილისა და პლ. იოსელიანის მიერ დასახელებული **ზეაღ** სხვა არაფერია, თუ არ **აღ**-ზმნისწინიან ზმნაზე დართული **ზე**-ზმნისწინი, ხოლო **ქუედა** — **და**-ზმნისწინიან ზმნაზე დართული **ქუე** ზმნისწინი და ა. შ., მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ავტორთა მიერ არსებითად დასახელებულია **ზე, ზედა, ქუე, შინა, გარე, წინა, უკუ, წიაღ** და წინასწარმო ზმნისწინები. ამათგან მხოლოდ ერთს (წინასწარმო-ს) ვერ მივიჩნევთ ზმნისწინად, **უკუ**-ს და **წიაღ**-ს კი მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინთა ჯგუფში ვათავსებთ (იხ. §§ 44, 94).

ჩვეულებრივი „საზმნებო თანდებულებისაგან“, ანუ ზმნისწინებისაგან განცალკევებით განიხილავს ამ რიგის ზმნისწინებს თ. ჟორდანიაც. ამათ იგი თანდებულებად მოიხსენიებს, მაგრამ შენიშნავს, რომ ესენი (ზე, ქვემო, გარე, შინა, წინა) ზმნებსაც დაერთვიან: იგი წერს: „რამდენიმე ამ თანდებულთაგანი ზმნებსაც შეეთხზვის განუყოფელად. მაგ., **ზე**-ჯდომა, **ქვემო**-დგომა, **გარე**-შეწერა, **წინა**-თქმა, **შინა**-განცემა“[4].

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს, რომ ძველ ქართულში

---

[1] მ. ბროსე, კელოვნება აზნაურებითი, ანუ ქართულისა ენისა თჳთ მასწავლებელი, პარიზი, 1834, § 108.

[2] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 73—74.

[3] პლ. იოსელიანი, პირუმლ-დაწუებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, თბ., 1963, გვ. 62.

[4] თ. ჟორდანია, ქართული ღრამმატიკა, 1889, გვ. 155.

ზმნისწინებად მივიჩნიოთ, მაგრამ ცალკე ჯგუფად გამოვყოთ რიგ შემთხვევაში ზმნებთან მჭიდროდ დაკავშირებული ისეთი ზმნიზედური ნაწილაკები, როგორიცაა: **ზე, ზედა, ქუე, შინა, გარე, წინა, თანა.** აქვე უნდა შემოვიყვანოთ **მიმო** ზმნისწინიც, რომელიც მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინთა ჯგუფიდან გამოვაცალკევეთ.

ამ ზმნისწინებს მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინებისაგან განსასხვავებლად **ადგილობითი ზმნისწინები** შეიძლება ვუწოდოთ. (იხ. § 2).

§ 112. ადგილობითი ზმნისწინი თუ რთული ზმნის სახელადი ნაწილი? სამეცნიერო ლიტერატურაში ისეთი ფორმები, როგორიცაა **გარე-მიიქცა, თანა-წარჰქდა** და სხვანი, რთულ ზმნებადაა მიჩნეული. ასე განიხილავენ მათ, მაგალითად, ელ. ბაბუნაშვილი[1], ჰ. თევზაძე[2] და სხვები.

ჰ. თევზაძემ თავის საკანდიდატო დისერტაციაში (1954 წ.) პირველმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ რად მივიჩნიოთ **გარე-მიიქცა, თანა-წარკდა** და ამ ტიპის სხვა ზმნები (რთულ ზმნებად თუ ზმნისწინიანებად) და ის დასკვნა გააკეთა, რომ ეს ზმნები ზმნისწინიანად კი არა, სწორედ რთულ ზმნებად უნდა მივიჩნიოთ. ეს დასკვნა გაიმეორა მან თავის გამოქვეყნებულ შრომაშიც, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. აი რას წერს იგი:

„ბოლოს შევეხებით ისეთ რთულ ზმნებს, რომელთა პირველი ნაწილები ფორმაუცვლელ სიტყვებს წარმოადგენენ. ეს ნაწილები ძირითადად ადგილის ზმნიზედებია, რომელთაგან შემდეგ ჩამოყალიბდა ზმნისწინები. ესენია: გარე, ზედა, თანა, შინა, წინა: გარე-მოდგომა (ალყის შემორტყმა), გარე-მიქცევა (მიბრუნება), ზედა-მიწევნა (ახლოს მისვლა), თანა-დება (ვალის ქონება), თანა-წარკდომა (გვერდის ავლა), შინა-განცემა (გაცემა-ღალატი), წინა-დაცუეთა (обрезание) და სხვ.

ასეთ ზმნათა რიცხვი გაცილებით მეტია, მაგრამ ტიპის დასახასიათებლად მოყვანილიც საკმარისია. საერთოდ, ამ ზმნების სირთულე კითხვის ქვეშ შეიძლება დავაყენოთ. ხშირ შემთხვევაში წინა ნაწილები ზმნისწინის ფუნქციის მქონე უფრო ჩანს, ვიდრე ჩვეულებრივი სახელადი ნაწილებისა (ხაზგასმა ჩვენია. ი. ვ.), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ზოგიერთ მომენტს, მაშინ მათი რთულ ზმნებად გამო-

[1] ელ. ბაბუნაშვილი, კომპოზიტი ზმნები ძველ ქართულში: თსუ ასპირანტთა V სამეცნიერო კონფერენციის თეზისები.

[2] ჰ. თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში: თსუშ, ტ. 13, 1959 წ.

ცხადება შესაძლებელია. მაგალითად, თანა-წარჯდაში წინა ნაწილს საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მას სხვა შემთხვევაში გააჩნია. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აგრეთვე თანადება ზმნა, რომელიც ერთ ცნებას შეიცავს და ვალის ქონებას ნიშნავს. ცალ-ცალკე აღებული არც ზმნიზედა და არც ზმნა ამ მნიშვნელობაზე არ მიუთითებს, მაგრამ მათი შეერთების შედეგად ვიღებთ ახალი ცნების გამომხატველ ფორმას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზმნისწინები ზოგჯერ ახალ ზმნას აწარმოებსო, მაგრამ ამგვარი ახალი ოდენობის წარმოება არცერთი ზმნისწინისათვის არ არის დამახასიათებელი“[1].

როგორც ვხედავთ, მითითებული ზმნების ზმნისწინიანად მიჩნევაში ერთადერთი დაბრკოლებაა დასახელებული, სახელდობრ ის, რომ ამ ზმნებში სულ სხვა შინაარსია მოცემული, ვიდრე მათს შემადგენელ ნაწილებში — საკუთრივ ზმნებში და ზმნიზედურ ზმნისწინებში. ამასთან ერთად, ავტორი იხსენებს ზმნისწინის სიტყვათწარმომქმნელ ფუნქციასაც და დასძენს, რომ „ამგვარი ახალი ოდენობის წარმოება არცერთი ზმნისწინისათვის არ არის დამახასიათებელი-ო“.

მიუხედავად ამ შენიშვნისა, უნდა ვთქვათ, რომ **გარე, შინა, ზედა, ქუე, წინა** და **თანა** ზმნისწინების რთული ზმნის სახელად ნაწილად გამოცხადება იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი ზმნებს ახალ შინაარსს აძლევენ, ისევე გაუმართლებელია, როგორც ის, რომ რთული ზმნის სახელად ნაწილად გამოგვეცხადებინა **წარ-, მო-** და სხვა ზმნისწინები იმ მიზეზით, რომ ისინიც მნიშვნელობას უცვლიან ზმნას (შდრ.: **წარ**-გება და **და**-გება; **გა**-გონება და **მო**-გონება). ამასთან ერთად, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი შინაარსის ზმნების წარმოება ზმნისწინს უფრო ახასიათებს, ვიდრე რთული ზმნის სახელად ნაწილს. ამიტომ ჩვენ სწორედ იმ აზრს ვუჭერთ მხარს, რომ დასახელებული ტიპის ზმნებში „წინა ნაწილები ზმნისწინის ფუნქციის მქონე უფრო ჩანს, ვიდრე ჩვეულებრივი სახელადი ნაწილებისა“.

ამ მოსაზრებას ერთი გარემოებაც აძლიერებს: ჯ. თევზაძეს აღნიშნული აქვს, რომ რთულ ზმნებში მეშველ ზმნას, როგორც წესი, არ ახლავს ზმნისწინი და, რომ უზმნისწინობა რთული ზმნების ერთერთი ფორმალური ნიშანია[2]. მაგრამ ავტორს იქვე აქვს აღნიშნული, რომ ეს წესი თითქმის ყოველთვის ირღვევა, როცა რთული ზმნის სახელადი ნაწილი ფორმაუცვლელ სიტყვას წარმოადგენს (გარე-

[1] ჯ. თევზაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 404—405.
[2] იქვე, გვ. 398—399.

მო-ადგა. გარე-წარ-ჰკდა. თანა-წარ-ჰკდა, თანა-წარ-ვიდა, შინა-განსცემდეს, წინა-აღ-უდგა)[1].

იბადება კითხვა: რატომ დაირღვა რთული ზმნებისთვის დამახასიათებელი უზმნისწინობის საერთო წესი ისეთ რთულ ზმნებთან, რომელთა სახელადი ნაწილი ზმნიზედური ნაწილაკებია?

ჩვენი აზრით, **გარე-მოადგა, თანა-წარჰკდა, წინა-აღუდგა** და ასეთი ზმნები არც რთულია და არც რთული ზმნებისათვის დამახასიათებელი წესის დარღვევის ნიმუშად გამოდგება. ეს ზმნებიც ზმნისწინიანი ზმნებია, მაგრამ ჩვეულებრივი ტიპის ზმნისწინიანი ზმნებისაგან ორ-ორი ზმნისწინის ქონებით განსხვავდება. ამათგან ერთია ადგილობითი (**გარე-მოადგა, თანა-წარჰკდა. წინა-აღუდგა**), ხოლო მეორე— მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინი (გარე-მოადგა, თანა-წარჰკდა, წინა-აღუდგა).

თავის მხრივ, ზმნებზე მიმართულებითი და ადგილობითი ზმნისწინების ერთდროული დართვა საერთო მოვლენაა არა მარტო ძველი ქართული, არამედ სვანური, აფხაზური, დარგუული და სხვა ენებისთვისაც (§ 115).

§ 113. ადგილობითი ზმნისწინი თუ ადგილის ზმნიზედა? ზემოთ უკვე მოვიყვანეთ იმის მაგალითები, თუ როგორ გამოიყენებოდა ერთ შემთხვევაში ადგილის ზმნიზედად, ხოლო მეორეში—ადგილობით ზმნისწინად ისეთი ნაწილაკები, როგორიცაა **ზე, ზედა, ქუე, შინა, გარე, წინა** და **თანა** (§ 111). ამას გარდა, ესენი თანდებულადაც შეიძლება შეგვხვდეს. როცა ასეთი ნაწილაკი თანდებულის როლში გამოდის, იგი სინტაქსურ კავშირში სახელთან იმყოფება და ამიტომ ზმნისწინისა და ზმნიზედისაგან ადვილად განირჩევა. მაგრამ როცა იგი ზმნას უკავშირდება, შეიძლება ერთ შემთხვევაში ზმნისწინის როლში გამოდიოდეს, მეორე შემთხვევაში კი — ზმნიზედისა. ამიტომ კითხვა ისმის: ზმნასთან დაკავშირებული ადგილის აღმნიშვნელი უფორმო სიტყვები — **შინა, გარე, წინა, ზე, ზედა, ქუე** და **თანა** როდის მივიჩნიოთ ზმნისწინად და როდის — ზმნიზედად?

სანამ ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს გავცემთ, გავიხსენოთ, რომ ადგილის ზმნიზედა წინადადებაში ადგილის გარემოებად გამოდის და გარკვეულ კითხვაზე მიუგებს (სად? საიდან? საითკენ?), ზმნისწინი კი ზმნასთან იხმარება და მასთან ერთად ქმნის ერთ სინტაქსურ ერთეულს (წევრს). იგი ზმნისაგან დამოუკიდებლად ცალკე კითხვაზე არ მიუგებს.

[1] ჯ. თ ე ვ ზ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 399—400.

ამასთანავე, ზმნიზედა ჩვეულებრივ გაფორმებულია ამა თუ იმ ბრუნვის ნიშნით ან თანდებულით, ზმნისწინი კი გაუფორმებელია და გაშიშვლებულ ძირს წარმოადგენს. მას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დეტერმინანტული **ნ(ა)** ან **და** სუფიქსი.

ამის მიხედვით:

ა) თუ ადგილის აღმნიშვნელი უფორმო სიტყვა გაუფორმებელ ძირს წარმოადგენს და ზმნას ისე მტკიცედ უკავშირდება, რომ იგი წინადადებაში ცალკე წევრს (ადგილის გარემოებას) ვერ ქმნის, მაშინ იგი ადგილობით ზმნისწინად უნდა განვიხილოთ:

.... **ზე** აღდგა მკუდარი იგი (ლ. 7,15 C);
.... ვერ ეძლო **ზე** აღხილვად (ლ. 13,11);
.... **კუე ძურებოდა** (ლ. 16,20);
.... ნე **გარე-მიიქცევ** პირსა შენსა მისგან (მ. 5,42);
.... **გარე-უკუნიქცეოდეს** (ლ. 23,48 C);
.... ერთი იგი მოწაფ **წინა რბიოდა** (ი. 20,4).

ბ) თუ ადგილის აღმნიშვნელი უფორმო სიტყვა, რომელიც სინტაქსურ კავშირში ზმნასთან იმყოფება, გაფორმებულია რაიმე ბრუნვის ნიშნით ან თანდებულით, მიუგებს ცალკე კითხვაზე (სად? საიდან? საითკენ?) და წინადადებაში დამოუკიდებელ წევრს წარმოადგენს, მაშინ იგი ზმნიზედად უნდა განვიხილოთ:

.... აღ-რე-გუალე **ზემო კერძო** (ლ. 14,10);
.... კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის განიპო ორგან **ზენაჲთგან მიჭუენამდე** (მ. 27,51 C; **ზ**ჲთგან, ვიდრე ქუედმდე DE);
.... რომელ იყვნეს **გარემოჲს** მისსა (მრ. 4,10 C);
.... განაძეს იგი **გარეშე** ქალაქისა მისგან (ლ. 4,29);
.... მან მიუგოს **შინაგამო** და ჰრქუას (ლ. 11,7);
.... ყოველნი ესე ბოროტნი **შინაგან** გამოვლენ (მრ. 7,23);
.... ეკიცხევდეს მას ერისა კაცნიცა იგი, წარდგიან **წინაშე**, მიუპყრიან მას ძმარი (ლ. 23,36 C).

იშვიათად წინადადებაში ადგილის ზმნიზედა გაუფორმებელი საჭითაც შეიძლება შეგვხვდეს და გარეგნულად სავსებით დაემსგავსოს ზმნისწინს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ზმნას მეტწილად წინიდან კი აღარ წარუძღვება, არამედ ბოლოში მოჰყვება:

.... შე- რაჲ- ვიდეს **შინა**, არა პოვეს გუამი (ლ. 24,3);
.... არავინ დასდვის კელი საკნეელსა და ჰხედავნ იგი **გარეუკუნ** (ლ. 9,62);
.... წარრბიოდა **წინა** და აღკდა ლეღესულელსა (ლ. 19,4).

ამგვარად, მიუხედავად მასალობრივი იგივეობისა, წინადადებაში მაინც ხერხდება ადგილის ზმნიზედებისა და ადგილობითი ზმნისწინების ურთიერთისაგან გარჩევა: თუ ადგილ-მიმართულების აღ-

მნიშვნელი ნაწილაკი ამავე დროს წინადადების დამოუკიდებელი წევრიცაა, მაშინ იგი ზმნიზედაა, ხოლო თუ იგი ზმნას ისე მჭიდროდ უკავშირდება, რომ ცალკე წევრს აღარ წარმოადგენს, მაშინ ზმნისწინის როლში გამოდის.

§ 114. ტერმინისათვის. ისეთი ზმნისწინებისათვის, რომლებიც ადგილის ზმნიზედებადაც შეიძლება შეგვხვდნენ და თანდებულებადაც, საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინებს ვხვდებით. უწოდებენ მათ **ადგილობითსაც, ადგილ-მიმართულებითსაც, სივრცობრივსაც.**

ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ი ო, რომ ვამბობთ, ეს ტერმინი რამდენადმე პირობითია, რადგან ამ ჯგუფში შემავალი ზმნისწინები დაცლილი როდია მიმართულების გაგებისაგან. პირიქით, ესენი კიდევ უფრო აკონკრეტებენ, აზუსტებენ ზმნით ნაგულისხმევ მიმართულებას (ზე აღიხილონ) და, ამასთან ერთად, ადგილის გაგებასაც იძლევიან (ზე დამოეკიდა).

თუ ამ თავისებურებას გავითვალისწინებდით, მაშინ ტერმინი — **ადგილმიმართულებითი ზმნისწინი** უფრო შესაფერისი უნდა ყოფილიყო დასახელებულ ზმნისწინთა აღსანიშნად, მაგრამ ეს ტერმინი პრაქტიკული თვალსაზრისით ნაკლებად მოსახერხებელია.

რაც შეეხება **სივრცობრივ ზმნისწინს,** ეს ტერმინი არ გამოდგება თუნდაც იმის გამო, რომ სივრცობრივი შინაარსი მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინებსაც ისევე ახასიათებს, როგორც ადგილობითს.

ამიტომ ზმნისწინთა ამ მეორე ჯგუფის აღსანიშნავად ისევე **ადგილობით ზმნისწინს** ვამჯობინებთ, მიუხედავად ზემოაღნიშნული ნაკლისა, ეს ტერმინი უკეთ გამოხატავს იმ ა რ ს ე ბ ი თ ს, რითაც **ზე, ქუე, შინა, გარე, წინა** და **თანა** ზმნისწინები განსხვავდება მიმართულების აღმნიშვნელი **აღ-, გან-, წარ-, შთა-, გარდა-** და სხვა ასეთი ზმნისწინებისაგან.

ეს ა რ ს ე ბ ი თ ი იმაში მდგომარეობს, რომ **ზე, ქუე, შინა, გარე, წინა** და ამ რიგის სხვა ზმნისწინები ძირითადად ადგილის გაგებასთანაა დაკავშირებული და თავისთავად ადგილის ზმნიზედებადაც გამოიყენება. როცა ესენი ზმნისწინის როლში გვევლინებიან, რამდენადმე კიდევ ინარჩუნებენ ზმნიზედურ შინაარსს (ადგილზე მითითებისას) და თუ ეს ასეა, უხერხული არ უნდა იყოს, რომ მათ სწორედ **ადგილობითი ზმნისწინები** ვუწოდოთ.

შენიშვნა: საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინებიც ბევრ შემთხვევაში ადგილის ზმნიზედებისაგან მომდინარეობენ (**გან-, შე-, წარ-**), მაგრამ ერთგვარი კავშირი როგორია, ერთი მხრით, **შე-** ზმნისწინსა და **შინა** ზმნიზედას შორის, ხოლო მეორე მხრით, **შინა** ზმნისწინსა და ამავე შედგენილობის **შინა** ზმნიზედას შორის. **შინა** სახეშეუცვლელად შეიძლება ზმნისწინადაც შეგვხვდეს და ზმნიზედადაც. ამიტომ ეს არის ზმნიზედური ხასიათის ზმნისწინი თავისი პირდაპირი მნიშვნელობით. რაც შეეხება **შე-**ს, იგი მხოლოდ ზმნისწინია, არასოდეს არ გვხვდება ზმნიზედის როლში, მაგრამ მასალობრივად ენათესავება **შინა** ზმნიზედას. ასე რომ, ზმნიზედებთან ამ ორი რიგის ზმნისწინების ნათესაობა სავსებით ერთნაირი არაა.

§ 115. ადგილობითი ზმნისწინების თავისებურებანი. ადგილობითი ზმნისწინი მკვეთრად განსხვავდება მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინისაგან. განსხვავება თავს იჩენს შემდეგში:

1. ქართულში ზმნისწინიან ზმნას, როგორც წესი, არცერთ შემთხვევაში არ დაერთვის მიმართულების აღმნიშვნელი რომელიმე სხვა ზმნისწინი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულ ზმნას ერთდროულად არ შეიძლება მოუვიდეს მიმართულების აღმნიშვნელი ორი სხვადასხვა ზმნისწინი. თითო ზმნისწინიანად განვიხილავთ არა მარტო **აღ-ვიდა, შთა-ვიდა, გან-ვიდა, წარ-ვიდა,** არამედ **აღმო-ვიდა, შთამო-ვიდა, გამო-ვიდა, წარმო-ვიდა** ზმნებსაც. რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში **მო-** ზმნისწინიან ზმნაზე კი არ დაერთვის **აღ-, შთა-, გა-** და **წარ-** ზმნისწინები, არამედ უზმნისწინო ვ ი დ ა ზმნას დაერთვის რთული **აღმო-, შთამო-, გამო-, წარმო-** ზმნისწინები.

ადგილობითი ზმნისწინები საწინააღმდეგო ვითარებას გვიჩვენებს. ისინი შეიძლება ვიხმაროთ არა მარტო უზმნისწინო ზმნასთან (**გარე-იქცეოდიან, ზედა-ადგებოდის**), არამედ ზმნისწინიანთანაც (**ზე-აღიხილნა, ქუე-დაჭდის**). ამის შედეგად თავისთავად ვიღებთ შემდეგ წესს: თუ ზმნას ერთდროულად ადგილობითი ზმნისწინიც დაერთვის და მიმართულებითიც, მაშინ ასეთი რიგია დაცული: ჯერ მოდის ადგილობითი ზმნისწინი, შემდეგ — მიმართულებითი და შემდეგ — საკუთრივ ზმნა (**ზე-აღ-იხილნა, ქუე-და-ჭდის**). ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობითი ზმნისწინები ნაკლებადაა ზმნასთან შემტკიცებული, ვიდრე მიმართულების აღმნიშვნელი.

ასეთივე ვითარება გვაქვს სვანურშიც, სადაც მეორე რიგის ზმნისწინები (**ჟი, ჩუ, სგა, ჭა**), რომლებიც სავსებით შეესატყვისებიან ქართულ ადგილობით ზმნისწინებს, ან სულ უზმნისწინო ფორმა-

ზე დაერთვიან ზმნას, ან კიდევ წინ უსწრებენ ძირითად ზმნისწინებს და მათთან შერწყმით ასეთ რთულ ფორმებს იძლევიან: **ჲ'ან, ჲ'ეს, ჲილა, ჩჯან, ჩჯად, ჩჯას, ჩულა** და ა. შ. [1].

კავკასიური ენებიდან შესადარებლად შეიძლება მოვიყვანოთ დარგუული, სადაც ადგილობითი და მიმართულებითი ზმნისწინებისაგან ასეთივე თანმიმდევრობით იქმნება რთული ზმნისწინები: **ჩიქა** (ჩი+ქა). **ჩჳ** (ჩი+ჰა), **ჩისა** (ჩი+სა), **ჩიბდ** (ჩი+ბიდ) და სხვ. ამ რთულ ზმნისწინებში პირველი ელემენტი — **ჩი** ადგილობითი ზმნისწინია და ზედაპირზე ყოფნას, ზედაპირზე ქმედებას აღნიშნავს, ხოლო მეორე შემადგენელ ელემენტად ერთ-ერთი მიმართულებითი ზმნისწინი გამოდის და აღნიშნავს:

ქა — ქვევით მიმართულებას (ქართ. და-, შთა-),
ჰა — ზევით მიმართულებას (ქართ. აღ-),
სა — აქეთ მიმართულებას (ქართ. მო-),
ბიდ — იქეთ მიმართულებას (ქართ. მი-).

მაგალითად: **ჩიქა**-ბათიდ — „ზედ დადება“, **ჩჳ**-ბათიდ — „ზედ ადება“, **ჩისა**-ბათიდ — „ზედ მოდება“, **ჩიბდ**-ბათიდ — „ზედ მიდება“[2].

2. ქართულში მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინი მხოლოდ წინიდან შეიძლება შეუერთდეს ზმნას (გვაქვს: **აღიხილენ**, მაგრამ შეუძლებელია იხილე-**აღ**-). ადგილობითი ზმნისწინი კი არა მარტო ზმნის თავში შეიძლება შეგვხვდეს (**ზე** აღიხილენ), არამედ ბოლოშიც (აღიხილენ **ზე**). ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი წინადადების ცალკე წევრად და, მაშასადამე, ზმნიზედად უფრო გამოდის, ვიდრე ზმნისწინად, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ასეთი წყობაც შესაძლებელია.

.... რომელი მათგანი დგას **ზე**, მარადის მდგომარე არს და არა დაჯდების (ისტ. ქრესტ. II, 54,8);
.... აღიხილენ **ზე** და განიფრთხვე ძილისა შენისაგან (ისტ. ქრესტ. II, 2,34);
.... გამოვიდა **გარე** (მსაჯ. 19,27);
.... იელტოდა და განვარდა **გარე** (დაბად. 39, 15);
.... და მან მიიხილა **გარე** (გარესჯ. 161,17 C).

ასეთივე თავისებურება აქვთ სვანურ **ჟი, ჩუ, სგა** და **ქა** ზმნისწინებს, რომლებიც ზმნის თავშიც შეიძლება შეგვხვდეს (**ჩუად**ჭემე-„დათიბვა“) და ბოლოშიც (ადჭემე-**ჩუ**)[3].

---

1 ვ. თოფურია, სვანური ენა, I, 1931, §§ 14, 18, D.
2 А. А. Магометов, Система превербов в кубачинском диалекте даргинского языка: იკე, IV, 1953, გვ. 183—202.
3. ვ. თოფურია, სვანური ენა, § 18B.

3. ადგილობით ზმნისწინებს არ გააჩნიათ **მო**-ს შემცველი რთული ფორმები, მაშინ როცა ასეთი ფორმები მოეპოვება მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინებს (აღ—**აღმო**, შთა—**შთამო** და ა. შ.). ამიტომ ადგილობით ზმნისწინებში არ გამოიყოფა საიქეთო და სააქეთო ზმნისწინთა რიგები. ბუნებრივიცაა: სააქეთო და საიქეთო რიგების არსებობა ორიენტაციის გადმოცემასთანაა დაკავშირებული. ორიენტაცია კი მიმართულების უზოგადესი სახეა და ცალკე კატეგორიად გამოიყოფა. თავის მხრივ, მიმართულება ადგილობითი ზმნისწინების ძირითად ნიშანთვისებას არ წარმოადგენს. ამიტომ მათ არც ორიენტაციის გადმომცემი ურთიერთსაპირისპირო ფორმები გააჩნიათ და არც ორიენტაციის გადმოცემა შეუძლიათ.

თუ ავიღებთ ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ზედა-მომივალთ, ზედა-მოადგეს, გარე-მოადგა და სხვანი, აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში მარტივი **ზედა** და **გარე** ზმნისწინებია დართული **მო**- ზმნისწინიან ზმნებზე და არა რთული **ზედამო** და **გარემო** ზმნისწინები — უზმნისწინო ზმნებზე.

აქედან დასკვნა: ადგილობით ზმნისწინებს არ შეუძლიათ, თვითონ აწარმოონ ორიენტაციის საპირისპირო ფორმები; სამაგიეროდ, მათ შეუძლიათ, დაერთონ ისეთ ზმნებსაც, რომლებიც მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინების მეოხებით სააქეთო ან საიქეთო ორიენტაციის გაგებას იძლევიან.

ამიტომ ისეთი ზმნა, რომელსაც მხოლოდ ადგილობითი ზმნისწინი დაერთვის. ორიენტაციის გაგებას ვერ იძლევა, ისეთი ზმნა კი, რომელსაც, ადგილობით ზმნისწინს გარდა, მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინიც მოეპოვება, ჩვეულებრივად ორიენტაციასაც გამოხატავს.

4. ქართულში მიმართულების გადმომცემ ზმნისწინებს ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაც (სრული ასპექტის წარმოებისა) განუვითარდათ. ამ მხრივ მათ დიდად დაშორდნენ ადგილობითი ზმნისწინები, რომელთაც სრული ასპექტის წარმოების უნარი არ აღმოაჩნდათ. მიმართულებითი და ადგილობითი ზმნისწინების ეს განსხვავება ჯერ კიდევ პლ. იოსელიანს ჰქონდა შემჩნეული. რის გამოც იგი ამ ორი ჯგუფის ზმნისწინებს არსებითად ერთმანეთისაგან განაცალკევებდა.

სავარაუდოა. რომ **ზე, ზედა, ქუე, შინა, გარე, წინა** და **თანა** ნაწილაკების ზმნისწინთა საერთო რიგიდან ამორიცხვას და, საბოლოოდ, მათს ზმნიზედებად ან თანდებულებად განმტკიცებას სწორედ იმან შეუწყო ხელი, რომ ამ ნაწილაკებმა მიმართულებითი ზმნისწინების მსგავსად ვერ შეიძინეს სრული ასპექტის წარმოების ფუნქცია და ამით მკვეთრად გაიმიჯნენ მათგან. ძველ ქართულში კი, როცა

ასპექტს ვერც ადგილობითი ზმნისწინი აწარმოებდა და ვერც მიმართულებითი, მათ შორის მსგავსება მეტი იყო, ვიდრე განსხვავება, და ამიტომ საჭიროების შემთხვევაში ორივე გვევლინებოდა ზმნისწინის როლში.

5. სტატიკური შინაარსის ზმნები, როგორც ვნებითები, ისე მედიოპასივები, მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინებს ვერ დაირთავს (ეგო, ერტყა, ეპყრა). მართალია, ეს ზმნები ზმნისწინითაც გვხვდება (დაეგო, მოერტყა, შეეპყრა), მაგრამ ამ შემთხვევაში მათ სტატიკური კი არა, უკვე დინამიკური შინაარსი აქვთ. **მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინი თავისთავად გულისხმობს მოძრაობას, დინამიკას და ამიტომ იგი სტატიკურობას ვერ ეწყობა.**

ამ მხრივ სხვა ბუნებისაა ადგილობითი ზმნისწინი, იგი, მიუხედავად იმისა, რომ მიმართულებრივ წარმოდგენასაც იძლევა, ძირითადად მაინც მდებარეობას, მდგომარეობას გამოხატავს. ამიტომ თავისი ასეთი ბუნების გამო ადგილობითი ზმნისწინი შეუთავსებელი არ უნდა ყოფილიყო სტატიკური შინაარსის ზმნებისათვის. მართლაც ძველ ქართულში დაიძებნება სათანადო მაგალითები, როცა ადგილობითი ზმნისწინი მოუდის როგორც სტატიკურ ვნებითებს, ისე მედიოპასივებს:

.... ოთხთავე კიდეთა **ზე** ეპყრა და დამოეკიდა ცით ქუეყანად (საქმე 10,11);
.... კარაჲი იგი საწამებელისაჲ **ზე** ეპყრა (სინ. მრ. 218,12);
.... რომელნი-იგი **ზე** სხდეს ჰუნებსა (ფს. 75,7);
ქუე-იდვა იგი სიკუდიდ მიახლებული (საბა ას. 10,11).

ზე-ეპყრა სტატიკური ზმნაა და **ზე** ზმნისწინის მეოხებით მდგომარეობას გვიჩვენებს შვეულ ვითარებაში. აქ რომ ამავე დანიშნულებით აღ- ზმნისწინი გვეხმარა, მივიღებდით დინამიკურ ზმნას (აღეპყრა), რომელიც მდგომარეობის ნაცვლად მოქმედების პროცესს გადმოსცემდა შვეულ ვითარებაში.

აქედან გამომდინარე, სტატიკურ ზმნებში ყველაზე მეტად ჩანს ადგილობითი ზმნისწინების ბუნება—მიმართულება გვიჩვენონ მდგომარეობაში, ასე ვთქვათ, — **უძრაობაში.** ეს თავის მხრივ იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ადგილობითი ზმნისწინები მხოლოდ სტატიკური შინაარსის ზმნებთან უნდა გვქონოდა. ეს ზმნისწინები დინამიკურ ზმნებთანაც ხშირად გამოიყენებოდა იმ ადგილისაკენ მითითების აღსანიშნავად, საითაც ან საიდანაც მოძრაობა ხდება (**ზე**-აღიპყრა, **ზე**-დამოეკიდა).

ადგილობითი ზმნისწინებისა და სტატიკური ზმნების შეთავსებულობა. ერთი მხრით, ხოლო მიმართულებითი ზმნისწინებისა და

სტატიკური ზმნების შეუთავსებლობა, მეორე მხრით, ეგების საფუძველი გახდა იმისა, რომ ადგილობითმა ზმნისწინებმა ქართულში ვერ შეიძინეს ასპექტის წარმოებისა და, ამასთან დაკავშირებით, აწმყოსაგან მყოფადის ფორმების წარმოების ფუნქცია.

§ 116. ადგილობითი ზმნისწინის მქონე ზმნათა მართლწერისათვის. ადგილობითი ზმნისწინის მქონე ზმნები გამოცემულ ტექსტებში სამგვარი დაწერილობით გვხვდება:

ა) ზმნისწინი გამოცალკევებულია ზმნისაგან:

ზე ეპყრა (სინ. მრ. 218,12), ზე ტკრთულნი (ას. ცხ. 19,18), ზე ახილვად (იობ. 10,15), ზედა ვეგნეთ (ფილიპ. 3,16), ზედა მომივალთ (იობ. 21,27), ქუე მყოფი (სინ. მრ. 77,5), თანა მპარავი (სინ. მრ. 125,18), გარე განსვლა (სინ. მრ. 53,24), გარე განივლტიედ (ფს. 30,12), გარე განვიდის (ფს. 40,7), გარე მიიქცეს (დაბად. 27,45), გარე განყვანება (საქმე, 5,34 Ქ).

ბ) ზმნისწინი ზმნასთან შეერთებულია დეფისით:

ზე-სხდეს (ფს. 75,7), ზე-გარდამოსატევებელი (ფს. 41,8), ზედა-ადგა (რუთ. 2,6), ზედა-დამესხმით (იობ. 27,12), ზედა-გარდამჭდეს (ფს. 41,8), ზედა-მომივალთ (იობ. 19,5), ზედა-მომიჭდეს (იობ. 23,6), ქუე-მდებარე (ისტ. ქრესტ. II, 18,12), თანა-მზრახვალი (სინ. მრ. 194,9), თანა-მორბედი (სინ. მრ. 31,17), თანა-შეერთო (სინ. მრ. 33,16), შინა-განმცემელი (2 ტიმოთ, 3,4), გარე-წარჰკადის (სინ. მრ. 161,8).

გ) ზმნისწინი შერწყმულია ზმნასთან:

ზეუკუნწვის (სახ. მეტყვ. 18,9), ქუემდებარე (საქმე, 9,33 Ქ), ქუეწარმავალი (ლევიტ. 11,20), თანაშემწე (ფილიპ. 4,3), ზეაპყრობით (სინ. მრ. 106,5), ზეგარდამომავალი (ი. 3,31), წინამორბედი (სინ. მრ. 197,14).

ასეთი აღრევა იმის შედეგია, რომ ეს ნაწილაკები ზოგჯერ დამოუკიდებელ ზმნიზედებადაა გაგებული, ზოგჯერ რთული ზმნის სახელად ნაწილად და ზოგჯერაც წარმომქმნელ თავსართად.

ახლა, რაკი მათი ბუნება გარკვეულია და ამის შედეგად ადგილობით ზმნისწინებად მივიჩნიეთ, ისიც საჭიროა, რომ მართლწერის საკითხი მოვაგვაროთ.

ჩვენი აზრით, ასეთი ზმნისწინები ზმნებისაგან განცალკევებით არ უნდა იწერებოდეს. ზმნისწინი ორგანულად უნდა იყოს დაკავში-

რებული ზმნასთან. მეორე მხრით, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ადგილობითი ზმნისწინი უფრო სუსტადაა შემტკიცებული ზმნასთან, ვიდრე მიმართულებითი ზმნისწინი, ნათელი გახდება, რომ ეს ზმნისწინი არც შერწყმული სახით უნდა იწერებოდეს ზმნებთან. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ადგილობითი ზმნისწინები დეფისით შევუერთოთ ზმნას მაშინაც, როცა იგი უზმნისწინოა (ზე-ეპყრა, ზე-სხდეს), და მაშინაც, როცა ზმნას რაიმე მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინი ახლავს (გარე-გა-ნივლტიედ).

გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა ადგილობითი ზმნისწინის მქონე ზმნები, განსაკუთრებით მიმღეობანი, ტერმინებადაა ქცეული. ასეთ შემთხვევაში ადგილობით ზმნისწინსა და ზმნურ ფუძეს ერთმანეთისაგან დეფისით აღარ განვაცალკევებთ. მაშასადამე, უნდა ვწეროთ: **თანაშემწე, ქუეწარმავალი, წინამორბედი, თანამზრახვალი, შინაგანმცემელი** და არა **თანა-შემწე, წინა-მორბედი** და ა. შ. ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ახალი და ძველი გაგება ზმნისწინიანი სიტყვისა. მაგალითად: **ქუემდებარე** დღევანდელი გაგებით გრამატიკული ტერმინია და ერთად, უდეფისოდ იწერება (ქვემდებარე). მაგრამ ძველად იგი ჩვეულებრივი მიმღეობა იყო და იმას აღნიშნავდა, რაც ქუე-იდვა. ამიტომ ძველ ტექსტებში იგი დეფისით უნდა ვწეროთ და არა შერწყმულად: „პოა მუნ კაცი ვინმე, რომელსა სახელი ერქუა ენეა, რვა წლითგან **ქუე-მდებარე** ცხედარსა ზედა“ (საქმე, 9,33 Ქ).

უდეფისოდ, შერწყმულად უნდა ვწეროთ ეს ზმნისწინები მაშინაც, როცა ისინი წარმომქმნელ თავსართებად გამოიყენებიან სახელებში (ქუეყანა, ქუესკნელი).

§ 117. ადგილობით ზმნისწინთა ჯგუფები. როცა მიმართულებითი ზმნისწინები განვიხილეთ, მაშინ მიმართულების სახეებიც გამოვყავით და ამის შესაბამისად დავაჯგუფეთ მათი აღმნიშვნელი ზმნისწინები. ასე მაგალითად: **ვერტიკალური მიმართულების ზმნისწინები** — აღ-, აღმო-, და-, დამო-, შთა-, შთამო-, გარდა-, გარდამო-; **შიგნი-გარეთა მიმართულების ზმნისწინები** — შე-, შემო-, გან-, გამო- და ა. შ.

ადგილობითი ზმნისწინები ძირითადად მდებარეობას, მდგომარეობას გვიჩვენებენ, მაგრამ, ამასთანავე, ისინი სავსებით როდი გამორიცხავენ მიმართულების ჩვენებას. ეს ზმნისწინები ერთგვარ წარ-

მოდგენას მიმართულებაზეც გვიქმნიან, მიგვანიშნებენ იმ ადგილისაკენ, საითაც ან საიდანაც მოძრაობა ხორციელდება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მიმართულების სახეებს შესატყვისები ადგილობითს ზმნისწინებშიც მოეპოვება. აქ სამი ჯგუფი უნდა გამოვყოთ:

1. შვეული, ანუ ვერტიკალური ვითარების აღმნიშვნელი ადგილობითი ზმნისწინები: **ზე, ქუე;**

2. შიგნი-გარეთა ვითარების ადგილობითი ზმნისწინები **შინა, გარე;**

3. წინა-უკმო ვითარების ადგილობითი ზმნისწინები **წინა, უკუ(ნ)** [1].

ამათ გარდა, ადგილობით ზმნისწინებში განვიხილავთ ზედაპირზე მდებარეობის, ზედაპირზე მოქმედების აღმნიშვნელ **ზედა** ზმნისწინს, თანაობის აღმნიშვნელ **თანა** ზმნისწინს და აქეთ-იქეთ მოძრაობის აღმნიშვნელ **მიმო-** ზმნისწინს.

---

[1] **უკუ-** ზმნისწინი ძირითადად მიმართულებით ზმნისწინთა ჯგუფს განეკუთვნება, როგორც წარ-ის მოპირისპირე, მაგრამ იგი გარკვეული აზრით წინა-ს მოპირისპირედაც შეიძლება მივიჩნიოთ.

თ ა ვ ი IX

ადგილობით ზმნისწინთა კერძოობითი განხილვა

§ 118. ზ ე ზმნისწინი ძველ ქართულში. ზე ზმნისწინი ძველ ქართულში ვერტიკალური, ანუ შეეული ვითარების გამომხატველი იყო, შეესატყვისებოდა **აღ-** ზმნისწინს და შინაარსით ქუე ზმნისწინს უპირისპირდებოდა.

ზე ნაწილაკი ზმნიზედადაც გვხვდება როგორც ცალკე, ისე რთულ ფორმებში (**ზე, ზეზე, ზენაჲთ, ზეგარდამო** და სხვ.). ამას გარდა, იგი შემადგენელი ნაწილია არსებითი სახელის — **ზ ე ც ი ს ა**, რომელიც, თავის მხრივ, ძველ ქართულში ზოგჯერ **ზე** ზმნისწინის ნაცვლადაც გამოიყენებოდა: „**კმაჲ იყო ზეცით გარდამო**“ (სინ. მრ. 60,32); შდრ.: „ყოველივე ნიჭი სრული **ზეგარდამო** არს გარდამოსრულ მამისაგან ნათლისა“ (იაკობ, 1,17 Ქ).

ზე გვხვდება აგრეთვე ზედსართავი სახელების შემადგენლობაშიც (ზემო, ზენა, უზენაესი).

ზე-ს შესახებ არაერთ ავტორს გამოუთქვამს აზრი:

„**ზე**—ზეით, გინა აღმა“-ო, ვკითხულობთ საბასთან. ამავე შინაარსით განმარტავს საბა **ზე**-ს შემცველ სხვა სიტყვებსაც, როგორიცაა: ზეით, ზენა, ზერე, ზენაარი, ზესკნელი და სხვ.

დ. ჩუბინაშვილის მიხედვით, **ზე**, როგორც ზმნისწინი, იგივეა, რაც **აღ-** (მაგ. ზე აღვალ) [1].

ზე ნაწილაკი ზმნისწინთა სიაში აქვთ შეტანილი ანტონს [2], პლ. იოსელიანს (ზ ე ა ღ) [3], დ. ყიფიანს [4], თ. ჟორდანიას [5].

ზე რომ ზმნისწინის ფუნქციას ასრულებდა ძველ ქართულში, ეს აზრი გამოთქმული აქვს ვ. თოფურიას, რომელსაც სათანადო ნიმუ-

---

[1] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика. გვ. 73.

[2] ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, გვ. 159.

[3] პლ. იოსელიანი, პირუმლ-დაწყებითნი კანონნი.... § 68.

[4] დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამმატიკა, გვ. 131.

[5] თ. ჟორდანია, ქართული გრამმატიკა, გვ. 155.

შები „ვისრამიანიდან“ მოჰყავს (ზე ადეგ, რამინ ზე ადგა, აშფოთებული ტახტისაგან მოაბადს წინა ზე აიჯრა). ამასთან ერთად, ავტორი იმ აზრს გამოთქვამს, რომ ქართული **ზე** ზმნისწინი სვანური **ჟი** ზმისწინის ფონეტიკურ-გრამატიკული ექვივალენტია[1].

ასევე **ჟი** შეესატყვისება მას მეგრულშიც[2].

საყურადღებოა, რომ **ზე**-ს თავისი შესატყვისები ზოგიერთ კავკასიურ ენაშიც მოეპოვება. ასე მაგალითად: დარგუული ენის კუბაჩურ დიალექტში გვაქვს ამავე შინაარსის **ჟე** თანდებული და **ჩე (ჩი)** ადგილობითი ზმნისწინი, ურახინულ დიალექტში კი — **შე (ში)** ზმნისწინი[3].

ზე ზმნისწინი შეიძლება შეგვხვდეს ისეთ ზმნასთან, რომელსაც მიმართულების აღმნიშვნელი რაიმე ზმნისწინი არ მოეპოვება:

.... კარავი იგი საწამებელისაჲ **ზე-ეპყრა** (სინ. მრ. 218,12);

.... ოთხთავე კიდეთა **ზე-ეპყრა** (საქმე, 10,11);

.... ლოცვითა მიიღო სუეტი იგი ...და დაჰკიდა ზედა აერთა აღშორებულად ხარისხისაგან წყრთა ერთ, მართლ **ზე-დგა** (ას. ცხ. 24,2 Ც);

.... რომელნი-იგი **ზე-სხდეს** ჰუნებსა (ფს. 75,7);

.... რაჟამს დაიძინის კორკოდინოს ხუთქმან, პირი **ზე-უშტკმიედ** (სახ. მეტყუ. 28,8);

.... ცხედართა **ზე-ტკრთულნი** მიიყვანებოდეს მისა მიმართ (ას. ცხ. 19,18 Ქ).

ადგილობითი **ზე** ზმნისწინი ხშირად დაერთვის ისეთ ზმნას, რომელსაც უკვე მოეპოვება ქვევიდან ზევით მიმართულების აღმნიშვნელი **აღ-** ან **აღმო-** ზმნისწინი, და აძლიერებს ამ უკანასკნელის მნიშვნელობას:

.... **ზე-აღდგა** მკუდარი იგი (ღ. 7,15Ც);

.... ვერ შემძლებელ არს **ზე-აღდგომად** (ას. ცხ. 171,20 Ც);

.... რამეთუ მოსწრაფე იყვნეს მეფისა მირიანის **ზე-აღმართებასა** (ას. ცხ. 23,13 Ქ);

.... იოვანე **ზე-აღიპყრა** ჰიქაჲ (ას. ცხ. 119,11 Ქ);

.... რომელი-იგი ცეცხლისა ეტლთა და **ზე-აღფრენითა**.... გამოისახოს (სინ. მრ. 195,11);

.... სამარე **ზე-აღებულ** არს ჶორკი მათი (რომ. 3,13);

.... ვერვე ძალ-მიც **ზე-ახილვად** (იობ. 10,15);

.... **ზე-აღიხილნა** თუალნი გონებითერთ (ას. ცხ. 121.16 Ქ);

.... სიღრმეთა ჯოჯოხეთისათა დაფლელი... **ზე-აღმოიყვანა** და სასუფეველი მიანიჭა (ას. ცხ. 46,9 Ქ).

---

[1] ვ. თოფურია, სვანური ენა, I, § 19.

[2] იქვე.

[3] А. А. Магометов. Система превербов в кубачинском диалекте даргинского языка: იქვე, IV, გვ. 188—190, 202.

ზე ზმნისწინის ხმარება აღ- და აღმო-ზმნისწინიან ზმნებთან ბუნებრივი ჩანს, რადგან ეს ზმნისწინები შინაარსობრივად ერთმანეთს ჰგავს. აქვე დავსძენთ, რომ ზე ზმნისწინი აღ-, აღმო- ზმნისწინიან ზმნებთან ზევით ზმნიზედის შინაარსს ინარჩუნებს, ე. ი. მიუთითებს იმ პუნქტზე, საითკენაც მოძრაობს საგანი.

ამის საპირისპიროდ, ზე ზმნისწინი შეიძლება დაერთოს ისეთ ზმნასაც, რომელსაც მოეპოვება ზევიდან ქვევით მიმართულების აღმნიშვნელი რომელიმე ზმნისწინი. როგორც ვიცით, ასეთი ზმნისწინებია და-, დამო-, შთა-, შთამო-, გარდა-, გარდამო-. ამათგან ზე ზმნისწინი ყველაზე ხშირად გარდა-, გარდამო-ზმნისწინიან ზმნებთან გვხვდება:

.... საწყაული კეთილი და ზე-გარდათხეული (ლ. 6,38 C);
.... არა არს ესე სიბრძნე ზე-გარდამოსრული (იაკობ, 3,15 C¹);
.... ზე-გარდამომავალი იგი ყოველთა ზედა არს(ი. 3,31);
.... უფსკრულმან უფსკრულსა ხადა ქმითა ზე-გარდამოსატევებელთა მისთაჲთა (ფს. 41,8 C; შდრ.: ზე-გარდამოსაქანელთა Ქ);
.... ვითარცა ტილოსა დიდსა ოთხთაგან კიდეთა ზე-დამოკიდებულსა ზეცით ქუეყანად (საქმე 10,11 Ქ);
.... უყუარნ მათ მჴნისთაობაჲ ტაძრობასა და ზეშთაჴდომაჲ შესაკრებელთა შინა (მ. 23,6 C).

ასეთ შემთხვევაში ზე ზმნისწინი მიუთითებს იმ პუნქტზე, საიდანაც იწყება მოძრაობა, მოქმედება.

ზე ნაწილაკი, ჩვეულებრივ, ზმნისწინად კი არა, ზმნიზედად უფრო გამოიყურება, როცა იგი ბოლოში მიჰყვება ზმნას და მისგან სხვა სიტყვებითაა გათიშული:

.... აღიპყრა კელნი თჳსნი ზე (სინ. მრ. 60,22);
.... დაეკიდა სუეტი იგი სიმაღლესა ზე (ას. ცხ. 24,2 Ч);

მაგრამ როცა ზე უშუალოდ მოსდევს ზმნას, მაშინ ძნელი გასარჩევი ხდება, თუ რა როლს ასრულებს იგი — ზმნისწინისას, თუ ზმნიზედისას. ავიღოთ, მაგალითად, ასეთი წინადადება: „რომელი მათგანი დგას ზე, მარადის მდგომარე არს და არა დაჯდებისა“ (ისტ. ქრესტ. II, 54,8). ამ წინადადებაში ზე ნაწილაკი ზმნისწინად უფრო გამოიყურება, ვიდრე ზმნიზედად: დგას ზე=ზე დგას, ამდგარია. ამ შინაარსით იგი უპირისპირდება იმავე წინადადების და-ზმნისწინიან ზმნას — დაჯდების.

დგას ზმნა სტატიკური შინაარსისაა, რის გამოც აღ- ზმნისწინს ვერ შეითავსებს. სამაგიეროდ ამ დანაკლისს იგი ივსებს აღ-ის შესატყვისი ადგილობითი ზე ზმნისწინის გამოყენებით.

ახლა ასეთი წინადადებაც ავიღოთ: „აღიხილენ ზე და განიფრთხვე

ძილისა შენისაგან“ (ისტ. ქრესტ. II, 2,34). ეჭვი არაა, რომ მოცემულ შემთხვევაში ზე ნაწილაკი ზმნიზედის როლში უფრო გამოდის, ვიდრე ზმნისწინისა, და წინადადებაში ადგილის გარემოებას გადმოსცემს: აღიხილენ ზე (საით? — ზევით).

უკვე ძველ ქართულში შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ერთმანეთისაგან ფორმითაც განასხვაონ ზე ზმნისწინი და ზე ზმნიზედა. უთუოდ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს ძველ ტექსტებში ზე ზმნიზედის ნაცვლად ზეცა სიტყვის გამოყენება ვითარებითი (მიმართულებითი) ან მოქმედებითი (გამოსვლითი) ბრუნვის ფორმით:

.... თუალნი ზეცად აღიხილნა (ას. ცხ. 24,24Ч);
.... აღიპყრნა ჴელნი და თუალნი ზეცად მიმართ (ას. ცხ. 121,5 Ч);
.... მაშინ-ღა ღმერთი აღჴდა ზეცად (ლიტ. ქრესტ. I, 13,10):
.... ჰმაჲ იყო ზეცით გარდამო (სინ. მრ. 60,32):
.... ესმა მას ჰმაჲ ზეცით გარდამო (ისტ. ქრესტ. II, 80,11);
შდრ.: მამაჲ ზეგარდამო სამ გზის წამებს (სინ. მრ. 197,2).

ზე ზმნიზედის ნაცვლად ზეცა არსებითი სახელის გამოყენება იმაზე მიგვითითებს, რომ ეს ორი სიტყვა ძველად ერთმანეთის სინონიმებად მიაჩნდათ: ზე — ზევითკენ — ზეცისკენ. ამას კი, თავის მხრივ, ხელს უწყობდა არსებით სახელ ზეცა-ში ზმნიზედური ზე ნაწილაკის დანახვა (შდრ.: საპირისპირო—ჭუე-ყანა). ამასთან დაკავშირებით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ზეცა სიტყვა ზე ზმნიზედისა და ცა არსებითის შეერთებას კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ იგი უნდა მომდინარეობდეს დეცასაგან, სადაც დე ნივთთა კლასის ექსპონენტი უნდა იყოს. დეცა-ს შორეული ასიმილაციით უნდა მოეცა ძეცა, მაგრამ ამ მომენტში ხალხური ეტიმოლოგიის შედეგად მომხდარა ძეცა-ს გააზრიანება ზეცა-დ, ზემო-ცა-დ [1].

ასე რომ, ამ მოსაზრების მიხედვით ძეცა-ს ზეცად გააზრიანება ზე-ს ანალოგიით მომხდარა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზე უფრო ადრინდელი უნდა იყოს, ვიდრე ზეცა.

§ 119. ზედა ზმნისწინი ძველ ქართულში. ზედა ზმნისწინი, ერთი შეხედვით, იგივე უნდა იყოს, რაც ზე ზმნისწინი, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. ზედა ზმნისწინი ზე-საგან არა მარტო გარეგნულად განსხვავდება, არამედ შინაარსობრივადაც. თუ ადგილობითი

[1] გ. როგავა, ნააფიქსარი დ-ს ფონეტიკური ხასიათისა და ზეცა ფუძის აგებულების საკითხი: ჰპიშ, XI, 1952, გვ. 64.

ზმნისწინი ზე შეესატყვისება აღ-ს და დაახლოებით ამას ნიშნავს — „ზევით“, ამისგან განსხვავებით, ზედა ზმნისწინი ძირითადად იმაზე მიუთითებს, რომ მოქმედება ზედაპირზე ხდება. იგი ზედაპირზე მდებარეობას აღნიშნავს. ეს ზედაპირი კი სავალდებულო როდია, ზევით იყოს. იგი შეიძლება ჩვენს ქვევითაც იგულისხმებოდეს.

„ზედ—კიბეთა, ხეთა, ერდოთა მაღლა აღსლვასა და ესევითარსა, ანუ ფერჴით რაზედაც შეჰჴდეს, ანუ ზეიდამ რამე რასაც დაადვა, გინა თანმობმულსა რასმე ზედ ვიტყჳთ“, — ასე განმარტავს საბა ზედ(ა) ზმნიზედას, რომლისგანაც ზედა ზმნისწინი მომდინარეობს.

ზედა ზმნისწინი რომ ზედაპირზე მოქმედებას აღნიშნავს, ეს მითითებული აქვს დ. ჩუბინაშვილსაც [1].

ზედა ზმნისწინის პარალელურად ძველ ქართულში ზედა თანდებულიც გვქონდა და ზედა ზმნიზედაც. ყოველივე ეს მასალობრივად, როგორც ვხედავთ, ერთი და იგივეა.

ა. შანიძე ზედა ზმნიზედაში გამოყოფს -და ბოლოსართს. რომელსაც ზმნიზედის საკუთარ მაწარმოებლად მიიჩნევს [2]. ეს -და ბოლოსართი ნ. მარს მიცემითი ბრუნვის ნიშნად მიაჩნია. ასე რომ, ნ. მარის აზრით, ზედა ზმნიზედა ბრუნვის გაქვავებულ ფორმას წარმოადგენს [3].

თუ გავითვალისწინებთ, რომ ზმნიზედები მეტწილად მართლაც ამა თუ იმ ბრუნვის გაქვავებულ სახეს წარმოადგენს, მაშინ ორივე ეს ვარაუდი არსებითად მისაღებია.

ზედა ადგილობითი ზმნისწინი ისეთ ზმნებთანაც გვხვდება, რომლებსაც მიმართულების აღმნიშვნელი რაიმე ზმნისწინი არ გააჩნიათ, და ისეთებთანაც, რომელთაც ასეთი ზმნისწინი მოეპოვებათ.

როგორც აღვნიშნეთ, ზედა ზმნისწინის ძირითადი მნიშვნელობაა, უჩვენოს, რომ მოქმედება ზედაპირზე ხდება. სწორედ ამ შინაარსით გამოიყენება ზედა ზმნისწინი შემდეგ მაგალითებში:

.... ხოლო შენ ზედა-სდგა კლდესა (სინ. მრ. 165,9);
.... რომელი ზედა-ადგებოდის მოსწრაფებით (პავლე. რომ. 12.8);
.... ჭეყანამან კუალნი ზედა-მავალთანი წარუმართნა (სინ. მრ. 40,10);
.... იყო ქუაბი, და ღობი ზედა-ედვა მას (ი. 11,38),
.... ვისი არს ხატი ესე და ზედა-წერილი (მრ. 12,16; ზედა-დაწერილი C).

---

1 Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 73.
2 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 615.
3 Н. Марр, Грамматика древнелит. груз. языка. § 49в., § 134.

მაგრამ უფრო ხშირად **ზედა** ზმნისწინი გადატანითი მნიშვნელობით იხმარება. ერთ შემთხვევაში იგი ისეთი შინაარსით გამოიყენება, რომ მის ნაცვლად შეიძლება ვიგულისხმოთ ნაცვალსახელი „თავს“:

.... მიუგო მონამან მან, რომელი იგი **ზედა**-ადგა მომკალთა მათ (რუთ. 2,6);

.... რომელთა შვილებაჲ **ზედა**-ეღვა (სახ. მეტყვ. 8,7);

.... რომელნი-იგი დაედგინნეს მათ ზედა **ზედა**მდგომელთა ცათ ფარაოჲსთა (გამოსლვ. 5,14);

.... ამაოდ **ზედა**-დამესხმით მე (იობ. 27,12);

.... ყოველნი განსაცხრომელნი შენნი და ღელვანი შენნი მე **ზედა**-გარდამკდეს (ფს. 41,8);

.... იგინი **ზედა**-დაესხმოდეს (ლ. 23,23).

როცა **ზედა** ზმნისწინი **მი-** ან **მო-** ზმნისწინიან ზმნას დაერთვის, მაშინ იგი მოქმედების ზედმიწევნილობას, ან კიდევ უაღრესად სიახლოვეს აღნიშნავს:

.... ღამესა მას **ზედა**-მიადგა ვინმე დიდებული კაცი (ას. ცხ. 204,9);

.... რამეთუ არა ინებეს კერპთხევაჲ წმიდათა მათგან, ამისთჳს **ზედა**-მიეტევნეს მათ (ზარზმ. 153,13);

.... აჰა-ესერა ორ კაც **ზედა**-მოადგეს მათ სამოსლითა სპეტაკითა (საქმე 1,10 Ჴ);

.... მუნ ვერ ჰკადრა **ზედა**-მისლვად ბოროტმან ეშმაკმან (სახ. მეტყვ. 14,44);

.... განვერე **ზედა**-მოსლვასა მისსა (ას. ცხ. 36,24 C);

.... კადნიერად **ზედა**-მომივალთ მე (იობ. 21,27);

.... შეკრბა დიდძალი ერი წარმართთაჲ ურიცხჳ და **ზედა**-მოეკიდოდეს კოსტანტინეს (სინ. მრ. 237,15);

.... მრავლითა ძალითა **ზედა**-მომიჯდეს მე (იობ. 23,6).

ამათგან ისეთ ზმნებს, როგორიცაა **ზედა-მისლვა, ზედა-მოსლვა, ზედა-მიჯდომა, ზედა-მოჯდომა** და ამათი პირიანი ფორმები, მათ თ ა ვ დ ა ს ხ მ ი ს შინაარსი აქვთ.

§ 120. ქ უ ე ზმნისწინი ძველ ქართულში. ქუე ზმნისწინი ძველ ქართულში **ზე** ზმნისწინის საპირისპირო შინაარსს გადმოსცემდა. იგი ზმნისწინთა შორის აქვთ მოხსენებული ანტონს, გაიოზს, პლ. იოსელიანს, დ. ჩუბინაშვილს, თ. ჟორდანიას.

„**ქუე—ქუეჲთ** კერძო“-ო, განმარტავს საბა.

ქუე ზმნისწინი გვიჩვენებს ძირს მიმართულებასო, აღნიშნავს დ. ჩუბინაშვილი, ხოლო საილუსტრაციო მაგალითებად მოაქვს ზმნები — ქ ვ ე დ ა ც ე მ ა, ქ ვ ე დ ა წ ე ვ ა[1].

[1] Д. Ч у б и н о в, Краткая грузинская грамматика, გვ. 74.

ჭვე მიჩნეულია სვანური ჩუ-სა და მეგრული ჭო-ს ფონეტიკურ-გრამატიკულ შესატყვისად[1]. ქართულში იგი როგორც ზმნისწინად, ისე მტკიცებით ნაწილაკადაც (კილოებში) გამოიყენება.

ჭუე ზმნისწინი ძველ ქართულში გვხვდებოდა ისეთ ზმნებთანაც, რომელთაც რაიმე მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინი არ ჰქონდათ და ისეთებთანაც, რომელთაც ასეთი ზმნისწინი მოეპოვებოდათ. აი სათანადო ნიმუშები:

ა) ჭუე ზმნისწინი უზმნისწინო ზმნებთან:

.... ესენი არიან, ყოელად წმიდაო, რომელნი კვრიაკესა ჭუე-წვანან (ლიტ. ქრესტ. I, 16, 23);

.... ჭუე-სცჯოდის (ლიტ. ქრესტ. I, 16,39);

.... ჭუე-იდვა იგი სიკუდიდ მიახლებული (საბა ას. 10,11);

.... კელი აუპყრის ჭუე-მდებარესა და აღადგინის (ისტ. ქრესტ. II, 18,12);

.... პოა მუნ კაცი ვინმე... რვა წლითგან ჭუე-მდებარე ცხედარსა ზედა (საქმე, 9,33 Ქ);

.... არათუ ჭუეყნიერთა და ჭუე-მეორევთაგან მდიდროდა.. (ზარზმ. 154,8);

.... ასწავებდა და მერმე სხუათა მათ სამარიტელთა ჭუე-მყოფთა მაღალსა სწავლასა ეკლესიისასა წინა-უძღოდა (სინ. მრ. 77,5);

.... დავრდომილ ოყო წინაშე ბჭეთა მისთა და ჭუე-ძურებოდა (ლ. 16,20).

ბ) ჭუე ზმნისწინი სხვაზმნისწინიან ზმნებთან:

.... იყუნეს ოთხთავე ყურთა მის საბლარდნელისათა სადგმელნი ოქრო-ქსოვილნი და ჭუე-აღსადგმელთა მათ — სახჱ ჯუარისა მის საუფლოჲსაჲ ოქრო-ფერად (სინ. მრ. 64,1);

.... ადგილი იგი ჭუე-დაკდის ქუესკნელად (სახ. მეტყვ. 20,17);

.... სადა-იგი გუეგულების ყოველთა წარდგომაჲ, შიშუელთა და ჭუე-დამხედველთა თუალითა (ას. ცხ. 31,25 Ქ);

.... იონას თავი თჳსი ჭუე-დაედრიკა (ისტ. ქრესტ. II, 48,11);

.... რაჟამს აკდის ვენაკსა, ტევანნი გამომარცულნის და ....ჭუე-გარდამოაბნიის (სახ. მეტყვ. 17,10);

.... და მოსაყოფელი მისი და ჭუე-შესადგმელები მისი ოქროჲსაგან წმიდისა ჰქმნე (გამოსლვ. 25,38);

.... არცა აღანთიან სანთელი და ჭუე-შედგიან იგი კუმირსა (მ. 5,15 C);

.... ჰყვანდა მათ თანა მკელობრები, ბრმები, ყრუნი, ჭუეწარმძრომელნი (მ. 15,30);

.... მფრინველნი ცისანი და ჭუეწარმავალნი ენასა თჳსსა დაამორჩილნა (ას. ცხ. 196, 12-13 C).

ამას გარდა, ჭუე ზმნისწინი, მსგავსად სხვა ზმნისწინებისა, შეიძლება, შეგვხვდეს არაზმნური სიტყვების შემადგენლობაში (ჭუეყა-

[1] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, სვანური ენა, I, გვ. 65.

ნა, **ქუესკნელი, ქუემორე** და სხვ.), სადაც აგრეთვე ინარჩუნებს თავის ძირითად მნიშვნელობას. ამიტომაცაა, რომ **ქუე** ზმნისწინის შემცველი ეს სიტყვები ჩვეულებრივ **ზე** ზმნისწინის შემცველ სიტყვებს უპირისპირდება: **ქუემორე — ზემორე, ქუესკნელი — ზესკნელი, ქუეყანა — ზეცა**. ასეთი დაპირისპირებაა, მაგალითად, ამ წინადადებაში: „თქუენ **ქუესკნელისა** მისგანნი ხართ, და მე **ზესკნელისა** მისგანი ვარ“ (ი. 8,23 C). DE ხელნაწერებში კი ეს ადგილი ასე იკითხება. „თქუენ **ქუეყანისაგანნი** ხართ, ხოლო მე **ზეცისაგანი** ვარ“.

რადგან **ქუე** ზმნისწინი თავისი შინაარსით **და-** ზმნისწინს შეეფარდება, ხოლო ეს უკანასკნელი **აღ-**ის საპირისპიროა, ამიტომ **ქუე** ზმნისწინი ისევე შეიძლება დაუპირისპირდეს **აღ-**ს, როგორც უპირისპირდება **ზე-**ს: „ცხოველ ხარ და ვითარცა ანგელოზნი, და მოკუდავ — ვითარცა ცხოველნი უფსკრულთა **უქუენასკნელეს** და **უმაღლეს**“.... (ას. ცხ. 35, 34-35 C).

ქუე ზმნისწინი გვხვდება აგრეთვე თანდებული **ქუეშე-**ს შემადგენლობაში (**ქუე-შე**).

საინტერესოა ის გარემოება, რომ ზევიდან ქვევით მიმართულების საჩვენებლად **ქუე** ზმნისწინის ძირისეული თანხმოვანი **ქ** გვხვდება რიგი სხვა კავკასიური ენების ადგილობით ზმნისწინებშიც:

აფხაზურში, მაგალითად, **ქი-** ადგილ-მიმართულებითი ფუძეწინდებულია და დაახლოებით იმასვე ნიშნავს, რასაც ქართული **ქუე: ა-ქი-** გლარა—„ზემოდან დადგომა“[1].

აღულურში ქართულ **ქუე-ს ქჯ** ზმნისწინი შეესატყვისება: **ქჯ-იჴუას**—„ქვეშ დაჯდომა“[2], **ქჯე-ბას**—„ქვევით ჩასვლა“[3].

ტაბასარანულის სამხრულ დიალექტშიც **ქჯ** ზმნისწინი გვხვდება, ჩრდილო დიალექტში კი — მისი ფონეტიკური ვარიანტი — **გ: ქჯ-ი-თუს** — „ქვეშ დაჯენა“[4]. ამას გარდა, ტაბასარანულში **ქჯ-ს** ვხვდებით ამავე შინაარსის თანდებულადაც.

დარგუული ენის კუბაჩურ დიალექტში ქართულ **ქუე-ს** შეესატყვისება ადგილობითი ზმნისწინი **ჭე** და თანდებული **გუ-**[5].

ამგვარად, რიგ კავკასიურ ენებში ქართული ადგილობითი **ქუე** ზმნისწინის შინაარსობრივი და მასალობრივი შესატყვისები საკმაოდ

---

[1] ქ. ლომთათიძე, რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში: იკე, IV, გვ. 91.

[2] А. Магометов, Превербы в табасаранском языке: იკე, VIII, გვ. 332.

[3] იქვე, გვ. 335.

[4] იქვე, გვ. 319.

[5] იქვე, გვ. 311.

დაიძებნება. ამას, შეიძლება, ისიც დავაშატოთ, რომ კუბაჩურში საკუთრივ მიმართულებითი ზმნისწინებიდან ერთ-ერთი, რომელიც ზევიდან ქვევით მიმართულებას აღნიშნავს, აგრეთვე ჭ ძირის შემცველია: ჭა-ბიშ**ხიხ**—„დადება“[1].

§ 121. **გარე ზმნისწინი ძველ ქართულში.** ქართულში ადგილობითი **გარე** ზმნისწინი მიმართულებითი **გან-** ზმნისწინის შესატყვისია და შინაარსობრივად **შინა** ზმნისწინს უპირისპირდება: „წმიდაჲ მისი ბეჭედი გუაქუნდინ — ჯუარი აღდგომასა და დაჯდომასა, **გარე-განსლვასა** და **შინა-შემო**სლვასა“ (სინ. მრ. 53,24-25).

ზმნისწინთა შორის **გარე**-ს მოიხსენებენ ანტონი, გაიოზი, პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, თ. ჟორდანია. ამ ზმნისწინს საბა ასე განმარტავს: „**გარე**—შინას გამო“, დ. ჩუბინაშვილის მიხედვით კი, **გარე** აღნიშნავს საგნისაგან დაშორებას[2]. ამასთან ერთად, დ. ჩუბინაშვილი ცალკე ზმნისწინად გამოყოფს **გარემო**-ს და აღნიშნავს, რომ ეს ზმნისწინი გამოხატავს რისამე ირგვლივ მოქმედებას: **გარემოიცვა** ღრუბლითა; ქალაქი **გარემოზღუდა** ზღუდითა[3]. სინამდვილეში ამ მაგალითებშიც **გარე** ზმნისწინია დართული **მო**-ზმნისწინიან ფორმებზე.

ნ. მარი **გარე**-ს თანდებულთა ჯგუფშიც განიხილავდა და ზმნისწინთა ჯგუფშიც. მისი სიტყვით, ეს თანდებული აღნიშნავს გარეთ ყოფნას, დაშორებას, ხოლო მისი ძირი **გარ-**ი კარ-ისაგან (дверь) მოდის. ამასთანავე, მარი მიუთითებს, რომ **გარ-**ის მიმართულებითს ბრუნვას წარმოადგენს **გარდა** თანდებული (кроме), რომელიც არ უნდა ავურიოთ **გარდა-** ზმნისწინშიო[4].

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ, ერთი მხრით **გარე** თანდებული და **გარე** ზმნისწინი, ხოლო, მეორე მხრით, **გარდა-**, **გარდამო** ზმნისწინთა პირველი შემადგენელი ელემენტი **გარ(ე)** ერთი და იგივეა. ამასთანავე, **გარე** და **გან** ზმნისწინებშიც გამოიყოფა ერთი საერთო **გა** ძირი, რაც მათ ერთმანეთთან აკავშირებს.

გარე ზმნისწინი თითქმის არ გვხვდება უზმნისწინო ზმნებთან. ამ მხრივ გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ **ქცევა** ზმნა, რომელსაც უზმნისწინო ფორმაზეც დაერთვის ეს ზმნისწინი:

---

[1] А. А. Магометов, Система превербов в кубачинском диалекте даргинского языка: იქვე, IV, გვ. 186.

[2] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 73.

[3] იქვე.

[4] Н. Марр, Грамматика..., § 49, § 202.

.... შეეშინა ფრიად ნეტარსა ელიას და გარე-იქცა (ას. ცხ. 52,34 C);
.... რაჟამს უდაბნოს გარე-იქცეოდიან და იღოცვიდენ (საბა ას. 7,31).

შეიძლება დავიმოწმოთ ასეთი ნიმუშიც: „მწყემსნი იყვნეს მასვე ადგილსა **გარე-მყოფნი**“ (ლ. 2,8 C), სადაც **გარე** ნაწილაკი ზმნისწინად უფრო გამოიყურება, ვიდრე ზმნიზედად.

გარე ზმნისწინი ჩვეულებრივ **გან-, მი-, მო-, შე-** ან **წარ-** ზმნისწინიან ზმნებს უერთდება და აძლიერებს დასახელებულ ზმნისწინთა მნიშვნელობას. სახელდობრ:

ა) **გან-**ზმნისწინიანი ზმნა ჩვეულებრივ შიგნიდან გარეთ მიმართულებას აღნიშნავს. **გარე-**ს ძირითადი შინაარსიც გ ა რ ე თ ა სივრცის ჩვენებაა. ამიტომ ორივე ამ ზმნისწინის შეერთებით კიდევ უფრო გაძლიერებულად გადმოიცემა დასახელებული შინაარსი:

.... ბრძანა მცირედ **გარე-განყვანებაჲ** მოციქულთაჲ (საქმე, 5,34 Ქ);
.... **გარე-განვიდის** გარე და მასვე იტყჳნ (ფს. 40,7 Ქ);
.... სრულმან სიყუარულმან **გარე-განდევნის** შიში (1 იოვ. 4,18 C¹);
.... რომელთა მიხილიან მე, **გარე-განივლტიედ** ჩემგან (ფს. 30,12);
.... **გარე-განუთხეედა** ყრმათა მათთა, რაჲთამცა არა ცხოვნდეს (საქმე, 7,19).

ბ) როგორც აღნიშნული გვაქვს, **შე-** ზმნისწინი ზოგიერთ ზმნასთან გარედან შეხებასა და ირგვლივ მოქმედებას აღნიშნავს (§ 81). ირგვლივ მოქმედებას გადმოსცემს გარკვეულ ზმნებთან **მო-** ზმნისწინიც (§ 33). სათანადო ზმნებში ირგვლივ მოქმედების ეს შინაარსი კიდევ უფრო გაძლიერდება, თუ **შე-** ან **მო-** ზმნისწინებთან ერთად ვარეთა სივრცის აღმნიშვნელ **გარე** ზმნისწინსაც ვიხმართ:

.... ეყავნ მას.... ვითარცა სარტყელი, რომელსა მარაძის **გარე-შეირტყამს** (ფს. 108,19 Ქ; შდრ.: რომელ შ ე ი რ ტ ყ ი ს მან წელთა მისთა C);
.... ცხორებაჲ სიწმიდისაჲ **გარე-შეგირტყამს** (სინ. მრ. 9,1);
.... ხოლო ჩუენ გუენება. რაჲთა **გარე-შე**ნერით შემოელოთ სიმგრგულჱ მათ ადგილთაჲ (ზარზმ. 159,16);
.... „მიმადლებულო“ რაჲ თქუა, ყოველივე ბუნებაჲ კაცობრივი **გარე-შეიცვა** (სინ. მრ. 8,9);
.... ტყავისა ბუნებისა მიერ **გარე-მობლარდნილნი** წინა განეწყუებოდეს ყინელთა ღამისათა და სიცხეთა დღისათა (ას. ცხ. 39,18 Ქ);
.... **გარე-მომადგეს** მე სახლსა მას გარემო ღამე (მსაჯ. 20,5);
.... **გარე-მოგადგე** შენ ვითარცა დავით და **გარე-მოგადგა** შენ ღაშქარი და **გარე-მოგაშჱნო** შენ გოდლები (ესაია, 29,3);
.... **გარე-მომადგინენ** მე სიკაბუკისა ჩემისა ცოდვანი (იობ. 13,26);
.... უფსკრულნი ვითარცა სამოსელნი **გარე-მოდებულ** არიან მის ზედა (ფს. 103,6);
.... ზღუდჱ **გარე-მოსდვა** მას (მ. 21,33);
.... **გარე-მოაულო** უფალმან ერსა თჳსსა გზაჲ (გამოსლ. 13,18);

.... გარე-მოზღუდეილ არს ჩემსა (იობ. 19,8);
.... გარე-მოიცევინ ყოველი ესე ქალაქი (აპოკრ. 39,34);
.... გარე-მოახჳეს საბელი ყელსა მისსა (აპოკრ. 36,15 E, გარე-მოხჳეს D).

გ) წარ- ზმნისწინს, როგორც აღნიშნული გვაქვს (იხ. § 40), ყურადღება გადააქვს მოქმედების საწყის პუნქტზე და მიუთითებს, რომ მოძრავი საგანი ამ პუნქტს შორდება. წარ- ზმნისწინის ამ შინაარსს კიდევ უფრო აძლიერებს გარე ზმნისწინის მიმატება:

.... იღოცეედი შენ ჟამსა მას ვნებისასა გარე-წარსლვად სასუმელსა სიყუდილისასა (მინჩხი, იბ. VIII, 1-2);
.... გარე-წარვაქციო სალმობაჲ შენგან (გამოსლვ. 23,25);
.... სასმენელნი ჩუენნი გარე-წარვაქცინეთ მათისა მისგან მოძღურებისა (სინ. მრ. 53,21);
.... გარე-წარმცოდე მე სასუმელი ესე (მრ. 14,36 C);
.... სიყუარულმან გარე-წარჰკადის შიში (სინ. მრ. 161,8).

დ) ასევე გაშორება-გაცილების შინაარსი შეაქვს გარე ზმნისწინს ზოგიერთ მი- ან მო- ზმნისწინიან ზმნაში:

.... რაჲსათჳს გარე-მიიქცევ პირსა შენსა (ისტ. ქრესტ. II, 19,32);
.... უკუეთუ გარე-მიიქცეს, ვინ მოაქციოს (იობ. 9,12);
.... რომელი ეძიებს შემდგომსა მას ჯპატიონისასა გარე-მოქცევად სარწმუნოებისაგან (საქმე, 13,8 C);
.... გარე-მიიხილე და იგულე (აპოკრ. 38,31 D).

როგორც დავინახეთ, გარე ზმნისწინმა გააძლიერა ერთ შემთხვევაში შიგნიდან გარეთ მოქმედების შინაარსი (გარე-განყვანება), მეორე შემთხვევაში — გარედან მოქმედების, ირგვლივ მოქმედების შინაარსი (გარე-შერტყმა, გარე-მობლარდნილი, გარე-მოცვა), ხოლო მესამე შემთხვევაში გაშორება-გაცილების შინაარსი (გარე-წარქცევა, გარე-მიქცევა). სამივე ეს ნიუანსი გარე ზმნისწინის ძირითადი შინაარსიდან გამომდინარეა. გარე-ს ძირითადი შინაარსი კი გარეთა სივრცის ჩვენებაში მდგომარეობს.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ ზოგჯერ ზმნისწინმა, შესაძლოა, ცალკე აღებულმაც გამოხატოს მოქმედება[1]. ამ მხრივ არც გარე ზმნისწინია გამონაკლისი:

.... მათ ჰრქუეს მას: გარე-იქი (დაბად. 19,9);
.... ჰრქუეს უფალსა: გარე-იქი ჩუენგან (იობ. 21,14).

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ გარე ზმნისწინი ზოგ არაზმნურ

[1] ვ. თოფურია, ქართული ენა, I, გვ. 63; ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა...: იქე, V, გვ. 73.

სიტყვაშიც გვხვდება, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი: **გარესკნელი, გარეწარი.**

§ 122. **შ ი ნ ა ზმნისწინი ძველ ქართულში.** ძველ ქართულში **შინა** ნაწილაკს ჩვეულებრივ ზმნიზედის ანდა თანდებულის როლში ვხვდებით, ზმნისწინად მისი გამოყენების შემთხვევები კი მეტად იშვიათია.

საყურადღებოა, რომ ძველი გრამატიკოსებიდან იგი ზმნისწინად არც ანტონ პირველს მოუხსენებია და არც დ. ჩუბინაშვილს. **შინა** ნაწილაკი ზმნისწინთა სიაში მხოლოდ პლ. იოსელიანმა, ხოლო შემდეგ თ. ჟორდანიამ შეიტანა [1].

სინამდვილეში **შინა** ნაწილაკი ზმნისწინად სულ ორიოდე ზმნაში გვხვდება:

.... არავის უფლობდა, ვითარმცა ვის **შინა**-განაქენდა პურჭელი (მრ. 11,16 C);

.... მაშინ დაბრკოლდებოდიან მრავალნი და ურთიერთას **შინა**-განსცემდენ (მ. 24,10);

... რომლისათჳს აწ თქჳენ **შინა**-განმცემელ და მკლველ იქმნენით (საქმე, 7,52).

ამიტომაც შეიძლებოდა **შინა** ნაწილაკი ზმნისწინთა რიგში არც კი განგვეხილა, მაგრამ იგი ცალკე ზმნისწინად თუ მაინც გამოვყავით, ეს იმიტომ რომ: 1. იგი ზმნისწინად გვხვდება თუნდაც ზემოდასახელებულ ზმნებში და 2. იგი შინაარსობრივად უპირისპირდება **გარე**-ს, რომელიც თავის მხრივ ზმნისწინის როლში ხშირად გამოდის. ამიტომ, ცხადია, **გარე**-ს საპირისპირო **შინა**-ც აგრეთვე უნდა გამოსულიყო ზმნისწინის როლში, რისი ნიმუშებიც თუნდაც ზემოაღნიშნულ ორიოდე ზმნაში დასტურდება.

ნ. მარის აზრით, **შინა**-ს ძირია **შინ**, რომელიც **შიდნ**-იდან მოდის (შდრ.: **შჱნ, რ ა ც შ ე ნ ე ბ ა ს** ნიშნავს)[2]. აქედან გამომდინარე, ნ. მარი **შინა**-ში **-ნა** ბოლოსართს ცალკე დეტერმინანტად კი არ გამოყოფდა, არამედ აღნიშნავდა, რომ ამ სიტყვაში ფუძისეული **ნ** თანხმოვანი შემდეგში გაგებულ იქნა მიცემითის ნიშნად და ამ ნიადაგზე მისი პარალელური ფორმაც (შიდა) წარმოიშვაო[3].

დღეს, საერთოდ, აღიარებულია ის აზრი, რომ **შინა** ზმნიზედა და თანდებული (ამ შემთხვევაში — ზმნისწინიც) მასალობრივად და

---

[1] პლ. **ი ო ს ე ლ ი ა ნ ი**, პირუ9ლ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრაჰმატიკისა, გვ. 61; თ. **ჟ ო რ დ ა ნ ი ა**, ქართული გრამმატიკა, გვ. 155.

[2] H. **M a r r**, Грамматика..., გვ. 33.

[3] **ი ქ ვ ე**, გვ. 111.

შინაარსობრივად **შე-** ზმნისწინს უკავშირდება[1]. მასში იგივე **ნა** პა-წარმოებელი გამოიყოფა, რაც **ზენა, ქვენა, აქანა** სიტყვებში.

§ 123. **წ ი ნ ა ზმნისწინი ძველ ქართულში. წინა** ნაწილაკი ქართულში ჩვეულებრივ ზმნიზედისა და თანდებულის როლში გვხვდება. ამასთან ერთად, იგი ძველ ქართულში ზმნისწინადაც გამოიყენებოდა. ზმნისწინთა შორის მოიხსენიებენ მას ანტონ I, პლ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, თ. ჟორდანია.

წინ ზმნიზედას საბა ასე განმარტავს: „**წინ**—პირის კერძო".

დ. ჩუბინაშვილი მარტივი **წინა** ზმნისწინის ნაცვლად ასახელებს რთულ **წინაგან** და **წინადა** ზმნისწინებს და მიუთითებს, რომ ესენი აღნიშნავენ წინ მიმართულებასო[2]. ძნელი შესამჩნევი არაა, რომ **წინაგან** და **წინადა** სხვა არაფერია, თუ არ იგივე **წინა** ზმნისწინი, რომელიც დაერთვის **და-** და **გან-**ზმნისწინიან ფორმებს.

წინა ზმნისწინი მასალობრივად იგივეა, რაც **წინა** თანდებული. მასში ნ. მარი გამოყოფდა **წინ** ძირსა და მიცემითი ბრუნვის **-ა** სუფიქსს. **წინ** ძირი კი, მისი აზრით, აღნიშნავდა თვალს, საიდანაც განვითარებულა მისი ზოგადი მნიშვნელობა — წინა ნაწილი[3].

წინა ზმნიზედის ასეთი ეტიმოლოგია გასაზიარებელი არ ჩანს. ჩვენ იმ აზრს ვიცავთ, რომ **წინა** ზმნიზედაში გამოიყოფა **ნა** ბოლოსართი, ხოლო მისი **წი** ძირი მასალობრივად უკავშირდება იმავე **წ** ძირს, რომელიც გვაქვს **უწინ, აწ** ზმნიზედებში და, რაც მთავარია, **წარ-**ზმნისწინში (იხ. § 38).

წინა ზმნიზედური ნაწილაკი, როგორც ზმნისწინი, ძველ ქართულში წინა არეზე მიუთითებდა და გამოხატავდა ამ არეში მოძრაობას. საკუთრივ მიმართულების აღმნიშვნელი ზმნისწინებიდან მას **წარ** ზმნისწინი შეესატყვისება. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი ადგილი მარკოზის სახარებიდან, რომელიც DE ხელნაწერთა მიხედვით ასე იკითხება: „**წინა**-გიძღუს თქუენ გალილეას" (მრ. 16,7). ეს ადგილი C ხელნაწერში ასეა: „**წარგიძღუს** თქუენ გალილეად". **წარგიძღუს** და **წინა-გიძღუს** ზმნათა ასეთი ურთიერთმონაცვლეობა შემთხვევითი არაა. იგი იმის კარგი საბუთია, რომ **წინა** და **წარ**

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, § 324; ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, გვ. 74,88.

[2] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 74.

[3] Н. Марр, Грамматика..., გვ. 111.

ზმნისწინები დაახლოებით ერთნაირ შინაარსს გადმოსცემენ. ამიტომ **წინა** ზმნისწინი თავისი შინაარსით უკუ ზმნისწინის საპირისპიროცაა. ეს დაპირისპირება კარგად ჩანს სიტყვაში **წინაუკუმო**, რომელსაც ჯერ კიდევ ქართულ ოთხთავში ვხვდებით (მრ. 6,48).

წინა ზმნისწინი შეიძლებოდა დართვოდა სავსებით უზმნისწინო ზმნებს:

.... ვარსკულავი **წინა**-უნათებდა (სინ. მრ. 15,32);
.... ერთი იგი მოწაფე **წინა**-რბიოდა უადრეს პეტრესა (ი. 20,4);
.... რომლისათჳს **წინა**-აუწყა ისრაელსა (სინ. მრ. 191,21);
.... **წინა**-უყოფს და სასყიდლად შრომათა მიჰმადლებს (ზარზმ. 147,9);
.... მოსე წინაწარმეტყუელმან აღმოაცენა წყალი ერისა მისთჳს ურიცხჳსა, რომელთა **წინა**-უძღოდა (საბა ას. 11,1);
.... ნუ ჰელ-ეწიფების ბრმასა ბრმისა **წინა**-ძღუანად (ლ. 6,39);
.... უყუარს ზემოჯდომაჲ პურსა ზედა და **წინა**-ჯდომაჲ შესაკრებელთა შორის (მ. 23,6 D),
.... მოგუთა თაყუანის-სცეს ჳარსკულავთა **წინა**-ძღომითა (სინ. მრ. 203,35).

აქვე უნდა დავასახელოთ ზემომოყვანილი ტიპის ზმნებისაგან წარმოქმნილი მიმღეობანი: **წინამორბედი** (სინ. მრ. 197,14); **წინა**-მსრბოლი (სინ. მრ. 29,1); **წინამყოფელი** (ას. ცხ. 45. 22 Ქ), **წინა**-მძღუარი (დაბად. 49,10).

ზმნისწინად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე სახელადი ნაწილი რთული ზმნისა **წინა-გჳც** (სინ. მრ. 75,7-8).

წინა ზმნისწინი შეიძლება მოუვიდეს აგრეთვე ისეთ ზმნებს, რომელთაც უკვე მოეპოვებათ **წარ-**, **აღ-**, **და-**, **გან-** და სხვა ზმნისწინები:

.... რაჲ ვის **წინა**-გჳც კეთილი მას სოფელსა, ანუ რაჲ **წინა**-წარვიძღუანეთ ზეცად (ისტ. ქრესტ. II, 3,17); **წინა**-წარიძღუანე იგი ზეცად (ისტ. ქრესტ. II, 15,6-7)
.... შეიშურვა შური უფლისაჲ **წინა**-აღრჩევითა მონაზონებრივისა სახისაჲთა (ას. ცხ. 15.13-14): თქუენ მარადის სულსა წმიდასა მჴდომად **წინა**-აღუდგებით (საქმე. 7.51 C): აჴ შენ განეშორე **წინა**-აღდგომასა ღმრთისასა (ას. ცხ. 204,2): დასცნა ძლევით ძალნი **წინა**-აღმდგომნი (მინჩხი, იდ. XV, 5): შენცა **წინა**-აღუდგეს სასუმელი ეგე სუმად (სინ. მრ. 60,12).
.... მკერდი იგი **წინა**-დაგებისაჲ და მჴარი იგი შესაწირავისაჲ მოვიღე (ლევიტ. 7,24); ქრისტემან მას დედაკაცსა... მაღალი იგი სარწმუნოებაჲ **წინა**-დაუდვა კიბედ (სინ. მრ. 77,4): ვერ შეუძლებდეს **წინა**-დადგომად სიბრძნითა მით (საქმე. 6.10): საჴმისათჳს ქრისტესისა სიკუდიმდე მიიწია **წინა**-დაპყრობად სულითა (ფილიპ. 2,30).
.... **წინა**-განმზადებაჲ იგი ღმრთისაჲ ეგოს (რომ. 9,11): რომელი-იგი **წინა**-განეწყუებების სჯულსა მას (რომ. 7,23); შეუძლე-

ბელ არს ბრძანებასა საღმთოსა მცირედცა **წინა-განწყობაჲ** (ხარხ. 152,10);

.... წარმართნი რტოებითა..: **წინა-მიეგებვოდეს** მჴსნელსა მას სოფლისასა (სინ. მრ. 149,17).

აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი ზმნის შესახებ:

1. **წინა-დაცუეთა.** მიუხედავად იმისა, რომ ამ ზმნაში თითქოს გამოიყოფა, ერთი მხრით, **წინა** ზმნისწინი, ხოლო მეორე მხრით, **და**-ზმნისწინიანი ზმნა (დაცუეთა), მაინც არ მიგვაჩნია, რომ აქ ადგილობით **წინა** ზმნისწინთან გვქონდეს საქმე. ამ შემთხვევაში სავსებით გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, **წინა-დაცუეთა**-ში პირველი შემადგენელი ნაწილი (**წინა**) სივრცობრივ წარმოდგენას კი არ იძლევა, არამედ იმას აღნიშნავს, რაც დაცვითეს, ე. ი. იგი არის ყოფილი პირდაპირი დამატება ან მისი განსაზღვრება [1].

§ 124. **თ ა ნ ა ზმნისწინი ძველ ქართულში.** ახალსა და ძველ ქართულში სახელთან ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს **თან(ა)**, თანდებულის გამოყენება. ძველ ქართულში იგი აღნიშნავდა თანყოფნას, გვერდით ყოფნას, სიახლოვეს. ამ შინაარსით **თანა** თანდებული სახელს ორ სხვადასხვა ბრუნვაში დაერთვოდა, სახელდობრ, უსულო საგნის აღმნიშვნელ სახელს — მიცემითში (გზასა თ ა ნ ა: მ. 13,19 C; ზღუასა **თანა**: მრ. 4,1 C), ხოლო სულიერი საგნის აღმნიშვნელს — ნათესაობითში; აბრაჰამის **თანა**: მ. 8,11) [2].

ამ შინაარსით ახალ ქართულში **-თან** თანდებული იხმარება არა ორი ბრუნვის ფორმასთან, არამედ მხოლოდ მიცემითთან — მაშინაც, როცა საგანი სულიერია, და მაშინაც, როცა საგანი უსულოა (კაცთან, ხესთან).

ამასთან ერთად, **თანა** თანდებული ახალი სიტყვების წარმომქმნელი თავსართის ან ბოლოსართის როლშიც გამოდის (**თანაზიარი, თანამეცხედრე, თანამოაზრე**; შენისთანა, ჩემისთანა, ამხანაგისთანა).

მაგრამ, რაც მთავარია, თ ა ნ ა-ს ძველ ქართულში ხშირად ვხვდებით ზმნის თავში სიახლოვის, თანყოფნის, გვერდით ყოფნის აღსანიშნავად:

---

[1] ჯ. თ ე ე ზ ა ძ ე, რთული ზმნები ძველ ქართულში: თპიშ, ტ. 13, გვ. 405.

[2] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „წინაშე", „თანა" და „ზედა" თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში („ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" ტ. I, 1956, გვ. 306); ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 326.

.... აბრაჰამ თანა-უვიდოდა მათ (დაბად. 18,16);
.... ხოლო აბრაჰამ თანა-ჯდა (დაბად. 15,11);
.... წარმართნი და პურიანი თანა-ექცეოდეს სტრატიოტთა (ისტ. ქრესტ. II, 102,8);
.... ხოლო ზაქეოს.... თანა-დგა და არა შეორგულდა და არცაღა დააბრკოლა წმიდაჲ სტეფანე ლოცვასა მას (სინ. მრ. 61,4).

თუკი ზმნასთან მჭიდროდ დაკავშირებული ადგილისა და მიმართულების აღმნიშვნელი თავსართები ზმნისწინებია, მაშინ მოცემულ მაგალითებში ზმნისწინად უნდა მივიჩნიოთ **თანა**-ც. მართლაც, იგი იმავე როლს ასრულებს ზმნასთან, რასაც **ზე, ქუე, გარე** ზმნისწინები (ზე-აღიპყრა, ქუე-დაჯდის, გარე-წარჯდა).

ქართველ გრამატიკოსთაგან **თანა** ნაწილაკი ზმნისწინად ჰქონდათ მიჩნეული ანტონ პირველს (თანვჰსწესობ, თანა-ვჰქმობ) [1] და ი. ქართველიშვილს [2]. უძველეს ზმნისწინად მიიჩნევდა **თანა**-ს კ. ჩხენკელიც [3].

რიგ ადგილობით ზმნისწინებს ქართულში სათანადო მიმართულებითი ზმნისწინები შეესატყვისება. მაგალითად:

ზე ზმნისწინის	შესატყვისია	**აღ-** ზმნისწინი,
ქუე ზმნისწინისა	—	**და-** და **შთა-** ზმნისწინები,
გარე ზმნისწინისა	—	**გან-** ზმნისწინი,
შინა ზმნისწინისა	—	**შე-** ზმნისწინი,
წინა ზმნისწინისა	—	**წარ-** ზმნისწინი.

თუმცა ასეთივე შესატყვისი არ დაეძებნება **თანა**- ზმნისწინს, მაგრამ ეს გარემოება ხელს ვერ გვიშლის, რომ ზმნასდართული **თანა** ნაწილაკი, რომელიც ადგილს გამოხატავს, ზმნისწინად მივიჩნიოთ.

თანყოფნის, გვერდით ყოფნის, სიახლოვის აღმნიშვნელი ზმნისწინები, ისევე როგორც თანდებულები, რიგ სხვა ენებსაც მოეპოვებათ. ამ დანიშნულებით გამოიყენება. მაგალითად, **ხ̄** ზმნისწინი ტაბასარანულში [4] და **დ** ზმნისწინი აფხაზურსა [5] და ტაპანთურში [6]. რუსულ ენაშიც თანაობის აღმნიშვნელი с- (со-) წინდებული სახელთანაც გვხვდება და ზმნასთანაც.

---

[1] ანტონ I, ქართული ღრამმატიკა, გვ. 98—99.

[2] ი. ქართველიშვილი, ქართული ღრამმატიკა, გვ. 137.

[3] Einführung in die georgische Sprache von Kita Tschenkéli, I, გვ. 99.

[4] А. Магометов, Превербы в табасаранском языке იკე, VIII, 1956, გვ. 317, 321.

[5] ქ. ლომთათიძე, რთულფუძიან ზმნათა აგებულება აფხაზურში: იკე, IV, 1953, გვ. 91.

[6] А. Генко, Абазинский язык, 1955, გვ. 172.

ასევე, ძველ ქართულში როგორც თანდებულად, ისე ზმნისწინად გამოიყენებოდა **თანა** ნაწილაკი.

თანა ზმნისწინი, შეიძლება ითქვას, ერთი ყველაზე გავრცელებული ადგილობითი ზმნისწინი იყო ძველ ქართულში. იგი გვხვდებოდა როგორც უზმნისწინო, ისე მიმართულებითი ზმნისწინის მქონე ზმნებთან და ორსავე შემთხვევაში თავის ძირითად შინაარსს ინარჩუნებდა. აი სათანადო ნიმუშებიც:

ა) თანა- ზმნისწინი უზმნისწინო ზმნებთან

თანა-ეგლოვდეს (ისტ. ქრესტ. II, 38,2), თანა-დგა (სინ. მრ. 61,4), თანა-ჯდა (დაბად. 15,11), თანა-მზრახველი (სინ. მრ. 46,21), თანა-ლმობაჲ (ზარზმ. 157,34), თანა-მნებავს (რომ. 7,22), თანა-უვიდოდა (ლ. 24,15), თანა-ურბიოდი (ფს. 49,18), თანა-სრბაჲ (1 პეტრე. 4,4 Ⴑ), თანა-ეტჯრთა (ზარზმ. 152,32), თანა-ეტყჳან (სინ. მრ. 194,29), თანა-ექმოდა (სიმ. მრ. 33,16), თანა-გუაქუნდა (ისტ. ქრესტ. II, 4,26), თანა-ვეყუნეთ (დაბად. 19,5), თანა-ეწამოს (ზარზმ. 163,2).

ბ) თანა ზმნისწინი ზმნისწინიან ზმნებთან

1. თანა-აღ-

თანა-აღმადგინნა (ეფეს, 2,6), თანა-აღიხუენით (დაბად. 50,25), თანა-აღრაცხილ-ყვნა (ზარზმ. 151,2), თანა-აღერევით (2 თესალონიკ. 3,14), თანა-აღიყვანნა (ას. ცხ. 199,11), თანა-აღჰყევეს (ას. ცხ. 123, 4 Ⴓ), თანა- აღშენებულ ხართ (ეფეს. 2,22).

2. თანა-და-

თანა-დამიდგა (2 ტიმოთ, 4,16), თანა-დამსხნა (ეფეს. 2,6), თანა-დაეფარა (ლიტ. ქრესტ. I, 8,44), თანა-დავეფლენით (რომ. 6,4).

3. თანა-წარ-

თანა-წარსადინელი (სინ. მრ. 258,17); თანა-წარყვანებაჲ (სინ. მრ. 276,19), თანა-წარმწყმედ (ფს. 27,3 Ⴓ).

4. თანა-შე-

თანა-შევერთნეთ (სინ. მრ. 5,36). თანა-შეეზავა (ებრ. 4,2), თანა-შეიპყრა (დაბად. 19,17), თანა-შეერაცხების (სინ. მრ. 37,5), თანა-შეირთენ (გამოსლვ. 12,4), თანა-შეერთო (სინ. მრ. 77,17), თანა-შეატყუებენ (2 კორინთ. 10,12), თანა-შეყოფილ (სინ. მრ. 50,36), თანა-შემწე (ფს. 82,9 Ⴓ), თანა-შეეწევის (რომ 8,26), თანა-შეგცხრებიან (იუდა 1,12 Ⴑ[1]).

5. თანა-შთა-

თანა-შთაჰყვა (სინ. მრ. 163.35).

6. თანა-გან-

თანა-განიძარცუავთ (სინ. მრ. 176,21).

7. თანა-მი-

თანა-მიატანნა (ას. ცხ. 174,30 Ⴑ).

ამასთან ერთად, ცალკე უნდა შევჩერდეთ **თანა** ზმნისწინის მქონე რამდენსამე ზმნაზე.

I. თანა-დება, თანა-აც

ესენი მწკრივში მონაცვლე ერთი და იმავე შინაარსის მქონე ზმნები არიან. ამათგან **თანა-აც** აწმყოში გამოიყენება და ნიშნავს: „ჰმართებს", „ევალება", ხოლო **თანა-ედვა** წყვეტილის ფორმაა და ნიშნავს: „ემართა". ამის მიხედვით, **თანა-მდები** — მოვალეს, ხოლო **თანა-ნადები** ვალს აღნიშნავდა:

.... რაოდენი **თანა-გაც** უფლისა ჩემისაჲ (ლ. 16,5);
.... სჯულისა ჩუენისაებრ **თანა-აც** სიკუდილი (ი. 19,7);
.... ფრიად **თანა-ედვა** კაცთა ბუნებასა, და **თანა-ნადებსა** მას მიცემად ვერ ჰპოვებდა (სინ. მრ. 42,16);
.... **თანა-მდებარ** არიან მსაჯულისა (იპ. 3,34).

როგორც ვხედავთ, მოცემული ზმნის შინაარსი არც მისი პირველი ნაწილის შინაარსს უკავშირდება და არც მეორე ნაწილისას. ამის გამო ეს სიტყვა ზოგი ავტორის მიერ რთულ ზმნადაა მიჩნეული და, ამის მიხედვით, მისი წინა ნაწილი **(თანა)** ზმნისწინად კი არა, რთული ზმნის სახელად ნაწილადაა გამოცხადებული [1].

II. თანა-წარსლვა, თანა-წარცოდება, თანა-წარკდომა

ესენი თუმცა **თანა** ზმნისწინის მქონე ზმნები არიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სულაც არ გამოხატავენ თანყოფნას, სიახლოვეს. პირიქით, ისინი, როგორც წესი, გვერდის ავლას, გაცილებას აღნიშნავენ:

.... უკუეთუ შესაძლებელ არს **თანა-წარსლვად** სასუმელი ესე ჩემგან (სინ. მრ. 193,9);
.... ნუ **თანა-წარმვალთ** (დაბად. 18,3);
.... ნუმცა **თანა-წარვსცოდავთ** სულთა ჩუენთა ზიარებისა მისგან (სინ. მრ. 183,33);

---

[1] ჯ. თევზაძე, რთული ზმნები ძველ ქართულში: თპიშ, ტ. 13. გვ. 405.

.... ბრძაცა **თანა-წარჰქდების** ოქროსა მის წინაშე მდებარესა (ზარზმ. 165,13):

.... **თანა-წარმჴედინ** ჩემგან სასუმელი ესე (მ. 26,39 C).

ასეთი შინაარსობრივი თავისებურების გამო დასახელებული ზმნებიც რთულ ზმნებადაა მიჩნეული, ხოლო ამის საფუძველზე შემდგომი განზოგადების წესით რთულ ზმნებადაა მიჩნეული ყველა ის ზმნა, რომელსაც წინიდან ადგილის აღმნიშვნელი რომელიმე ზმნიზედური ნაწილაკი (თანა, გარე, წინა, ზედა, შინა) მოუდის [1].

ამ საკითხს ჩვენ ზოგადად უკვე შევეხეთ (§ 112). აქ კი **თანა**-სთან დაკავშირებით შემდეგი უნდა დავუმატოთ:

1. **თანა**-ს მქონე ზმნებიდან დიდი უმრავლესობა ისეთია, სადაც ეს ნაწილაკი პირდაპირი მნიშვნელობით იხმარება და აშკარად ზმნისწინის როლში გამოდის (მაგალითები ზემოთ). ამიტომ, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნება, ანგარიში არ გავუწიოთ ამ უხვი მაგალითების ჩვენებას და ორიოდე გამონაკლისის მიხედვით გამოვიტანოთ საერთო დასკვნა იმის შესახებ, თითქოს ზმნებში **თანა** ზმნიზედური ნაწილაკი ზმნისწინად კი არა, ყოველთვის სახელად ნაწილად გამოდიოდეს.

2. ის ფაქტი, რომ **თანა-წარკდომა, თანა-წარსლვა, თანა-წარცოდება** ზმნებში გამოხატულია არა საგნისადმი მიახლოება, მასთან ერთად ყოფნა, არამედ საგნისათვის გვერდის ავლა, მისგან გაშორება, ჩვენ არ მიგვაჩნია იმის საბუთად, რომ თუნდაც ესენი რთულ ზმნებად გამოვაცხადოთ.

ჯერ ერთი, თვითონ ამ ზმნებში რამდენადმე კიდევ იგულისხმება **თანა**-ს ძირითადი შინაარსი — რისამე გვერდით ყოფნა, რისამე ახლოს ყოფნა. მართლაც, **თანა-წარკდომა**, ე. ი. გვერდის ავლა, გაცილება შეიძლება იმისა, რასთანაც ახლოს ხარ. მოცემულ ზმნებშიც სიახლოვის ეს შინაარსი, რაც მოქმედების საწყის მომენტს ახასიათებს, **თანა** ზმნისწინითაა გადმოცემული, ხოლო დაშორების შინაარსი — **წარ-** ზმნისწინით. ე. ი. **თანა-წარჰკდა** ამას ნიშნავს: წავიდა იმისგან, რასთანაც ახლოს იყო.

მეორეც, ამა თუ იმ ზმნისწინის გამოყენება არა ძირითადი, არაშედ განსხვავებული შინაარსით, სულაც არ ქმნის იმის საფუძველს, რომ ეს ზმნისწინი ზმნისწინობიდან ამოვრიცხოთ და რთული ზმნის სახელად ნაწილად გამოვაცხადოთ. ამის საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითი მოვიყვანოთ: ქართულში **შე-** ზმნისწინი ჩვეულებრივ გარედან შიგნით მიმართულებას აღნიშნავს (შ ე ვ ი დ ა), მაგრამ ცნობი-

[1] ჯ. თ ე ვ ზ ა ძ ე, დასახელებული შრომა, გვ. 405.

ლია ისიც, რომ გარკვეულ შემთხვევებში იგი ამის საპირისპიროდ ირგვლივ მოქმედებასაც აღნიშნავს („შეირტყ სარტყელი“ საქმე, 12,8C); მიუხედავად ამისა, ზმნის თავში დართული შე ნაწილაკი ყოველთვის ზმნისწინადაა მიჩნეული.

ახლა რუსულ ენასაც მივმართოთ:

რუსულში ქართული **თანა**-ს შესატყვისი со- ზმნისწინი თანყოფნის, დამაახლოებლობის შინაარსითაც იხმარება (**сопровождать, сойтись, совпадать, совместить, содействовать**) და საგნისაგან დაშორების, გაცილების შინაარსითაც (**согнать, сорвать, соскочить**), მაგრამ, ამის მიუხედავად, ორსავე შემთხვევაში იგი ზმნისწინადაა მიჩნეული.

აქედან გამომდინარე: ძველ ქართულში ზმნის თავში დართულ **თანა** ნაწილაკს ზმნისწინად მივიჩნევთ მაშინაც, როცა იგი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება (**თანა-აღირაცხა, თანა-აღიყვანა, თანა-დავეფლენით, თანა-შეეზავა, თანა-შეერთო** და ა. შ.) და მაშინაც, როცა იგი ამ მნიშვნელობას · ველარ ინარჩუნებს (**თანა-ედვა, თანა-წარჰკდა, თანა-წარმცოდე**).

რაკი რთულ ზმნებს შევეხეთ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ **თანა** ზმნისწინი ზოგჯერ რთულ ზმნებშიც შეიძლება გვქონდეს ზმნისწინად. აი სათანადო ნიმუშები:

.... **თანა-ს ა თ ნ ო-ე უ ო ფ ი თ** საქმეთა მამათა თქუენთასა (ლ. 11,48);

.... **თანა-უ კ უ დ ა ე-უ ო** ღმრთეებისა (სინ. მრ. 22,19);

.... გარბანელმან უბრძანა ძესა თჳსსა, რათა **თანა-გ ზ ა-მ უ ე ს**, ვიდრე პირამდე მდინარისა (ზარზმ. 163,6);

.... ხოლო საღე იყო **თანა-ჯ ე რ-მ ჩ ი ნ ე ბ ე ლ** მოკლვასა მისსა (საქმე, 8,1 ქ);

.... უკუეთუ **თანა-ნ ე რ გ-ვ ე ქ მ ნ ე ნ ი თ** მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეთცა აღდგომასა მას მისსა ვიყუნეთ (რომ. 6,5);

.... კეთილი გემოჲ ეხილეთ სიტყჳსა ღმრთისაჲ... და დაცემულთა კუალად ჭანახლებაჲ სინანულად **თანა-ჯ უ ა რ ს-ც უ მ ა დ** თავთა მათთა ძესა ღმრთისასა (ებრ. 6,5—6).

ეს მაგალითები იმაზე მიგვითითებს, რომ რთულ ზმნებთან, სავსებით შესაძლებელია, ვიხმაროთ ადგილობითი ზმნისწინები, მაშინ როცა ისინი ვერ ირთავენ მიმართულებითს ზმნისწინებს.

§ 125. მ ი მ ო ზმნისწინი ძველ ქართულში. ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ადგილობითი ზმნისწინები ხმარებიდან ამოვარდა და ახალ ქართულში მათს მაგივრობას სათანადო ზმნიზედები და თანდებულები ასრულებენ. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს

მიმო- ზმნისწინი, რომელიც დღესაც გამოიყენება ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: მიმოსვლა, მიმორბენა, მიმოზიდვა, მიმობნევა, მიმოფანტვა, მიმოფრქვევა, მიმოქცევა, მიმოხრა, მიმოწერა, მიმოხილვა და ა. შ.

მიმო- ზმნისწინი მარტივი **მი-** და **მო-** ზმნისწინებისაგან შედგება. იგი ერთგვარად ანეიტრალებს მოქმედების მიმართულებას, რის შედეგადაც მოქმედების ადგილობითი წარმოდგენა უფრო გვეძლევა: თუ **მი-** ზმნისწინი საიქეთო, ხოლო **მო-** ზმნისწინი სააქეთო მიმართულებას გამოხატავს, **მიმო-** ზმნისწინი მიუთითებს, რომ მოქმედება ხდება ერთ გარკვეულ მონაკვეთზე იქეთ და აქეთ. ესაა **მიმო-** ზმნის წინის ძირითადი შინაარსი. ესაა, ასე ვთქვათ, ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულების ერთდროული გამოხატვა.

მიმო- ზმნისწინი რომ იქეთ-აქეთ მოქმედებას გამოხატავს, ქართველ გრამატიკოსთაგან ეს პირველად დ. ჩუბინაშვილმა აღნიშნა[1]. მაგრამ უფრო ადრე **მიმო-**ს ეს შინაარსი სულხან-საბა ორბელიანს ჰქონდა მითითებული თავის „ქართულ ლექსიკონში“: **მიმო**—აქათიქით-ო, წერს იგი.

ამ შინაარსის მიხედვით ახასიათებენ **მიმო-** ზმნისწინს არნ. ჩიქობავა და ა. მარტიროსოვი[2]. ა. შანიძე კი, მართალია, **მიმო-**ს ცალკე ზმნისწინად არ გამოყოფს, მაგრამ როცა რთული ზმნისწინების შესახებ ლაპარაკობს, **მი-** ზმნისწინზე **მო-**ს დართვის შემთხვევას ორ ზმნაში განიხილავს (მიმოსვლა, მიმოქცევა) და მიუთითებს, რომ ესენი იქეთ და აქეთ მიმართულებას აღნიშნავენ, რაც ჩვეულებრივ ზმნის გაორკეცებით გადმოიცემა (მიდის—მოდის, გადის—გამოდის და მისთ)[3]. რაც შეეხება „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს“, აქ **მიმო-** ასეა დახასიათებული: „**მიმო** — რთული წინსართი ზმნისა: **მი-** და **მო-**; ჩვეულებრივ აღნიშნავს მიმართულებას, მოძრაობას იქით და აქეთ: **მიმო-**დის (შდრ.: მიდის და მოდის), **მიმო-**აქვს (შდრ.: მიაქვს და მოაქვს), **მიმო-**ყრის (შდრ.: მიყრის და მოყრის)[4].

მიმო- ზმნისწინის გამოყენების არე ძველ ქართულში კიდევ უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ახალ ქართულში. იგი იხმარებოდა არა მარტო უზმნისწინო ზმნებთან, არამედ ზმნისწინიანებთანაც. აი სათანადო ნიმუშებიც:

---

[1] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 74.

[2] არნ. ჩიქობავა, წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში: ენიმკის მრომბე, I, 1937, გვ. 41; ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იქე, V, გვ. 85.

[3] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, § 313.

[4] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V.

ა) მიმო ზმნისწინი უზმნისწინო ზმნებთან

მიმო-ვეგნეთ (ლიტ. ქრესტ. I, 6,44), მიმო-ედვა (ისტ. ქრესტ. II, 112,14), მიმო-დება (იპ. 8,62); მიმო-ითქუმოდეს (ლ. 1,65), მიმო-ვიდოდა (საქმე, 13,11), მიმო-ვალნ (ისტ. ქრესტ. II, 18,36), მიმო-მავალი (აპოკრ. 27,12), მიმო-დიოდის (აპოკრ. 30,28 D), მიმო-ტაცებული (იაკობ, 1,6 C[1]), მიმო-ფენა (იპ. 17,46), მიმო-ქადაგება (იპ. 8,94), მიმო-იქცეოდა (მრ. 6,6), მიმო-აქუნ (ისტ. ქრესტ. II, 19,5), მიმო-ჩქუეფნ (ისტ. ქრესტ. II, 19,6), მიმო-ყვანება (1 კორინთ. 9,5), მიმო-წულილვა (2 თესალონიკ. 3,11), მიმო-ხედვიდა (ისტ. ქრესტ. II, 112,35), მიმო-ხილვა (სინ. მრ. 110,6).

ბ) მიმო- ზმნისწინი ზმნისწინიან ზმნებთან

1. მიმო-და-

მიმო-დაიბნინეს, (საქმე, 8,4 Ქ), მიმო-დაიგულნა (აპოკრ. 26,36), მიმო-დასდებ (სინ. მრ. 64,8), მიმო-დაზრუნვიდა ლ. 10,40), მიმო-დასთესნა (გალ. 2.8 Ქ), მიმო-დაითრევდით (აპოკრ. 36,10 D), მიმო-დაითქუა (ფს. 86,6), მიმო-დარბიოდიან (ისტ. ქრესტ. II, 5,11), მიმო-დადიოდის (აპოკრ. 30,28 E), მიმო-დავალნ (სინ. მრ. 104,17), მიმო-დაისტუანვიდა (მრ. 5,32 C), მიმო-დაიტაცებდეს (ფს. 88,42 Ქ), მიმო-დამტაცებელი (სინ. მრ. 146,34), მიმო-დაჰფენდეთ (აპოკრ. 23,35), მიმო-დაღება (მრ. 6,55 C), მიმო-დაყენა (გალ. 2,8), მიმო-დაყარა (გალ. 7,24), მიმო-დააწესეს (საქმე. 8,25 Ქ), მიმო-დააწვეს (საქმე, 8,25 C), მიმო-დაიხილა. (მრ. 3,34), მიმო-დაკდეს (საქმე. 8.4),

2. მიმო-გან-

მიმო-განბნეული (ზარზმ. 157,23), მიმო-განთესული (იაკობ. 1,1 C), მიმო-განითქუას (მრ. 14.9 C), მიმო-განიმსტურეს (ზარზმ. 153,27), მიმო-განყენა (გალ. 2,8 Ქ).

მიმო- ზმნისწინი რომ იქეთ-აქეთ მოქმედებას გამოხატავს, ამის საილუსტრაციოდ ძველი ქართულიდან შეიძლება ასეთი მაგალითები მოვიყვანოთ:

.... მიმოხედვიდა აქა და იქი, რაჲთამცა იხილა უინძე თჳსთაგანი (ისტ. ქრესტ. II, 112,35);

.... ეჳაგრე დგა მარტოჲ და მიმოიხედვიდა (ას. ცხ. 98,32 Ქ); შდრ.: ეჳაგრე მხოლო მდგომარე იყო ერთსა ადგილსა და იქი და აქა ხედვიდა (ას. ცხ. 98,35—36 Ქ);

.... მიმოდაიბნინეს ყოველნი მარჯუე და მარცხე (ას. ცხ. 98,33-34 Ქ);

.... მიმოდაიგულნა იესუ მარჯულ და მარცხულ ბაგინსა. მას შინა (აპოკრ. 26,36);

.... მიმოვიდოდა და ეძიებდა წინამძღუარსა (საქმე, 13,11 Ც; Обращаясь туда и сюда, искал вожатого).

იქეთ-აქეთ მოძრაობის აღნიშვნა მიმო- ზმნისწინის ძირითადი შინაარსია. ამ ძირითადი შინაარსის შემდგომი განზოგადების შედეგად მიმო- ზმნისწინით ხშირად ყველა მიმართულებით შესრულებული მოქმედებაც გადმოიცემა. სწორედ ამას მიიჩნევდა მიმო- ზმნისწინის შინაარსად დ. ჩუბინაშვილი თავის მოკლე ქართულ გრამატიკაში [1].

ამ თვალსაზრისით შეიძლება ასეთი მაგალითები მოვიყვანოთ:

.... მიმოქადაგებდეს ყოველსა მას ჭეეყანასა (მ. 9,31);

....რომელნი-იგი მიმოდაიბნინეს, ვიდოდეს და ახარებდეს (საქმე, 8,4 Ჳ); მიმოდაიბნინეს ჰირისა მისგან (საქმე, 11,19 Ჳ);

.... ათორმეტთა ნათესავთა მიმოდათესულთა,—გიხაროდენ! (იაკობ,1,1 Ც [1]; მიმოგანთესულთა Ც);

.... რაჟამს მიმოდაყუნა (მიმოგანყუნა Ჳ) მაღალმან ნათესავნი იგი, ვითარ-იგი მიმოდაჰფინნა (მიმოდასთესნა Ჳ) ძენი ადამისნი, დაამტკიცნა საზღვარნი თესლებისანი (გალ. 2,8 Ც);

.... მიმოდაყვენ ენანი მათნი (ფს. 54,10);

.... რაჟამს მიმოდაჰფენდეთ თქუენ სახარებასა ამას (აპოკრ. 23,35);

.... მიმოდაეფინნეს ნიჭნი იგი სულისა წმიდისანი (სინ. მრ. 217,7-8);

.... მიმოდაიტაცებდეს მას ყოველნი თანა-წარმავალნი გზისანი (ფს. 88,42 Ჳ);

.... რაოდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროჲს მიმოჰსდებდეს (მრ. 7,36 D);

.... მიმოითქუმოდეს ყოველნი ესე სიტყუანი (ლ. 1,65);

.... მიმოეფინებოდა ჰამბავი მისთჳს ყოველთა მათ ადგილთა (ლ. 4,37);

.... მიმოედვა სიტყუაჲ იგი ყოველსა ჭალაქსა (ისტ. ქრესტ. II, 112,14).

ზოგ შემთხვევაში მიმო- ზმნისწინი კიდევ უფრო განზოგადების შედეგად მოქმედების მიმართულებას სავსებით განუსაზღვრელ ხასიათს აძლევს. ავიღოთ ასეთი მაგალითი: „მღუძარე იყვენით, რამეთუ, მოსაჯული იგი თქუენი ეშმაკი, ვითარცა ლომი მყვირალჱ მიმოვალს და ეძიებს ვინმცა შთანთქა“ (1 პეტრე 5,8 Ც!). ამ წინადადებაში მოცემული ზმნა მიმოვალს ისე უნდა გავიგოთ, როგორც დავალს, დადის, სადაც განუსაზღვრელობის და- ზმნისწინია გამოყენებული. ასევე განუსაზღვრელი მიმართულების შინაარსია გადმოცემული მიმო- ზმნისწინით შემდეგ მაგალითებში:

---

[1] Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, გვ. 73.

.... რომელმან დაუტევის თჳსი ადგილი და მიმოვალნ ადგილითი ადგილად (ისტ. ქრესტ. II, 18,36);

.... რომელმან მიმომავალად შეჴმნა ყოველივე შეუძრავი (აპოკრ. 27,12);

.... მიმოვიდოდა და ახარებდა ყოველსა მას ქალაქებსა (საქმე, 9,40 Ჳ);

.... მიმოიქცეოდა გარემო სოფლებსა მას (მრ. 6,6);

.... არარას იქმან, არამედ მიმოიწულილვენ (2 თესალონიკ. 3,11);

.... სისხლი შენი მიმოდადიოდის ქეყუანასა ზედა (აპოკრ. 30,28 E; მიმოდიოდის D);

.... მარგალიტნი და თუალნი პატიოსანნი მიმოგანბნეულ რა იყუნენ თანა-აღრევით მიწასა (ზარზმ. 157,23).

ამას გარდა, ზოგ შემთხვევაში მიმო- ზმნისწინი ძველ ქართულში მაშინაც გამოიყენებოდა, როცა გადმოსაცემი იყო გარშემო მოქმედება[1]. ასეთი შინაარსით მიმო- ზმნისწინი ჩვეულებრივ ხილვა და ხედვა ზმნებთან იხმარება:

.... მეყსეულად მიმოიხილეს და არავინ იხილეს (მრ. 9, 8: Внезапно посмотревши вокруг, никого более с собою не видели).

.... მიმოდაიხილა გარემო მისა (მრ. 3,34);

.... მიმოიხედვიდა იესუ, რაჲთა იხილოს, რომელმან-იგი ესე ყო (მრ. 5,32).

აქეთ-იქით მოქმედების გადმოცემა, რაც მიმო-ს ადრინდელი ფუნქცია იყო, ახალ ქართულში მეტწილად მი- და მო- ზმნისწინების მქონე ერთი და იგივე ფუძის გაორკეცებით ხორციელდება. დღეს, მაგალითად, უფრო გავრცელებული ფორმებია **მიზიდ-მოზიდა, მიანგრ-მოანგრია, მიფანტ-მოფანტა, მიაბნ-მოაბნია** და ა. შ. ფორმები, ვიდრე **მიმოზიდა, მიმოანგრია, მიმოფანტა, მიმოაბნია** და სხვ.

რაც შეეხება ძველ ქართულს, იგი ასეთ ფუძეგაორკეცებულ ზმნებს არ იცნობს. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მიმო ზმნისწინის გავრცელების არე მაშინ უფრო მეტი იყო, ვიდრე ახალ ქართულში. მიმო-ზმნისწინიანი ფორმებიდან ზემოაღნიშნული ტიპის ფუძეგაორკეცებულ ზმნებზე გადასვლას წინ უსწრებდა და კავშირით შეერთებული მი- და მო- ზმნისწინების ცალკე გამოტანა ზმნის წინ. ასეთი ფორმები დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანში“:

.... ვითა კაკაბი არწივსა ქვეშე მი და მო ძრწებოდა (232,2);

.... ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა (512,4);

.... ვეღარ გაესწრნეს, გარდუხდა, მტერთა მი და მო მღენელი (1043,3);

.... უთხრა: „არ გიშლი, დიაცო, ფერთა მი და მო კრთოლასა...“ (1100,3);

---

[1] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში: იქვე, I, გვ. 244.

.... უმისჟამისოდ ცუდია ჩემგან მი და მო რბენანი (1475,4);
.... მაშინღა იცნეს ტარიელ, მათგან მი და მო სრბანია (1621,1).

ერთ შემთხვევაშიც „ვეფხისტყაოსანში“ მი და მო ზმნისწინები ზმნის ბოლოსაა გამოტანილი: „ლაშქარნი რბოდეს მი და მო“ (1508,2).

ამგვარად, იქით-აქეთ ერთდროული მოქმედების გადმოცემის ფორმები ისტორიულად ასე ვითარდება:

1. მიმო-ზმნისწინიანი ფორმები (ჩვეულებრივია ძველ ქართულში),

2. ზმნასთან ერთდროულად დაკავშირებული მი და მო ზმნისწინები (საშუალი ქართული).

3. მი და მო ზმნისწინთა მქონე ერთი და იგივე ზმნური ფუძის გაორკეცება (ახალი ქართული).

ამასთან ერთად, მიმო- ზმნისწინიანი ფორმები ახალ ქართულშიც განაგრძობს არსებობას.

უფრო ბუნებრივი იქნებოდა, თანდათანობითი შერწყმისა და აბსტრაქციის გზით ფუძეგაორკეცებული ზმნებიდან რომ მიგვეღო მიმო-ზმნისწინიანი ფორმები და არა პირუკუ. აქ კი პროცესი შებრუნებულადაა მოცემული: მიმო-ზმნისწინიანი ფორმების ადგილს თანდათან იჭერს შესაბამისი ზმნის ფუძეგაორკეცებული ფორმები. ეს მოვლენა შემდგომ ახსნას საჭიროებს.

მიმო- ზმნისწინის დანიშნულების გარკვევისას არნ. ჩიქობავა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როდისაა შესაძლო და როდის შეუძლო მიმო-ზმნისწინიანი ფორმები. იგი წერს: „მი- აღნიშნავს მოძრაობას იქეთ, მო- — პირუკუ, მოძრაობას აქეთ: ორივე ერთად (მიმო) — მოძრაობას იქითაც და აქეთაც: მი-მო-სვლა, მი-მო-ქცევა... მი-მო-ვიდოდა, მი-მო-იქცეოდა... მაგრამ ეს პრევერბი გულისხმობს განმეორებითს ანდა უწყვეტს, განგრძობითს, დაუმთავრებელ მოძრაობა-მოქმედებას; ამისდა კვალად ბუნებრივია მასდარის გარდა ნამყო უსრული (უწყვეტი): მი-მოვიდოდა, მი-მო-იქცეოდა... მაგრამ სრულებით შეუძლებელია — მი-მო-იქცა, მი-მო-ვიდა...., რომელიც ერთგზითს. დამთავრებულს მოქმედებას აღნიშნავს....“ [1]

შემდეგში ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ზმნისწინების განხილვისას ა. მარტიროსოვმა მიუთითა, რომ მიმო- ზმნისწინი, გარდა უწყვეტლისა, ხოლმეობითის ფორმებთანაც იხმარება [2].

---

[1] არნ. ჩიქობავა, წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში: ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 41.

[2] ა. მარტიროსოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ძველ ქართულში: იკე, V, გვ. 85.

როგორია საქმის ვითარება ამ თვალსაზრისით.

სათანადო ზმნებზე დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ **მიმო-** ზმნისწინის ხმარებაში მწკრივთა მიხედვით რაიმე შეზღუდვას არც ახალ ქართულში აქვს ადგილი და არც ძველში ჰქონდა. ახალ ქართულში **მიმო-**ზმნისწინიანი ფორმები რომ წყვეტილის მწკრივშიც გვაქვს, ეს დასტურდება „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით“, სადაც დამოწმებულია ასეთი ფორმები: **მიმოაბნიეს** (ნახე: მიმოაბნევს), **მიმოავლო** (ნახე: მიმოავლებს), **მიმოატარა** (ნახე: მიმოატარებს), **მიმოაფრქვია** (ნახე: მიმოაფრქვევს), **მიმოვლო, მიმოიარა, მიმოიფანტნენ** და ა. შ. ძველი ქართულიდან კი ასეთი მაგალითები შეიძლება მოვიყვანოთ:

.... **მიმოდაეფინნეს** ნიჭნი იგი სულისა წმიდისანი (სინ. მრ. 217,7-8);

.... მოციქულნი იგი **მიმოდაჰქდეს** (საქმე, 8,4);

.... **მიმოვლო** და შეწუნა რაოდენნი პოვნა ქალდეველთაგანნი (გალ. 7,23 Ჴ);

.... **მიმოდაიგულნა** იესუ მარჯულ და მარცხულ... (აპოკრ. 26,36);

.... **მიმოდაჰფინნა** ძენი ადამისნი (გალ. 2,8 C; **მიმოდასთესნა** Ჴ);

.... **მიმოდაუვნა** მაღალმან ნათესავნი იგი (გალ. 2.8 C; **მიმოგანუვნა** Ჴ);

.... **მიმოდაუარა** ალი იგი (გალ. 7,24);

.... **მიმოიხილა** მათა რისხვით (მრ. 3,5):

.... **მიმოდაიბნინეს** ჰირისა მისგან (საქმე. 11.19 Ჴ):

.... **მიმოდააწყეს** წამებაჲ (საქმე, 8,25 C; **მიმოდააწესეს** Ჴ):

.... **მიმოგანიმსტურეს** და იხილეს (ზარზმ. 153.27);

.... **მიმოედვა** სიტყუაჲ იგი ყოველსა ქალაქსა (ისტ. ქრესტ. II, 112,14).

ბოლოს ერთი საკითხიც: რატომ მიგვაჩნია **მიმო-**ზმნისწინი ადგილობითად?

ჩვენ ზემოთ მოცემული გვაქვს ადგილობითი ზმნისწინების თავისებურებანი (§ 115), რომელთა მიხედვით **მიმო-**ც სწორედ ადგილობით ზმნისწინებში უნდა იქნეს განხილული, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სხვა ადგილობითი ზმნისწინების მსგავსად არც მას გააჩნია ორიენტაციის გადმოცემის უნარი, ე. ი. არც საიქეთო და არც სააქეთო ორიენტაციას არ გადმოსცემს.

მეორეც, მსგავსად სხვა ადგილობითი ზმნისწინებისა **მიმო-** ზმნისწინიც ძველ ქართულში დაერთოდა არა მარტო უზმნისწინო ფორმებს (მიმოვიდოდა), არამედ ზმნისწინიანებსაც (მიმოდაიხილა, მიმოგანითქუა), ასეთი რამ კი სავსებით შეუთავსებელი იყო მიმართულებითი ზმნისწინებისათვის.

ამასთან ერთად, **მიმო** ზმნისწინი სხვა ადგილობითი ზმნისწინებისაგან რამდენადმე განსხვავდება. ეს განსხვავება იმაშიც ვლინდება, რომ იგი დღესაც შემორჩა ჩვენს ენას მიმართულებითი ზმნისწინე-

ბის პარალელურად და, რადგან ახალ ქართულში, **მიმო-**ს გარდა, ყველა სხვა ზმნისწინი მიმართულებითია, **მიმო-**ც თანდათან ზმნისწინთა ამ ჯგუფს ეკედლება. ამაში მას ხელს უწყობს უპირველეს ყოვლისა ის გარემოება, რომ იგი მასალობრივად სწორედ მიმართულებითს ზმნისწინებთანაა დაკავშირებული.

ახალ ქართულში მიმართულებითი ზმნისწინებისადმი **მიმო-** ზმნისწინის მიკედლება შემდეგ ნიშნებში ვლინდება:

1. **მიმო-** ზმნისწინი მსგავსად სხვა ზმნისწინებისა ახალ ქართულში უკვე აღარ დაერთვის ზმნისწინიან ფორმებს. ასე რომ, ძველი ფორმები: მიმოგანითქუა, მიმოგანიბნეოდა, მიმოდავიდოდა და ა. შ. სრულებით შეუთავსებელია ახალი ქართულისათვის.

2. მიმართულებითი ზმნისწინების მსგავსად ახალ ქართულში აწმყოსაგან **მიმო-** ზმნისწინითაც იწარმოება მყოფადის ფორმები. შდრ.: ერთ მხრით, **იბნევა, იფანტება, იფრქვევა,** და მეორე მხრით, **მიმოიბნევა, მიმოიფანტება, მიმოიფრქვევა** ზმნები.

3. მსგავსად მიმართულებითი ზმნისწინებისა **მიმო-** ზმნისწინიც მტკიცედ შეეზარდა ზმნას. მასთან შერწყმულად გამოითქმის და იწერება. ამასთან დაკავშირებით, აქვე შევნიშნავთ, რომ ძველ ქართულშიც, სასურველია. სხვა ადგილობითი ზმნისწინებისაგან განსხვავებით, იგი ზმნასთან შერწყმულად ვწეროთ.

შემოკლებანი

ანასტ. — წამებაჲ წმიდისა ანასტასიჲსი: სინური ხელნაწერი S-11 (X ს.).

აპოკრ. — ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით). გამოსცა ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე მ. 1959.

ას. ცხ.— ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. გამოსცა ი. ა ბ უ ლ ა ძ ე მ. 1955.

გალ. — გალობანი: ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები. გამოსცა მ. შ ა ნ ი ძ ე მ. 1960.

გალატ. — პავლეს ეპისტოლე გალატელთა მიმართ: ახალი აღთქმა. 1963.

გამოსლვ. — გამოსლვათაჲ: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. I. გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ. 1947.

გამოცხ. — გამოცხადებაჲ იოვანჱსი, გამოსცა ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7. 1961.

გამოცხ. თარგმ. — ა ნ დ რ ი ა კ ე ს ა რ ი ა კ ა პ ა დ უ კ ი ე ლ ი, თარგმანებაჲ იოვანჱსს გამოცხადებისაჲ. გამოსცა ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7. 1961.

Грамматика—Н. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925.

დაბად. — დაბადებისაჲ; წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 1. გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ. 1947.

ებრ. — ეპისტოლენი წმიდისა მოციქულისა პაჱლჱსნი ებრაელთა მიმართ: ახალი აღთქმა. 1963.

ესაია — ესაიასი; წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 2. გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ. 1948.

ეფეს. — ეპისტოლენი წმიდისა მოციქულისა პაჱლჱსნი ეფესელთა მიმართ: ახალი აღთქმა. 1963.

ვ. ტ. — ვეფხისტყაოსანი (ვსარგებლობთ აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის გამოცემით. 1957).

ზარზმ. — ბ ა ს ი ლ ი ზ ა რ ზ მ ე ლ ი, ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ. გამოსცა კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ: ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. 1935.

1 თესალონიკ. — პავლეს პირველი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ: ახალი აღთქმა. 1963.

2 თესალონიკ. — პავლეს მეორე ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ: ახალი აღთქმა: 1963.

თპიშ — ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები.

ი. — სახარებაჲ იოვანწსი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ. 1945.

იაკობ. — იაკობისი კათოლიკწ: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები X—X IV საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ქეთევან ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ. 1956.

იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება.

იობ. — იობისი: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I. ნაკვ. 2.

1 იოვ. — იოვანწსი სამოციქულოჲ პირველი; კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსცა ქ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ, 1956.

იპ. — ნეტარისა იპოლიტწს თქუმული თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ. გამოსცა ნ. მ ა რ მ ა: TP. III. 1901.

იპ. განმარტ. — იპოლიტწს განმარტებაჲ კურთხეითა მათთჳს მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა: შატბერდის კრებული — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S—1141. X ს.

ისტ. ქრესტ. I. — ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, I. გამოსცა ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა, 1949.

ისტ. ქრესტ. II. — ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II. გამოსცა ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ მ ა. 1963.

იუდა — იუდაჲსი: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები.

კიმ. — კიმენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ტ. I, 1918; ტ. II, 1946. გამოსცა კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ.

1 კორინთ. — პავლეს პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ: ახალი აღთქმა, 1963.

2 კორინთ. — პავლეს მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ: ახალი აღთქმა, 1963.

ლ. — სახარებაჲ ლუკაჲსი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია.

ლევიტ. — ლევიტელთაჲ: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი ტ. I, ნაკვ. 2.

ლიტ. ქრესტ. I — ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I. გამოსცა ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ მ ა. 1946.

მ. — სახარებაჲ მათწსი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია.

ძამ. სწავლ. — მამათა სწაულანი, X—XI სს. ხელნაწერთა მიხედვით. გამოსცა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ. 1955.

მარინ. — ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მარინაჲსი. სინური ხელნაწერი № 11. X ს.

მთაწმ. — გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი, ცხორებაჲ იოვანწსი და ეფთჳმწსი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა. გამოიცა 1946 წელს ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქტორობით.

მინჩხი — ივანე მინჩხი, დასაბეჭდნი წმიდისა აღდგომისანი: ძველ-ქართული სასულიერო პოეზია. გამოსცა პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა მ. 1913.

მრ. — სახარებაჲ მარკოზისი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია.

მსაჯ. — მსაჯულთაჲ: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 2.

1 პეტრე — სამოციქულოჲ პეტრწსი პირველი: კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები. გამოსცა ქ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ. 1956.

2 პეტრე — სამოციქულოჲ პეტრწსი მეორე: იქვე.

რომ. — პავლეს ეპისტოლე რომაელთა მიმართ: ახალი აღთქმა. 1963.

რუთ. — რუთისი: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 2.

საბა ას. — ცხორებაჲ ასაბა ასურისაჲ. გამოსცა ს ი მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა მ, ტრილი, 1925.

საქმე—საქმე მოციქულთა, გამოსცა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ. 1950.

სახ. მეტყვ. — მჭეტათაჳს სახისა სიტყუაჲ, წიგნთაგან თქმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელისაჲ. გამოსცა ნ. მ ა რ მ ა: TP. VI. 1904.

სინ. მრ. — სინური მრავალთავი 864 წლისა. გამოსცა ა. შ ა ნ ი ძ ე მ: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5. 1959.

სმამ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.

TP.—Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии.

1 ტიმოთ. — პავლეს პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ: ახალი აღთქმა. 1963.

2 ტიმოთ. — პავლეს მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ: ახალი აღთქმა. 1963.

ფოკა — წამებაჲ წმიდისა ფოკაჲსი, სინური ხელნაწერი S—62. X ს.

ფილიმ. — პავლეს ეპისტოლე ფილიმონის მიმართ: ახალი აღთქმა. 1963.

ფილიპ. — პავლეს ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ: ახალი აღთქმა. 1963.

ფს. — ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით. გამოსცა მ. შ ა ნ ი ძ ე მ. 1960.

ჭკიშ. — ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები.

შესაქმ. — გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი, შესაქმისათჳს კაცისა: შატბერდის კრებული — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S—1141. X ს.

ჰაბო — ი ო ვ ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ჳ, წამებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი; ძველქართული სასულიერო პოეზია. გამოსცა პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა მ. 1913 წ.

დათჳული ნიშნები

I● —პირველი ანუ მოუბარი პირის პოზიცია.

II● —მეორე პირის პოზიცია.

III● —მესამე პირის პოზიცია.

a—გვერდის პირველი სვეტი.

b—გვერდის მეორე სვეტი.

v—(verso)—ფურცლის უკანა გვერდი.

O—პირდაპირი ობიექტი.

O_1—პირველი პირის პირდაპირი ობიექტი (ასევე აღინიშნება II და III პირის პირდაპირი ობიექტებიც: O_2, O_3).

Ȯ—ირიბი ობიექტი.

$Ȯ_1$—პირველი პირის ირიბი ობიექტი (ასევე აღინიშნება II და III პირის ირიბი ობიექტებიც: $Ȯ_2$ $Ȯ_3$).

r—(recto)—ფურცლის წინა გვერდი.

S—სუბიექტი.

S_1—პირველი პირის სუბიექტი (ასევე აღინიშნება II და III პირის სუბიექტებიც: S_2, S_3).